ISSN 0132—599 X

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

## 9

1984

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელი მე-60 | № 9 | სექტემბერი, 1984 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო



ГОСУДАРСТВЕННАЯ БИБЛИОТЕКА СССР им. В. И.


## შინაარსი

### დიადი გამარჯვების 40 წელი


ალექსანდრე აბაშელი — არ მოუშვა, დაჰკარი. ლექსი . . . 3
იოსებ გრიშაშვილი — ორი სიტყვა. ლექსი . . . 4
გალაკტიონ ტაბიძე — მე კავკასიის ქედები მთხოვენ. ლექსი . . . 4
გიორგი ლეონიძე — შინმოუსვლელო, სადა ხარ. ლექსი . . . 5
სიმონ ჩიქოვანი — მამულს ვუთხრათ გამარჯვება. ლექსი . . . 5
ალიო მირცხულავა — დგას ორი ქალაქი, ორი ძმადნაფიცი. ლექსი . . . 6
ლადო ასათიანი — ქართველ ცხენოსანს. ლექსი . . . 7
მირზა გელოვანი — მეგობარ პოეტს. ლექსი . . . 8
რევაზ მარგიანი — მე უბით ვატარებ პატარა ბარათს. ლექსი . . . 8
იოსებ ნონეშვილი — სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე. ლექსი . . . 9


### პროზა, პოეზია


ოთარ ჩხეიძე — მთაგრეხილი. რომანი. გაგრძელება . . . 11
მორის ფოცხიშვილი — ლექსები . . . 74
რევაზ მიშველაძე — ნოველები . . . 77
დავით წერედიანი — ციკლიდან: გამოთხოვება. ლექსები . . . 91
კარლო კობერიძე — კაკლის ჩრდილი. მოთხრობა . . . 99


### ნარკვევი


ამირან აბშილავა — დიდი ექსპერიმენტი პატარა ქალაქში . . . 113


### საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის 50 წელი


ირაკლი აბაშიძე — ჩვენი პირველი ყრილობა . . . 132


### კრიტიკა, პუბლიცისტიკა


თვრამეტი მეცნიერის პასუხი ერთ შეკითხვაზე . . . 137
ელგუჯა მაღრაძე — ქართული ხმით მგალობელი . . . 151



იხ. მეორე გვერდი.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი (გაგრძელება)

### მეცნიერება

გურამ აბრამიშვილი — ატენის სიონის სამი გრაფიტი . . . . . . . . . 159

### ხელოვნება

ნოდარ მგალობლიშვილი — ტრადიცია და ნოვატორობა არქიტექტურაში 169

### წიგნების მიმოხილვა

ნიკოლოზ კენჭოშვილი — „ბევრი არ არის, მაგრამ არც ცოტაა“... . . . . 175

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედაქტორის მოადგილე), მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ო. პაჭკორია (პ/მგ. მდივანი), ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

# დიადი გამარჯვების 40 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1985 წლის 9 მაისს სრულდება ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი გამარჯვების 40 წლისთავი.

ჟურნალი „მნათობი“ რეგულარულად მიაწვდის თავის მკითხველებს ახალ ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს, მოგონებებს, რომლებშიც ასახული იქნება ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ.

ამჯერად გთავაზობთ გამოჩენილი ქართველი პოეტების ლექსებს, რომლებიც იმ ქარიშხლიან და მძიმე წლებში გამარჯვებისკენ მოუხმობდა და ძალას მატებდა საბჭოთა მეომრებს, ჩვენს ხალხს.

**ალექსანდრე აბაშელი**

## არ მოუშვა, დაჰკარი!

საქართველოს გუშაგო, გვესმის შენი ძახილი,
ვნახეთ, შენმა მარჯვენამ მტერი როგორ დადაღა.
ნახა შენმა ქვეყანამ, რომ მოიმკე სახელი,
უფრო მეტი დიდების მოსახვეჭად მზადა ხარ.
ხედავ, მტერი რას სჩადის, როგორ მოგიახლოვდა?
შენს მიწაზეც დაეცა ჩრდილი შავი ფრთებისა.
შენი კერა აქ არი, პაპაც აქვე სახლობდა,
დღეს შენა ხარ დარაჯი ამ დალოცვილ მთებისა.
შენი თავისუფლების დედაბოძი აქა დგას,
შენი შვილის აკვანი, შენი ფუძე აქ არი.
მტერი მოდის, კისერზე რომ უღელი დაგადგას,
ვაჟკაცურად დაუხვდი, არ მოუშვა, დაჰკარი!
თუ მოვიდა, ჩაგვიქრობს კერას მამაპაპეულს,
პირში ჩაგვეშრიტება სიტყვა რუსთაველური.
მონურ უღლის ტაბიკზე შემოგვიჭერს აპეურს
და ნესტანს ტყვედ წაიყვანს ქაჯი უფრო ველური.
ნუმც გვენახოს, მყინვარქედს მტრის მახვილი სწვდებოდეს,
მტერი ხანძარს უნთებდეს საქართველოს ცის კიდეს,
ამირანის ნადგომზე ქონდრის კაცი დგებოდეს
და არწივთა საბუდარს ყვავ-ყორანი სძიძგნიდეს.
შენ, ქართველო ვაჟკაცო, სამშობლოსთვის შობილო,
ხალხი მისთვის გადიდებს და თავს მისთვის გევლება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ რუსთველის სიმღერა მტერს არ ჩაახშობინო,
რომ ნესტან და თინათინ მტერს არ მისცე მხევლებად.
შენი მიწის ორთქლი და კერის კვამლი აქა დგას,
შენი შვილის აკვანი, შენი ფუძე აქ არი.
მტერი მოდის, კისერზე რომ უღელი დაგადგას,
ვაჟკაცურად დაუხვდი, არ მოუშვა, დაჰკარი!

1942

**იოსებ გრიშაშვილი**

## ორი სიტყვა

მე არ მითქვამს, უკვე ითქვა,
დავიხსომოთ ორი სიტყვა:
„სამშობლო“ და „გამარჯვება!“
კრემლს დავუდგეთ დარაჯებად!

დღესაც უკვდავ მცნებად რჩება:
„სამშობლო“ და გამარჯვება!“
ჩემს სამშობლოს მზიანს, მთიანს,
გამარჯვება მუდამ ჰქვიან.

და რითმების სათვალავში
ორი სიტყვა გვქონდეს თავში,
ორი სიტყვა, ორი მცნება,
„სამშობლო“ და „გამარჯვება!“

არ არსებობს სხვა სიტყვები,
მას მივენდე, მას მივყვები;
სადაც კი ვარ მზეში, ქარში,
ხმალს არ ვაგებ მე ქარქაშში,
ორი სიტყვა წინ მიძღვება:
„სამშობლო“ და „გამარჯვება!“

1941

**გალაკტიონ ტაბიძე**

## მე კავკასიის ქედები მთხოვენ!

მე კავკასიის ქედები მთხოვენ,
მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის,
ვუსმინო ყაზბეგს — ხევის ბეთჰოვენს,
აგუგუნება კაიშაურის.

მე მშობლიური არაგვი მირჩევს,
წინასწარ ვიგრძნო, ვიცოდე მარად,
ქართველის გული თუ რისთვის ირჩევს,
ომში სიცოცხლე ჩასთვალოს არად.

იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგო,
უნდა ალვმართო წყებათა-წყება,
ვით ალიმართა შენთან, ძაუგო,
გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება!

1943

გიორგი ლეონიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შინმოუსვლელო, სადა ხარ

შინმოუსვლელო, სადა ხარ,
შენ ხომ თბილისი გიყვარდა?
სად ლპება შენი ქოჩორი,
თვალი სად ამოგიღამდა.
თბილისში ვარდი აყვავდა,
შენ სად არჩიე დარჩენა?
ნეტავი წამოგახედა,
მთაწმინდა კიდევ გაჩვენა!
შორი გამხდარა სავალი,
რამდენიც გინდა იარო;
აღარც ჩანხარ და ვერც მოხვალ,
მხედარო გულნატყვიარო!
პირს დაგრჩენია ღიმილი
სამშობლოს მოგონებისა,
კიდევ თუ გესმის მტკვარის ხმა,
გუგუნი ქართლის მთებისა?
მინდვრის შამბნარმა დასუდრა
შენი ობოლი საფლავი;
თმაგადაშლილი ქალივით
დაგაბრწყინდება ვარსკვლავი!
დედის ცრემლების სანაცვლოდ
გასველებს ღამის ნაწვიმი,
ნაქროლი საქართველოდან —
ფრთას დაგაბერტყავს არწივი!
თვალში გვაკლიხარ, სადა ხარ,
შენ ხომ თბილისი გიყვარდა?

შენი ქართული მარჯვენა
სად ჩაიშალა თიხადა?
მიჰყავდი იერიშებზე
სამშობლოს, ვინც შენ დაგბადა,
დედის ლეჩაქს და ყრმის აკვანს,
საფლავებს მამა-პაპათა.
ცეცხლით ნადუღარ გრიალში
დაეცი გმირი გულჩქარი;
და ახლა ჩუმად შრიალებს
შენს სამარეზე ბუჩქნარი...
მაგრამ უეცრივ მაშხლები
ვარდისფრად აფეთქდებიან
და ქალაქები თავდახრით
შენ წინ სალამში დგებიან;
დაგბაასობენ გუგუნში
ალერსიანი მადლობით,
რომ დაუბრუნე სიცოცხლე —
ნართმევი უსამართლობით.
სისხლით სიცოცხლის მომცემი,
სიკვდილის უბეს სცილდები,
გმირო, დამხსნელო, ჩვენს შორის
მზესავით განაწილდები, —
რომ უფრო მეტად ნათობდეს
შენი სამშობლოს დიდება,
მზე გმირის ხმალზე მბრწყინავი
არასდროს დაიბინდება!

1943

სიმონ ჩიქოვანი

## მამულს ვუთხრათ გამარჯვება

ხანდაზმული თუ ჭაბუკი
ქართლის გზაზე რომ შეგხვდება,
მგზავრს აგზომავს თვალის შუქით,
მკვირცხლად გეტყვის: გამარჯვება!

ჭირში, ლხინში გვასწავლიდა
ეს მიმართვა გაკაუებას,
რადგან ქართველს მარად სწამდა
მშობელ კუთხის გამარჯვება.

წინაპრები ჰექდნენ ოდით,
საზღვრად ვიდგეთ დარაჯებად,
და როცა მტერს მოველოდით,
ხმალზე ვწერდით გამარჯვებას.

გუთნისდედის ხმაც ისმოდა,
ქედს არ ხრიდნენ ხარაჯებით.
ქართველების წინ მიჰქროდა
მჭექარე ხმა გამარჯვების.

ამ ძახილით ცეცხლი გვერგო,
მისალმების აღმნიშვნელი,
გამარჯვებით რომ შეგვემკო
ჩვენი მთა და ჩვენი ველი.

დღეს ორკეცად ღვივის რწმენა,
ქუდზე კაცი ფეხზე დგება.
ჩვენს მახვილს და ჩვენს მარჯვენას
სიმტკიცე და გამარჯვება!

მტერი ბევრი დაინისლა,
მაგრამ იგი ჯერ არ ცხრება.
გულში რეკავს ხალხის მიერ
მედგრად თქმული გამარჯვება.

ბრძოლის ცეცხლი გზას გვინათებს,
ხალხის ძალა არ დაშრება.
ჩვენს მხედრებს და ჩვენს შევარდნებს
მტრის ურდოზე გამარჯვება.

მტერი მტრულად დაისაჯოს,
ერთიც ველარ გადარჩება.
მამულის გულს გაუმარჯოს,
წითელ ლაშქარს გამარჯვება.

სისხლი სისხლის წილ დავღვაროთ,
მტერზე რისხვა გაგვიძლვება.
მტერი მოვსპოთ სამუდამოდ,
მამულს ვუთხრათ: გამარჯვება!

1941 წელი, აგვისტო.

ალიო მირცხულავა

## დგას ორი ქალაქი, ორი ძმადნაფიცი

ჩრდილოეთს ნაგები სუსხსა და წვიმაში,
სამხრეთის მგზნებარე მზის შუქით ნალაქი, —
დგას ორი ქალაქი, დგას მტრების წინაშე
ლენინის ქალაქი, სტალინის ქალაქი.

ხან შრომით დაღლილი, ხან მშიერ-მწყურვალი,
იბრძვის და იარებს იმრთელებს დაჭრილი,
მას იცავს ლენინის ჯავშანი მხურვალე,
წინ დროშად მიუძღვის უკვდავი აჩრდილი.

ტყვიებით დაცხრილეს, მაინც არ გამტყდარა,
სურთ დედას მოსწყვიტონ და მაინც მხნედ არის,
ქარ არ ჩამდგარა, ხალხი ზღვად ამდგარა
და ყალყზე დამდგარა ბრინჯაოს მხედარიც.

არ შედრკე! არ შედრკე! — უმცროს ძმას უკივის,
წვიმა და ქარია, ელვა და ზანზარი,
წითელი დროშაა, რომ დაჰქრის შუქივით,
ტყვია ვერ განგმირავს, ვერ დასწვავს ხანძარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ, ახლო წარსულშიც, მტრებს უნავარდიათ,
აქ, ომის დამხობის მრისხანე ზარის წინ,
ბრძოლებში ნაწრთობი დიადი გვარდია
ათასგვარ მტრისაგან იცავდა ცარიცინს.

ერთმანეთს შეჰფიცეს: დაიცვან ბოლომდი
ქვეყანა ძლიერი და შეურიგალი,
ოცდახუთ წელიწადს რომ სჭედეს ფოლადით,
ქვეყანა დაძრული ოქტომბრის გრიგალით.

ჰგავს მწვავე ჭრილობას, მტარვალი ნაბიჯით,
ნევიდან ვოლგამდე გზა სისხლით ნალექი,
დგას ორი ქალაქი, ორი ძმათნაფიცი,
ლენინის ქალაქი, სტალინის ქალაქი.

1942

**ლადო ასათიანი**

## ქართველ ცხენოსანს

ამხედრებულო ვაჟკაცო, წვერ-ულვაში რომ გიხდება,
როცა გულხარბი მტარვალი ხმალდახმალ გადმოგიხტება,

ასჩეხე სანამდისინაც მარჯვენა გადაგიწვდება,
გახსოვდეს, რომ ხარ ვაჟკაცი, ნურასდროს დაგავიწყდება!

გახსოვდეს, ლამპიონებით განათებული ასპინძა, —
მამულისათვის ქართველი მტერს როგორ გაუმასპინძლდა.

გალაღებული თეთრონით გადაერიე ლაშქარში,
რომ დუშმანთ თავზრუ დაესხას შენი ფრანგულის კაშკაშით.

მოსკოვს და თბილის-ქალაქსა წინ აღემართე ფარადა,
დასჭექე, დააგუგუნე მამაპაპური „ვარადა“.

შენ, უშიშარო ვაჟკაცო, წვერ-ულვაში რომ გიხდება,
როცა გულხარბი მტარვალი ხმალდახმალ გადმოგიხტება,

ასჩეხე სანამდისინაც მარჯვენა გადაგიწვდება,
საბჭოთა არმიისა ხარ, ნურასდროს დაგავიწყდება!

1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირზა გელოვანი

## მეგობარ პოეტს

იქნებ იმისთვის, რომ საკუთარი
იყავი გულით და გარეგნულად,
იქნებ იმისთვის, რომ მე სხვაგვარი,
შენ სხვაგვარი გზა ბედმა გარგუნა,
რომ შენი მწარე, ქილიკი ენა
მე არ შემეძლო ახლოს მეთმინა,
იქნებ იმისთვის, რომ შენ ერთხელაც
არ მომიგონებ ასე კეთილად,
მე შენ გეძახი... სადა ხარ ახლა,
სად იქნევ მკლავებს, ბრძოლას უჩვევი...
ამალამ მტერთან მომიწევს შეხლა,
და იქნებ ტყვიას ვერც გადვურჩები.
ამალამ ჩემი სვანური მუხლი
მე შემახვედრებს მტერთა ბლინდაჟებს,
დღეს ჩემი იყო საღამოს მწუხრი,
ხვალ იქნებ ჩემთვის არც ირიჟრაჟებს,
...და ვისაც ყოფნის მტკიცე იმედი
არ შორდებოდა ძალ-ღონე მიხდილს,
ვინც იწვა თოვლში სიკვდილის გვერდით
და მტრის საფარში გზავნიდა სიკვდილს,
ვინც მომაკვდავ ძმას განშორდა ქარში,
სახეს უსისხლოს და განაოცებს,
ვინც იარაღთან მოვიდა ბავშვი,
და ახლა შუბლზე ითვლის ნაოჭებს,
მას შეუძლია ბავშვობის ზიარს
გისაყვედუროს, გაგკიცხოს შორით,
თუ სიტყვა შენი არა ჰგავს ტყვიას,
ამ სასტიკ ომში ჩემგან გასროლილს.

მოქმედი არმია 1943

რევაზ მარგიანი

## მე უბით ვატარებ პატარა ბარათს

მე უბით ვატარებ პატარა ბარათს —
შენგან რომ მივიღე წუხელ,
ისე ვით საუნჯე, ფარულად დამაქვს,
რატომღაც ვერავის ვუმხელ...
წუხელი ბიჭებმა გადმომცეს ქაღალდი,
იმ წამსვე გავხსენი თრთოლვით,
თოვდა და ჩემს მხრებზე დაფრინდნენ ფარფატით
ფიფქები პირველი თოვლის.
არ მახსოვს, რამდენჯერ გავშალე ღიმილით,
ჭაბუკი ოცნებად ვიქეც,
უცხო რამ, ასე ვთქვათ, ვით გულისტკივილი,
დავხედე ბარათს და ვიგრძენ.
შენ როცა ამ ბარათს საჩემოდ წერდი,
მალავდი შენს წუხილს, ქალო.
დაწერილ ბარათის ორივე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტყოდა, რომ კარგად ვარო!
არა ხარ მართალი! ბავშვურმა ცრემლებმა
ხომ გაგთქვეს, რას იტყვი ახლა?
ცრემლების წვეთები აქა-იქ ემჩნევა
საჩემოდ დაწერილ ქაღალდს.
არ ვიცი რას წუხდი, უჩემოდ ყოფნა
ვიცი რომ ძნელია შენთვის.
არ ვარგა: გულით სხვას ფიქრობდი თურმე,
ხელით კი სიხარულს წერდი.
ნუ სწუხხარ, გაივლის ომი და ქარი,
ვიცხოვრებთ ისევე მშვიდად,
ჩვენთვის ხომ სიცოცხლე მამული არის,
დიადი სამშობლო წმინდა!
...მე უბით ვატარებ პატარა ბარათს,
გაჩვენებ, როცა შინ მოვალ,
და გულში, იცოდე, ვარამის გვარად
ჩამრჩება ბარათის ხსოვნა.
მოსვლამდე, ვინ იცის... უბეში მექნება
და ხშირად დავხედავ ხვნეშით:
„საველე ფოსტა, 72,
მარგიანს საკუთარ ხელში“.

ყირიმის ფრონტი, 1942

იოსებ ნონეშვილი

## სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე

ტრამალები სდუმან შენი
საქმით განაკვირვები.
მოდიან და შენს საფლავთან
ქუდს იხდიან გმირები.

შენს ქალობას დალოცავენ,
შენს მაჯას და იარაღს.
რა პატარამ გამოსცალე
უკვდავების ფიალა...

გტანჯეს, ისე მიგიყვანეს
სახრჩობელის კიბესთან,
მაგრამ მტერმა ისევ მალე
რაღაც მოიმიზეზა:

„თუ გსურს ყულფი აიცილო, —
სახრჩობელა მაღალი,
გვიპასუხე, ქალიშვილო,
თქვენი რაზმი სად არის?“

გაიფანტა ირგვლივ მძლავრი
გრგვინვა ციდან ნაქუხი.
— ჩვენი რაზმი ყველგან არის!
იყო შენი პასუხი.

„გვითხარ, თუ გსურს აიცილო
სახრჩობელა მაღალი,
პარტიზანო ქალიშვილო,
ატამანი სად არის?“

გაიფანტა უფრო მძლავრი
გრგვინვა ციდან ნაქუხი.
— მე ვარ თვითონ ატამანი! —
იყო შენი პასუხი.

შენი ტანჯვით და წამებით
თუმცა ჯავრი იყარეს,
ეგ ლამაზი წამწამები
ცრემლით ვერ შეგიხარეს.

ტრამალები სდუმან შენი
საქმით განაკვირვები.
მოდიან და შენს საფლავთან
ქუდს იხრიან გმირები.

სიბნელეში მუჭა-მუჭა
კრთიან ცის ვარსკვლავები.
ადექ, რატომ დაგიხუჭავს
ეგ ნათელი თვალები?!

ადექ, ქალო, მინანქარო,
მტრის ხერხებმა ვერ გასჭრეს.

გამარჯვება მივახაროთ
დამწუხრებულ დედაშენს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სოფლის ბოლოს ქარის კვნესა
იქნებ ამბავს ჩაუტანს.
ამ ნაღვლიან არყის ხესთან
შენს სამარეს რა უნდა?..

ქალი იყავ, ქარაშოტი,
ის სილაღე სად არი...
ვარსკვლავს ეთამაშებოდი
ვარსკვლავების სადარი.

ადექ, მტერზე დასძარ კიდევ
პარტიზანთა ლაშქარი,
ადექ, გულზე დაიკიდე,
გმირო, ოქროს ვარსკვლავი.

შენ სამშობლოს შუქმა გზარდა,
ცეცხლად აგაბრიალა
და დასცალე ახალგაზრდამ
უკვდავების ფიალა.

1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე

# მთაგრეხილი

## რომანი

### VIII

ბაბულიმ შეიტყო უფროსი ძმაც რო ესწრებოდა თათბირსა. ტელევიზორში მოეკრათ თვალი. ლაყლაყა ჰალსტუხები უყვარდა უფროს ძმასა. ჩამოუტანა ლაყლაყა ჰალსტუხები. ეგონა ნახავდა, გაახარებდა. მაგრამ გაესწრო. რძალი შესჩიოდა, უფროსი რძალი რაღა თქმა უნდა, ძლივს ერთი ღამე გაათია შინაო, ისიც რა ღამეო, შუაღამისას მოვიდა და დილაუთენია გავარდაო. აქტივი ძველი გახლდათ. მეთაური ახალი. უნდა აჰყოლოდა აქტივი. უნდა განახლებულიყო აქტივი. აღარავინა ზოგავდა თავსა. ეს ჰო ისედაც არა ზოგავდა თავსა, — არა ზოგავდა. და შესჩიოდა რძალი: აღარაფერს მიჯერიან, აიშვეს ბიჭებმაო; ძლივს მოვასწარი, რაღაც რო მეთქვაო, დატუქსა დატუქსვითა, ასწურა აწურვითა, მაგრამ და რაო, სასაცილოდაც აღარ ეყოთ ბიჭებსა, თვალს მიეფარა თუ არაო; უიმისობა აღარ იქნებაო, თავს უნდა ადგეს, თვალი არ უნდა მოაცილოს, აღარ მინდა იმისი „დიდი საქმეები“, ნეტავი მოჰხსნიდენ, ჩამოვიდეს და ოჯახს მიჰხედოსო; მე აღარ ძალმიძს, ველარც ვერევი და აღარც ძალმიძსო. ეს ისე თქვა, მართლაც ულონოდა, მჭმუნვარედა მართლაცა, მერე მიაჩერდა ბაბულისა, ჯერ რო მჭმუნვარედა, უცებ გადაუარა მჭმუნვარებამა, გადაეწმინდა უცება სახეი, უცებვე შესძახა, საიდან სადაო, და ასე შესძახა:

— როგორ გიხდებაააააა!..

— სუსანამ შემიკერა!..

აჩქარდა ბაბული.

— დაოსტატებულა!..

— შარშან შემიკერა.

უმალვე დაატანა ბაბულიმა.

— შარშანა?!.

— შარშანა!.. შარშანა!.. გულიკოსაც ჰო ის უკერავს?..

დაეშურა ბაბული, დაეშურა, დააშურა მწარე გამოცდილებამა.

— გულიკო ლამაზი ქალია... შენც!.. შენც!.. რა დაგმართნია?!. არა... შენც კარგი გვყავხარ, რაც მართალია, მართალია, შენც კარგი გვყავხარ!.. მაგრამ ეს... ეს არ მახსოვს...

აღარ აჰხირებია ბაბული, სიტყვით აღარა, ჩემოდანი გადაუხსნა აჩქარებითა. სიაც შიგვე იდო დანაბარებისა: ყველაფერი იქაც არ არისო, მოახსენა, რიგებსაც ვერ გასწვდები, დროც აღარ მეყო, რაც რო შემეძლო, ეს შევძელიო.

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 8.

ამდენი დაჯდაო. ყელსახვევები მე მომირთმევია ჩემი ძმისთვისა. ჩემს სახსოვრადაო, ბიჭებისთვისაცა — ჩემს სახსოვრადაო, მოახსენა სხაპასხუპითა, კაბას რო აღარ მიჰბრუნებოდნენ, სუსანას კაბასა თუ ოსტატობასა სუსანასი თუ უახლეს მოდელებსა, პარიზიდან რო თბილისს აღწევდა პირდაპირა და უშუალოდა, თითქოს არაო, მართლაცაო, სხვა რო არაფერი აღწევდა ასე, ასე პირდაპირა თუ ასე უშუალოდა,—მოახსენა და მოახსენა, სხაპასხუპითა, სხაპასხუპითა. დაურთო რაღაც შემთხვევებიცა, გზაში რო გადახდა, მხოლოდ იმიტომა, კაბა რო ეხსნა; თავისი კაბაი რაღა თქმა უნდა, თორემ ლაპარაკი არა სჩვეოდა, ასე გაბმული და გაუთავებელი. რძალი იცინოდა, იცინოდა და ველარ მოესწრო, სიტყვა რო ჩაეგდო, იცინოდა და იმაზე იცინოდა, ჰალსტუხები რო ჩამოეტანა ბიჭებისთვისა; არ იცოდა, რო როგორც დარბოდნენ, საკინძემოდღლეძილნი, თავქუდმოგლეჯილნი, სამაჯურგაფართფარებულნი, ჯინსებგახრესილნი, ხან რო ნაქსოვს წამოიგდებდნენ ბეჭებზედა და გულზე შეიკვანძავდნენ სახელურებსა, — ჰო იცოდა, რის ჰალსტუხებიო, რა გამაშებიო: მართლა გამაშებიც ჰო არ ჩამოუტანეო; იცოდა ცხადია, დაბადების დღეებზე დარბოდნენ და მთელი თბილისი ფეხქვეშ ამოედოთ. ერთმანეთს მიჰყოლოდნენ, ერთად აეწყოთ პირი. უფროსს სამი წელიცაა დაემთავრებინა საშუალო სკოლაი, შუათანას — ერთი, უმცროსი მეათე კლასს ამთავრებდა. ერთმანეთს მიჰყოლოდნენ, ერთად აეწყოთ პირი. უფროსი სამი წელიცაა პროფტექნიკურ სასწავლებელში ჩარიცხულიყო, ხუთ პროცენტში რო მოხვედრილიყო, ერთი საგანი რო ჰქონოდა ჩასაბარებელი უმაღლესისათვისა, აღეთქვათ და ეხვეწებოდნენ თვეში ერთხელ მაინც გამოიარეო, თვეში ერთხელ მაინც დაგვენახვეო, სხვებმაც რო დაგინახონ, ჩვენც რო თქმა შეგვეძლოს რიღაცისაო, ეხვეწებოდნენ და ეხვეწებოდნენ; შუათანა პირდაპირ გასულიყო გამოცდებზედა უმაღლესისა, პირდაპირ გასულიყო და პირდაპირ ჩაჭრილიყო, აღარც გავალო იმუქრებოდა, უმცროსი — მიიღებდა ატესტატსა, რადგან არავის რო არა სტოვებდნენ, უმცროსი უფრო თამამად გახლდათ, სადარდებელი არაფერი ჰქონდა, ჯერ არ ემდუროდა არავისა, ჯერ არ იფურთხებოდა, ჯერ არ იგინებოდა. არცთუ უფროსნი დარდობდნენ რამესა, თუ არავინ შეახსენებდა, არა დარდობდნენ, არა ნაღვლობდნენ. დარბოდნენ, დარბოდნენ დაბადების დღეებზედა. გავარდებოდნენ. გაცვივოდნენ. რომელი რომელს გაასწრებდა. რომელი უფრო დაიგვიანებდა. ანთუ ერთადაც გაცვივოდნენ, ცალცალკე მოვიდოდნენ, ანთუ მოიყვანდნენ ცალცალკე, ანთუ მოიტანდნენ ცალცალკე. ანთუ ცალცალკე დაიკარგებოდნენ, ერთად მოვიდოდნენ, ხელგადახვეულნი, მოიყოლებდნენ სხვათაცა. მღეროდნენ. მღეროდნენ. ახდიდნენ ჭერსა სიმღერითა. ავით არაო, შარით არაო, — სიმღერითა. ე ჭერს აჰხდიდნენ და შენ სიმღერა დაარქვი; ანთუ ვერც დაბრუნდებოდნენ შინა, ჩარჩებოდნენ, სადაცა ბრძანდებოდნენ, ცალცალკე სადაცა, ცალცალკე სადღაცა, ანთუ განაწილდებოდნენ გამოსაფხიზლებელშია, ანთუ ერთადაც მოჰხვდებოდნენ, ერთადაც გამოფხიზლდებოდნენ და ფიცსაც დასდებდნენ ერთადა, აღარ ვიზამთო, მეტს აღარაო, დასდებდნენ ფიცსა. და ეგება მართლაც აღესრულებინათ თუ არა ნიჭი ეს უცნაური, ყველას დაბადების დღე რო ახსოვდათ, ყველანი რო დაბადებულიყვნენ, ვისაც რო იცნობდნენ და იცნობდნენ ბევრსა, ბევრსა და ბევრსა, იქვე რო გასცნობოდნენ, დაბადების დღეობებზედა, იქვე დაესწავლათ იმათი დღეებიცა, იქვეც დაედოთ ფიცი, აბა თუ დაგივიწყებთ, აბა თუ არ გაგიხსენებთო, — ფიცი დაედოთ, ამ ფიცს ის უსწრებდა, ის ფიცი უსწრებდა, პირველი ფიცი მოითხოვდა მეტ ერთგულებასა, პირველი ფიცი, გადაუთქმელი და ულალატოი; თვითონ რო ყურიც მოეყრუ-

ებინათ, სხვები მაინც არ მოეშვებოდნენ, ამათა ჰკითხავდნენ, შეახსენებდნენ ესენიცა რაღა თქმა უნდა, შეახსენებდნენ და თანაც ახლდნენ რაღა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა, მსხვერპლიყვნენ ნიჭისა, ამა განსაკუთრებული ნიჭისა, — უნიკალურისა, ვთქვათ ეს ნასესხები სიტყვაცა, ამათ ნიჭს ალბათ რო მოუხდება: უნიკალურისა, რადგან მხოლოდ დღეს იმახსოვრებდნენ, წელს არა, წელს ვერა, თორემ ამდენიც რო შესძლებოდათ, ისტორიის მასწავლებლები მაინც აღარ დაემდურებოდნენ, არა, აღარა. მაგრამ რას იზამ, გენიოსებსაც რო ჰქონიათ ნაკლი, ულაქებო მზეც არ არისო, ნათქვამიც არის, რას იზამ, რას იზამ!.. იცოდა ცხადია, ბაბულიმა რაღა თქმა უნდა, ნოლჯგუფშივე შეატყო: ეს რო უშიშინებდა „აი ია"-სა, აიტაცებდნენ უცებ ისინიცა, — დღეს იას დღეობაა; დღეს ნიას დღეობაა; დღეს ლიას დღეობაა; დღეს გიგის დღეობაა; დღეს გოგის დღეობაა; დღეს გაგას დღეობაა; დღეს ნაილის დღეობაა; დღეს ნანულის დღეობაა; დღეს ნინელის დღეობაა; დღეს დათოს დღეობაა; დღეს ტატოს დღეობაა; დღეს მიტოს დღეობაა; აიტაცებდნენ და მიერეკებოდნენ, ბუქს დააყენებდნენ, კორიანტელსა, სახელებისა და დღეობებისა. ამასაც მოსწონდა, ბაბულისა, ყველას მოსწონდა, ნიჭი ეგონათ, ხალასი ნიჭი, ნოლკლასშია, ნიჭი ეგონათ და წააქეზებდნენ, წააქეზებდნენ და მიჰხვდნენ მერე, ნელნელა მიჰხვდნენ, დიდი რამ ნიჭი რო არ უნდა ყოფილიყო, მიჰხვდნენ და სცადეს, დაევიწყებინათ რჩევითა თუ გაცხარებითა თუ მუქარითა თუ დასჯითაცა თუ რითი აღარა, მაგრამ ვერაო, ვერაფერი გააწყეს, ამაო გახლდა ღონისძიებანი ადამიანურნი, რადგან რო ნიჭი ბუნებისაა, ნიჭი ნიჭია ერთისიტყვითა, ნიჭი ნიჭია; იცოდა ცხადია, ჰალსტუხები მაინც მოართვა. ნუ შეიკრავენ საკინძესა. მოართვა, იყოს, სახსოვარი სახსოვარია, ნუ შეიკრავენ საკინძესა. მაინც უნდა მოიბდღვნან, რო დათვრებიან. ახლა არ იბდღვნიან საკინძესა. ეს ზნე მაინც არ დასჩემდებათ. ისე მაინც წაივლებენ ხელსა, თითქოს რაო და უნდა მოიბდღვნანო. ერთნაირად წაივლებენ. ერთნაირი ეშხითა. ერთნაირი მოღერებითა ყელისა. ესეც თუ გენია: ანთუ იმისგანვე გადმოყოლილი, ანთუ სხვისა, სულ სხვა თაობისა, სულ სხვა შტოისა, რო ვერ გამოსჩხრეკ, რაც უნდა ეძიო, ვერა, ვერ გამოსჩხრეკ. ისინი მაინც არ ეძიებდნენ. არაფერს ეძიებდნენ. ჰყოფნიდათ, რაც რო გადმოსცემოდათ: დაესწავლათ დღეი დაბადებისა ლამის ნახევარი თბილისისა, ლამისა, ლამისა, იზრდებოდნენ და ფართოვდებოდა არეი ნაცნობთა თუ მეგობართა, ცნობიერების არეცა ფართოვდებოდა, ესაა წელიწადი არა კმაროდა, დღეში ხუთგანაც რო მოხვედრილიყვნენ, ცალცალკე ცხადია, არა კმაროდა, მაინც არა, არა კმაროდა, და არას ეძიებდნენ, აღარას ეძიებდნენ რაღა თქმა უნდა, ჰყოფნიდათ თავიანთი მემკვიდრეობა ნიჭისა, ერთად რო მიეღოთ და რო არც ეცილებოდნენ ერთმანეთსა, ჰყოფნიდათ და მეტიც მოსდიოდათ, ამოსდიოდათ ყელში. ერთი წუხელისაც მთელ ღამეს ანთხევდაო. შესჩიოდა რძალი. ეს უმცროსი. უფროსი განთიადისას მობრძანებულიყო. ის აღარ ანთხევდა. გამოჯეკილიყო. იწვა. ეძინა. გამოიძინებდა საღამომდისა. ღამე რო მოჰქცეოდა დღედა, დღეი — ღამედა. მზე აღარ ახსოვდა და მთვარეც აღარა, ქალაქმა რო გადაჰყლაპა მთვარეი, მზე ვერ გადაჰყლაპა, ოღონდ ამას აღარ ახსოვდა. მზეი. დაფიქრდებოდა და ვინმე ახსენებდა. ვერ მოიგონებდა. ჩაიქნევდა ხელსა. უმზეოდაც კარგადა სძლებდა, უმთვარეოდაცა, შეძრწუნდებოდა მხოლოდ თუ მაშინა თუ გამოირთვოდა ელექტროშუქი, — მხოლოდ მაშინა. ის რო უმცროსიო, ეს რო უფროსიო, შუათანა ჯერაც არ მობრძანებულიყო, არა, ჯერაც არა. შესჩვეოდა დედაი, შესჩვეოდა და ვერც შესჩვეოდა. ელოდა. ელოდა. კარის ზარს ელოდა. ეშინოდა ტელეფონის ზარისა, ეშინოდა,

ჯერ არ ეუწყებინათ ავი არაფერი, მაინც იქიდან ელოდა ავსა, ეშინოდა, ეშინოდა. შვილებისა ეშინოდა. ნეტავი მოხსნანო, ამისი აღარ ეშინოდა, ვგონებ, აქტივზეც გააკრიტიკეს, გარიცხონ, გარიცხონ ბარემამაო, ოღონდ შინ დატრიალდეს, ამათ მიჰხედოს, აღარ შემიძლიან მეტი, აღარ შემიძლიანო: დღიურად იმუშაოს, გაირეკოს და ამუშაოსო:

— ერთი ვირი და სამი მუტრუკი, სულ ცოტა, ას მანეთს მაინც შემოიტანს დღეში, სულ ცოტას ვამბობ, მშენებლობაზე რო გავიდნენ...

— ნუუუ!..

შეევედრა ბაბული.

— ჩემი ჭკუა მეტს რო აღარა სჭრის?!.

— ნუ... მაინც ნუ იტყვი, რაც არ შეჰფერით.

არ დაყაბულდა ბაბული.

— შეჰფერით!..

— არა... არა...

მაინც არ დაყაბულდა. ბაბული ცხადია.

— უნდა დაეხსნან დღეობებსა, უნდა დაეხსნან, ნუ ესარჩლები!..

— არ ვესარჩლები...

უკან დაიხია ბაბულიმა.

— უნდა დაეხსნან!..

— მობეზრდებათ...

ანუგეშა ბაბულიმა.

— მანამდე სადმე ამოჰყოფენ თავსა.

— არა!..

შეშინდა ბაბული.

— გეგონოს ასე... გეეგონოს, მაგრამ ცხოვრება ჩვენს ნებაზე როდია.

— არაფერს არ დააშავებენ.

კიცედ გამოსთქვა ბაბულიმა.

— სხვა დააშავებს და ესენი გაეხვევიან.

— როგორ იქნება?!

გაიკვირვა ბაბულიმა.

— სულ ადვილადა... სულ ადვილადა!.. ვინ იცის, ვინ უწყის თუ სად რაა და როგორაა. იცი?.. ვიცი?.. არაფერი არ ვიცით. მტყუანს და მართალს ვიღა დაგიდევს, თუ...

— ნუ გავართულებთ მეტისმეტადა.

შეეხვეწა ბაბული.

— თვითონვე რთულდება. ვატყობ, მე აღარ ძალმიძს. განა თავს ვიდებ, არა, ვეღარ ვერევი, ვეღარც იმათ ვერევი და ვეღარც ჩემს თავსა, ათასი საშინელება მელანდება.

— არა!... არა!... არა!...

შესძახა ზედიზედა, სხვა ვეღარაფერი ვეღარ მოადევნა ბაბულიმა.

— „არა!..“ „არა!..“ „არა!..“ ჰმ!.. „არა“ ხსნა არ არის, რა სიფიცხითაც არ უნდა გამოსთქვა, „არა“ ხსნა არ არის!..

ბაბულიმაც იცოდა.

ბიჭებმა არ იცოდნენ. ანთუ ნათქვამია: არც „არა“ ესმით და არცა — „ჰო“-ო, ნათქვამია და ეგება ასეც იყო, ანთუ რაც იყო, ჰყოფნიდათ, რაც იცოდნენ, ჰყოფნიდათ, და არ უნდოდათ მეტი არაფერი, ჰყოფნიდათ და ყელშიც ამოსდიოდათ, ამოსდიოდათ: დარბოდნენ თავქუდმოგლეჯილები, დარბოდნენ ეგრე საკინძეჩახსნილნი ზამთარშიაცა; ზაფხულშიაცა, შუალედებსაც თუ არ გამოვტოვებ — გაზაფხულზეცა, შემოდგომაზეცა; ზაფხულში ჯემპრსაც გადაიცვამდნენ თუ შემოიგდებდნენ ბეჭებზე ეგრევე, შემოიგდებდნენ, არა აქაურსა რაღა თქმა უნდა, არცა მოძმეთასა რაღა თქმა უნდა, მხოლოდ — უცხოურსა, ოღონდ ისე, რო შალი ყოფილიყო ინგლისური, ნაქსოვი ფრანგული, მოდა ფრანგული, მასალა კიდევ დაითმობოდა, მოდა — არაო. და შემოდიოდა და შემოდიოდა და ძვირდებოდა და ძვირდებოდა და იზრდებოდა და იზრდებოდა, — ვინც დღით იზრდებოდა, ის წუთითაო, გოლიათებზე იტყვიან ზღაპრები. და დედას ეშინოდა, ეშინოდა. ბევრია გოლიათი, ბევრგვარია გოლიათი. ეს მაინც ყველაზე გოლიათია. ამდენი არ იცოდნენ ბიჭებმა ცხადია, არც იცოდნენ და ვერც გაიგებდნენ, ჯერ მაინც ვერა. და არც უნდოდათ, არც ეკითხებოდათ. იწვა. ერთი და ვერ ისვენებდა. დაწვა მეორეცა და მიეცა გულის ძილსა. მესამე?.. ანთუ მეორე, თავიდანაცა და ბოლოდანა-

ცა?.. გამოჩნდა, როგორც იქნა, გამოჩნდა: სამი მეგობრითა, — ორითა ძველითა, ერთითაცა ახალითა. ძველი არაფერი, ანთუ იცნობდა დედამისი იმა ძველთა, წიწლიკანა ბიჭებსა იმისაებრა, ეს ახალი იყო, რაც იყო, უფროსიცა ბევრადა და ბოხოხაცა, თავაზიანიცა საოცრადა: მე ბოდიშიო და ჩვენ ბოდიშიო, გაიძახოდა ყოველი სიტყვის მოდევნებითა, თითქმის ყოველისა: ლამე ერთად გაეტარებინათ, ანთუ უფრო, დღე გაეტარებინათ ერთადა... გამოსაფხიზლებელში, განთიადისას რო გადაყროდნენ ერთმანეთსა, ანთუ: ეს სამნი მღეროდნენ სოფიკოს ფანჯრებთანა განთიადისასა და ის მეოთხეც შეერთებოდა. ესენი სხვაგან დამთვრალიყვნენ, ის სხვაგანა. ისიც გვიან მისულიყო შინა, ოღონდ მაინც შინ მისულიყო, გაეხადა კიდევაცა, საბანიც აეწია, რო შემძვრალიყო საბნის ქვეშა, და სიმღერაც მისწვდომოდა, საბანი დაეგდო და გავარდნილიყო აივანზედა, თქვენი ჭირიმეთ ბიჭებოო, გავარდნილიყო და გადაეძახნა, გადაეძახნა და ლამის რო გადამხტარიყო კიდევაცა; არ გადაეშვათ აივნიდანა, მეცხრე სართულის აივნიდანა, მერე ლიფტითაც აღარ ჩასულიყო, ეჩქარებოდა თუ ეშურებოდა ისე, ბიჭებს იჭერდნენ და უნდა მიშველებოდა რაღა თქმა უნდა, რახან გადასძახა, თქვენი ჭირიმეთო, კიდევაც უნდა მიშველებოდა. ახლა იმასაც თუ იკითხავთ თუ რად იჭერდნენო, ბევრი ახსნა რო აღარც უნდა, მაინც მოგახსენებ: ოთხი სუფრა რო გამოევლოთ, ოთხი დღეობა რო გადაეტანათ, ეს მეხუთეც გახსენებოდა ამ შუათანასა, დღეს სოფიკოს დღეობაცააო, გახსენებოდა და სწვეოდნენ, ოთხი სუფრა რო გადაეტანათ, რო გამომთვრალიყვნენ კარგა გვარიანადა; სწვეოდნენ და ვერცა სწვეოდნენ, დედას არ შეეშვა შინა, სოფიკოს დედასა რაღა თქმა უნდა, მამას გამოედო თავი, სოფიკოს მამასა რაღა თქმა უნდა, გინდა თუ არა უნდა მოვიდნენო, დედას არ დაეთმო, სოფიკოსი ცხადია, გადაეკეტა კარი; გადაეკეტა და რაღას იზამდნენ, მიმდგარიყვნენ და მღეროდნენ ფანჯრებთანა, ანთუ უკეთ რო მოგახსენო: მეცხრე სართულის ფანჯრებს შემღეროდნენ. და გადმომდგარიყო ცხრა-ცხრა სართულები, გამოღვიძებული სართულები, გამოღვიძებული უდროუდროსა, გაბრაზებულიყო ცხრა-ცხრა სართულები, გამოღვიძებულის სართულები, გამოღვიძებული უდროუდროსა, გაბრაზებულიყო და გაცხარებულიყო, ცხრა-ცხრა სართული, გამოღვიძებული სართულები, გამოღვიძებული უდროუდროსა, დაეტია ამათთვისაცა, ჩაეძახა ტელეფონშიცა, და მილიცია მოვარდნილიყო, — ერთს რო სახანძროც გამოეძახა ალბათ შეცდომითა, ალბათა და ცხადია, მოვარდა სახანძროცა; და მილიციამ, — ჩვენ კიდევ სხვაგან გამოგვიძახესო, ბიჭების წაყვანა სახანძროს დაავალა. ახირდნენ ბიჭები, მილიციამ წაგვიყვანოსო. მთვრალები გახლდნენ. და ახირდნენ ბიჭები. ბიჭები ახირდნენ და ესეც ჩაეშველა, შინ რო მისულიყო თავისი ფეხითა; რო წვებოდა, ესეც ჩაეშველა, სახანძრო ვითომ რა შუაშია, მილიციამ წაიყვანოსო. არ გაუგონეს არც რო ამასა, არც რო ბიჭებს არ გაუგონეს, მაინც სახანძროს გააყოლეს მომღერლებიცა განთიადისა და მაშველიცა მათი, პიჟამოთივე გააყოლეს თანა. ახლა პიჟამოთი აღარ გახლდა. მიეტანათ სამოსი. სხვა წვრიმალებით აღარ შეგაწუხებ, ოღონდ ის მაინც უნდა იცოდე: გამოევლოთ რო სახინკლეში, დამეგობრება რო აღენიშნათ, ერთი ჭირი რო გამოევლოთ, — გამოევლოთ და გამოევლოთ. გამოევლოთ და ახლა აქ გახლდნენ. მე ბოდიშიო, ჩვენ ბოდიშიო, იმეორებდა ბოხოხა კაცი, ორივე ხელს რო მკერდზე მიიდებდა, რო დაჰხრიდა თავსა, და რო ჰფარავდა ტანსა ორივე ხელითა ნიკაპიდან ჭიპამდისა, — ჩვენ ბოდიშიო, მე ბოდიშიო. და გადაუჭრა რომელიღაც ბოდიში შუათანამა, გადაუჭრა და წარუდგინა:

— ეს მამიდაჩემია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამიდა!.. მამიდა!.. მე არა მყავს მამიდა...

სხვამ დაასწრო, უფრო გამხდარმა, უფრო წიწლიკანამა, ვიდრე შუათანა გახლდა, ანთუ მეორე მეგობარი მისი, ახალი არა, არა, ახალი არა, ძველი მეგობარი, დაასწრო და დააბოლავა ჩათუთქულმა.

— შენ არც დეიდა გყავს...

მეორემ შეახსენა.

— არც დეიდა მყავს.

უფრო ჩაითუთქა ბიჭი.

— არც ბებია გყავს.

ესეც შეახსენა.

— არც ბებია მყავს.

უფრო, უფრო ჩაითუთქა ბიჭი.

— ჰო გყავდა?..

ანუგეშა ბოხოხა კაცმა.

— მყავდა...

ცოტა გაიღიმა ბიჭმა.

— „პოვარი"?!.

იკითხა ბოხოხა კაცმა.

— რა შუაშია „პოვარი"?!.

განრისხდა ბიჭი. თითებიც დაეხვანჯა, თითქოს ვიღაცას მისწვდება ყელშიო, ანთუ რაღა ვიღაცასაო, ბარემ ი ბოხოხას მისწვდება ყელშიო.

— არაფერში, — მხრები ახუხა ბოხოხამა, — რითმა თუ რაღაცას უძახიან პოეტები. მე ბოდიში!.. სიმღერაა: „ბებია მყავდა პოვარი, დამირჩა გაუთხოვარი"... ჩვენ ბოდიში!.. ქალაქური არ არის, ძველი არ არის, ისეა, რა... მე ბოდიში!.. ძველი ქალაქელი ვარ. მე ვიცი, ძველი არ არი. ტვისტი იცეკვება. ძველი სხვაა, მე ძველი ქალაქელი ვარ.

— ბებიაჩემი რა შუაშია?..

არ დაცხრა ბიჭი, ახსნა-განმარტებამ არ დააკმაყოფილა.

— ჩვენ ბოდიში!.. ჰო გითხარი?!.

— რა მითხარი?!

მიიწია ბიჭმა, წიწლიკანა ბიჭმა მიიწია ბოხოხაზედა.

— შენ ჰო ბებია არა გყავს?!.

შეახსენა მეორე ბიჭმა.

— არა... არა მყავს.

ისევ ჩაითუთქა ბიჭი.

— არც პაპიდა გყავს...

— არა...

გული აუჩუყდა ბიჭსა.

— არც ბებიდა გყავს...

— არა...

ნიკაპი აუკანკალდა ბიჭსა.

— დედა ჰო გყავს?..

დედამ შეახსენა, მასპინძელმა, შეეცოდა ბიჭი.

— მყავს!..

გაიღიმა ბიჭმა, გულს მოეშვა, მაინც გადმოასწრო ცრემლმა, გადმოასწრო და დაეკიდა.

— საწყალი, ვინ იცის როგორ გელოდება!..

— ააააა!.. ეგეები არ იყოს... პური უნდა ვჭამოთ.

მოიღუშა შუათანაი.

— დედა ელოდება!..

არ დასთმო დედამა.

— დედა უნდა ელოდოს. დიდე ისაა, რო უნდა ელოდოს. ელოდოს.

ასე აუხსნა და დაუმტკიცა შუათანამა, თავისმა ცხადია.

— ჩვენი ბრალიცა!..

ამოიოხრა დედამა.

— ნუღარ შევაწუხებთ... ჩვენ ბოდიში!.. ჩვენ ჰო გიახელით?!..

ახმახმა თქვა. არა, არა, ბოხოხამა, ბოხოხა ითქვა, ბოხოხად დარჩეს.

— ხინკალი?!. ხინკალი კუჭის ქარია...

ხელი აიქნია ბიჭმა, მამიდა რო არ ჰყავდა.

— ლობიო?..

იკითხა მეორე ბიჭმა.

— ლობიო კუჭის დედაბოძია.

მოახსენა ბიჭმა დეიდაც რო არა ჰყავდა.

— ვაჰ!.. ეს რა ანდაზები გცოდნიათ!..

მოეწონა ბოხოხასა.

— მოგართმევთ თუ მოიხარშა.

დედამ მიაშურა სამზარეულოსა.

— კირკაჟი!.. ქინძი და ალყა ხახვი... მწვადს მირჩევნიან.

დაადევნა მეორე ბიჭმა.

— არ მიყვარს ქინძი.

იუარა ბიჭმა, ბებიაც რო არა ჰყავდა.

— აბა ნიახური?!.

გაატრიზავა მეორე ბიჭმა.

— ჩვენ ბოდიში!.. ნიახური არა... ნიახურზე წავიდაო, სიკვდილზე ამბობენ. ჯვარი აქაურობასა... ნიახურები არ იყოს. მე ბოდიში!.. არ იყოს.

აკრძალა ბოხოხამ.

— აი ლინგვისტი!.. ბასკურად როგორღაო, გეცოდინება, იქაც ნიახურზეა სიკვდილი?..

იკითხა მეორე ბიჭმა.

— შაყირი არ იყოს!.. ჩვენ ბოდიში!.

გულმკერდზე მიიფარა ხელები ბოხოხამ, მტკავლებად მიიფარა.

გაისუსნენ ბიჭები. თავი რო დასდო ამათთვისა, ახლა ეს ლამის ცოტნეობას უდრიდა. გაისუსნენ. მოერიდნენ. თანაც იმხელა მტკაველები ჰქონდა, იმხელა მუშტები გამოვიდოდა!.. მოერიდნენ რაღა თქმა უნდა. და კიდევ თანაც კირკაჟიც შემოვიდა, მდუღარი, აორთქლილი, ალყა ხახვი შემოჰყვა ცალქე, ქინძი ცალკედა, ნიახური არა ცხადია, აღარც აღარავის უხსენებია, ერთხან კრინტიც რო აღარ დაუძრავთ, ორივე ლოყა რო გაბერა ოთხივემა, თითქოს კვარტეტია მედუდუკეებისაო. მოშივნოდათ. კვარტეტიც გახლდა. ეს სამი ჰო შემღეროდა სოფიკოს ფანჯრებსა, მღეროდა მეოთხეცა, შეიყარნენ და შეუწყეს ხმები, — იქ არა, იქა, გამოსაფხიზლებელში, სახინკლეში შეუწყეს და განაგრძეს აქა, თითო ჭიქის მერე, თითოც რო აღარ უნდოდათ; სახინკლეში შეუწყეს და მოიოხებდნენ გულსა იქავე, მოიოხებდნენ, ოღონდ ესაა, რო არ დააყენეს, აქ სიმღერა არ შეიძლებაო, ქუჩაში არაო რაღა თქმა უნდა, არაო, არაო, არც რო სოფიკოს ფანჯრებთანაო, მაშ ჩემთანაო, ბოხოხამა თქვა; და შუათანა გაჭირვეულდა, არა, ჩემთანაო, დედაჩემი გაგიჟდებაო, დროზე თუ არ დავბრუნდებიო. აბა!.. დედას ეგონა, რო არა ზრუნავდნენ ბიჭები მასზე, რატომ ეგონა?.. რო მთელი ღამე ექეიფათ, რო თუნდ სახანძროს მანქანით მიებრძანებინათ გამოსაფხიზლებელში, რო მონდომებოდნენ გამოფხიზლებასა ის მთელი დღე, მაინც კვარტეტით დაბრუნდებოდნენ შინა, — კვარტეტი თუ არა, ტრიო მაინცა, ანთუ გუნდი, კაპელა, — ჰო არ ითვლიდნენ, ჰო არ აყალიბებდნენ, შტატებს ჰო არ ელოდებოდნენ, — როგორც მოხვდებოდათ, როგორც მოხდებოდა. და დედას ეგონა აღარც ვახსოვართო, — რა უსაზღვროა გული დედისაო, უსაზღვროაო. და მალე კვარტეტი სიქსტეტად იქცა: ჯერ რო უმცროსი გამოჩლატუნდა, ფლოსტებითა და გრძელი ხალათითა, ბოდიშითაცა, გამოცვლის თავიც რო არა ჰქონდა, ჩაცვენილი თვალებითაცა და გაცრიაკებული ლოყებითა, მერე უფროსი — რიხიანადა, თითქოს წუხელის რო გამოეძინოს, დღეს რო ეშრომოს, ელვაწოს, კმაყოფილ იყოს თავისი ნალვაწითა, ისე, იმგვარად რო გამობრძანდა და შედგა სიქსტეტი. და მღეროდნენ სხვადასხვა ხმაზედა რაღა თქმა უნდა. ბანს გამოსცემდა ბოხოხაი, ბანსა ისეთსა, ოპერაში რო ინატრებდნენ, მაგრამ არ გაევლო კონსერვატორიის კურსი, ვისაც რო გაევლო, არ უვარგოდა ბანი, მაგრამ ოპერაში მაინც ისა ჰყავდათ, რადგან რო გაევლო კონსერვატორიის კურსი, ეს არც მიიწევდა რაღა თქმა უნდა, არც მიიწევდა და არც შეიხედავდა შიგნითა, ქუდიც რო შეეგდოთ. ოღონდ იცოდე, ამას ქუდი რო არ მოეხადა, არც რო არავის მოახდევინებდა, მაგრამ კაცნი ვარ, ვთქვათ თუ მოჰხდიდნენო, ვთქვათ თუ შეუგდებდნენო, არც შეიხედავდა მაინც რო შიგნითა, არა, ასეთი ბანი გახლდა. ბიჭებს მოსწონდათ, — ხუთივეს ჰო ჰფარავდა და ჰფარავდა, თავის თავსაცა ჰფარავდა აგრეთვე, ანუ ჰფარავდა ხმასა თავისასავე, კიდევ სხვა ისეთი ხმა მოჰყვებოდა, ხმაი წყვილეული, ანთუ ორმაგი, ერთი რო გუგუნა, ხავერდოვანი მეორეი, რო ხვეწდა გუგუნსა, ხვეწდა, წმენდდა, აბიბინებდა. ბიჭებს მოსწონდათ. ჩვენ ბოდიშიო, იტყოდა დროდადროდა, აიწევდა, დროა შინ დავბრუნ-

დეო, არ ეთმობოდათ, დასწევდნენ კალთასა, ვერ ელეოდნენ. ბიჭებს მოსწონდათ. ჩვენც წამოვალთო, ნამცეცობაზე მივუსწრებთ სოფიკოსაო. მოსწონდათ. არ ეთმობოდათ. კეთილი და პატიოსანიო, აღარც რო იმას ეთმობოდა ბიჭები, წამოხვალთ და წამოდითო, ოღონდ ვიცოდე, რომელს რო მოგწონთ სოფიკოიო.

— ყველას მოგვწონს.

მიუგო ბიჭმა, რო არა ჰყავდა პაპიდაცა, მიუგო ყველას მაგივრადა.

— ყველას... როგორაო?!

ვერ გაარკვია ბოხოხამა, თუ არ ეჭაშნიკა, წამოიწია, წამოიწია და დასწიეს, აქედან უფროსმა, იქიდან უმცროსმა, ამათაც მოეწონათ, ანთუ არ უნდოდათ რო დაშლილიყვნენ.

— ჩვენი ძმაკაცია.

აუხსნა მეორე ბიჭმა.

— ის ჰო გოგოა?!

გადაირია ბოხოხაი, „ლამის“ გამომრჩა, ლამის გადაირია, ასე სჯობიან.

— დაქალია!.. აჰა!.. აღარაფერი შეარჩინოთ კაცსა!..

გაგულისდა ბიჭი, ბებიდაც რო არა ჰყავდა, გაგულისდა.

— ჩვენ ბოდიში!.. დაქალი, მაქალი ჩვენ არ ვიცით... ერთს უნდა მოგწონდეთ, ერთი მეჯვარე უნდა იყოს, დანარჩენი მაყრები, ჩვენ ასე ვიცით. დაქალი!.. მაქალი!.. იფ!.. ანაღვლე!.. ქორწილს აღარ აპირებთ?!.

შეიცხადა ბოხოხამა.

— აუუუუ... ეს ვინა ყოფილა!.. რა დროს ქორწილია?!

შეიცხადა მეორე ბიჭმაცა.

— იცით, რა!!.

აიჭრა ბიჭი, დანაც შემართა და ჩანგალიც შემართა, იმ ბიჭმა, დედის მეტი რო არავინა ჰყავდა.

— წავიდეთ ნამცეცობაზე!..

შუთანამ მოსჭრა.

— ჩვენ ბოდიში!.. ჩვენ ნამცეცობის კაცი არა ვართ.

მტკიცედ განაცხადა ბოხოხამა.

— აააააარა ვართ!..

დაუდასტურა უმცროსმა, რო გასცვივნოდა ფლოსტებიცა, რო გადაკალთავებოდა ხალათიცა, რო გამომეყარა შიშველი ტლოკები, და თანაც აგრეთვე, თავიდან რო ტუჩ-პირზე იფარებდა ხელსა, წვეთის დამლევი არა ვარო, ხოლო მერე რო ვეღარავინ ასწრებდა დალევასა.

— არც ვიქნებოდით: დღეს ჰო ქეთის დღეობაა!..

მოაგონა უფროსმა.

და მიაყოლეს და მიაყოლეს, რომელი რომელს დაასწრებდაო:

— თინას დღეობაცაა.

— ციალასიცა.

— მარისაცა.

— მზიასიცა.

— კოტესიცა, კატოსიცა, ლიკასიცა, ეკასიცა.

— ელოსიცა, მელოსიცა, სოლოსიცა, ლალოსიცა, ლიასიცა.

— ნინოსიცა, ნანასიცა, ნუნუსიცა, ნოესიცა, ანოსიცა, განოსიცა.

— ჩვენ ბოდიში... შინ როდისღა დავბრუნდეთ?!.

იკითხა ბოხოხამა, ისე იკითხა, შეგეცოდებოდა.

— შინ რა გვინდა?!

გაუკვირდა ბიჭსა, რო არც მამიდა ჰყავდა, რო... და სხვა და სხვა და სხვა, იკითხა ისე, ლამის რო თვალები წამოსცვივდა ბუდიდანა.

— ჩვენ ოჯახი გვაქვს... ბოდიში...

მოუჭრა ბოხოხამა. მოიქნია მუშტიცა, უროსავითა, მოიქნია, ოღონდ რო არ დასცხო მაგიდასა, ნელა დაუშვა, ნელა, სიმძიმემაც არ დადრიკოსო, დაუშვა და ესეც მოადევნა: ოთხი ბოკვერი მყავსო, ორი წყვილი, ყევარი, ტყუპტყუპიო, მკლავები ჩემსისხო აქვთ, ჯერ რო მიწასაც არ ასცილებიანო. დათვის ბელებივით დაგორაობენ მთელი დღეო. ლევანს მივაბარებო. მსოფლიო ჩემპიონებს გამიზრდისო. მოადევნა და გაუშტერდა თვალი, გაუშტერდა და აუციალდა, გეგონებოდა, რო შესცქერის კვარცხლბეკსა, 1, 2, და 3 რო აწერია, სამი ამისი ბიჭი რო აბობღებულა ზედა და მეოთხეც მიიწევ-

და; მიიწევდა და მოექცეოდა ისიც ზევიდანა; გაუშტერა და აუციალდა: იმრავლა კვარცხლბეკებმა, არიგდა, ჩარიგდა, ყველგან ესენი წამოიმართნენ, ყველგან, პირველზედა, ის სამნი ჰოდა ის მეოთხეცა, წამოიმართნენ და იმატეს, იმატეს თითქოსაო, ყველგან რო ისინი წამოიმართნენ, ოთხი რო იყვნენ და იქცნენ ათასადა; და უკრავდნენ ჰიმნსა ქართულსა, უკრავდნენ და უკრავდნენ, მხოლოდ ქართულსა, ქართულ ჰიმნს უკრავდნენ, თითქოსაო რაღა თქმა უნდა, ოღონდ ესაა, რო ჰხედავდა ესა, ბოხოხაი რაღა თქმა უნდა, ჰხედავდა და ესმოდა კიდეცა, ესმოდა კიდეცა და ბანიცააყოლა. აჰყვნენ ბიჭებიცა, ჭკუა დაუშლიდათ თუ არ ეყოფოდათ ხალისი?.. აჰყვნენ ცხადია. ოღონდ რაღაც უცნაურად წამოიწყო ბოხოხამა და ბიჭებიც აჰყვნენ უცნაურადა, რო არც იცოდნენ და რო არც გაეგონათ, შორეული რო გახლდათ, რო ჩაწყვეტილიყო სადღაც შორსა, შორსა და უშორეს საუკუნეებში, მაგრამ რო მაინც არ გამქრალიყო, რო მოდიოდა და მოდიოდა, უჩინრადა და უხილავადა, მოდიოდა და მოდიოდა, რო ამოეხეთქა, ამომსკდარიყო მოულოდნელადა და თავის დროზედა. და მღეროდნენ უძველეს ჰიმნსა. და გუგუნებდნენ. გუგუნებდნენ. და გუგუნებდა ბოხოხაი. და უბზინავდა ცრემლი თვალშია. იქ იმისი ბიჭები იდგნენ, გოლიათები იდგნენ ყველა პირველზედა, გოლიათები ამისები იყვნენ.

— ყველა მოჭიდავედ რად გინდა?.. შუათანამ იკითხა, გამოეცალა სიქსტეტსა და ისე იკითხა.

— მაშა?!.

გამოეცალა ბოხოხაცა სიქსტეტსა და კვარტეტი დარჩა პირდაღებული, ანთუ შესწყვიტეს სიმღერაი და მიაყარეს ბოხოხასა:

— მოკრივედა ერთი.

— ერთი სიმძიმეების ამწევადა.

— ბადროს მტყორცნელადა ერთი.

— ერთი ჩოგბურთელადა.

— ერთი ფეხბურთელადა.

— მოთხილამურედა ერთი,

— ჩვენ ბოდიში!.. ოთხი მყავსმეთქი, ორი ტყუპი...

— მიაყარე ორი ტყუპიცა.

ურჩიეს.

— აბა, რაო, ამდენი სპორტია, ამდენი სახეობებია...

ურჩიეს და ურჩიეს.

— ბოდიშიმეთქი, მე სპორტი არ ვიცი, მე ჭიდაობა ვთქვი, მორჩა. ლევანმა რო დათვი დასდო...

და მოემზადა ბოხოხაი ამბის მოსაყოლადა, ორივე ხელი წინ წამოსწია, მოიხარა ცოტაოდნავადაცა, თითქოს დათვი მოიმწყვდიაო, მოემზადა ასე, რო მოეთხრო და დაეხატა თვალსაჩინოდაცა, მაგრამ არ დააცადა მეორე ბიჭმა:

— დათვი არა ტოროლა!..

— ტოროლა არა: დათვი!.. მაროკოში...

არად ჩააგდო ბოხოხამა, მუხლებიც ჩაღუნა, თითქოს და დათვი უნდა ასწიოსო, აიყვანოს და დაახეთქოსო.

— მაროკოში რა უნდა დათვსა?!.

ის ბიჭი აუხირდა, რო არა ჰყავდა მამიდაი და რო აუჩუყდა გული.

— რატო არ უნდა?!

გაიკვირვა ბოხოხამა. მაინც თავისი არ დაიშალა, ამოისუნთქა ერთი ღრმადა, აი უნდა აიყვანოსო.

— არ უნდა და...

გაჯიქდა ბიჭი.

— იაპონიაში იყოს...

დაუთმო ბოხოხამა.

— არაააა...

გაჯიქდა და გაჯიქდა ბიჭი.

— არგენტინაში, ბრაზილიაში, ნიკარაგუაში...

— არა... არა... არა...

გაჯიქდა და გაჯიქდა.

— პარიზში!..

დაიქუხა ბოხოხამა, ზრიალი დაიწყეს ფანჯრებმა, ჭიქებიც აზუზუნდნენ მაგიდაზედა.

— პარიზში საიდანა?!

ჩაიჩურჩულა მეორე ბიჭმა, ლამის თვითონაც რო ვერ გაიგონა, მაგრამ მაინც მოიკვნიტა ენაი.

— ზოოპარკიდანა!..

ახლა გამოსცრა ბოხოხამა, კბილებში გამოსცრა და ესეც დაუმატა: თუ კიდევ ვინმე ამიხირდება, იცოდეთ, ავილებ ამ დოქსა, — და აიღო, — და თავზე დავიფშხვნიო.

— ახ!..

დოქი დაენანა ბაბულისა, ძველი, ვარაყიანი, მამას რო უყვარდა, კარგად ინახავს ღვინოსაო.

— ზოოპარკიდან შეიძლება...

დაყაბულდა მეორე ბიჭი.

— ჰოდა ჩვენ ბოდიში... — გაიცინა ბოხოხამა, — რო დაალაგა და დაალაგა იმათი ფალავნები ლევანმა, მერე დათვი გამოუყვანეს, თუ ბიჭი ხარ და ესეც წააქციეო. ჩვენ ბოდიში!.. ჩააცვეს ჩოხაი დათვსა და ლევანსაც ჩააცვეს ჩოხაი. დგას დათვი და ბურდღუნებს, აბა მოდი თუ ბიჭი ხარო. დგას ლევანი და ფიქრობს, კაცი ვიცი, როგორ წავაქციო, ე დათვი როგორღა წავაქციო. მოიწევს დათვი და ბურდღუნებს, დამიდექი თუ ბიჭი ხარო. წრეს ურბენს ლევანი და ფიქრობს, რო დავუდგე, დამბუბნისო. მისდევს დათვი და მირბის ლევანი. ხარხარებს ხალხი. უსტვენს ხალხი. დათვს აქეზებს ხალხი. ეგეც შენაო, ნიშნს უგებს ლევანსა, ყველა ფალავანი რო გაგვილახე, აბა მაგას დაუდექიო. დაუდექიო და დაუდგება, მეტი რა ჯანია, თავს ჰო არ შეირცხვენს, არა და არ იცის, დათვს როგორ ეჭიდოს, არც დაუნახია და არც გაუგონია, არ იცის, არ იცის, რა ჰქნას არ იცის, დაუდგება და ეგაა, ვაუკაცი ვაუკაცია და დათვსაც აღარ გაექცევა ვაუკაცი. ის ერთი არაფერი, ის ერთი, ცეკვა იყოო, დათვიც ისე ზარციბურცობდა. ჰოდა დაუდგება. მივა და მიაწვება დათვი. დათვი მიაწვება და ლევანიც მიხვდება, ქვეშ მომიყოლიებსო, ამის ხერხიც ეგაა, ღონე რაცაა და მეტიც არაფერი ეცოდინებაო, ლევანი ფიქრობს. დათვი მიაწვება და მიაწვება ესეცა, ვიდრე გავუძლებო, მიაწვება და მიაწვება, მიაწვება და მიაწვება, მიაწვება და რო დაიდრიკება ლევანი, რო ბლავის ხალხი, რო ყვირის ხალხი, რო ტაშს უკრავს ხალხი, აი და დაიტანს, აი და გასრესსო, გამოეცლება ლევანი დათვსა, გამოუსხლტება ლევანი დათვსა და ფეხებს აპლაკავს ე შენი დათვი, აბა!.. ფეხებს აპლაკავს შენი დათვი და ცეკვით შემოუვლის წრესა ლევანი, ეგეც თქვენა და ეგეც თქვენი ფალავანიო, აბა!.. მერე ტელევიზორში გამოიყვანეს ლევანი და ჰკითხეს: დათვის მომრევი კაცი არ გვინახავს, შენ როგორღა მოერიეო. როგორაო და ხერხი სჯობიან ღონესაო. ასეო: ჰა, ჰა, ჰა...

— ფრანგულად უთხრა?..

ვერ მოითმინა მეორე ბიჭმა.

— ფრანციცულადა... ჩვენ ბოდიში!..

მოიხარა ბოხოხაი, ქალებს მოუხადა ბოდიში, მართლა მოუხადა, სიტყვის მასალად აღარ მოჰყოლოდა, მერე იმათაც შეეხვეწა, ბიჭებსა ცხადია, გეყოფათ, გული ნუ გააწვრილეთო.

და აღარც გაუწვრილებიათ გული, აღარც რო მოიცდიდნენ, რო საღამოვდებოდა, დამდგარიყო ჟამი მილოცვებისა, ბევრ დღეობას რო მოეყარა თავი; დროზედაც უნდა შესდგომოდნენ, დროზე მოესწროთ, დროზე დაბრუნებულიყვნენ შინა, როგორც რო ჰპირდებოდნენ დედასა უფროსიცა, შუათანაცა, უმცროსიცა, ჰპირდებოდნენ რო ყოველთვისა და რო არასოდეს არ ასრულებდნენ; მორჩა, დამთავრდა, რაც იყო, იყო, ახლა უთუოდ შევასრულებთო. ეფიცებოდნენ. ეფიცებოდნენ ის ბიჭებიც, წიწლიკანა ბიჭები, რო ედავებოდნენ ბოხოხასა, ეფიცებოდნენ, როგორც რო დედასა, საკუთარ დედასა, ისევე რო გასტეხდნენ ფიცსა, ანთუ ალბათ თუ ავიწყდებოდათ და უნებლიედ გასტეხდნენ ფიცსა, — როგორც უნდა იყოს, ეფიცებოდნენ რო ისევე და რო იქმოდნენ ისევ ისევე. ბოხოხა არა, არ ეფიცებოდა, იფრქვეოდა ბოდიშებადა, ცოტა ესაა, წამოასლოკინებდა, გაიკრიჭებოდა, შინ მახსენებენო, გაიკრიჭებოდა და იფრქვეოდა ბოდიშებადა. ერთად გავიდნენ.

ის მაინც იმათ აღარ გაჰყვებოდა, არც რო ლელასთანა, არც რო ლალისთანა, არც არავისთანა რაღა თქმა უნდა, მორჩა, მოათავა, თანაუგრძნო და მოათავა, შინ ახსენებდნენ, სლოკინმა უმატა, ახსენებდნენ და წავიდოდა შინა, მკლავებს მოუსინჯავდა ბოკვერებსა თავისასა, მოუსინჯავდა, აუწონიდა ხელითა, მოუსინჯავდა მუხლებსაცა, მიურყევდა და მოურყევდა, მიუნჯღრევდა და მოუნჯღრევდა, გადააგორებდა და წამოახტუნებდა, დაეჭიდებოდა და აძუნძულდებოდა, იძუნძულებდა იმათთან ერთადა, მართლა დათვიაო, გეგონებოდა, მიაწვებოდა დათვივითაცა, ბიჭებიც ისე გამოეცლებოდნენ, ლევანი როგორც გამოეცალაო, გამოეცლებოდნენ და იცინოდნენ, იჭაჭებოდნენ სიცილითა, ფეხებს რო შეპლაკამდა დათვი, თავისი ღონე რო დაახეთქებდა, თავისი ღონე რო დასცემდა ძირსა, რო არ იცოდა და ვერც გაიგებდა, ხერხი ღონეს თუ როგორა სჯობიანო, ვერ გაიგებდა, დათვი ცხადია. ეს ჰო იქაო. ხოლო ეს რჩებოდა თავის დარდთანა, თავის საფიქრალთანა, ბიჭების დედაი, რძალი ბაბულისა, რჩებოდა ისე, წუხილიც რო აღარ ძალუძდა, აღარ იცოდა თუ რა ეღონა, ველარ მიმხვდარიყო თუ ბედი რას უქადდა, ბიჭებსა ცხადია, ველარ მიმხვდარიყო და კარგსაც არ ელოდა. ბაბული ამშვიდებდა, თუ რა ერჩია, რო არ იცოდა, ანთუ რითი დაემშვიდებინა, რო არ იცოდა, არც რო ამანა, ბაბულიმა.

## IX

დის ფეხიც ეგრევე აფორიაქებული შეჰხვდა, ბაბულისა რაღა თქმა უნდა.

დის ფეხი, დის ფეხი, ფეხი, ვილაცის ფეხი, — ის რო აღარ არის, ანთუ გარდაიცვალა, ანთუ გასცილდა, ამან რო დაიჭირა იმისი ადგილი, ფეხი, მაგიერია, ამისი ფეხი, იმისი ფეხი, ჯერ კიდევ გაისმის სოფელში ხშირადა, ქალაქისა რა მოგახსენო, გაისმის ოღონდ არ შეუტანიათ უახლეს ლექსიკონებში და რო არ ამეხსნა თუ არ იცოდი, [illegible]-ბი-დან შეიტყობდი ამის შინაარსსა. [illegible] მოიძებნიდი ძველ ნაწერებსა და თავს გაიქნევდი, აი საიდან მოაქვს სიტყვებიო. ღმერთი, რჯული, მართალი არ იქნები, არა, არ იქნები მართალი; ღმერთი, რჯული, ცოცხალი გამოთქმაა, ცოცხალი, სახიერი, ხატოვანი, ძველი არ არის, ცოცხალია, ცოცხალი.

და არც არაფერი მომაქვს ძველი თხუზულებებიდანა თუ ლექსიკონებიდანა, არა, არა, ჯერ ისევ ისე ძარღვიანია ქართული, ისე მოქნილია, ისე ძალოვანი, რო არ მომხდარა ჯერ ისეთი ქვეყნად არაფერი, რომლის გამოთქმაც რო არ შეეძლოს.

და არც მომაქვს და არც ვეძიებ, რადგან ცოცხალია, სულის ჩაბერვა არა სჭირდება და არც არავის არას არგია ტრაბახი იმისა, თითქოს და აი მე შემოვიტანე ლიტერატურაშიო, არავის არგია, ისე დიდია რო ჩვენი ლიტერატურა, ისე ალსავსეა, ისე ძველი როა და ისე ახალი, მარად ახალი და მარად ცოცხალი.

და არც ვეძიებ და არც ვებრძვი, რადგან თუ ეძებ, სიტყვას თუ ეძებ წერის დროსა, რიღას დაწერა მოგიხერხდება, — აღარაფრისა: სათქმელი ჩქეფს და ეს სიტყვაა რო აჩქეფებს სათქმელსა, თუ გაქვს სათქმელი რაღა თქმა უნდა, თუ არა და ეძებე სიტყვები, რამდენიც გენებოს, გადააბრუნე ქრონიკები, მატიანეები, იარე ფანქრითა და ქაღალდითა, იარე, გადააბრუნე, ჩაიწერე რამდენიც გენებოს ჯერ გაუგონარი თუ სიტყვაი იშვიათი, შენ რო გგონია, ან თუნდაც რო მართლაც უიშვიათესი, არას გიშველის, არ გამოგადგება თუ სათქმელი არ გაგაჩნია.

და არც ვებრძვი და არც ღამეს ვუთევ, რადგან რო სიტყვა უერთგულესი მეგობარია მწერლისა, იარაღია მისი, იარაღი, და ბრძოლაი საკუთარ იარაღთანა, მსხვრევაი მისი, ბრძოლის ველიდან გაქცევას უდრის, როცა მტერი რო შემოსეულა. ისე ჰო ბრძოლაში არც გაისვლება, იარაღი თუ არ გივარგა და

იარაღის შემოწმება ხელჩართულ ომში, არა მგონია, გონივრული ხერხი რამ იყოს. ისიც ნათქვამია, სხვა სხვის ომში ბრძენი არისო, მაგრამ სიტყვასთან ომი მაინც დიდი სიბრძნე არ არის, ალბათა და რა ვიცი, სხვა ალბათ კიდევ სხვაგვარად იტყვის.

და არც ღამეს ვუთევ და არც ვეწამები, რადგან რო სიტყვა სიმღერაა, ღაღადისია, გალობაა, მუსიკაა, მუსიკა, წარსულის მღელვარება რო მოუტანია და იმედ რო მოაქვს მომავლისა, რო ჟღერს აგერ რო დიდიხანია და რო იჟღერებს მარადისა, იჟღერებს, იჟღერებს, ისე ჟღერს რო არ გახუნდება. სიტყვა მუსიკაა, სიტყვა ხმაა და ხმა სიცოცხლეა, მუსიკა ტკბობაა, და ტკბობაა სიცოცხლეცა, რაც არ უნდა გაწამებული იყოს ადამიანი, რო არ ეთმობა და რო არც დასთმობს, რო შეეძლოს რაღა თქმა უნდა. სიტყვა ცხოვრებაა, ცხოვრება სიტყვის შინაარსია, სიტყვა სახეა ცხოვრებისა, ჩვენი სიტყვა ჩვენი ცხოვრებისა. სიტყვა თვითონაა მხატვრული სურათი, თვითონაა, თვითონა, ამბავია, ნოველაა დასრულებული კომპოზიცითა, ესკიზი ჰო არის და არის. თუნდაც აი — ფეხიო ითქვა: დის ფეხიო, ერთი ამბავია, შვილის ფეხიო, სხვა ამბავია, სხვა დრამაა თუ ტრაგედიაცაა, ფეხი იბრუნაო, სხვა შინაარსია, ეს ისაა, რო ქორწინების მერე ქალი პირველად ესტუმრებოდა მშობლებსა მეუღლესთან ერთადა, ის არა ცხადია, მეორე დღესვე რო მივარდება ქალი მშობლებთანა, ქორწინების მეორე დღესა, და განუცხადებს გაწიწმატებული, შორჩა, მე იმასთან გამჩერებელი არა ვაროო, არა ცხადია, ფეხი აირიაო, სხვა უბედურებაა, ფეხი გაიდგაო, კიდევ სხვა არის, ფეხებში წყალი ჩამიდგაო, სხვა არის, სხვა არის... თუმცა გადავცილდით თითქოსაო, და ისევ დის ფეხს თუ დავუბრუნდები, და რა თქმა უნდა დავუბრუნდები, უგუნებოდ რო დახვდამეთქი, უგუნებობის მიზეზსაც გეტყვი:

ბავშვი სხაოდა, აეყვანა ხელში და სხაოდა. სხაოდა. სხაოდა. ეგებ ეს სიტყვაც აღარ გაგიგონია, [stamp] ეგება აღარც ლექსიკონშია?.. ჰა?.. მიხვდები მაინცა, თუ არა და რა ვქნა, სხაოდა და!.. სხაოდა და ვერ ამშვიდებდა, ვერცა რო საწოვრითა, ვერცა რო სიმღერითა, ვერცა რო ლიკლიკითა თუ ლუკლუკითა, ვერცა თუ შტიალითა, ვერა, ვერაფრითა, ვერც რო ვეღარაფერი ეწამებინა და ხელი ხელთაც რო არა ჰქონდა, თავში რო მაინც დაერტყა რაიმე,

— ბავშვისთვის არა, არა, არა, ბავშვისთვის არა რაღა თქმა უნდა, — ისღა დარჩენოდა, თავი ეთხლიშა კედლისათვისა, თავისი თავი რაღა თქმა უნდა, ბავშვისა არა რაღა თქმა უნდა, ბავშვს ასე ვერ გაიმეტებდა, დედამისს იცოცხლე გაიმეტებდა, მაგრამ სად იყო?.. გათხოვილიყო, ბავშვი დაეგდო და გათხოვილიყო, სხვას წაჰყოლოდა. ფეხმძიმევე გამოჰქცეოდა პირველ ქმარსა, შინ მოეთმინა ბავშვის გაჩენამდისა, მოეთმინა, გაეჩინა და სხვას გაჰყოლოდა, მაშინვე, მაშინვე, სამშობიაროდანვეო, დედა ამბობდა, აზვიადებდა ოღონდ ცოტასა, თუმცა არც ისე აზვიადებდა. სხვას შეერთო ერთისიტყვითა და ესეც — ფეხი. რაც უნდა იყოს, შეხვდა ასე, გასხავებული ბავშვით ხელშია, ასე გაუღო კარი თუ მიაგება, ვინც უნდა იყვე, ცოტა ხელი წამაშველეო. არ გაუკვირდებოდა ბაბულისა, ხელსაც წააშველებდა, ხმასაც წააშველებდა, სითბოსაცა, ალერსსაცა, და დაამშვიდებდნენ, როგორც იქნებოდა, ბავშვსა ცხადია, ანთუ ბავშვი გაითანგებოდა ამდენი სხავილითა, მიბინარდებოდა; რაც იქნებოდა თუ როგორც იქნებოდა, დრო მრჩება, გითხრა, რო ჰყავდა მეორე ასულიცა დის ფეხსა ბაბულისა, რო გათხოვილიყო ისიცა აგრეთვე, ჯერ პირველად გათხოვილიყო, ჯერ ფეხიც არ ებურუნებინა და ელოდნენ, ოღონდ ისე, რო ფეხს აღარ მოიცვლიდა აქედანა, ისე ემდურებოდა ქმარსა თუ ქმრის ოჯახსა, ტელეფონითა, ტელეფონითა, ეკამათებოდა თან რო იმათა, დედასაც ისევე აუწყებდა, მეტს ვეღარ გავძლებ ამ ტარტაროზებ-

თანა. ანთუ დედამთილთანა და მულთანაო; და სხვათა შორის, მულიც ასე რო დაბრუნებულიყო შინა და ფეხიც რო მიებრძანებინა შინა; ეს მეორე ასული, საკუთარი ასული, პირველიცა და მეორეცა; და ჰყავდა გერიცა, ვაჟი, ჯუანშერი, დისწული ბაბულისა, თითქმის რო ტოლი ბაბულისა, თუმცა უმცროსი, ოღონდ მაინც რო შეტოლებულიყვნენ, ანთუ რაც იყო: მთავარი ის იყო, ციხეში რო ბრძანდებოდა ბატონი ჯუანშერი და ესეც რო ამისი სადარდებელი გახლდა, ამისიცა და ბაბულისაცა, მაგრამ ჰყოფნიდა ამას თავისი წილიცა, ჰყოფნიდა, კარგ ბედში რო არ ეგულებოდა არც რო საკუთარი შვილები. არ ეგულებოდა. და გაანჩხლებულიყო და სხაოდა დიდედაცა, დიდედაცა და შვილიშვილიცა, ეს თავიდანა, მერე დიდედა მისავათებულიყო, კარი რო გაუღო ბაბულისა, მისავათებულიყო, ბავშვი მისავათდა ბაბულის ხელში. მიწყნარდა. მიბინარდა. ისევ უმღეროდა ნანინასა ბაბული, დაბალ ხმაზედა, თითქოს აი და უნდა მიწყდესო, ანთუ ესაა, რო იწყებაო, ისე დაბალზედა, ისე დაბალზედა, ისე საზღვარზედა დასაწყისისა და დასასრულისა.

— როგორ გიხდება!..

გაისმა უცებ მოწონებითა, ხმაი დიდედისა.

ბაბული აიტკიცა. ველარ აიხედა. ბავშვი უფრო მიიკრა გულზედა. ფრთხილადა. ფრთხილადა. მგრძნობიარედა.

— გხატავს!..

ესეც გაისმა კიდევ უფრო მოწონებითა, ოღონდ რო რაღაც ეუცნაურა ბაბულისა, ეუცნაურა, თითქოს რო ბავშვი არ უნდა ყოფილიყო მიზეზი, ასე მოეჩვენა, აიხედა და ასეც დარწმუნდა, ასეც დარწმუნდა და გაიღიმა ცოტა მწარედა, რო ეგონა, რო აი ესაა და გამაშიშვლებენო, ისევ ისე გამაშიშვლებენო:

— აღარ გახსოვს?.. სუსანამ არ შემიკერა?!..

შესძახა ისე, ეს ერთი ბლარწი მაინც შემარჩინეთო, ისე შესძახა.

მაგრამ იმას აღარ მიუგდია ყური, აღარა ჰქონდა აღარაფრის გულის ალაგი, ჩემოდანშიც არ ჩაუხედია, მარტო ბავშვის გამოსაცვლელები იკითხა, ისიც ისე, გულის გარეშე, და ბაბულისაც უგულოდვე გაეპასუხა, რო კითხულობდა ჯუანშერის ამბავსა, — ახალი რა არისო. ანთუ რა უნდა ყოფილიყო ახალი, ათიოდ დღეში რა შეიცვლებოდა, მძიმე ბრალდება რო წაეყენებინათ და რო მძიმდებოდა და რო მძიმდებოდა და რო მძიმდებოდა; წაესწროთ რო დანაშაულზე, ძიება კიდევ ღრმად მიიწევდა, ღრმადა და ღრმადა, ღრმადა და ღრმადა. ძიებას უყვარდა სიღრმეები. ხან არ უყვარდა. ხან უყვარდა. როდის თუ როგორ შეესწრებოდა. ვის თუ რა თვალით შეჰხედავდა. ასე შეეხედათ: წაესწროთ და ღრმად მიიწევდნენ. ხატებზე წაესწროთ. ხატებსა ჰყიდიდა უცხოელ ტურისტებში. ამაზე წაესწროთ. ახ, ეს უცხოელი ტურისტები, — იცოდნენ, რო არ შეიძლებოდა, ეყიდათ ხატები, არ შეიძლებოდა. მაინც დაეძებდნენ, დასუნსულებდნენ, მიაგნებდნენ მაინცა, რაც უნდა ყოფილიყო, გაძვრებოდნენ თუნდაც რო ჯოჯოხეთში, გააპარებდნენ, რაც უნდა ყოფილიყო. მიაგნებდნენ და გააპარებდნენ. ეს უადვილებდა, ჯუანშერი, უადვილებდა და უადვილდებოდა თვითონაცა, რახან ნამალევად რო უნდა შეეძინათ, რახან ნამალევად რო უნდა წაეღოთ, ვერცა ჩხრიკავდნენ საგულდაგულოდა, უადვილდებოდა თვითონაცა, მალავდა, ჩქმალავდა, მიაჩეჩებდა. გაიცნეს. მიენდვნენ. ვოვკად გაიცნეს, რო გაუჭირდებოდათ გამოთქმაი ჯუანშერისა; ანთუ ადრევე შეიცვალა სახელი, სამოღვაწეოდ რო ოდესა აირჩია, ლენინგრადი და ოდესაი, აეროსადგურებითა და ნავსადგურებითა, ვოვკად შეიცვალა და ვოვკას ეძებდნენ, თვით ისინიცა, პირველად ვინც რო ჩამობრძანებულიყვნენ. ეძებდნენ და ჰპოვებდნენ. რიგდებოდნენ. გააპარებდნენ. მერე იქა ტკბებოდნენ, ტკბებოდნენ მანამდისაცა, ოღონდ მერე იქ რო ტკბებოდნენ,

ჩხრეკდნენ კიდევაცა, რომელი უფრო ძველი რო იყო, რომელი რო უფრო იშვიათი, ჩხრეკდნენ და ჩხრეკდნენ და ალოლდა ექვიცა, ალოლდა ექვიცა და გამოტყვრა ბევრი ნაყალბევიცა. და აყვირდნენ ტურისტები, — ახ, ეს ტურისტები, ჰო ურჩევდნენ, ნუ ყიდულობთო?.. არ შეისმინეს და თვითონვე აყვირდნენ, აყვირდნენ და აიკლეს ქვეყანა, მთლად ატმოსფერო აიკლეს, ააქოთეს, თანამგზავრებსაც რო გამოიყენებდნენ რადიოტალღების გასაძლიერებლადა. და ჩაავლეს ხელი ჯუანშერსა, ნაყალბევზე წაასწრეს, ახალი ნახატები დაუჭირეს, ახალი, ნაჩქარევი, რახან რო ბაზარი გამოსჩენოდათ, რო არ გასტანდა არცთუ დიდხანსა, რო უნდა მოესწრო თუ მოესწრო, ახალი, ნაჩქარევი, რის უძველესიო, რის უიშვიათესიო. ამას თალითობა დაერქმეოდა, რაც იყო, ის დაერქმეოდა კოდექსების მიხედვითაცა, მაგრამ ჩარეულიყვნენ ტურისტები, გაავებული ტურისტები, ეს ერთი, და იკარგებოდა ნამდვილი ხატებიცა, ეკლესიებიდანაცა, მუზეუმებიდანაცა, იკარგებოდა და გადიოდა, ანთუ იკარგებოდა ერთისიტყვითა, რუსეთისა თუ უკრაინის ეკლესიებიდანა, ქართულისა რო აღარა ითქვას, იკარგებოდა, ესეც მეორეო, ეს უკვე თაღლითობაზე მეტი რამ გახლდა, მეტი, და მძიმდებოდა დანაშაული, მძიმდებოდა, მძიმდებოდა. აქამდე აღარ მიჰყვებოდა ჯუანშერი, უარყოფდა, იმ ერთზე გაებოძიძგა ფეხი, ვაჩეჩებდი ყალბ ხატებსაო, ფეხს არ იცვლიდა აქედანა, არა, არ იცვლიდა ფეხსა და თანაც თავსაც იმართლებდა აბა, იმართლებდა თავსა: საბჭოთა არავინ მომიტყუებია, არც თანამეგობრობისა არავინაო, იმათ ვატყუებდი და იმათზე ახიაო. ვექილიც ასევე იქოქებოდა: კაპიტალიზმიო. დაპირისპირებაო. დოლარიო. ვალიუტაო, იქოქებოდა და ამხნევებდა ბრალდებულსა, ისე რო ისედაც გამხნევებულიყო, თამაშად უჩნდა, ანთუ — თამაშად და მიჩანს მღერადო. თავდაპირველადა. უარჰყოფდა. უარჰყოფდა. ქართულ ხატებს ჰო სულ არ იკარგებოდა ახლოსა, ყურსაც არ იბერტყავდა, არა, მაგრამ და რაო, — იკარგებოდა ქართული ხატებიცა, თვით სვანეთიდანაც დაკარგულიყო, შეუვალი სვანეთიდან, შეუვალიო, რომ შერქმეოდა, დაკარგულიყო, გამქრალიყო საპატრიარქოდანაცა, — საპატრიარქოდანაცა, ხატები, ხატები გამქრალიყო, რო არავისა სჯეროდა, რო თავისთავად აიყრებოდნენ ამა ცოდვილი მიწიდანაო, ანთუ ზეცად ამაღლდებოდნენო, რო არავისა სჯეროდა; არა სჯეროდა არც ჯუანშერსა და არც ყურებს არ იბარტყუნებდა. იქ — იბერტყავდაო, აქ — იბარტყუნებდაო, შეცდომად არ იგულვო, ნიუანსებია. არც ეშვებოდნენ რაღა თქმა უნდა, — არც თუ ადვილად მოეშვებოდნენ, — გამოიძახებდნენ დანაშაულის ადგილზედა, გამოიძახებდნენ და გაიძახებდნენ, მიაბრძანებდნენ და მოაბრძანებდნენ, დაჰკითხავდნენ, წაუყენებდნენ, წარუდგენდნენ, კიდევ დაჰკითხავდნენ, კიდევა და კიდევა, ჯვარედინ ცეცხლშია, დაჰკითხავდნენ, აქაცა, იქაცა, და მიებჯინა ფეხი ჯუანშერსა: მე ვხატავდი და მევე ვასაღებდი, არც არავინ მიამხანაგია, არ არავის ვენდობოდიო, — მიებჯინა ფეხი, აქაცა, იქაცა, ეგრე მიებჯინა. ძიება ძიებას მიჰყვებოდა, ჩნდებოდა და ჩნდებოდა დანაშაულებანი, მატულობდა და მატულობდა, იკლებდა კიდევაცა, დამნაშავენიც რო ამოსდევდნენ ძიებასა, რო მიაკვლევდნენ ნამდვილ ქურდებსა, ოღონდ იმდენსაც ვერ მიაკვლევდნენ, და მეტი წილი ამას ეწერა. ჩამომეწერება დანარჩენიცაო, იმედოვნებდა ჯუანშერი. გაამხნევებდა ვექილიცა, ჩამოგეწერებაო. ურჩევდა გადათქვიო, ვითომ რო ჰხატავდი და ვითომ რო ასაღებდი, ის ერთხელ შევცდიო, ეს აიხირეო, ურჩევდა, მხნეობდა, — თამაშად და მიჩანს მღერადო, ასე ადვილი საქმე ჯერაც არ შემხვედრია, მალე გარეთ გამოგაბრძანებო. მით უფრო გამხნევდა, დაიმედდა და დაიმედა, საპატრიარქოს ქურდიც რო იპოვნეს, — მოსაყდრეი პატ-

რიარქისა, თვით მოსაყდრეი, რაღა აქეთაო და რაღა იქეთაო. მართლაც რო ღმერთო დიდებულოო, ამისი მოთმენაც რო შეგიძლიანო. მერე ისეთი მოსაყდრეც აღმოჩნდა, ქვა რო ააგდო და თავი შეუშვირა, თავი ისეთი, რო ქვა რო დაეფშხვნა ზედა, ვინ ჯუანშერიო და ვინ მუანშერიო, არ ვიცნობო, არც ვიცნობ, არც გამიგონია, მარტო ვიყავი და მარტო ვიღვწოდი, აბა არა და მოზიარეს გავიჩენდიო, — ააგდო ქვა და შეუშვირა თავი. ჩამოეწერა რო ესეცა ჯუანშერსა, სვანეთი არა, არ ჩამოეწერა. სვანეთისა არ იცოდა არაფერი, არც რო მოსაყდრემა, გეცოდინებაო, ჩასძიებოდნენ, მიანიშნებდნენ ჯუანშერსა მაინცა, ვინ იცის ეგება იქ გახლართულანო, ეგება სადმე და ეგება იქაცაო, ჩაჰკითხავდნენ და ჩასძიებდნენ, დაუპირისპირებდნენ, შეჰყრიდნენ ერთადა, ვინმეს მიუჩენდნენ, არ ეშვებოდნენ და არც არაფერი გამოდიოდა, არ იხსნებოდა დანაშაული, მხოლოდ ესაა, ჯუანშერი რო გაღიზიანდა თანდათანობითა, გაღიზიანდა, გაცეცხლდა, გაფოთდა, და ძლივსღა გამოჰგლიჯეს მოსაყდრეი ხელიდანა, თითები რო გაურჭო, თითქოს ფოლადის თითებიო და რო ხრიალებდა მოსაყდრეი: არ გიცნობ, არ მიცნობ, რას მერჩი, რა გინდაო, — ასე მკაფიოდ არა ცხადია, ხრიალებდა და ასე ჩამოართვეს; რო გამოჰგლიჯეს, რო მოიშუშა ყელი, მაინც ასე გაიმეორა. და მაინც მოგკლავო, ემუქრებოდა ჯუანშერი, რახან გაფოთდა, გაფოთდა, აირია, გაგრძელდა, გაგრძელდა და აირია, თამაშად რო აღარ მიაჩნდა, სიმღერასაც რო აღარ ჰგავდა. მე კიდევ ჰოო, იღრინებოდა ჯუანშერი, ხატების სიძულვილის მეტი რა მისწავლია ჩემი დღენიი, შენ ეგრე როგორ გაუკულმართი, შენივე სალოცავს რო გადაუდექიო. უნდა მოგკლაო. არ მიცნობ, არ გიცნობ, დამეხსსენიო. უნდა მოგკლაო. დამეხსენიო. გაიძახებდნენ ამასობაში ჯუანშერსა, იქით წაიყვანდნენ, მაინც ეს ბრაზი თან მიჰყვებოდა, ბრაზი თუ რაღაც გაურკვევლობაი, მოძღვარი რომ ძარცვავდა ხატებსა, ჯერა ძარცვავდა და მერე იპარავდა. სად ამისი ცოდვა, სად იმისიო, იმისი უკვირდა. გასაკვირი რო არაფერია, რო შეესწრებოდა ბავშვობისასა, ერთხელ რო ისიც იქნებოდა ბავშვი და შეესწრებოდა თუ როგორ აგროვებდნენ თუ ახროვებდნენ ხატებსა ეზოებში ეკლესიათა, ახროვებდნენ და შეუნთებდნენ ცეცხლსა, შეუნთებდნენ და ჭყიოდნენ, ჰკიოდნენ, ჰკიოდნენ და ხტებოდნენ ცეცხლზედა, არული კუდიანებსაო, ჰხტებოდნენ და გადაახტუნებდნენ ამასაცა, აკივლებდნენ თუ აჭყივლებდნენ და გადაახტუნებდნენ, გადაახტუნებდნენ და გადმოახტუნებდნენ; გასაკვირი აღარაფერია ამის შემდგომა, დიდი მაგალითია, დიდი გაკვეთილია, ახსნა აღარ უნდა, ჩიჩინი აღარ უნდა, შთაებეჭდებოდა თვით ჩლუნგ გონებასა, ჩლუნგსა, უჩლუნგესსა; შთაებეჭდებოდა და შთაებეჭდა, გასაკვირი აღარაფერია, გასაკვირიცაა იმავე დროსა: მაშინ რო აღარაფრად უღირდათ ხატები, ეკლესიათა ბიბლიოთეკები რო აღარაფრად უღირდათ, ციხე-დარბაზები რო აღარ უღირდათ აღარაფრადა, არაფერი რო აღარაფრად უღირდათ, მერე ასე როგორ გამობრუნდა ყველაფერი, — გასაკვირიცაა რაღა თქმა უნდა, ამისთვისა რაღა თქმა უნდა; გასაკვირია: ბავშვობისას რო ეხტუნა ხატების კოცონზე, ეხტუნა და ეხტუნავებინათ, რო წამოერტყათ ხელი ტაკუნაზე მოწონებისადა, რაღას უწუნებდნენ დიდობისასა თუ მხოლოდ გაეძარცვა გადარჩენილი ხატები, მხოლოდ გაეძარცვა, აღარ დაენთო ჭიაკოკონანი, — გასაკვირია რაღა თქმა უნდა; გასაკვირიცაა, პასუხს რო მოსთხოვდა, ვისაც თვითონვე რო არა სწამდა ხატნი იგივენი, — გასაკვირიცაა და აღარც აღარაფერია გასაკვირი ამ ცოდვით სავსე წუთისოფელშიო. მოსაყდრე მაინც დაიბნეოდა, რაც უნდა იყოს დაიბნეოდა: ჯერ ზედ ეხტუნა, მერე ბერად შემდგარიყო, მერე განეძარცვა, — დაიბნეოდა და დაბნეულიყო რაღა

თქმა უნდა, ოღონდ ესაა, რო განეძარცვა ხატნი, შეენახა, განძარცვულნი, გატყავებულნი, გასაცოდავებულნი, მაგრამ რაც იყო თუ როგორ იყოო, ჰო უშველა ჯუანშერსა, ბრალდება მოეხსნა, მხოლოდ ეს ბრალდებაი, ჩამოაშორეს „მოსაყდრის საქმესა“. სხვასაც ასევე ჩამომაშორებთო, ნიშნს მოუგებდა, ის მაინც უნდა მოვკლაო. ნიშნს მოუგებდა, მაგრამ დრო უნდოდა, მოთმენა უნდოდა, გაძლება უნდოდა თუ მართალი იყო. გამძლები გაუძლებდა, მხოლოდღა გამძლები. ის მაინც წინ ედო: საჩივარნი ტურისტებისა. ედო და სდებოდა. არც ინანებდა, — რაც ჩაედინა ჩაედინა, პასუხსაც აგებდა მოთმინებითა, მხოლოდ ის უჭირდა, რაც არ ჩაედინა, ვერ გაუძლებდა რო გამძლებიცა, არც რო მშველელი არსაით მოუჩანდა, — არცა რო თანამონაწილენი, არცა რო მახლობელნი. ჰო არც ასახელებდა თანამონაწილეთა, დაეფარა და დაფარულიყვნენ. ჩავარდა ჩასავარდნი თუ განწირული ბედისაგან, თვითონ უფრო მიჩქმალულიყვნენ. ეს ასე მოდისო, როგორც იტყვიან, ჯგუფობრივი დანაშაული რო უფრო დამძიმებულა კოდექსების მიხედვითა, ეს ასეც უნდაო. ბაბულიმ გაარკვია, ამდენი გაარკვია, ამდენ გამოკითხვაში, ამდენ სიარულში ჯუანშერის გზაზედა. მეტი არავინ რო არ გასდგომოდა იმ გზასა, ანთუ ფეხი არავის გადასცდენოდა, ხანთუ დედინაცვალი გაჰყვებოდა, მეტი არავინა, არავინა მეტი, პირველყოვლისა რო მამა არა, — პირველყოვლისა რო ის განუდგა და მერე სხვებმაც აიღეს ხელი, ანთუ დაიბანეს ხელი. მამამ ფეხიც ამოიკვეთა შინიდანა ერთხანსა, შვებულებითაც აღარ ჩამოსულა, მივლინებითაც აღარა, გზა აუქცევია, არაფერი გამაგონონო. ბაბულის უკვირდა. წერილიც დაუბრუნდა გაუხსნელი. წერილიცა. და რო არც არაფერსა სთხოვდა. ანუგეშებდა: მოსაყდრის „საქმეში“ არა რეულაო. ანუგეშებდა. ის თავს იმართლებდა, ვაფრთხილებდიო, სწორი გზით იარე, ფეხი არ დაგიცდეს, თუ დაგიცდა და არა გქონდეს ჩემი იმედიო. ვაფრთხილებდიო, — ფეხი არ დაგიცდეს, ფეხი არ დაგიცდესო. ზრუნვაა ცხადია, ვერ აუხირდები. და შესაძლოა ამაყიც გახლდა, ისეთი ამაყი, რო ისე ერჩივნა, მოეგლიჯა შვილი გულიდანა, ვიდრე დაეხარა თავი, ვიდრე ველარ აეხედა მაღლა, — ვინ იცის, ვინ უწყის, ხასიათია, ბუნებაა კაცისა. შესაძლოა. თუმცა ეჭვობდნენ, რო უფრო დაშინდა, ემანდ პასუხი მე არ მომთხოვონ, არ მომხსნან, სამსახური არ დამაკარგვინონო. ცემა გმართებს გამზრდელისაო; სასიკვდილო მე ვარ მხოლოდო? ეს სხვაა, ის კიდევ უფრო ახლოსაა, ცემა გმართებს გამზრდელისაო, — და ამისი შეეშინდაო, ცემისაო, შეეშინდაო, შეშინდა და შეიმალაო, ხოხობივითაო, რო დაიჭყვირებსო, რო თვალებს დაჰხუჭავს, რო თავს შერგავს ეკალბარდებში, თვალებსა, თავსა, ტანი რო მოუჩანს, ბოლო რო მოუჩანსო. შეეშინდაო. შიში შიშია. და ისიცაა, პასუხი რო მოეთხოვება მამასა შვილისთვისა. ბაბულის უკვირდა. არა, არა, ეს არ უკვირდა, — თანამდებობა რა შუაშიაო. ანთუ შულლია ალბათ რო შუაში, რას იზამ შულლსაც რო მოვლა უნდა. ბაბულის ამას ვინ აუხსნიდა, — ბაბულის უკვირდა. ბაბული სძრახავდა. მამასა სძრახავდა. მამა გახლდათ და პასუხს აგებინებდნენ შვილისათვისა, შვილი იყო და პასუხს აგებინებდნენ მამისათვისა. რეაბილიტაცია მიეღო მამისა, ახლა შვილისა თუ უნდა მოეკითხა. ის გადაეტანა. შეეცვალა ადგილი, ის არა, არა, არ აეხსნა პასუხისმგებლობა, არ შეეცვალა. თვითონ იხსნიდა, თვითონ იშორებდა თავიდანა, არც რო ბიძები გაიცხელებდნენ თავსა და ესლა რჩებოდა მზრუნველადა, ესა — დეიდაი, ბაბული, ამ ერთის დეიდაი, დანარჩენთათვის რო მამიდა გახლდა. მამიდა ბაბული. დეიდა ბაბული. და წუხდა ბაბული, დეიდა ბაბული, თანაუგრძნობდა დედინაცვალიცა, ჩუმადა, ფარულადა, ქმარს რო აეკრძალა, სიმშილითაც რო ჰხდებოდეს სული,

ლუკმაპური არ მიაწოდოო, აეკრძალა, ისე, იმგვარადა, რო ჩურჩულებდნენ, თითქოს კედელზე უდევს ყურიო, ანთუ ჩვილსაც ერიდებოდნენ, ჩვილსაცა ცხადია, რო ჩასძინებოდა, რო ფშვინავდა მკრთალადა, უცოდველადა, მაინც რო ქცეულიყო ცოდვის კითხვადა, რო მიეტოვებინა მამასაცა, დედასაცა, დიდედასთვის რო მიეგდოთ, დიდი თავი გაქვს და თავში იეციო. და იცემდა თავში და ელოდა რო მოუვიდოდა სხვა ბავშვითაცა და მერეც ასევე მოუვიდოდა და ფეხს დავკრავ და გადავიკარგებიო და თავში ქვა იხალონ და მუცელში სამართებელიო. და აწივლდა ბავშვი, უეცრად აწივლდა, უეცრად რო გამოიღვიძა, და ბოთლი ჩასჩარა პირში დიდედამა, ანთუ — საწოვარ წამოცმული ბოთლი. შიგ თუ რა ესხა, რა უნდა ითქვას, რძე იქნებოდა, ლატლატა რძეი, თუ ეგრეთწოდებული „საკვები“, ლოყებლაყულაყა ბავშვის სურათებს რო აწებებენ ფაბრიკებშია, ხოლო შინ რო მაინც არ ულაყლაყებდათ ლოყები იმგვარადა, არა, რატომღაც არ ულაყლაყდებათ; რაც იქნებოდა იქნებოდა, მიეძაგრებოდა ბავშვი, გამოიდენდა ტუჩებზედა, ეს თუ ერთბაშადა, დაიფშხალებოდა მალე, დაიმანჭებოდა, აიცილებდა საწოვარსა, მიეტანებოდა გულზე დიდედასა, მიეტანებოდა, თუმცა არ ეგემა დედის ძუძუი, მაინც ძუძუს მიეტანებოდა და ჯანდაბას იაროს დედაშენმაო, მაინც ჯანდაბის გზაზე დადისო, მიაწყევლიდა და ისევ საწოვარსა სჩრიდა და ისევ იშორებდა ბავშვი საწოვარსა და ისევ ძუძუს ეტანებოდა და ისევე იწყევლებოდა დიდედაი და ტიროდა ბავშვი და შიოდა და ტიროდა და შიოდა და ისევა სჩრიდა საწოვარსა და ილოღნებოდა და ილოღნებოდა და ჩაიწეროდა ზოლიდან ზოლზე საკვები ბოთლში, ნელნელაობით ჩაიწეროდა. ზოლები. გრამები. მეცნიერული მეთოდები. დისერტაციები. დედათა და ბავშვთა კუთხეი ქალების ჟურნალში, პატარა კუთხეი. მოდების ფართო გვერდის გვერდითა. ლოყებგაბურთული ბავშვი. ფუნჩულა ბავშვი. იქვე მოდელები საწოვრებისა. მოდელები დაზოლილი ბოთლებისა. რჩევანი. გაანგარიშებანი. პროცენტები. კალორიები. იქვე კაბები აფრიალებული. ფერადფერადი. ჭიპამდე ჩაჭრილი. მკერდი ამოზიდული. ამოზიდული. მოზიდული. ოდნავ მოშლილი. მოღიავებული. უფრო და უფრო რო მოღიავდება. სამეფო კარი, წელსზევით შიშველი. შიშველი გული. შიშველი ბეჭები. გლუვი. გლუვი. წელქვევით შლეიფი, გრძელი, გრძელი, პაჟებს რო უჭირავთ. ლუდოვიკო. რომელი ერთი, — თუნდაც რო ბოლოი. მძიმე იყოს აქ ფეხი იმისი, დედაშენისაო, დიდედა ამბობდა, იმის შიშითა, მეორეც არ მომაყენოსო; ოღონდ რო იცოდე, მძიმე იყოს აქ იმისი ფეხიო, აღარ მოვიდესო, ამასა ნიშნავს, ასეა, ასე აქ სხვა სახეა, სხვა შინაარსია, ასეა, ასე, იცვლება ყველაფერი, თითქოს ფეხია, ფეხია და მეტი არაფერი და შეიცვლება, გარდაიქმნება, გარდაისახება, ერთი სიტყვაც რო დაუმატო, აი თუნდაც რო — ფეხი დაიდგაო, დაორსულდაო. და ეშინოდა სწორედ იმისი, უკვე ფეხმძიმედ რო ბრძანდებოდა.

— ეგება ვნახო...

ბაბულიმა თქვა.

— თვითონვე მოგაკითხავს, კარგად იცი, რა ფეხმრავალაა.

დიდედამ დაატანა, ბავშვი წოვდა, დაატანა ცოტა მშვიდადა.

— ჯუანშერზე ვამბობ...

— ჰოოოოო...

ეგებაო თვითონვე რო ამბობდა, თუ მოგიხერხდებაო, დასძინა ამანაცა. შეიძლებოდა, რო იმედიცა ჰქონოდა: ორჯერ უკვე მოუხერხდა, ინახულა ორჯერა. ერთხელ მაშინვე, დააპატიმრეს თუ არა, ოდესაშია. ჩაფრინდა მაშინვე, გაიგო თუ არა, მამამ რო ხელები გაატატანა, ბიძებმა მხრები რო აიხუხეს, ჩაფრინდა, ინახულა. მაშინ არაფერი, მაშინ იყო რო თამაშად უჩნდა, ჯუანშერსა რაღა თქმა უნდა. მხნეობდა. ყოჩაღობდა. ხუმრობდა. ნეტავი რა მოგა-

რჩენინებდაო. მალე გამოვალო. რა და-ჰაშავებია, ვინ რას ძერჩისო. ვიღაც ამერიკელი თუ მომიტყუებია, ეგეც იმასაო. აქაური არავინ მომიტყუებია. არც არავინ მომატყუებინებდა თავსა, ყველა ჩემზე ეშმაკიაო იმაზე ახია, რა თავს ისულელებდა, რა ეშმაკად უნდოდა ხატი. რამდენ ფულსა ჰყრიან, რო იცოდეო, მართლა რო რაღაცა გეგონება ხატიო, არა და არაფერია, არაფერი, ხეა და საღებავი. მეტი არაფერი, მეტი არაფერიო. ჰედურ ფირფიტებსაც თუ ზედ შეაბამ, ჰკუასა ჰკარგავენო. კარგავენ და დაჰკარგონო, ახია, მაგათზეო. იცოცხლე, ჯავრი ვიყარეო. მხნეობდა ასე. ასე ხალისობდა. მადლობა მეკუთვნის, რაც რო მე მაგათ დოლარები დავაყრევინეო, აბა სასჯელს რას მერჩიანო. ხუმრობდა ასე. იკრიჭებოდა. აწვალებდა სიგარეტსა, ენითა, კბილებითა, მიმოიგდებდა კუთხეებში ტუჩთა. ხან თითქოს თუ გადაჰყლაპავდა, ამოისროდა მერე უეცრადა ბოლთან ერთადა, ამოისროდა და თითქოს აი და გადააფურთხებსო, მაგრამ არაო, დაიგორებდა ისევ ტუჩებზედა. ერთობოდა ეგრე, ამგვარადა. „ნუ!.. ეგრე ნუ!..“ შეევედრა ბაბული, არ მოუწონა და შეევედრა. ნეტავი შენაო, გაუბიაბრუა, ეგაა ბოლო მაინც მოარიდე. მიიბრუნებდა პირსა, ისე გაბოლქვამდა და თითქოს ითვლიდა ბოლქვებსაო. სიტყვას ისევე ათამაშებდა: რაც მე იმათ დოლარები დავაყრევინეო, სადაც სამართალია, ჯილდო მეკუთვნისო. არც დამიმალია და არც ერთი კაპიკიც არ გამვარდება, თავდაყირაც რო დამკიდონო. სულ გავფლანგეო, ისევე წუთითაც რო არ დამიხანებია ჯიბეშიო. ისევეო. მაშინვეო. ერთობოდა ასე იმ პირველადა, მეორედ ვეღარა — ეს უკვე თბილისში, ვეღარა ხუმრობდა, ვეღარ ერთობოდა. მოტეხილიყო. მოღვენთილიყო. თვალი უფრთხოდა. სიგარეტი თითებში ეჭირა. იფერფლებოდა სიგარეტი. აღარც შერჩენოდა ფერ-ხორცი თავისი. თითქოს სხვა იყო გარეგნობითა, სიტყვაპასუხითაც სხვა იყო თითქოსა. ტყუილია ყველაფერი, ტყუილია. ტყუილია. ტყუილია ყველაფერიო. იმეორებდა და იმეორებდა სხვადასხვაგვარადა, ენა რო აღარა მორჩილდებოდა. იმეორებდა და იმეორებდა, მაშინ ჯერ კიდევ რო არ იცოდა ბაბულიმა თუ რა ბრალდებანი დამატებოდა. ტყუილიაო, ისე ამბობდა, რო ეშინოდა ხსენებისაცა, გახსენებისაცა, რო მაინც ახსენებდნენ, რო მაინც ახსოვდა და რო ვერ იცილებდა თავიდანა, ისე ამბობდა, ისე ძრწოდა. ძრწოდა. სხვა გახლდა. და შეძრწუნდა ბაბულიც და ეჯა მამასა მისსა, ეჯა ძმებსა, ანთუ ბიძებსა იმისასა, ვერა გააწყო, გაგონებაც აღარ უნდოდათ. და დარჩა ბაბული მარტოდმარტოდა, აქეთ ეს მარტო, იქით დანარჩენნი, დედინაცვალი თუ თანაუგრძნობდა, მაინც მარტოდა, რო არაფერი რო არ შეეძლო, გარდა დარდისა, წუხილის გარდა. არაფერი. არაფერი. დარდმაც თავისი არ დააყოვნა, დაზიდა, დადრიკა, დააბერა რო თითქოსაო, ანთუ ლამის რო დააბერა. ოღონდ ამას აღარ გავყვები, რადგან მთავარი ახლა ისაა, რო მიელია, მიუწყდა დარდი, მიეწრიტა, მიუწყდა დარდი, რო ვერც გაიგო, ისე მიუწყდა, გაუქარდა. გაუქარვდა. და მიავიწყდა ჯუანშერი, თურმე მიავიწყდა, ანთუ ისე აღარ აგონდებოდა, იმა ღელვითა, იმა ტკივილითა, თითქოს ციხეშიც რო აღარ იყო, ანთუ არც რო მოხვედრილიყო, გადავარდნილიყო თითქოს ისევე ის ურჩი შვილი, დიდიხანია გადავარდნილიყო, განელებულიყო თითქოს გული, თითქოს ფიქრიც განელებულიყო, დიდიხანია განელებულიყო, თითქოსაო რაღა თქმა უნდა. ფრიდონთან მაინც სულ აღარ ახსოვდა, ანთუ ყველაფერი ავიწყდებოდა: დარდი ჯუანშერისა, დისერტაციის დარდი, ძმისწულების დარდი თუ სხვა რამ წვრილმანი, თუ სხვა რამ სხვილმანი, ავიწყდებოდა თუ აღარც იყო, აღარც იყო და აღარც იქნებოდა, თითქოსაო რაღა თქმა უნდა. და მიჰხვდა და შეძრწუნდა, რო განელებოდა დარდი, წუხილი, რო განახ-

ლებოდა განცდანი ისე, სიხარულისკენ რო მიიწევდა. სიხარულისკენა. და შეძრწუნდა და აირია და გაუცნაურდა და ანთუ იდგა ზღვარზე გარდაქმნისა და ველარ გაეგო ველარაფერი. იცვლებოდა წამდაუწუმა: მოიცისკრებდა და მოიღრუბლებოდა, გაიცინებდა და ამოესკვნებოდა გული; შინ იყო და გარეთ მიიწევდა; გარეთ იყო და ენატრებოდა შინა; მარტოობა ველარ აეტანა და გაურბოდა ხალხსა; იდგა და დაჯეს ეწეოდა მუხლები, იჯდა და სული ეხუთებოდა; თანხმდებოდა და უარყოფდა, უარყოფდა და თანხმდებოდა. წამდაუწუმა. წამდაუწუმა. ფრიდონი მაინც არ მოეშვებოდა, არ ეკითხებოდა რო მიზეზსა, არც რო ნუგეში მოუხერხდებოდა, ოღონდ ესაა, გაიყოლიებდა, უსათუოდ გაიყოლიებდა ანთუ ვერნისაჟზედა, ანთუ გახსნაზე მემორიალისა, თბილისსა თუ თბილისს იქითა, ანთუ დღეობაზე, ამ ახალ დღეობებზე, უკვე ყველა სახელი რო ბრუნავს და რო არ აერიოთ ერთმანეთში, მალე გვარებზე გადაინაცვლებენ, ანთუ ისევ დააჯგუფებენ, ანთუ რაც იქნება, აიყოლიებდა, დაიყოლიებდა, ხან დაუთმობდა, დასტოვებდა თავის ფიქრთანა და მიმხვდარიყო, რო ვერ მოისვენებდა, ბაბული ესე იგი. მიმხვდარიყო, ფრიდონი ესე იგი. გაეცლებოდა მაინც ერთხანსა.

ეს ელოდა.

ელოდა.

ქეთლი თუხთუხებდა.

თუხთუხებდა.

დაშრებოდა ქეთლი.

X

დაშრებოდა... ერთორ საღამოსა, მერე ისევ გაისმოდა კაკუნი. ზარი არა. ზარი მოშლოდა ბაბულისა. ფრიდონს ალედგინა, ოღონდ რახან რო დააკაკუნა ერთხელა, აკაკუნებდა და აკაკუნებდა, შუათითითა, მოჰხრიდა და აკაკუნებდა. სხვა ყველა დარეკავდა ზარსა, ზარი რახან იყო, დარეკავდა ზარსა. ეს არა. აკაკუნებდა. იცნობოდა კაკუნი, უმალვე იცნობოდა. ზარი მაინც გამოცანა გახლდა, ერთნაირად რო აირეკებოდა ზარი, ელექტრო ზარი. დააკაკუნებდა და მიაწკიპურტებდა მერე ოთხივე თითითა, გამოსდებდა ცერსა ერთადა, ერთდროულადა მიაწკიპურტებდა. და გაიღებოდა კარიცა, უმალვე, მყისვე. გაიღებოდა შუქითა, შუქადა. შუქადა. რამდენიც რო უნდა ეწუხა, აენთებოდა მაინცა უმალვე, რამდენიც რო უნდა ეწუხა, იმაზე თუ რად არა ვწუხვარო, აბრიალდებოდა, აენთებოდა კარებამდეცა და კარებშიცა. საღამოსა, რო ეშვებოდა ბინდი, ჯერ ელექტრონიც რო არ აენთოთ. საღამოსაო. რო თუხთუხებდა ქეთლი,თუხთუხებდა დღეში ცხრაჯერაც გადაეყრებოდნენ ერთიმეორესა. დიდია თბილისი. მაინც გადაეყრებოდნენ დღეში ცხრაჯერა. დიდია თბილისი, გული პატარა აქვს, გული პატარაა, გულზე უვლიდნენ და გულზე ხვდებოდნენ, თუ გულში ხვდებოდნენ ერთიმეორესა. ბაბული ჯუანშერის გზაზე დადიოდა. ევლო. მირბოდა. მორბოდა. არც უჩერდებოდა. არც აჩერებდა. გაუცინებდა და მირბოდა. მეტს ვერავის ველარცა ჰხედავდა. არავის უცქერდა. ვერავის ამჩნევდა. მირბოდა, მირბოდა თავჩაღუნული. აიხედებოდა და ის უდგა თვალწინა, მართლაცა და მოჩვენებითაცა. იმ ცხრიდან რვა ალბათ მოჩვენება გახლდა, ერთი მართალი, მართლაც მართალი. და არ იღლებოდა, ანთუ — იღლებოდა რაღა თქმა უნდა, არ იქანცებოდა ოღონდაო, არ იქანცებოდა, ძალა ჰყოფნიდა დიდხანს ლოდინისა მოსაცდელებში, ძალა ჰყოფნიდა თხოვნა-მუდარისა, ათჯერ მისვლის ძალა ჰყოფნიდა, ასჯერ მისვლის ძალა ჰყოფნიდა, ათასჯერ მისვლის ძალა ჰყოფნიდა, ერთთანაცა და ათასთანაცა, ერთი საქმისთვისა, ერთადერთისთვისა, ჯუანშერი რო ენახა, რო შეჰხვედროდა რამდენიმე წუთითა. ველარ მოუხერხდა. იმ ორჯერ მოუხერხდა, ადვილადაც მოუხერხდა. ახლა ველარა. არც რო უარს არავინ ეუბნებოდა, ყველა რო ჰპირდებოდა, რო ანუგეშებდა

ყველაი, ნაცნობიცა და უცნობიცა, მრისხანეცა და ლმობიერიცა, ცბიერიცა და გულმართალიცა, ჰპირდებოდა და ანუგეშებდა. თუმცა აქ რა მოსატანია: ლმობიერიო თუ გულმართალიო, მაგრამ თვითონ ამოტივტივდა, როგორც ცნებანი საპირისპირონი, ლმობიერი მრისხანესი, გულმართალი ცბიერისა, ამოტივტივდა და ამოტივტივდეს, კარგია ისედაცა, ცნებადაც კარგია, — ამოტივტივდა და ამოტივტივდეს. რაც უნდა იყოს, უარი არ უთქვამთ, რაც უნდა იყოს, იმედი ჰქონდა. და გზაც არ გააჩნდა ვედრების იქითა. ასე უმოძლვრებდა დეიდა თეოცა, დეიდა თეო — დედა თებრონია: ცხოვრება მხოლოდ სასოწარკვეთაა, მეტი არაფერი, სასოწარკვეთაა, ლოცვაა ნუგეში, ნუგეში შვებაა, შვება იმედია, ილოცე, იმედი რო ღვივოდეს როგორმე, ღვივოდეს, არ ჩაჰქრეს, სასოწარკვეთას რო მოერიოო, — ასე უმოძლვრებდა დეიდა თეოი, დედა თებრონია. ასე უმოძლვრებდა და რო განდგომოდა სასოწარკვეთასა, ეკლესიას შეჰფარებოდა, შეჰფარებოდა თუ გაქარწყლებულიყო ხატთა შორისა თუ აკრულიყო ხატი ვითარცა, რო ეწყო წინა სანთელნი, კელაპტარნი, რო აღიძვროდა ხელი, მხოლოდღა ხელი, ცალი, რო განუწოდებდა სანთელსა, სანთელსა ხელი სანთელივითა. სახე არაო, არ შეიძროდა, თვალნიც არაო, არც რო წამწამნიო, ხატი ვითარცა, არ შეიძროდა. და იდგა სუნი სანთელისა და აწვდიდა სუნსა სანთელისა და მიიღებდა ფულსა, ხარჯსა ეკლესიისა, და არ უდიოდა სუნი ფულსა და არც დაედებოდა სუნი სანთელისა და უნდა მიეღო ფული და რო მდგარიყო სუნი სანთლისაი ეკლესიაში და არ ასდიოდა სუნი ფულსა და იდგა სუნი სანთლისაი. ბაბულის მხოლოდ შაურს ართმევდა, ერთ შაურსა, ერთ ღერ სანთელში, შენ მხოლოდ ილოცე, ილოცე გულითა მხურვალითა, სასოწარკვეთამ რო არ წაგიღოსო. გულითა მხურვალითა. გულითა მხურვალითა. სათნო გჰყოსო. თვითონ ეფინა სათნოებაი სახეზედა ფერადა სანთლისა, ისიც რო მქრქალი, ნიშანი სევდისა, მორეული სევდისა, ანთუ ძლეული სასოწარკვეთისა, რო აღარაფერი შეუშლიდა არცა თუ სიხარული, არცა თუ მწუხარება, რადგან რო აღარ შეიცხადებდა, რაც უნდა მომხდარიყო, არა, აღარა, ანთუ იმისთვის არაფერიც არა ხდებოდა, — არა, აღარაფერი.

ეგრედაც შეჰხედა.

და

ეგრედვეც მიაწოდა სანთელი.

ბაბული შეყოვნდა, მოიკითხა.

თებრონემ ოდნავ დაჰხარა თავი. არა მიუგო. არც ის დაელოდა, იცოდა, რო არც მიუგებდა, რადგან იმისთვის არ არსებობდა სიცოცხლე კარგი, არც ცუდი სიცოცხლე არ არსებობდა, — იყო, — და მორჩა: იყო!..

ანთუ: არის!..

რაც არის, არის...

იცოდა ბაბულიმა და აღარ დაელოდა.

ტაძარში მდუმარება სუფევდა, მართლაც რო ტაძრული, ღვთაებრივი მდუმარება სუფევდა. მდუმარება ისეთი, მყუდროს რო დაეძებ, ანთუ ისე აიწურები, საით რო მიდგე, რო აღარ იცი. და იქვე მიდგა, შევიდა თუ არა, წმიდა გიორგის ნიშს შეეფარა. წმიდა გიორგის ნიშს შეეფარა და მოექცა შორისა, ერთის მხრით რო მამაოჩვენოსი, მეორეს მხრით მათეს მცნებისა. მამაოჩვენო ზეპირად იცოდა, დაესწავლა ის მცნებანიცა. გაედიდებინათ. გამოექრათ. მამაოჩვენო მამაოჩვენოდა. მცნებანი მცნებადა რაღა თქმა უნდა, ოღონდ მორჩილებადა, მორჩილების მცნებადა, — ხოლო მე გეტყუი თქუენ: გიყუარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ". წადი და გაიგე, იმტვრიე თავი, გონიერება ესაა თუ უგნურება სწორედ ეს არის. მაგრამ ის მათეა, მოციქულია, ამომკითხველი თუ ვიღა

ბრძანდება, მოციქულია თუ მაცდურია, წადი და გაიგე, იმტვრიე თავი; ზევით ეშმაკია, სატანაა, თავისი რქებითა, თავისი ბრჭყალებითა, თავისი ფერითა, ღიმილითა თავისითა, მაცდური ღიმილითა, შემპარავითა, მლიქვნელითა, თაღლითითა, მაცდურითა ანთუ ესე იგი, — ეშმაკია და ქრისტეი გვერდითა, ნები რო მკვეთრად აუქნევია, ვიჯმნი ეშმაკისაგანო, — მკვეთრადა, მტკიცედა, შეუვალადა: ვიჯმნი, ვიჯმნი ეშმაკისაგანო. იესოა და ხილულია მისთვის ეშმაკი. უხილავია იგი სხვათათვისა. უხილავია და ყველგანაა. მაცდურია და ყველგანაა. და უხილავია ცდუნებაი. გვფარვიდე ღმერთო!.. ჩურჩულებს, ჩურჩულებს ბაბული ცხადია. და დაჰხრის თვალთა. აღარ უნდა ზევით აიხედოს. აღარ უნდა ღიმილი იგი. მაცდური. მაცდური. აღარ უნდა. ციალებს სანთლები. ისიც მიუმატებს. ციალებს. ციალებს. სუფთაა ალი. სუფთა სანთელია. აღარაფერია სუფთა. სანთელიც სუფთა აღარ არისო. დედა თებრონიას სანთელი სუფთა, წმინდაა, იწვის წმინდადა, არა თუ იწვის, — დნება წმიდადა, დნება მდუმარედა, მდუმარებაში დნება. და გაისმის ჩურჩული, მართალი ჩურჩული, ჯერ რო ეგონა მომეყურადაო: „ჯუანშერი გთხოვთ. უნდა ინახულოთ. საჩქაროა. მალე შეიძლება გადაიყვანონ. ან ვინ იცის... უნდა ინახულოთ. გთხოვთ. საჩქაროა“. გაისმის და მიწყდება. დამდუმარდება ისევე ტაძარი, ჩურჩული იგი მიჰქრება თუ არა. მოეჩვენება, რო ხელი გადმოუვლის მხარზედა, სანთელს მიაბნევს სასანთლეზედა, გადმოუვლის და გადაუვლის, მოეჩვენება თუ მართალიცაა, ველარ გაიგებს, მართლაც თუ ვინმე ამოსდგომოდა ზურგთუკანა, ველარ მიხვდება, თუმცა მიიხედავს, — ველარავის იხილავს და იყო თუ არა, ველარც დაიჯერებს, უფრო ხატებს მიაცივდება, იმათ თუ უთხრეს!.. მაგრამ რო სდუმან?.. რო არ ემჩნევათ, რო ეთქვათ რაიმეი?.. იესო უარზეა. ეშმაკი იღიმის ისევ ისევე, ეშმაკი მოუბნობს, ეშმაკი თუ იყო?.. რა მოგახსენოთ, ღვთისმშობელი თითქოს მიუგებს, მოციქულებიცა — რა მოგახსენოთო, მხოლოდ იუდა ეამბორება იესოსა, აი ესაა, ჯვარს აცვით ეგეო, ასე, ამგვარად ეამბორება. სამოსელსაც ეტყობა ასე. თვით სამოსელსა. გამოყვანილსა ხაზებითა და კუთხედებითა. ახალი ხატებია. ახალი ფრესკები რაღა თქმა უნდა. გლუვი არაა მონასმები, ჩვეულებრივი გლუვი და ლბილი. კუთხედებია. თითქოს ბექთარი ჩაუცვამთ. ზუჩი ახურავთ. შემოუკრავთ საბარკულები. სამხრეები. სახის ხაზებიც მკვეთრია ისე. სხვაგვარია. სხვა სიმტკიცეა. იქით კუთხეში ისევაა ხარაჩოი მიდგმული. არ მოთავებულა. იქ ჰო არავინაა?.. აკვირდება. წარსდგამს ფეხსაცა. არავინაა. მოსათავებელი ფრესკებია. მეტი არაფერი. მეტი არავინაა. მთქმელი არაა. თუ ითქვა ცხადია. ითქვა. ითქვა. სჯერა, რო ითქვა. და რახან ითქვა, უნდა პასუხიცა. მიდის იქავე, იმავე ნიშთანა, წმიდა გიორგისა, სასანთლესთანა რაღა თქმა უნდა და ჩურჩულებს, ისევე ჩურჩულებს, რო მდუმარება თითქოს არც ირღვევა, რო ყველა ისევე გართულა თავისი საქმითა თუ ზრუნვითა თავისითა, ყველაი, ანთუ სახარებისნი, ანთუ გარეჯელი, ისევ ისევე რო სწველს ირემსა, ჩურჩულებს ასე ერთისიტყვითა, რო მდუმარება თითქოს არც ირღვევა: „ვცდილობ, რაც შემიძლია. ვერ ვახერხებ. მაიმედებენ. კიდევ ვეცდები. გულს ნუ გაიტეხს. იმედი დიდია. იმედი ჰქონდეს“. ჩურჩულებს ჩურჩულებს ისე, რო მიჰყვება თვალითა, ფრესკებს მიჰყვება, აბა თუ რომელი უფრო მისმენსო. ეგება ისევ წმიდა გიორგი?.. ძირს გველეშაპია განგმირული, ანთუ სულსა ლაფავს, — ლაფავს, ლაფავს!.. განგმირულობა იმდენი არაფერი, რო ლაფავს ისაა, ის არის, რაც არის, შურისძიება მხოლოდ ის არის და სიცოცხლე იქცა შურისძიებადა. ხოლო მათე: კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ, ხოლო

თუ ამომკითხველი, ხოლო თუ გამომკვრელი... ოღონდ აქ ირღვევა მდუმარება. ჯერ ჩრდილები შემოდის, მზე რო დახრილა, რო შემოჭრილა ტაძრის გულამდე, ტაძრის კარითა, ჩრდილები შემოდის და მოსდევს ჩქამიცა, ანთუ უსწრებს, — წინა ცხადია, ოღონდ ეს შენიშნავს ერთდროულადა და, რო ვერც მოასწრებს, რაიმე იფიქროს პატრიარქი შემობრძანდება, კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსი, თავისი ამალითა, მცირე ამალითა, რამდენიმე ეპისკოპოსითა, მხატვრებითა, ხელოვნებათმცოდნეებითა, პასუხისმგებელი პირებითა, მოხალისეებითა, — ეს უკვე დიდი ამალაა ცხადია, ოღონდ ესაა, აღარ არის იმისი, ოღონდ ესაა და ისიც ისაა, მოხალისენი ქალები გახლავან, უცებ მოკრებილნი, გადაძახილითა თუ ტელეფონის ზარითა, გამოხმობილნი, თუმცა რო გაძნელდა მიტოვებაი სამსახურისა, გამოძრომა ხერხდებოდა მაინცა, მერე ასეთი განსაკუთრებული შემთხვევისათვისა: კათალიკოსი მიბრძანდებოდა ახალი ფრესკების მოსახილველადა, — განსაკუთრებული შემთხვევისათვისა. და ქალები გახლდნენ. და არა სწირავდნენ. არ იდგა სუნი საკმელისა. იდგა სუნი სანთლისა. და გადაჰყლაპა სუნმა სუნამოთა, მრავალთა, დამათრობელთა, დიდიხანი რო არსაიდან შემოდიოდა, ახლა ერთბაშად რო შემოდიოდა, რო დახარბებულიყვნენ ქალები და ახლა ერთბაშად რო ამოევლებოდნენ ერთშიცა და ორშიცა, რამდენიმეშიცა, დასავლურშიცა და აღმოსავლურშიცა, სამხრეთულშიაცა, ჩვენსაში აღარა, აღარა, აღარა. თუ რატომაო, არც რო სათქმელია, აქ მაინც არ არის მოსატანი. მხატვარი უხსნიდა, ანთუ ეკითხებოდნენ და მიუგებდა, ახალი მხატვარი, ახალი მომხატველი, სიზმრადაც რო არ მოაფიქრდებოდა, ფერებით ხელში, ფუნჯით ხელში თუ შეჰხედავდა გუმბათსა ტაძრისა, — სიზმრადაც არა, არ მოაფიქრდებოდა, თუმცა იცოდა ბიოგრაფია მიქელანჯელოსი, რაფაელის ბიოგრაფიაც იცოდა, დამიანეც იცოდა, თუმცა ბიოგრაფია არ იცოდა დამიანესი, რადგან რო ჩვენში ბიოგრაფია არავისა აქვს, რუსთაველსაც არა, მხატვრებს ჰო არა და არა. ამას მაინცა ჰქონდა ბიოგრაფიაი, მადლობა ღმერთსა, — სიზმრადაც არ მოაფიქრდებოდა; ასურათებდა არსენას ლექსსა. ბურთებივით კუნთები ასხდა არსენასა; თავი არც რო ჰქონდა, შუბლი არც რო ჰქონდა, კუნთები ასხდა ბურთებივითა; ასევე ზაალსაცა, ფარსადანსაცა, კუჭატნელსაცა, — ჩამობრძანდი ემაგ ცხენსაო, — იმასაცა და იმასაცა, — წრე ბატონობდა, რკალი ბატონობდა, ბატონობდა ხაზი წრიული; გალაკტიონიც იხაზებოდა ეგრე წრესავითა: მარცხენა ხელი ზურგთუკანა, მარჯვენა წინა, წიგნითა თუ ეტრატითა, ფიგურა წაწვდილი, როგორც რო სჩვეოდა, იხაზებოდა, იხაზებოდა, გალაკტიონიც იხაზებოდა, თვითონაცა და ამისიცა; მერე ქალებიცა, მშვენიერი ქალები, ამისი ქალები, რო შემოედოთ მარცხენა ხელი იმათაც წელზედა, რო წაწვდილიყვნენ და წავარდნოდათ უბეი წინა, — იხაზებოდნენ, იხაზებოდნენ, წრეში იდგნენ და ტრიალებდნენ წრეშია; აქ წრე აღარ გახლდა; სიზმრადაც არ მოაფიქრდებოდა. ხაზი ბატონობდა, კუთხე და ხაზი, სწორი. იუდას სამოსიც ხაზებში რო ამომჯდარიყო, რო წატეხილიყო, კუთხედადა ცხადია, წრიულად არა, კუთხედადა, წატეხის ჩრდილებშიც იხატებოდა იუდა იუდადა; ხოლო ღვთიშობელი, — არა იგი რენესანსული, ღმერთიც რო შესცდებოდა, არა, ისეთი: ღმერთიც რო ანდობდა ძესა თავისასა. ეს ფრიდონმა თქვა. ის არა, ღმერთიც რო შესცდებოდაო, კათალიკოსთან ეს არ ითქმოდა, მხოლოდ ესა თქვა, — მართლაც ასეთ ქალს თუ ანდობდა ღმერთი ძესაო. მხატვარს გაეხარდა, გაუღიმა მხატვარმა, მომხატველმა ამა ფრესკათა, წვერულვაში ჩაფლული ღიმილითა. ფრიდონმა თქვა და დაჰხარა ქუთუთონი კათალიკოსმა, ნიშნად თანხმობისა თუ ნიშნად ჩაფიქრებისა.

ოღონდ თუ რაც იყო, ფრიდონმა თქვა და ეცნო ხმაი ბაბულისა, ეცნო და ეგონა, მომეყურაო. მაინც არ გაჩერდა. მაინც აფორიაქდა. მაინც გაიპარა, წინ რო წამდგარიყვნენ ყველანი, უკვე წამდგარიყვნენ, კათალიკოსიცა, ამალაც მისი. მცირე ამალაი, სხვანიცა, ვისაც რო ეხებოდა, ვინც რო აჰყოლოდა ფეხის ხმასა. მაინც გაიპარა და ვერც გაიპარა, ვერც რო მოასწრო, დედა თებრონესთვის ეკითხა რაიმე: ვინმე თუ იყო, ვინმე თუ შემოვიდა, მართლა ხატებმა ჰო არ დამძახესო, ვერც რო მოასწრო და არც რო მიუგებდა, რო იყო ისევე, საზღვარზედა ორი ქვეყნისა, აქეთ რო იყო და იქითაც იყო, ანთუ აქეთ რო იყო და მხოლოდ იქით რო იხედებოდა, — ვერც რო მოასწრო, ხმა მოესმა, მოიცადეო; გამოდევნებოდა გულიკოი; ველარც ის მოასწრო, კარგად გაერჩია, გულიკოი რაღა თქმა უნდა, სხვაც თუ რა მისძახა, ისიც გაეგონა, გამოდგა კარზედა ფრიდონიცა, გამოდგა და წაიშალა ყველაფერი, გაქარწყლდა ყველაფერი, ანთუ ფრიდონი გადაეფარა ყველასა და ყოველივესა, იმა საზღვარსაცა სააქაოსა და საიქაოსო, იმა მესაზღვრესაცა თუ საზღვარს მიმდგარსაცა, ყველასა და ყოველივესა ერთი სიტყვითა, გადაეფარა, ამის თვალშია რაღა თქმა უნდა, ბაბულის თვალში, და ისიც ამასვე მოეჩვენა: მოვა და ამიყვანს, ხელში ამიყვანს, თორემ მეც გაქრობა მიწერიაო. და არ გამქრალა, მართლაც თუ აიყვანა ხელში, მართლაც თუ დაისვა მკლავზედა, ბავშვივითა, ბავშვივითა, ჭირვეული ბავშვივითა, ფეხზე რო დახტის და მაინც რო მიიწევს მკლავზედა.

— აქ რო დაგხვდით...

ისედაც უთხრა, თითქოს მართლაც მკლავზე უზისო, თან თუ დარცხვენითა, რო წაასწრესო.

— მე მელოდით?!.

ფრიდონს გაუკვირდა. და წაიშალა ბავშვობაცა, ხელშიაყვანობანაცა, ჭოჭიალობანაცა, წაიშალა.

— არა... არა...

შეკრთა ბაბული, მართლაც რო არაღ.

— მე არ მენახა ეს ახალი ფრესკები, ფრიდონმა თქვა.

— არც მე.

დაატანა ბაბულიმა და შეიძლებოდა მეტიც აღარ ეთქვა, მაგრამ სიწრფოება არ მოასვენებდა, რო არ მოსულიყო ფრესკებისთვისა, რო აწუხებდა ჯუანშერის ბედი, რო არ იცოდა რა ელონა და, რო... რო ფრიდონმაც აქამდე არაფერი იცოდა ჯუანშერისა. მაინც ვერ უთხრა.

— დედა თებრონე დეიდაჩემია, დეიდა თეო...

ესლა უთხრა.

— დედა თებრონე... დეიდა თეო...

რაღაც ვერ გაიგო ფრიდონმა.

— მესანთლე...

აუხსნა ბაბულიმა.

— მაინც არ მიკვირს აქ რო დამხვდით, ისედაც არა... რატომღაც მგონია, რო მოულოდნელად უნდა შევხვდეთ ყოველთვისა.

გამოუტყდა ფრიდონი.

— მეც ასე მგონია.

გაეხარდა ბაბულისა.

— და კიდევაცა ვხვდებით...

— აქამდე?!.

იკითხა ბაბულიმა, თითქოს ბავშვობა დაუბრუნდაო, ბავშვივით იკითხა, თითქოს ცოტა გაბუტვითაცაო, ცოტა აგრეთვე გაკვირვებითაო, კიდევ რო ვერ გაიგებს და კიდევ რო იკითხავს, კიდევა და კიდევაო.

—აქამდე...

დააყოვნა, სხვა ველარაფერი გამოსთქვა ფრიდონმა.

— თითქოს თბილისში არც გვიცხოვრია.

დაასკვნა ბაბულიმა. ბავშვივით აღარა. აღარც რო მკლავზე უჯდა, აღარც რო მიუხტოდა წინწინა, აღარც რო ებუტებოდა, აღარც რო უკვირდა აღარაფერი და თითქოს აღარც აღარაფერს იკითხავსო. მხარდამხარ მიდიოდნენ. ნელა. ტაატითა. გულიკო არა სჩანდა. მიდიოდნენ. არცთუ მიდიოდნენ. ტაატიც სვლაა, — თუ სვლაა, — მიდიო-

დნენ, რაცაა, გალევდნენ მაინცა იმა ეზოსა, ვიწრო ეზოსა, მოკლე ეზოსა, შეჭრილ-შემოჭრილსა, შეკვერცხილ-შემოკვერცხილსა, მიწუთხულსა, რო აღარც ითქმის ეზოდაო, ტაძრის ეზოდაო მით უმეტესადა, ტაძრისა. არა და იყო ტაძარი დიდუბისა და დიდი უბითა, განფენილი უბითა, მინდორითა დიდითა, თამარის ქორწილი რო გაიშალა, მეფე თამარისა, დიდი თამარისა. თამარის ქორწილი!.. სტუმარი უამრავი. ელჩიონი მაშრიყითა და მაღრიბითა. თვითონ მეფენი. მეფის ქორწილი. თათბირები სახელმწიფონი. თათბირები სამსოფლიონი. მაშინდელი რაღა თქმა უნდა. აქა. დიდუბეში. აღსაწერია ის ქორწილი. იგი სიფართე. გაშლილობაი იგი. ეს ეზო რაო, ეს სივიწროვე რაო, ეზოს კედელი რო მიჰბჯენოდა ტაძრის კედელსა, — რა აღსაწერია, რა ისეთი ხელოვნება უნდა. თუმცა ის ითქვას, რახან სიტყვამ რო მოიტანა, აღარც რო ჰქონდა და აღარც რო ექნებოდა მიდამოი თავისი, ისე ფართოი და ისე გაშლილი, აღარც ისე მოიჭედებოდა გაძარცვული ხატები, ისე მდიდრულადა, ისე დიდებულადა, ფრესკებიც ძველი აღარ იქნებოდა, ძველი, ძველი, შეუდარებელი, ეგზარხოსებმა რო ჩამოფხიკეს თუ გადაღლაბნეს, თათრობასაც რო არ ჩაუდენია, ისე აიკლეს, მოინარიკლეს, ეგზარხოსებმა. მერე ჰო... სასწაული მაინც ეს გახლდა, მხატვრებს იწვევდა საპატრიარქოი, იზრდებოდნენ ფრესკის ოსტატები, რო გამქრალიყო ხელობაი ესე, აღდგენილიყო, აღდგენილიყო. აღორძინდებოდა; და მერე რა მალე: ის ჯერ კიდევ ორმოციანი წლების მიწურული გახლდა, გუდიაშვილი რო ჩამოაგდეს ქაშვეთის ხარაჩოებიდანა, — ოციანი და ორმოციანი, — მერე რა მალე, მერე რა მალე რაღა თქმა უნდა, საუკუნეთათვის ვითომ რა არის სამი თუ ოთხი ათეული წელიო, ვითომ რა არისო, — ბევრი არაფერიო. ცხოვრება არ იქნება უნუგეშოდაო. ჭირთა თქმა ლხენააო. მაინც ანდაზებია. ტაატიც სვლააო, იმას ვამბობდი: გალიეს ტაატითა. გალევდნენ. გალიეს. იქავეც იდგნენ. პანთეონთანა. ანთუ ნაწყვეტთანა. მხოლოდღა ეს რო გადარჩენილიყო სასაფლაოდანა დიდუბისა. მხოლოდ ესაო. მხოლოდ ესაო. ნაფლეთი მცირეი. შემოზღუდული. შემოკედლილი. ზედგადმომდგარი შენობებითა. მოსდგომოდნენ. ზედაც უნდა გადაევლოთ. იყვნენ ისეთნიცა, რო უკვირდათ: რის პანთეონიო, რა პანთეონიო. და მიდგომოდნენ. და შესდგომოდნენ. და ჩამოეჭრათ. ჩამოეჭრათ და ჩამოეჭრათ, ჩამეჭრათ და აეგოთ, ესაო და მშრომელთა კეთილდღეობისათვისა, აეგოთ და აეგოთ, კეთილდღეობა რო აეგოთ თავიანთი, აეგოთ და აეგოთ, მერე ბევრი რო გამომჟღავნდა, რო მოაწია ჟამმა განკითხვისა, დაიგმო ბევრი: ვთქვათ თავისი ქალიშვილისათვის რო გამოეწყო მზითევი, ისეთი, ისეთი, ზღაპრული მზითვის წიგნებიც რო ვერ შეუდარდებოდა, თვით საუფლისწულო მზითვის წიგნები, ანთუ „პირველი გილდის" ვაჭართა წიგნები, ვერ შეედრებოდა. თურმეო, ამბობენ; სხვას ცოლისათვის გამოეწყო მზითევი, უფრო ზღაპრული, განშორებოდა, გაეთხოვებინა. ამბობდნენ. ამბობდნენ. სხვას... აღარა ჰღირს. ცუდი მაგალითია. და ცუდი კიდევ უფრო ცუდია, მიმბაძველი რო გამოუჩნდებაო. ისინი უკვე ჩამოშორებოდნენ ამა ზრუნვასა, ჩამოშორებოდნენ. ჩამოეშორებინათ. და ისხდნენ ვერის პარკში, ვაკის პარკშიო, სადაც თუ ისხდნენ, და რაღაც არ მოსწონდათ ახალი, ახლად-ახალი, არ მოსწონდათ და ბუზღუნებდნენ, თავს გამოიდებდნენ ათეისტური განათლებითა და ბუზღუნებდნენ, ბუზღუნებდნენ: ეს რაა და სადაურიაო, ეს ციხედარბაზების განახლებაო, ეს ტაძრების განახლებაო, ეს ფრესკების ამოწმენდაო, ძველის ამოწმენდა და ეს ახალი მოხატულობანიო, ბუზღუნებდნენ და ბუზღუნებდნენ, სადაურიაო, სად გაგონილაო, ანთუ ეს აღდგენა ძველი თბილისისა, აივნებიანი თბილისისაო, გამომზეურება ანჩისხატისა, ანთუ სიონის გამომზეურებაო, სად გა-

გონილაო, სადაურიაო, ახლა ეს ვითომ სადაურიაო. და ბუზღუნებდნენ და სძრახავდნენ ამ ვითომდა გაუგონარსა, ვიღაცასა სძრახავდნენ და ვიღაცასა ნატრობდნენ, სადღაც პარკებშიო, ანთუ სადაც იყვნენ, — ყოფილიყვნენ: ამოდიოდა ძველი თბილისი, ნანგრევებიდან ამოდიოდა. ძველო თბილისო, შენი მიზნები აღარ მაქვს, გულში რომ გინახავდიო, მოსთქვამდა ტრუბადური ძველი თბილისისა. და ქირქილებდნენ იგი უკბილონი: ბარემ ჩამოატარონ მემაწვნეებიცა გოდრებიანი ვირებითაო“ „ეხ, სადღა ნახავ...“ ისევ იმა ტრუბადურისა არ იყოს, თორემ რა სჯობიან ოქროყანის მაწონსა, წყნეთის მაწონსა, დიღმის მაწონსა, — ეხ, სადღა ნახავ!.. ხოლო ისევ იმათზე რო ითქვას რო გადაჰკიდებოდნენ პანთეონსა, ახლა თვითონვე მიიწევდნენ პანთეონში, შეევიწროებინათ და მიიწევდნენ, ჩამოსაჯდომიც რო აღარ დაეტოვებინათ, ბილიკიც აღარა, უნდა გადაგევლო ზედ საფლავებზე, ანთუ გეხტუნავა, ძველ საფლავებზედა, ახლების ძეგლებს ვერ გადაახტებოდი. ძველები მწერლები გახდნენ. ახლებს — მოღვაწენი ერქვათ მწერალთა პანთეონი ერქვა, მოღვაწეთა — დაარქვეს. დააპატარავეს და გაალეს კარი საყოველთაოდა. და ვეღარ იტევდა. ვეღარ იტევდა. ავიწროებდა და ავიწროებდა. ცოცხალსაც რო ავიწროებდა, ავიწროებდა მერე მკვდარსაცა, დაიმარხებოდა თუნდაც რო გარდიგარდმო, წაღმაუკუღმაც დაიმარხებოდა, ოღონდ როგორმე ჩატეულიყო, იქა, იქა, უსათუოდ იქა. და მიიწ-მოიწევდნენ მიცვალებულნი. იქაც სული ამოხდომოდათ. იქაცა. და მიიწ-მოიწევდნენ ისევ XIX საუკუნისანი, თავდაბალნი, დარბაისელნი, მაგრამ მაინც რო ადგილი არ იყო, სადღაც ლაჯებშუა შეურგავდნენ თავსა, ვიღაცის თავზე ფეხებს შეუწყობდნენ. გარდიგარდმო უკეთესი იქნებოდა. პირქვეც უნდა დამარხულიყო ზოგი. პირქვე. აი შე პირქვე დასამარხოო, ჩხუბში იცოდნენ, დედის გინებაზე უარესი იყო, ცოლის და დედის გინებაზეო. დედაც არაფერიო. აქ ვინც გინებას არაფრად აგდებდა, იქაც არ აგდებდა არაფრადა. ავიწროებდა და ავიწროებდა. ისაკუთრებდა და ისაკუთრებდა. სასაფლაოზე. სასაფლაოში. მიდი და ამტკიცე, მკვდარი მკვდარიაო, მიდი და ამტკიცე. მიდი და ამტკიცე, სასაფლაოაო. ამტკიცე. საბამ იცოდა, რო მკვდარიც ცოცხალია, ავი თუ ბოროტი მკვდარიც რო იგივეა, საბამ იცოდა, ანთუ იცოდა სხვამაცა, ოღონდ დახატვით იმან დაჰხატა, სახიერადა, ოსტატურადა. დაჰხატა. და ავიწროებდნენ ისევ იმათა, უბრალო ქვები რო ეწყოთ გულზედა, უბრალო წარწერებითა, ჭეშმარიტ შვილთა დიდუბის მიწისა, თბილისის მიწისა, მამულისა თავიანთისა, ჭეშმარიტ შვილთა, რო აღარცა ნებავთ, რო ესახლონ იქა, რადგან განსჯა რო აირია, აღარცა ნებავთ, მაგრამ საით თუ წავიდნენ, რო აღარც იციან. ბარათაშვილმა მაინც გაასწრო. ვაჟამაც გაასწრო. ამაღლდნენ მთაწმინდადა. თუმცა იქაც რო ამღვრეულიყო, მაინც რო მტკიცედ ინახავდა თავსა, შედარებითა, შედარებითა, მთაწმინდა მაინც რო მთაწმინდააო. ვაი დიდუბესაო. ფრიდონსაც დაედგა იქ ერთი ძეგლი, პროფესორის დავალებითა, თავისი პროფესორისა, ვიდრე რო გადაეკიდებოდა რაღა თქმა უნდა, ვიდრე რო ესეც უჯერიდა რაღა თქმა უნდა. დაედგა. მაშინ არც იცოდა თუ ვინა ბრძანდებოდა. მერედა გაიგო. ნანობდა. გულშიცა. ხმამაღლაცა:

— არის აქ... ერთი...

— ერთი?..

— ჩემი ყმაწვილური ნაცოდვილარი.

— აღარ მოგწონთ?..

— როგორ გითხრათ...

— განვლილი ეტაპი...

— არა... არა... რომელი ეტაპი, რა ეტაპები?!

— ცუდია?..

— არც ისე, თავისთავად არა.

— აბა?!.

— ცუდ კაცს ადგია.

— რატომ?!.

გააბა, გააბა, ისე გაიკვირვა ბაბულიმა. და მერე ესმოდა თუ რატომა თუ ვინ ცუდსაო თუ როგორ ცუდსაო, ესმოდა სიტყვები, აზრი აზრამდე რო ვერ მიეტანა, ისე ესმოდა, სიტყვები, სიტყვები, მხოლოდლა სიტყვები. ფერი მისდიოდა. გადაფითრდებოდა და შეეფაკლებოდა ლოყები. წამოუვარდებოდა და ჩაუშუშდებოდა გული. გულიკოც აღარა სჩანდა. აღარც უნდოდა გულიკოი, კიდევაც უნდოდა, თითქოს დამშვიდდებოდა იმასთანა, თითქოს უფრო აფორიაქდებოდა. ალბათ თუ უფრო. მაჩვენეო, სთხოვა ფრიდონსა. ის ძეგლიო ცხადია. შევიდოდნენ, მოეფარებოდნენ და ასცდებოდნენ გულიკოსა. ასცდებოდნენ. ფრიდონმა იუარა. ეუარნა. ეგება რო გულიკოსაც აღარ ახსოვდა. სიტყვა დაადევნა და მიავიწყდა. ანთუ დაყოვნდა, ანთუ დაყოვნდება კიდევ მეტ ხანსა, აღარ დაუცდის. ანთუ უარი წელანვე რო ეთქვა, — ერჩივნა ცხადია. მაგრამ ფრიდონი რო მერელა გამოჩნდა, მანამდე ვერ შენიშნა, ანთუ ვერც ვერავინ შენიშნა, ანთუ შენიშნა ყველა ერთადა, ცალცალკე ვერავინა. კათალიკოსიც ვერა, თუმცა გარდასხა ჯვარი კათალიკოსმა, ტაძრად რო შებრძანდა, მისკენაც აღმართა ხელი, საკუთრად მისკენა, საკუთრად მისადა, რადგან არავინ არ გახლდა მეტი; ქალები ამაზე ჭკუას დაჰკარგავდნენ, ამას დაეხარა თავი, ეს ხვრელს ეძებდა, რო გამძვრალიყო, შეუმჩნევლადა, ზურგთუკანა ყველასი, — შეუმჩნევლადა, რაც მთავარია, შეუმჩნევლადაო, — და შესამჩნევად გამოპარულიყო. გულიკო არა სჩანდა. გულიკო არ უნდოდა, ვერც წავიდოდა, არ უნდოდა და უნდა ეცადა. გულიკო არ უნდოდა, გულიკო არ უნდოდა. უნდოდა გაჰქცეოდა თუ მოჰფარებოდა და სწუხდა თუ ეს რად უნდოდა?.. სწუხდა. ვერ აეხსნა. უნდა დაეცადა, უნდა მოეცილებინა ფიქრი თუ წუხილი, უნდა მოესმინა ფრიდონისთვისა, გულისყურითა, ანთუ გამოსტეხოდა ბოლოსდაბოლოსა თუ რამ მოიყვანა ეკლესიაში, — დეიდა თეო დეიდა თეოდა, დედა თებრონია დედა თებრონიადა, ხოლო ის სანთელი თუ ვისთვის აენთო, თუ რად აენთო, რას ევედრებოდა, — გამოსტეხოდა, გამოსტეხოდა... შესძლებდა თუ არა ესე ერთბაშადა, ისიც საკითხავია, რო არ დასცალდა ამასობაში, სათქმელია ისიცა: გამობრძანდა კათალიკოსი თავისი ამალითა, გამობრძანდა და ჩაბრძანდა, ორ მანქანაში ჩაეტივნენ; გამობრძანდა რწმუნებულიცა თავისი ამალითა, გამობრძანდა და ჩაბრძანდა, — ორ მანქანაში ჩაეტივნენ ისინიცა; გამობრძანდნენ რო მხატვრებიცა, ორში ისინი ვერ ჩაეტივნენ, მობრძანებულიყვნენ თავთავიანთი მანქანებითა, ნაირნაირი მანქანებითა, ფერადფერად მანქანებითა, მაინც ეპატიჟებოდნენ ერთიმეორეს, ისე, თავაზიანობისათვისა, ეპატიჟებოდნენ ქალებსაცა, თავაზიანადაცა და საგულდაგულოდაცა, უსხდებოდნენ ქალები რო ზოგთა, ზოგი ტაქსს უცდიდა, ზოგი ტრამვაისა, ყველამ თავისი საქმე იცოდა თუ გზა ჰქონდა ყველას თავისი, — ესენი გულიკოს ელოდებოდნენ, გულიკო არა სჩანდა: ანთუ რაიმეს დაებრკოლებინა, ანთუ სულაც დავიწყებოდა ბაბული. სულაც თუ მართლაც დავიწყებოდა, დავიწყებოდა და გაიოცა, შენ ისევ აქა ხარო; ეს გაიოცა და გამოჰხატა, ფრიდონიც გაიოცა, — ეს არ გამოჰხატა, თან ვიღაცა ახლდა, ქალი ახლდა, ვინც უნდა იყოს, ქალი ახლდა, ხელი გამოსდო იმა მხლებელსა, და დაემშვიდობა ბაბულისა მაშინვე, ფრიდონსაცა, თუმცა რო ვერც მოასწრო ბაბულიმა, წარედგინა თუ გაეცნო ერთმანეთისათვისა; ფრიდონმა მოასწრო, მანქანა რო შეეთავაზებინა, იქვეც იდგნენ, კარიც გამოაღო, გააფარლალალა, წინაცა, უკანაცა, და დაბრძანდითო. მიგაბრძანებთო. და მიაბრძანა კიდევაცა. ჯერ ჰო ჩაბრძანდნენ რაღა თქმა უნდა, მერელა მიაბრძანა რაღა თქმა უნდა, ოღონდ ისაა აქ აღსანიშნავი:

როგორც რო ჩაბრძანდნენ და რაც რო მოახსენა გულიკომა ფრიდონსა, რო — გადაბრძანდნენ, იგივე მოახსენა, ისევე გააფრთხილა, გულიკომა რაღა თქმა უნდა, თანმხლები არ ითვლება რაღა თქმა უნდა, რო არ ჩარეულა არაფერშია, ეგაა, რო მადლობა წარმოსთქვა, ორჯერვე წარმოსთქვა, რო ჩაბრძანდა და რო გადაბრძანდა. არ დავიწყებია მადლობა არც რო გულიკოსა, გადაეხვია ბაბულისაცა, — ბაბული წინ ჩაჯდა, გულიკო უკანა, გადაეხვია ეგრე ზურგთუკანა, ეგრე გააცნო თუ ეგრე გაეცნო: :

— ჩემი მული გახლავთ.

— სასიამოვნოა!..

ფრიდონმა მიუგო.

— ჩვენ იშვიათი რძალმული ვართ.

— სასიამოვნოა!..

გაიმეორა ფრიდონმა.

— და თუ აწყენინებთ...

— რა ბრძანებაა!

შეიშმუშნა ფრიდონი.

— ...ჩემთან გექნებათ საქმე!..

— ღმერთო ჩემო!..

აღმოხდა ფრიდონსა, ასე ყრუდა და გაურკვევლადა.

ეს რო ჩაბრძანდნენ; რო გადაბრძანდნენ, ანთუ რო სთხოვეს, აქ გადავალთო, ისევ ისევე გადაეხვია გულიკოი მულსა, ისევ ისევ ზურგთუკნიდანა და ცოტა უფრო ამაღლებულად წრმოსთქვა, ამაღლებულადა:

— ოოო... როგორ გვიყვარს ჩვენ ერთმანეთი!..

— სასიამოვნოა!..

მოუწონა ფრიდონმა.

— ჩვენ იშვიათი რძალმული ვართ.

— სასიამოვნოა!..

გაიმეორა ფრიდონმა.

— და თუ აწყენინებთ...

— რა ბრძანებაა!..

შეიშმუშნა ფრიდონი.

— ...ჩემთან გექნებათ საქმე!..

— ღმერთო ჩემო!..

აღმოხდა ფრიდონს, ახლა თითქოს შეიცხადაო, ისე აღმოხდა.

და გადაბრძანდნენ გასაძრომთანა, ანთუ როგორც რო დაურქმევიათ: მიწის ქვეშა გადასასვლელთანა, — პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინა. სამსახურიდან გამოვიპარეთო, გულიკომა ბრძანა, თანმხლებმა გაიცინა და გადაბრძანდნენ, ფრიდონს არ უკითხავს თუ რომელი სამსახურიდანაო. აქ ბევრი სამსახური შეიძლებოდა. აგრეა კორპუსები პოლიტექნიკური ინსტიტუტისა, — აქეთაცა და იქითაცა, — მაღაზიები ნაირნაირი, რაიკომი, რაიაღმასკომი, ტელევიზია, იქითა, იქით, ქვეით-ქვეითა, შეიძლება რო მიათვალოს ზოოპარკიცა, თუმცა არაო, აღარა ცხადია თორემ ეგრე რო მიჰყვეს და მიჰყვეს, შეიძლება რო მიათვალოს აბრეშუმის ფაბრიკაცა, ცირკიც შეიძლება რო მიათვალოს, ანთუ მანამდე, საცურაო აუზიცა, რესტორანიცა, შეიძლება და არ შეიძლება, — აქვე იქნება, აქვე ახლოსა: პოლიტექნიკურიდან ტელევიზიამდისაო.

## XI

აქვე ახლოსაო...

და იქვეც შეჰხვდა;

ანთუ: მეორე მხარესა იმავე გასაძრომისა თუ მიწისქვეშა გადასასვლელისა, როგორც რო დაარქვეს, გვირაბი რო სჯობიან, გზა გვირაბითა შემოვაო, გვირაბი რო სჯობიან, ოღონდ აქ უფრო გასაძრომი როა, თავი რო უნდა დააღწიო, რო უნდა გადარჩე, გახვიდე როგორმე სამშვიდობოსა, რო დის მანქანები, დიის და დიიის, აღარა წყდება, ანთუ ისე რო ამოიჭედება, ნემსი რო აღარ ჩავარდებაო. და იქვეც რო შეჰხვდა ,სწორედ იმ დროსა, ნემსიც რო აღარ ჩავარდებოდა. გახიდულიყო ტროლეიბუსი, ავტობუსიც გახიდულიყო, გახიდულიყო თუ გახირულიყო. ზედ მიწყდომოდა მანქანები, ნაირფერადა, ნაირსახედა, სატვირთონიცა ნაირსახედა, მსუბუქნიცა ფერად-ფერადა, მიწყდომოდა და მიწყდომოდნენ. მიწყდომოდა და აწყდებოდა. ამოტენილიყო მოედნის ქვეშ გასაძრომიცა, მანქანე-

ბის გასაძრომიცა. ეზოებიც ამოტენილიყო, ვთქვათ რო ეზო ტელევიზიისა, თანამშრომელთა მანქანებითა. გადაჭრელებულიყო, ფერადფერადა რაღა თქმა უნდა, იდგა, ელოდა, — გადაჭრელებულიყო და ციმციმებდა, — დაბლაცა აგრეთვე, ქუჩის პირადა, რო არა ჰყოფნიდა ეზოი უამრავსა, ჩაწკეპილიყო, იდგა, ელოდა, ბზინავდა, ბზინავდა, ბზინავდა და ციმციმებდა. და მოსწოლოდა ამათაცა, მოსწოლოდა და მისწოლოდა, არეულიყო ყველა ერთობლივა, მოძრავი თუ უძრავი, სავსე თუ ცარიელი, არეულიყო, შერეულიყო, გაჭედილიყო, უძრავქმნილიყო, გაშეშებულიყო ყელი. საბურთალოსი, გაშეშებულიყო, ვეღარც ჩაეყლაპა, ვერც ამოეცოხნა, ვერა, ვეღარა. ელავდა შუქები ინსპექციის მანქანებისა, შორსაცა, ახლოსაცა იმავე ჯგველეთაშიცა — ილონებდნენ ალბათ რამესა, ანთუ როგორმე ეშველებოდათ. ხოლო მანამდე მოჰხვდა თვალი თვალსა, მოციმციმე თვალი — თვალსა მოღუშულსა, მოჰხვდა, აიბა, აიყოლია. ის იქით იდგა, ტროტუარზედა, ეს ჰო აქეთ ამოჭედილიყო, — შუაში რიგი ჩაჰლობებოდა, რიგი; ერთი რიგი ჟიგულებისა. თვალი წვდებოდა ადვილადა, მერე — მოციმციმე თვალი, ცხრა მთასაც რო გადაივლიდა, ბნელსაც რო გაჰკვეთდა, უკუნეთ ბნელსა. თვალი სწვდებოდა და თვალი მოუბნობდა, ეს რა ამბავია, წასვლა მინდა და ალბათ ვერ წავალო; აქ სულ ასეაო; ირგვლივ დაქსელეს გასაძრომებითა, მაგრამ ვერ ეტევა მაინც ადამიანი, ვერც მიწის ზედა, ვერც მიწის ქვეშაო: ჰაერი კიდევ გადაგვრჩენია, ჰაერში თუღა ვისრიალებთო; მაგრამ ფრთები გვინდა, ფრთები, ფრთები გვინდაო; ფეხი აღარა კმარა, ხელი აღარა კმარა, ახლა ფრთაც უნდა ადამიანსაო. ეს ის თვალი რო ასე მოუბნობდა, ეს ეთანხმებოდა, ფერები მოუწონა კიდევაც აიხედა, კიდევაც აიწია, თითქოსაო რაღა თქმა უნდა, აიწია და გადაუფრინა, ზემოდან დააცქერდა და შეიცოდა ეს ამოდონი ხალხი თავისივე გამოგონებითა, თავისივე მანქანებითა, მისწრაფებით აღსავსე ხალხი, რო გაჭედილიყო, რო ვერ იძვროდა, შეეცოდა და იქავეს ჩაძვრა, იმავ ადგილასა, ვერ მოუხერხდა მეტი ვერაფერი, ვერც გაუძლვა, ვერც რა ურჩია, მხოლოდ გაიცინა, კიდევ გაიცინა და დაიქნია თავი; თავი დაიქნია და გაჰკვირდა მაინცა, ის რო მოიწევდა, რო გამოძვრა ჟიგულებს შორისა, რო როგორც იქნა, გაალო კარი ამის მანქანისა, რო როგორც იქნა, რო ჩაეტია, გაიწურა, გაიწურა, გაბრტყელდა თითქოსა და ჩაეტია, ჩაჯდა, მიესვენა სავარძელზედა, თვალნი მილულა და მიესვენა. აღარა მეტყველებდა თვალები მისი, ენა მეტყველებდა: ასე დაბადებაც არ გამჭირებიაო, — მეტყველებდა და მეტყველებდა: დაბადებაც ძნელია, სიცოცხლეც ძნელია, სიკვდილიც ძნელიაო; თუმცა სიკვდილისა ჯერ არაფერი ვიცი, ოღონდ რაც ვიცი, ის რო ძნელია, რაც რო არ ვიცი, რაც რო მელოდება, უფრო ძნელი ის იქნებაო; რაც ვიცი, არ მინდა და, რაც არ ვიცი, ის სულ არ მინდაო; სიცოცხლე მეც საოცრება მგონია ბუნებისა, საოცრება და მშვენიერება მგონია, ოღონდ ეს სიცოცხლე, ასეთი სიცოცხლე, საოცრებას ეგება ჰგავდეს, მაგრამ მშვენიერებას არა, არ უნდა ჰგავდეს მშვენიერებასა, ან არ უნდა ვიცოდე თუ რა არის მშვენიერი, ან არ უნდა ჰგავდეს, ასე მგონია, მე ასე მგონია და ვინც უნდა დამძრახოსო; მე ქალი ვარ და ქალობა მალაპარაკებს, კაცი ეგება სხვაგვარადა ფიქრობსო; ქალი ვარ და მეც ასე მითქვამს, როგორც სხვებისგან გამიგონია, დაიწვას ქალის ბედიო; — დაიწვასო და ისეც შესძახებს თუ ისედაც აუწევს ხმასა, თითქოს კოცონი მართლაც ავარდება, ქალის ბედსაც ზედ შეაგდებენო; კაცი კაცია და სხვაგვარადაც იფიქრებს, კაცი კაცია და ქალი ყოველთვის მახეში ჰყავსო; მერე ისეთ მახეში ჰყავსო, რო ვერც შეუგნია საცოდავ ქალსა, ტვირთის მომატება განთავისუფლება ჰგონია, უხარიან და ეწევა გაორმაგებულ ტვირთსაო, გაათ-

მაგებულ ტვირთსაო, გაასმაგებულ ტვირთსაო; ეწევა და ეწევა, ქარხანაში ეწევა, ფაბრიკაში ეწევა, ხარაჩოებზე ეწევა, მინდორ-მინდორა თუ მთა-მთა ეწევა, ეწევა და ეწევა, ეწევა დილაადრიან საღამომდისა, ხოლო დილამდე საღამოდანა ისევ იგივე თავის ტვირთს ეწევა, ოჯახის ტვირთსა, რო არც მოსცილებია, რო არც მოსცილდება რაღა თქმა უნდა, ეწევა ასე დილიდან დილამდისა ილაჯმიწყვეტილი, ქანცმიწყვეტილი და მაინც იღიმის, მაინც უხარიან, რადგან რო ვაგლახ, თავისუფალი ჰგონია თავი, რადგან რო კაცმა ასე დაარწმუნა და სჯერა კაცისა, ღმერთიც კაცად რო წარმოუდგენია; ღმერთისა არა სჯერა და სჯერა კაცისა, რადგან ეშმაკია კაცი, რადგან ერთი დღე მისცა წელიწადში ქალსა, თავისთვის არ აიღო არცერთი, რადგან ყველა თავისია, და თუ ერთს დაარქმევს თავისასა, ყველას დაჰკარგავს, როგორც რო ქალმა, ყველა დაჰკარგაო; ცოტა კიდევ არა გვიჭირდა: დავიგვიანებდით, რამდენხანსაც გვენება, შევისვენებდით, როცა გვენება, ადრე წავიდოდი თუ რო გვენება, მაგრამ გათავდა „ბაირამობა“, ჭირი არა, თორემ ლხინი მალე გათავდებაო, თუ ესეც ლხინი იყო რაღა თქმა უნდა, — რაც იყო გათავდა, მივრბივართ, მივრბივართ თავპირისმტვრევითა, წუთი არ უნდა დაგვაგვიანდეს, და ვსხედვართ და ვსხედვართ, ველოდებით დღის დასასრულსა, წუთით ადრე რო ვერ ავიშვებთ, ველოდებით სულშეგუბებულნი და გამოვცვივით, დარეკავს რო ჟამი შვებისა, და გამოვცვივით, და ვეღარაფერში ვეტევით, აღარც რო მანქანები კმარა, აღარც რო ქუჩები კმარა, აღარც რო ბინები კმარა, აღარც რო მიწის ზევითაა ადგილი, აღარც რო მიწის ქვეშ გადარჩენილა ადგილი, ვეღარ ვეტევით, ვეღარაფერში ვეტევით, ვეღარ დავბრუნებულვართ შინა. მაშინ ვეტეოდით, ერთად რო არ მოვდიოდით, რო არა ვბრუნდებოდით ერთადა, ვეტეოდით, ტრანსპორტიც ეტეოდა, ქუჩებში არ ვებლანდებოდით ერთმანეთსა ტრანსპორტი და ხალხი, ხალხი და ტრანსპორტი, მანქანა და ხალხი, ხალხი და მანქანა, არ ავრეულიყავით ასე ერთმანეთში, არ ველობებოდით ასე ერთმანეთსა; დიდი რამ ბედენა არც ის რო იყო, მაინც შვება იყო, ასე მგონიაო; მე ასე მგონია და ვინც უნდა დამძრახოს, არ ავუხირდები, არ ვედავები, ჩემზე არაფერი დამოკიდებულა, მე ვერას გადავწყვეტ, დის ეს ცხოვრება, დის და მეც მივდევ, დის და იდენს, დიოდა ასე უჩემოდაცა, იდენს მერე უჩემოდაცა, სადღაც ჩაშრება ერთი წვეთიცა, მე რო ვიქნები ის ერთი წვეთიცა, ვერც რო მდინარე ვერაფერს შეიტყობს, ვერც რო შეიტყობს ვერაფერს წვეთიცა, — ვერაფერსა, ვერაფერსაო; მეტყველებდა და მეტყველებდა: და მირჩევნიან, ვიყო ცვარი, ვიდრე ტალღა მდინარისაო; ტალღა ჰო არ ვიქნები და არა, რო კიდეც ვიყო, მირჩევნიან, რო ცვარი ვიყო, რო ჩემთვის ვიყო, წუთიერადა რაღა თქმა უნდა, ოღონდ ჩემთვისა, ჩემთვისა, ჩემთვის ვიყო, ჩემთვის ველოდო მზის ამოსვლასა, ჩემთვის გავიხარო, ჩემთვის ავლიცლიცდე, ჩემთვის ავბზინდე, ჩემთვის ავვორთქლდე თუ ავჰყვე სხივსა, ავება, ავჰყვე, ჩემთვისა და სხივსა ჩემსასა, ჩემთვისა და ჩემსასაო; ხან არც ვიცი რა მირჩევნიაო: ეს მაინც ვიცი, სამსახური, რო აღარ მინდაო; აღარც სახლი მინდა, აღარც კარი მინდა, აღარც ქალაქი მინდა, — ქალაქი აღარ მინდა, არა, არა, ქალაქი აღარ მინდაო; ჩემი ცხოვრება ვერ წარმომიდგენია უთბილისოდ, მაგრამ ქალაქი, არა, ქალაქი აღარ მინდაო; ნეტავი თბილისი ქალაქი არ იყოს, ეს იყოს და ქალაქი არ იყოს, რაც უნდა იყოს, ქალაქი არ იყოს: რაც იყო, ის იყოს, ეს არ იყოს, რო აღარ შემიძლიან და რო არც შემიძლიან უამისოდაო; უცნაურს თუ ვამბობ, ნუ დამძრახავო; ზოგჯერ წარმოსახვა მშველის, ფიქრი მშველის, ფიქრში დავიკარგები, ქალაქში ვარ და დავიკარგები ქალაქი-

დანაო; ავტობუსში ჯგვლეთაა და, რო ვერ გავუძლებ, დავიკარგები, დავიკარგები ფიქრშია და ავტობუსიდან დავიკარგებიო; მივალ, მივაღწევ როგორც იქნება, ასე დაკარგული თუ ჩაკარგული, მივალ მივატან ჩემს მაგიდამდისა და ჩავიკარგები იქაცა თუ მინდა, ჩავიკარგები, გადავიკარგები, კიდევ ესაა, რო მაძლებინებსო; ჭორები?.. ოჰოო... კიდევ ესაა, რო გვაძლებინებსო; ზოგჯერ ჭორიც მომხიბლავია, ზოგჯერ მდაბალია, ამაზრზენი, მაინც შინაარსია, მაინც აგიყოლიებს, ერთს აგიყოლიებს და მერე შეგზარდება შენი თავიო; ისევ სჯობიან გადაიკარგო, გადაიკარგო ოცნებაშია, თუნდაც რო იგიც ლატაკი იყოს, დაგლახაკებულიყოს თუნდაც რო იგიცა, ოცნებას დიადს რო შობს სული ამაღლებული, გლახაკი სული გლახაკია ოცნებაშიცაო, — რას იზამ, მაინც ოცნება სჯობიანო, მაინცა სჯობიანო; დახუჭე თვალი და იოცნებეო; იოცნებეო; აი აჰააო: თუნდაც წარმოვიდგენ, რო ეთერი ვარო, — ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა... ეთერი, ეთერი, უმშვენიერესი ასული!.. ღარიბი, ლატაკი, მშიერ-ტიტველი, ავი დედინაცვალის ხელშია, მაგრამ მშვენიერი, მშვენიერი!.. ესაა ყველაფერი ქალისათვისა, ოღონდ მშვენიერი იყოს, არ ენაღვლება სხვა არაფერი, ოღონდ მშვენიერი იყოს!.. და წარმოვიდგენ რო ეთერი, ვარ, მშვენიერი ასული, ძონძები რო მაცვია, სამწყემსურში რო გამაგდებს დედინაცვალი, თან კუტს გამატანს, ნახევარ კუტსა, და თან რო დამადევნებს: ამვლელსაც აჭამე, ჩამვლელსაც აჭამე, შენცა ჭამე და, რაც რო გადაგრჩეს, შინ მოიტანეო; არ ენაღვლება, რადგან მშვენიერია, რადგან მარტოა და შეუძლიან იმღეროს თუ უნდა, დედინაცვალი, თვალში ნაცარიო... ეს უკვე ოპერიდანაა რაღა თქმა უნდა, მაგრამ მერე რაო, მე ჰო შემიძლიან, გავაერთიანო?.. შემიძლიან რაღა თქმა უნდა; ანთუ სულაც სხვა რამ ვიმღეროო?.. შემიძლიან რაღა თქმა უნდა, ოღონდ რო მოვტაცო ყური უფლისწულსა, სადღაც იქვე რო დანადირობს, რო ვერაფერს რო ვერ გადაჰყრია,.. რო მოსულან მხეცნი თუ ფრინველნი ჩემს მოსასმენადა, — სმენადა მხეცნიც მოვიდიანო, არა?.. ეს უკვე შოთაა, მაგრამ მერე რაო, ჰო შემიძლიან ესეც აგრეთვე ამგვარად რო წარმოგვიდგინაო?... შემიძლია რაღა თქმა უნდა; მთავარი ისაა, უფლისწული რო მოსდევს გეშსა, რო გადაეყრება ამოდენ ნადირსა, ნადირობა რო დაავიწყდება, რო მოიხიბლება, მოჯადოვდება სიმღერითაცა და სილამაზითაცა ასულისა, რო დავარდება მუხლებზედა, შეევედრება რო, შეევედრება: იყავი ჩემი დედოფალიო; ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა... ქალს ჰო მეტი არაფერი უნდა, — იყოს მშვენიერი და იყოს დედოფალი?.. მეტი არაფერი, მეტი არაფერი უნდა!.. ოღონდ მე მაინც ვინაზები, ვუარობ მაინცა, ვინ მე და ვინ შენ დიდებულო ძეო მეფისა, ვინაზები, ვუარობ, ვკეკლუცობ ანუ, ვახელებ ანუ, ვითრევ და ვაბამ ანუ და ანუ, ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა მერე ვთანხმდები რაღა თქმა უნდა, უარს რო ნიშნავს ვთანხმდები ისე, ხელს გავუწოდებ და თვითონვე ვუჭერ, მაგრა, მაგრა, მაგრა მოვუჭერ, რომ არ დამეკარგოს რაღა თქმა უნდა, ოღონდ თითქოს რო ისე, იმგვარადა, თითქოს რო ვშიშობ, ვაი რა მელისო; ჰა ჰა ჰ ა ჰ ა ჰ ა ჰა... თვალებიც მიფრთხის აქეთიქითა, მიფრთხის ნუკრივითა, შიშითაო თითქოსა, ოღონდ ისიცაა, რო ვგრძნობ სხვა თვალთაცა, გაოცებულთა მშვენიერებითა ჩემითა, გაოგნებულთა უეცარი სიყვარულითა, თავზარდამცემი სიყვარულითა, ჩემი, ჩემი სიყვარულითა, — ისიცაა და იმას დავეძებ, დავეძებ და რო წავაწყდები, ვკანკალებ შიშითა, თითქოს შიშითაო, ოღონდ ცხადია ალტაცებითა, რო დედოფლობით არა თავდება, რო სიყვარული მოსდევს მერეცა, უფრო ძლიერი, ამაღლებული, ქალს რო სჯერა რაღა თქმა უნდა; და ჰო არც უნდა მეტი ქალსა, — იყოს მშვენიერი, იყოს დედოფალი, იყოს შეყვარებული?.. მეტი არაფერი, მეტი არაფერი უნდა!.. და ვარ დედო-

ფალი, ქორწილის დედოფალი, ჯერ ქორწილისა; და გრძელდება ქორწილი, გრძელდება ზმანებანიცა ჩემი, დიდხანსა გრძელდება, თუ უცებ არ გამომიძახეს თათბირზე ცხადია, თუ არ გამიხმეს კრებაზე სადმე, თუ არ დამირღვიეს ერთისიტყვითა. მინდა მივუსწრო, მინდა გავაგრძელო, ჩავიფლო ისევ ზმანებაშია. ისევ ქორწილის ზმანებაშია; იქით აღარ მომწონს; მკბენარი აღარ მომწონს, არც თვითმკვლელობა მომწონს ეთერისა; სხვა ყველაფერი კარგია, კარგი; გიჟდება მურმანი სიყვარულითა; კარგია, რას ამბობ, სხვა ნეტავი რა არის ამაზე კარგი?.. გიჟდება!.. გიჟდება!.. ეშმაკთან მიდის, სულს აძლევს, სულსა, სიყვარულისთვისა, — სხვა რა არის ამაზე კარგი!.. ოღონდ ეს მკბენარი?.. მიკვირს, სხვა ვერაფერი რო ვერ მოიგონა ხალხმა, მიკვირს, მიკვირს; მინდა, შევცვალო; ვერ მომიხერხებია, მეც ვერაფერი მომიხერხებია; და მერე ამაზე ვიმტვრევ თავსა, თუ ვერ გამოვიპარე სამსახურიდანა; ერთბაშად გაძნელდა და ერთბაშად უფრო ვიმტვრევ თავსა, ლამის ტვინი მეღრძოს, ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა... და მართლაც ჰო არ ვიღრძობ ტვინსა, ეთერობას გამოვეხსნები; მეტყველებდა და მეტყველებდა: ვიქცევი თუნდაც გონჩა ბეგუმადა, ბარათაშვილი რო მოჰხიბლა ნახიჭევანში, თბილისის სალონებში განებივრებული ბარათაშვილი, სილამაზითაც რო მოჰხიბლა და ლექსებითაცა; ლექსებითაცა!.. თბილისში ჩემზე ლაპარაკობენ, მადარებენ ულამაზეს ქალებსა, მადარებენ და არჩევენ, არჩევენ, არჩევენ და მამჯობინებენ ყველას ისევ მე, შორიდან მოსული ალტაცების მიხედვითა, ბარათაშვილის ალტაცების მიხედვითა: სათარა მღერის ლექსებსა ჩემსა და ცრემლი მოსწყდება მაიკოსა, მანანასაც ჩამოსდის ცრემლი, ბაბალესაცა; ვაჟკაცები არ შეიმჩნევენ, თვალის ცრემლს არა, ჩაიბრუნებენ, დაედინებათ გულის ცრემლადა და შურთ ტატოსი, და აგინებენ „ნეიდგარდტსა", ესენი რო არ გაჰგზავნა ნახიჭევანში, ტატო და ლევანი რო გაჰგზავნა; ხოლო ისინი იქ აგინებენ, ჩვენი აქ გამოგზავნისთვისაო; მე ჰო არ ვიცი, — მე ის ვიცი რო მოხიბლულა ორივე ჩემგანა, ტატო რო არავის დაუთმობს ჩემს თავსა; და მე ვწერ ლექსებსა თუ როგორ მინდა სიმარტოვე, თუ როგორ დავკარგე და როგორ ვლამობ. რო მივუბრუნდები ბავშვობასა ჩემსა, წალკოტსა ჩემსა, შადრევანი რო აღმოხეთქილა, რო ეპკურება შორით-შორსაცა ყვავილთა ნარნართა და მეპკურება მეცა აგრეთვე, ყვავილთა შორისა, ყვავილივითვე რომოვჩანვარ მეცა; მაგრამ სიამეს მაინც ვერა ვგრძნობ, ანთუ ვერ ვასწრებ, მომელანდება იქაცა ქმარი, ჩემი ქმარი რაღა თქმა უნდა, რო განვშორებივარ და ველარ გავყრივარ; ზურგს შევაქცევ და ვიწვდენ ხელებსა, იქ სხვა ლანდი ამოდის სხივებზე და ვუწვდი ხელებსა; მღერის სათარა, ყაფლანიცა მღერის, მერე ყაბახზეც ისევე მღერიან; მერე ფორტეპიანოზე გადააქვთ ჩემი სიმღერა; მეჯლისია მეფის ნაცვლის კარზედა; და აპოთეოზი: კატინკა მიდის ფორტეპიანოსთანა, ნოტების ფურცვლითა, ეს ერთი მხრითა; მეორე მხრიდან ბარიტონი შემოდის, თუნდაც ტენორი, ეს სულერთია, იტალიიდან ესაა ჩამოსული მომღერალი, გვარსაც ვერ ვიტყვი, თუნდაც ვეცდები, მოვიგონო, მაგრამ რატომაო, როცა მთავარი სულ სხვა რამეა, და მთავარი სწორედ ის არის, რო გადიხსნება შუა დარბაზში ვეება გორგალი ხალიჩისაი და რო შემოდგება გონჩა ბეგუმი ანუ მე — ცხადია და რაღა თქმა უნდა, ბარათაშვილთან ხელჩაკიდებული, ანთუ უფრო ცხადად რო ითქვას, რო შემოანათებს და რო პირდაღებული დარჩება ტენორი იგი თუ ბარიტონი იგი და შეაცივდება თითები კლავიშებზე კატინკასა და ველარ გაირხევა ველარავინა, ცხადია ვე-

ღარც მთავარმართებელი, ცხადია ვერა, ყველა გაშეშდება თუ გაბრუვდება მშვენიერებითა იმა ზღაპრულითა, გონჩა ბეგუმის მშვენებითა ანუ... ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა... მეტყველებდა და მეტყველებდა: უცებ მერანსაც ჩამოუქროლია, აუტაცნივარ, გავუტაცნივარ; და გავსულვარ ისე უშიშრადა, თითქოს მე ვიყო მხედარი მისი, მარადი მხედარი; ოღონდ ვიკარგები, იქ ვეღარაფერს ვიგებ, ჩემი საქმე არ არის; ვეღარას ვიგებ და გაჰქრება მერანიცა; გაჰქრება; გაჰქრება; მერანი აღარაა, — მოტოციკლია; მიჰქრის მოტოციკლი, მიჰქრის, მიმაფრენს; ჩვენ ორს მიგვაფრენს; წინ ჭაბუკია; მე წელზე შემომიხვევია ხელი, ზედ მივკრობივარ და მივფრინავთ ასე; ის მიაპობს, ქარია თუ რაღაცაა, მე ზედ მივკრობივარ: მერე შევჩერდებით, სადღაც შორსა, ქალაქიდან შორსა, ანთუ ხის ქვეშა, მოსაჩრდილებლადა, ანთუ ხეც არ გვინდა, მოვიჩრდილებთ მოტოციკლსავე, თერმოსიდანა ვწრუპავთ, რაც უნდა იყოს, დავნაყრდებით და ვართ; და ვართ; და ვართ; არაფერი გვინდა, მეტი არაფერი; შორსა ვართ, შორსა ქალაქიდანა, მეტიც არაფერი გვინდა; მეტყველებდა და მეტყველებდა თვალმინაბული და, რო გაახილა თვალი, და, რო გარემო რო ეუცნაურა, იკითხა:

— სადა ვართ?..

იკითხა უბრალოდა, შერიგებულადა, თითქოს და რაო, ისევ იქავე ვართ ამოჭედილნი, თუ ჩამოვეშვით და ჩავტბორდით მოედანზედა, ანთუ ცოტათი მაინც გავცდითო, ისე უბრალოდა და შერიგებულადა.

— მცხეთაში...

— ჰა?. — იკითხა მართლა გაკვირვებითა.

— მარანთანა...

— ჰა?!.

— მოგახსენეთ...

— ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა...

და გადაიკისკისა, გადაიკისკისა, გულიანადა, გულიკომა, მოულოდნელი რო გახლდა ცხადია, — მისთვისა, მისთვისა რაღა თქმა უნდა, რო მეტყველებდა და მეტყველებდა, რო გადაეკიდა თავი, რო მიელულა თვალები, თუმცა გაახელდა, გაიხედებოდა, მაგრამ რო მაინც ვერასა ჰხედავდა, რო შთანთქმული იყო არსებაში თავისსავეში, რო მეტყველებდა და მეტყველებდა ასე ამგვარადა, გატაცებითაცა და ვრცლადაცა უფრო, მაგალითებიც მეტი მოჰქონდა, ზღაპრად მოსმენილი თუ ამოკითხული თუ სხვათა თავს გადამხდარი თუ გამონაგონი თუ ისე შეთხზული, ისევე გზადაგზადა, ყველაფერს აღარ გამოვეკიდე, — და მოულოდნელი გახლდა ცხადია; ოღონდ მაინც არ დაბნეულა: გადაჰხსნა ჩანთაი, სარკე ჩაისწორა, მძღოლისაი რაღა თქმა უნდა, ამოიწმინდა თვალნი თუ ტუჩნი, მთლად მთელი სახე გადაიწმინდა, გადაიწმინდა და მოიხატა ხელახლადა, მქრქალადა, ოდნავა, ისიც არ უნდოდა, გადაივარცხნა, შეისწორა, ეს მაინც უნდოდა, გადავიდა და ჩაივლო ხელი ტანსაცმელზედა, სწრაფადა, ჩვეულადა, მოხდენილადაცა რაღა თქმა უნდა, და გამოცოცხლდა, და გამოახლდა, და მზად იყო უკვე მარნისთვისაცა, დარბაზისთვისაცა, ოდისთვისაცა, სასახლისთვისაცა, — ალბათ უფრო სასახლისთვისა, ოდასაც რო დაამშვენებდა, ქოხსაც აგრეთვე დაამშვენებდა, დაამშვენებდა ყველასა და ყოველივესა, ეთერისა არ იყოს, ზღაპრული ეთერისა რაღა თქმა უნდა; ეს ისე რო ითქვას, ხოლო მარანი ჰო მაშინვე დაამშვენა, ჩაბინდული მარანი, ჩაბინდული რაღა თქმა უნდა, მაშინვე კარი გაიღო თუ არა, გაიღო და გადადგა შემოვლებული მზის ჩინჩხლებითა, შემოვლებული და გამოკვეთილი, შემოხაზული, შემოწერილი, მოხდენილადა, თვალისმომტაცადა; გადადგა და გადააშუქა, ანთუ შუქი შეიტანა შიგა, ანთუ შუქმა შეიყვანა იგი, ხელში აეყვანა და ისე შეიყვანა; ანთუ: შუქზე მოდიოდა, შუქი მოსდევდა, შუქი მოსდებოდა აგრეთვე გარსა თუ გამოსცემდა შუქსა თვითონვე, გამოსცემდა და იბურებოდა თუ ადიოდა იისფრადა,

იისფერ ნისლადა ჩინჩხალ შუქსა და ჩაბინდული მარნის შუაში; ანთუ რაც იყო, შთაბეჭდილება მოახდინა გასაოცარი; ალბათ ცხადია, რადგან რო წამოდგნენ იქა მყოფნი, წამოდგნენ თუ ლამის წამოიჭრნენ და ხელიც გაიშვირეს ჩვენთან მობრძანდითო. ათნი გახლდნენ, ათნი შემოსხდომოდნენ მაგიდასა, ათნივე წამოიჭრნენ. დასხდნენ ათივენი მერელა მხოლოდა, ესენი რო დასხდნენ, ანთუ რო დაბრძანდა იგი, ცოტა მოშორებითა, ცოტა მოფარებითა, რო არ შეეშალათ ლხინი იმათი. თუმცა ისინი აღარცა ლხინობდნენ. სხვაც აღარავინ იყო მარანში. ჩამდუმარდა მარანი წუთითა. მხოლოდ იქით თუ გაიწკრიალა, თუ აკაკუნდა, ისიც ოდნავა, ესე ალბათ ამათთვის ამზადებდნენ მისართმევსა, ამ ახალი სტუმრებისათვისა. ოღონდ მანამდე თამადა ეახლა, თამადაი იმა სუფრისა, ამათ ეახლა რაღა თქმა უნდა, ხელის გული გულზე მოიჭდო, ოდნავ მოიხარა და წარსთქვა ცოტა ამაღლებული ხმითა, ცოტა რხევითა მხრებისაი: ან ჩვენ გვეწვიეთ, ან ნება მოგვეცით, შემოგიერთდეთო. გულიკომ გაიცინა. იმან მადლობა მოახსენა. მკვირცხლად შებრუნდა. და შებრუნებაც აღარ უნდოდა, — აეწიათ მაგიდა დანარჩენთა, აეწიათ და მოჰქონდათ ცეკვითა, მოიმღეროდნენ საცეკვაოსა და მოჰქონდათ ცეკვითა. ეს იცინოდა, გულიკოი რაღა თქმა უნდა თითქოს იმავე ცეკვის ხმაზედა. და თამადა ბრძანებდა, სუფრა განაახლეთო. მოცვივდნენ და განაახლეს. გულიკომ მოასწრო ამასობაში: გვეჩქარებაო; შემოვირბინეთ და უნდა გავიქცეთო. როცა გენებოთ გაიქეცითო, ისევე იჭდობდა გულზე ხელის გულსა თამადაი რაღა თქმა უნდა: გაიქეცითო; შემორბენით ჰო გაგვახარეთ, გაქცევით ცხადია დაგვწყვეტთ გულსაო, მაგრამ ისიც რო მოგიხდებათ, სიამოვნებად ის დაგვრჩებაო. გულიკო იცინოდა. ჩაიკისკისებდა ცოტაოდნავა, თითქოს და რაო, კრიმანჭულია შეპარებულიო. მერე ქათმის ხორცი ინება. მიაწოდეს. ლამის ათივემა, ათივემ ერთადა. მერე შეექცეოდა. შეექცეოდნენ ეს ორნი, შემოსწრებულნი. ისინი მღეროდნენ, ისინი, დამხვდურნი, ამასთთან მასპინძლებად რო მოჰქონდათ თავი, კარგახანია რო ჩამსხდარიყვნენ, რო შემთვრალიყვნენ, ეშხზე რო იყვნენ ისედაცა, მღეროდნენ, დააცდიდნენ, დანაყრებულიყვნენ. დანაყრდნენ და ადგნენ. უნდა წავიდეთ თქვენის ნებართვითაო. თქვენის სურვილითაო, — თამადამ შეუსწორა, თან გულზედაც მოიჭდო ხელი, დაჰხარა თავიცა, ბოდიშს მოვიხდიო, — ოღონდაო, ისე მაინც არ შეიძლება, ქალი სუფრიდან რო გაგვეცალოს უდღეგრძელებლადა, არ შეიძლება, თავი მოგვეჭრებაო. და ბრძანა ყანწებიო, თანხმობას რო არ დაუცადა, არა ცხადია, თავს ვერ მოიჭრიდა თავგამოდებული ვაჟკაცი, ეს ერთი და სხვა დანარჩენი, — ათი თავი დაგორდებოდა, რო არ ეთქვათ სადღეგრძელოი ერთი ქალისა. და იცინოდა ის ერთი ქალი. და ყანწებს ითითოებდნენ ვაჟკაცები. და თქრიალებდა ღვინოი ყანწებში. და იდგნენ ვაჟკაცები ფეხზედა. და ილოცებოდა თამადაი პირველყოვლისა: დილას აქეთია რო თვალი მითამაშებს, რაღაც უნდა გამხარებოდაო; კარი რო გაიღო და შემობრძანდით, ამაზე ამიხდა, შემობრძანდით და გაგვახარეთ, გაგვახარეთ და დაგვამშვენეთო. მერე მოჰყვებოდა ლობურადა, ჯერ რო მარჯვნითა თამადისაი, მერე მარცხნითა, მოჰყვებოდაო და მოჰყვა ცხადია, მოჰყვა და ბრძანა მეორემა: ქალი ცოდვის შვილია, მაგრამ უამისოდ ქვეყნად სიცოცხლე არ იქნებოდა და ცოდვა ასეთი უფრო ცხონებაა, ცოდვა რადა ჰქვიან, გამკვირვებიაო. მესამემა ბრძანა: ცოდვის შვილია და ღალატის წყარო, რაც უნდა ღონიერ მკლავზე ეძინოს, სიზმრად მაინც სხვა ებლანდებაო. მეოთხემა ბრძანა: სიზმარი სიზმარია, დედა დედაა, ქართველი დედა უბადლოა ქვეყანაზეო. აქ შეუძახეს, აბა ახლა სხვებსა ჰკითხეო. არავის ვეკითხები, მე ჩემსასა ვტრაბახობ, სხვამ

თავში ქვა იცეს, რა მესაქმებაო, — ეს ისევ იმანა, მეოთხემა ესეიგი, ხოლო მეხუთემა ბრძანა: ქალი კულტია ქართველი კაცისა, თანასწორობა სხვაგან პირდაპირ გაიგეს, გაათანასწორეს და დაამდაბლეს, ღირსებაც დაჰკარგა და მშვენებაც დაჰკარგა, როგორც ყველაფერმაო გათანასწორებულმაო. და შეუძახეს ამასაცა: სხვებისა რა იცი, ჩვენ ჩვენი ვთქვათ და ჩვენი ვივალალოთო. მერე ვივალალოთო, მეექვსემა ბრძანა, პასუხადა ამისა, სადღეგრძელოც რო ზედვე მოაბა: ახლა სილამაზის სადღეგრძელოა, სილამაზე ქალია და სადაც სილამაზეა სავალალო არაფერიაო. ბრძანა მეშვიდემა: ნამეტანი ბევრი სილამაზეა ამ ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში და ამის დაცვაში გავწყდით, ჩვენ რო თორმეტი მილიონი ვიყავით თამარის დროსა, მაშინ სამი მილიონი ვინც იყო, ახლა ასი მილიონია, თუ მეტი არა, ჩვენ სამზე დავედით და სამზე ვტრიალებთო და აქ თუ გაგვაჩერა ღმერთს მადლი შევწიროთ, თუ არ გაგვადნო, თუ არ გაგვაქარწყლაო. ბრძანა მერვემა: რო გავმრავლდებით, ვერ გაგვაქარწყლებს ვერაფერი და უნდა გავმრავლდეთ, მოვალენი ვართ, რადგან სილამაზე ჩვენი წილხვედრია, სიმახინჯემ არ უნდა დაგვჯაბნოსო. ბრძანა მეცხრემა: მშვიდობა გვინდა, კიდევ და კიდევ ამოიყრის მშვენიერება, სარეველა გაიმარგლება, ალმოცენდება აჩეხილი მშვენიერება, როგორც რო ვაზი გადათხრილი უთვალავჯერაო. და მეათემა: ვაზი ჯვარია ჩვენი, ქალის თმითაა ჯვარი ჩვენი შემკული და შემაგრებული, — თქვა და თქვა, მოადევნა და მოადევნა, რაღა თამადამა და რაღა მანა, ლამის თამადას გადააჭარბა, ეს მხოლოდ, მთავარი აზრი, რასაც რო უთუოდ განმარტავდა, ახსნიდა თუ დაასაბუთებდა, როგორც რო სხვებმაცა, — სხვებისაც თეზისები გამოვიტანე, მხოლოდ თეზისები რაღა თქმა უნდა, თორემ ოთხ საათს მაინც ილაპარაკეს, თორემ ქაღალდი აღარ მეყოფოდა, აღარც ლიტფონდი მომცემდა ქაღალდსა, წელს უკვე წაიღეო, ვერ გაამტყუნებდი, სხვასაც უნდაო, ქვეყანა წერსო, ვერ გაამტყუნებდი; ცოტა მოთოხნეო და ცოტა მოხოხნეო, ამასაც გირჩევდნენ; ოღონდ და მაინც ამაზე ცოტა აღარც იქნება, ერთ გვერდზე ითქვა ათი კაცის ნალაპარაკევი ოთხი საათის განმავლობაში, ერთ გვერდზეო თუ ცოტა მეტზეო, გააჩნია წიგნის ფორმატსა, თითო კაცზე რო ოცდაოთხი წუთი მოდიოდა, ზოგი რო წუთში სამასზე მეტ სიტყვას რო ისროდა და ოთხ საათში შეადგენდნენ ტომსა, რო ჩაეწერათ და რო გამოეცათ, შეადგენდნენ. წინ კიდევ ედოთ სადღეგრძელონი, ვინ უწყის რო დაათენდებოდათ. ესენი მაინც აღარ დააბრკოლეს. გამოაცილეს სინანულითა, ალტაცებითა და სინანულითა. და იცინოდა გულიკოცა და ჰყლოპინებდა და ჰიკჰიკებდა ალტაცებითვე, ის იმთავითვე ალტაცებითვე, სინანული რო არ გამოიყოლა, რო არ ნანობდა არც რო იქ მისვლასა, წამოსვლასაც რო არა ნანობდა. კმაროდა. კმაროდა. ოღონდ მოიწყინა, მალე მოიწყინა, ვიდრე გამოვიდოდნენ ეზოდანა, ვიდრე დაადგებოდნენ გზასა. მოიწყინა.

— დავიღალე...

თქვა გულიკომა, დრამატიზირებული თუ ტრაგედიზირებული ხმითა, რო არა გულისხმობდა იმ ერთ დაღლასა, ერთი დღით დაღლასა, ცხოვრებით დაღლას რო გულისხმობდა.

მზეს გადაევლო მცხეთის თავზედა. ჯვარსლა შესცქეროდა მზეი.

— ჰოოო...

დაატანა ფრიდონმა ისე, რო გულისხმობდა მხოლოდ იმა სადღეგრძელოთა, ერთი ტომი რო გამოვიდოდა.

— არა... — მიუხვდა გულიკოი, — ეგ ქეიფია. რახან ქეიფობ, უნდა იქეიფო, როგორადაც გექეიფება. მე... საერთოდ... საერთოდ... დავიღალე.

— ასეთია ჩვენი საუკუნე.

— ყველას რო არა ღლის?..

არ დაეთანხმა გულიკოი.

— რა ვიცით?..

— ზედ არ ეტყობათ?!.

— ბოლოს მაინც...

აღარ დაამთავრა ფრიდონმა.

— სიბერე?..

— ჰო...

— სიბერე ისაა, რო უნდა დაგლალოს, ახალგაზრდობამ არ უნდა დაგღალოს.

მოეწონა გულიკოსა, გაიმეორა, ახალგაზრდობამ არ უნდა დაგღალოსო. გზას ადგნენ. მოიწყინა.

იბურებოდა თითქოსა მცხეთაი, ჯვარი ისევა ლიცლიცებდა მზეზედა.

— შესვენება რო შეიძლებოდეს...

ისევ გულიკომა თქვა.

— გავჩერდეთ?!

იკითხა ფრიდონმა. სვლას უკლო.

— ბატონო?!

ვერ გაიგონა თუ თითქოს ვერ გაიგონა გულიკომა.

— სადმე შევიცადოთ?!..

ახლა ასე იკითხა ფრიდონმა.

— აქ სადღაც სასტუმრო უნდა იყოს...

თვალი მიმოატარა გულიკომა, ხელიც მიმოატარა.

— არის...

და შეაბრუნა მანქანაი ფრიდონმა.

ჩაბინდულიყო მთები მცხეთისაი, ჩაბინდულიყო და მუქდებოდა. მუქდებოდა. ჯვარი რო ისევ იზმორებოდა მზეზედა თუ შემორჩენილ ნათელზე მზისა თუ ირიბად არეკლილ ნათელზე, სადღაც ცაშივე არეკლილსა და დახრილსა ჯვარზედა.

— დავიღალე...

ერთხელ კიდევ გაიმეორა. მერე. ლამის უსასოდა...

XII

უეცრად რაღაცა მოაგონდა.

„ა... ახ!..“ ამოისუნთქა ერთი ღრმადა, ანთუ ოდნავ ამოიოხრა, ანთუ ისევ ისა სჯობიან, ამოისუნთქა ერთი ღრმადაო.

მკლავები შემოჰხსნა ვაჟსა. ფრიდონსა.

ჩაიცვა.

გავიდა.

გავიდა, ისე აჩქარებითა, — თითქოს მირბისო.

მცხეთა — საძირკველი სახელმწიფოსი. ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგიაო. უძველესი სიმღერაა, ანთუ საწყისი, ანთუ დასასრული, ანთუ შუაწელი, ეს სულერთია, მთავარი ისაა, დანარჩენი რო დაკარგულა, რაღაც რო მოუბამთ, მერე მოუბამთ, ამისი არ არის, არა, არ არის. უძველესია. უძველესი. ხეკორძულადან მოდიოდა კირი და ქვაი. ქვიშა ჰო იქ გახლდა, — ქვიშა მოსდებოდა ირგვლივა მცხეთასა, ქვიშაი და ნარიყი, აყრიდა მტკვარი, არაგვი აყრიდა. ენთო ცეცხლი ნარიყისა. მოდიოდა კირი და ქვაი. მოდიოდა. იმ გზას გაჰკვროდა მშენებელი მცხეთისა, საძნე ურმები მიჭრიალებდა იმა გზაზედა, მიირწეოდნენ გალექილი კამეჩები იმა გზაზედა და დამღეროდა მეურმეი იმა გზაზედა: ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგიაო, იმა გზაზედა, იმა გზაზედა, — მცხეთაო ცხადია, სვეტიცხოველი არაფერ შუაშია და ქრისტიანობაც არაფერ შუაშია, სიმღერა ძველია, ძველის ძველია, ქრისტე სიზმრადაც რო არ მოლანდებოდა ჯერ არავისა, ქრისტიანობა რო არ მოლანდებოდა ჯერ არავისა, არც რო კერპნი სხვათა და სხვათა, სხვათა რჯულისა, მერე და მერე რო შემოეზიდათ და რო არწმუნებდნენ ჩვენთა წინაპართა, ესაა ჭეშმარიტი, იწამეთ ესაო, რო არწმუნებდნენ ცეცხლითა, მახვილითა, არწმუნებდნენ და არწმუნებდნენ, — არა, არავის რო არ მოლანდებოდა, ჭეშმარიტება რო იყო მცხეთაი, სარწმუნოება რო იყო მცხეთა, მცხეთა რო იყო ღმერთი ჩვენი, ჩვენთა წინაპართა ღმერთი, — ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგიაო: რაღაც სხვა მოსდევდა, სხვა სტროფი მოსდევდა, იმედიანი, მხნეობიანი, გულადიანი, რაღაც სხვა სტროფი და არა ისა, ოდესღაც მერე რო მიუკერებიათ. რო არაფრით მიესადაგე-

ეროვნული

ბა, არცა რო განწყობილებითა, არცა რო ხელოვნებითა, მართალი ჰო არ არის და არა, და არც შეიძლებოდა რო ყოფილიყო მართალი. არ შეიძლებოდა. პავლე ინგოროყვა ამტკიცებდა. ამტკიცებდა. რო არ შეიძლებოდა, რო ხელი მოეკვეთათ ხელოვანისათვისა მცხეთაში, ანთუ საქართველოში, არც შეიძლებოდა რო დაეწვათ რო ვეფხისტყაოსანი, არ შეიძლებოდა და არც მომხდარა. ამტკიცებდა. რო მარჯვენაი გონიოთი შემოჰყვებოდა სასახლეთა უძველესთა მცხეთისათა, ტაძართა უძველესთა, სვეტიცხოველი რო არავის მოლანდებოდა, რო არ მოლანდებოდა ქრისტიანობაი ჯერ არავისა, შემოჰყვებოდა, შემოსდევდა, სამკაულადა და ტვიფრავდა: ავაშენეო, შემოჰყვებოდა სხვა შენობათაცა, ყველა შენობასა, მხედართა თუ ვაჭართა, ხელოსანთა თუ მეურნეთა, ავაშენე და სახლი მიდგასო. ის დანგრეულა ათასჯერა და ათიათასჯერა, ამასღა შერჩენია და სათქმელი რო ველარ უშოვნიათ მეგზურებსა, ტურისტები რო დასდევენ ჯგუფჯგუფათა, იქით მიუძღვებიან პირველყოვლისა: აი აჰაო დაააშენაო, აი აჰაო და მარჯვენა მოჰკვეთესო. არა და ისიც ასახსნელია, მარჯვენა არის თუ მარცხენა გახლავთ. და იწერენ ტურისტები, იწერენ, იწერენ გაფაციცებითა და ბრუნდებიან და გამოსცემენ წიგნებსა და ისე სწრაფადა და ისე გასაოცრადა და ისე უცნაური მტკიცებებითა, თითქოს ინკვიზაცია ჩვენში დაწყებულა, ევროპას რო ჯერ არაფერი გაეგონა ამისა. უცნაური მტკიცებებითა. ეს რა ჰქენიო, ეკითხებოდა პავლეი კონსტანტინესა. მე ჰო რომანი დავწერეო, მიუგებდა, რომანი ჰო ისტორია არ არისო. არა ცხადია., მაგრამ ისტორიაა რომანი, ანთუ ადამიანი რომანს ეძებს ისტორიაშიცა, რადგან ცხოვრება რო რომანია, ხელოვნებაც რო რომანია, სიყვარულია და ბრძოლაა სიყვარულის გადასარჩენადა. რომანია.

სვეტიცხოველს არა, —

სამთავროს მიირბინა.

„პოვა ქოჩი ერთი ბრწ[illegible] მაყ[illegible]-სა...“

ერთი ბლუჯი სანთელი გამოართვა მესანთლესა. ხურდა ინებეთო. შემიწირიაო. გამორჩა თუ რამდენი მიაწოდა. ღმერთმა გისმინოსო, მიადევნა მესანთლემა. ფეხზე ჩამოვისანთლეო. ფეხზე ჩამოვშეშდიო. არა. ის იყო გადიოდა მესანთლეი. გასულიყო კიდევაცა. მობრუნებულიყო, რო დაექეტა. ასე წაესწრო. რო არ ეჩქარა, გაასწრებდა.

ისევა ჩქარობდა. ფაციფუცობდა.

შემოირბინა. ყველა ხატთან აანთო სანთელი.

ხის ხატებთანა. მიდგმულთანა. დასვენებულთანა. ჭშეუმკობელთანა თუ გაძარცულთანა. აანთო.

ფრესკები ჰო აქაც გადაეთეთრებინათ. ალაპლაპდებოდა. ლაპლაპებდა თეთრი. სანთლის ალზედა.

გუმბათი მაინც გამოეწმინდათ. მცირე კალთებიცა აქეთ-იქითა მოსდევდნენ ხატნი წმინდანიცა და სახარების სცენები. მკრთალადა. მკრთალადა. მოსდევდნენ. თუ რამ ამოიწმინდებოდა. ქვევით და ქვევით დათხრილიც იქნებოდა. დათხრილი, დაფხაჭნილი. ტყვიადახლილი. იქნებოდა. ალაპყრო სანთელი. სანთელ-საკმელი გზას არ დაჰკარგავსო. ალაპყრო. მიუძღვნა. მიამაგრა. შემოარიგა. მიამაგრა. მიექცა მერე ღვთიშობელსა. არ დაუჩოქნია. მუხლმოდრეკა არც უსწავლებიათ. არა. დაუმორჩილებლობას ასწავლიდნენ. აჯანყების მაგალითებს ასწავლიდნენ. დაუმორჩილებლობის მაგალითებს უმოძღვრებდნენ. უმოძღვრებდნენ, რო უნდა სძულებოდათ, რაც იყო, სძულებოდათ, — ყოფილი, გარდასული, დაცემული რაღა თქმა უნდა. მერე სიყვარული ძნელდებოდა. ძნელდებოდა. უცნაურიაო. არც უნდა გაჰკვირვებოდათ. ძნელდებოდა. არც სასოება უსწავლებიათ. სკოლაში. იდგა ისე ღვთისშობლის ხატთან. ჩქარობდა. იდგა. ჩქარობდა. ღვთისშობლის ხატთანა.

იყო მდუმარება.

იყო სიმშვიდე.

არა, არ უნდა აჩქარებულიყო. მაინც გამოვიდოდა. აჩქარებითა. აჩქარებითა. შებრუნდებოდა ისევა ისევე. თითქოს იპყრობდა სიმშვიდეი ტაძრული, იპყრობდა და ვერ დაეოკებინა. ვერ დაეოკებინა.

და შემოაჭდო მკლავები ისევე.

ისევე.

მიეძაგრა.

ჩააჩერდა თვალებში. ჩააცივდა. მდუმარი. მეტყველი.

— ვილოცე...

თქვა, მერელა თქვა.

იმან არაფერიო. სიტყვითა. მკლავები მკლავებად შემოაცურა ირგვლივა. ააცურა და ჩამოაცურა.

— ვევედრე...

ეს ისევ ამანა.

იმან არაფერიო. ვაჟმა.

— მომიტეოს...

გამოთქვა ჩქროლვითა. ქალმა.

— ჩემთვისაც ევედრე?

— არა!..

შეკრთა ქალი.

— არა?!.

შეძრწუნდა ვაჟი.

— ხუმრობ...

მიუხვდა ქალი.

— ჰო...

გაიცინა ვაჟმა.

და უცებ ჩამობნელდა, — უცება, უცება. თავზარი დაეცა მეფე მირიანსა. უკუნეთი დაწვა თხოთის თხემზედა, შუადღისასა, შუადღის გულზე. გზა ველარ გაიგნო და გონთ დაუბნელდა. ისედაც მრისხანებდა, აღრეულიყო, გულს ასკდებოდა და გაჭრილიყო მუხრანის მხარესა სანადიროდა, ანთუ იმიტომა, გაექარვებინა დარდი, ანთუ იმიტომა, დამთვრალიყო სისხლითა, გახელებულიყო და გაეწირა ნანა დედოფალი უფრო ადვილადა, უფრო მძინვარედა. ახალი რწმენა მიელო დედოფალსა, ნანა დედოფალსა, რწმენაი ნინოსი, უარეყო არმაზი, გაცი და გაიმ, თითქოს ფარულადა, მაგრამ უკვე ყველამ იცოდა და ირყეოდა ერი, რამეთუ სასახლე ირყეოდა. ირყეოდა [illegible] ველარ განმტკიცდებოდა ერი, [illegible]რპლოდა, რახან ირყეოდა და განწირული იყო ნანა დედოფალი. და მუსრავდა ნადირთა მეფე გაშმაგებული, გაშმაგებული კაცთაგანა, მუსრავდა ულრანში მუხრანისა და უწია თხემსა თხოთისასა; უწია თხემსა თხოთისასა და უკუნმაც უწია, დაბნელდა მზეი შუადღისაი; გზა აერია, დაიკარგა უკუნში მეფეი. და ევედრა მეფეი ღმერთსა თავისასა, კერპთა თავისასა, ევედრა მხურვალედა; მაგრამ არ უსმინეს, იდგა უკუნი უკუნადა, არსაით სხივი, არსაით ხმა, არსაით ჩქამი; იდგა უკუნი და იდგა მეფე მიტოვებული, გაოგნებული, სასოწარკვეთილი, მიტოვებული ამალისაგანა, ღმერთთაგანაც მიტოვებული, თავის ღმერთთაგანა, ჯოჯოხეთშიღა რო ეგონა თავი და აღმოხდა: მეღირსოს შუქი, ოღონდ კიდევ მეღირსოს ხილვა ნათელისა აღარას ვერჩი ნანა დედოფალსა, ვაღიარებ რჯულსა ნინოსი, აღვმართავ ჯვარსა, ვაღიარებ და ვეთაყვანებიო; აღმოხდა ასე და ინათა, გაშუქდა, აღმოხდა მზეცა, გადმობრწყინდა მზეი იგივე, უკუნეთში რო ჩაღუპულიყო. იქმნა სასწაული და აღიარა მეფემ ღმერთი სასწაულთა, წარვიდა სხვა რჯულისა, მრისხანებით აღვსილი, და დაბრუნდა სხვა რჯულისა, თვინიერი, მშვიდი, თუმცა მღელვარი მგრძნობიარებითა, ქალაქიც რო ეგრედვე ჰღელავდა მემატიანეს გადმოცემითა: „და ვითარცა მოვიდა მეფე, იძრვოდა ქალაქი და ხმითა მაღლითა ღაღადებდა მეფე, — სად არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა ჩემი და ღმერთი მისი მხსნელი ჩემი“. მემატიანე, ერთი შეხედვით გულუბრყვილო რო გეგონება, ოღონდ რო იცის ყველაფერი, იცის, ეს რო იმისთვისაა, ერისთვისაა, ხალხისთვისა, უსასწაულოდ რო არ გერწმუნება, რო არ აგყვება უსასწაულოდა, რო არ გენდობა უსასწაულოდა, არ გამოგყვება თუ გზა შეშალე, უსასწაულოდ არ გამოგყვება, დაღუპვას არ-

ჩევს ჩვეული გზითა, უჩვეულოთი გადარჩენასა, — უსასწაულოდა, უსასწაულოდა; ჰო კარგად უწყის მემატიანემა, უწყის და იუწყება: უნდა გამოხსნილიყო ერი სპარსთა ბატონობისაგანა, თუნდაც რო სხვათა ბატონობის მეშვეობითა, რადგან რო ერი იხრწნებოდა უკვე და თუ მთლად გამოხსნა ჯერ კიდევ შორს იყო, რაღაცას მაინც მოასწავებდა ბატონის ცვლაცა, რაღაც განახლებას მოასწავებდა, უწყის და იუწყება, ამას მშრალადა, მემატიანეს როგორც რო სჩვევია, იმას მღელვარედა, — დაუბნელდაო, მღელვარედაცა და ხატოვნადაცა, მართლაც რო დაუბნელდა, მართლაც რო ეძებდა ხსნასა ერისასა დიდი მოღვაწე თავისი დროისა. დაუბნელდა თხოთის თხემზედა, შუადღის გულზე, სამხრობისასა.

ქალი შეირხა.

შესკვნოდნენ ერთიმეორესა. ისე ჩასძინებოდათ.

ქალი შეირხა. შეირხა ისიცა. შეირხენ და შეირხნენ.

ქალმა სიგარეტი მოინდომა. აფათურა, აფათურა ჩანთაში ხელი. ასანთი შერჩა.

საათი ანათებდა. შუაღამე გადასულიყო. დიდიხანია გადასულიყო. ღია არ იქნებოდა არაფერი. არაფერი.

შეიძლება მანქანაში იყოსო. ვაჟმა თქვა. შეიძლებაო.

წამოდგა.

ქალმა გადათქვა, ნუ შეწუხდებიო.

არ დაიშალა ვაჟმა.

ამოიტანა.

ქალმა ჩამოართვა კოლოფი. ატრიალა. აათამაშა. ამოიღო ღერი. დააგდო ღეროცა, კოლოფიცა.

— არა ჰღირს...

თქვა ქალმა. ჩაიცინა. ჩაიცინა. მოეჭდო ვაჟსა. მოეჭდო.

იღლია ჩაჰხსნოდა ჯაჭვის პერანგსა, ანთუ გასცვეთოდა ჯაჭვის პერანგი მეფე გორგასალსა. შეყოვნდა მეაბჯრე გორგასალისა. შეცბა, შეყოვნდა, მაგრამ დრო რო აღარ იცდიდა, აღარც მეფე რო აღარ იცდიდა, აღარც მტერი რო აღარ აცლიდა, შემოსეული, უამრავი მტერი, ისევე მიაწოდა და გაჰყვა მხარდამხარა, გაჰყვა და იფარავდა შემართულ იღლიასა, გოლიათ მარჯვენასა, რო ჩეხდა ირგვლივა, ჩეხდა და მუსრავდა, რო შეიჭრა შუა ბანაკში სპარსელებისა, რო აჰყარა შაჰი, აჰყარა, გააქცია, ძე მაინც მოუკლა, თვითონ იმას თუ ვეღარ მისწვდა, და რო ვეღარც რო მისწვდებოდა: მეაბჯრე დაეცა და ისარი განეწონა იღლიასაცა გორგასალისა; ისარი მოწამლული გამოდგა და უწია კიდევაცა ფილტვამდისა, როგორც ირწმუნება მემატიანეი, მაგრამ მეფე მაინც იბრძოდა კიდევ ერთხანსა, ვიდრე არ გაჰყარა თბილისს იქეთა მტერი მძვინვარეი, მარად მძვინვარეი და მითუფრო მძვინვარეი, რო აღარ ენება ბატონობაი მისი გორგასალსა. აღარ ენება. დიდებულია. აღარ ენება. რას სჯობიან!.. აღარ ენება, აღარც რო სპარსთა, აღარც ბიზანტიელთა ბატონობა აღარ ენება, აღარ ენება ის იმდენი საბედისწერო თამაში იმა ორთა შორისა და მარად ორთა შორისა, სხვათა და სხვათა, და რო მოიპოვა ავტოკეფალია ეკლესიისა, მცხეთა უბოძა სატახტოდა კათალიკოსსა, — თვით მცხეთაი, მცხეთა უბოძა, თვითონ თბილისი აირჩია განთავისუფლებული ქვეყნის სატახტოდა, განთავისუფლებულისა, აირჩია და აღაშენებდა, აღაშენებდა და არ დააცლიდნენ. იდგა უჯარმასა. და იქავე მიაბრძანეს მძიმედ დაჭრილი და დამაშვრალი ომითა. იქვე განუტევა სული. იქავე ბრძანა: აღაგეთ თბილისი და გეჭიროთ მტკიცედაო. იქავე ბრძანა და იქავე განუტევა სული. უჯარმასა. ბრძანა და გამოსცვალა სატახტო ქალაქი, ბედისწერა ვერ გამოსცვალა, ამდენი იმასაც რო აღარ შეეძლო, — ვახტანგ გორგასალსა, ialბუზზე რო ფეხი შესდგა და დიდმა მთებმა იწყეს დრეკა, ამდენი შეეძლო, იმდენი აღარა. და განუტევა. მაშინ გორგასალი 60 წლისა ბრძანდებოდა.

შეიშმუშნა. წამოახველა.

ქალი აბოლებდა. ბალიში აეწია. აე-

მაღლებინა. აწეულიყო. აბოლებდა.

კიდევ წამოახველა ვაჟმა, ძილმღვიძარემა, რო უნდა გაეღვიძა.

— სარკმელს გავაღებ...

ქალმა თქვა. უფრო თავისთვისა, რო ეგონა რო ძინავს ვაჟსაო.

— იყოს... როგორც გინდა...

გამოფხიზლდა ვაჟი.

— გავაღებ... თვალები დაჰხუჭე.

ბრძანა ქალმა. საბანი გადაიგდო, მანამდეც ჭიპამდე ჩახვეტილი საბანი. წამოდგა. დედიშობილა წამოდგა. ეგრე იწვა და ეგრე წამოდგა. აეტოტა სარკმელსა.

— აჰ!.. ნუ, ნუ, ნუ შემომცქერი!..

შესძახა ქალმა. მოიხარა, მოტყდა თითქოსაო, სირცხვილითაო, სირცხვილითაო. ხელებიც აიფარა თუ ველარც რო დაიფარა, ძუძუებიო თუ საბეწვოიო. დაჰხუჭა თვალები.

მთვარე დასცქეროდა, სავსე მთვარეი, ვაჟი, გამოცხადებული ვაჟი, უტიფრად დასცქეროდა. ჩასცქეროდა. უტიფრადა. უბოდიშოდა. მსუნაგადა. დაუმცხრალადა.

გაუსხლტა ქალი. გაიტკაცუნა. გაუსხლტა. თვალი რო არ გაუხელია. გაიტკაცუნა. შესრიალდა ლოგინში, თვალიც რო აღარ გაუხელია. შესრიალდა. შემოეხვია. შემოერტყა. ანთუ გადაამტვრევს, ანთუ...

მთვარე მოიწევდა. ღია სარკმელში მოიწევდა. მთვარეი.

„მაშინ სინდთა მეფე გამოდგა კართა ქალაქისთა და ხმა ყო ხმითა მაღლითა და რქვა: ვახტანგ მეფეო, მსგავსი ხარ შენ ყუავისა მის უგუნურისა, რომელმან პოვა ქორი მოწყლული და გაგლეჯილი არწივისაგან, რომელსა ვერ ეძლო აფრენა და მიახლებულ იყო სიკუდილსა. და არა ქმნა ყუავმან მან ვითარცა წესი არს ყუავისა. რამეთუ სხუამ ყუავმან ოდეს იხილოს ქორი, იწყის ხმამაღლად ყივილი და ასმინის სხუათაცა, და დაესხის სიმრავლე ყუავთა ქორსა, რათამცა განიოტეს საყოფელთაგან მისთა, და უშიშადმცა დაყვნეს დღენი მათნი. რამეთუ პირუტყუთაცა იციან სარგებელი თავისა მათისა. არა ქმნა ყუავმან ესევითარი, არამედ შეიწყალა ქორი იგი, ვითარცა კეთილისმყოფელი მისი; დაუტევა ზრდა მართუესა თუისთა, და მარადის უკრებნ მკალსა და გუელსა, რამეთუ სხუასა შეპყრობა არა ძალუც ყუავსა, და მით ზრდიდა ქორსა. ვითარცა მოეზარდნეს ქორსა მას ფრთენი, თქუა გონებასა თუისსა: ესერა დღეთა მრავალთა გაზრდილ ვარ მკალითა და გუელითა, და არა მომცემია ძალი მამა-დედათა ჩემთა, რამეთუ მკალითა ვერ განვძლიერდები. თუმცა ძალმედვა მიწევნა მფრინველთა და მით გამოზრდა თავისა ჩემისა, არამედ შევიპყრა ყუავი ისი, მზრდელი ჩემი, შევჭამო და განვისვენო ორ დღე, — მომცეს ძალი და ვიწყო წესისაებრ ნადირობად, მამათა ჩვენთაებრ. რომლისუათუისცა აღასრულა ესე, შეიპყრა ყუავი იგი და შეაჭამა. მიერითგან იწყო ნადირობად დიდთა და მაღლეთა მფრინველთა. არა მიეცა ყუავსა მას ქება მოწყალებისა მისთუის, არამედ უგუნურად და თავისა მკვლელად ითქმის. არცა მიეცა ქორსა მას ყუედრება უწყალოებისა და კეთილის — უხსენებლობისა; რამეთუ იგი არს გუარი და წესი ქორისა, — განილეოდა და მოკუდებოდა მკალითა, და ქმნა წესისაებრ და განერა სიკუდილისაგან. ხოლო ყუავმან მან არა წესისაებრ ქმნა და მითცა მოკუდა. აწ სპარსნი, რომელნი პირველითგან მოაქამომდე და წალმართ მიუკუნისამდე მტერნი არიან ჯუარისმსახურთახი, ჟამსა შინა ულონოებით, ლიქნით ყვიან სიყუარული; და ოდეს ეცის ჟამი, არა ყვიან წყალობა და კეთილის-ხსენება. ესე ბევრისბევრეულჯერ ქმნილი, გუასმიეს წიგნთაგან. და ოდეს იხილენ სპარსნი ჩემ მიერ შეკნინებულნი, არა ჰყავ იგი, რომელი ჯერ იყო შენდა საქმედ, სიხარული და მადლისა შეწირვა ღმრთისა შენისა, და ზრახება სხუათაცა ნათესავთა, და მტერთა აღზრზენა სპარსთა ზედა, და შეწევნა მტერთა სპარსეთისათა. არა ჰყავ ესევითარი, არამედ დაგიტოებიეს

საყოფელი მამათა შენთა, და წინამძღუარ ქმნილ ხარ სპასა დიდსა საქრისტიანოსა საბერძნეთისასა, და მოგივლია ორისა წელიწადისა გზა და მოსრულ ხარ ძალად სპარსთა, რათამცა განძლიერდეს, და მოიწყუნეს, და წარგწყმიდეს შენ და ქუეყანა შენი, და დაიპყრეს წარსაწყმედად ყოველთა ჯუარის-მსახურთა. ჭეშმარიტად ამას იმზადე თავისა შენითათუის და ყოველთა ჯუარის-მსახურთათუის. რად ვთქუ მე შენთუის ყუავისა იგავი, — რამეთუ მეფე ხარ თუითმპყრობელი და ახოვანი და ნებითა შენითა მიგიცემია თავი შენი მონად მტერთა შენთა. და ვითარ არა უგუნურად ვთქუა თავი შენი“. და მაშინ: ოცდახუთი წლისა თუ ბრძანდებოდა ვახტანგ გორგასალი, — თუ?.. არცაო, ბევრი რამ კიდევ გამოსათვლელია, ბევრი რამ კიდევ კარგად ასახსნელი, ანთუ ნეტავი არ ამახინჯებდნენ, — ნეტავი, ნეტავი.

ვაჟი გამოაღებს მანქანის კარსა.

ქალს მიიწვევს.

ქალი საჭესთან დაბრძანდება.

გასაღებს უბოძებს ვაჟი. და ხელებს ასწევს, მშვიდობით იმგზავრეთო.

— თქვენ?!.

უკვირს ქალსა. ხუმრობა ჰგონია. დასძრავს კიდევაცა ხუმრობითა. წავა. წავა. დაიხევს უკანა.

— დავრჩები.

— დარჩებით?..

კითხულობს ქალი, ოღონდ ისე, რო არც უკვირს.

— დავრჩები...

— მანქანა?..

რა ვუყოო რაღა თქმა უნდა.

— მანდ... უჯრაში ტელეფონის ნომერია... დარეკეთ. მოვა. მიჰხედავს.

— ვინა?..

ისეღა იტყვის, რო რამე თქვას, არ ეკითხება, ვინც უნდა იყოს.

— პატრონი...

— პატრონი?!.

ეს უკვირს ქალსა, თუ არ ელოდა. მერე გაიცინებს უცნაურადა. უცნაურადა. გასრიალდება. წავა. იქ დარჩება სიცილი. შორეული სიცილი. შორეული და მახლობელი. დარჩება და მოესმის, დარჩენილა და მოესმის. ეგონება, დაბრუნდაო, ანთუ არც წასულა, არც წავა, არა, არის და იქნება სერაფიტას სიცილი. სერაფიტა. იქნება. წინარე ათასწლეულებშიც ასევე. ახლაც ასევე. მერეც ასევე. სერაფიტა.

XIII

წინარე ათასწლეულებშიო...

ანთუ:

რაღა დროს ეგ არისო...

რაც უნდა იყოს, ამან არ იცოდა თუ რატომ დარჩა, ოღონდ რო დარჩა, დარჩა ისე, რო ვერც გაიგო. კარი გამოაღო, თქვა მობრძანდითო, — ჰო ასე გახლდა?!. — რაღა თქმა უნდა!.. ჩაჯდებოდა და კარს გაუღებდა, მეორე კარსა, მიიწევდა თავის გვერდითა, ასე იქნებოდა, ასე გულისხმობდა. ის წინასწარი შეთავაზება გახლდა, გაუმეორებდა კიდევ და კიდევა სხვადასხვა ხმაზედა, ვიდრე მანქანას შემოუვლიდა! ქალი, ანთუ წინიდანა, ანთუ უკნიდანა, თუ შემოუვლიდა რაღა თქმა უნდა, მაგრამ როდი რო შემოუარა, რო იქვე დაბრძანდა, მაშინვე დაბრძანდა საჭესთანა, უბოძა გასაღები ამანაცა დაუყოვნებლადა, უცაბედადა, უნებლიედა, ხელიც ასწია უნებლიედა და დარჩა, დარჩა უნებლიედა, ის ყველაფერიც ისე წამოსცდა, უნებლიედა, და დარჩა, დარჩა უნებლიედა. დარჩა და დაეხეტებოდა მოგვთუბანსაო თუ არმაზში, სამთავროსაო თუ მაყლოვანში, დაეხეტებოდა და დასდევდა სიცილი სერაფიტასი, მისდევდა და წინაც მიუძღვოდა, უკნიდანაც წამოეპარებოდა, ამოუდგებოდა მხარშიაცა, ხან აქეთა მხარში, ხან იქითა მხარშია, ანთუ სულაც გადაეკარგებოდა, ვიდრე ისევ წამოხტებოდა, ქვას რო ფეხს წაჰკრავდა, წამოხტებოდა. ჟრიალებდა იარაღიცა, ქვას რო ფეხს წაჰკრავდა, მიწა გუგუნებდა, გუგუნებდა ფეხქვეშა, რო მოქცეულიყო ფეხქვეშა მცხეთაი ძვე-

ლი, უძველესი მცხეთაი, დედაქალაქი უძველესი, მრავალჯერ ძლეული და გამარჯვებული მრავალჯერა, გუგუნებდა და გუგუნებდა, იჩეხებოდა და ილეწებოდა, იჟუჟებოდნენ შემოსეულნი და დამხვდურნიც იჟუჟებოდნენ, იჟუჟებოდნენ და გაჟუჟულიყვნენ, იცინოდა და იცინოდნენ, იცინოდნენ სერაფიტანი. ჟრიალებდა იარაღი და ბზინავდა სამკაული, ბლუჯა-ბლუჯადა, ქვას რო ფეხს წაჰკრავდა, სადაც რო წაჰკრავდა, ჟრიალებდა და ბზინავდა უცხოური თუ ჩვენი, ჩვენეული, სხვაგან ნაძარცვი, აქამდე რო მოეტანათ, რო ვეღარ გაეტანათ აქედანა, ჩაქცეულიყვნენ, ხოლო რაც წაეღოთ, რაც რო გაეტანათ, რო ვერ აღნუსხავდა ვერარა რიცხვი, ვერა აღმწერი რო ვერ აღწერდა, როგორც რო ეთქვათ მონგოლ აღმწერთა: ვწერეთ და ვწერეთ და ვეღარ აღვწერეთო, — განძეულიო რაღა თქმა უნდა, ისეღა ვზიდეთ, ვზიდეთ და ვზიდეთ, ვზიდეთ და ვეღარ ავუვედითო. ეს მარტო მონღოლთა. და ჟრიალებდა იმათიცა იარაღი, იფშხვნებოდა ძვლები იმათიცა, სადაც რო ქვას ფეხს რო წაჰკრავდა. და იცინოდა, იცინოდა სერაფიტა, იცინოდა და მიუხტოდა. და გუგუნებდა, გუგუნებდა მიწაი მცხეთისაი ფენა-ფენადა თუ ცხრაკეცადა, ანთუ ვინ უწყის თუ რამდენ კეცადა, რო ამოდიოდა და ამოდიოდა ლოდები ვეებაი, ყოვლად წინარე ათასწლეულებისა, ჯერ გაურკვეველი ნაფხაჭნებითა, დაფები ვეებაი, მომდებარე ათასწლეულისა, სადაც რო ბარს დაჰკრავდნენ, ამოდიოდა და ამოდიოდა, ამოჰყოფდა თავსა და ამოდიოდა, ნაწერნი უცხოთაი, უკვე გასარკვევი, მოვედით მეგობარნი და ვპოვეთ მეგობარნიო, კეისრებისა არ იყოს, — აქეთ კეისრებისა, იქით შაჰებისა, მერედამერეც ისევ კეისრებისა, ისევ შაჰებისა, სულთნებისაცა, ყაენებისაცა, — ღმერთო დიდებულო, ვითომ არა კმაროდნენ შაჰები და კეისრები, ანთუ მხოლოდ შაჰები, ანთუ მხოლოდ კეისრები, ვითომ არა კმაროდნენ!.. ანთუ ისინი არა კმაროდნენ, ის ჯერ კიდევ უსახელონი, ანთუ ამოუკითხავნი, ანთუ ძლივას ამოკითხულნი, ჯერ კიდევ იმა გაურკვეველი ნაფხაჭნებიდანა, ალბათ ოდესღაც ასოები რო ერქმეოდა, წამკითხველიც რო აღარა ჰყავდა, რო გარდაგებულიყვნენ წამკითხველიან-ასოებიანადა, გარდაგებულიყვნენ, მაგრამ და რაო, ამოკითხვა მაინც მოხერხდებოდა, როცა იქნებოდა მოხერხდებოდა, რადგან იქაც რო იგივე ეწერება: მოვედით მეგობარნი და ვპოვეთ მეგობარნიო,—უთუოდა და უეჭველადა, — ვითომ არა კმაროდნენ!.. ამდენი მეგობარი რო ჰყოლოდა ინგლისსა თუ საფრანგეთსა, თუნდაც ჩინეთს რო ჰყოლოდა ამდენი მეგობარი, აღარც ისინი იქნებოდნენ მეტნი ჩვენზედა. და ამოდიოდა და ამოდიოდა, ანთუ დაიგუგუნებდა, დაიგუგუნებდა და ამოვარდებოდა, ამოფლეთდა და ამოვარდებოდა, ამოვარდებოდა თუ ამოიტყორცნებოდა საღლაც ქვევიდანა, ქვევით-ქვევიდანა, ვულკანების სიღრმეებიდანა ძეგლი ამდაგვარი, ნიშანი იმა გულითადობისა, ამოიტყორცნებოდა და იყო ზევითაცა, თვალდათვალაც დაინახებოდა, როგორც რო ხიდი პომპეუსისა, მტკვარი რო თელავდა, ჰქელავდა, გლეჯდა და ფლეთდა, მაგრამ დაიწევდა წყალი და ამოიტანდა ზურგსა, ისევ და ისევ ამოიტანდა, ამოვიდოდა, თითქოს ისევე გაიმართებოდა და შეუშვებდა ლეგიონერებსა გადამწვარ ქალაქში სამეგობროდა, — თითქოს ისევაო, და მტკვარიც ისევე მოვარდებოდა შმაგი, ამღვრეული, გაფოთებული, მოვარდებოდა და ამოიდებდა ფეხქვეშა ისევე, ულმობელი ისევე, როგორც ისტორია, ულმობელი, შმაგი, ამღვრეული, გაფოთებული. და დადიოდა და დაეხეტებოდა უთავბოლოდა. და მისდევდა სიცილი სერაფიტასი, მისდევდა, მისდევდა. და უცებ მიუწყდა. მატარებელი გრუხუნებდა და იქ ვეღარ შეჰყვა სიცილი იგი. მატარებელი გრუხუნებდა. და ერთხანს ისიც ვეღარ გაიგო, იქ რაღა უნდოდა, ანთუ უფრო სწორად რო ითქვას, — იქ როგორღა

მოხვდა, ველარ გაიგო, დაებნა, დაეფანტა აწმყოი თავისი: ვერ გაიხსენებდა თუ სადგურში როგორ მივიდა, საიდან მივიდა, რად მივიდა, ვერ გაიხსენებდა, როგორ ჩაჯდა მატარებელში, ბილეთი თუ ჰქონდა, — ვერ გაიხსენებდა. ბილეთი აღმოაჩნდა, ხელში ეჭირა, ხელში, ხელში ეჭირა, — როგორ აიღო, სად აიღო, ფული თუ მისცა თუ ვინ უწყის თუ შიაჩეჩეს, — ვერა, ვერა, ვერ გაიხსენებდა. და ცოტა არ იყოს შეფიქრიანდა, რა მემართებაო. თვალები მილულა და იყო ასე. ხელიც აიფარა თვალებზედა, რა მემართებაო. იყო ასედა. იყო. იყო.

იყო.

და ასე ჩაესმოდა როგორც რო გრუხუნი მატარებლისა, ისე ლაპარაკი, ხმამაღალი ლაპარაკი ქალაქიდან დაბრუნებული სოფლელებისა, ჯახაჯუხიც ასევე ჩაესმოდა კარებისა, ასევე ჰხედავდა ამსვლელ-ჩამსვლელთა, ბაქანზე მოზოზინე ხალხსაცა ჰხედავდა, მოლოდინით გაბეზრებულთა, ჰხედავდა ასევე თვალებზე ხელაფარებული, როგორც რო ახსოვდა ბავშვობიდანვე, რო არაფერი იცვლებოდა, ისევ ისევე რო ყოვნდებოდა საგარეუბნო მატარებლები, ელოდა სატვირთოთა, მიიღებდა და გაისტუმრებდა, მისდევდა მერე ჩანჩალითა, მერე ისევ ელოდა, სხვასა და სხვასა, მერე ისევ მისდევდა, ისევ ჩანჩალითა, ისევ ელოდა და ისევ მისდევდა: რო არაფერი იცვლებოდა, თითქოს იცვლებოდა და არც რო იცვლებოდა, ისევე რო სძრახავდნენ სოფლელნი ქალაქელთა, ბაზრიდან დაბრუნებული სოფლელნი, — რა ჩვენი ბრალია თუ ბაზარი გაძვირდა, ჩვენ აბა რა ვიცით, მივალთ და ვიკითხავთ თუ რა რა ღირსო, ჩვენც ჩავდგებით და ისევე ვაფასებთო, — ჩვენ რა ვიცითო, რა ჩვენი ბრალიაო; ჩვენა გვლანძღავენ, ჩვენა გვთათხავენ, ლამის აიღონ და თავში დაგვიშინონ ჩვენი ნაშრომი, ნაწვავნადაგი ჩვენიო, — რა ჩვენი ბრალია, ჩვენ რა ვიცითო; თავს იმართლებდნენ და სძრახავდნენ ისევე, სძრახავდნენ და იმუქრებოდნენ, აღარას მივართმევთ და ვნახოთ ერთი, რითი გაიტანენ თავსაო; იმუქრებოდნენ ისევ ისევე და ისიც იცოდნენ, ვერ შეასრულებდნენ მუქარასა თავიანთსასა, — სწორედ ასე იმუქრებოდნენ, ასე და ისე, ისევ ისევე, იმავე ხმაზედა, იმგვარივე მოქნევითა სახისა, იმგვარივეთი, ეცნობოდა, ეცნობოდა ყველანი, თვალის გახელა რო არც უნდოდა, ეცნობოდა ისევე, აღწერდა ისევე, მოხუცსაცა, ახალგაზრდასაცა, კაცსაცა, ქალსაცა. თუნდაც იმ ქალსა პირველად რო წაეყვანა შვილი ბაზარზე, რო მოსწონდა, რო აქებდა, ისე კარგად უფასებდაო, ისე მარჯვედ უწონიდაო, ხურდასაც ისე ანგარიშობდაო, თითქოს ბაზარზე მოეჭრას ჭიპიო, — აღწერდა, აღწერდა თვითეულსა იმათთაგანსა, ხმებით აღწერდა, რადგან რო ჰგავდნენ შთამომავალნი წინაპართა სახითაცა, ტანითაცა, ხმითაცა ჰგავდნენ, ანთუ იგივენი ბრძანდებოდნენ, იგივენი, მოხუცები იგივენი, შუათანანი იგივენი, ახალგაზრდანი იგივენი და ისიც იგივე, პირველად რო გასულიყო ბაზარზედა და გასულიყო ისე მარჯვედა, ეგონათ, ჭიპი აქ მოუჭრიაო; იგივე, იგივე და ბაზარიც იგივე, თუმცა უნდათ რო ბაზარი რო არ იყოს, მაღაზია იყოს, სახელმწიფო მაღაზია იყოს; არის კიდევაცა, მაგრამ არა ჰყოფნის საქონელი, არის ბაზარიცა, შემოზიდული, გოდორ-გოდორა, კალათ-კალათა, შემოეხვევა ხალხიცა ჭრელჭრული, — თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო, — შემოეხვევა ხალხი ჭრელჭრული და აყაყანდება ყველა ერთბაშადა, ბაზარიც ესაა: დავაა, კამათია, ვაჭრობაა, მორიგებაა, — ბაზარიც ესაა, რო გგონია, რო ძვირად გაჰყიდე, რო გგონია, რო იაფად იყიდე — ბაზარიც ესაა, რო გგონია, რო მოგატყუეს, ბაზარიც ესაა, რო იმუქრები, აღარ ჩავალ, აღარ ჩავიტანო რო იმუქრები, იქ აღარ გავალ, იქ აღარას ვიყიდიო, და მაინც რო ვერ შეელევით ერთიმეორესა, ბაზარიც ესაა, ესაა ბაზარი თუ მოხატულია მაღაზიები და

ანთუ უვარგისი თუ არის; ბაზარი ისაა, ის არის ბაზარი, სადაც რო კარგია, მიმზიდველია, ნუგბარია, თვალისმომჭრელია, ისაა ბაზარი, ბაზარი იქაა, იქ არის ბაზარი; ებრძოლე, უარჰყავი, დაარბიე, იმუქრე, იმუქრე, — დოვლათი დოვლათია, დოვლათი განაგებს, ბაზარი იქაა, სადაც დოვლათია. და ივსება ბაზარი, კალათებითაც ივსება ბაზარი. და გადადის კალათები ამის თავზედა. გაჩერდება მატარებელი. გადადის კალათები. ეცნობა ,ეცნობა ის კალათებიცა, — თვალის ახელა არ უნდა, არა, — ახალი ისევეა ახალი, შეძველებული. ისივეა შეძველებული, ყურამოწყვეტილი და თოკით ამოხვეული, ისევეა ამოხვეული, ბავშვობიდან რო ახსოვს, ისევეა თავწაკრული ხილაბანდებითა თუ ჭურჭლის ტილოებითა, სუფთა, სუფთა, გაქათქათებული ტილოებითა თუ ხილაბანდებითა; არის სიახლეცა, — მუყაოს კოლოფები, სავსე რო ჩაიტანეს, დაკეცილები რო მოაქვთ, — სიახლეა რაღა თქმა უნდა, მაგრამ ჰგონია, რო მაშინაც იყო, ანთუ რაღაც ამდაგვარი იყო, ანთუ უფრო მკვიდრი რამ იყო, ცელოფანისა არ იყოს — ტომრები სჯობდა, ტილოს ტომრები რაღა თქმა უნდა: შეიცვალა თუ სიახლეა თუ უარესია თუ, რაც უნდა იყოს, ეცნობა, ეცნობა, და გადადის ისიცა ამის თავზედა, რო გაჩერდება მატარებელი, რო ჩადიან იმ სადგურისანი რაღა თქმა უნდა და რო დგას, დგას გულის გაწვრილებამდისა, რადგან რო ისევე დაიჭერს სატვირთოი, ანთუ უკანა სადგურიდანა, ანთუ წინა სადგურიდანა, ანთუ ორივე სადგურიდანა, დაიჭერს და დგას, დგას, როგორც რო იდგა და როგორც რო იდგება, მეორე რო არაა, მეორე ლიანდაგი და ერთხელ ამისი აყრაც რო ენებათ, — რო აეყარათ!.. მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგნით განაწირსაო. ანთუ და რაო, აეყარათ და აეყარათ, ივლიდნენ ისევ, ისევე ურმითა, ურმით ევლოთ და ურმითვე ივლიდნენ, ფეხით ევლოთ და ივლიდნენ ფეხითა, სხვა მანძილი მაინც რო არ არის, დედამიწა რო ფეხით ზომილის, და ვერავინ რო ვერავის გაუსწორებს, კუც რო იქ მიდის, სადაც რო ირემი, და თურმე კუ რო სჯობნის ირემსა, ირემი თუ თავდაჯერებულია. რაც უნდა იყოს, ფეხითაც იარა, — ფრიდონმა ცხადია.

თვალებიდან ხელი ჩამოიღო და ისე იარა რაღა თქმა უნდა.

ეძინა სოფელსა.

აღარც იმდენი ძაღლი იყო სოფელში და აღარც იმდენი ძაღლი გამოჰკიდებია. აღარც ამათებს შერჩენოდათ ძაღლი. უჩუმრად შეიარა ჭიშკარი, უჩუმრად ავიდა აივანზედა, კართან შეჩერდა, ასწია ხელიცა, დასაკაკუნებლადა ალბათ ცხადია, ასწია და დაუშვა, მოერიდა, დაე იძინონო, თვითონაც შეეძლო გამოეძინა უამათოდა ძია გიგოს დარბაზშია, შეეძლო და გამოიძინა კიდევაცა, იქ გამოიძინა, ოღონდ რო შერჩა კიდევ კარგახანსა, ცოტა გაკვირვებული თუ ცოტა შეფიქრიანებული, რადგან რო ეკიდა ახალი სურათები კედლებზედა, პალიტრაზედა გადაჭიმული ყო ტილოი, ჯერ დაუმთავრებელი, საღებავების სუნი რო უდიოდა რაღა თქმა უნდა და ფუნჯებიც სველი გახლდათ, სველი, სველ-სველი. იდგა ისევე ამისი ამირანი, ქალის პორტრეტიცა, ეყარა მაჯებიცა ნაირნაირი, მოხრილი მუხლებიცა, მკლავებიცა მოხრილი, ნაირნაირადა და ნაირგვარადა, ბარელიეფებიც ისევე ეწყო, ყველაფერი ისევე, როგორც რო დარჩა თუ დასტოვა როგორცა, ოღონდ ეს სურათები მიმატებოდა, აქა-იქ ჩაღი, განათებული სურათები, ისე ნაღვლიანი, უფრო ნაღვლიანი, ზოგჯერ გამძაფრებული, ოღონდ ისევ მუქი ფერებითა, მუქი რო სჭარბობდა და მით უფრო რო გამოჭრილიყო თუ მოფენილიყო თუნდაც რო ერთი მოსმაი ფუნჯისა, თუნდაც რო წერტილი, ნათელი მოსმაი, ნათელი წერტილი მოფენილიყო ისე, იმგვარადა, ლამის შუქიც რო აღარ აენთო, ისე, იმგვარადა. გარეთ ისევ ის მთვარე იდგა, ოღონდ აქ აღარავინ დაიმორცხვებ-

და, — იდგა, იდგა, ცა რო ისე მოშიშვლებულიყო, ღრუბლის ფთილაც რო არსაით მოსჩანდა, — ღრუბლებისაგან მოშიშვლებულიყო, ვარსკვლავებისგან არა ცხადია, ოღონდ რო არაა საჭიროი ვარსკვლავები ამ შემთხვევაში, არც უნდა თქმულიყო, ზედმეტი გამოდის, არც არას უხდება ზედმეტი ცხადია, მაგრამ რას იზამ, სადაც რო მთვარეა, იქვე ბრძანდებიან ვარსკვლავებიცა, მით უფრო თუ უღრუბლოა ცაი, მით უფრო ცხადია, ცხადია და რაღა თქმა უნდა; ოღონდ ეს მაინც ისე ანათებდა, შუქის ჩართვაც არ უნდოდა მეთქი მართლაც რო მოსმაი ერთი, ერთი ფუნჯის მოსმაი, — კარი რო ჩაენგრია ჩუგლუგითა ფარნაოზსა, მეფე ფარნაოზსა, კარი მღვიმისაი, განძს რო წასწყდომოდა, განძსა უთვალავსა, აურაცხელსა; განათებულიყო ფარნაოზი, ბნელში იდგა და განათებულიყო, თითქოს არაფერი მოუჩანდა, გარდა თვალებისა, მაინც მოსჩანდა ატანილი მთელის სხეულითა, ატანილი და ანთებული, რადგან ეს შუქი ხსნის შუქი გახლდა, ერის ხსნისაი, — განძით ლაშქარს დაიქირავებდა, მტერს გააძევებდა; ეს შუქი იდგა, ხსნის შუქი იდგა, როგორღაც ისეთი ფერი მიეგნო ხელოვანსა, როგორღაც ისეთი, სახელი რო არ ედო, არცა რო იმა ცნობილი ფერებისა, არცა რო იმა შენაზავი ფერებისა, სახელი არ ედო და თუ მაინც დაედებოდა, ხსნა იქნებოდა სახელი მისი; და მეორდებოდა იგივე ფერი, ანბანს რო ჰქმნიდა იგივე ფარნაოზი, იქაც ისევე განათებულიყო; ამოხაზულიყო ანი და ბანი, ამოხაზულიყო თუ ამოდიოდა სიბნელიდანა, უკუნიდანა, რო ამოჰყვებოდა სხვანი და სხვანიცა, სრული ანბანი რო ამოჰყვებოდა და გაიხსნებოდა ცაი, გაიხსნებოდა თუ გახსნილიყო კიდევაცა; ფარნაოზი ცას გაჰყურებდა, სამშობლოს ცასა, რო გაცრიაკებულიყო, ჯერ ანი და ბანი ამოჩენილიყო და გაცრიაკებულიყო ცაი, მწუხრის ზეწარი რო გადაჰფარებოდა, გაცრიაკებულიყო და გადანათდებოდა, რო ამოვარდებოდა ასოი ბოლოი, ჰაე როცა ამოვარდებოდა, ჰაიჰუითა და განგაშითა, გადანათდებოდა, ცალკე არ ეცხო პალიტრასა ასეთი ფერი, ფუნჯსაც არ ეცხო, — ტარებსა, თორემ ფუნჯები ჰო გარეცხილი ეწყო, ახალი გარეცხილი, ჯერ არც შემშრალიყო. ხოხობიც იმავე ფერით გამოხატულიყო, გორგასალის ხოხობი, ისარიცა, ცხელი, მდუღარე წყაროცა, ხოხობი რო ჩავარდებოდა შიგა, რო გაიფუფქებოდა, რო შესძახებდა გორგასალი, აქ უნდა იყოს სატახტო ქალაქიო; განათებულიყო გორგასალიცა იმავე ფერითა, ჯერ რო არც დაეშვა მშვილდი, ისარი რო გაჭრილიყო, გაჭრილიყო და მიფრინავდა, ხოხობი ელოდა, — ანთუ შუქი, ეს საოცარი და აღმტაცი შუქი, შუქსავე ელოდა, ისარიც შუქად რო მიფრინავდა, წყაროც რო შუქად მომჩქეფარებდა, ირგვლივ უკუნი შემოფენილიყო, განათდებოდა უკუნი მალე, უსათუოდ განათდებოდა. ირემმა მიაგნებინა განძი ფარნაოზსა, მეფე ფარნაოზსა, ერი რო ეხსნა, ხოხობმა მიაგნებინა სატახტო ადგილი მეფე ვახტანგსა, სატახტო ადგილი, სატახტო ქალაქი, ახალი აღორძინება რო დაწყებულიყო ერისა, ძველი რო უკვე მოეთავებინა, რო მოეთავებინათ სხვებსაცა ძველი, ტოლთა ამისათა, რო მოეთავებინათ და მოთავებულიყვნენ თვითონაცა, მოთავებულიყო მცხეთაცა ეგრედვე, მოთავებულიყო, ახალი უნდა დაწყებულიყო, და გაჰნათებოდა თვალები გორგასალსა, ზურგი უკუნში ჩაწეწილიყო. და მოსდევნებოდა სხვა სურათები, თბილისის სურათები, ბნელი ფონითა და იმედის შუქითა, იმა შუქითა, იმა ფერითა, რო ვერ გაერკვია ფრიდონსა, რითი თუ როგორ შეზავებულიყო. ფუნჯებს აიღებდა, შეუმშრალ ფუნჯებსა, დაისვამდა თითებზედა, არა ეცხობოდა სუფთა ფუნჯიდანა. და მოსდევნებოდა სხვა სურათები, იმავე შუქითა, იმედის შუქითა, — დავითიც ისევე, აღმაშენებელი, თბილისის თავზედა, არაბობა რო მოეთავებინა, მერე მონღოლობა, — სპარსობას

ჰო დასასრული აღარ უჩანდა, ჩვენივე სისხლით, ჩვენივე ქალებით განახლდებოდნენ სპარსი დიდებულნი, იპყრობდნენ ბრბოთა, იქით-იქითა, ახალ-ახალ ბრბოთა, და მოერეკებოდნენ ისევ ჩვენსავე დასაპყრობადა; ოღონდ არაო, აქ ის არ გახლდათ თუ როგორ გვიპყრობდნენ, როგორ რო ვდევნიდით, მხოლოდ ის იყო, როგორ ვდევნიდით და როგორ გვამაღლებდა შუქი უცნაური, შუქი დიდებული, ფერი ელვარი, აღვსებული იმედოვნებითა, მარადიული იმედოვნებითა. მაღლივ შენობებსაც მოსდებოდა იგივე ფერი თუ იგივე ციალი, ქვევ-ქვევით ლანდებად რო ამოსულიყო, ხოლო იქ, დაბლა, ელვარებდა აივნები, ძველთბილისური აივნები, ასხმული ფერდობებზედა, გადმოკიდული ფრიალოზედაცა, მტკვრის ფრიალოზედა, აქამდის რო ჩამალულიყო, ჩამოჰფარებოდა რო ყაზარმები, XIX საუკუნისანი, მერე სამკერვალოებად რო გადაეკეთებინათ, ვთქვათ ხელთათმანებისა, სქელი, ჯვალოს ხელთათმანებისა, ხელთათმანები რო არც უნდოდათ, ოღონდ იმათ ჩამოჰფარებოდა, ჩამოჰფარებოდა თბილისსა ძველსა, აივნების თბილისსა, ბანების თბილისსა, დაირების თბილისსა, დუდუკების თბილისსა, ლხინის თბილისსა, ლხინისა და თავისებური სილამაზისა, ეშხისა თავისებურისა, ჩამოჰფარებოდა, ჩაემალა სიონიანადა და ანჩისხატიანადა. ჩაემალა და ჩაეჩმუჩქნა, რო დარჩენოდა ასპარეზი მწყობრსა, ორკესტრსა, სასულე ორკესტრსა, როგორც რო ახალსა, ახალ ტრადიციასა, მოძველებული ტრადიციების წინაალმდეგა, ვიწრო დერეფნებსა თუ კორიდორებსაცაო ასე, ასევე, ჩახუთულ დერეფნებსა, რო დარჩენოდათ ასპარეზი თუ სარბიელი გაშლილი აივნების სანაცვლოდა, რო გადაჰყოლოდა ანჩისხატის ფრესკებიცა, წიგნთსაცავიცა ძველის დევნასა, განძიცა აგრეთვე ეკლესიისა ძველის დევნას რო გადაჰყოლოდა, ოღონდ რო მაინც არ ეთაკილათ ეგზარხოსებსა, შინ გაეზიდათ და ეფერებოდნენ. ეს იქ არ გახლდათ, ეს გაზიდვაი თუ ეს დაქცევაი, ეს იქ არ გახლდათ, იმა სურათებზედა, რო შემოეფენოდათ ძია გიგოს დარბაზსა, არა, იქაც ისევე, ჯვრებს მოსდებოდა ფერი იგივეი, მოსცხობოდა, ოდნავ მოსცხობოდა, და გაენათებინა მოზრდილი უბნები ძველი თუ ახალი თბილისისაი. თბილისისაი. თბილისისაი. თბილისისაი. მხოლოდ თბილისი გამოფენილიყო. თბილისი ეხატა, თბილისი. თბილისი. და უვლიდა ფრიდონი სურათებსა, ჯერ გარს უვლიდა, მერე ჩამოჯდა, გაჰყურებდა, მონაცვლებდა და ისევ გაჰყურებდა. მერე დაღლა იგრძნო. თითქოს თვალებიც დაუვიწროვდა. ტახტამდის მიატანა, როგორც იყო. წამოწვა. ჩაეძინა. და გამოეღვიძა შეცივნულსა, ულეიბოსა, უსაბნოსა, მალე გამოეღვიძა. წამოდგა ცოტა აძაგძაგებული, გაცრეცილი. წალო გამოაღო. ლოგინი გადმოიღო, ანთუ ხელი რო მოჰხვია, ისეთი სითბო ეცა, ისეთი სუნი ეცა, აღარ უნდოდა გაეშვა ხელი, იდგა ეგრედა, იხუტებდა ლოგინსა და არ უნდოდა განშორება წალოსგანაცა, ახალი მზე რო შეეტანა, ლოგინსა, ახალი მზის სითბო რო გამოდიოდა წალოდანაცა, სითბო და სუნი, სუნი გახუხული ლოგინისა, გახუხული ლეიბისა, გახუხული საბნისა, გახუხული ბალიშისა, მზეზე გახუხულისა. ელოდნენ თუ რა იყო?.. ანთუ რა იცოდნენ რო აქ მოუწევდა ღამის გათევაი?.. რაც უნდა იყოს, დავიწყებოდა გამზეურებული ლოგინი, დავიწყებოდა და მონატრებოდა, რო ველარც გაეგო, მონატრებოდა ისე, და იხუტებდა ისე, ისე იხუტებდა, ბოლოსდაბოლოს ძლივსღა რო გაეგო.

არ იდგებოდა ეგრე ცხადია გათენებამდისა, ცხადია და რაღა თქმა უნდა.

გაშლიდა. ჩაწვებოდა რაღა თქმა უნდა.

ოღონდ რო გაუტყდა ძილი, ამას თქმა უნდა; ანთუ აღარც ეძინებოდა, გამოუზბარა იმა ერთმა წათვლემამა.

აღარც მთვარე დააძინებდა, მთვარეი თუ ვაჟი, პირბადრი ვაჟი, წუხელის რო ქალი დაუფრთხო: რო გაიტლაშუ-

ნა, რო შესრიალდა, რო დაეხვა, მოეხვა, მოგორგალდა, ჩაჰყო თავი გორგალშივე თავისსავეში და გაისუსა დარცხვენილი, შეძრწუნებული. წუხელი გაუკვირდა, ახლა აღარა, ისე მომდგარიყო სარკმელთანა მთვარეი, ისევ, იმ გვარადა, თითქოს და აი გადმოჰყოფს თავსა დარბაზშია, თავსაც გადმოჰყოფს და ენასაც გამოუყოფსო, ისე დამცინავად გამოიყურებოდა, ისე ქუტავდა თვალსა, მარცხენა თვალსა, მარჯვენა დაეჭყიტა, თითქოს დაეძებს და კიდევაც გიპოვნის კიდევ სხვა რამ სამარცხვინოსაცაო, ისე დაეჭყიტა. ეპოვნა. ამას აღარაფერი ენაღვლებოდა, ანთუ თვითონაც ისე შესცქეროდა, თითქოს და აი გაიცინებსო, — იქით მთვარეი, აქეთ ესა და იცინებდა ამ შუაღამისასა ორი გიჟი, ორი გადარეული, ერთი საიდუმლო რო იცოდა ორივემა, ერთი რო გაცემით ემუქრებოდა, მეორეს რო არ ეშინოდა, რადგან იცოდა, რო არ გასცემდა, არავინ გაეცა და არც ამას გასცემდა; თუმცა ვინ უწყის ბევრი რამ ხდება უცნაური ამ ქვეყანაზე და ისიც ჰო ამ ქვეყნისააო, — კარგა ხანია ამ ქვეყნისააო, ანთუ ისიც თუ დანაწილდა, ზოგი ვისია და ზოგი ვისი, — ვინ უწყის, ვინ იცის, ვეღარ ენდობი ვეღარავისაო. მაგრამ იცინის ისევე ისე, გულღიადა ისევე, ალალადა ისევე, — ჩემს მეტი გამცემი ნუმცა გყოლიაო, ჩემს მეტი მოშურნე ნუმცა გყოლიაო, ჩემს მეტი მოღალატე ნუმცა გყოლიაო; იცინის და გეწევა... ანთუ ეწევა საბადოსაკენა, თიხის საბადოსაკენა, გუნდიაანთ თიხისა, თავაანთი თიხისა. როგორღაც შეუკანკალდებოდა გული, გაახსენდებოდა თუ არა, ეს ამ ბოლო დროსა, თორემ ისე ჰო ახსოვდა და ახსოვდა, ახლა ეშინოდა გახსენებისაცა, — შეუკანკალდებოდა გული, აუძგერდებოდა უცნაურადა თუ ჯერ განუცდელადა, ლამის სული რო შეეხუთებოდა. და ლამის მაშინვე გამოქცეულიყო, დაეხედა, მეტი არაფერი; ანთუ მეტი რაო, ოღონდ თუ რაც იყო, ახლა აქ გახლდათ და მთვარეც უცინოდა, უცინოდა და ეწეოდა. ასეთ მთვარიანში წაუყვანია მამასა, ძია გიგოსაც წაუყვანია ასეთ მთვარიანში: უვლიათ, უვლიათ, გათენებისას უკვე იქ იყვნენ, გათენებისასა, ანთუ მთვარე რო გაცრიაკდებოდა, გაუფერულდებოდა, რო დაჰკარგავდა ეშხსა თავისასა, რო იყო და რო აღარ იყო, იქავე ეკიდა, ცაზევე ეკიდა თუ გაწყალებულიყო თუ გადალაღებულიყო, აღარც რო ცხვირპირი ემჩნეოდა, აღარც რო თვალები, რო ვეღარც დასცინებდა ვეღარავისა, რომ ვეღარც დაარცხვენდა ვეღარავისა. ეს ოღონდ მერე, განთიადისასა, ყველას რო თავის მომრევი გასჩენია, — მოურეველი რო არავინაა, მოურეველი რო არაფერია, — მადლობა ღმერთსაო. ახლა ეწევა, ახლა ესაა, მაინც გადასდებს ხვალისათვისა, — ხვალაც ამ თვისააო, ანთუ ხვალაც ამ მთვარისააო, უკვე აქ გახლდათ, უკვე ახლოს იყო, თუმცა ისევე აუკანკალდა გული და დაიშალა სწორედ ამიტომა, სწორედ ისევე რო აუკანკალდა გული, ისევე, შორს როგორც უკანკალდებოდა. მთვარე უცინოდა. მთვარე ეწეოდა. მთვარეს დაეჟინა, წამოდი, თორემ, ფეხს არ მოვიცვლი აქედანაო. არც მოიცვლიდა, ეტყობოდა, გადმოყუდებულიყო გიგოს დარბაზში, აევსო დარბაზი და აეცილებინა სურათებიცა, აენთო უფრო ნათელი მონასმები თუ წერტილები ნათელი, ის ცოცხალი და საოცარი ფერი აენთო და სულ სხვაგვარად წარმოესახა იგივე სურათები, სულ სხვაგვარადა, მიმზიდველადა უფრო, უფრო მომხიბლავადა. თავისებური განათება დასჭირდებოდა ამ სურათებსა თუ რო საჯარო გამოფენას ისურვებდა პატრონი ამათი; ანთუ ეგება გამოფენაც ეს იყო, ორი დამთვალიერებელი რო მოსვლოდა, ორი: ფრიდონი და მთვარეი, — ორი მოსვლოდა და მეტიც არ უნდოდა. სადმე კუთხეში შთაბეჭდილებათა წიგნიც იქნებოდა, მთვარე ჩასწერდა, მომხიბლავიაო. ფრიდონი არ ჩასწერდა, მთვარის მერე არაფერს ჩასწერდა, მთვარის წინაც არაფერს ჩასწერ-

და, არა ცხადია და რაღა თქმა უნდა. მოვიდოდნენ კიდევ სხვანი და სხვანი, ისინი ჩასწერდნენ, არ მოერიდებოდნენ ისინი მთვარესა. ან არც მოვიდოდნენ, ანთუ არც მოიწვევდა არავისა, თავისთვისა თუ ჰხატავდა ხელოვანი, ფიქრობდა და ჰხატავდა, ოცნებობდა და ჰხატავდა, ჰხატავდა ქართლის ცხოვრებასა, ოღონდ ერთი მხრითა — წარმატებისა და გამარჯვებისა, განვითარებისა და ამაღლების მხრითა, ამ ერთი მხრითა, მარცხი თუ ვალალი, რბევა თუ ნგრევა აღარ ენება, გამოეტოვებინა. მთვარე იცინოდა, გადმომდგარიყო სარკმელშია და იცინოდა; თითქოს წასვლას აღარცა ფიქრობდა, თითქოს განთიადი რო არც ემუქრებოდა, გულმავიწყობა თუ დასჩემებოდა; და იცის ხოლმე, მაშინაა რო შეაგვიანდება, და შეჰყეფავს განთიადი, შეესევა განთიადი, დაფლეთს განთიადი, ულმობელი და ძლევამოსილი. მერე დაკბეჩილი ამოვა მთვარეი, მერე აივსება ისევ ისევე, მერე ისევ დაავიწყდება, მერე ისევე დაჰგლეჯს განთიადი, ისევე დაგლეჯილი ამოვა მთვარეი. ამასობაში ჩაეძინება, — ეს მთვარეს არა, ფრიდონსა ცხადია, ჩაეძინება მშფოთვარი ძილითა, მალიმალ რო გაეღვიძება, მაგრამ მაინც რო ისევ რო ვერა, რო მიჰხვდეს, სად არის, ხან ისევ ისევ მოსკოვი ჰგონია, ხან ისევ თბილისი, ხან მატარებელი, ხან თვითმფრინავი, ისედაც ირწევა ტახტი, ძია გიგოს ტახტი, რო გადაბრუნდება, რო გადმობრუნდება, ხანა ჰგონია, ორმოდან ამოდის, ხან ჰგონია, რო არ უშვებენ, სარქველი აწევს, ვეება სარქველი, ცოტას გადაჰხდიან, ენას გამოუყოფენ და გადააფარებენ ისევა, ასეცა ჰგონია, ისეცა ჰგონია, ოღონდ თუ სად არის, ის არ აფიქრდება, გადაეჩვევა და აღარ ელანდება, სიზმრადაც აღარა, ბურანშიაც აღარა.

ეს არაფერი, —
გათენდა რო,
თვალი გაახილა,
ერთხანს კიდევ ვერ გამოერკვა თუ
ვერ გამოფხიზლდა;
არა და, ცხადი იყო ყველაფერი:

ბიბლიოთეკა

## XIV

კარებში დედამისი იდგა, კარი შემოელო და შეჩერებულიყო, ანთუ გაბრუნებაც დაეპირებინა, ძილი არ დავუფრთხოო. ზურგიდან უფრო ცხოველი შუქი დასცემოდა, ფანჯრებიდან — ოდნავ შებინდული შუქი. თმა ანთებოდა, თეთრი თმაი, მოკლედ შეჭრილი, ცოტა აფუებული, ცოტა ხვეული. თეთრი, შავზოლიანი კოფთა ეცვა, ქვედაბოლო — შავი, ოღონდ გამოყვანილი, გამოკვართული, გამოკვეთილი, თითქოს და გუდიაშვილის ხაზებიაო, და ცალი მუხლიც რო მოეხარა, — წინ გადავდგა თუ უკან გავბრუნდეო, — ისიც გუდიაშვილისეული მონახაზი გეგონებოდა, ირემის მუხლისა, ანთუ ფიროსმანიშვილის მონასმი გეგონებოდათ, გამოსახულიყო ისე კარის შუქშია, დილაც რო აღარ იყო, რო არ დამდგარიყო ჯერ რო შუადღეცა, რო ელვარებდა მზეი სულ სხვა ეშხითა, ფოთლებზე გადაცურებული მზეი. იმ ელვარებაში ამონაკვთულიყო და ეუცნაურებოდა დედაი ფრიდონსა, — ეუცნაურებოდა. სხვაგვარი ახსოვდა თავისი დედა: მუქლურჯი, ანთუ მიხაკისფერი კაბითა, მოგრძო კაბითა, სახელდახელოდ რო ამოეკერა თავისი ხელითა, ლამის რო მაკრატელი არც ეტყობოდა, მუქლურჯი, ანთუ მიხაკისფერი ხილაბანდითვე, ნაწნავი რო ჩამოჰყვებოდა ლამის წელამდისა, ჯერ წაბლისფერი, მერე შეჭაღარავებული ნაწნავი; მერე შავი კაბითა, შავი ხილაბანდითა, რო გარდაეცვალა მეუღლეი, მამაი ფრიდონისა რაღა თქმა უნდა, —ასე ახსოვდა, ასე და ბაღში, ასე და ვენახში, ასე და სათონეში, კაცის საქმეც რო წამოეკიდა, ქალის საქმესაც რო ასდიოდა, ფეხჩაუფერხავი, ჩუმი, უდრტვინველი, ზედგადალეული ოჯახზე და, ქომაგი სხვისიცა, სადამდისაც რო მიუწვდებოდა ხელი. ოღონდ ეს მეტი ამ შემ-

თხევაში, ეს ქომაგიო თუ ზედგადალეულიო, როცა გამოახალგაზრდავებულიყო თითქოსა თუ ლამისა, ხანში შესული, ახალგაზრდა რო მოხუცობდა თუ ყოფას მიეყვანა მოხუცობამდისა, ანთუ ასე რო ეჩვენებოდა ყმაწვილის თვალებსა, ფრიდონის თვალებსა ყმაწვილობისასა, სხვათა დედები რო უფრო ახალგაზრდები ეჩვენებოდა, მამებიც უფრო ახალგაზრდები, მხოლოდ ამისნი რო დაბერებულიყვნენ, უდროუდროსა თუ უცნაურადაო და უდროუდროსვე გაახალგაზრდავებულიყვნენ, — მამა აღარა რაღა თქმა უნდა, დედაი, დედაი ირინეი, რო შესცქეროდა ჩარჩოდანა, როგორც რო სურათი ხელოვანისა, ცოცხალი სურათი, რო გგონია, რო დაილაპარაკებს, გადმოვა, გაივლის, ანთუ კიდევაც გადმოფრინდებაო. ოღონდ ჯერ ცრემლით აევსო თვალი, მართლა აევსო, თითქოს ატივტივდა თვალები ცრემლშიო, დიდი, თაფლისფერი თვალები, ასე დიდი რო არ ახსოვდა ფრიდონსა, არც ასე მოელვარე, უფრო დახრილი და უფრო სევდიანი რო ახსოვდა, თუმცა ცრემლიანი არა, ცრემლიანი არ დაენახა. დაე ხელოვანისა ყოფილიყო ცრემლიცა იგი, ანთუ ტბაი, თვალები რო ცურავდა, აფიცხებული თვალები, რო გადმოცვივდა ცრემლი, ხელოვანისა ყოფილიყო ისიცა, ისიცა აგრეთვე, რო ამოძრავდა, რო გადმოვიდა ჩარჩოდანა, ანუ გაბრუნდა, წავიდა, ისე რო ცრემლი არ მოუწმენდია. კარი კარად დარჩა, ღია კარი, მოცხარის ბუჩქები გაჯაგულიყო, წინკარი შემოევლო, მოტანებოდა კარსა. მოცხარი ღუოდა. და მოეჩვენა, რო ყველაფერი ეს თამაში იყო მზისაი მოცხარზედა, — არც არავინ მოსდგომია კარსა, არც არავინ გაბრუნებულა, მაგრამ განმეორდა ისევე, ოღონდ სურათად როდიღა, უძრავ სურათადა, არა, ჩარჩო გადმოიარა, გადმოიარა ზღურბლი ყოჩაღადა, ყოჩაღადა, მიუახლოვდა, მისწვდა თმაზედა, მიუჩეჩ-მოუჩეჩა, დაიხარა, აკოცა შუბლზედა. და ღაწვები უბზინავდა ირინესა. ეტყობა თითებით გადაიწმინდა ცრემლი, რო მაეფარა, ცრემლი გადაიწმინდა და შემობრუნდა მაშინვე.

— შეგგვიანებია...

თქვა ირინემა, თითქოს გული უნდა ამოესკვნასო.

— შემაგვიანდა.

— არ დამეხმაურე.

— აღარ შეგაწუხე...

— დედა არ შეაწუხე?!.

მოიღრუბლა ირინეი, დედა მოიღრუბლა.

— აქ ისეთი გახუხული ლოგინი დამხვდა!..

თითქოს ისე მოეშურებოდაო, თითქოს ბოდიშიც გამოდიოდა.

— გავამზეურე. თურმე მოდიოდი. თუმცა... თუმცა ვინ უწყის თუ რამდენჯერ გავამზეურე.

საყვედურად ითქვა, ოდნავ საყვედურადა, თბილ საყვედურადა, ანთუ მონატრებადა, უფრო მონატრებადა.

— რა ვქნა...

მეტი ვერაფერი მოადევნა ფრიდონმა.

— არაფერი... არაფერი... მოგშიოდა...

და გავიდა ირინეი. ცრემლი მოარიდა.

მერე აღარ ასჩუყებია გული ირინესა, აღარც რო საუზმე რო მოართვა, აღარც რო გაისტუმრა, არა, აღარ ასჩუყებია გული ირინესა. ოღონდ იცოდე, მაშინვე არ გაუსტუმრებია, მაშინ იქ კარგახანს ისხდნენ, ამირანის მუხლთანა, მერეც კარგახანს შემორჩა ფრიდონი, მუხლი რო დაიბეგვა, თავისი მუხლი რაღა თქმა უნდა, ხოლო ჯერ მაინც ამირანისა რო ითქვას, ამირანის მუხლისა, — ეს იყო ერთერთი პირველთაგანი ნიმუში, დაწუნებული, მაგრამ მაინც შემონახული, შუა დარბაზში შერჩენილიყო, ეგდო მოღუნული, როგორიც გახლდა, მაგიდად იქცეოდა სახელდახელოდა და იქცა მაგიდადა მაშინაცა ცხადია: ხონჩა გადასდო ზედა ირინემა, — და იქცა მაგიდადა რაღა თქმა უნდა. იქიდან ფრიდონი შემოუჯდა, აქედან ირინეი. ფრი-

დონი ქაჯის თავზე იჯდა, რქებს ეყუდებოდა, როგორც საზურგეს, ირინე— ფარშევანგზედა, თავი რო არა გააჩნდა, ფეხებიც არა, ფარშავანგად რო არც უნდოდა ფრიდონსა, ფასკუნჯად რო უნდოდა, ბოლო და წელი რო ფარშავანგისა შეასხა, თავი და ფეხები რო ველარ მოიწონა, რამდენიც არა სცადა, რამდენგვარიც არ გამოაბა, — ველარ მოიწონა ერთისიტყვითა, ეგრევე დარჩა, დარჩა და დარჩა. და იჯდა ფრიდონი ქაჯის თავზედა. რქებს ეყუდებოდა. და იჯდა ირინე ფარშავანგის წელზედა, ბოლოს ეყუდებოდა ფარშავანგისა. ფრიდონი საუზმობდა. საუზმობდა შვილი, გულიანადა ჭამდა, ილმურძლებოდა გემრიელადა და უხაროდა დედასა, ისევ ისე უხაროდა, თითქოს ისევ რო ბავშვი უჯდა, ისევ ისევე რო შეჰფოფინებდა, ისევე ისევ რო ზომავდა თვალდათვალა, როგორ იმატებს, როგორ იზრდებაო. შვილიც ისევე ებოდიშებოდა, ჭამდა და ჰყვებოდა ნაწყვეტნაწყვეტადა, რად ვერ მოსულიყო ამდენი ხანია, ჰყვებოდა და თავს იმართლებდა. დედას საყვედური არ წამოსცდენოდა, ანთუ ამართლებდა თითქოს კიდევაცა, ველარ იცლიან ვერც შენი და-ძმანი, აღარც გზას გავყურებ, ცხოვრება ასეა, ჩვენ ვერას შევცვლითო.

ვერას შევცვლითო, დაეთანხმა შვილი.

— სოფელს ველარ შემოვაბრუნებთ. ველარა. ღვინო რო ღვინოა, სოფელი რო გადააბრუნო, ვერ აღმოაჩენ თავანკარა ღვინოსა. ესაა... ესაა... მეტს არავისა აქვს.

ჭიქა მიუდგა, აუვსო და მიუდგა, ცოტა მომწვანო თუ ცოტა მოცისფრო თუ ერთმანეთში რო გადადიოდა იმფერი ღვინოი.

— ო, როგორა წკრიალებს!..

ასწია ჭიქაი, გაჰხედა ფრიდონმა.

— რა მოხელეა!.. მეც ხელი ავიღე... არავინაა რო დაილოცოს... აღარ მოდიხართ.

— ვტყუივართ... მე ვტყუივარ...

— არა ტყუიხართ... არ ვიცი... მე არ გამტყუნებთ.

თვალები მაინც შეენამა ირინესა.

— მე მაინც...

— არა!.. სოფელს ველარ შემოვაბრუნებთ. ან ესაა, რო ჩვენ აღარ გვიგუებს სოფელი. რაღაც დაიკარგა... აი... აი... გემო დაიკარგა. თუნდაც თავანკარი ღვინო დაულევიათ და თუნდაც ნაკეთები, ველარას არჩევენ. ერთია. სულერთია.

როგორღაც მწარედ გაიღიმა ირინემა.

— არა... არც ეგრე იქნება.

— ეგრეა. აღარც სტუმრისა ეთაკილება, აღარც რო სტუმარი სძრახავს, ისიც რო ისეთივე მასპინძელია. რაც ალხანაო, ის ჩალხანაო.

და დაელოდა შეპასუხებასა ირინეი. იყუჩა. მიაჩერდა. ანთუ ერჩივნა, ეცქირა ასე, დიდიხანია რო არ ენახა.

— ცოდოა!..

წარმოსთქვა ფრიდონმა, ისე თითქოს რო ედავება, ანთუ თითქოს რო ენანებაო.

— ცოდოა... მაგრამ იცის, რო ცოდო როა?!.

იკითხა ირინემა, თავისთვის იკითხა.

— ბატონო?!.

ვერ მიუხვდა ფრიდონი.

— არ იცის... ვენახსა ჩეხავს და ნიორსა თესავს, ვენახსა ჩეხავს და შინდსა რგავს, ვენახსა ჩეხავს და საზამთროსა თესავს... გახსოვს, ვაზების ნაცვლად თუთები დარგოო, გახსოვს?.. როგორღაც ისეა. ვაზს დიდი შრომა უნდა, საზამთროს რაო, იმდენი არაფერი შემოსავალი უფრო მეტი აქვს. მეტი!.. აწონა, დაწონა და ასე ამჯობინა, ცოტა იშრომოს და მეტი მიიღოს. ღვინო სად წაუვა?.. ერთი სათლი ჭაჭა და ერთი ტომარა შაქარიო. ადვილიცაა და იაფადაც გამოდის. უფროცა თვრება და უფროცა ჰკარგავს ჭკუასა. ცოდოა. ცოდოა. გემო დაჰკარგა და ჭკუასაცა ჰკარგავს. ცოდოა. და არ იცის რო ცოდოა.

მოსევდიანდა ირინეი.

— გემო ადამიანია.

შეჰხედა ფრიდონმა, მეთანხმება თუ არაო.

— ადამიანი გემოა, გემოვნებაა.

ცოტა შეასწორა ირინემ.

— კაცი უგემური ჰო კაციც აღარ არის?

იკითხაო თუ არც იკითხა ფრიდონმა.

— არა... აღარ არის. და ეგრევე გადაჰყვება სოფელიც. ვეღარ შემოვაბრუნებთ. სოფელი... სოფელი... ქარხანაა. ჩვენი კარმიდამო თითქოს მუზეუმიაო. ბავშვები მოჰყავთ სკოლიდანა ექსკურსიაზე. მოჰყავთ, უხსნიან: ყორე ეს არის, ტყრუშული ღობე ამასა ჰქვიანო, ბოსელი ეს არის, ძარი ესაო, საბძელი ამას ერქვა, კალო ამასაო, კვერი ეს არის, ამითი ლეწავდნენო... უკვირთ, შედგებიან, ვერ გაუგიათ, როგორა ლეწავდნენო. უღელსაც ვერაფერი გაუგიათ, ტაბიკისაც ვერა, ლვედისაც ვერა, აპეურისაც ვერა. ხარი ვეღარ წარმოუდგენიათ. შემოჰხვევიან სარზე წამოცმულ თავის ქალასა და ამტკიცებენ, ალბათ თუ დინოზავრსა ჰგავდაო. ეგ აღარ ვიცი, დინოზავრი თუ სადღა უნახავთ, ოღონდ იმას მაინც შევესწრებივარ, მასწავლებელი რო უხსნიდა: ეგ იყო ძროხა მამრობითი სქესისაო. ასე უხსნიდა. ამ დარბაზისას ჰო ნუღარ იკითხავ, აქ უკვე მეცნიერებიც იბნევიან.

ოდნავი ღიმილი აეკიდა ირინესა. ოდნავი.

— ძალიან ჩამოვრჩით.

ფრიდონსაც წაეკიდა იგივე ღიმილი.

— ძალიანა... ჩემთვის ისევ სხვაგვარია სოფელი. ასეთი არა. გზა შემოდის მავთულხლართებში. ალვის ხეებში და მავთულხლართებში. აქეთ ვერ გაიხედავ, იქით ვერ გაიხედავ. მთებს ვეღარ დაინახავ და ცაც აღარ მოსჩანს იმა სივრცითა. სოფელსაც მავთული შემოვლებია. აქეთ სოფელია, იქით ბაღები. ერთი კარი აქვს. კართან დარაჯია. გააღებენ და შეუშვებენ ხალხით დატვირთულ მანქანებსა. ეს დილითა. გააღებენ და გამოუშვებენ იმავე მანქანებსა, ისევე დატვირთულსა თუ აზონჩხილსა. ეს საღამოსა. ამუშავებენ და გამოუშვებენ რაღა თქმა უნდა. ხილით დატვირთული მანქანებიც გამოდის, გამოდის და მიდის. მიდის. ქარხანაამეთქი. ხილის ქარხანაა. ხილი... ხილსაც დააყრიან შაქარსა. ისიც ღვინოდ გამოადგებათ. გემო დაჰკარგეს და ყველაფერი ღვინოა თითქოსაო. ღვინოა. ისიც ათრობს. თრობას გემო არც უნდა. გემო დაჰკარგეს და თრობა ისწავლეს. თვრებიან. თვრებიან. გამოფხიზლებაც აღარ უნდათ. აღარა. სოფელი ფხიზლობდა. სოფელი ის იყო, რო ფხიზლობდა, თუ არა ფხიზლობს, რაღა სოფელია... არ მიკვირს, რო აღარ მოგიწევთ გული, არ მიკვირს. მეც ავიყარე...

აღარც იღიმოდა ირინეი, აღარც რო სევდა მოჰკიდებოდა, იყო ისე, შერიგებული თუ შეგუებული, რასაც რო ამბობდა იმასაცა, რასაც რო ვერ ამბობდა, იმასაცა. შერიგებული. შეგუებული.

— რა სთქვი?!.

იკითხა ფრიდონმა, თითქოს რო რაღაცას მიჰხვდაო, ისე იკითხა.

— მეც გული ავიყარემეთქი.

გაიმეორა ირინემ, გაიმეორა მართლაც რო გულგრილადა.

— ჰო... ო... ო...

და კედლებს მოავლო თვალი ფრიდონმა, ირგვლივ მოავლო და პირდაპირ შეაჩერა:

ტილო ჩამოსდევდა ჰერით იატაკამდისა, ვიწროდ ჩამოსდევდა. ასვეტილიყო სალი კლდეები აქეთ-იქითა, დაბინდული სალი კლდეები, უძირონი, მოდარაჯენი თითქოს უფსკრულისა, კუნაპეტისა და შემზარავისა, შიშის ბუდისა, ასე უეცრად რო გადახსნილიყო, მცირედა, ოდნავადა, ამოფერილიყო ფერი მზისა მომასწავები, მომასწავები განთიადისა; ზევით, კლდის წვერი, წვერსაცა ჰგავდა, მიემგვანებოდა ნაციხარსაცა, ნამონასტრალსაც მიემგვანებოდა, ვარაუდითა რაღა თქმა უნდა, ისე მკაფიოდ რო არ გამოსახულიყო, მაგრამ კაცი გახლდათ, ადამია-

ნი, მარადის ტანჯული, ამირანი გახლდათ, არც რო ყვავი იყო არსადა, არც რო პალიო, არც რო საბმურები, აჭიმულიყო თითის წვერებზედა, წელამდის ეგრე აჭიმულიყო, მოლუნულიყო მერე წელშია, ანთუ ელვასებრ ჩატეხილიყო ხელებგაწვდილი განთიადი რო ამოეტატა, ამოეყვანა მზეი ხელითა, უფსკრულიდან ამოეყვანა, რო აღემართა, რო მოეფინა სინათლეი ამა ქვეყნადა, მარადიული, ჩაუმქრალი, სახილველი ყველასათვისა. ასე იგრძნობოდა. წაიკითხებოდა ამდაგვარადა. წუხელის ვერ შენიშნა, ახლა ვეღარ მოაცილა თვალი.

— გული ავიყარ...

თითქოს რო უნდა რაღაცა მიუმატოს, თითქოს რო სულიც შეუგუბდა ირინესაო.

— თუ... თუ დაუბრუნდი?

იკითხა ფრიდონმა მოწონებითა.

— არ ვიცი...

ამოთქვა ირინემა, ძლივძლივობისასა.

— დაუბრუნდი!..

დაუბეჯითა ფრიდონმა.

— სხვა გზა აღარა მქონდა.

თითქოსა ბოდიშობს ირინეიო, თითქოს ვიღაცა უნდა დაარწმუნოს, ანთუ საკუთარი თავი უნდა დაარწმუნოსო.

— თავიდანვე რო მიმხვდარიყავი?

იკითხა ფრიდონმა.

— თავიდანვე?!

ირინემაც იკითხა, უბრალოდ არა, ისე უბრალოდა, ეჭვიანად იკითხა, მკვახედ იკითხა.

— თავიდანვე...

გაიმეორა ფრიდონმა, დაბეჯითებითა, თითქოს რო ეს უკეთა ჰხედავდა.

— და არც არაფერსა ვფიქრობდი მეტსა: ხელოვნება... ხელოვნება... ხელოვნება... მეტი არაფერი მაფიქრდებოდა. და აი უცებ შევხვდი მამაშენსა...

სახე უთრთოდა, ეცვლებოდა ფერი ირინესა, წამოუვლიდა და გადაუვლიდა, თეთრი, ყვითელი, რუხი, მწვანეი, წამოუვლიდა და გადაუვლიდა, აერეოდა და გადაუვლიდა.

— ჰოოო...

თითქოს რო ახლა გაახსენდაო ფრიდონსა.

— ჰო!.. და მაშინ ეს იყო ხსნაი ჩემი. მეშინოდა ხელოვნებისა, მხატვრობისა მეშინოდა. რამდენს მეტს ვფიქრობდი, იმდენი მეშინოდა. მაკანკალებდა ფუნჯი. ფერი მაძრწუნებდა. ტილო ჩემი სუდარა მეგონა. უნდა გავქცეოდი. მაშინაც ასევე სხვა გზა არა მქონდა. შიშს გავექეცი და შიშს ვემალებოდი. დანარჩენი ცხოვრება გახლდა. ცხოვრება ცხოვრებაა. განვლილს ვერ დასძრახავ, რადგან რო შენია. მითუმეტეს მე ვერ დავძრახავ, გავექეცი და ვძლიე შიში. გავექეცი და ვცანი თავი ჩემი, ვცანი მარცხი ჩემი. ახლაღა მივუბრუნდი. ადვილადაც მივუბრუნდი. ეს აღარაა ჭიდილი ხელოვნებასთანა. ის განცდა აღარაა. მხოლოდ დარდს ვიქარვებ, ეს არის და ესა. მარტო აღარა ვარ, ეს არის, მეტი არაფერი.

ჩაიჩურჩულა და ფერიც იმგვარი მოევლო სახეზედა, მკრთალი ცისფერი.

— მეტი არაფერი?!.

იკითხა ფრიდონმა ცოტა არ იყოს გაკვირვებითა.

— მეტი რაო...

— ეს ჰო წარმატებაა!..

— რა ბრძანე?!. ჰა, ჰა, ჰა...

გაიცინა ირინემა, გულიანადა, გულიანად გაიცინა და შეკრთა, გაახსენდა, რო აღარ გაუცინია დიდიხანია, ეუხერხულა, მოწონებაც ეუხერხულა ფრიდონისა, და ისევ აემღვრა ფერი სახეზედა...

— დამიჯერე!

სთხოვა ფრიდონმა.

— რა საჭიროა?!.

გაიკვირვა ირინემა.

— წარმატებაა!..

აიხირა ფრიდონმა.

— არა... წარმატება იქაა, სადაც სიცოცხლეს ეგებებიან, იქ აღარაა, სადაც ეთხოვებიან სიცოცხლესა.

ჩაიდუდუნა ირინემა. მშვიდადა.

— არ შეგედავები.

— მართალი არ არის?..

— არ შეგედავებიმეთქი...

— შენი ნებაა...

— გამოფენა მოეწყობა.

მტკიცედ გამოსთქვა ფრიდონმა.

— ჩემი?!.

— დიახ, ქალბატონო!..

— ჰა, ჰა, ჰა...

— ჯერ თბილისში... მერე ვნახოთ. მე ვსვამ სადღეგრძელოს შენი პერსონალური გამოფენისა!..

ჰიქა ასწია, გამოსცალა სულმოუთქმელადა.

— კეთილი... გამოფენაც მოეწყო, სადღეგრძელოც დაილია, კეთილი და პატიოსანი. აი ესაა ყველაფერი ჩემი, შენი?..

მოსჭრა ირინემა. და მიაჩერდა ისე, რასაც რო იტყვის ჰო იტყვის და იტყვის, რასაც არ იტყვის, ისიც რო არ გამომეპაროსო.

— მე რაღა... დავბრუნდი და ესაა.

— კარგახანია დაბრუნდი.

— ჰო... ცოტა შემაგვიანდა.

— საყვედურისად როდი შეგახსენე.

— მე ჰო ვიცი, რო საყვედური მეკუთვნის?..

— ჰო...

— რაღაც პატარა შეკვეთები მივიღე.

— ამირანი?..

— მპირდებიან...

— გპირდებიან...

და აღარ ჩასციებია დედაი შვილსა, აღარც რო სიტყვითა, აღარცა თვალითა, გარინდდა. გარინდდა. შემოუარა იმა ფარშავანგსა თუ ფასკუნჯსა, შემოუარა, გადააცურა თითები გაშლილ ბოლოზედა, თითქოს რო ითვლისო, გადააცურა და გადმოაცურა, თითქოს რო სათვალავი აერიაო, გადააცურა კიდევა და კიდევა, მერე შებრუნდა კედლისაკენა, მერე პალიტრას შემოუარა, მორიდებითა, უფრთხის თითქოსაო, უფრთხისო და მართლაც გაუფრთხა, წაფორხილდა კარისაკენა, აი გავა და გაიხურავსო, თითქოსაო, თითქოსაო, რო აღარ შემობრუნდეს, ისე იმგვარად გაიხურავსო. მაგრამ არაო, ისევ პალიტრას შემოუარა, მერე მოლბერტსა, დააჩერდა, დააჩერდა, აიწურა უმწეოდა ამ ორთა შორისა, აიწურა და ჩამოყარა მხრები, მხრები ჩამოჰყარა და მიაჩერდა ფრიდონსა, თითქოს ესაა და შველას შესთხოვსო. მოლბერტზე ტილო გადაჭიმულიყო, დიდი არაო, პატარა ტილოი. მიჰქონდათ კუბოი. მისდევდა ხალხი. ხალხი. ხალხი. ჩაბინდული კუბოი. ჩაბინდული ხალხი. თავდახურული კუბოი. თავდახრილი ხალხი. ანთუ: თავები. თავები. თავები. დახრილი თავები. ფლასით შებურვილი. სახენი ჩამქრალნი.

— შუქი აკლია...

ირინემა თქვა.

— ჰო...

— დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვას ვარქმევ.

აუხსნა ირინემა.

— ჰო...

— არა და... მაშინ გამოფხიზლდა ხალხი.

— ჰო...

— გარიჟრაჟივით უნდა იყოს.

და აიწურა ირინეი, ისევა, ისევა, ნიშნადა თითქოს უმწეობისა, და ჩამოჰყარა ისევე, ისევე, ნიშნადა ისევ უმწეობისა და შერიგების ნიშნადაცა, უმწეობასთან შერიგებისა.

— ის ფერი...

შეახსენა ფრიდონმა.

— სწორედ ისაა.. რო ველარა ვპოულობ... ხან ფერსა... ხან წერტილსა... ველარა ვპოულობ.

— ხდება ხოლმე...

— არა. აი ესენიცა... აღარ შემიძლიან.

მისდევდა სხვებიცა, ისევე ჩაბინდული: ისევ თავები. დახრილი თავები. შებურვილი თავები. გარსმოხვეული სამარესა. თითქოს უფსკრულია, თვითონაც იქით მიექანებიანო. მერე, კლდეი გაპობილი, იგივეი, მუხლებით გაპობილი. კიდევ რო აწვება, მთლად უნდა გადაჰხლიჩოსო. შუქი უნდა ამოიყვანოსო. ცეცხლი. ცეცხლი. მზეი გავარვარებული. ამოიყვანოსო. და ვერ ამოუყვანია. ანთუ ფერი რო ველარ მოძებნილა.

— შესძლებ!..

გაამხნევა ფრიდონმა. ფუნჯს წაეტანა. მოსინჯა ფერები. წასცხო. არ ივარგა. წაშალა. წასცხო. წაშალა. წასცხო. არ ივარგა. არა.

— არაფერია... კარიკატურებით გავერთობი. გუშინაც იყვნენ, კედლის გაზეთისათვის უნდათ.

თავს ინუგეშებდა ირინეი.

— უუუჰ!..

შეიცხადა ფრიდონმა.

— გავერთობი... ვიდრე გავერთობი. ესეც არ იყოს... იცი? ერთხელ კიდევ ჩამოგვართვეს კარმიდამოი.

— ჰა?!. ჰოოოოო...

— ჩამოგვართვეს... დათო და ლუარსაბი დამახატვინეს. ლუარსაბი ვითომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეაო, დათო ბრიგადირი. რატო ათი ტრაქტორი არ გაჰგზავნეო, ლუარსაბი ცხარობდა. ერთი გვაქვს და ისიც არ გვივარგაო, ათი საიდან გამოვჩხრიკოო, უკვირდა დათოსა. სეირობდა ხალხი. თავმჯდომარე მართლა გაცხარდა. გაცხარდა. ბიბლიოთეკარი მოჰხსნა. ის იყო ავანჩავანი კედლის გაზეთისა. მოჰხსნა. მე დამიბარა და გამომიცხადა: სოფლისათვის სასარგებლო შრომას არ ეწევიო, ასე ერქვა, ვინც აღარა მუშაობდა კოლმეურნეობაში, ვერც სოფლის სიკეთით ისარგებლებო, კარმიდამოზე ხელი უნდა აიღოო.რაღას ვიზამდი?.. თუმცა შემობრუნდა... მე გული ავიყარე... ავიყარე... ვეღარა, ვერა, ვეღარ მივუბრუნდი მიწასა... ძნელი იყო... ისიცა... ესეცა... აღარ ვიცი...

ხელები აიფარა თვალებზედა ირინემა. დასწმენდოდა ხელები. თითები დასწმენდოდა. უფრო დიდი ხელები ახსოვდა ფრიდონსა, თითებიც უფრო მსხვილი, ბალახისა და მიწის ფერი, დასწმენდოდა, დაჰხვეწოდა, მოჰკიდებოდა სითეთრეი, მოჰკიდებოდა თუ მოჰბრუნებოდა.

— ნურაფერს იდარდებ.

სთხოვა ფრიდონმა.

— არა... არა... არა...

აქ აღარაფერი მოადევნა ირინემა. შემოუარა დედაბოძსა, სურათები რო ასხმოდა დედაბოძსაცა, ასდევდა, ასდევდა თალამდისა, იქ შუქი ელვარებდა, შემოჭრილიყო მზეი. ელვარებდა.

— ასე სჯობიან.

მოუწონა ფრიდონმა.

— რაც უნდა იყოს, მიწას ვეღარ მივუბრუნდები. მორჩა. მოთავდა. ვეღარც მოვიგონებ. დრო გაწყდა და მოგონებაც გაწყდა. დრო გაწყდა. რაც არის, ის არის. რაც რო არ არის, არცა ყოფილა. არის აწმყო და მეტი არაფერი არ არის. ლანდებიც გამიქრა. სიზმრებიც დავკარგე. დავფარფატებ და მევე ვარ ლანდი. სიზმრებიც მევე ვარ. დავფარფატებ. ზოგჯერ მიხმობენ, თბილისს მიხმობენ და მივეშურები თბილისსა. ქორწილებია, დაბადების დღეებია. ღმერთმა ამრავლოთ!.. დღეობებია. მიხმობენ და მივეშურები პირველკურსელი სტუდენტივითა. ნობათად მიმაქვს ჩემი ნახატები. უხარიათ და მეც მიხარიან. მიხარიან და აქ დაბრუნება აღარც მინდება. ყველა მატყობს, თუმცა არა ვტყდები. მატყობენ. ყველა მატყობს... შვილები ჰო... შენც შემატყობდი... დებიც მატყობენ.

და მოიხარა ირინეი, თითქოს რო მოტყდა ერთბაშადაო.

— კარგია, შეგირიგდნენ!..

სიტყვა გადაუგდო ფრიდონმა.

— გგონია ახსოვთ?!. არაფერი ახსოვთ. არც დაიჯერებენ, რო გავახსენო. დრო გაწყდა. იმათთვის გაწყდა როდის აქეთია. მე კიდევ რაღაც ვერ გამიგია. იმათთვის ნათელია. რაღაცა მაბამს, რაღაცა მითრევს, რაღაცა დამტრიალებს და ხელიდან არ მიშვებს ადვილადა. ჩემთვის ვერ ამიხსნია, ვერც ვერავის ვუხსნი. ვერც მაშინ ვუხსნიდი, ფუნჯი რო დავაგდე, თბილისი რო დავაგდე და მამაშენთან დავრჩი. ვერც მაშინ ვუხსნიდი. მაშინ არ მაპატიეს. ახლა ჰო აღარც ახსოვთ. მირჩევენ და ეგაა. გავუგონებ, ჰო კარგი, არა და თავსაც არ მოიკლავენ. ბატონო?!. ვგონებ რაღაცა მითხარი...

— არაფერი.

— ალბათ დააპირე.

— არა!..

— ჰო მეთანხმები.

— რა გითხრა...

— არ მეთანხმები?..

— არა.

— აბა?!.

— გისმენ.

— მერე როდემდისა?!.

შეჩერდა ირინეი. ბინდმა შეჰბურა თავისივე სურათებივითა. ბინდმა შეჰბურა და განათდებოდა ისიც ისევე, მცირე რამ ფერი რო სადმე მოსდებოდა, მცირე რამ სხივი რო მოჰხვედროდა, თავისივე სურათებივითა.

— ყოველთვისა...

— მაგრამ... მაგრამ... ნუთუ ვერ მიმიხვდი, რო აღარ შემიძლიან?!

კიდევ მოიხარა. თითქოს თვალდათვალა ბერდებაო.

— მიგიხვდი.

დაეშურა ფრიდონი, ეგებაა და შევაჩეროო, სიბერეიო, დაჩქარებული სიბერეიო.

— მერე?!.

— მე დავრჩები აქა!..

მოსჭრა ფრიდონმა უყოყმანოდა, თითქოს რო აქამდისაც უფიქრიაო, ანთუ არაო, არც უნდა ფიქრი, არც არად ულირს, აქ იქნება თუ სხვაგან სადმეო.

— ... თუ დარჩები.

უცებ ვერა თქვა, მერელა მოადევნა ირინემა, უფრო ჩაიდუდუნა, ხელიც განიწოდა, თითქოს რაიმეს უნდა მოეჭიდოსო, თუ არა და მოიმზღვლევაო. ანთუ რალა რაიმესაო: დედაბოძსაო, დედაბოძსაო.

— დავრჩები.

გაიმეორა უფრო იოლადა, ფრიდონმა ცხადია. ფეხიც არ წაუდგამს, რო იცოდა რო ეგრე იოლადაც არ წაიქცეოდა დედამისი, რო არც დედაბოძი არ უგანებდა. სხვა სხვაა, ოღონდ დედაბოძი არა, რახან შერჩენოდათ, რახან იდგა, რახან დარბაზი ეჭირა აქამდისა. ეჭირა.

ამოისუნთქა ირინემა, აქამდე რო შეჰგუბებოდა სული, თურმე შეჰგუბებოდა, ამოისუნთქა ცოტა ღრმადა, თითქოს რო შვების მომგვრელი რაიმე აღმოთქვაო.

— როგორმე... აქამდე ჰო დავრჩით?.. კიდევ დავრჩებით, როგორმე დავრჩებით.

სჯეროდა ფრიდონსა. აქამდე არ ეფიქრა, არ წარმდგარიყო ასე პირისპირა, მაინცა სჯეროდა, ანთუ ალბათ თუ იმიტომაცა სჯეროდა. არ წამდგარიყო პირისპირა.

თმაში გაიყარა თითები და ისე შემოიჭირა თავზედა ირინემა.

— დავრჩებით...

არ შეუშლია ნირი ფრიდონსა, ეს იქა, დარბაზში, მერე აიმღვრა ცოტა არ იყოს, გარეთ რო გავიდა, დარბაზიდან რო გასდგა ფეხი, გასდგა თუ არა, იქვე რო იდგა დიდი კაკლის ხეი, ძველი, უხსოვარი, რო გამხმარიყო, აქ არ ყოფნაში ფრიდონისაი, გამხმარიყო, აჩონჩხილიყო. გალაკტიონია. ერთხელაც დავწერე. და ეჭირა გალაკტიონსა ჟურნალის ის ნომერი, გადაშლილი, იდგა ვესტიბულში მწერალთა სასახლისა და ვინც შევიდოდა შესძახებდა: ნახეთ, ნახეთ, რა დიდებულია, აჩონჩხილი ტყეებიო, როგორც გალაკტიონი იტყოდაო, რა დიდებულია, რა დიდებულია!.. დიდებულია, არა?!. უდასტურებდნენ, დიდებულიაო. აჩონჩხილი. იდგა აჩონჩხილი. იდგა და ველარც იდგა. ფოთოლი არ ესხა, ხავსილა ესხა. დაყანდებულიყო. იმტვრეოდა, ცვიოდა ტოტები. ცვიოდა. ცვიოდა. ეყარა ძირსა, ეყარა ირგვლივა, ზვინდებოდა და იჩონჩხებოდა ირგვლივა; ჯერ რო ტოტები, მერე ძირიც ჩამოიშლებოდა, დასკდებოდა, გაიქარებოდა, ჩამოცვივოდა, ჩამოიქცეოდა, ჩამოიფშხვნებოდა, აღარ იქნებოდა ბუმბერაზი კაკალი, თვით ბუმბერაზიც აღარ იქნებოდა. იტყვი: ფესვი ამოიყრიდაო. ეძებდა ფრიდონიცა. არსად ფესვის ნასახი არ იყო. ეყარა ტოტები: წვრილი, მსხვილი, კიდევ უფრო მსხვილი, ეყარა უძარღვოი, უძალო ეყარა, ეყარა და იფშხვნებოდა, მოხვდებოდა თუ არა ფეხი, ისედაც იფშხვნებოდა, და და-

დიოდა ფრიდონი, უვლიდა რო გარსა, ფესვს რო ეძებდა, ამონაყარს რო ეძებდა, ეძებდა და ვერ ჰპოვებდა. სხვას დავრგავო, არ გაიტეხდა გულსა, ფრიდონი ცხადია. და არც ირინეს უნდოდა, რო რაიმე ეთქვა გულგასატეხი, ოღონდ მაინც ვერ შერიგებოდა, რო ვერ ეპოვნა შედარებაი, ვერ შერიგებოდა და არც ეშვებოდა: აქ ლოზუნგები იცვლება, ისე... ისე... ისე... — არ ეშვებოდა. არ ეშვებოდა.

XV

ქურაც იქცეოდა...

არა. არა.

დაიქცეოდა...

ჯერ ესაა, რო საკომლე მორღვეოდა, — ჰოდა მიჰყვებოდა, ჰოდა, დაიქცეოდა, ჩაიქცეოდა. შიგნით თუმცა არ შესტყობოდა, ისევე გახლდა, როგორც ახსოვდა: ციბრუტებიც ისევე, თახჩებიც ისევე, ნიმუშებიც ისევე, თითოოროლანი, შემორჩენილნი, თითის საზელიც ისევე, ანთუ მონაზელი უკანასკნელი ისევე გამხმარი, რო აღარ დააცადეს ძია გიგოსა, ანთუ თითქოს ახალი მონაზელი, რო მოჰგლეჯ გუნდასა, რო შეაგდებ ციბრუტზედა, რო ამოიყვან რასაც რო ინებებ, ჰურჭელსა ცხადია, რასაცაო და როგორსაცაო, ჩინებულსა და საუკეთესოსა, ასე რო გაეთქვათ სახელი წინაპრებსა ფრიდონისა, ამ სახელოსნოთი, ამა ქურითა, რო ჩამქრალიყო კარგახანია, რო იდგა, იდგა მოგონებადღა, რო დაერბიათ, რო გადადებულიყო დასაქცევადა, ასე ნელნელა დასაქცევადა, ჯერ საკომლე რო ჩამოშლილიყო. კიბე მიადგა და ავიდა საკომლეზე, ფრიდონი ცხადია, შემოარღვია ნაშალი თუ დანაბზარები, ამოაშენა უფრო მკვიდრადა, ამოაშენა და ასწია, ასწია, უფრო ასწია, აამაღლა. აანთო ცეცხლიცა. აახრჩოლა, ააკომლა, ააბოლა, აუშვა ცაშია და გაჰყურებდა, თითქოს ბოლი არ ენახაო, ისე გაჰყურებდა, იქა, იქამდე, იმ სიშორესა, რო ქარწყლდებოდა ბოლი, რო ერთდებოდა ცაი და ბოლი. ეს რო გარეთაო, შიგნითა ამბარშიც ეყარა თიხაი, თეთრი, თეთრი, მარმარილოსებრი, ფიქრაც არ ეთქმოდა, ისეთი თეთრი, წმინდაი, წმინდაი, გამტკიცებული ფქვილივითა, წმინდაი, წმინდაი, იქვე ღრმადაც რო ვერ ამოისუნთქებდი, ავარდებოდა რო ბორიაყი, ისე წმინდაი, — შემორჩენილიყო, გადარჩენილიყო. შეეძლო ხელები დაეკაპიწებინა, ფეშტამალი ჩამოეკიდა, მოეზილა, შეეგდო გუნდაი ციბრუტზედა, შეეგდო და დაებზრიალებინა, დაებზრიალებინა და ამოეყვანა ყელყელა სურაი, წყაროს სურაი, რაკრაკა სურაი, წყაროს წყაროდვე რო ინახავდა, რო შემართავდი, მოიგდებდი ტუჩზედა და მორაკრაკებდა, მოჩუხჩუხებდა, რო მოგითხრობდა მიწის გულისთქმასა, მიწისა გახლდა და მიწაში იდგა, მთხრობელი გახლდა და მოგითხრობდა, მოჩუხჩუხებდა, მორაკრაკებდა, წვეთი ნიკაპზეც ჩამოდიოდა, ნიკაპიდან გულზედა, ჩამოდიოდა, ჩამოდიოდა და აშრობდა მზეი, თუ პაპანებდა, რაღა თქმა უნდა, კევრზე თუ იდექი; მახარობელს ჰო ღვინოს მოგართმევდნენ, ფიალითა, რაღა თქმა უნდა, — ფიალითა, ფიალითა, — დააბზრიალე, ფიალაც მანდვე გამოიჩარხება, — დააბზრიალე, დააბზრიალე!... დააბზრიალა. თიხა მაინც არ მოუზელია. ფეშტამალსაც შეავლო ხელი. კარებთანვე ეკიდა, მამამისისაცა, ძია გიგოსიცა, ჰოდა შეავლო ხელი, მეტი არაფერი. ჯერ მზე ვარვარებდა. ჯერ მთვარე არა სჩანდა. მერე მზე აღარ იყო. მთვარე ქათქათებდა, მთვარეი. და აიყოლია ფრიდონიცა ისევე, მამამისს რო აიყოლიებდა, პაპამისს რო აიყოლიებდა, რო გაუძღვებოდა სათიხრებისკენა, მესაიდუმლე რო იყო მათი, რო უნახავდა საიდუმლოსა, უნახავდა აგერ აქამდისა, ფრიდონამდისა, — ახლა ფრიდონს გაუძღვებოდა. გაუძღვებოდა და გაჰყვებოდა, თუმცა არავის არას უმალავდა პაპასავითა თუ პეპერასავითა, რო შესჯიბრებოდნენ სხვა მეთუნეებსა, შესჯიბრებოდნენ და ამათი სჯობნიდა თიხითაცა და ხელოვნებითაცა. ხელოვ-

ნება ნიჟისა გახლდა, თიხა ბედისა, მთვარე მხოლოდ მესაიდუმლედ გამოდიოდა. და აიყოლია მესაიდუმლემა, ანთუ ჩვევამა, ასე იდუმლად რო გადმოსცემოდა წინაპართაგანა, — აიყოლია, აიყოლია. გაჭედილიყო მთვარეი ფანჯარაში, ჰკიოდა, ჩხაოდა, გადაჰკაწროდა ფუნჩულა ლოყები, დამეტყობათ, იმასა ჩხაოდა, ხუმრობითა რაღა თქმა უნდა. მერე მიუძღოდა მინდორმინდორა, მერე ხეობაში, გამოუჩნდებოდა და მიემალებოდა, თითქოსდა ისევ ეხუმრებათ. ხეობას მისდევდა საურმე გზაი, ძველი, ძველთაძველი. არაფერი მომატებოდა, არც არაფერი რო არ მოჰკლებოდა; თუმცა არაო, ცოტა უფრო გაჩეხილიყო, მშრალში მანქანები რო დადიოდნენ, ზოგჯერ ავდარშიც რო შემორჩებოდნენ, გაჩეხილიყო ავდრობისასა, მერე უჭირდათ მშრალშიც სიარული, მაინც აივლიდნენ, მაინც ჩაივლიდნენ, ანთუ ტყისათვისა, ანთუ მაძებარნი, გეოლოგები თუ მინამგვანნი მათნი, ძმაი ბაბულისაცა, ორიოდეგან მეკომურიც შერჩენილიყო, ისინიცა, რაღა თქმა უნდა, აიბაბლებოდნენ გეოლოგების სატვირთო მანქანებზედა, ხეტყის მანქანებზეც აიბაბლებოდნენ, ვიდრემდის გზა ჰყოფნიდათ, ის ძველი გზაი, ძველი, ძველთაძველი, მერე მისდევდნენ დაბრეცილ ბილიკებსა ფრიალოებზედა, გეგონებოდა, გადმოცვივიანო, ერთს შესძახებენ სამდურავსა წუთისოფლისა, ხელსაც გაშლიან, თითქოს რო ლამობენ, ეგებ რაიმეს მოვეჭიდოთო, ეგაა და ეგა, ვერც რო ვერაფერს მოეჭიდებიან, ვერც რო სამდურავი უშველით რამესა, გადმოცვივიან უმოწყალოდაო; გეგონებოდა რაღა თქმა უნდა, თორემ მიდიოდნენ, მიდიოდნენ და მოდიოდნენ, ანთუ ადიოდნენ, — ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ. ამისიანნიცა. ურმით მოჰყვებოდნენ საურმე გზასა. გზა გაწყდებოდა. ურემს ქალაში დააყენებდნენ. გამოუშვებდნენ ხარებსა. ამოიღლიავებდნენ დაჩუტულ გუდებსა. წერაყინებს მოიმარჯვებდნენ, შეუდგებოდნენ ვიწრო ბილიკებსა, ჯერ ბილიკებსა, მერედამერე უბილიკოსა, უფრო ანდეთი რო მიიკვლევდნენ ქანდეთი, ალღოთი, ნიშნებითაც, შეგრძნელებითა, ქიმებითა, ჩამონაყონებითა, აკოკალავებული ქვებითა, პალოებითა, თოკითა, ნაბდისძველათი, ნაპრალებში რო ჩაეჭედათ, — მიიკვლევდნენ და მიაღწევდნენ, ჩაიკარგებოდნენ სადღაც ნაპრალში და ამოვიდოდნენ სავსე გუდებითა, ერთიანად გათეთრებულნი თავპირიანადა, სამოსიანადა; შეიხანხალებდნენ, ჩაიბერტყავდნენ ერთი-ორჯერა და განიწმინდებოდნენ, თითქოს არც რა მოსცხებოდათო, მტვერიც არაო. განიწმინდებოდნენ. გუდა ამანაც ამოიღლიავა. წერაყინზე აღარა ითქმის, უწერაყნოდ არც წავიდოდა. ურემი ცხადია არ ექნებოდა, — ან რად უნდოდა, — შეეძლო დაეცადა, შეეძლო გაჰყოლოდა გამვლელ მანქანასა, საიდანმე და სადამდისამე, სად თუ წაასწრებდა, სადამდისაც თუ მიდიოდა, — შეეძლო ცხადია, მაგრამ მაინც აღარ დაიცადა გათენებამდისა, აღარც დაიცადა და აღარც მოასვენა, ისე ჩხაოდა მთვარე ფანჯარაში, ჩხაოდა თუ ანცობდა, ისე აქეზებდა, ისე ახელებდა, თითქოს რო მთვარეი, ანთუ ჩვევაი წინაპრული, ანთუ ერთიცა და მეორეცა, ერთად ახელებდნენ, ერთად ეწეოდნენ გათენებამდისა, ერთადა, ერთადა, მერე მთვარე განზე გაუდგა, მერე ჩვევაც გაუდგა განზედა, ბილიკებს შერჩა მარტოდმარტოდა, უბილიკოსაც მარტოდა ცხადია, შერჩა და უკვირდა, უკვირდა და იცინოდა ეგრე მარტოდა, ნეტავი რა მინდა, სად მივდივარ, მეც საქმე გამომლევიაო. იცინოდა ჯერ რო ოდნავადა, გიჟი არავის ვეგონოო, — ვის უნდა ჰგონებოდა?!. — მერე ხარხარებდა, და ნათქვამი როა, მთანი ბანს ეუბნებოდნენო, მართალი ნათქვამია, ისე ასდევდნენ მთანი, გაღმით-გამოღმა, ზევით და ზევითა, ასდევდნენ და აიტაცებდნენ მწვერვალებამდისა, იმა დათოვლილ მწვერვალებამდისა, თითქოს იქვე რო წამომდგარიყვნენ, თითქოს აჰაა ხელს გაიწვდენ და თოვლს

ჩამოჰკაფავ საგუნდოლდაო, — ეს თითქოსაო რაღა თქმა უნდა, იქამდე კიდევ ბევრი იყო თავქვე ჩასავალი, აღმართი ასავლელი, ციცაბონი გადასალახავი, ფეხისათვისა რაღა თქმა უნდა, ხმას არ უნდოდა ამდენი ჯახირი, გადაირბენდა წვერიდან წვერზედა, მთისა და მთისა, მწვერვალებს თავზედ მოექცეოდა, — ესეც თითქოსაო, ალბათ თითქოსაო, რადგან მზესაც რო არ იკარებდა, ელავდა მზეზე, ბზინავდა მზეზე, ლაპლაპებდა მზეზე, ანთუ მზე ეფერებოდა, ეფერებოდა ამდენგვარადა, ის მაინც ახლოს არ იკარებდა, მოიშორებდა ცივგულადა, ცივგული გახლდა და ცივგულად მოიშორებდა. აღარც ფრიდონი გაიცინებდა და აღარც ამაო ეგონებოდა ეს მგზავრობაი, მერე და მერე, როცა შეატყო, გზას ველარ ვიგნებო, ბილიკები რო აერია, რო აეხლართა, სწორედ რო იქა, რო ეგონა, რო ხელს მივუწვდენ მწვერვალებსაო, ველარ რო გაიგო, იმდენ ბილიკს იქ რა უნდოდა, რომელს დასდგომოდა, ველარ რო მიხვდა, — თურმე აქამდეც უნდა ევლო, ამდენი არ უნდა დაეხანებინა, რო არ დაეკარგა, რაღა თქმა უნდა; აღარც იცინოდა, აღარც იღიმოდა, იდგა და ფიქრობდა, გაჰყვებოდა და მობრუნდებოდა, ანთუ ივლიდა, ივლიდა, ივლიდა და მაინც იქავე ამოჰყოფდა თავსა, — ანთუ მართლაცაო, ანთუ თვალი აღარას უჯერიდა, აღარას ანსხვავებდა, აღარ ანსხვავებდა ამა ჩახვეულსა თუ ჩახერგილ მთებსა, ამა ვეება მთაგრეხილსა, თუნდაც რო მართლაც ნიკოფსიიდან დარუბანდამდისა, აღარ ანსხვავებდა თუ ვერ განასხვავებდა მართლაც რო ევლო თავით ბოლომდისა, მართლაც რო მართლაც დარუბანდამდისა, ნიკოფსიიდან დარუბანდამდისა, დარუბანდიდან ნიკოფსიამდისა; ანთუ რაც არის თუ რაცთუ მოხდებოდა, ეს რო სხვა რამეა, რაც მოხდა, იმასვე დავუბრუნდები, ხოლო ის მოხდა, რო გაშრა, გაქვავდა ყველაფერი ერთხანსა, წუთითა თუ რამდენიმე წუთითა,—ეს აღარ ახსოვდა მერე ფრიდონსა, მხოლოდ ის ახსოვდა რო გაქვავდა ყველაფერი, თვითონაც გაქვავდა, თვითონ არაფერი, — გაქვავდა მზეცა, მოემსხვრა სხივნი, შემოემტვრა უცება, ერთბაშადა, ქვად იქცა, ქვადა, აი აჰაა, რო მოწყდება და ჩამოვარდება, როგორც რო ქვაი, მართლაც რო ქვაი, ძირიდან მაღლა ასროლილიო; მზე ქვად იქცა და მწვერვალები ამოპირქვავდა, თითქოს ის იყო, იმას ეჭირა, მზეს ეჭირა და მზემ უშვა ხელიო. ეს მერე, ერთხანს რო გაშრა ყველაფერი, გაქვავდა ყველაფერი, ეს მერე მეთქი, მზეც ჩამოვარდა და ამოპირქვავდა მწვერვალებიცა. მთებმა აიწია, აიტალლა მთაგრეხილები. ნაკადულები მაღლა მოექცა, დაკარგა სადინარი. კლდეები აფეთქდა, მიწა იძრა, და აფეთქდნენ კლდენი, ერთმანეთს შეასკდნენ, შეენარცხნენ, გაჰყარეს ნაპერწკალი, აენთნენ, ავარვარდნენ და აირია ცეცხლი და წყალი, ქვა და ღორღი, კომლი და მტვერი, აირია და აილუფხა, აილუფხა და ჩამობნელდა, თითქოს დამთავრდა ყველაფერიო, მაგრამ გუგუნი რო გრძელდებოდა, გუგუნი იგი შემზარავი რაღა თქმა უნდა, ისღა თუ ამცნობდა, რო რაღაც გადარჩა, რახან გუგუნებდა, რო თვითონაც გადარჩენილიყო, ვიღაცაც გადარჩა, — რაღაცაც გადარჩა, ვიღაცაც გადარჩა, რადგან რო ესმოდა, ჯერ კიდევ ესმოდა, თუმცა გრძნობდა რო დაყრუვდებოდა, სხვა თუ არაფერი, რაღა თქმა უნდა, დაყრუვდებოდა, ისე გრგვინავდა, ისე გუგუნებდა, ისე ადიოდა მთები, ადიოდა და დადიოდა, — გაგლეჯას იყო, გაფლეთას იყო, — იყო და ჰა, ჰადა ჰა, ჰა და წუთიცაო, წუთიცაო და დაიგლიჯებოდა, თითქოსაო, რაღა თქმა უნდა, დაიგლიჯებოდა, დაიფლითებოდა, გადაიყრებოდა სივრცის უფსკრულებში, და გადაებმოდა ველები ველებსა, თითქოსაო, რაღა თქმა უნდა; ანთუ რაც იყო, თუ რაც იქნებოდა, ისიც ახსოვდა, ფეხქვეშ მიწა რო გამოეცალა, გამოეცალა უცნობი ბილიკი, დაეცა, ადგა, კიდევ დაეცა, აიწია, ოღონდ ჩოქებამდისღა, ისევ დაეცა, უფრო —

დაასკდა, ისევ აიწია, ოღონდ მხოლოდ იდაყვებითღა, ისევ დაეცა, უფრო — დაენაყა, მართლაც დაენაყა ფერდობსა, — ისიც ახსოვდა, რაღა თქმა უნდა, რახან გადარჩა, რა დაავიწყებდა; ისიც ახსოვდა და ისიც შთაებეჭდა თუ როგორ რო ჩაებღუჯა მიწაი, — ათივე თითი დაჭდობოდა მიწასა, ათივე თითი გაეყარა მიწაში, იდაყვებიც გაეყარა, მუხლებიცა, ფეხის წვერებიცა, გულმუცელითაც ჰო დასტყაპოდა, თითქოს ვერაფერიც რო ვერ მოაცილებდა, ანთუ კიდევაც ჰო ვერ მოაცილა, რო შეირყა მთები, რო ამობრუნდა, რო გადაიარა ტალღებადა, გადაიარა და გადმოიარა. ასე ამგვარად მოიგონებდა ხოლმე, ლამის ასედაც რო მომხდარიყო, ისეთი ძლიერი მეწყერი გამოდგა, უჩვეულო მეწყერი გამოდგა. მეწყერი მეწყერსა ჰგავდა ყოველთვისა. მეწყერი შლიდა, ანგრევდა მეწყერი. გახლეჩდა მთასა. მთა მთას გააპობდა. ჩაჰყეფდა, უფსკრულებსა. წამოვიდოდა სადღაც ზევიდანა, ერთს ჩაახველებდა და დაიხუვლებდა, დაიხუვლებდა და წამოვიდოდა, მოულოდნელადა, მოულოდნელადა, ცამოწმენდილზეო, როგორც რო იტყვიან, წამოვიდოდა და წამოიღებდა, რაც მოხვდებოდა, განურჩევლადა, სოფლებს აჰკრეფდა და წამოიღებდა, წამოიღებდა თუ ქვეშამოიდებდა, მირეგვმორეგვავდა და ჩაიტანდა, ხევებში ჩაიტანდა, გრიალგრიალითა, ზრიალზრიალითა, ღრიალღრიალითა, ჩაიტანდა და დაემხობოდა ზედა, დაემხობოდა და შეჰკრავდა ხევებსა, ნაკადულებსა, ჩანჩქერებს შეჰკრავდა, მდინარეს შეჰკრავდა, არაფერი გაუჭირდებოდა, არაფერი გაუჭირდებოდა, ვერაფერი შეაკავებდა, ისევ თუ მთები, მთებს მთები თუ შეაკავებდა. ამასაც. მეტი არა მოჰყოლია, ესეც იგივე მთებმავე შეჰკრეს, მაგრამ მაინც რაღაც სხვა ეგონათ, — ეგონათ თუ ირღვეოდა მთაგრეხილი, არათუ ხევი, ერთი თუ ორი, არა თუ მთაი, ერთი თუ ორი, ეგონათ ირღვეოდა მთლად მთაგრეხილი, — დაირღვეოდა, ასე ეგონათ, მიჰყვებოდა და დაირღვეოდა, რადგან დაირღვა თითქოს წყობა, თითქოს რო ჩაწყდა მთავარი ძარღვი, ძარღვი სიცოცხლისა, მთაგრეხილის სიცოცხლისა, თითქოს ცოცხლობდა მთაგრეხილიცა, როგორც ყველაფერი, რასაც რო თავისი სახე მისცემოდა, და იშლებოდა, სახე რისაც რო იშლებოდა, კვდებოდა იგი, სახე რისაც რო ირღვეოდა; და ირღვეოდა სახეი თითქოს მთაგრეხილისა, იშიგნებოდა, იფატრებოდა. შეჰსეოდნენ ადამიანები, აფეთქებდნენ ადამიანები, აფეთქებდნენ და აფეთქებდნენ. მეწყერის შიშით ხმამაღლაც არ დაიძახებდნენ, არც ჩაახველებდნენ მეწყერის შიშითა, მეწყერიც ეგრევე ჩახველებით რო იწყებოდა, მთების ჩახველებითა, — არც ჩაახველებდნენ, არ ჩაახველებდნენ. მეწყერს თავისი ღვთაება ჰყავდა. თავისი ღვთაება ჰყავდა მთასა. ღვთაებებისა ეშინოდა ადამიანსა. გაჰქრენ ღვთაებანი. ღვთაებრივი გახლდა ადამიანი ღვთაებებისა. ულვთოდ იქცა ულვთაებო ადამიანი. და აფეთქებდა. და აფეთქებდა. და აფეთქებდა. და ირღვეოდა სახეი. ფორმა ირღვეოდა. დაიქცეოდა. დაიქცეოდა. რახან გადარჩა, რა დაავიწყებდა: თუ როგორ უფრო ზვიადად აღიმართა მწვერვალები, თუ როგორ უფრო ზვიადადა ბრიალებდა მზეი, მერე, რო მიყუჩდა მთები, მტვერიღა ირეოდა, წკნებოდა ისიცა, ანთუ ბჭყვიალებდა სხვადასხვა ფერადა მნათობისა და მწვერვალების შუა, ბჭყვიალებდა, ბზინავდა ფერადფერადა, ფოიერვერკი რო გეგონებოდა სამყაროს ზეიმისა. მხოლოდ ეს იდგა უსასოოდა, საით წასულიყო, რო აღარ იცოდა. აღარ იცოდა და უნდოდა წასულიყო, უნდა ეარა. უნდა ეარა და იარა. იარა და იარა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მიადგა ნაპრალსა. გადახტომით ვერ გადახტებოდა. ტყუილია. თუმცა გაიფიქრა, ნეტავი როგორმე გადამახტუნაო. ვერ გადახტებოდა, ჭოკიც რო ჰქონოდა. ისე მართლაც სანატრელი გახლდა, — ფერდობი ჩასდევდა, ჩაივაკებდა, იქითა.

იქითა, ნაპრალს იქითა, კარგი იქნებოდა, მაგრამ ნატვრას ძალა არ შესწევს, როცა რო სულ სხვას გიმზადებს ბედი. ძალა არ შესწევსო. ყოველ შემთხვევაში ვერ გადახტებოდა და რო ვერც გადახტა და რო ვერც ადვილადა დაიოკა ნატვრაი, გაჰყვა ნაპრალსა ნაპირნაპირა. მიადგა ჩანჩქერსა; ანთუ ჩანჩქერი რო იფრქვეოდა, იშლებოდა მერე, გაიგანებდა და მითქრიალებდა იმა ნაპრალშია, მითქრიალებდა, იკარგებოდა, ილეოდა, ილეოდა ისე ხმაი ჩანჩქერისა, რო გრძელდებოდა კიდევ და კიდევა, ოღონდ ყური რო ვეღარ მიუწვდა, თვალიც რო ვერა, რო გაებედა და რო გადაეხედა; რო გადაეხედა, არც გაჰყვებოდა ნაპირნაპირა, არც გაჰბედავდა, რაც რო გაჰბედა, ანთუ ვინ უწყის, ანთუ რაღა გასარჩევია, როცა რო მოხდა მოსახდენი, მოხდა და ისე, ისე სწრაფადა, შიშიც არ უგრძვნია, ფიქრი ჰო რაო, სადღა იყო დროი ფიქრისა. ხოლო რაც მოხდა, ამგვარად მოჰხდა: ისკუპა ქვაზედა... გადაირბენდა და გადავიდოდა წყალსა. ქვა წყალში ეგდო. ქვასაც არა ჰგავდა. მომრგვალო გახლდა, უფრო წრიული მომრგვალოო და ბრტყელი, საწყალი გლეხის კალოსოდენაი. ეგება ვერც წარმოიდგინო, ეს შედარება მოძველებულია, — ვიღას ახსოვს კალოი, ალბათ მოხუცთაღა, — მაგრამ აბა რას შევადარო, როცა რო ჰგავდა სწორედაც კალოსა, პატარა კალოსა, მოჩორკნილსა, ოკრობოკროსა?.. რაც იყო, ისკუპა... გადაირბენდა და გადავიდოდა წყალსა, მშრალადა, სწრაფადა, ფეხებსაც რო არ დაიჩეჩქავდა ღორღებშია. ასეც უჯობდა, რაღა თქმა უნდა, ეიოლებოდა, ასეც უჯობდა და ასეც არის, ყველაფერი გეიოლება, როცა არ იცი თუ რას გიქადის ბედი. და ბედი თურმე ამას უქადდა: ისკუპა თუ არა, შეეხო თუ არა იმა კალოსა თუ რაიც რო იყო, ვეება ბირთვსა, ვეება დისკოსა, ბუნებრივ ნაერთსა, შენადუღაბებსა ბუნებრივსა, საიდანაც რო დაცურებულიყო. რო შეჩერებულიყო ალბათ თუ წკიპზე,

— შეეხო თუ არა, დაცურდა ისევა, დაცურდა, დაბზრიალდა, წავიდა, წავიდა, წავიდა ეგრე ბზრიალ-ბზრიალითა. ამან მხოლოდ ისღა მოასწრო, რო დაასკდა კალოსა, დაასკდა და დაეკრო, დაეკრო და შეადუღდა თითქოსაო, რო არ მოიტყორცნა, რო ზედ ეკრა, ისევე ეკრა ზედა, რო გაიჭედა ბირთვი ნაპრალშია: ჩავიდა, ჩავიდა ბზრიალ-ბზრიალითა და გაიჭედა და შეჩერდა, ჩაიკირა თითქოსაო, უცებ ჩაიკირა, ზევით ცა მოსჩანდა, ქვევით უფსკრული, ზევით ასვლა გაძნელდებოდა, ქვევითა თვითონვე წაიყვანდა, როცა იქნებოდა, დღესა თუ ხვალე, არ დააცლიდა არცთუ დიდხანსა, წაიყვანდა როცა იქნებოდა. ისევ ზევითკენ უნდა ცდილიყო, რაღა თქმა უნდა, ზეცას უნდა მისტანებოდა, კამკამა ზეცას, მოკრიალებულსა, მშვიდსა, უშფოთველსა, თითქოს მის თვალწინ ადამიანი არ გადაკიდულიყოს უფსკრულზედა. რას იზამ, ასეა, ის თავისას უნდა ცდილიყო, ცდაც მოხერხდებოდა, — ქიმი ქიმს ასდევდა ნაპრალზედა, მოჰიდება შეიძლებოდა, თვალმა შეასწრო, თვალმა მოინიშნა, თვალმა მოზომა, მოზომა, მიუწვდებოდა ხელი, მოინაცვლებდა ფეხსა, დიდის გაჭირვებითა, ან ეგება ვერცა, უფრო რო ვერცა, მაგრამ მაინც უნდა ცდილიყო, ვერ დაელოდებოდა თუ როდის იხმობდა შავი უფსკრული; ის ალბათ ტკბებოდა მოლოდინითა, ეს ვერ დატკბებოდა მოლოდინითა, ვერც შავი უფსკრულისა და ვერც... ეჰეეეე!.. ჩრდილმა გადაჰკრა, გადაუარა და გადმოუარა, ფართხუნა ჩრდილმა, თავს მოექცა და გაჩერდა, გაქვავდა ალბათ ღრუბელი თუ გადაეკრა კამკამა ზეცასაო, ასე ინდომებდა, მაგრამ არწივი იქნებოდა, რაღა თქმა უნდა, — ვერ დაელოდებოდა ვერცა არწივსა, უნდა ცდილიყო, უნდა ცდილიყო. ცდილიყო, ოღონდ როგორღაც ადვილად აღარ ემორჩილებოდა სხეული, განძრევაც უჭირდა და სახიფათოც გახლდა,— ირყეოდა კალოი. მე ჩემი კალო გავლეწეო, — ესეც ძველი მეტაფორაა, თავის დროზე მოხუცი რო იტყოდა,

მე ჩემი ცხოვრება მოვათავეო, ამასა ნიშნავდა, მშვიდად ელოდა თავის აღსასრულსა. ეს უდროუდროს განწირული იყო: ერყეოდა, ერყეოდა კალოი, საი თუ გაიწევდა, იქით დაიწევდა კალოი, უფსკრულიც იქიდან ამოხედავდა. არ უნდა გაეწია, არ უნდა გადასცილებოდა ღერძსა, ისე უნდა ეხოხა, ისე უნდა ახოხებულიყო, ისე უნდა ასწვდენოდა ქიმებსა, — იქითა, იქითა, აქეთ ჰო წყალი ელობებოდა; მართალია რო იხლიჩებოდა, საბედნიეროდ იხლიჩებოდა, ჰყოფდა კბოდეი, მაგრამ წყალი ჰო მაინც წყალია, იფრქვეოდა, იწუნწკლებოდა, თითქოს დასცინოდა, თითქოს ერთობოდა, ჩხრიალებდა ისე, თქრიალებდა ისე, ჩადიოდა და უყეფდა ქვევიდანა, ანთუ უფსკრულსა, ანთუ ამასა, აქ საშიშია, არ ჩამოხვიდეო, — ვინ იცის, ვინ უწყის, აქ ერთობოდა, აქ იცინოდა, ძრწოდა ქვევითა. ამას არ ეცალა იმისთვისა, უნდა ცდილიყო, უნდა დაეღწია თავი. არა და ირყეოდა კალოი, გამოეცლებოდა კალოი, ჯერ რო არ გაელეწა თავისი კალოი. მერე იგონებდა და ვერ იგონებდა, შეშინდა თუ არა, ვარაუდობდა, რო არ შეშინებია, შიშით თავს ვერ დავაღწევდი, ისე ახლოს იყო უაზრო სიკვდილიო; სიკვდილს ისედაც ვინ მისცა აზრი, ოღონდ მაინც თუ რაიმე აზრი აქვს, ეს მაინც სულმთლად უაზრო იყოო. არა და ირყეოდა კალოი. გაისუსებოდა. გაისუსებოდა კალოცა. შეირხეოდა. შეირხეოდა კალოცა. ეს ტყუილა არ შეირხეოდა, რო შეირხეოდა, წაიწევდა ცოტასა, გოჯისოდენას მაინც წაიწევდა. იქ რა ხდებოდა არ იცოდა, რაღა თქმა უნდა, იქა, სადაც რო კალო გაჭედილიყო, როგორღაც რო შეჩერებულიყო, არ იცოდა და არც არასა ვარაუდობდა, — რაც უნდა მომხდარიყო, ამას უნდა დაესწრო წამითა, იქა, იმა უკიდურეს წერტილში, იმა ბოლო შერხევადისა, ჯერი ამისი იყო, ჯერ ეს უნდა მისწვდომოდა ქიმსა, ჯერ ესა, ჯერ ესა... ოღონდ იმისი ბოლოც თუ იქ გახლდა, ვინ იცის, თავდებოდა მანამდისა, თუნდაც რო ახლა, — ჰა!... ჯანდაბას!.. წაიჩოჩებდა მაინცა. გოჯითა. გოჯითა. წაიჩოჩებდა მაინცა. აიწევდა კალოი. დაიწევდა. აიწევდა. აიწევდა. დაიწევდა. შებოძგინდებოდა. გამოეცლებოდა თითქოსაო, ანთუ უნდა გამოეცალოსო. ეს სულს გაჰკმედდა, თითქოს აღარც იყო. აღარას იქმოდა სულიერი, უსულოც აღარად ითქმოდა. ისევ მოითქვამდა სულსა სულიერი, ამოძრავდებოდა უსულოცა ისევა, მიეტანებოდა ორივე ერთ წერტილსა, უკიდურესსა, უკანასკნელსა, გარდასაწყვეტსა, მიეტანებოდა დაჯიბრებული. მაშინღა განიცდიდა სული თუ როგორ ამძიმებდა სხეული, — ჯერ ისედაცა და მერე დასჩეჩქვოდა სხეული, სტკიოდა სხეული, ისე აღარ ემორჩილებოდა სხეული, თორემ ავიდოდა სული აქამდისასა, ავიდოდა, აფრინდებოდა. და ადიოდა კიდევაცა თითქოსა, აირბენდა, და ჩამოირბენდა, იმა ქიმზედა, აირბენდა და ჩამოირბენდა, დაეწოდებოდა სხეულსა, აიტატებდა, აიჩრიავებდა, გაუვარდებოდა ხელიდანა. და აიწევდა კალოი. აიწევდა და დაიწევდა. ძოძგინებდა. ძაგძაგებდა. მაღლა ფრთები დაფართხუნებდა. არა ჰყიოდა. არავის უხმობდა. გადაეცლებოდა. მოიკამკამებდა ზეცაი. გადაეფარებოდა. წამოწვებოდა ჩრდილი. მერე იგონებდა და ვერ იგონებდა, იმედი მაინც თუ შერჩენოდა; ვარაუდობდა, რო არ შერჩენოდა, ჭკუათმყოფელი ვერ დაიმედდებოდა ასეთ ყოფაშიო, ჭკუაც არაფრის მაქნისი იყოო, — თუ ხსნა იყო, უნდა მოსულიყო საიდანღაცა, მოულოდნელადა თუ არა და განწირულიყო. მაინც მიხოხავდა. იბრძოდა მაინცა.

აიყალყებოდა, აიღერდა თავსა, ქიმებს ასცქეროდა, ზომავდა მაინცა, თუ მივუწვდები ქიმიდან ქიმამდე, ვთქვათ თუ მივხოხდი იქამდისაო, ვთქვათ თუ წამოვდექი, ვთქვათ თუ დავასწარი, ვიდრე აბოლოვდებოდეს კალოი, საბოლოოდ აბოლოვდებოდესო, ანთუ დაჰქნევდეე და დაბზრიალდებოდეს, დაბზრიალდებოდეს და წავიდოდეს, წავიდოდეს უფსკრულამდისაო, სად თუ ვინ იცის

ვინ მელოდება, მაღლით ჰო არწივი მელოდებაო; აიყალყებოდა თავს აიღერებდა ერთი სიტყვითა და ერთიც ვნახოთ შენიშნა... თოკი, თოკი შენიშნა. ჩამოშვებულიყო, ქანაობდა, ქანაობდა, ჰადა, ჰა, — მიუწვდებოდა თუ არა კაცი, — ცერებზე შემდგარი თუ მიუწვდებოდა, საეჭვოა; რო შემხტარიყო, ეგება ჰოო, გამოქანდებოდა და შემხტარიყო, მაგრამ მანამდე ვინ დააცდიდა. ირწეოდა და ირწეოდა, უფრო და უფრო ირწეოდა კალოი, აიწევდა ისე, დაფერდდებოდა ისე, ძლივსღა იმაგრებდა თავსა. ეტყობა, აფოფინდა, ეტყობა, აჩქარდა, — იქ ისე ირხეოდა თოკი. ისე ეწეოდა, ვერა, თავს ველარ შეიკავებდა. არა და საფრთხილო იყო. არა და გაჰქრა თოკი, ავარდა და გაჰქრა. აქ გაიცინა, გაიცინა ისე, უფსკრულმაც თავი ვერ შეიკავა, აქლოშინდა, აგუგუნდა უფსკრული, — ეგონა, რო მომეჩვენაო. ასე ეგონა და აღარც დაიჯერა, კიდევ რო ჩამოეშვა თოკი, დაგრძელებული, დაგრძელებული, ლამის რო უწევდა კალომდისა, დაგრძელებული, გადაკვანძული, — ლამის რო უწევდა ერთი სიტყვითა, აღარ დაიჯერა. კიდევ გაჰქრა და კიდევ ჩამოეშვა. ჩამოეშვა და უწია წვერმა, კალოს უწია, ბედის კალოსა, სწორედ იქ უწია, სადაც კორიკობდა, ჩაჭედილიყო და ვერც ჩაჭედილიყო, მოსწყდებოდა და გაფრინდებოდა. დაე ისევ მოჩვენება ყოფილიყო. მირაჟი. ყოფილიყო. მაინც იქით მიეტანებოდა. მიხოხავდა და იხოხებდა. მისწვდებოდა და აჰყვებოდა, — ჰგონებოდა, ჰგონებოდა რო აჰყვებოდა, ასე ჰგონებოდა, ასე გამქრალიყო, ასე ერჩივნა, ასე მიხოხავდა, ასეთი შთაგონებითა. ძაგძაგებდა კალოი. აიწევდა კალოი. დაიწევდა კალოი. დაფერდდებოდა. დაფერდდებოდა. თითქოს გადასცლიდა ამასა, გადაუძახებდა, მერეღა გასწორდებოდა თითქოსა. თან არ ჩაჰყვებოდა, არა, არა, თან არ ჩაჰყვებოდა. არც უნდოდა. აღარ უნდოდა. უამისობა უნდოდა, უამისოდ უნდოდა. და მიხოხავდა. და მიხოხავდა. ისევ გოჯგოჯადა. ისევე ნელა. რახან რო მირაჟი ეგონა, რახან რო გაჰქრებოდა მირაჟივითა. და რო მიატანა, ხელის შეხებაც აღარ უნდოდა. გაჰქრებოდა. გაჰქრებოდა. და აქ შექანდა კალოი. შექანდა. ჯანდაბას!.. და შეახო ხელი. შეახო და ჩაბღუჯა. ჩაბღუჯა და ჩაბღუჯა. მართლა ჩაბღუჯა, მართლა ჩაბღუჯა. დაე მირაჟი ყოფილიყოს. გადაინაცვლა ნასკვიდან ნასკვზედა. აჰყვა ნასკვებსა. არცთუ ისე საიმედოსა. დაე მირაჟი ყოფილიყო. ესეც გაელანდა, — არცთუ ისე საიმედოსა. აჰყვა. ახოხდა. აჰყვა. თოკს მოეჭიდა. და დაიძახა კალომა. ერთი ამოტრიალდა. გადატყდა პურივითა, თონის პურივითა რაღა თქმა უნდა; ესეც ძველი შედარებაა, მაგრამ რა ვილონო, ასე გადატყდა და!.. დაიჭექა და გადატყდა. როგორ თუ დაიჭექა, ესეც ძველი შედარება იქნება, დავეხსნები. გადატყდა და წავიდა, წავიდა ეგრე ნატეხებადა. სადღაც შეაწყდა ერთმანეთსა ის ნატეხები. გადაამტვრია ერთიმეორეი. შეაწყდა კიდევ სხვა ნატეხებიცა. დალეწეს ერთმანეთი. დალეწეს. დაფშხვნეს. დააკიწაწეს. და თუ რამ გადარჩა ნატეხადა, თუ სადღაც დაეცა ნატეხადა, დაეფინებოდა ის კიწაწები, ის ნაფშხვენები, მტვერი იგი დაეფინებოდა, და მკვდარი ჰო თვითონვე იქნებოდა და იქნებოდა, სასაფლაოც თვითონვე იქნებოდა, მესაფლავეც თვითონვე იქნებოდა. ეს გადარჩა, რო აღარ ეგონა, მაშინ გადარჩა. მირაჟი არ გამოდგა და გადარჩა. აქ აღარ აღვწერ თუ როგორ გადარჩა, როგორ ავიდა თუ ახოხდა როგორა, არა, აღარ აღვწერ, გაძლება უნდა, აღმწერსაც უნდა გაძლებაი, წამკითხველსაც უნდა გაძლებაო და გამოცდა აღარ არის აქ საჭიროი, მთავარი ის არის, იმან რო გაუძლო, რო ავიდა... თუმცა!.. რო გადახოხდა, რო აიწია მუხლებზედა, თავი სამშვიდობოს რო დაიგულა, აღარ დაეტია გული საგულესა, უიმისოდა, თავის თავადა, აღარ დაეტია, აღარ დაეტია და ისე გადაქანდა, გადავარდებოდა ზურგთუკანა, ამაოდ ჩაივლიდა განსაცდელი

იგი, არაადამიანური განსაცდელი. ოღონდ ვინც იხსნა, იხსნა ბოლომდისა. ამან ერთიღა თვალი შეასწრო, მშვენიერებას შეასწრო თვალი, დედიშობილა მშვენიერებასა, საარაკო მშვენიერებასა, მშვენიერ ქალს შეასწრო თვალი და გონთაც დაუბნელდა. მერე იგონებდა და ვეღარ იგონებდა, სინამდვილე იყო თუ მირაჟი იყო ესეცა. ის შთაებეჭდა, მშვენიერება შთაებეჭდა, დახუჭავდა თვალთა და უდგა თვალწინ ნათლად მოხატული, რძისფრად მოხატული ცისფერ ვონზედა, ანთუ ზედ ცაზედა, რადგან რო ცა გახლდა იმას იქითა, მთანი ეყარა მისთა ფერხთა ქვეშა, მთანი, გორები, გორმახები, ხევნი, ხევხუვნი, ტყეებითა თავიანთითა რო შენივთებოდნენ მთებსა და გორებსა, — შთაებეჭდა და თვალწინ უდგა ასე მკაფიოდა, კანთიელადა, ასე, ასე კანთიელადა, რო დაჰხუჭავდა თვალთა. წამიერი იყო ხილვაი იგი, გაიელვა და გაჰქრა, თუმცა მოაგონდებოდა ქალიცა, — კაციცა და ქალიცა, ქალსაც ჯინსები ეცვა, ზედატანი მწვანით დაფოთლილი ემოსა, თავპირი წაეკრა ქაღალდითა, მწვანეთივეთი, თვალი რო მოუჩანდა და მეტი არაფერი, ისე წაეკრა, რო მოაგონდებოდა იმ ქალსა; კაცს თუ რა ეცვა თუ როგორი რა გახლდა, არც დაჰხსომებია, ისე სტკიოდა, ისე გმინავდა. თუ რა სტკიოდა მერეღა გაარკვია, საავადმყოფოში, — ლავიწის ძვალი ამოვარდნოდა, ცალი წვივი გადამსხვრეოდა, სხვა ლავიწიც ცალი, დანარჩენს ჰო სათვალავი აღარცა ჰქონდა, სად თუ დაჰბეჟოდა, სად თუ გაჰფხრეწოდა ხორცი, სათვალავი აღარა ჰქონდა; ეს გაარკვია, ოღონდ ის მაინც ვერ გაიხსენა, როდის რა მოუხდა, სად ლავიწი ამოუვარდა, სად მიალეწა წვივი, — რო ისკუპა ბედისწერის კალოზედა და რო დაბზრიალდა კალოი მაშინ, რო ჩაეცა უფსკრულშია, თოკს თუ რო მისწვდა მაშინა თუ რო მიხოხავდა კედელზე უფსკრულისა, რო მიიწევდა ქიმიდან ქიმებზე, — ვერ გაიხსენა; ბევრს ეცადა და ვერ გაიხსენა. ისინი არცა ცდილან, — ის ქალი, ის კაცი, — არა ცხადია, ოღონდ ის მაინც მაშინვე გაარკვიეს, რაც რო დამართოდა, რაც რო შეეძლოთ, იქვეც მოუგვარეს, ძვალი ჩაუგდეს ლავიწისაი, ჩაუგდეს და შეუკრეს არტახებითა, წვივიც მიუდგეს თუ გაუსწორეს, გაუსწორეს და შეუკრეს არტახებითა, შეუხვიეს ჭრილობებიცა, მალამოც აღმოაჩნდათ, სახვევებიცა, ამპულებიცა, აბებიცა, ესაა მხოლოდ გამაბრუებელი არაფერი არ აღმოაჩნდათ და რო გმინავდა, ესა ცხადია, რო გმინავდა და რო შეჰყვირებდა განწირულივითა, — განწირულიყო და შეჰყვირებდა განწირულივითა, რაღა თქმა უნდა, — არაფრად აგდებდნენ თითქოსაო, სიტყვიერადაც არ ამშვიდებდნენ, თვითონა მოქმედებდნენ მშვიდადა, უთქმელადა, იქამდე უთქმელადა, სამანქანო გზამდეც რო ჩაიყვანეს საკაცითა, რო გააყოლეს პირველივე შემხვედრ მანქანასა, სატვირთო მანქანასა, — მეტი კომფორტი რო იქ არც იქნებოდა, — იქამდე, იქამდე უთქმელადა და გამოუმშვიდობებლადაცა. არ დაუწუნებიათ არაფერი იმათი ნაქმნარი საავადმყოფოში, თაბაშირში ჩასვეს, მალამოს უცვლიდნენ, ნემსებს არტყამდნენ და ურტყამდნენ, ეს იყო და ესა. ანთუ მეტი რა უნდა ყოფილიყო, — ეს იწვა და იგონებდა, რაც მოგახსენე, იმას იგონებდა, უღვთო ტკივილსაც იგონებდა, რაღა თქმა უნდა, იგონებდა და ჯერ არც მოშვებოდა ტკივილი, იმ უღვთო ტკივილის მოგონებით ებრძოდა, იმა განსაცდელის მოგონებით ებრძოდა, მილულავდა თვალთა და იმა მშვენიერების წარმოსახვით ებრძოდა, ანთუ ივიწყებდა, სულაც ივიწყებდა, სულაც ივიწყებდა, ტკივილს ივიწყებდა თითქოსაო თუ ლამისაო: რძისფერი და ვარდისფერი, რძისა და ვარდის შენაფერი მისცურავდა ცისფერშია, უსაზღვრო ცისფერშია. მილულავდა. მილულავდა. მილულავდა. ზღაპრებიც მოესმინა, გამოცხადებანიც გაეგონა, ოცნებაც იცოდა. ჯერ ზღაპრებს ასდევდა, მერე გამოცხადე-

ბათა, მერე ოცნებად დაიჯერა, ოღონდ მიელულა თვალი, თვალღიას არ მოეჩვენებოდა, არც ისე ცხოვლადა, არც რო ბუნდალა, არა, სულაც არ მოეჩვენებოდა, და აღარც ახელდა თვალსა, ეგრევე ჰხვდებოდა ექიმებსა თუ მომვლელებსა, ეგრევე შეჰხვდა დედასაცა, — ერთი მაინც გაახილა თვალი, არ შეგეშინდესო, ანუგეშა, არაფერი მიჭირს, — და ეგონა, რო აღარც გაახელდა, რო ადგებოდა, მერეც აღარა, ივლიდა ეგრე თვალდახუჭული, ეგრე, ეგრე თვალდახუჭული. ოცნება ამჯობინა, თვალხილულს არ ახლდა ოცნებაი. არა და სინამდვილე გახლდა, იგი წამიერი, სინამდვილე გახლდა, მართლაც მშვენიერი ქალი იხილა, მართლაც ეგრე დედიშობილა იხილა: თოკი ვერ ჩაუწვდა და დროც არ აცლიდა და გაიძრო კაბაი და დახია კაბაი და ერთმანეთს შეაკვანძა და თოკს შეაკვანძა და მაინც ვერ უწია და აზღუდიც შეაკვანძა და ტრუსიც შეაკვანძა და ძლივსღა უწია და... ამას სად შეეძლო ესეები წარმოედგინა, მით უფრო, რო დაჰკარგა გრძნობაი, გადახოხდა თუ არა მაშინვე, — წამი, წამი და დაჰკარგა გონთა. სინამდვილე გახლდა. ცხადიერი გახლდა.

იკითხავ, ვინ იყოო,
იქ საიდან გაჩნდა,
რა მოხდა.
და
რანაირადაო,
იკითხავ,
იკითხავ,

დაწვრილებით გამოიძიებ, ბავშვივითა, რადგან რო ბავშვია, დიდიც რო ბავშვია, სულ უნდა რო რაღაცა გაიგოს, სულ ეკითხება, სულ ეძიებს, სულ ვერას იგებს, ანთუ სწორედ იმას ვერ იგებს, რის გაგებაც რო ასე სწყურიან, და კითხულობს, კითხულობს, სულ ბავშვია, მოხუცი ჰო ბავშვია და ბავშვია;.

მოგახსენებ,
ოღონდ ჯერ ვერა, —
ჯერ ეს ამბავია დასამთავრებელი.

გამოგიტყდები, რო მეჩქარება, ისიც რო გითხრა, მეჩქარება, გამოგიტყდები.

□დასასრული იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მორის ფოცხიშვილი

### მირაჟი

დაღლილი მზე ზღვის ტალღებზე იწვა,
შუბის ტარზე ტრიალებდა
        წუთისოფლის ფარგალი, —
ჯერ შორს იყო მიწა,
მითუმეტეს, ცარგვალი....

სამრეკლოზე ზარს ზარავდა ბზარი
და ნისლივით მთებზე ეწყო
        ფიფქოვანი ფიქალი,
ჯერ შორს იყო ქარი,
მითუმეტეს, გრიგალი...

დრო ღვთის სანთლებს ყვავილებად კრეფდა
და საღამო იცრებოდა ბინდივით, —
ჯერ შორს იყო სევდა,
მითუმეტეს, სიკვდილი,

კრიახობდა მთვარე, როგორც კრუხი,
იზრდებოდა ვარსკვლავების ტირაჟი,
ჯერ შორს იყო მწუხრი,
მითუმეტეს, რიჟრაჟი.

### შეხსენება

მორჯულება უნდა ჭირვეულ სევდას,
ჭრილობებს ხავსით და ბალახით ვფარავთ, —
ჩემი დატყვევება ალერსით ხდება,
მუშტით და მუქარით... არა!

არა, აღარავინ არ ტყუვდება,
ავდარს ვინ მიხატავს დარად, —
სიჩუმით შეიძლება ჩემი დაყრუება,
მაგრამ, ზარ-ზეიმით... არა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აზრის დამდორებით მსოფლიო შეიძვრება,
ღვინო გადიქცევა ძმრად.
ალბათ დამშვიდება
ლოცვითაც შეიძლება,
მაგრამ წყევლა-კრულვით... არა!

* * *

მოვედი, რადგან
უნდა წავიდე,
გზა მქონდა, მაგრამ
წინ კვლავ გზა მიდევს.

სულ დამჭირდება
რაღაც ორი დღე, —
მივდივარ, რადგან
უნდა მოვიდე!

## მომეშვი

მიხმობს ტელეფონი ტუ-ტუ-ცურ სტვენით,
ვბორგავ წუთისოფლის უწყალო მორევში,
არა, არ მჯეროდა არასდროს შენი,
მომეშვი, გეხვეწები, მომეშვი!

რაც დუღდა, დაცხრა და რაც ქუხდა, დაშთა,
ნიღბების ცვლაში და მიმების ჭორებში,
როგორ დამიძახე დამკვრელად ტაშთა,
მომეშვი, თუ კაცი ხარ, მომეშვი!

სადღაა ცეცხლი და სად არის ძალა,
რა გაძლებს ამ ხახადაბჩენილ ლომებში,
ჩემთვის ვაწრიპინებ ქაღალდზე კალამს,
მომეშვი, თუ ღმერთი გწამს, მომეშვი!

## დედნის მარადიულობა

არ მიყვარს უბრალოდ
დედის დაფიცება,
მაცოცხლებს სიკეთის პაწია ხემსიც.
ხშირად იჩეხება მართალი ლექსი,
დედანი რჩება და
რწმენა არ იცვლება.

სიტყვა აფრენილი ფუტკარია,
თაფლისთვის ცხრა ტატნობს გადის,—
ხშირად მახინჯდება პოეტის ხატი,
სული სულდგმულობს და
უკვდავია.

იქვე გერევა და დროებით გჩაგრავს,
წლები შენს ნეკნებზე
თქრიალით გადადიან,
ხშირად ნადგურდება არქივი, მაგრამ
აზრი დღეგრძელობს და
აზრი მარადია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სვლა

ვაიმე, სად გაითხარა
მიწა სხეულის არხად,
რა უნდა მითხრას მკითხავმა,
რაც მე არ ვიცი ახლა.

ჩუმად! ამ ხმებში ის ხმები
არ არეულა ჯერაც,

ო, ვის ხელებზე ვირხევი,
ვის ტახტრევანზე ვწევარ.

რაღაც ქარივით ზუზუნებს
ქარს კი არა და არ ჰგავს,
სალამი ცისფერ უკუნეთს,
ღრუბლებს, ვარსკვლავებს, ცარგვალს.

## ამაღლება

წამმა წამი იწამა რა
იწამა და იწამარა,
სული მომისწრაფა ისე
ცამ მიმიღო, მიწამ არა.

დიდი იყო სიახლოვე,
დავრჩი ასე ღვთის ამარა,

წამომცდა და მიწა ვთხოვე,
გზა მომცა და მიწა არა.

ტკივილივით გაჰქრა ბინდი,
გაბმულიყო სხივი ლარად,
მივფრინავდი როგორც ჩიტი,
შვება იყო, ჰმუნვა არა.

## ალგებრა

გზა — ურჩხული გვბორკავს რისხვით,
თან საფლავის მიწას გვიყოფს, —
რახან იყო დასაწყისი,
დასასრულიც უნდა იყოს.

ვცოდვილობთ და დარდი გვიპყრობს,
მაინც ბორგავს გულში სისხლი, —
რახან დასასრული იყო,
უნდა იყოს დასაწყისიც.

## განთავისუფლება

რა დილაა, რა დილა,
გავურბივარ ფიქრებს,
თამაშიდან გავდივარ,
დარდს ვემხობი პირქვე.

რა დილაა, რა დილა,
ცა ზვარაკად მითხოვს, —
ვკვდები ისე ადვილად,
ვიბადები თითქოს...

რა დილაა, რა დილა,
შუქით ვივსებ ჭიქებს, —

წყვდიადიდან გავდივარ,
ფრთებს ღრუბლებში ვიქნევ.

რა დილაა, რა დილა,
ღმერთს თვალებში ვუმზერ, —
ღვთისმშობელი დახრილა
და მირონს მცხებს შუბლზე.

მზე ყვავილად გაშლილა,
ვგრძნობ და ველარ ვხედავ, —
რა დილაა, რა დილა,
გულში მიკრავს დედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

# ნოველები

## არ დაიკარგება?

თვითმფრინავის წინა სალონში პირტიტველა ბიჭი შემოვიდა. ნახშირით დახატულივით გადაბმულ წარბებზე და სვავის ნისკარტივით მოკაუჭებულ ცხვირზე ჩამოფხატული ორლილიანი ბუკლეს ქუდი აიწია და მკვირცხლი, მაგრამ ფიქრიანი მზერა ირგვლივ მიმოატარა. ბევრი აღარ უფიქრია, ბოლჩა საბარგულზე მოისროლა, ფანჯარასთან თავისუფალი ადგილი მოძებნა, მოკალათდა და ისე გაფაციცებით დააჩერდა მარჯვენა ფრთას, გეგონებოდათ, ალუმინის ლურსმნებს ითვლისო.

ბიჭს მალე შუახანს მიღწეული, სქელულვაშა, მოდიდან ჯერ კიდევ სამოციან წლებში გამოსულშლაპიანი, დაბალ-დაბალი კაცი დაადგა თავზე. კაცს ორივე ხელში გაბერილი ჩანთები ეჭირა და ძლივს სუნთქავდა.

— რა ნომერია, ნახე ერთი, შენს გაზრდას — ისეთი დაუწმენდავ-გაუფერავი ხმით ჰკითხა მოსულმა, იფიქრებდით, ეს ხმა პირდაპირ ფილტვებიდან ისმის, ისე რომ ხორხში არც კი გამოუვლიაო. ჩანთა ფეხებშუა მოიქცია და ბილეთი გაუწოდა.

ბიჭს ჯიბიდან ხელები არ ამოუღია და არც ბილეთისთვის დაუხედავს.

— დაჯექი, ბიძია, თავისუფალ ადგილზე, რას უყურებ ნომერს. თუ ჩევედით, ყველა ერთად არ ჩავალთ?

— მაგაში კი ხარ მართალი, — მსხვილულვაშამ ჩანთები სავარძლის ქვეშ შეალაგა და ნელ-ნელა, ხვნეშით დაეშვა. — არ შემჭამეს ამ ოჯახქორებმა?

— შენ გეჩხუბებოდნენ? რაო? — ბიჭი ნახევრად შემობრუნდა და ყბას ხელი შეუნაცვლა.

— ორი ჩანთა რატომ მიგაქვსო. ერთი უნდა ჩაგებარებიაო. გასატეხი მიდევს შით, თვარა ჩაბარებას მე მომასწრებენ მაგენი?

— პატარა ეშმაკობა უნდა გეხმარა, ბიძაჩემო. მიგეცა ვინმესთვის ერთი ჩანთა ხელში და ამით მორჩებოდა მთელი ბაზარი.

— ვერ მოვასწარი, თვარა კაი შენ. მერე იყო და, ოთხჯერ დარეკა იმ დასაწვავმა. ხან გასაღები ამევიღე ჯიბიდან; ხან ხურდა ფული. სანამ ეს ქამარი არ შევიხსენი, კი არ გაჩერდა.

— მანახე. რკინის ბალთა აქვს, კი, დარეკავდა.

— კი მარა, აქითობას რომ არ დარეკა? აქითობას ეს ქამარი არ მეკეთა?

— რა ვიცი, შენ გაუგებ მაგენს? მე მგონია, რენტგენი კი არ რეკავს, თვითონ აჭერენ ლილაკს ფეხს და აგლახავებენ, ვინც გოუხარდებათ.

— მაგაშიც მართალი ხარ. ჩემს წინ კაცი გევიდა, ორი ფუთი რკინა ეკიდა

გულზე. გაგიგონია? ხმა არ გეილო ზარმა. არ ამაგდებენ ვითომ ამ ადგილიდან?

— ან აგაგდებენ, ან არა. მეც სხვის ადგილზე ვზივარ. ცარიელია თვითმფრინავი, ხომ ხედავ. თუ მაინცდამაინც ამ ფანჯარაზე ექნება ჭიპი მოჭრილი ვინმეს, დავუთმობთ, ბატონო, მაგაზე ადვილი არის რამე?

ამასობაში მომხიბლავმა სტიუარდესამ მგზავრები მესამედ დაითვალა. რკინის ფრინველს ტრაპი მოაშორეს, ძრავებმა უკანასკნელად დაიწივლეს, სალონი აძიგძიგდა, თვითმფრინავი ნელა დაიძრა.

— რომელია შენთან? — ჩანთოსან მგზავრს თავისი საათის სიზუსტის შემოწმება სურდა.

ბიჭმა მარცხენა მაჯაზე მოისვა ხელი.

— არ მაქვს საათი.

— ხუთი წუთი გადააცილეს, მეტი არა. ესე იგი, სამის ნახევარზე, ჩვენი დროით, თბილისში ვიქნებით.

— მე ცოტა იქით ვარ წასასვლელი, თუ ბილეთი ვიშოვე, — ბიჭმა ამოიხვნეშა.

— საით?

— ქუთაისში.

თითქოს ცა გაეხსნაო, თითქოს ბედნიერების ზარი ჩაესმაო, თითქოს პირზე ვარდი დაეფინაო, ძველთაძველშლაპიანი გაიბადრა და წელში გაიშალა.

— ქუთაისელი ხარ, ბიჭო, შეენ?

— კიე, — ბიჭი თვითმფრინავის მარჯვენა ფრთას თვალს არ აშორებდა.

— მერე, არ მიცნობ მეე? — გულთან მიიდო საპირჯვრედ გამზადებული სამი თითი.

— ვერა. უნდა გიცნობდეთ?

— მაცეკვარი ვარ, ბიჭო, მე, ბუხუტი გერსამია.

ბიჭმა კარგა ხანს უყურა, მაინც ვერ იცნო, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა.

— რას გიცნობდი, ამ შლაპაში.

— ჰოო, — თითქოს ახლა გაახსენდაო, ბუხუტიმ ქუდი იშვლიპა და მუხლებს შორის ჩაიჩურთა, [illegible] შეგცივდებაო, ცოლმა, თავზე, თვარა, როდის იყო, ქუდი მეხურა. ისე, აქეთ უფრო თბილა, ვიდრე ჩვენკენ. ჩაპულივერებულ-ჩაკაშნული ჩამოვედი და აქანა პერანგით დადიოდა ხალხი.

— კი. აქაურმა ქალებმა უცებ იციან გამოზაფხულება.

— სად მუშაობ?

— აქბულაქში. კი არ ვმუშაობ, ვსწავლობ საჭაპანო სასწავლებელში. სამწლიანია. მთლად ტექნიკუმიც არაა და ჰა და ჰა. პირველ კურსზე ვარ, ჯერ სწავლა არ დაგვწყებია. ზაფხულში ჩავაბარე გამოცდები და პირდაპირ პრაქტიკაზე გვიკრეს თავი.

— ვიცი, ვიცი. შიგნით აქბულაქში ხართ?

— ოც კილომეტრში. ახლოს ვართ, კი. ტყეში ვართ შიგნით, შეწეული.

თვითმფრინავი სიჩქარეს იღებდა და იაპონურ თოჯინაზე უფრო ლამაზმა სტიუარდესამ მგზავრები გააფრთხილა, უსაფრთხოების ქამრები არ მოიხსნათო.

— ერთი იმის ტურად გადამაქცია, შველის რამეს ეს ქამრები, ვითომ? — ბიჭმა საკეტი გაატკაცუნა.

— შველის, აპა? ეს რომ არ იყოს, ავარიის დროს ხომ ეიზილა ხალხი ერთმანეთში.

— ესე იგი, ჭირისუფალს რომ მისმისი მკვდარი შეხვდეს, იმისთვის ყოფილა, — გაიცინა ბიჭმა.

— აბა თვითმფრინავი თუ ჩამოვარდა, შე კაცო, მეყოლე ბედნიერად, ქამარი კი არა, მამაზეციერი ვერ გიშველის. რა გვარის ვარო, რა მითხარი? — უცებ დასერიოზულდა ბუხუტი.

— არ მითქვამს. კუჭუხიძე ვარ, მერაბი მქვია, სიპიტოს მეძახიან.

— რომელი კუჭუხიძე ხარ?

— საშა ჰქვია მამაჩემს. არ გეცოდინება, წყალტუბოში მუშაობდა სექციონერად, მაღაზიაში. ნერვიულობა შეხვდა და ორმოცი წლის კაცს წნევამ დაარტყა. ორი წელი დაასვენა გამჩენმა. შარშანწინ არ დაიშალა და ისევ მა-

ლაზიაში დაიწყო მუშაობა. სანერვიულოს მაღაზიაში რა გამოლევს? ისევ დაარტყა წნევამ და ახლა ქეა პენსიაზე.

— საშა კუპუხიძე... საშა კუპუხიძე, — თვითმფრინავის ჭერს ასცქეროდა ბუხუტი და ბოლოს დაასკვნა: — არ ვიცნობ.

— ხომ გითხარი, არ გეცოდინებათქვა.

— რამდენთვიანი პრაქტიკა გაქვთ?

— ექვსთვიანი.

— მერე, ჯერ რომ არ გეკუთვნის შვებულება?

— შვებულებას უცადა ტიფამ. შვებულების ბატკანს ვგავარ მეე? — სიპიტომ გაიღიმა და წელში გაიზნიქა, — დეპეშა და მისი ჯანი.

— რა დეპეშა?

— დეპეშა ჩვეულებრივი — „მამა უკანასკნელ დღეშია, ცოცხალს მოუსწარი“.

— მერე ჰამენ მაგას?

— პრაქტიკის ხელმძღვანელზეა დამოკიდებული. ხანდახან მართალ დეპეშაზეც არ გაგიშვებენ.

— კაი ხელმძღვანელი შეგხვდათ?

— ჩემთან კარგადაა და ისე არ ვიცი.

— რამდენი დღე მოგცეს?

— ერთი კვირა.

— გელოდებიან?

— საერთოდ კი და დღეს არა. რა ვიცი, რა დროს ვიშოვი ქუთაისის თვითმფრინავზე ბილეთს. ისე, დეპეშის ტექსტი მე მივწერე აქედან. ორი დეპეშა გამოგზავნეთ, ერთი ჩემს სახელზე და ერთი ხელმძღვანელის სახელზეთქვა.

— შენ ეს მითხარი, სიპიტო, გიჭირს მუშაობა?

— პირველად გამიჭირდა, მარა, ხო იცი ჩვენი კაცი რომ არ დაიკარგება არსად. ბრიგადირი შეგვხვდა იმნაირი უბედური, ახლოს არ გაგვიკარა არცერთი. დილა-საღამოს სისხლს გვიშრობდა. პირველკურსელები ვიყავით და აგვიგდო, ხომ იცი, ასეა. რა ვქნა, რა ქვას ვეცეთქვა და ასე მევიფიქრე: წყალს ვუსხამდი ლოგინში, [illegible] ამნაირი რამ მეორეს არ უნდა გან[illegible] თქვენ დაბრედილი ხარ მაშინვე. ყოველღამე, დაწოლის წინ შემოვიპარებოდი და ვლეწავდი ერთ ბანკა წყალს ბრიგადირის საწოლში. მეხუთე ჩასხმაზე რაფერ გამოიცვალა, იცი? კაცს დაემსგავსა. ახლა ქეა გვრიტივით. რავარც ოურევს, ამ წყლის ჩასხმას არ მოვუშლი და იხტუნოს რამდენიც უნდა.

ბუხუტი სიცილისგან ცრემლებს იწმენდდა.

— კაი უბედური ეყოლები, ნუ გეშინია, შენს გამჩენს.

— რა ვქნა, აბა, თუ წოუწექი მაგენს, მთელი სასწავლებელი გადაგივლის ბეჭებზე, — სერიოზული სახით ლაპარაკობდა სიპიტო.

— საჭმელი?

— რავარც იყო, ისეა. ჩვენ საჭაპანო სასწავლებლის სასადილოში ვჭამთ. დილას ჩაი და ქაში, შავადღეს ბორში და ქაში, საღამოს ჩაი და ქაში.

— გყოფნით მერე მაგი?

— პირველ თვეს არ გვყოფნიდა. ახლა მიეჩვია კუჭი და გვყოფნის კი არა, ქეც გვრჩება ხანდახან.

— ხორცს არ გაძლევენ?

— სადილზე. პატატერან ნაჭრებად მოხარშულ ხორცს ჩამოდგამენ. ჩამოდგმა საერთოდ, უბედური საქმეა, ზოგი სამ ნაჭერს წოუპოტინებს ხელს და ზოგს ერთიც არ რჩება. ამასაც გოვუგე მუდამი: რავარც ჩამოდგამენ, ვსტაცებ მათლაფას ხელს და „აბა, ბიჭებო, უგაშჩაიტეს-მეთქი“. ასე, ნამუსში რომ ჩაიგდებ, თითო ნაჭერს იღებს, სხვები უყურებენ და რცხვენია. ჩამოვატარებ ხორცს და ბოლოს, რაც დარჩება, მე დევიდგამ წინ. ისინი რომ თითო ნაჭერს ძიძგნიან, მე სამ-ოთხ ნაჭერზე ნაკლები არ მხვდება. ასეა, მუდამი უნდა ყველაფერს.

— აჭბულაქური ენა რავა იცი?

— რავა მეცოდინებოდა ახლა მე, ქუთაისელ კაცს, აჭბულაქური. გასაკვირია პირდაპირ. ეს უზბეკები და ყაზახები, ყაზახები განსაკუთრებით, მშვე-

ნიერ აქბულაქურს უპარტყუნებენ და და მე პირველ დღეებში ქე გყავდი ღრმა მუნჯივით ჩუმად. ამგენმა რავა მაჯობონოქვა და ყოველდღე ხუთ-ექვს სიტყვას რავა ვერ ისწავლი. რვეული ვიშოვე ერთი და რასაც ყურს მოვკრავდი, ვიწერდი ყოველდღე. ორ თვეში ორას სიტყვამდე ვისწავლე და მეტი კი არ უნდა პრაქტიკანტს.

— აქცენტი მაინც გექნება.

— აქცენტზე იქანა არავინ არ გეცინის.

— საწყობში, ან სასადილოში უნდა მიიტანო თავი — პრაქტიკაზე სხვა ქალაქში როცა ხარო, გამიგონია.

— სასადილო არაფერი მაინცდამაინც. ჩვენ თვეში ერთხელ მორიგეობა გვიწევს იქანა და თავ-ბედს ვიწყევლით მაშინაც. პრაქტიკანტი თუ დილის ექვს საათზე დგება, შენ ოთხზე უნდა ადგე. კარტოფილის ფცქვნაში თითი რაღმე წევითალე. ზეთის სუნი დაგახრჩობს მარტო სასადილოში. საწყობი, იცოცხლე, არაა გლახა, მარა საწყობში დიდი ჭკუა და მოხერხება გინდა. გამოწმებენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ჩემს თავს ვერ ვაპატიებ, იმნაირი სიშტერე დამემართა საწყობში. ერთი თვის დაწყებული გვაქვს პრაქტიკა და ხელმძღვანელმა საწყობს არ მიმამაგრა? ქართველიაო და ჩვენ ამგენს დიდი მომჭირნე და საქმიანი ვგონივართ. თანაც, რომელ საწყობს მიმამაგრა, იცი? სამი საწყობია ჩვენთან ბარ-ნიჩბის, ტანსაცმლის და საკვების. მე საკვების საწყობში გამიშვა. მევითქვი სული. რა წესიერადაც არ უნდა მიუწონო მზარეულს, საწყობში მაინც რჩება შენი სამყოფი ხორცი, კარაქი, პური და ხანდახან ძეხვიც კი. პივა თუ შემოაპარე გარედან, პირველი კაცი ხარ. ახლაც იქ ვიქნებოდი, ჭკუა რომ მეხმარა. გამოუცდელი კაცის ამბავი არ იცი? უმცროსმა მეჭაპანემ შემოიხედა ერთხელ საწყობში, სადილზე დამაგვიანდა და ხომ არაფერი გაქვს მორჩენილიო. მე ვთქვი, ამას მაინც დავაბამ ახლა სამუდამოდთქვა და შემოვიპატიჟე. გოვუშალე მეფური სუფრა. ვუჭახუნებ ჭიქას და ვუხსნი — საწყობში ასე რჩება და ასე რჩებათქვა ყველაფერი. გამოიარე ჩემთან ყოველთვის და არ წააგებთქვა. კარგიო, ეს რა ღვთისნიერ კაცს შევხვდიო. დღეიდან შენი ძმაკაცი ვიქნებიო. მეორე დღესვე მომაშორეს საწყობს. თურმე რას პატიჟობ უმცროს მეჭაპანეს. დაატიე ენა პირში, ახლა ქე ვიცი, რასაც ვიზამ, მარა ვინ მაკარებს საწყობს.

— ამანათს თუ გიგზავნიან?

— კი. მარა შორია და ხმელი ხილის, შაქრის და ამნაირი რაღაცების გარდა ყველაფერი ფუჭდება გზაში. იმნაირი უბედური ფოსტალიონები გვყავს, რომ პასილკას ხსნიან და თუ შემთხვევით არაყი ან ღვინო აღმოჩნდა ყუთში, თვითონ სვამენ. შენ გგონია, აბარებენ სადმე? მარა ამასაც გავუგე მუღამი.

— აბა, აბა?

— ჩვენ, მართალია, საჭაპანო პრაქტიკას უნდა გავდიოდეთ, მარა ჯერჯერობით დილის რვა საათიდან, ოთხ საათამდე მშენებლობაზე გვამუშავებენ. მე სვარჩიკი ვარ, მარა სვარკით, თვალები მტკივათქვა და, მაინცდამაინც არ ვიკლავ თავს. ჩვენთან ნამდვილი მუშები ხომ არიან, მუშას ვერ უბედავენ პასილკის გახსნას ფოსტალიონები. ჰოდა, მუშის სახელზე მიგზავნის მამაჩემი პასილკას. ორი ბოთლი არაყი თუ დევს, პასილკის მიმღებმა იცის — ერთი მისია. ასე რომ, თვითონაც მადლობელი რჩება.

— მერე სად სვამთ არაყს, რომ დაგიჭირონ გარიცხვა ხომ არ აგცდება.

— მართალი ხარ. ყველაზე დიდი სიმკაცრე ჩვენთან დალევაზეა. მე, სიმართლე გითხრა, არ მიყვარს დალევა. ისე, ას გრამს თუ გადავკრავ გასამხნევებლად, თვარა სასმელს არ ვეკარები. დილას რომ დალევ მშენებლობაზე ას გრამს, საღამომდე ცხრაჯერ გამოგინელდება, ვინ შეგატყობს რამეს.

— ქალის საქმე რავაა თქვენთან?

—ქალის საკითხი კარგადაა თქვა რომ გითხრა, ტყვილი იქნება. მე, რა დასა-

მალია და, ქალთან არ ვიყავი ნამყოფი, ბოდიში თქვენთან მომითხოვია, სანამ სასწავლებელში მევეწყობოდი. ქალაქამდე ოცი კილომეტრია. ქალის გულიზა მეტს არ გავივლით? მარა ვინ გვიშვებს. რისი ტანცები, რა ტანცები. იმ ანეგდოტის არ. იყოს.

— აპა?

— მაგასაც მოვუძებნე მუღამი, ნუ გეშინია. მყავს ჩემი ტამარა. სამშენებლო კანტორაში მუშაობს, უფროსის მდივანია. პერერივს იქანა ზუსტად იცავენ. იქვე ცხოვრობს. გავვარდებით მე და ტამარა შესვენებაზე. ერთად კი არა, ვიცით ჩვენი საქმე. ხუთი წუთის მისულია სახლში, დაუკაკუნებლად შევდივარ უკვე. დედა ყავს, მარა, ქენიხიაო, უთხრა ტამარამ და იმნაირი კაი ქალია, რავარც სახლში დაგვიგულებს, მიგვატოვებს მე და ტამარას და მეზობლებში გადადის სალაპარაკოდ. კაი ჩუჩუნი, კაი ხუტუნი ტამარასთან იმ საათს თუ საათ-ნახევარს, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ქე ვბრუნდებით უკან.

— აგიწყვია საქმე.

— ჰო, მარა, ჩემით ვხვდები, ტამარასთან დიდხანს საქმის გაგრძელება არ შეიძლება. ცოლად მე რომ მაგის მომყვანი არ ვარ, ქე იცი.

— რატომ, რა უჭირს?

— კი არაფერი უჭირს, მარა ჩემზე ხუთი წლით უფროსია, ქმარგაშორებულია, სვამს თურმე მისი ყოფილი ქმარი და ხანდახან აკითხავს. კარს არ უღებს ტამარა და არის დიდი კარლეწვიობია, არ იცი ლოთის ამბავი? აქამდე ტამარა არაფერს მეუბნებოდა. ამ ბოლო დროს ოხვრა-კვნესა დაიწყო. მოფერებითაც ნამეტანს მეფერება. შევუყვარდი. ახლა დროზე თუ არ ვუგანე, იქაურმა ქალებმა ერთგული შეყვარება იციან. ნამეტანს დაგიჩემებენ და მერე გვიან იქნება. ბოვშვს გააჩენს; ჩემო ბატონო და, ქუთაისში ჩამოკითხვა და ცრემლობია მინდა მეე?

— ჩხუბი იციანო თქვენს სასწავლებელში?

— კი. არც უმაგისობაა. დაერევიან ხანდახან ერთმანეთს, მამლებივით. უბრაგუნებენ ერთმანეთს თავში. რომ გააჩერო და ჰკითხო, კაცმა არ იცის, ვინ ვის ურტყამს და რატომ ურტყამს. შელაპარაკდება ორი შტერი ბიჭი, ამას ეს წამოეშველება, იმას ის და ატყდება ჩხუბი. მე დიდი დამრტყმელი არ ვარ, მარა ამასაც გოვუგე მუღამი. ჩხუბში ბოლოს უნდა შეხვიდე, გარკვეული რომაა ყველაფერი და მიფენილ-მისავათებული როა ხალხი. მაშინ ვისაც მოადებ ღრანჭებში, ფეხზე არ დარჩება. ისე, ჩხუბი მეზარება. რა თქმა უნდა, თავზე არ დავისვამ არავის, მარა მე თვითონ არ ვიწყებ ჩხუბს. ჩვენთან არავინ არ არკვევს, ვინ დაარტყა პირველად და რაზე ატყდა ჩხუბი. მოუსობენ ხელს ყველას ერთად და, ჰაიდა. გარიცხვა მინდა ახლა მეე? ძლივს მოვეწყვე.

— მოკლედ, კუჭუხიძე, შენ არ დაიკარგები არსად, ისე გატყობ.

— არც მაგაზეა, ბუხუტი ბიძია, ჩემნაირები დაკარგულან? კი, შენც უნდა იმარჯვო პატარა ამ ცხოვრებაში, მარა ხანდახან იმნაირ ყისმათზე ადგები დილას, კედელში რო გადიოდე, ისიც ვერ გიშველის.

ბიჭმა ქუდი აიწია და ლეგა ღრუბლებში შეცურებული თვითმფრინავის მარჯვენა ფრთას კვლავ მიაჭიჭინდა.

იქვე ვიჯექი, უკანა სავარძელში, მაგრამ ორი მგზავრის მუსაიფში არ ჩავრეულვარ.

სხვათა საუბრისთვის ყურის დაგდება ერთობ უხერხული რამ არის, მაგრამ ბუხუტი და სიპიტო ისე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, რომ მთელს სალონს ესმოდა.

თავიდან სიცილს ძლივს ვიკავებდი, მერე უეცრად სევდამ დამრია ხელი და ერთი სული მქონდა მეყვირა:

მოგიკვდა ჩემი თავი, სიპიტო, რამდენი რამ გვისწავლებია შენთვის ამ ოთხ თვეში, რამდენი რამ, შენს მყუდრო ქუჩაზე რომ ვერასოდეს გაიგებდი და არც სახელმძღვანელოებში გეწერა.

# სიკვდილის წინა დღე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილის ცხრა საათზე უნივერსიტეტის ბაღს, მელიქიშვილის ქუჩის მხრიდან, საშუალო ტანის, ჭაღარათმიანი და შავთვალება, ლურჯი დრაფის გაცვეთილპალტოიანი, გამხდარი კაცი მოადგა. ერთხანს მონუსხულივით შესცქეროდა ჭადრების ქვეშ აყივყივებულ ბელურებს თავიანთ ურთულეს ფიქრებში გართულ მოქალაქეებს ფეხებში რომ უძვრებოდნენ, მერე კარაკულის ნაცრისფერი საყელოდან მტვერი წკიპურტით გაიფერთხა, პირთან მუშტის მიდებით ხრინწიანად ჩაახველა, ბაღში შევიდა, მელიქიშვილის ძეგლის გვერდით ლურჯ ხის სავარძელს ხელი დაუსვა (ახალი შეღებილი ხომ არ არის, ან ნამი ხომ არ ადევსო), შემოტრიალდა, პალტოს კალთები აიქნია და დაჯდა.

თუ რაიმე ჰქონდა მიმინოსებური — მხოლოდ და მხოლოდ თვალები. იცქირებოდა შორს და ჯიუტად. ხანდახან უცნაურად ჩაიცინ-ჩაიხრინწჩაიხითხითებდა, გვერდზე ჩავლილ ნახევრადნაცნობ სტუდენტს თავს დაუქნევდა და მერე ისევ მონუსხულივით, კისერაწეული და თვალგაქცეული, გაუნძრევლად იჯდა.

დაახლოებით ასე, თორმეტ საათზე, სტუდქალაქის მხრიდან უნივერსიტეტის ბაღს მაღალი, თმაგაჩეჩილი ბობრი პირისახის, აგურისფერულვაშება, მსუქანი კაცი მოადგა. ბობრსახიანს მაკინტოშის გრძელი, დაახლოებით, სამი-სამნახევარი ზომით მის სარგოზე დიდი მოსასხამი ეცვა. ხელები ჯიბეში არ ეწყო, ზურგზე ჰქონდა შემოსალტული, კოჭლი როდი გახლდათ, მაგრამ ისე აჩა-ბაჩად დადიოდა, დაინტერესებულ კაცს რომ გაეზომა განიგან მისი ტანის რხევის ამპლიტუდა, ასე სამოცი-სამოცდახუთი სანტიმეტრი მაინც იქნებოდა. თავზე წაადგა კარაკულის საყელოიან, გამხდარ კაცს და როცა ამ უკანასკნელმა აბეზარი ფიქრისგან წუთით მოიცალა და თვალი შეავლო, მიესალმა. კაცმა-მიმინომ კითხვაგარეული ღიმილით დაუქნია თავი.

— უკაცრავად, თქვენ გიგა არა ხართ? — ჰკითხა.

—„ დიახ გახლავარ, რა გნებავს შენა“ — კულტსახლის მსახიობის თეატრალური დახვეწილობით მიუგო დამხვდურმა.

— აქ რას აკეთებთ?

— ხომ ხედავ, ვთვლემ.

— თუ შეიძლება, დავჯდები თქვენს გვერდით.

— ვთვლემ-მეთქი, მგონი გასაგებად გითხარით, გნებავდათ რამე?

— ერთად ვითვლიმოთ, — უცნობი არც ისე მორცხვი ჩანდა, როგორც გიგას ერთი შეხედვით მოეჩვენა, მაკინტოშის პლაში არ აუკეცავს, სავარძელს სული შეუბერა, ჭადრაკულად მოქარგული ცხვირსახოცი ამოიღო, გაიფინა და დაჯდა.

მზე რომ ჭადრებს დასავლეთის მხრიდან მოექცა და გუმბათის ჩრდილი ვერის გზატკეცილს დაეხატა, მაკინტოშიანმა მოსასხამის კალთები მუხლებზე აიწია და გიგას მიუბრუნდა:

— ვარლამი მქვია მე.

გიგამ კარგა ხან უყურა, მერე გაუღიმა და მარჯვენა ხელით მხარზე რბილად შეეხო.

— შევმცდარვარ. ჩემი შეტყობით ჯურღაი უნდა გრქმეოდათ.

— რატომ ჯურღაი?

— იცით, ადამიანები ძალიან ხშირად ჰგვანან სახელებს. ან მერე ემგვანებიან. აი, ეგერ რომ ბიჭი გარბის, სვიტრიანი, არც მეტი არც ნაკლები — კოკა ერქმევა. თუ გნებავთ დაეწიეთ და ჰკითხეთ.

— თქვენ იცნობთ, ალბათ. — დაეჭვდა ვარლამი.

— ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს,

— გიგა, თქვენ?

— რა მე?

— თქვენ ჰგავხართ თქვენს სახელს?

გიგამ თვალები ეშმაკურად მოწკურა და თითქოს საიდუმლოს ანდობსო, გაწუცხადა:

— მე გენიოსი ვარ. გენიოსისთვის ყველა სახელი პატარაა. უკეთეს შემთხვევაში გენიოსი სახელს იმგვანებს,, თვითონ არ ემგვანება.

— ააა, ჰოოო — ვარლამმა კეფა მოიფხანა, მიხვედრით კი, რასაკვირველია, ვერ მიხვდა ნათქვამს და, კაცმა რომ თქვას, იქ მისახვედრიც არა იყო რა.

— მითხარი, მითხარი, მკითხე. მერე, რა ვუყოთ, რაღაც-რაღაცებს მეც ვერ ვხვდები ხოლმე ზოგჯერ. გენიოსს სახელი არ სჭირდება-მეთქი, ეს მინდოდა მეთქვა. უბრალოდ და მარტივად თუ გინდა, ეს არის.

ვარლამს მოეჩვენა, რომ ამ „უბრალოდ და მარტივად“ ნათქვამზე უფრო გასაგები მისთვის, წეღანდელი რთულად ნათქვამი იყო, მაგრამ ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

— მართალი ყოფილა. — თქვა სტუმარმა და განზე გაიხედა.

— რა ყოფილა მართალი? — გიგა რეზინის მილიან მეეზოვეს შესცქეროდა.

— თქვენზე რომ ამბობენ, ერთი შეხედვით დამთხვეული გეგონებათო.

— მეორე შეხედვითო? ეგ მეორე უფრო საინტერესო უნდა იყოს.

— რომ იცოდეთ, ბატონო გიგა, სამასი კილომეტრიდან თქვენს გასაცნობად რომ ჩამოვედი.

— შენ გგონია გამიკვირდებოდა, ეგ რო მართალი იყოს? დროც კია; დაიწყოს ყოველი მხრიდან ხალხმა დენა ბრძენთაბრძენის ბაგეთაგან ცხოვრების აზრის მოსასმენად.

— თქვენ ხუმრობთ და ეს ნამდვილად ასეა.

— არა მართლა.

— ჩემმა ძმიშვილმა, სამტრედიელი გახლავართ მე, გოჩა-ჯიხაიში თუ გაგიგონიათ. დიდი არაფერი, ჭულის მცნობა ვიცი კარგად. ჩემმა ძმიშვილმა-მეთქი, შარშან დაამთავრა. ჩამოვიდა. ხომ იცი, ნასწავლი კაცი. მიხაროდა გვერდით მისი ამოყენება. აბა, რავა არი საქმე, რა გასწავლეს-მეთქი. მთლად ასე არ უთქვამს, მაგრამ ლაპარაკში შევატყვე; ყველაზე მეტად ამ ხუთ წელიწადში თავი გიგა შაბრაძემ დამამახსოვრაო. რა მოხელე-ჩიქვანია-მეთქი, ვკითხე. დიდი არაფერი, უნივერსიტეტის ბაღში ზის დილიდან საღამომდე. თუ იქეთ არ გამოელაპარაკე, აქეთ ხმას არ გაგცემს. პირველად უცნაური გეგონება, მერე და მერე ისე გაგიტაცებს, ვერ მოშორდებიო. იმდენი რამ მიამბო თქვენზე, სიმართლე გითხრათ, სიზმარშიც მყავხართ ერთი სამჯერ ნანახი. სად მეცალა სათბილისოდ, მაგრამ ვერ გავძელი და წამოვედი. დაიჯერებთ ამ ამბავს? თქვენს გასაცნობად, თქვენთან სალაპარაკოდ ჩამოვედი.

ნახევარი საათის შემდეგ ისინი ზოოპარკთან, სალობიეში ისხდნენ. არსად არ ეჩქარებოდათ. იცი, მკითხველო, რა დიდებული რამ არის, როცა სალობიეში ზიხარ და არსად არ გეჩქარება?

— ბავშვობა თუ მოგენატრებიო, — სხვათაშორის ეკითხებოდა ვარლამი.

— მომნატრებია, მაგრამ ახლა რომ ბავშვად გადავიქცე, არ მინდა. რატომ თუ იცი?

— ?

— რა სანატრელია თავიდან ახლა ქუნთრუშას თუ წითელა ბატონების გადატანა. ყურებზე ხელის აფარება სკოლის დირექტორის დანახვისას. ლურჯი ტრუსიკით და წითელი მაიკით ქუჩაში გასვლა. სიგარეტის თავიდან მიჩვევა და არყის სმის დაწყება. იცი, რა ძნელი იყო? დამანებე თავი თუ კაცი ხარ, ძლივს მივეჩვიე, ძლივს ჩამოვყალიბდი.

— ძმაკაცები თუ გყავთ?

— როგორ არა. ერთი სამი გენიოსი ძმაკაცი მყავს, — ისევ გაიცინა და ეშმაკი ჩაუსახლდა თვალებში, — ხომ იცი, გენიოსს გენიოსი ნაკლებად უძმაკაცდება. გენიოსს უფრო სულელისკენ მიუწევს გული. ამიტომ კანში ეძვრებოდი, თავს უბრალო მოკვდავად ვაჩვენებდი, რომ, როგორმე, მათი ნდობა მომეპოვებინა. ამ ბოლო დროს,

მგონი, შემატყვეს, რომ თავს ვისულელებდი, გურულები ამას თავის გააბდლებას ეძახიან, შემატყვეს, რომ მეც გენიოსი ვარ და ჩამომშორდნენ.

უცებ მოიწყინა და დაამატა:

— ხუმრობა იქეთ იყოს. ღმერთმა კარგად მიმყოფოს ჩვენი მეგობრები, მაგრამ ყველას ურჩევნია რომ მკვდარი ვიყო.

— რას ლაპარაკობ?

— ცუდი რამ არ იფიქრო, ვარლამ. ესეც ზედმეტი სიყვარულით მოსდით. ჩვენ ხომ ერთმანეთი მკვდარი უფრო გვიყვარს, ბალდახინზე გაჭიმული. გალაკტიონი გახსოვს? „მიცვალებული სახელოვანი წევს ბალდახინზე გამოწყობილი". თუმცა გენიოსი ვარ, მაგრამ რაც ამ წუთში გითხარი, არ ჩაიწერო, სისულელეა, წუწუნია. მეგობრებისგან იმაზე მეტი არ უნდა მოითხოვო, რაც გეკუთვნის. მე, ალბათ, მეტი არ მერგება, და საერთოდ შენს მაგივრად ვერავინ იცხოვრებს. ეს მართლაც კარგად ვთქვი, შეგიძლია ჩაიწერო.

— ჩემმა ძმიშვილმა მითხრა ლექსებს წერსო.

გიგამ გაიცინა, მუშტი მიიდო ტუჩებთან და ჩაახველა.

— ტყუილი უთქვამს. ლექსი იმდენად სიროზული რამეა, რომ თუ დაწერ, აი როგორ მდგომარეობაში უნდა დაწერო: დიდხანს გხეხეს შიმუნვარებმა თუ რა ჰქვიათ? — პირისფარეშებმა, ბოლოს ვარდის წყალი გადაგავლეს ტანზე. შემოგიყვანეს მალაქერიან დარბაზში, დიბა-ატლასით შეგმოსეს, ხელთ ოქროს კალამი მოგაწოდეს და თვითონ უკანსვლით გაუჩინარდნენ. დამავიწყდა, შანდალზე ინდური ბალახი იწვის, ჰამო სურნელს რომ გამოსცემს. აბა, მე რა ლექსი უნდა დავწერო სახლმმართველი რომ თავში მიჩაჩქუნებს, კომუნალური გადასახადი არ შეგიტანიაო. შუა ოთახში ნავთქურა რომ ხრჩოლავს და შავად თოვს, ყველაფერ ამას ის სიკეთეც დაუმატე; შენ რომ არ ჩამოსულიყავი დღეს, საიდან ხარ?

— გოჩა-ჯიხაიშიდან.

— შენ რომ არ ჩამოსულიყავი დღეს, ჩემო ვარლამ, გოჩა-ჯიხაიშიდან, ლობიოს და არყის ფული ათასი დამამცირებელი საშუალებით უნდა მეშოვნა. ასე რომ, ტყუილი უთქვამს იმ შენს ძმიშვილს, ლექსებს წერსო. რა ერქვა, არ იტყვი ბოლოსდაბოლოს?

— ბექანი სხირტლავა.

— უი ბექანი, ბექანი! ჩემი ძმა. ჭამა ძველებურად უყვარს? ძილი? ძილის გიჟია. უნდა იმაყოს თქვენმა გვარმა. ეგ ისეთი კარგი ჩამოსხმაა, შორს წავა. ნახავთ, მალე. ხუთი წელი ვწვრთნიდი, ვერაფერ სიგლახეს ვერ მივაჩვიე. მერე ჩავიქნიე ხელი. რომ დამინახავდა, სულ მშიერი ვეგონე, სამ მანეთს ამოიღებდა და ჯიბეში ჩამიკუჭავდა. თან ხელს ხელზე მომიჭერდა და თვალს ჩამიკრავდა. ერთხელ რაღაცაზე შემეკამათა, ვუთხარი: „ნუ მანერვიულებ, თორემ გავბრაზდები შენზე და სამ მანეთს აღარ გამოგართმევ მეთქი". მაშინვე გაჩუმდა. ასეთი ბიჭია, ხალასი, სუფთა. მოეწყო სამსახურში?

— არა ჯერ.

— ცოლი არ შეურთავს?

— არა.

— რა ეჩქარება? ეგ ისეთი ბიჭია, ყველაფერს მოასწრებს. მე ყველაფერი დამიგვიანდა, კაცო, ამ ქვეყანაზე. ვერ გეტყვი, რისი ბრალია. ახალი რაღაცის დაწყება ბავშვობიდანვე მიჭირდა. სიახლის მეშინია. რა მინდა ამ ბაღში ამ ხნის კაცს, შენ გგონია მე არ ვფიქრობ ამაზე? ვფიქრობ, მაგრამ თავი ვერ დამიღწევია.

ჯიბეში ხელი ჩაიყო. „პრიმას" თავი მოუსრისა და ასანთს გაჰკრა.

ვარლამი შესცქეროდა რიდით და სიყვარულით. „რაც უფრო თვრება, უფრო უბრალო და გულწრფელი ჩანს. საოცარია, უცნაურობა, თითქოსდა, ნიღაბივით აუფარებია, კაცს ეგონება, მართლა რაღაცას მალავსო".

— შენ მითხარი, — გიგა განაგრძობდა — რომ არ დაგხვედროდი დღეს ჩემს ადგილას, ბაღში, სად უნდა გეძებნე? ესე იგი, ხომ ჰპირდება ვიღაცას

ჩემი აქ ყოფნა? გითხრა სიმართლე, ერთი პირობა წავედი აქედან და მუშაობა დავიწყე. ხეირიან სამსახურს ვინ მომაშავებდა. პატარა ჩინოვნიკის ადგილი მომცეს. შემოვივლიდი ყოველ საღამოს ბაღში და, გაგიკვირდება, თითქოსდა ჩემს თავს დავეძებდი. კაცს ვეძებდი, რომელიც აქ უნდა მჯდარიყო. არავინ არ იკისრა, ძმაო, ეს როლი. ისევ მე დავანებე სამსახურს თავი და დავბრუნდი. ჩვენ ჩვენი ადგილი უნდა შევავსოთ. ყველას რომ იმაზე მეტი გვინდა, რაც ბუნებამ გვარგუნა—ესაა ჩვენი უბედურების თავი და თავი. როგორც ჩანს, ჩემი საქმე ეგ არის, ისე როგორც რობერტ მელქაძის საქმეა კაცის გალახვა რინგზე.

სვამდნენ პლასტმასის თეთრი ჭიქებით. არაყზე ლუდს აყოლებდნენ. დეკემბრის სუსხიანი საღამო იყო. მარჯვენა მხრიდან მანქანების ღრიალი ისმოდა, ზოოპარკში ცივი ხმით ჰკიოდნენ მნახველთაგან თავგაბეზრებული მაიმუნები.

კარგად შეზარხოშებულები დაბრუნდნენ უნივერსიტეტის ბაღში. სიმთვრალე მხოლოდ იმაზე ეტყობოდათ, რომ ჩვეულებრივზე ცოტა ხმამაღლა და დიდი პაუზებით ლაპარაკობდნენ.

— ა, ბედნიერი ხალხი, — გიგამ უნივერსიტეტის ბაღში გამწკრივებულ ძეგლებს გახედა. ანგარიში გასწორებული აქვთ ამ ქვეყანასთან. ო, რომ იცოდე, ვარლამ, რა ძნელია სხეულის ტარება. რაც მალე იქცევი ქვად, მით უკეთესია.

— საქმე უნდა გააკეთო. ქვად ყველა ვერ იქცევა.

— ბალახად ხომ უეჭველად გიწევს გადაქცევა. ესეც საქმეა. შენ [illegible], თორემ მე რა, მე უკვე მოწყენილ მომეწყინა. ესე იგი ძალიან ახლოს ვარ ბალახად ქცევასთან. მარტო ერთ რამეზე მწყდება გული...

— რაზე?

— რას იტყვიან, ნეტა, ჩემი გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ მოგონებათა საღამოს რომ გამართავენ. ვინ რას მოიგონებს, რას დამაბრალებენ. მიცნობდა ვინმე? დაინტერესდა ვინმე ჩემით?

— შენ არ მოკვდე, თორემ მაგ მხრივ ყველაფერი კარგად იქნება. სიტყვებს ისეთს იტყვიან, შენვე აგატირებენ, ცოცხალი რომ იყო.

— მაგის იმედიც აღარა მაქვს.

— რატომ დავიწყეთ ეს ცუდი ლაპარაკი.

— გავჩუმდები, ბატონო, რაკი არ მოგწონს, გავჩუმდები.

შუაღამისას დაცილდნენ ერთმანეთს. გიგამ შესთავაზა, აქვე ვცხოვრობ, ჩემს ჰერქვეშ გაათიე ღამეო, მაგრამ სტუმარმა იუარა, ფალიაშვილის ქუჩაზე ნათესავი მყავს, მიუსვლელობა არ იქნებაო.

მოდიოდა ვარლამი სახლისკენ და ფიქრობდა:

„— სხვა კაცია, რაღ უნდა ამას ლაპარაკი. სხვა თიხისგან ყავს გამჩენს შექმნილი, ხანდახან ავი მუსიკები გაერევა სიტყვაში. რაღაც დიდი ნაღველი აქვს. ღმერთო, შენ მოუმართე ხელი".

...არასამედიცინო ტერმინი რომ ვიხმაროთ; ბრმა ნაწლავის გასკდომა იშვიათი შემთხვევაა. და ამ „იშვიათ შემთხვევაშიც" კი ადამიანები იშვიათად კვდებიან.

## მსმელი

მინდოდა ეს პატარა ნოველა ასე დამეწყო:

„სექტემბერი იწურებოდა".

და მართლაც, არც მეტი არც ნაკლები, ოცდარვა სექტემბერი იყო.

მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, რომ „სექტემბერი იწურებოდა" ვერაფერი ორიგინალური დასაწყისია.

თუ დაკვირვებიხართ, კლასიკოსები

თხზულებას ხშირად ამ სიტყვებით იწყებენ:

„გაზაფხული ჯერ კიდევ შორს იყო“.

როგორც ლიტერატურის ისტორიამ დაამტკიცა, ამგვარი დასაწყისი ამართლებს, ვიდრე უპრეტენზიო და უფერული — „სექტემბერი იწურებოდა“.

მოდი, ჩვენც ასე დავიწყოთ, მითუმეტეს, სექტემბრიდან გაზაფხულამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის დიდი ნაწილი გახურებულ რთველს მოეცვა, ქალაქ ბეოლიაურის ქუჩებში მწიფე ყურძნის სუნი არ ტრიალებდა. ბეოლიაურსა და მის მოსაზღვრე სოფლებში, ამ კუთხის გეოგრაფიული იღბლის გამო, ყურძენი, თუ დამწიფდა საერთოდ, ნოემბრის პირველ რიცხვებში შემოდის.

მაგრამ ბეოლიაურის მიმართ სიბრალულით ნუ განეწყობა პატივცემული მკითხველი. ეს ქალაქი მსოფლიოს ყველა ქვეყნის ენციკლოპედიაში მოიხსენიება როგორც დინოზავრების სამშობლო და მეზოზოური ერიდან ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნემდე მსოფლიოს ერთ-ერთი ცნობილი ნავსადგური — ფრიად მოხერხებული განსაკუთრებით ბერძნებისა და მათი მონათესავე ტომებისათვის.

ექვსი საათი რომ შესრულდა, ელგუჯა ერეხელმა კვირისტავი დაიზილა, ერთი-ორჯერ ჩაბუქნა-გაიმართა და რაკი შეატყო, რომ მუხლი სიარულს არ შეუშლიდა, გასაღები იატაკის ხალიჩაში შეჩურთა და კიბეზე დაეშვა.

კვირისტავი დილიდანვე სტკიოდა. მირტყმით არაფერზე მიმირტყამს და ცივ წყალში არ ჩავმხტარვარ, რა ჯანდაბა მეცაო, უკვირდა.

დღიური შრომით ნამეტანი დაღლილი იყო-მეთქი რომ დაგიწყოთ მტკიცება, არ ვიქნები მართალი. მთელი დღე „ბათა ქექიას“ კითხულობდა. ტელეფონიც არ გარაწკუნებულა, „სხვაგან მოხვედრილსაც“ არ შეუწუხებია.

ელგუჯა ხალხური დასარტყმელი ინსტრუმენტების შემსწავლელი ლაბორატორიის გამგედ მუშაობდა. ლაბორატორია მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა, რაკილა მთელს ამ ნახევრადმეცნიერულ დაწესებულებას ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კაცი — გამგე წარმოადგენდა. შარშან ლაბორატორიის შექმნისთანავე დაშვებული დანარჩენი შვიდი შტატი სხვადასხვა უწყებებმა დაიტაცეს და არც არავითარი იმედი ჩანდა, რომ ისინი მიტაცებულ შტატებს უკან დააბრუნებდნენ. გამგე კი ჯერჯერობით მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ კვარტალში ერთხელ განცხადება-საჩივარს წერდა და თვეში ორჯერ თავის მოკრძალებულ ხელფასს იღებდა. დასარტყმელი ინსტრუმენტები არც დიპლომისმიერი სპეციალობა გახლდათ ერეხელისა და არც, ღმერთო შეგცოდე, სიყრმითვე ჩანერგილი მოწოდება. ჰიდრომეტეოროლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა და ამ რვა წლის განმავლობაში სად აღარ მუშაობდა — კომუნალური მეურნეობის საქვაბე-კანტორის სტაჟიორად, საბავშვო სახლში აღმზრდელ-ორგანიზატორად, კულტურის სასახლეში სამნეო ნაწილის უფროსად, ხოლო ბოლო თანამდებობა, მოგეხსენებათ, ქალაქის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური თანამშრომელთა ნაკლებობას არ განიცდიდა და მაინცდამაინც არც ელგუჯა ამტვრევდა სამმართველოს კარებს, გინდათ თუ არა ჩემი პროფილით მამუშავეთო. ამასწინათ, როგორც იქნა, საბინაო აღრიცხვაზე აიყვანეს და უახლოეს ათ წელიწადში ახალ, ოროთახიან ბინასაც დაჰპირდნენ. ამ და სხვა მიზეზთა გამო აღმასკომთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდა.

ქრუნია ქათამი ხომ გინახავთ, სწორედ ისეთი ფერის, წითლად დაწინწკლული, ნაცრისფერი, შინნაქსოვი სვიტრი და ჯიჯილაყა ფხალისფერი შალის შარვალი ეცვა. ილინცურად ქუსლჩაცვეთილ, რეზინისძირა, აგურისფერ ფეხსაცმელებს უსიამოვნოდ მიაჩლახუნებდა. ბედისგან მოღაფლებული კაცის თვინიერი გამოხედვა ჰქონდა. ყურებსზემოთ კეფამდე თავი ისე პირწმინდად

მოტვლეპოდა, გეგონებოდათ, ამ ადგილას თმა არც არასოდეს ჰქონიაო. გაბუშტულ ცხვირს ლამის ზედ მიწეპებულ, ღრმადმიკარგულ, კორკიმელისმსგავს თვალებს სიარულის დროს თითქმის არ ახამხამებდა. სამაგიეროდ, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე თავ-კისერს ისე ატოკებდა, იფიქრებდით, აი, ახლა შეჩერდება და თუ სხვა ქმედითს არაფერს ჩაიდენს, საათიანი სიტყვით მაინც მიმართავს კინო „კომუნის“ წინ შეკრებილ უსაქმო და ნახევრადუსაქმო მოქალაქეებსო.

სახინკლესთან ნაბიჯს აუჩქარა. ლუდი არ უყვარდა და ე, მანდ ნაცნობმა არავინ შემამჩნიოსო.

— შენც მოდი, შენც, არ გესმის!? შენ გეუბნები, ხომ იცი, ვერ გამასწრებ! — ისე ხმამაღლა და კატეგორიულად დაიძახა ზურგსუკან ვიღაცამ, რომ ერეხელი შეჩერდა და მოიხედა.

მისგან ათიოდე ნაბიჯზე მილიციის სპეცსამსახურის, ცისფრადგადალებილი მანქანა (ქალაქის ბიჭები რომ მოფერებით „ყორანს“ ეძახიან) იდგა. მანქანის უკანა ღია კარებთან დოინჯშემოყრილი, საკინძეშეხსნილი უქუდო, ახმახი მილიციელი ალმართულიყო და ელგუჯას უხმობდა.

— მეე? — გულზე ხელი მიიდო ელგუჯამ, მიიხედ-მოიხედა და რაკი ახლომახლო სხვა ვერავინ დალანდა, გაკვირვებული სახით წამოვიდა მანქანისკენ.

— ჩქარა ცოტა, არ გვცალია ამდენი, რო მოიწმაწნები ჯლადოიანი კატასავით!

— რაშია საქმე?

ახსნა-განმარტებისთვის წესრიგის დამცველს, აშკარად ჩანდა, არ ეცალა. ქიმუნჯი წაჰკრა ელგუჯას, მანქანაში შეაგდო, კარი გარედან გადაკეტა, თვითონ შოფრის გვერდით მოკალათდა და ამოიხვნეშა.

— წავედით, თავი მისკდება, რა დაგვალევინა წუხელის ჭიჭია უბედურმა. კაცად რომვარგოდეს გელანტია, ჩემი მუშაობა შეიძლება დღეს?

მძღოლს არაფერი უთქვამს. ნელა, რწევა-რწევით დაძრა მანქანა.

კაბინისაგან რკინის ბადით გამოყოფილ სალონში ელგუჯას გარდა ორნი ისხდნენ. ორივენი მთვრალები ჩანდნენ, მაგრამ არც ისე მთვრალები ელგუჯასთვის ზრდილობიანად ხელი არ გაეწოდებინათ, ჯანმრთელობა და გუნება-განწყობილება არ ეკითხათ და მერე თავიანთ ბუნდოვან (ელგუჯას ასე მოეჩვენა) საუბარს არ ჩაღრმავებოდნენ.

— სად მივყავართ? — ცოტა არ იყოს მიამიტი კითხვა დასვა ერეხელმა.

— გამოსაფხიზლებელში, — ერთდროულად უპასუხეს თანამგზავრებმა და ლაბორატორიის გამგეს ერთხელ კიდევ ახედ-დახედეს, მართლა არ იცის, სად მივყავართ, თუ თავს ისულელებსო.

— რატომ? — უფრო შორს გაიწია ელგუჯას ბავშვურმა ცნობისმოყვარეობამ.

შეზარხოშებულებმა თავს ნება მისცეს ერეხელის ამ შეკითხვაზე არ ეპასუხნათ.

მანქანა რომ გაჩერდა, ახმახმა წესრიგის გუშაგმა კარი გააღო და ერთგული მასპინძელივით დაიძახა:

— გადმობრძანდით!

არც თუ დიდი სურვილით „გადმობრძანებული“ სტუმრები წინ თხებივით გაირეკა და მაღალჭერიან ფართო ოთახში შეიყვანა.

გამოსაფხიზლებლის სამორიგეო ოთახი სადად იყო მოწყობილი. მაუდგადაფარებულ მაგიდას ორი ოპერთანამშრომელი უჯდა. მათ წინ, მაგიდაზე, საკანცელარიო დავთრის მსგავსი ჟურნალი და ქაღალდების ჯგრდე ჩანდა. კედლების გასწვრივ, ფიზკულტურის დარბაზში რომ დაბალი, გრძელი სკამებია, თუ შეგიმჩნევიათ, სწორედ ისეთ სკამზე ათიოდე კაცს მუხლებზე ერთნაირად ეწყოთ ხელები და თითქმის ერთნაირი, ირონიული ღიმილით მაგიდასთან მსხდომთ შესცქეროდნენ.

— წავედი ახლა მე და დევიძინე,

— მარჯვენა მხარეს მჯდომ ყურჰიტა სერჟანტს ჩაულაპარაკა ახმახმა, როცა ელგუჯა და მისი თანამგზავრები გრძელ, ფიზკულტურულ სკამს დაუმატა.

— მე რას მეკითხები, — სერჟანტმა გვერდით მჯდომისაკენ ნიკაპით ანიშნა.

წარბებიანად ქერა უმცროსმა ლეიტენანტმა დავთრებს თვალი გამოარიდა; კარგა ხანს მდუმარედ უყურა ახმახს და ბოლოს თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— წადი.

მკითხველს თავს არ შევაწყენ სარეგისტრაციო დიალოგის დაწვრილებითი აღწერით. სხვათა დაკითხვებიდან ელგუჯამ შეატყო, რომ უმცროსი ლეიტენანტი და მისი თანაშემწე განსაკუთრებული სიმკაცრით იმ მოქალაქეებს ექცეოდნენ, ვინც ენერგიულად ამტკიცებდა; მთვრალი სრულიადაც არა ვარ და აქ გაუგებრობის ნიადაგზე მოვხვდიო. მასპინძელთა დუმილის პასუხად გულმიცემულნი მუქარაზეც რომ გადადიოდნენ, „ამ პრავაკაციის გულისთვის პასუხს გაგებინებთო“. გამოსაფხიზლებლის მესვეურნი მშვიდად უსმენდნენ ასეთებს, მერე სერჟანტი გვერდითი ოთახიდან მუყაოს ყუთს გამოიტანდა, „შემთხვევით მოხვედრილს“ წინ დაუდგამდა და უბრძანებდა, გაიხადეო. ორიოდე წუთში დედიშობილა მოქალაქე ცივი შხაპის ქვეშ იდგა და სიცივისაგან კბილებს აკრაჭუნებდა. ელგუჯამ მაშინვე აუღო ალღო, ჟურნალისტების ენით რომ ვთქვათ, „შექმნილ სიტუაციას“ და როცა მაგიდასთან უხმეს, თვალდაუხამხამებლად ჩამომარცვლა: ესა და ეს კაცი ვარ, დასარტყმელი ინსტრუმენტების ლაბორატორიის გამგედ ვმუშაობ, რა ვქნა, მომივიდა შეცდომა, დავლიე. თუ მაპატიებთ და შინ გამიშვებთ, ძალიან დაგიმადლებთ, თუ არა და თქვენი საქმე თქვენ იცითო. ჟურნალში გაატარეს, ზედმეტი სიტყვაც არ უთქვამთ, სერჟანტმა გრძელ დერეფანში გაიყვანა. ახლავე გაგიშვებდით, მაგრამ რომ შეგვამოწმონ, პასუხს გვაგებინებენო. დილამდე აქ იქნები, დილით გაგათავისუფლებთო. ჯარიმად სამი თუმანი გადაახდევინა, ვიწრო კიბით მაღლა ავიდნენ. სერჟანტმა მეექვსე პალატის კარი გაუღო და ზრდილობიანად სთხოვა: შებრძანდით და თავისუფალ კოიკაზე დაიძინეთო.

საკანში ოყრალუა ბალახის მძაფრი სუნი იდგა.

რა ცოტა სჭირდება კაცს ბედნიერებისათვის. ელგუჯა კმაყოფილი იყო, რომ სახალხოდ ტანზე გახდას და ცივ შხაპს გადაურჩა. ზრდილობიან სერჟანტს მადლობა გადაუხადა და მარტო დარჩენილს ხვრინვა რომ არ გაეგონა, ალბათ წაიღიღინებდა კიდეც.

საკანი რატომღაც უფანჯრო გახლდათ. კარს ზემოთ დატოვებული, მტკავლისსიმაღლე, შეუმინავი სარკმლიდან გადმოღვრილი სინათლის ჩქერი ორსართულიანი ნარის თავზე მხვრინავ კაცს ეცემოდა. ლოთს სახე ღვთაებრივი სხივით განათებოდა და ისე მშვიდად ეძინა, რომ ელგუჯას ჩახველებისაც კი მოერიდა. ფეხზე გაიხადა და უშალითო საწოლზე წამოწვა. საკანში ორი ნარი იდგა და ერეხელმა დაასკვნა, რომ იგი, უკეთეს შემთხვევაში, ოთხადგილიანი იყო.

დაახლოებით საათნახევარში ყურჰიტა სერჟანტმა კარი ბრახუნით გააღო და გამოაცხადა — ლექციაზე ჩამობრძანდითო.

ელგუჯა ნარზე ჩამოჯდა და საათზე დაიხედა.

ცხრას აღარაფერი აკლდა.

გვერდითა ნარს ორი ფეხი გადმოეკიდა და ჩახრინწულმა ხმამ კარებში მდგომს ჰკითხა:

— კინო არ იქნება?

— კინო გუშინ იყო, დღეს ლექციაა.

— გიგი, შენს გაზრდას, ნუ ჩამიყვან, შეუძლოთ ვგრძნობ თავს, გამოვიძინებ, ვაჟკაცურად გთხოვ.

— აბრძანდი, აბრძანდი, ვერ დაგტოვებ, სიას კითხულობენ. საინტერესო ლექციაა.

— რაზე? — ელგუჯამ იგრძნო, რომ

კითხვა ჩაუვარდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, რაზე იყო ლექცია.

— გიგანტურ ხვლიკებზე — არ დააყოვნა პასუხი ყურჭიტამ.

— გიგი, შე ღმერთგამწყრალო, რაც ლექციაა მსოფლიოში, ყველა მოსმენილი მაქვს. ხვლიკები მინდა ახლა მეე? — ლოთი ნარიდან ჩამოხოხდა და ერეხელს ხელი გაუწოდა.

ალკოჰოლისტს რბილი, სლიპა ხელი და ელეგანტური თითები ჰქონდა.

შავი, დაჭმუჭნილი კოსტუმი ეცვა და სუფთად გაპარსულ ყბებს ქვემოთ, ყელზე ბუკლეს ჭრელი რიდე შემოეხვია. ელგუჯას მოეჩვენა, რომ ლოთს პიჯაკი უპერანგოდ, ნაცრისფერ კვართზე ეცვა.

ლექცია, რა თქმა უნდა, ალკოჰოლის მავნებლობაზე იყო. ახალგაზრდა თმახუჭუჭა ლექტორი მომხიბვლელად ლაპარაკობდა. ლექციაში ანდაზებსა და ანეკდოტებსაც კი ურთავდა.

ლოთები მწუხარე სახეებით, დინჯად და ყურადღებით უსმენდნენ.

შეკითხვების დრო რომ დადგა, აუდიტორია კარგა ხანს სდუმდა, ბოლოს ელგუჯას თანამესაკნემ აღმართა ხელი.

— თქვენ თუ სვამთ? — ჰკითხა მან ლექტორს.

— არა, — არ დააყოვნა პასუხი ლექტორმა.

ლოთებს მეტი შეკითხვა არ დაუსვამთ.

როცა მეექვსე პალატისაკენ მიაბიჯებდნენ, ელგუჯამ სერჟანტს სთხოვა, თუ შეიძლება, ტელეფონთან მიმიშვით ცოლ-შვილს გავაფრთხილებ, შეეშინდებათო.

— სამწუხაროდ, ტელეფონი არა გვაქვს. ისე კი უნდა იყოს. დაწერეთ თქვენ, ამოიღეთ ხმა და დაგვიდგამენ. როგორ შეიძლება ამხელა გამოსაფხიზლებელი უტელეფონოდ. — ყურჭიტა აღშფოთებული ჩანდა.

საკანში დილამდე ორნი ისხდნენ.

ლოთი, რომელმაც ბიძინად წარმოუდგინა თავი ელგუჯას, ენაწყლიანი კაცი აღმოჩნდა. ოღონდ ეგ იყო, ცოტა გულმავიწყობა დასჩემებოდა და სამჯერ უამბო ერეხელს სუეცის არხთან დაკავშირებული ისტორია, რომელიც მას, როგორც არხის მშენებლობის ერთ-ერთ მონაწილეს, გადახდენოდა ამ ოცდაათიოდე წლის წინათ. ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ მოსაბეზრებელი ის იყო, რომ ბიძინა ხშირად შეჩერდებოდა, გამჭოლ მზერას ესროდა ერეხელს და ჩუმად ჰკითხავდა: „ცოლი როგორი გყავს, ხომ პატიოსნად იქცევა?“ „მე მგონი კიო“, უპასუხებდა ელგუჯა და უკვირდა, რომ აქამდე არასოდეს დაფიქრებულა თავისი ცოლის პატიოსნებაზე.

უსიამო სიზმარმა გამოაღვიძა.

თავს ზემოთ ბიძინას სანდლებიანი ფეხები ეკიდა. პროფესიონალი ლოთი გაბმითახველებდა, მაგრამ ხველებასა და ხველებას შორის გინებას არ ურთავდა.

გათენებულიყო.

სარკმლიდან სუსტი ცისფერი ციაგი კრთოდა.

ელგუჯამ ერთხელ კიდევ მოისმინა სუეცის არხის გმირის გრძელი, სევდიანი თავგადასავალი და ათის თხუთმეტ წუთზე გასაღების სანატრელი რაჩხუნიც მოისმა.

— დილა მშვიდობისა, ხომ არ მოიწყინეთ, თქვენ რა გიჭირთ, ჩვენ მთელი ღამე არ გვეძინა. — იაღონივით გააბა გიგიმ.

— რამ შეგიშალათ ხელი? — ბიძინა ჩამოხტა და ქვედა ნარზე მოკალათდა.

— არ იცი ვითომ. რაცხა ორთვიური გამოიგონეს.

— როდის თავდება? დაჯექი, — ლოთმა ნარს ხელი გაუტყაპუნა.

— ჯერ სადაა, ათ სექტემბერს დაიწყო.

— აბა, გადავყოლილვართ ამ ორთვიურს ჩვენც და თქვენც. გიგი ბიძია, ერთ ცალ შეავე კიტრს რომ გამიჩენდე, თავშენახული ბიჭი ხარ, შენთვის მოვკვდები.

— ეგებ კვაწიაში მოხარშული ლო-

ბიო გესიამოვნოთ, ბიძინა ბატონო, — გაეცინა გიგის, — ვინ გაგიჩერებს მჟავე კიტრს, ყოველ ჩემს მორიგეობაზე, — ელგუჯას მიუბრუნდა, — თითო ბანკა მომაქვს, სად დამალავ, თვითონ ჩვენი თანამშრომლები შემოგაფცქვნიან ხელში. ხომ არაფერი გრჩებათ?

ელგუჯას სითბოდ ელვრებოდა სულში ყურადღებიანი გიგის ყოველი სიტყვა და ცდილობდა გაეხსენებინა, კიდევ სად ენახა ასე თავაზიანი მილიციის სერჟანტი.

ქუჩაში გამოსვლისას პირდაპირ ტელეფონის ჯიხურს ეცა, ჯიბეები გულმოდგინედ მოიქექა და როგორც იქნა, ორკაპიკიანიც იპოვა, მაგრამ ტელეფონ-ავტომატი არ მუშაობდა.

აღარც ახსოვს, როგორ აირბინა ორმოცდაცხრა საფეხურიანი კიბე (საფეხურების დათვლა ელგუჯას ჩვეულებად ჰქონდა). თავისი კაბინეტის კარი ღია დახვდა, ცარიელ კარადასთან დამლაგებელი ქალი ფუსფუსებდა.

— გულიკო შენ ხარ? არ შეგეშინდეს, წუხელ შევყოვნდი პატარა, გოდოგანში მომიწია წასვლამ. რამ გადაგრიათ, ვინ მომკლავდა. ტელეფონი არ იყო არსად. მოვდიოდი, მარა გვიანააო და არ გამომიშვეს. ბოვშვები გაუშვი სკოლაში? ჩემს ლოგინთან რომ ტილოს შარვალი ჰკიდია, იმის ჯიბეში, ამოიღე რაცაა, მანეთიანი ჩატოვე, მე სამსახურში ვარ!

ტელეფონი დადო და შვებით ამოისუნთქა.

ყველაფერი რიგზე იყო.

— ქალბატონო პაშა, რას ეძახით თქვენ ბედნიერებას?

დამლაგებელს ჰკითხა, მაგრამ ტექნიკურმა თანამშრომელმა არ უპასუხა, მოვრჩიო, ჩაილაპარაკა. თავმიშვებული ცოცხი ბენზინიანი ნახერხით სავსე ვედროს დაადო და გავიდა.

მთელი დღე ხალისიან გუნებაზე იდგა. მოზღვავებულ ენერგიას გრძნობდა. ლაბორატორიის კვარტალური გეგმა შეადგინა და „ბათა ქექიას“ ბოლო გვერდებიღა ჰქონდა დარჩენილი, სამუშაო დღე რომ ამოიწურა.

თეთრ ხიდს ქვემოთ ცისფრად დაწურული რიონი მიკარგულიყო. „ალბათ ჰესმა გადაკეტა“, გაიფიქრა ელგუჯამ, ასე ანკარა და ასე დალეული რიონი ლაბორატორიის გამგეს არც ენახა.

მარჯვნივ, ლურჯი მორევის თავზე ნუშისფრად შეღებილი კაბინა ეკიდა. ეტყობოდა უქიმერიონის საბაგირო არ მუშაობდა.

სახინკლეს რომ მიუახლოვდა, გაახსენდა, რომ მთელი დღე პირში არაფერი ჩასვლია. საოცრად მოუნდა ხინკალი და ლუდი. კუთხეში მიდგა და ლუდს რომ წრუპავდა, თან დარბაზს ათვალიერებდა. სალუდეში ქვეყნის ხალხი ირეოდა, მაგრამ ნაცნობი ვერავინ დალანდა და ესიამოვნა. ლუდი საერთოდ არ უყვარდა-მეთქი, ზემოთ მოგახსენეთ, მაგრამ ახლა ისე გაუტკბა, რომ კინაღამ მეორე კათხაც მოითხოვა.

გარეთ გამოსვლისას აფთიაქის აბრაზე მიხატულ, ჭიქასშემოხვეულ გველს შეავლო თვალი, საყელო აიწია და ათიოდე ნაბიჯიც არ ექნებოდა მარცხნივ, ნინოშვილის ქუჩისკენ გადადგმული, რომ მოესმა:

— შენ გეუბნები!

მოიხედა.

სპეცდანიშნულების ცისფერ მანქანასთან უხმობდნენ. ღია კარებთან ორნი იდგნენ. ელგუჯას მათთვის სახეზეც კი არ შეუხედავს. იცოდა, ამჯერად წესრიგის დამცველებთან ურთიერთობის გარკვევას აზრი აღარ ჰქონდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით წერედიანი

# ციკლიდან: გამოთხოვება

## ლაზარე

I

ცხრა განწირული ძახილი
საბლად ჩავკიდე შავეთს,
ცხრა მზე ბრუნავდა, ცხრაბნელი,
უკუნს მაფენდა ცხრავე.
რას ითვლი, მუხის მერქანო,
რამდენისა ვართ ხანად,
ხვალ თექვსმეტისა ვიქნები,
თუ გაზაფხულმა ბრძანა,
და ვიდრე ჟამი დაკრავდეს,
კვლავ ჩამიხვევდეს ჩქერი,
გლეხის ბიჭი ვარ, ლაზარე,
ხნულში ვდგავარ და ვმღერი...

— სამი ასული მცილობდა,
როკვად მიწვევდა ყარიბს,
ერთი მათგანი მზის იყო,
ერთი მათგანი მთვარის,
ერთი სულ უცხო ერია,
ჩემთვის უვლია ცხრამთა,
შავ ცხენზე იჯდა, სალარზე,
შავი ეჯიბი ჰყავდა.

ცის ნათელს მღერის ლაზარე,
მთებზე დაფენილ ციაგს,
აპრილის ფერად კალთაზე
მღერის ქსანსა და ლიახვს,
თუ გაზაფხულმა ინება,
წილი თავიდან ვყარო,
შენი ვარ, მწვანე მერეხო,
ყვავილდასხმულო ღვარო,
ქართლის ნაზამთრალ გულისპირს
ნელი წვიმებით ნამავს,
ვაჰმე, რა მშვიდად თამაშობს
სიკვდილ-სიცოცხლის თამაშს...

II

მოზარე ქალთა კრებული
რისთვის დამსხდარა მცხეთას?
რისთვის მოარწევს მდინარე
წითლად შემოსილ ცხედარს?
რისთვის მოდიან მხედრები
ანანურით თუ არშით?
— შენი ღიმილი მიყვარდა,
წყვილი პეპელა ქარში.
— შენი გულმკერდი მიყვარდა,
მწიფე თავთუხის ხვავი.
— შენი ფერდები მიყვარდა,
მჟავე სურნელი ჭვავის.

მუხლებზე ხელებდაყრილი
ვზივარ ეკვდერის კარად.
აღმდგარა ყველა ლაზარე,
ჩემი ლაზარე — არა.

როგორ მოარხევს ბინდისფერს
ქარში ალვების წყება,
მზის გულზე მოვის პერანგი
როგორ თოვლივით დნება.
სხივთალხით განათებულა,
სალაზარობო ნათლით,
ქართლი, გვირგვინი ეკლისა,
მწირის არგანი, ქართლი.
ამოდის მწუხრის ვარსკვლავი.
ვზივარ გზისპირას მარტო.
— არ ჩაქრე, მწარე სახმილო,
მაცოცხლებელო დარდო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამი ასული

სამი ასული მცილობდა,
უცხო რამლისა, თვალად.
გავხედე, ველარ ვიცანი
ჩემი ღელე და ჭალა.
სიყრმის ბილიკთან მოვსულვარ.
ისევ მეცვალა მხარი.
ვინ იცის, ვერხვის ფოთოლო,
საით წაგიღებს ქარი?
სამნი იყვნენ და სამფერნი,
ცვარი უმკობდათ სამოსს.
ნუთუ ჩემს გამო ცილობდნენ?
ნუთუ მაისის გამო?

პირველმა:
— შენთვის გაიხსნა
ჯადო-ბეჭდების ჯერი,
თორმეტი ცა აქვს საფირონს,
ცრემლის თორმეტი ფერი.
სიზმარში მთვარე დამხვდება,
ნათელს ძილქუშში გარევს,
გამოვალ, ყველგან მთვარეა,
ვერსად გავექეც მთვარეს.
მითხარი შენი სადგომი...
მოვალ... თუ მეყო ძალა...
უხმოდ გავიხსნი საკინძეს,
უხმოდ დაგაფენ დალალს,
წამწამებს შორის გამკრთალი
უხმოდ გავქრები დილით,
დავრჩები სევდის მარმაშზე
ლაჟვარდოვანი ჩრდილი.
შენ ოღონდ ნურსად გამამხელ,
საქმეს ნუ იზამ უგვანს...
მიხმე და შენთან გავჩნდები,
ჩემი სურვილი თუ გაქვს.

მეორემ:
— ჯიქურ მოგივალ,
არა მალვით და შიშით,
ჩემს ხელისგულზე წერიხარ,
ტყუპისცალებად ვიშვით.
ისე მივერქმით ერთმანეთს,
როგორც ლებანი ლებანს,
არ კი გეგონოს, დაგინდო,
ულმობელია ვნება.
სისხლის გემო აქვს სიყვარულს,
მოვა, სულთახდას მიგვცემს,
რომ სხეულიდან გამსხლტარნი
წმინდა ტკივილად ვიქცეთ.
ყიამეთს ჩავექანებით,
სადაც გმინვით და ყეფით
უფსკრულის ფერდებს ლოკავენ
პირველყოფილი წყლები,
შავ ელვას შემოგანათებ,
შავი წყვდიადის გუგას...
მიხმე და შენთან გავჩნდები,
ჩემი სურვილი თუ გაქვს.

მესამემ:
— ბელგა მწადია,
შენთან საყდარში შესვლა.
ჩემი, არც ვიცი, რა გითხრა,
რასაც მიყურებ, ეს ვარ.
ისე უბრალოდ მოგწყურდე,
როგორც გწყურდება წყალი.
შინ დავჯდე, ოჯახს დავატყო
ქალის ხელი და თვალი.
შენ ხნავდე, მკიდე, თიბავდე,
მე გიზიდავდე სამხარს.
ბრწყინავდეს მხარზე ნაჭდევი,
შენი სამეფო დამღა.
ფუძე არ მოგაშლევინო
დედისერთას და ობოლს,
ვშობო შავტუხა ყმაწვილი,
თეთრი ასული ვშობო.
ციხის დაბზარულ ლიბოში
ისევ ჩავასხამ დუღაბს...
მიხმე და შენთან გავჩნდები,
ჩემი სურვილი თუ გაქვს.

თითქოს უეცრად ამხდარი
ტკბილი სიზმარი ყრმობის,
სამი ასული მცილობდა,
ერთიმეორის მჯობი.
მე კი სამივე მომწონდა,
მაგრამ სწეროდეთ ჯვარი!
ვინ იცის, ვერხვის ფოთოლო,
საით წაგიღებს ქარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზღვაში ჩადიან ღრუბლები...

ფიჭვის მსუბუქი ხომალდი,
ქართა ნებაზე მსრბოლი,
იალქნად მოვი წითელი,
ზედ ალმასი და ბროლი.
„გულისგულს ყრმობის განძია,
შვიდი ქვაციხე ფარავს,
გაგიხსნა კარი შვიდივე,
არ შემიყვარებ“?

„არა“.

ნისლზე დაფენილ ათინათს
ოდნავ შეეხოს ხელი,
უფსკრული გადაიხსნება,
სატრფოს ღიმილზე ბნელი,
ზღვა ყოფილის და ყოფადის,
წარუვალის და ცვლადის,
ზღვა, სადაც ყველა ვარსკვლავი
უკანასკნელად ჩადის,
ყველა მანძილი იშლება,
ყველა სიღრმე და განი.
მბზინავი, გრილი, ნელმწვანე,
ტრთის გველეშაპის ტანი.

„გადავხსნა სიმთა ციაგი,
უფსკრულს დაწვდილი შარა,
აღარასოდეს დავბრუნდე,
არ შემიყვარებ“?

„არა“.

ზღვაში ჩადიან ღრუბლები,
გზები, ტევრები, ზვრები,
ქვის და ბრინჯაოს ღმერთები,
გვირგვინები და ჯვრები,
თვალთა და გულთა ცთომანი,
ჯარობანი და რჯანი...
მბზინავი, გრილი, ნელმწვანე,
თრთის გველეშაპის ტანი.

იალქნად მოვი წითელი,
ზედ ალმასი და ბროლი,
მეგზურად შვიდი მნათობი,
ჰავლზე შვიდფერი ზოლი.
ვარდებით სავსე, ცით სავსე,
მწუხრის სამანზე მიკრთის.
ერთი კარი აქვს ორივეს —
სიყვარულსა და სიკვდილს.

## ძველი წარწერები

მეფემან ბაგრატ... მპყრობელმან
ყოვლთა ქართველთა... ვესევ...
და აღვაშენე... წევნითა
ღმრთისა... ტაძარი ესე...
...ითა ჩემითა აღაგო
მან მაღალმან და ბრძენმან
ოსტატმან ა...ე... (ს ა ხ ე ლ ი
ა რ  ი კ ი თ ხ ე ბ ა)... მრწემ ვარ...
და დავესვენე წმიდასა
ამას... უფლისა... ცხრამე...
ცოდვანი ჩემნი... ითა და...
ისაითა და... ამენ.

ირგვლივ ბრწყინავენ წმინდანნი,
ქვეშ კი, მარტვილის გვარად,
ხელაპყრობილი ხატია
ჩაბალხთ-ბატონი ვარამ.
იყო, უკვირდა, ილოცდა,
ჯერზე ერკემალს ნთქავდა

(ეს ცნობაც შემოუნახავს
საგვარეულო დავთარს),
შორ გზაზე მიწყივ მიჰქონდა
პარკით მამულის მიწა,
სამთავეს ყადრი იცოდა,
ცხენის, ქალის და ხმლისა...

საფლავის ლოდი გადარჩა,
თვითონ საფლავი არა.
აქ: განი: სვენებს:

—წერია —

დიდი: მთავარი: ვარამ:
კაცნო: უბრძანეთ: შენდობა:
მხნესა: მამაცსა: ქველსა:
გარდა: იცვალა: მაყრიონნს:
გრემის: დაქცევის: წელსა:

ამინ. ვახსენოთ. შევუნდოთ.
წარსულია და გველმის.

ისე მამაცნი ყოფილან,
უზაკველნი და ქველნი,
ისე ზარავდათ მომხდურებს
მათი ძალი და სიმხნე,
რომ ზოგჯერ ეჭვიც გაკრთება:
იყვნენ?
არ იყვნენ?
იყვნენ?

დღეს აქ ერთია სავსებით
უეჭველი და ცხადი:
ფრთხილად დახაზა ეტრატზე
ნათლის, სიმართლის ხატი,
უჭვრიტა, განბჭო, განზომა,
რა განასრულა ხაზვა,
და ოქრომჭედლის სიზუსტით
ხედის თვალედში ჩასვა
მან ბრძენმან, როგორც უწოდებს
მეფე ქართველთა ბაგრატ,
ოსტატმან, ვისი სახელიც
არ იკითხება...
გაქრა...

## შავშამშე, მეფის მასხარა

შავშამშე, მეფის მასხარა,
ხელგამხმარი და მარლი,
ვამბობ: რაც ქვეყნად ცრემლია,
ერთ მშვიდ ღიმილად არ ღირს.
რჯული იცვალა ხელმწიფემ,
რაწამს უბრძანა შაჰმა,
წვერ-ულვაშს ინით ვიღებავთ,
ვითომ კვალს ვუბნევთ მაჰმადს.
სკივრში ჩაკეტა გვირგვინი,
ჩალმით შეიმკო თავი,
იქნებ კიდევაც ნაღვლობდეს,
არ კი ეტყობა, რა ვი...
დღეს უგუნებოდ ბრძანდება,
წარბებშეყრილი დადის,
წვიმს, ნაწვიმარზე ძაღლები
ხვალ ვერ დაჰკვლევენ ნადირს.
აწვიმს ფარებს და ეტრატებს,
ტახტს და სამეფო ვენზელს,
სხვენზეა მთელი ჭურჭელი,
წვიმა ნადიმობს სხვენზე.
წავილექსებ და სირცხვილით
შემეფაკლება ლაწვი,
აწვიმს შაირს და ქარაგმას,
ყველა ხუმრობას აწვიმს...

კვლა მიხმო ჩვენმა პატრონმა
სალაღობოდ და საზმოდ.
ვთქვით საწუთროო, ძოწ-ლალნო,
შავო ინდოთა რაზმო.
კვლა წავუხდინე ხელობა
რქმის და მაჯამად მირქმის.
მითხრა: ის დროა, ხუმარო,
ჩაჩში გიცვლიდე გვირგვინს.
თუ ღმერთმა ჭკუა არ მომცა,
საქმეც არ მომცა დიდი,
ძველ-ძველ ხუმრობებს ვყიდულობ,
ცოტას ვფერავ და ვყიდი.
მეფევ, სხვა იყო გვირგვინი,
სხვა თავს რო ედგა წინათ,
დღეს ეგეც მასხრის ჩაჩია,
მერე რაა, რო — ბრწყინავს...

შავშამშე, მეფის მასხარა,
ბევრის მომსწრე და მთმენი,
იქნებ ყველაზე სულელი,
იქნებ ყველაზე ბრძენი,
ვამბობ: იმედი კვამლია,
ცრემლი — ყომრალი სითხე.
თურმე რამდენი ფარული
სიბრძნე გჭირდება, იდგე.
თორმეტი წელი ისპაჰანს,
სეფე-დილეგში დავყავ,
ახლა შინ ვზივარ, აქ ვუსმენ
მგლების ყმუილს და ყავყავს.
ცრის...
რა ულრანი ღამეა...
ღმერთო, გზას ავცდი მგონი...
ძახილის ძალა მომეცი,
ძალა წყვდიადში დგომის...
თვალბრუნდს, ულამპროს, უარგნოს,
ამ ბნელეთით და მკვდრეთით
გზას რა გამიკვლევს ჭიშკრამდე,
მწარე ძახილის მეტი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამთვარიო

ტანკენარს, ფიფქისოდენას,
მძივი აუსხამს როკაპს
და ჩემი რამლის გვირისტზე
მთვარის შელოცვას როკავს.
გარდასულ დღეთა ჩრდილები,
ხმები მომავალ დღეთა
ჯვარედინ ბროლკუთხედებში
ჯადო-რიცხვებად სხედან.
ეტლებს ამრავლებს მისანი,
იყვანს აწმყოს და მყოფადს,
ლომჯერ მუშთარი — ღალატი,
ლომჯერ მარიხი — ტრფობა.
სიგიჟის შუქი ავლია
შიშველ რიდეს და მარჯანს,
გადახსნილია წარსული,
ვინც მე მიყვარდა, არ ჩანს.

ნუთუ ამ ტურფა ყვავილებს
ცოდვა ჩადგმია ფესვად?
ყაყაჩოს წვენით დავთვერი,
უნდა ნაკლები მესვა.
ანთია ბოლო დარბაზი,
ბრწყინავს ლალი და ბროლი,
კამკამებს სამას სამოცდა
ხუთი უმანკო ცოლი.
მოდის ჯალათის ასული.
მოდის ევნუქის ხარჭა.
გადახსნილია მერმისი,
ვინც მე მიყვარდა, არ ჩანს.

ქალი მომკროდა, შავმარჩხი,
როგორც შავლელის ლამი,
მე კი ლამაზი მეჩვენა
ბნელსაკმევლობის ღამით.

ვუთხარ: შემკრთალი ღიმილის
ერთწამს მომიწევს ნახვა.
ვუთხარ: სიზმრიდან მოსული
ისევ სიზმარში წახვალ.
ლირწი, ყომრალი ბაგიდან
შევსვი ტკბილ-მწარე შხამი,
რადგან ლამაზი მეჩვენა
ბნელსაკმევლობის ღამით.
შავი სარკე და სანთელი
არხევს ხატაურ ფარჩას,
ჩანს ბროლში ყველა ფატმანი,
ვინც მე მიყვარდა, არ ჩანს.

კაეშნის კოშკო მაღალო,
ზღუდე გავლია სათის,
ყურანის ღია სურიდან
გულზე უდაბნო გადის.
კვალი დავკარგე, შევდექი
უცხო ქალაქის ბჭესთან,
სად მოყმე, ლექსის მიჯნური,
ბნელში დაეძებს ნესტანს.
ზღვათა კიდემდე, — მასწავლა,
ჩაჰყევ ლერწმებს და ებნებს,
ვის უპოვნია ზმანება,
გზაა, ვალია, ძებნე.
კაეშნის კოშკო მაღალო,
რამლზე ვარსკვლავი ყრია,
გიხდება რამლის ვარსკვლავი,
კარი გიხდება ღია,
სად მარტოდ, ღამის კიდეზე,
გზადმიმავალი მწირი
ვუსმენ ცისიერ გალობას —
ზღვის ქალწულების ტირილს.

## არ გახუნდება, დედისავ...

**ნანა**

წუხელ ცისპირი მესიზმრა,
ვარსკვლავები და ნარი,
ვიწექ და გულზე მეფინა
შენი შროშნების ქარი.
იძინე, მთვარე ვერცხლია,
მზე იცინის და ბრწყინავს,

ცისფრად შრიალებს რიყრაყი,
მწვანედ შრიალებს წვიმა.

ვიდრე ცით მომიხვიდოდი,
ნანინანატრი დილით,
ჩვენს სასთუმალზე მტრედისფრად

მტრედი დაფრინდა წყვილი.
ცისკრისამ: გაჩნდეს ყმაწვილი,
ჩემგან ნათელი იღოს.
მწუხრისამ: წიგნი უყვარდეს,
ვარდით სნეული იყოს.

ძეწნის შრიალი გვირისტად
ჩასდევს მდინარის პირებს.
ნანას ხმა ჭავლისფერია,
ალაგ ნარგიზსაც ირევს.
არ გახუნდება, დედისავ,
ჩემი სიტყვების ფერი,
რადგან შიგ ცრემლი მარხია,
ცრემლი, რომელიც მღერის.

იძინე, ჩემო ცისკარო,
ტყეში ძუმგელი დადის,
თან ორი ლეკვი დაჰყვება,
ორი დიდგულა ხვადი.
რასაც მე ახლა გასწავლი,
ისიც ასწავლის იმათ:
ცისფრად შრიალებს რიყრაყი,
მწვანედ შრიალებს წვიმა.

## ძველი სიმღერა

კარგად იბრძოდნენ
ჩვენი ვაჟები,
ყველაზე უფრო
გურმაჩ და ჭოხან.
ხალხური

რა ჩემი საქებარია,
რასაც აქებენ სხვანი...
შემოვლე მთელი ქვეყანა,
მთელი სიგრძე და განი...
კლდის ბზარში ჩაკიდებულო,
თვალთა ნათელო, ხალდე,
თავსასთუმალთან, ძილისპირს,
იარაღივით დამდე...

რისთვის იბრძოდნენ ვაჟები,
არ გადიოდნენ ბერას,
რისთვის კიდებდნენ ციხეზე
სისხლით შეღებილ პერანგს?
რად ბრიალებდა ქონგურზე
ალმოდებული ჩოხა?
რად მოკვდა ასგზის ათასჯერ
ჩემი გურმაჩ და ჭოხან?
— ისე შემყროდეს სიკვდილი,
მხარი ნუ მეგრძნოს ძმისა!
— მტრისგანამც გამომეჩოქოს
დასამარხავი მიწა!

ეგებ, არც ისე ძნელია,
სულის უჟამო ხდამდე
უფსკრულზე დაკიდებული
ტყვიას ტყვიაში სვამდე,
ტკივილის ძაფსლა ემაგრო,
ბოლო ხავილის ეხოს,
არა ძალა და იმედი,
სასოწარკვეთა გეყოს.
ჩემს ხმაში ბზარად ჩამდგარი,
მზის საგალობელს ერთვის
„გაველ და გავხე, ვაჟებო,
ნურამც ყოფილა ჩემთვის“...

განა რა ბევრი მჭირდება,
ვგრძნობდე, თვისტომნი მყვანან,
ვიცოდე, მართლა ჩემია
ჩემი სახლი და ყანა,
ღელეს ვაბრუნო წისქვილი,
მთაში ვაძოვო ძროხა,
ისევ ვაჟებად დავზარდო
ჩემი გურმაჩ და ჭოხან...

რაც გულში ჯავრი დაგროვდა,
ბნელში დაიწყებს ვარვარს,
შენი მტერი ვარ მოსისხლე,
შენი მოყვასი არ ვარ,
მოძმედ ნუ ჩამთვლი, დისწულო,
შენგან დაწყებულ საქმეს

თუ ერთი კენჭი შევმატო,
ჩემი მარჯვენა გახმეს,
ისე შემყროდეს სიკვდილი,
მხარი ნუ მეგრძნოს ძმისა,
მტრისგანამც გამომეჩოქოს
დასამარხავი მიწა...

## შერიგება

საით მიდიან მინდვრები?
რატომ აჭრელდნენ ასე?
სად ვნახე წყვილი სანთელი,
ნუთუ სულეთის გზაზე?
თეთრი ყვავილი შემომხვდა,
მაგრამ, რა სურდა, ვერ თქვა,
ტანთ შენი კაბა ემოსა,
შენი სახელი ერქვა.
ივსება ჯავრის ფურცელი,
ჟამი მოგვდის და მიგვდის.
არც იცი, თეთრო ყვავილო,
როგორ უხდები სიკვდილს.

მოვიდა, თავთით დამიჯდა,
ცისფრად დაფინა ჩრდილი,
შუბლზე თითები შემახო,
შვების ცრემლივით გრილი.
ვუთხარ: შენს კარად მოსული,
შენი სინათლის მჭვრეტი,
რისთვის რა ნატვრას ინატრებს,
რისთვის აღდგება მკვდრეთით...

თალხებს ჩაიცვამ, ლამაზო,
ისეც გშვენოდა შავი,
მოხვალ, დამხედავ, დამირგავ
კართან ღვთისმშობლის ყვავილს.
მერე შენს დღეებს, შეხვედრებს
ახლობელთან თუ სწორთან,
ცრემლს, სანთიობოს, გულისპირს
ჩემი არყოფნით მორთავ.
შიგ მაინც სევდა ჩადგება,
მოუხელთები სხვისთვის.
არც იცი, თეთრო ყვავილო,
როგორ ვუხდებით სიკვდილს.

## კვირიკე

შეკრთა, გაიპო, გაბრწყინდა,
თვალთ მეხილება, დედავ!
მტრედისფერ საგალობლებში
წმინდა კვირიკეს ვხედავ!
რა ლამაზია კვირიკე,
ცრემლის ციაგში მდგარი!
როგორც ნიავის ალერსი,
როგორც ჩონგურის ლარი!
მსხვერპლი არ უნდა კვირიკეს,
ბზა და ღიმილი კმარა.
სად მიხვალ, სიმო ობოლო?
ბეთლემს, პატრონის კარად.

ყვავილთა ყველა გვირგვინი,
ყველა გაწვდილი ხელი,
ყველა ხმა, ყველა სანთელი
თავის სასწაულს ელის,
სალბუნსა სასოებისა,
ვარდის სურნელში ნაზელს.
ნეტავი მაცნედ მატარა
შენგან დასავლელ გზაზე.
ირხევა ცრემლით, იმედით,
ნათლით დაწნული ტანი.
მოდიან ცისადცისადნი,
ბორგნეულნი და ბრმანი,
კაცნი, ბოროტად გვემულნი,
ქალნი, დახშულნი შობად.
უხსოვარ წყლულზე შემეხო
ლურჯი ქიტონის ქობა...
ყველა სენს კურნავს კვირიკე,
ყველა სატკივარს არჩენს,
ვერ კურნავს გულის სიბრმავეს,
ღვთისგან დადებულ სასჯელს.
სუმბულის სურნელს მოვყევით,
შენთან მოვიდა კვალი,

უფლის ლაჟვარდი გვაპკურე,
ედემს ნაყური წყალი...

მიდის, საკნებს და სენაკებს
მადლის არილით ამკობს,
უჩინარ საგზალს გვიტოვებს,
გაის-ამ-დღემდე სამყოფს.
წაიღებს ქენჯნის ფორეჯებს,
კეთრის, სირცხვილის დაღებს
ცისკენ, იქ, სადაც ბეთლემი
ვერცხლის კარიბჭეს აღებს.
მიიტანს, როგორც ხარებას,
გზებზე სალმობის ამბავს,
და ხუთი წმინდა ჭრილობა
წყნარი ლაჟვარდით განბანს.
სად მიკრთი, ივერთ ნათელო,
მზით, ვარსკვლავებით, მთვარით?

ნუთუ სიკვდილიც ფუჭია,
არსად გველება კარი[illegible]
ისევ ზარზმა და გელათი,
სამთავისი და მცხეთა,
ტროპარის ნუსხურ გზაწვრილზე
თეთრი მტრედები სხედან.
ნუ ტირი, ობლის საგზლითაც
გავწევთ სამეფო ნადიმს,
რადგან სიმღერის ბილიკი,
უფლის წალკოტზე გადის.

რაჟამს დაიწყებს ივლისი
ულოს გვირგვინთა ახდას,
კვლავ უბრუნდება კვირიკე
თავის პატარა საყდარს,
მწირის ცას, კედელს ნოტიოს,
სადაც ზეგარდმო ნებით
დაუკეცია ანგელოზს
ნელსევდიანი ფრთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**კარლო კობერიძე**

# კაკლის ჩრდილი

## მოთხრობა

> ნახე, ბიჭო, იმ უსაქმურს რა კაკალი ედგა.
>
> ტარიელ ჭანტურია

შარშან, ყურძენში თვალი რომ შევიდა, მაშინ იყო: თურმე გაბო მეგუთნიშვილმა შიო ესეშვილს გაარტყა. გაარტყამდა. არ გაერტყა, სად გაგონილა, ადამიანო, კაცი ისე დაეჯახოს ქოხის ბოძს, ქირურგის გასაკერი გაუხდეს ყვრიმალი, თანაც რაიონის მთავარი ქირურგისა, გაქცეული წაწყვეტებოდა, კიდევ ჰო. მეორე დღეს შიოს ძმისწულს გოგო უნდა გაესინჯა თელავში და, როგორი ამბავია, მისი ერთადერთი, წარმოსადეგი ბიძა ეგრე დახატული გამოჩენილიყო ჯერჯერობით უცხო ხალხში. არც გამოჩენილა. თუნდაც გაეწია, ვინ გაუშვებდა — სისხლი არ მოეწამლოსო, ათი ნემსი დაუნიშნეს ზედიზედ, რა ჰქვია, შრატის ნემსი. ისედაც ცერად გვიყურებს ჩემი პატიოსანი რძალი, არც შენ წახვიდე, სალამსაც დაგვიკარგავსო, რის ვაი-ვაგლახით დაიყოლია შიომ ცოლი; უფროსი შვილი კიდევ, თავისი სახლობით, თბილისიდან ჩავიდოდა გომბორზე გადავლით, ასე რომ, გვიან გაიგებდა ამ ქვეყნის საქირქილო ამბავს და ალბათ ისიც აჰყვებოდა სოფლის ხმას, რაკი სადღეისოდ ნამდვილად უცნაური ვინმეა — არც სხვას დაგიდევს, არც თავისიანს, მართლისა და სიმართლის მხარეზეა ყოველთვის. ესეც შენი მეშვიდე კლასიდან გამოსული კალატოზი! მოდი და ამის შემდეგ დაიჯერე, კვიცი გვარზე ხტისო. ყველა კვიცი გვარზე ხტოდეს, თავის ფოტოგრაფ მამასავით სოფელს ჩაუვარდებოდა ყბაში: რაღაც ერთ მტკაველ მიწაზე ტყუილუბრალოდ აუხირდებოდა მეზობელს; ვენახიდან მარტო მონადენი დაღლილ-დაქანცულ ხალხს არ გაუჩერებდა მანქანას; სიტყვის გამოღლეტას ისწავლიდა, ვირზე შეჯდომას, ჰოდა, როგორც კი მიზეზი გაუჩნდებოდა, მაშინვე ლამაზად აუმღერებდა სიფათს.

საოპერაციოდან პალატაში რომ გადაიყვანეს შიო, ხახა უშრებოდა წყურვილით, მაგრამ, კალამი მე მაქვსო, ჯერ ქაღალდი არ მოითხოვა?! თან ვიცნობ, თანაც ასე უფრო გასჭრისო — რაიმილიციის უფროსის სახელზე დაწერა საჩივარი, შრომით გამოსასწორებელ კოლონიაში ნამყოფმა გაბო მეგუთნიშვილმა მთლად უმიზეზოდ გამარტყა; პატიოსან, ალალ-მართალ, განათლებულ ხალხს ასე მოსდგნენ და უქაჯუნონ ჯანადქცეულმა მუტრუკებმა, მაშინ ისე

გამოდის, კანონი და სამართალი ქაღალდზედა ყოფილაო.

გაბო მეგუთნიშვილი მართლაც იჯდა ციხეში: ფოთოლცვენა კარგა ხნის ჩავლილი იყო, თავის ნასიმინდარს წითელი მამალი რომ აუფრინა საღამოს ნიავში. ის ნიავი ქარად იქცა უცებ, ტკაცატკუცით წააფრიალა ცეცხლი და მომიჯნავის აბალახებულ ვენახში შეაგდო — შავად აუტკრიცა, დაუგავა იქაურობა. მართალია იმ ვენახს ნაღდი ვენახისა არაფერი ეცხო არც სიდიდითა და არც გამოსავლიანობით, რისი ძველი ხათრი, რომელი ანაზღაურება, მაინც არ აპატია მომიჯნავემ, მაგაზე კარგად ვცხოვრობ და შურით დამაქციაო. სასამართლოზე კინაღამ ანდრონიკაშვილების ზვრად აქციეს ის ერთი ციცქნა ვენახი, ფული ფულად დააკარგვინეს გაბოს, წლები — წლებად: სამი რთველობა გაატარა კოლონიაში, ვენახი გყვარებიაო, ბეტონის სარის ჩამოსხმაზე მიაგდეს და აკი კუზითაც დაუმშვენეს ზურგი...

შიომ, აქაოდა ქაღალდსაც უნდა ეტყობოდეს სიბრაზეო, ბატიფეხურად დაწერა საჩივარი და, სხვას ვერ ვენდობიო, ცოლის ხელით გაუგზავნა მილიციის უფროსს. მილიციის უფროსმა: რაო, რაო, უდანაშაულო ადამიანს ჩაგრავენო?! მე კი ვიცი, სადაც არიან, მაგრამ თვითონ სად ჰგონიათ თავიო, მართლა გაბრაზდა და მკვახე რეზოლუცია დაადო ისაო, უბნის ინსპექტორო, კაპიტანო გიგო ბუაძევ, ორ დღეში გამოიძიე და შედეგი პირადად მომახსენეო. მერე ტელეფონით გამოიძახა ინსპექტორი და რეზოლუციან საჩივართან ერთად შემდეგიც გაატანა: რაღა ჩემი გესწავლება, რეგვენის ერთია მომჩივანი, იმუქრება, მიაფუჩეჩებთ და ზევით წავალო; არ გავუშვათ, თორემ ისეთ რაღაცეებს მოგვაწერს, ვიდრე აზრზე მოვიდოდეთ, ჰიტლაყსაც გვიჭირებენ — ესეც კარგად უნდა იცოდეო.

მაგრამ ინსპექტორმაც ესეც უკვე კარგად იცოდა და ისიც, გაბო მეგუთნიშვილმა რატომღაც გაარტყა შიო გასეშვილს.

მღვდელ თევდორე შიუკაშვილს (ერისკაცობაში გივის), თავს რომ იწონებდა საკუთარი მრევლის ჭეშმარიტი მორწმუნეობით, სულიერმა ძმამ თადეოზ გოცირიძემ კაკლის ნერგი გამოუგზავნა საინგილოდან: ღვთის მადლით, უკეთეს საჩუქარს ვერ მოგართმევდი, ძმაო ჩემო თევდორე, ამისთანა ნათელი ჯიშის კაკალს, მთელი საქრისტიანო და საურჯულოეთი (ფუი, ეშმაკს) მოიარო, მეორეს ვერსად ნახავო. თევდორე მღვდელმა საეზოედ ვერ გაიმეტა, ამდენი ხეხილით ისედაც გადალილიაო, წაიღო და ვენახის ბოლოში დარგო — ნამუხნარის გადასწვრივ რომ ჰქონდა, იქა. ბაყილოობაში რომ შევიდა ნერგი, მამაო თევდორე მღვდლობას დაამშვიდობეს ანუ გაკრიჭეს და ის ვენახიც, რაღა თქმა უნდა, ჩამოართვეს. ჩამოართვეს და, შე საწყალო, გეყო აქამდე რაც უმიწაწყლობით იშავდღევეო — ანდრონიკაშვილების ნამოჯამაგირალ აზრია დორეულს დაუმტკიცეს ბეჭდიანი ქაღალდით. ეს აზრია ვიდრე სიხარულს მოინელებდა (უკვე მამულის პატრონი მეთქმის, ქალს ვინღა დამიჭერსო), წმინდა გიორგის ეკლესიის სამრეკლოდან სკოლაში ასატანად ზარი უნდა ჩამოეგდო და აკი იმ ზარმა მოიყოლა ქვეშ. ახლა დიანოზა ჩალიაშვილს გაუფორმეს ის კაკლიანი ვენახი. წითელ რაზმში ამის შემდეგ ჩაეწერა დიანოზა, ყაჩაღად გავარდნილ ბობოლა გლეხებს დაუწყო დევნა და ყადორის გადასასვლელთან გააცია კარაბინის ტყვია. მერე ბეგო არუთინაშვილი ბუდარაობდა იმ ვენახში და ისიც მოუსავლეთში გადაბარგდა ორიოდე წლის შემდეგ: ვერც ენის ტრიალი მოიშალა, ვერც მევახშეობა და იმდროინდელ კვალობაზე სხვას რას უზამდნენ! მერე ბეჟია ფოთოლაშვილი ბერტყავდა თევდორე მღვდლის დარგულ კაკალს, მაგრამ არც იმას უმტვრევია დიდხანს აკაციის ხალხა და იმ უკვე კაკლის ტოტები — ომიც დაიწყო; პირველ დაძა-

ხებაზე წავიდა, წავიდა და წავიდა! ომის დამთავრებამდე ნათესავები რიგრიგობით უვლიდნენ ბეჟიას ვენახს, უვლიდნენ და სარგებლობდნენ კიდევაც. რას გაიგებ კაცის ბედისას, იქნებ პატრონი დაუბრუნდესო, ომის დამთავრების შემდეგ მთელი ხუთი წელი ხმა არ ამოუღია სოფლის თავკაცობას, მერე კი, ზომაში აკლიათო, ესეშვილებს გადასცეს ეს დათარსული მამული. ბარე ოცჯერ მოირთვლეს ესეშვილებმა, ხელს არ აკლებდნენ ვენახს და აკი უბარაქობასაც არ უჩიოდნენ. ვიდრე შიოს მამას, დათიას, ჯანი დაუცოტავდებოდა, რისი ნაცარი, წითელა, ჭრაქი, ბალახიც არ გაუჭაჭანებია შიგ. მერე და მერე უკან-უკან წავიდა ვენახი. შიომ კიდევ სოფელი აღარ ინდომა, ჩემი ხელობის გასავალი უფრო ქალაქშიაო; იქვე დაოჯახდა და სხვებისა არ იყოს, მარტო რთველში გამოჩნდებოდა ხოლმე, ან კიდევ მაშინ, რომელიმე ახლობელი თუ მოიწადინებდა ქორწილს, ანდა უარს იტყოდა ამ მშვენიერი ქვეყნის ყურებაზე. მაგრამ ისე მოხდა, რომ შიომ სულ რაღაც ორ თვეში ერთმანეთის მიყოლებით მიაბარა მიწას დედმამა და დიდი ჯახირის მიუხედავად ვერაფრით ვერ მოახერხა მეორე, უმაქნისი შვილის მემკვიდრედ დამტკიცება. მოკლედ, კომლი გაუუქმეს და, ბუნებრივია, ვენახიც სხვის გვარზე უნდა გადაწერილიყო საკომლო დავთარში. იმ ხანებში მეღვინეობის კომპლექსის გაფართოების პროექტმა, ხევისაკენ ადგილი აღარ არისო, ზედ ეკრა და, გაბო მეგუთნიშვილის ვენახს დაადგა თვალი. იცოდა გაბომ, ცხოვრებამ ასწავლა და კარგადაც ასწავლა: ვერც ჯიბრით, ვერც ყვირილით, ვერც მუქარითა და სხვა, ამდაგვარი ხტუნაობით, ვერ გადაუდგებოდა კანონს წინ, ერთი ეგ იყო, ნერვების ჩაოხრებას თუ გამორჩებოდა. ამიტომაც დაჰყვა ნებაზე — ოთხი წლის დასატკეპნად გადარეულ საფერავზე ერთბაშად აიღო ხელი, ყელიც გამოიწია, ნაღდი საჟენახე მიწა მაინც გამომიძებნეთო. რისი ცარიელი მიწა, ყველასათვის მოულოდნელად ესეშვილების ვენახი არ მიუზომეს?! თითქმის საუკუნის იყო ის ვენახი, მაგრამ სიბერისა არაფერი ეტყობოდა, ჩამუხლაგადაწინდვით გაეახლებინათ და ოცდაათ წელსაც ძლივს მისცემდით. ვაზი იმდენი არაფერი, გასწი-გამოსწიე, სულ სამი წელი უნდა ცარიელი მიწის ვენახად გახდომას. მაგრამ ის კაკალი, თევდორე მღვდლის დარგული კაკალი, რატომ ორ ამისთანა ვენახს არა სჯობდა. სწორედ ეს იქცა გასაკვირად — ამათ, სოფლის თავკაცობას რომ ეძახიან, ამ ხელეჩო ხალხს ნეტა რა მოელანდა, სასხვისოდ როგორ გაიმეტაო. მართლაც საკვირველი იყო, ღმერთმანი!

ვენახის ბოლოში, გუთნის საქცევზე იდგა ის დალოცვილი, დალოცვილი თუ საცოდავი კაკალი. ისე გაედგა ვარჯი, რამდენიც უნდა გეთვალიერებინა, შეწეულ-გამოწეულ ტოტებს ვერსად უნახავდი — უცხო თვალს საგულდაგულოდ შეკვერცხილი ეგონებოდა. ნიავი რომ წამოუბერავდა, ნება-ნება ანანავებდა მსხვილი ნაყოფითა და სადი ფოთლით დაღუნულ ტოტებს, თუმცა იქვე ხევის გაღიავებული ფერდობი იყო, ხევს იქით — სათიბად დაგდებული მინდვრები და, შენ ისა თქვი, როდის აღარ უბერავდა ნიავი. ზაფხულობით, საშუადღეო სიცხე რომ ჩამოენთებოდა და დაქანცული ჯანიც დასვენებას ითხოვდა, ახლო-მახლო მომუშავენი იმ კაკლის ქვეშ იყრიდნენ თავს; კლანჭადაგებულ ჩრდილში დასხდებოდნენ, ამოალაგებდნენ სადილ-სამხარს, ღვინოსაც; მშვიდობასა და სიმშვიდეს ინატრებდნენ, ჯანის გამოულეველობას, ბარაქიან წლის მოსავალს, უსეტყვო ღრუბელს, ნაშიერების გაზრდა-გამრავლებას და, ამასობაში, ღვინოც გაუთავდებოდათ ხოლმე. მაგრამ ისე არასოდეს გათავებიათ, თევდორეს მოსახსენებელი ვეღარ ეთქვათ — უფალო აცხონე, ეს კაკალი რომ დარგო, ეს მშვენიერი კაკალიო...

ის კაკალი არასოდეს ყოფილა მეწლეული — ორტყუპებითა და სამტყუ-

პებით იმძიმებდა ტოტებს. სამურაბედ დასაკრეფად არც ერთი მომიჯნავე არ შეაწოდებდა ხელს — გასაფუცქვნელად და კირში ჩასაყრელად ვერ იმეტებდნენ, სხვებს კი აქეთ არ ედოთ არც გზა, არც გასადევარი. იმ ფარგლებში კაკალზე მეტი რა იდგა, მაგრამ ის სულ სხვა იყო, სხვა ჯიშისა და სხვა ბედისა. მსხვილი ნაყოფი იცოდა, თანაც საოცრად თხელი ჰქონდა ნაჭუჭიც — მუჭში მოიქცევდი ორ კაკალს, მსუბუქად მოუჭერდი ხელსა და აკი ორივე იმტვრეოდა, თეთრად აქათქათებდა ლებანს. ხომ ასეთი თხელნაჭუჭიანი იყო, იშვიათად გამოერეოდა ჭიანი. მთელ იმხელა სოფელსაც იმიტომ მიჰქონდა სათესლედ. ლენჯო რომ დაეშაშრებოდა, უნდა დაებერტყათ კიდევაც, თორემ ნიავის გამოშრიალებაზეც პანტაპუნტით ცვიოდა და სამსუნაგოდ აწრიალებულ ბალღებს ახურხურებდა.

ვენახი რომ მიუზომეს გაბოს და ახალმა მომიჯნავეებმა პურ-მარილიც გააშლევინეს, თებერვალი იწყებოდა უკვე; ვენახს გასხვლა უნდოდა, სარის შედგმა-ჩანაცვლება, ლუზის გამაგრება, მავთულის გაჭიმვა, ნაზურგის შეკვრა, ძირების გათოხნა... ათასი ოხრობა. შიო კი არ ჩანდა: იქნებ მავთული უნდა აუშვასო, იქნებ სარი უნდა ამოილოსო, იქნებ, სულაც, დიდ-დიდი ხალხი ჩარია და დაირჩინაო. მაგრამ მალე დაამშვიდეს — საქმე საქმეზე არ მიდგეს, თორემ სხვა ვენახიც რომ აქვს, ის სხვაა, ეზოც არ გავუნახევროთ, კინაღამ ორმაგი უჭირავსო. გული დაიმშვიდა გაბომ და სხვლას შეუდგა. ბევრს გამოვრჩეთო, ბოლო წლებში ისე დაეტვირთათ, მთლად აეწლიოკებინათ ვაზი, აქა-იქ ძლივს უჩნდა სამამულო რქა, მაგრამ არც ერთი არ შეურჩენია, გაჰყვა და პირწმინდად განეკა — სამ კვირტზე დააყენა, მოლონიერდესო. საერთოდ, გადაღლილ, გაბარდებულ ვაზს რომ ხედავდა, გინება ეუცხოებოდა, თორემ რას არ ამოუტრიალებდა იმ არაკაცებს, ვისთვისაც არაფერს ნიშნავს ვაზის დაჩაგვრა, ვაზისა, რომლის იქითაც ხვალინდელი დღე ჩანს, ჩვენი შვილებისა და ბადიშების დღეგრძელობა, დრო იყო, როცა სისხლის სამართლის კოდექსი ციხისკენ მიერეკებოდა ყველას, ვინც სამ რქაზე მეტს დაუტოვებდა ვაზს, ანუ ისე დატვირთავდა, ვერ მოერეოდა ვერაფრით. მაშინ, ალბათ, იმ ვაზში ადამიანებს ხედავდნენ და, მგონი, სამართლიანადაც... ფიქრში ბელურები მიუივყივებენ, მერე ფუტკნაობით გადი-გამოდიან ხვალინდელი ქათმების დაცარიელებულ ქანდარაზე.

ველარ წავიდა, კავკასიონის ფერდობებზე ასასვლელად ველარ ჩაიარა თოვლმა: გამოვიდოდა მზე, ასალებად დააფენდა რილო-ჭრილოს, მაგრამ, რა გინდა რა, მალევე გააბამდა ნისლსა და რაც აილო, იმაზე მეტს დაუმატებდა ხოლმე. ამ უამინდობაში სხვა საქმეს მაინც ვერაფერს გავაკეთებო, ნელ-ნელა, დაკვირვებით, ხელებზე დაორთქლებით სხლავდა გაბო ვენახს და ორიოდე დღეში მოსათავებელ საქმეს აკი მთელი თვე შეალია. გაიხარეს შვილებმა, გავილვიძეთ და შინ დაგვხვდა მამაო.

კვირტებს დაძვრა რომ დაეტყო, მაშინ გამოჩნდა შიო — სამჭედლოში მიდიოდა ონე სანოძე, თოხი, ბარი, ცულ-ნაჯახი მიჰქონდა გამოსაკვერად და, იმან უთხრა, წელან სადალაქოში შედიოდაო. მართლაც აქ იყო, წვერი მოეპარსა და ჯიბის სავარცხლით ილაგებდა ორი ცოლის დასაკვებად აბურდულ გვირგვინებს. სარკეშივე მოუბოდიშა გაბომ: რა ვქნა, გენაცვალე, მე არ შევსულიყავ, სხვა შევიდოდა, დაუფიქრდე, ბევრი არაფერი სხვაობააო; მერე: სარ-მავთულშიც ფულს გაძლევ, საშემოდგომო მოხვნა-გათოხნაშიცო. ის ფულიც და ის ვენახიც სიკეთეში მოგხმარდესო, მარტო ეს უთხრა შიომ, გაიხურა კარი, გავიდა და გაოცებული დატოვა ყველა: ბიჭოს, ვერ უყურებ ამ ქვახარშიას, ნეტავ რომელმა სალოცავმა აქცია კაცადო?!

ცუდად ენიშნა გაბოს მისი ხელგაშლილობა, ფიქრში მიიხედ-მოიხედა, მა-

გრამ ვერაფრით ვერ გაარკვია, ქარბორია საიდან იყო მოსალოდნელი. კარგად იცნობდა შიოს — მუქარა ემარჯვებოდა და ხშირად ასრულებდა კიდევაც, ახლა კი, ამ გამწარებულ გულზე, სიამტკბილობის საღერღელი აშლოდა. სხვებსაც ამიტომ დაავიწყდათ ლაპარაკი...

თანდათან, თითქოს შეუმჩნევლად გაიპარა თოვლი, ალუბლის კენწეროებმა სიმწვანე დაიკრეს და ნუშებმაც მოიხვიეს თეთრი ლეჩაქები.

გადაკავებულია ვენახები, ახლა მოსახნავიც რომ იყოს, გუთანი აღარ შეიშვება შიგ — როგორც უნდა იფრთხილო, მალალია კვირტი და მაინც გააყრევინებს. მაგრამ ხალხი მაინც ჩანს ზვრებში: ვის ბოსტნეულის დათესვა დააგვიანდა, ვინ კიდევ გვიანა ბოსტნეულს თესავს.

ყოველდღე დადიოდა გაბო მამულში, მოხნულ მიწას თოხნიდა, აფხვიერებდა: ვერ იქნა და ვერ გამოლია კლანჭა — ისე მიძვრება მიწაში, ისე ეჭიდება, თითქოს გრძნობდეს, ხევში გადასაგდებად რომ ეძებენ...

გზიდან სატვირთო მანქანამ გადმოუხვია და კაკალთან გაჩერდა. გაბო ზევით იყო, ვენახის თავში, აკლერტილი კლანჭა გაჰქონდა შაბიამნის გვერდებმიჭეჭყილი ვედროთი. სამნი ისხდნენ ძარაზე; ვერ გაარჩია, ვინ იყვნენ. კაბინის კარი რომ გაიღო და მაღალი კაცი გადმოვიდა, შიოს მიამსგავსა და, რატომღაც, ცუდად ენიშნა. მაშინვე მიატოვა საქმე, მიჯნის ბილიკზეც არ გადასულა, გუთნის ნაღარს დაჰყვა. ჯერ მანძილი არ გაეშუალებინა, შიოს ბლუკუნა ბიძაშვილი სანდრო რომ იცნო. რაც ჯაჭვახერხი გაჩნდა, მას აქეთ სანდრო სულ მეტყევეებთან ეგდო ხემასალისა და შეშის დამზადებაზე, გააჩანაგა ტყეები ამ გვარგასაჩანაგებელმა!... ვიდრე სხვების ნაცნობ-უცნობობასაც გაარკვევდა გაბო, კაკალზე მიყუდებული ჯაჭვახერხი მოხვდა თვალში და ერთბაშად აილეწა, მაგრამ არ შეიმჩნია, მშვიდად თქვა სალამი. ის ოთხივე კაცი შიოს ალალი ბიძაშვილი იყო. შოფრის გარდა ყველა ერთმანეთსა ჰგავდა სიბრიყვემდე მისული სიჯიუტით. შოფერმა: აქვეა და, ბარემ, გადავალ, ვენახს დავხედავო — ისე წავიდა, არავის ნებართვას აღარ დაუცადა.

სანდრომ გაზინთული ბრეზენტის ჩანთიდან ქლიბი ამოიღო.

— რას აპირებთ? — იკითხა გაბომ.

— აეს უნდა მოვჭრათ, — კაკალსააყოლა შიომ თვალი.

— როცა შენი ერქვა, მაშინ მოგეჭრა!

— გასადევარი ვენახის ზომაში არ შედის.

— ეგ ადრე იყო.

— შეიძლება. ისე, რომ იცოდე, ამ ვენახის წლევანდელი გადასახადი გასტუმრებული მაქვს, ქვითარიც გამოვაყოლე ყოველ შემთხვევისათვის, — პიჯაკის შიგნითა ჯიბეში ჩაიყო ხელი.

— მჯერა, გამოაყოლებდი.

ჯაჭვახერხს უჩხიკინებდა სანდრო, ორნი კიდევ განზე იდგნენ, რაღაცას ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს.

გაბო მანქანის საფეხურზე ჩამოჯდა, შუბლი მოისრისა:

— იმ დღესაც გითხარი, საჩხუბარიისა და სადავიდარაბოს დედა ვატირე, რაც ჩემგან გეკუთვნის, წაიღე-მეთქი; ეს სარი და ეს მავთული, გინდ ფულად მიანგარიშე, გინდ კაცობად—თუ არ ჩაგაკერე, არ ჩაგახევ.

შიოს ეგონა, დამცინის, თორემ რცხილის სარი და ჟანგიანი მავთული აქ რა მოსატანიაო, გაბრაზდა და სანდროს უყვირა:

— ვის ელოდები და რაღას უცდი!

სანდრომ ჯაჭვახერხი დაქოქა, აიღო და კაკალს შემოუარა — გეზად მისადგომს ეძებდა.

**— მოიცა, — წამოდგა გაბო, — იქნებ მოვრიგდეთ?**

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, — სანდრომ მაშინვე ჩააქრო ჯაჭვახერხი და იქვე დატოვა, — მე, ძმაო, პატარა

კაცი ვარ და რასაც მიბრძანებენ, იმას ვაკეთებ ხოლმე.

— ვერ მოვრიგდებით, — თავი გააქნია შიომ, — არც ვყიდულობ, არც ვყიდი, სხვა მოსარიგებელს კიდევ აქ ვერაფერს ვხედავ!

— ვერა ხედავ თუ არა ხედავ? — გაეღიმა გაბოს.

— ეგ უკვე ჩემი საქმეა!

იქვე, თავის ვენახში დაჩურჩუნებდა მექვევრიანთ ბერიკაცი, საბა, და აკი ჯერ ის ცხონებული გამოიყვანა კაკალთან ჯაჭვახერხის ხმაურმა.

— სამასალედ არ მინდოდეს, იქნებ არც მომეჭრა! — თითქოს მოტყდა შიო.

— ლარივით სწორი კია, მაგრამ უგულო კაკლის მასალა სად გაგონილა! — კაკალს ხელი მიარტყა საბამ, — კარგი ხარ, კარგი, შე საცოდაო!

— ამაზე ორჯერ წვრილიც მინახავს გულიანი კაკალი.

— ეჰ, შვილოსა, სხვაზე მეტი მიცხოვრია, მოსული კაცის ჭკუა-გონებაზე კი მაინცდამაინც ბევრი არაფერი მსმენია ჯერჯერობით, თავცარიელობაზე — რამდენიც გინდა. ხასხასა გონება რო აქვს და ზედ უბედური ეშმაკიც გახლავს, გაცილებით მორჩილია ისა... ერთი საუკუნისა თუ არ არის კაკალი, არც სამასალე გული ექნება.

ერთხანს ჩაფიქრდა შიო და მაინც წაუყრუა ბერიკაცის გადაკრულ ნათქვამს:

— მე, მაგალითად, მეტისაც მგონია.

— პატარაა, — მიწას დააშტერდა საბა, — სამრევლო სკოლაში რო შემიყვანეს (ნეტამც იმ დროს), მახსოვს რომელია, მეცხრე წელში ვიყავი გადამდგარი. აეს კაკალი მაშინ დარგო თევდორე მღვდელმა. მაშინაც ჩვენ გვეჭირა, ეგე, ეგ მიწა, მაგრამ ვენახად არა გვქონია, ყანასა ვთესავდით ხოლმე. ეხლა, დათიას ბიჭო, ეხლა, ოთხმოცდახუთისა ვარ; გამოაკელი რვა და ამ კაკლის წლოვანებასაც მიიღებ. ვითომ ძალიან გაგიჭირდება?

— სად მცალია იმდენი, ვიდგე და ვიანგარიშო, წაიქცევა და დავინახავთ, რამხელა გული აქვს!

— შენ გაზრდა თქვი, თორემ წაქცევას რა უნდა!

— მიდი! — სანდროს ბეჭებზე ხელი დაარტყა შიომ, — ხომ იცი, დღესვე უნდა გავბრუნდე ქალაქში!.. სამასალედ თუ არ ივარგებს, ცეცხლი და მაგისი ჯანი!

— მომყიდე, — გაუბედავად, თითქოს თავისთვის თქვა გაბომ, — შენ მარტო დამიფასე და, კაცი არ მერქვას, შეგევაჭრო. მე თუ მკითხავ, ოთხასი მანეთი მაქვს გუნებაში.

— რას ამბობ? — შეიჭმუხნა შიო, — შარშანწინ სანაძლეოზე ამისი ერთი კილო კაკალი დაამტვრიეს ბიჭებმა და ზუსტად რვაასი გრამი ნიგოზი დაყარა. სხვა კაკალი ხუთი მანეთი თუ ღირს კილო, ამაში რვა მანეთზედაც არავინ გალაპარაკებს. სხმით კიდევ, როგორც ისხამს, შენც კარგად გეცოდინება.

— მაშინ ორ მანქანა დამორილ შეშას მოგიტან, რცხილისას.

— ოთხი მომიტანე, — გვერდულად გაიცინა.

— მოსაჭრელად გდომებია და ეგ არის!

— გცოდნია და რაღას მეღრიჯები?

— ჩვენ მაინც გვეცი პატივი, — უთხრა ონე სანოძემ, — მთელი ზაფხული, ეს ამდენი მომიჯნავეები, ამისი გრილოს იმედითა ვართ.

— მეც ამისი იმედი მაქვს ამ ზამთარს... ჰა, დალამდა, სანდრო!

— ერთი ამათ დამიხედე! — შეიბუხუნა ონემ, — ჯოხით გამოგირეკეს თუ, რა ამბავია?!

ათიოდე ქალი მოდიოდა... რაღა მოდიოდა, იქვე, საბას უწიპწოს თალართან იყვნენ უკვე, ონეს ცოლი სოფო მოუძღოდა წინ.

— როგორც მოიყვანეს ეგ დედაკაცები, იგრევე წაიყვანე! — გაბრაზდა ონე.

— ამან მოგვიყვანა, მააშ! ეს ხედავს და დანარჩენები კიდევ მიწაში დავცო-

დვილობთ თხუნელებივით! — თავის კანტური აიტეხა საბას რძალმა.

— რას ერჩის მაგ კაკალს, ადამიანო! — იყვირა სოფომ, — რად ჩამომართვესო?! ადრე უნდა ჩამოერთმივნათ და გვიან კი მოიფიქრეს! ბალახსა და შამბში დაახრჩო ეს პატიოსანი ვენახი, მაგ ნეხვის გოდორმა!

— წადი, ქალო, გამერიდე! — წარბები დაუშვა შიომ.

ონემ ატამზე მიყუდებული სარისკენ გააპარა თვალი.

— აბა, მოიხედე, ონე! — ხალათის მოჩაჩულ საყელოში ხელი ჩაავლო გაბომ, მოატრიალა, — აქეთ იყურე, ჩემკენ. ეგრე.

— წადით, ქალებო, წადით, სათქვენო საქმე არაფერია აქა, — ჭაჭვახერხს დახედა საბამ, — შენი გამომცემელის კეთილები რა ვთქვა!

— წავალთ, მაშ სულ აქ ხო არ ვიდგებით, წავალთ, — ჩაილაპარაკა სოფომ, მერე ისევ აყვირდა, — რატო კაცად არ გამაჩინა, იმ ჩამოსაქცევმა ღმერთმა, ამდენ ბლებს ვაჭმევდი მაგას!.. ციხისა გეშინიათ, თქვე უბედურებოო, რასაც ეგ შეშად გაგიძლებს, იმაზე მეტ ხანს არ იბოგინოს შენმა გასაგისმა!... გაღვლეფდი და დანაცრდი მაგასავით!.. სად არის კანონი, თორემ!.. უი, ტა-ტა-ტა-ტა! — მუშტი დაიკრა მკერდზე, — ის მიწა მეცოდება, ერთხელაც იქნება, შენს კუბოს რო დაეყრება საამო ხმაურითა!

დაიბნენ თუ რა იყო, ხმა არავის ამოულია. ამგვარი დუმილი კარგად არ ენიშნა სოფოს — ქმარს თვალი მოარიდა, შებრუნდა და გაიყოლა აბუზღუნებული ქალები:

— სალდათში არ იყვნენ ჩემი ბიჭები, იმასაც ვნახავდით, როგორც მოსჭრიდა!

— რეგვენი და ეგეთი, ხალხნო?!

— ჩემს დამთხვეულ ქმარსაც ეხლა მოუნდა მოსკოვსა და მიწაში წასვლა!

— შურმა და ჯიბრმა გადაიყოლა ეგ მშვენიერი კაკალი!..

ჭაჭვახერხთან დაიხარა სანდრო და საქოქი ამოიღო ჯიბიდან.

— ჯერ მაგრე იყოს, — შეაჩერა საბამ, — სოფლის ყბაში ნუ ჩავარდები, დათიას ბიჭო.

— ჩემი კაკლის მოჭრას აღარ მანებებთ! — უყვირა შიომ.

— ვინ გითხრა, შენიაო? — საბამაც უყვირა, — ამ კაკალმა იმდენი კაცის ხელში გაიარა, თვლა არა აქვს, ჰოდა, ერთი ისიცა ბრძანე, რომელმა გაიმეტა მოსაჭრელად!.. ჩემიაო?! მამაშენმა დარგო, შენი ყველაყისამ!

— შენ იმის ხსენებას მოეშვი!

— მართალი ხარ, სუფრაზე ვიყო, ჯარიმას მომარტყამდნენ!

მარტო შიოს ბიძაშვილებს არ ჩაუცინიათ. დიდი კაცი ჰგონიათ შიო და, როგორ გაუბედავენ ამდენს! ხანდახან ქალაქის გაზეთებში თავის გადაღებულ სურათებსა ბეჭდავს, ხუმრობაა?.. ერთხელ რაიკომის პირველმა მდივანმა შოფერი გამოუგზავნა, ფოტოაპარატი წამოიღე და წამოდიო. მართლა დიდი კაცი არ იყოს, იმის მანქანას ამის ჭიშკართან რა უნდოდა!

— აი, ხალხი, — ხელები გაშალა გაბომ, — კაცურად გეუბნები, არ მოსჭრა და შენ დაბერტყე ხოლმე.

— ვთქვი და მოვრჩი!

— მე ჩამოგართვი, კაცო?! თავი გადავიკალი, ეს ვენახი მომეცით-მეთქი?!

— შენ ვინ რას გაბრალებს?

— ეგე თუ არ მაბრალებ! — ზურგჩანთა აიღო და აჩქარებული წავიდა გზისკენ, — ჯიბრზე არ აკეთებდე, ერთი ეგ მანქანაც არ გამოვა, წოწკებიანათაც რო შეაყარო! ჰო, ეგ შეშაცა და ეგ ფიჩხიც სიკეთეში მოგხმარდეს! — სოფლისკენ აუყვა გზას.

— კარგად დაიმახსოვრე, დათიას ბიჭო, — წასვლა დააპირა საბამაც, — სოფელი დანაშაულს არ აპატიებს არავის. აეს შენი ცუდკაცობა სივაგლახედ გაჰყვება შენს ნაშიერებს: მეხუთე, მეშვიდე, მეათე თაობასაც. მაშინ აღარც ძვლები იქნება ჩემი, აღარც ხსოვნა. შენ კი ხშირად გაგიხსენებენ, მაგრამ, ვაი,

იმ გახსენებას! სხვა დანარჩენებზე რო არაფერი ვთქვათ, მარტო შენი სისხლისანი რასაც და რამდენსაც შეგიკურთხებენ, იმდენი ცხონება თევდორე მღვდელს მისცა.

არც დაფიქრებულა შიო. არც ხმა ამოუღია.

სანდრომ ჯაჭვახერხი რომ აამუშავა. მომიჯნავეები გაიფანტ-გამოიფანტნენ.

გაბოს გამანძილებული [illegible]ნდა გზა, კაკლის გადამტვრევის ქახ[illegible] და დაცემის ლაწა-ლუწი კი მაინც მოესმა.

მომდევნო ორ დღეს წერაქვის, ნიჩბის, ნაჯახის ქნევით დაიბეგვა ჯანი გაბომ, შორიდან შემოუთხარა და ძირფესვიანად ამოაგდო კაკალი. [illegible]ზასეული კაკლის სამი წლის ნერგი მოუტანა ონე სანოძემ, ორი დავთესე, ორივე ამოვიდა, გალაღდა; ერთი იქვე უნდა დამეტოვებინა, ამ მეორის ადგილი კი ვერსად გამოვნახე, არადა, გადასაგდებად ვერ გავიმეტეთ. იმ ნაკაკლარის ადგილას დარგო ნაჩუქარი ნერგი და რვა წლის შემდეგ უკვე ბაყილოდ იქცა. დაისხა კიდევაც და ჩრდილიც დაიყენა. ახლა იმ ჩრდილში იყრიდნენ თავს მომიჯნავეები, თუმცა მალე მიადგებოდათ ხოლმე მზე. ჩრდილი იქვე ჩარიგებულ ატმებსაც ჰქონდა, ჯგუფ-ჯგუფად აქოლგილ ლეღვებსაც, მაგრამ ატამმა და ლეღვმა ბურგა იცის, ისე ჩამოდის დაბლა, თითქოს საშემოდგომოდ სცრისო, თანაც წებოვანია. კაკალს არა რგავდნენ — საკმარისი გასადევარი არა ჰქონდათ ვენახის ბოლოში, თავში კი არ ჩაჰყრიდნენ მომიჯნავეობის ხათრით: დილით დაცემული ჩრდილი ჩაგრავს მორჩილ ხეებს, ვენახსა თუ ბოსტნეულს, თორემ შუადღისა და იქითა ჩრდილით მიყენებული ზარალი სათქმელადაც არა ღირს.

2.

გიგო ბუაძე ისედაც არ იყო მედღეხვალიე კაცი და, რაკი უფროსს აშკარად ემჩნეოდა ციების ნიშნები, მზის ჩაბუდებას ანუ ხალხის შინ დაბრუნებას აღარ დაუცადა, თავქვე დაუშვა „ქიგული“ — მოწმეებს [illegible] დაუწყო ძებნა. მაშინ მტევანს [illegible] ფერი გადაწმენდილი [illegible]ჭირით და მალეც იპოვა ყველანი: ნა[illegible] ბერიკაშვილი, ადამო დავითური და ონე სანოძე. საერთოდ, სოფლის [illegible]ებს რომელიღაც დაწერილი თუ დაუწერელი კანონის თანახმად, ისე აქვთ გამოთვლილ-გამონგარიშებული, როგორც კი მტევანი შეიმღვრევა, ყოველგვარი სავენახო საქმე მორჩენილია უკვე ჰოდა, რთვლამდე ზვრებში ვერავინ შეადგამს ფეხს, თუნდაც ერთი თალამი ბალახის გამოსათიბად. ამიტომ საერთო ზვრებში მინადენი გზებიც ერთბაშად იკეტება: ექსკავატორით ამოთხრილი ვეება ორმოებით (ჩავარდე, თოკი არ მოგაშველონ, ვერ ამოხვალ ვერაფრით), რკინის ურდულიან-ბოქლომიანი კარით, დროებითი მეზვრეებითა და მუდმივი მევენახეებით. ნამდვილად სწორი გადაწყვეტილებაა, ასე არ იყოს, ადამიანს ვინ მიაშავა მელიის ჭკუა (ეშმაკობასაც რომ ვეძახით), მკვახე ყურძენს შეჭამდა [illegible] მოეჭრებოდა კბილები! ამ სიკეთეს, [illegible]ენაცვალე, სალი თვალით დანახვა უნდა[illegible] უკვე გზები არ ყოფილიყო შეკრ[illegible] იმ ზღვასავით დაცემულ ზვრებში [illegible] ჯანდაბა იპოვნიდა მოწმეებს, თა[illegible] ვენახებში კი სულ ადვილად მიაგნო სამივე.

უბნის ინსპექტორის სამწყსო თავისი სოფელი იყო, ის სოფელი, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ამიტომაც კარგად მოეხსენებოდა, ვის ალთას ჰქონდა ფეხი, ვის—ბალთას; ვისი ბიჭი ვის გოგოს უდარიალებდა, ვისი გოგო — ვის ბიჭს; ვის მიწა ჰქონდა მითვისებული, ვის ავტორიტეტი; ვის საქონელი ჰყავდა, ვინ — თვითონ იყო საქონელი... ვინაიდან არ გამოეპარებოდა არაფერი, დამალვა მაინც უაზრობაა, სიმართლეს აღარ უჭერდა არავინ უცხო, მოსული ვინმე ყოფილიყო გიგო ინსპექტორი, ორიოდე ნაცნობ-ახლობელთა ყურში ჩაჩურჩულებით პატიოსანი კაცი ქვეყნის ამომგდები ეგონებოდა, ქვეყნის ამომგდები — სიკეთის ანგე-

ლოზი. ბოდიშის მოხდა კიდევ აღარც მოდაშია, არც თავაზიანობად ითვლება და არც მისი მადლითა და ძალით სასაფლაოდან დაბრუნებული კაცი უნახავთ. იმ სოფელში, ჰო-ჰო, ხალხია, ხალხი, ნუ იტყვით! ზოგიერთი ისეთი დაიბლახნება, არ იცნობდე, იფიქრებ, სახედარზეც ვერ შეჯდებაო, არადა, ნაბიჯი არ დაუთვალო, იპოდრომზედაც არ გააჭაჭანებს ცხენს. მოდი და ამისთანა სოფელი სხვაგნებურ კაცს ანდე! გეყურება, ყრუ კედელო?..

მზის ჩასვლისას, ნიავი რომ გამოცოცხლდა, ჯერ ონე სანოძემ დააკაკუნა ინსპექტორის კაბინეტის კარზე. მობრძანდითო. კაბინეტში მარტო იყო გიგო ინსპექტორი, ტელევიზორი ჩაერთო და მდინარეში მობანავე გოგონებს უყურებდა. მაშინვე გამორთო ტელევიზორი და სკამი გადაუდგა ონეს:

— დაჯექი. ხო იცი, რაზე დაგიბარე?

— სკამზე დაჯდა თვითონაც.

— არ გითქვამს და საიდან მეცოდინება?

— მართლა არ იცი? — გაეღიმა, სიგარეტის კოლოფი გახსნა და მიაწოდა, — გააბოლე.

— წელან მოვწიე... არც მართლა ვიცი და არც ტყუილად... რათ გაერთე, გვეყურებინა, კაი რამე იყო.

— შენ რას გეკითხებიან?

— აკი გიპასუხე, არ ვიცი-მეთქი. ჩავრთო? — ტელევიზორს მიაჩერდა ონე.

— არ შეიძლება. ვითომ არ გაგიგია, შიოს რომ გაარტყა გაბომ! — თავი მოუსრისა სიგარეტს.

— არა, მართლა?! როდისაო?

— აბა შემომხედე, ხუმრობის გუნებაზე ვჩანვარ? — სიგარეტი საფერფლეზე დადო ინსპექტორმა და მაგიდის უჯრა გამოაღო.

— შენ მანქანით დასეირნობდი მთელი დღე, მე კიდევ თოხს ვუხათქუნებდი. რას იტყვი, ჩვენს შორის უფრო რომელი უნდა იყოს ხუმრობის გუნეჲაზე?

— ამას წყალი არ გაუვა, იქ იყავი; ყველაფერი შენი თვალით დაინახე, შენი ყურით გაიგონე და დაწვრილებითაც უნდა მომიყვე, დაწვრილებითა და დადინჯებით. არც დაკლებასა გთხოვ, არც დამატებას. გაიგე?

— რაღა მე მოგიყვე, რაკი დაიწყე, ბარემ შენვე გადი ბოლოში.

— მე საიდან მეცოდინება?! — სიგარეტს მოუკიდა ინსპექტორმა.

— რა ვიცი! — მხრები აათამაშა ონემ, — შენი არ იყოს, აკი არც მე ვყოფილვარ იქა!

ინსპექტორმა უჯრიდან ფურცელი ამოიღო და მაგიდაზე დადო, თითები აათამაშა ზედ:

— აი, ორ სხვა მოწმესაც ასახელებს.

— თუ ეგრეა, მე კიდევ ოცდაათ მოწმეს მოგიყვან, იმისას, ალაზანზე რო ვიყავი მაშინ, — ისევ ტელევიზორს მიაჩერდა ონე, — ძალაა, კაცო?! იქ არა ვყოფილვარ და, ძალაა?!

— მოიხედე აქეთ! — წამოდგა ინსპექტორი, — სხვაში ხომ არ გეშლები?

— შენ რაღათ გეშლები სხვაში? — ონეც წამოდგა, — არც იქ ვყოფილვარ, არც დამინახავს, არც არაფერი გამიგია, მოვრჩით? — სიგარეტის კოლოფი აიღო, ხელში შეაბრუნ-შემოაბრუნა, — თუ აუცილებელია, ისა, ამ წათაქების თაობაზე ვინმე ჩაჯდეს, მაშინ მე ვიღებ ჩემს თავზე! არა, იმ ხვადაგის გულისთვის ხუთი ბიჭის მამას შევაგდებ გალიაში!.. ვაჰ, კაცო ბედი არ გინდა, იქით თოხმა შემჭამა, აქეთ — ამან!

— ერთი ბიჭიც არ მოუმატა, კაცო?!

— ხელები გაშალა ინსპექტორმა და ჭერს ახედა.

— ვინ მოგახსენა, მოუმატაო? გუშინ გაბომ რომ დაატიალა შიოს... ვითომ რომ დაუტიალებია, თურმე ნუ იტყვი, იქ კიდევ, სამშობიაროში ბიჭი არ იბადება, გაბოს მეხუთე ბიჭი?!

— დაიფიცე! — ინსპექტორი ციმციმ დაეშვა სკამზე.

— ამას რა დაფიცება უნდა, ეგე, აიღე ტელეფონი და გადაურეკე, მთელი მეზობლობა იქ არის, ახალდეს ჭერი! დროით თუ არ მივეშველე გაბოს და

არ წავართვი თამადობა, იგეთ დღეშია, გმირულად დაიღუპება პოსტზე!

— ეგე, ქონება! — ტაში შემოჰკრა ინსპექტორმა, — კაი ხალხია, მაგათი ჯიში კი უნდა გამრავლდეს! ძაან გამახარე, ძმობას გეფიცები!.. რას ამბობენ, ხო სალი ბალღიაო?

— აქეთ რო გადმოვუხვიე, დალი ექიმი შემხვდა, სამშობიაროდან მოვდივარო; ისეთი ბიჭია, ისეთი, თავის ძმებზე უკეთესი თუ არ დადგება, აღარაფერი მცოდნიაო.

— ღმერთმა დააკაცოს და დააბეროს!.. ციხემ გატეხა, დააკუზიანა თორემ, გახსოვს, რა ლამაზი, ასხლეტილი ბიჭი იყო გაბო? მაგის გულსა და კაცობაზე კიდევ ახლაც ვერ ვიტყვით ძვირს.

— ჯავრმა გატეხა, — ჩაფიქრდა ონე, — ჯავრმა. იმ დამპალმა ხო იცოდა, იმის ვენახს განგებ რო არ წაუკიდა ცეცხლი, რათ გაიმეტა საციხედ?.. შურით გადამიწვაო?! თვითონ ჩასვა შურით: აქეთ გაბოს სავსე, მოვლილი ვენახი, იქით იმ ნაგავის ლიხი. ერთიც ვნახოთ, ვაზებიც ლაპარაკობენ თავიანთ ენაზე, რა მოსასმენი იქნება ამ ორი ვენახის საუბარი. დედასა!..

— არითმია არ დამტაკებოდა და საავადმყოფოში არა ვწოლილიყავ მაშინ!.. რა ვქნა ძმაო, ბედი არა ჰქონია და, რა ვქნა! — ინსპექტორმა ქაღალდი აიღო მაგიდიდან და ისევ უჯრაში ჩადო, — მაშ იქ არა ყოფილხარ, არა?

— არა, მე და ჩემი დედაკაცი ნამხრევს ვაცლიდით ნაგომრების ვენახს. ჩემს სტუდენტ დისწულს, მამუკას, ძმაკაცები ჩამოსვლოდნენ ქალაქიდან. ჩამომიარეს და, თამადადაც გვინდიხარო, ალაზანზე წამიყვანეს. შრიალა ვერხვებთან გავშალეთ პურ-მარილი. თან ვქეიფობდით, თან ვბანაობდით. ნამდვილად კარგად მღეროდნენ ქალაქელი სტუმრები... ხო დალაგებით ვლაპარაკობ?

— წუნი არ დაედება! — გაეცინა ინსპექტორს.

— ქვეყანა დაგვეცა — ვის აღარ უყვარს მუქთა კუბოში წოლა. სალაყბოებიც იქ იყვნენ... მე ოცდაათი ვთქვი და, თუ გინდა, მთელ სოფელს აქ მოგიყვან მოწმედ, ვინ დამზარდება?

ახლა ორივენი იცინოდნენ.

— აქა ხარ და ბარემ დამიწერე ეგა, — ინსპექტორმა უჯრაში დაიწყო ქექვა, — ეგა, თავის სტუმრებიანად რომ ჩამოგიარა მამუკამ... მოიცა, კაცო, მამუკას გუშინწინ, საღამოს მატარებელზე არ აცილებდი თბილისში?!

— ეგ აკი გუშინ იყო!

— ჰოო... ჩამოსვლისა და ქეიფის ამბავი დაწერე მარტო, ბანაობისაც, მოწმეებიც ჩამოთვალე. ყველა არ გინდა, ათიც საკმარისია, ბოლოში კიდევ, „და სხვები“-თქო, — სუფთა ფურცელი დაუდო წინ, კალამიც მიაწოდა.

— გითხარი, შუადღის აქეთ მშიერი ვარ-მეთქი. ხალხი იქ ქეიფობს, მე აქ, სადაცაა, გული წამივა შიმშილით! — წამოდგა ონე, — ხვალე აკი კვირაა და ვისვენებ. რა დროსაც მეტყვი, ამოვალ და დაგიწერ.

— მაშინ, თორმეტზე გელოდები.

— კარგი. კარგათ იყავი, — კარი გამოაღო ონემ.

— ნაზოს გაუარე, ბერიკაშვილს, ნუ-ლა იგვიანებ-თქო.

აივნის მოაჯირს გადმოუდებოდნენ ნაზო და მისი ქმარი, არჩილა — ჩურჩულებდნენ. აივანზე რომ გავიდა ონე, მერელა მოტრიალდნენ.

— რაღა გავუარო, აქა ბრძანდება თავისი ძვირფასი მეუღლით. თოფი რა უყავი, არჩილო?

— თოფი რა ოხრად მინდა?

— ქვეყანა გადაირია და, ცოლი არავინ წაგართვას-მეთქი.

— შენს დედაკაცს ხო ორჯერ დაუპირეს გატაცება! — გაეცინა ნაზოს.

— მაგას კი არ გამოვყვევი, აყვავებულო ლობიოვ, გაბომ, შენზე — დროით მოეხიროსო.

— რაო, ონე, ვისკენ ვარო, გიგომ? — ხმადაბლა ჰკითხა ნაზომ.

— შეხვალ და გაიგებ! — ქვეყნის გასაგონად უთხრა, — წამო არჩილო.

წამო... რა ღვინოს დააყენებს ხოლმე, ეგ დალოცვილი, რა ღვინოს! წამოსულიყო გიგო, შენ არ მომიკვდე, მაგასაც დაელევინებოდა!

გიგომ ღიმილით გამოიხედა მოღიავებულ კარში:

— ეს ქოთქოთი არ ატეხილიყო, იმასაც ვნახავდით, გაბოს ძეობაში რომელი მომასწრებდა თამადობას!... მობრძანდი, რძალო, მობრძანდი, — კარიდან ჩამოეცალა, — ბარემ ქეიფი მირჩევნია ამ ოთახში ყურყუტსა და ნერვების წეწვა-გლეჯას, მაგრამ რა ვქნა, თავთხელი ვერსად მივაგენი და მორევში ვიხრჩობ თავს. დაბრძანდი.

— რას იზამ, ჩემო მაზლო! ცხოვრებაა და, ან კლდეს წააწყდები ან კლდე წაგაწყდება. ასეა.

— ლამის გამასავათოს ამ უპატრონო სიცხემ, გამიწიე ანგარიში, რძალო, მალე გამიშვი შინ.

— ეხლავე წადი, გენაცვალე, ვინ ოხერი გიჭერს?!

— ჰოდა, მიუკიბ-მოუკიბავად მითხარი: იქ იყავი, ხომ?

— გახლდით.

— და შენი თვალით მოიხილე ყველაფერი?

— ნამდვილად.

— დაიწყე.

— კეთილი, — ფანჯრის ჩარჩოში ჩასმულ ცის ნაჭერს მიაშტერდა ნაზო, — ბევრი არაფერი საქმე გვქონდა ვენახში: ფიჩხის ლობიო უნდა ჩამოგვეკრიფა. წინა კვირას გამოვბარდეთ დაბალი ლობიო, მაგრამ შემოუსვლელი რომელიც იყო, დავტოვეთ — გახმესო, ისიც ასალები იყო. ხედავ, როგორი სიცხე ჩამოდგა, მზე რო ამოიწევს, გრილოდან აღარ გაისვლება. ისე ადრე წავედით მე და ჩემი კაცი, იქ იშუქა... მართლა, როგორა გყავს სახლობა?

— რაზე მეკითხები? — თითქოს შეკრთა ინსპექტორი.

— ამას წინათ მაღაზიასთან შემხვდა, ექიმთან მიდიოდა — გულს ვუჩივიო.

— არა უშავს. სიძეს გაეჯავრებინა და, თურმე, იმაზე აუწია წნევამ.

— უმცროსის ქმარი იქნებოდა?

— ისაო.

— შენც რო ამდენს გიბედავს!.. იმას ვამბობდი: დილითვე მოვრჩით საქმეს. კაცს ვუთხარი, შეაბი ცხენი და ბარემ შინ წავიდეთ-მეთქი. რას არაკუნებ, ქალო, ცხენი რო დამესიცხოს, შენ შეებმები გუთანში და შენ მატარებ ალმადალმაო. ხო იცი, როგორი გაიჭერაც ბრძანდება, ლაპარაკი კიდევ მთლად გარდი-გარდმო იცის... კინაღამ გულიდან გადამივარდა: ნიკა ბენიძემ მანქანა რო დაკარგა, უპოვნე?

— იმ დღესვე, — ამოიხვნეშა ინსპექტორმა.

— ვის მოძულებოდა მზეში სიარული?

— სიძეს წაელო. მთვრალი იყო ნიკა, გონში ვერ ჩავაგდე, არადა, ძალიან მჭირდებოდაო.

— ამ ბოლო დროს ძაან თავს გაუვიდათ სიძეებს!.. ჰო, მოშუადღევებული არ იყო, დამწვრისა რო გააბა ჭრიჭინამ; ცხენზე შეჯდა არჩილა, მაინც არაფერს ვაკეთებ, არხზე ჩავალ, ამასაც ვაბანავებ, მეც გავგრილდებიო. წავიდა. იმისი წასვლა და ონეს მოსვლა ერთი იყო. ონეს ადამოც მოჰყვა მაშინვე, ბაყილოს ჩრდილს შეეფარნენ. ვენახს ძირს უთოხნიდა გაბო, ონემ დაუძახა, გამოდი, კაცო, მზემ არ დაგკრას და შენ არ შეიტყაპუნო ამ წლის მოსავალიო. გაბომ: ეს ერთი მწკრივიღა დამრჩა, ბარემ გამოვიყოლებ და გამოვალო. გამოხვალ, აბა, მანდ კი არ დარჩები, მაგრამ აი ღვინო გაგვითბება და მე იმისი მცხელაო. ხო იცი, გიგოვ, იმ ბაყალს ქვეშ ვსამხრობთ ხოლმე მომიჯნავეები. ტომრიდან ვედროში გადავამხე ლობიო და მეც იმათთან გაველ, თან ლაპარაკით გავერთობი, თან ლობიოს დავგულავ-მეთქი. არჩილა სად არისო — ონემ. ვუთხარი. მაგის დაკაცებას საშველი აღარ დაადგაო — ადამომ... გაბოს იმ ვენახს თვალს ვერ გაუწვდენ სიგრძივ, დასათვალიერებლად ავლაჩამოვლაც დაგღლის.

— ვიც

— გეცოდინება. მოუბრუნდა გაბო ბოლო მწკრივსა... მაცივარში ცივი წყალი გექნება.

— „ბორჯომს" ხომ არ დალევ?

— წყალი მირჩევნია.

ინსპექტორმა გრაფინი და ჭიქა გამოიღო მაცივრიდან. თითქმის გაავსო ჭიქა; ისე გააქან-გამოაქანა ხელში, ნახევარი იატაკზე დააქცია, დანარჩენი ღია ფანჯარას შეასხა, მერე გაალიცლიცა და მიაწოდა.

სვენებ-სვენებით დალია ნაზომ:

— არც ეგეთი ცივი ვარგა!.. „ბორჯომი" ამასავით ვერა კლავს წყურვილს.

— ახლა არჩილასა ჰკითხე? — გრაფინი და ჭიქა ისევ მაცივარში შედგა ინსპექტორმა, მერე სინათლე ჩართო, — სამაგიეროდ თავის ტკივილსა კლავს ნაბახუსევზე.

— გაბოს ვენახი ისეა დატკვეფილი, ჩემმა დამთხვეულმა ქმარმა, ხუთ ტონას დაურტყამსო. მაგდენს ვერ ასწევსო — ადამომ. დანიძლავდნენ... რათ გინდა ამოდენა ნათურა, ყურები გეწვის სიცივით?

— რაზე დანიძლავდნენ? — დაინტერესდა ინსპექტორი.

— ორმოცკაციან პურმარილზე. ოღონდ, არჩილამ, ღვინის ქარხნისას ვერ ვენდობი, კოლექტივის სასწორზე უნდა ავწონოთო.

— ეგ კი კარგათ მოუფიქრებია! არც ჩვენია სანდო, მაგრამ იმასთან — რა შედარებაა!

— მაშინ, ჩემმა ქმარმა გაბოს უთხრა, ბალღები ჩამოგივლენ — ჩემს ვენახში შელალავ, მორჩევითაც ჩემსაში მოარჩევ ყურძენსაო. არაო, მაგ გადასახადს მეორე ვენახს შევაწეროო... როგორ დამთავრდა ის საქმე, გიგოვ, დაიმალე გოგიას მარგილით რო გამოსდგომია ქვისლი?

— შევარიგე, — ინსპექტორმა სკამიანათ გაიწია ფანჯრისკენ.

— რათ ვიმეტებდი ეგრეო?

— ცოლი შეუგინებია.

— ნეტა დასწეოდა! ხო ეგეთი სიცხეა, გაუნელებელი, ორმოცი თონეც დასჭირდებოდათ, სულ მე — ჩავკრავდი საქელეხო პურსა!.. მერე, ჩემო მაზლო, ბოლო მწკრივი გააშუალა გაბომ და შიოც მოეხირა თავისი მანქანითა, — წამოდგა ნაზო, — აესე გადმოვიდა, — ვითომ გაიჭიმა ეს ჩამრგვალებული დედაკაცი, გრძელი ნაბიჯით გააბოტა, — გამარჯობათო და თავისეული ვენახისკენ წავიდა. მაშინ გაბოს იმ მშვენიერ ქოხში, ტახტზე ვიყავი ჩამომჯდარი, იქა ვგულავდი ფიჩხის ლობიოს. ისე გავოცებულვარ, თურმე მარცვალს დაბლა ვყრი, ჩენჩოს — ვედროში! თვალი მოატარა შიომ ვენახს — ხალხი ამბობდა, გაბოს რომ აქვს, იმისთანა მსხომიარე ვენახი მეორე არ იქნებაო და, მართალი უთქვამთო. წამოვიდა მერე და, ბაყილოს გრილოში დადგა... ისეთი მტევანი აყრია იმ დალოცვილ ვენახს, აბა, რაღა ვთქვა... კუმსი და ეგეთი?!

— ვნახე, მართლაც იშვიათი რამეა!

— ეტყობა გვიან დაინახა გაბომ, კაკლის გრილოდან გადიო, უყვირა. შიომ ისე მოაჩვენა თავი, ვითომც სხვას ეუბნებოდნენ, ისაო, ჭკუა არა მქონდა, თორემ ამ ვენახს როგორ დავთმობდიო. გადი გრილოდანო — ისევ უყვირა. ეგეთ უგემურ ხუმრობას როდის მოიშლიო, წაუტუტუტურა შიომ. მშვიდად გამოვიდა გაბო ვენახიდან, მშვიდად მიუახლოვდა შიოს და უცებ, ჩემო მაზლო, უცებ ისეთი გაარტყა, ეგრე მიწას მოსხლეტილი და დაცემული კაცი არ მინახავს! ან სად და როდის ვნახავდი, რა ვიცი! ეს რა ჰქენიო, გაბოს ხელი ჰკრა ონემ, წამოსაყენებლად მივარდა შიოს, მაგრამ გონი დაკარგვია და რას წამოაყენებ?! ვანჯღრევთ, ყურებს ვუსრესავთ, საქმეში ხარ, ვერ მოვასულიერეთ ვერაფრით! ვიშვიშით შევვარდი ქოხში, კოკა ამოვიღე ორმოდან, მივათქრიალე წყალი და იმით დავაბრუნე სააქვეყნოში. მთელი იმ ხნის მანძილზე ნაბიჯი არ მოუცვლია გაბოს, შელოცვილივით იდგა და კაკალს უყურებდა ერთთავად. ისე გაერტყა, აგრემც

იმ მადლიან მარჯვენაში ვენაცვალე, ყვრიმალიც გახეთქილი ჰქონდა, ცხვირიც ჩაჭეჭყილი, მთლად სისხლად იყო გაღვრილი. ის ვეება ხელი გამეტებით რო მოხვდებოდა, სხვა რა სიკეთეს დააყრიდა!

— მარტო ერთი გაარტყა? — წამოდგა ინსპექტორი, — დავიწვი სიცხით!

— კიდევ გაერტყა, რა გაუმაძღრობა იყო!.. მალამოსავით დამედო გულზე... კარი გააღე, გავნიავდეთ, — შუბლიდან შიშველი მაჯით მოიშორა ოფლი.

— ხმა გავა... არაფერი თქვა შიომ?

— სადღა ჰქონდა ლაპარაკის თავი, იდგა მზეში და ქანაობდა. მერე მანქანისაკენ რო წარაწრაცდა, ხელი შეაშველა ადამომ. იუკადრისა — იდაყვი გაუქნია... წითლად ჰქონდა მოთხვრილი შარვალ-ხალათი. მანქანაში რო შეცოდვილდა, მაშინ ჩაილუღლუღა, დედას გიტირებო. ხტუნვა-ხტუნვითა და რწევა-ტორტმანით წაიყვანა მანქანა, ან ღობეს გაიტანს, ან რაღაცას შეასკდება-მეთქი: ხეა, ქოხია, ყორეა, გზაა!... ბედი მაგან უნდა დაიკვეხნოს — არ შესკდომია!

— გასაგებია ყველაფერი, — კისერთან, ხალათის შიგნით ცხვირსახოცი ჩაიფინა ინსპექტორმა, — რაც მომიყევი და როგორც მომიყევი, ისევე უნდა დაწერო ქაღალდზე, — მაგიდისკენ წავიდა.

— კიდევ რა გნებავს? — წამოხტა ნაზო.

— ახლა არ თქვა, არაფერი მითქვამსო! — ჩაეღიმა ინსპექტორს.

— შენა, მამაუფალმა ხომ არ ჩამოგაკითხა?! დაწერეო! გაკრული ხელით დავწერო თუ ჩავაკიწკიწო? — ხმა გაიწვრილა ნაზომ.

— ხომ თქვი, გაარტყაო?!

— აბა, რას ამბობ? მე ისა ვთქვი, გაბო რო დაინახა, შეეშინდა, მანქანაში ჩასაჯდომად მოტრიალდა და იქვე, ქოხის ბოძს შეასკდა-მეთქი. ასე იყო, დიიახ, ასე იყო!

— მაშინ მაგრევე დაწერე, მაინც ვერაფერს გაგაგებინებ და თავი რაღაზე ავიტკიო, — მაგიდის უჯრა გამოაღო, — ახლავე მოგართმევ ქაღალდსა და საწერ-კალამს.

— ეხლა ვერ დავწერ. იქ თუ არ დამინახა არჩილამ, თავს ჩაიხრჩობს ღვინოში. მერე, გაბოს წვრილფეხობაც მისახედია, ჩემიც. აიშლებიან და, ჯამჭურჭელიც. ხვალ ამოვალ და ხვალ დავწერ.

— კარგი, — მაგიდის უჯრა მიხურა ინსპექტორმა, — წადი და თორმეტ საათზე ამოდი. ხათრს რა ვუთხრა, თორემ!.. დაუნალავი სახედრისა არ იყოს, არც ხათრიანი კაცი ვარგა... რაღას უყურებ, ჩემო რძალო, წადი. ახლა ამ სიცხეში სიკვდილია ნაღდი ღვინით დათრობა. დიდი სასმისებით დალევა არავის დაანებო. ქამრიანი ჰიქები რომ აქვს გაბოს, ისინი ჩამოურიგე ყველას. შენს ქმარს, არჩილას, ერთი უღელტეხილი აქვს, იმას თუ გასცდა, ლიტრიან ყანწზედაც გადადის ხოლმე. არაფრით არ აუშვა იქამდე. ისე არ მოხდეს, პატარა ბიჭის მოსვლას გაუმარჯოსო, გადაირივნენ და გაზრდილი კიდევ — წავიდეს. შემდეგ...

ვიღაცამ შემოაღო კარი. მიიხედეს: ადამო დავითური იყო.

— შეიძლება?

— შემოდი, — ხელი დაუქნია ინსპექტორმა, მერე ისევ ნაზოს მიუბრუნდა, — ასე, ამხანაგო ნაზო, როგორც გითხარი — კანონს პატივი უნდა ვცეთ. ვინმეს არ ეგონოს, თითქოს მარტო ჩემი მოვალეობაა ეგეთი რამე. გაიგე?

— მშვენივრად გავიგე, — მიდის და მიბუტბუტებს, — ჩემი დედამთილი კიდევ მეუბნებოდა, გაუგებელი ხარო.

— მოიცა, ნაზო, მეც მოვდივარ! — დაუძახა ადამომ.

ალბათ ველარ მიაწვდინა ხმა — არ გამოპასუხებია ნაზო.

ადამომ შარვლის უკანა ჯიბეში ı. ყო ხელი, ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო:

— აჰა, როგორც იყო, ისე დავწერე. ხო იცი, პატიოსანი კაცი ვარ და არც უკუღმა ლაპარაკი შემიძლია, არც სიტ-

ყვის გადაბრუნება... ყველაფერი ზუსტად სწერია მანდ. თუ უფრო დაწვრილებით გინდა, სხვა დროს დაგიწერ.

ინსპექტორმა გაშალა ქაღალდი და თავისთვის ჩაიკითხა: „ამ წლის 5 აგვისტოს, თბილისის დროით 12 საათსა და 14 წუთზე, როგორც ამას ჩემი ზუსტი საათი უჩვენებდა, ნამუხნარის გადასწვრივ, მომიჯნავეების: ჩემი (ადამო დავითურის) ონე სანოძისა და ნაზო ბერიკაშვილის თანდასწრებით, მოქალაქე გაბო მეგუთნიშვილმა ამხანაგ შიო ესეშვილს შემოჰკრა თავისი ვენახის გასადევარში, ქოხთან, და საზიანოდ მოუნგრია ყვრიმალი, ცხვირი და ზედა ტუჩი. ასე მგონია, გაბოს ეგონა, თავისეულ ვენახს პატივცემულმა შიომ იმიტომ დახედა, წართმევას მიპირებსო, თორემ ჩემი შეხედულებით კაცს იმიტომ გაარტყა გამეტებით, ჩემი კაკლის გრილოში რათა ხარო, იმასა ჰგავს, მიზეზმიზეზ დოს მარილი აკლიაო. ძაან შემეცოდა პატივცემული შიო, განათლებული ამხანაგი მაინც არ იყოს. იმდენი სისხლი დაკარგა, სისხლის ნაკლებობა დასჩემდეს, აღარც გასაკვირია, ღმერთმანი. როგორც კი წაიქცა, იმ წუთშივე გული წაუვიდა ამხანაგ შიო დათიას ძე ესეშვილს. წყალი არ გვეპოვნა შემთხვევით, იქნება აღარც კი მობრუნებულიყო საჩვენოში. მერე ამხანაგი შიო თვითონ ჩაჯდა თავის კუთვნილ მანქანაში და, როგორც შემდეგ გამოვიდა ხმა, თვითონვე, თავის ძალ-ღონით ჩაბრძანებულა რაისაავადმყოფოში, რაც აშკარად მიგვანიშნებს მის თავმდაბლობასა და მშრომელი ადამიანების შეუწუხებლობაზე კაცთმოყვარეობის მხრივ. მეტი არც არაფერი მომხდარა, არც არაფერი დამინახავს. დაწერილია ჩემი ძირითადი სურვილით, რაზედაც ხელს ვაწერ კოლექტიური შრომის აქტიური პენსიონერი ადამა სოლიას ძე დავითური“.

ინსპექტორმა ქაღალდი მაგიდაზე დადო და დააჩერდა.

— მივდივარ, გიგო, — ისევ კარებთან იდგა ადამო.

— ჩქარა წადი, ღორმა არ მიგასწროს!

— არ მეჩქარებოდეს, არც შეგაწუხებდი.

— საით გაგიწევია?

— გაბოს ძეობა აქვს და, არ მოხვიდე, მეწყინებაო.

— რაო?! — წამოჭარხალდა ინსპექტორი.

— მომიჯნავეა და, არ წავიდე, უხერხულია... ეგ კიდევ... ორივე ჩვენებურია და, რაკი ერთ-ერთი უნდა გაიჭყლიტოს, პატიოსნების ნიადაგზე ისევ სიმართლის თქმა ვამჯობინე. წავიდე?

— წადი და ხვალ, თორმეტ საათზე ამოდი. ჰმ?! — თავი გააქნია.

— ამოვალ.

კარი რომ გაიკეტა ადამომ, ინსპექტორმა გაშლილი ხელი გამეტებით დაარტყა მაგიდაზე დადებულ ქაღალდს, ნერვიულად მოჭმუჭნა, ხელუკულმა გაისროლა ღია ფანჯარაში და დაკეტილ კარს შეხედა:

— თფუი, შენი ჯიში!.. ჯიში კი არა, უჯიშობა!.. მამაც ეგეთი არაკაცი ჰყავდა ამ შობელძაღლს, მამაცა და პაპაც, მე ამისი სუყველაფერი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან აბშილავა

# დიდი ექსპერიმენტი პატარა ქალაქში

## ექსპერიმენტი. — არსი და რაობა

„...რიცხვს მხოლოდ მაშინ აქვს წონა, როდესაც იგი გაერთიანებულია ორგანიზაციით, და როცა მას ცოდნა ხელმძღვანელობს“.

კარლ მარქსი

ფოთის ექსპერიმენტის არსისა და მნიშვნელობის თაობაზე მრავალგზის აღინიშნა ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში, პლენუმებსა და აქტივის კრებებზე. ბევრი დაიწერა საკავშირო თუ რესპუბლიკურ პრესაში, გამოიცა სპეციალური ბროშურა, საქართველოს ტელევიზია და რადიო სისტემატურად აშუქებს ამ სიახლეს.

შევეცდები, მრავალგზის თქმული არ გავიმეორო, მაგრამ საბუთებსა და ფაქტებს ხომ ვერსად გაექცევი კაცი. თუნდაც ამ დოკუმენტებს:

„...ქალაქის მრეწველობა ხუთწლედის სამ წელიწადში გამოუშვებს 533 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქციას. ეს გეგმიურზე 35,6 მილიონით მეტია. გეგმიური 105,8 პროცენტის ნაცვლად სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი 121 პროცენტს გადაამეტებს.

შრომითი კოლექტივების მაღალი ენთუზიაზმისა და თავდადების შედეგად სამრეწველო პროდუქციის წარმოების სამი წლის გეგმა 18 ოქტომბრისათვის შესრულდა.

რიტმულად ასრულებდნენ საწარმოო დავალებებს საოკეანო თევზჭერის სამმართველო, ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი ქარხანა, ხორცისა და რძის კომბინატი, ქარხანა „ფოთიელექტროაპარატი“, წისქვილ-ქარხანა, წყალსადენ-კანალიზაციის სამმართველო, ტრესტი „კოლხეთმშენი“ და სხვ.

1983 წლის ათ თვეში გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 20,6 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, ზრდის ტემპმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 111,6 პროცენტი შეადგინა. მოგების წლიური გეგმა შესრულდა ათ თვეში, 3 კაპიკით შემცირდა დანახარჯი 1 მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე, 19 კაპიკით გაიზარდა ფონდუკუგება.

შთამბეჭდავია ფინანსური შედეგები — გადარიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტში გადიდდა 38,2 პროცენტით, მათ შორის, საკავშიროში — 41,7 პროცენტით.

გეგმების რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია მიწოდების ვალდებულებათა შესრულებაში მოპოვებული წარმატება. საანგარიშო პერიოდის დასაწყისში იგი თუ 93,2 პროცენტს შეადგენდა, 10 თვის შედეგებით 98,9 პროცენტამდე გაიზარდა. ეს 5,7 პუნქტით მაღალია, ვიდრე რესპუბლიკის მრეწვე-

---

მწერალმა ამირან აბშილავამ საქართველოს მწერალთა კავშირის მივლინებით ორ წელიწადზე მეტი დაჰყო ფოთში.

ფოთელთა საინტერესო წამოწყებას მიეძღვნა მისი პუბლიცისტური ნარკვევი „მოვდივარ ფაზისიდან“.

მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე თავს ამ წიგნიდან.

ლობის მიერ მიღწეული დონე. ამ მაჩვენებლის ყოველდღიური კონტროლისა და ანალიზის შემუშავებული სისტემა მისი შემდგომი გაუმჯობესების რეალურ შესაძლებლობას იძლევა" (საქართველოს კომპარტიის ფოთის ორგანიზაციის 45-ე საქალაქო კონფერენციის მასალებიდან).

ამჯერად საგანგებოდ შევჩერდით დოკუმენტებზე, რომლებიც მხოლოდ ძიების შედეგს გვაუწყებენ. შედეგი კი, როგორც ხედავთ, თვალსაჩინოა, — თუმცაღა ექსპერიმენტი აგერ ახლახან დაიწყო.

როგორ მოხდა ეს?

ყველაფერი დროისა და ცხოვრების კარნახით ხდება ხოლმე. ჭკვიანი ადამიანები ყოველთვის და ყველა დროში ყურად იღებდნენ ამ კარნახს, ემორჩილებოდნენ მის რკინისებრ ლოგიკას.

„...ყოველი საზოგადოების სახეს განსაზღვრავს საბოლოო ანგარიშით მისი საწარმოო ძალების განვითარების დონე, წარმოებითი ურთიერთობის ხასიათი და მდგომარეობა. ჩვენს საზოგადოებრივ განვითარებაში ახლა უკვე მივადექით ისეთ ისტორიულ მიჯნას, როცა არა მარტო მომწიფდა, არამედ გარდუვალიც გახდა საწარმოო ძალების ღრმა თვისებრივი ცვლილებები და ამის შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფა. ეს უბრალოდ ჩვენი სურვილი კი არ არის, ამხანაგებო, ეს ობიექტური აუცილებლობაა, და, როგორც იტყვიან, უიმისოდ ფონს ვერ გავალთ..." (ამონაწერი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მოხსენებიდან).

დიახ, ვითარებამ და საჭიროებამ მოამწიფა აზრი — მონახულიყო ეკონომიკაში დარგობრივი და ტერიტორიული ინტერესების შეხამების ოპტიმალური სქემა. საპრესტიჟო ვარიანტის შემუშავება კი, თავისი პრობლემურობისა და მასშტაბურობის გამო, არა თუ ფოთის, ქვეყნის ნებისმიერი ქალაქისთვის იყო აქტუალური და თანაც ერთობ სარისკოც.

ადამიანები ფიქრობდნენ, მსჯელობდნენ, პაექრობდნენ, ეძიებდნენ...

ბოლო ათი წლის განმავლობაში რესპუბლიკაში ჩატარებულ ყველა თავყრილობას წითელ ზოლად გასდევს ეს ურთულესი პრობლემა. ძიების ატმოსფეროში სუნთქავდა და ყალიბდებოდა რესპუბლიკის აქტივი. ბუნებრივია, მხოლოდ და მხოლოდ ასეთ ვითარებაში შეიძლებოდა ახალი, ორიგინალური აზრის დაბადება. აგროსამრეწველო ექსპერიმენტის იდეაც ხომ ასე დაიბადა?!

ერთი სიახლის წარმატებამ მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი თაოსნობა შვა და გადაწყდა: ამჯერად ფოთში ჩატარებულიყო სამეურნეო ექსპერიმენტი.

რატომ მაინცდამაინც ამ ქალაქში? — ამ კითხვას მრავალგზის უპასუხეს რესპუბლიკის ხელმძღვანელმა პარტიულმა თუ სამეურნეო მუშაკებმა, ეკონომისტებმა, სოციოლოგებმა და ჟურნალისტებმა, და, რაკი იგი საკმაოდ ცნობილია ფართო საზოგადოებრიობისათვის, გამეორება, სხვა რომ არაფერი, უხერხულიცაა, თუმცა, ცოტა ღრმად თუ ჩავუკვირდებით, — სხვა პასუხებიც მოიძებნება.

ვიდრე ამაზე მოგახსენებდეთ, კიდევ ერთი შემხვედრი კითხვის დასმა მოგვიწევს: რატომ ჩამორჩა ფოთი კეთილმოწყობისა და კომუნალური მომსახურების დონით შავი ზღვისპირეთის სხვა ქალაქებს? მის ტერიტორიაზე ხომ ოცდაათზე მეტი სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებას დაქვემდებარებული საკმაოდ მძლავრი ეკონომიკური პოტენციის საწარმოა განლაგებული?!

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი სარგებლობდა და სარგებლობს ყველა სიკეთით, რაც ქალაქს გააჩნია, სამაგიეროს სარგებლით არ იწუხებს თავს, არც შეუძლია — ასეთი რამ ხშირად კანონის დარღვევადაა მიჩნეული. თითოეული საწარმო, თითოეული ორგანიზაცია თავის უწყებრივ ინტერესებს იცავს და მხოლოდ და მხოლოდ თავისი უშუალო ზემდგომი ორგანოების წინაშე გრძნობს თავს ვალდებულად.

ასე რომ, მარტო ფოთი კი არა, საერთოდ, ყოველი პატარა ქალაქი წარმოადგენს სპეციფიკურ სოციალურ-ტერიტორიულ რეგიონს, რომლის შესაძლებლობებსა და თავისებურ ინტერესებს სამინისტროები, უწყებები ყოველთვის როდი უწევენ ანგარიშს.

მაგალითად, იზრდება წარმოება — ქალაქს, რასაკვირველია, ემატება საზრუნავი, ემატება ელექტროენერგიის, წყლის, კომუნალური, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა თუ სხვა ხარჯები.

— მე ვიხდი ყოველივე ამის საფასურს, კეთილი ინებე და მომემსახურე, — კატეგორიულად მოითხოვს წარმოება.

— საიდან? რა საშუალებით? ჩემი გეგმა და ბიუჯეტი განსაზღვრულია მხოლოდ არსებული, მოქმედი კომუნიკაციების ქსელით, — პასუხობს ქალაქი.

სპეციალისტები ასე განმარტავენ ამ შეუსაბამობას: ქალაქის სოციალური ინფრასტრუქტურა არ შეესაბამებაო მის საწარმოო პოტენციალს. ათეული წლობით გრძელდებოდა ასე, მრავალი უწყება ამჟამადაც ასე განაგრძობს.

კუთხურ-ნაციონალურ შეზღუდულობად ნუ ჩამომართმევთ, რამდენიმე მაგალითსაც თუ მოვიხმობ ამის უტყუარ საბუთად.

ნავსადგურის სხვა შემოსავალზე რომ არაფერი ვთქვათ, აქ ყოველწლიურად, შვიდასამდე უცხოური ხომალდი მარაგდება ადგილობრივი მტკნარი წყლით, კერძოდ, სოფელ ნოსირიდან, რომელიც ორმოცი-ორმოცდაათი კი-

ლომეტრითაა დაშორებული ქალაქთან.

უნიკალურ ტბასთან — პალიასტომთან კარგა ხანია მუშაობს ტორფის მომპოვებელი ქარხანა. კი, ბატონო, იქ ერთ კარგ საქმეს აკეთებენ, — ამოაქვთ სოფლის მეურნეობისათვის ეგზომ საჭირო ნედლეული, მაგრამ რად გინდა, — მეორეს აფუჭებენ, — უზარმაზარ პირღია ორმოებში ჭაობები დგება, რის შედეგადაც კვლავ მოეძალა კოლო, კოლხეთის ეს დაუძინებელი მტერი. არადა, რამდენი წელი, რამდენი ფული და ძალ-ღონე შევალიეთ მის დამარცხებას... ქალაქის სალაროს იმედით კი ყოვლად წარმოუდგენელია ამ დიდი პრობლემის მოგვარება.

რიონზე ჰიდროელექტროსადგურების კაშხალების მშენებლობამ მნიშვნელოვნად შეამცირა მყარი ჩამონატანი, რამაც ზღვის ნაპირის ინტენსიური მორეცხვა და ქალაქის საუკეთესო ადგილების დაკარგვა გამოიწვია. სტიქიის მოთვინიერებას დღეს ათობით მილიონი მანეთი სჭირდება!

საიდან?!

ვერც მდინარე კაპარჭინა ეგუება ახალ კალაპოტს, — ნაჩვევ გზას ვერ თმობს და ყოველ წყალდიდობისას დიდი ზიანიც მოაქვს... არც მისი ჭკუაზე მოყვანა დაგვიჯდება იაფი;

რიონის კალაპოტიც ამოსასუფთავებელია... რა სახსრებით?! — ქალაქის სალარო აქაც ძალზე მოკრძალებულია.

მრავალი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლებოდა კიდევ, მაგრამ თავი შევიკავოთ, ანალოგიებით საუბარი გაგვიგრძელდება მხოლოდ (სამწუხაროდ, ამდაგვარი ჩიხში მოქცეული პრობლემები მარტო ფოთელებს როდი აღელვებთ).

ფოთის ქარხნებში დამზადებული პროდუქცია კი — ფრთოსანი ხომალდები, მიწისმწოვები, ელექტროძრავები თუ სხვა დანადგარები, საოკეანო თევზჭერა და თვით ნავსადგური, არამცთუ ჩვენი ფულით, ვალუტითაც ათეულ მილიონობით შემოსავალს იძლევიან... თავად ქალაქი კი, დაზრდილ დაზულუქებულ შვილთაგან უყურადღებოდ მიტოვებულ, წლებით მოტეხილ მამასავით გამოიყურება.

წლითიწლობით გადაუწყვეტელი რჩება ქალაქისათვის ეგზომ სასიცოცხლო მნიშვნელობის მრავალი პრობლემა, რომელთა მოუგვარებლობას დილეტანტი ადგილობრივი ხელისუფლების უთაურობას აწერს მხოლოდ.

დილეტანტს თავი გავანებოთ და, შესაძლოა, ზოგიერთმა საქმეში ჩახედულმა კაცმაც მითხრას, — ხომ არსებობს ამდაგვარი საკითხების გადაწყვეტის გზა წილობრივი მონაწილეობის წესით? — კი ბატონო, არსებობს, — ახე შენდება, მაგალითად, ქალაქის სამეურნეო ფეკალური კანალიზაციის კომპლექსი, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ ამ იდეის ხორცშესხმას სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის სპეციალური დადგენილება დასჭირდა!.

სახელდობრ, — „აზოვ-შავი ზღვის აუზის გაბინძურებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“.

ბოლობოლო, ყოველი ამდაგვარი პრობლემის მოსაგვარებლად ზემდგომი ორგანოების სისტემატური შეწუხება, ყოველდღიური ხელისგაწვდომა, სხვა რომ არაფერი, — უხერხულიცაა.

აი, ასეთი ვითარება შეიქმნა ქალაქში.

სურათი თითქოს ნათელია, თითქოს კომენტარსაც არ საჭიროებს, მაგრამ როცა ყოველივე ზემოთქმული პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ბაკურ გულუას გავუზიარე, მან პირდაპირ მითხრა:

— თქვენ, ბატონო ამირან ნუ მოიწყენთ და, შეუსაბამობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გამოგრჩენიათ: აქცენტს ამახვილებთ ფულზე, ფინანსებზე. აი, ვთქვათ, მოგცეს ეს ფული, იმავე წყლის, ელექტროენერგიის და სხვა კომუნალური ხარჯები გნებავთ ხუთმაგად გადაგიხადეს. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ლიმიტზე რა ვქნათ? ფულით ლიმიტს არ იძლევიან!

თქვენ ახსენეთ წილობრივი მონაწილეობის წესი. დიახ, ასეთი წესი არსებობს. მაგრამ ეს, იცით, რას ნიშნავს? — ოცდაოთხი საათი უნდა იდგე საკავშირო ორგანოების წინაშე. რომც არ მოგისმინონ, სამდურავს ვერ იტყვი: მართლაც და, თურქმენეთის, ყარაყუმის უდაბნოების საუფლო სახელმწიფოში ფოთელ კაცს ვინ დაუჯერებს, რომ სასმელი წყალი აკლია!

მე მხრებს ვიჩეჩავ: ასე რომ, „წყალში ვდგავართ ცეცხლი გვიკიდია!“

— ასე გამოდის, — განაგრძობს ბაკურ გულუა, — სათანადო მასალების ლიმიტი თუ არა გაქვს, ფულის ამარა რას გააწყობ?! ასიგნაციებით ქუჩაზე ასფალტს ვერ დააგებ, ბიტუმია საჭირო. საცხოვრებელ სახლებს ვერ ააშენებ, — მასალაა საჭირო, წარმოებას ვერ გაზრდი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე. ექსპერიმენტმაც იმიტომ მოაკითხა ფოთს, რომ მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებმა უკვე კატეგორიულად მოითხოვა ქალაქის შიდამამოძრავებელი მექანიზმის სრულყოფა, მის ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოებათა მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაწონასწორება და არა, ზოგიერთ საქმეში ჩაუხედავს რომ ჰგონია, — მოგების არითმეტიკული განაწილება!

ერთობ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ქალაქის არასახარბიელო მდგომარეობის გა-

მოსწორების გზები და საშუალებები უაღრესად დიდი სახელმწიფო პრობლემების გადაწყვეტას ემთხვევა, — ასკვნის გულუა.

კიდევ სხვა რა საბაბ-მიზეზით შეირჩა საექსპერიმენტოდ ეს ქალაქი?

ყოველ ადამიანს თავისებური ხასიათი აქვს. თუ არ ვცდები, ქალაქებიც ასეა. ფოთელები უბრალო, მაგრამ თავმოყვარე ხალხია და თავიანთი ქალაქიც გამორჩეულად უყვართ. ეს, უპირველეს ყოვლისა, მათს მოქალაქეობრივ პოზიციაში ჩანს და ცხადდება. საგულისხმოა, რომ, როცა გაუჭირდათ, დახმარებისათვის სახელმწიფოს კი არ გაუწოდეს ხელი, — თავად გამოძებნეს არასახარბიელო მდგომარეობის გამოსასწორებელი გზები.

და, სხვა ღირსებებთან ერთად, ფოთელთა ეს პატრიოტული განწყობილებაც იქნა გათვალისწინებული.

ყველა ყველა და, ამდაგვარი ექსპერიმენტები. საერთოდ, ქვეყნის ბიუჯეტსაც საგრძნობლად გაზრდის, თურმე. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, გაიზრდება საერთო-საკავშირო ეკონომიკური პოტენციალის ზრდაში რესპუბლიკის ხვედრითი წილიც.

ყველა ზემოჩამოთვლილი მოტივ-საბაბი საგულდაგულოდ შეისწავლა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ და მხარი დაუჭირა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტისა და აღმასკომის წინადადებას — ქალაქში განლაგებულ წარმოება-დაწესებულებათა ადმინისტრაციულ-მმართველობითი პერსონალის ხარჯზე ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების შექმნას.

გაერთიანების ძირითადი მიზან-დანიშნულება ტერიტორიული და დარგობრივი მართვის ოპტიმალური შეხამება, რათა ქალაქის ყველა შრომითი კოლექტივი, მიუხედავად მისი დაქვემდებარებისა, მინიმალური დანახარჯებით უთუოდ ასრულებდეს სახელმწიფო გეგმებსა და ნაკისრ ვალდებულებებს. ამ ამოცანის შესასრულებლად იგი აბეზარი მრჩევლის ან მორიგი კონტროლიორის როლში კი არ გამოდის, არამედ ორგანიზაციას უკეთებს ცოცხალ საქმეებს, თავის თავზე იღებს მრავალ გადაუწყვეტელ დარგთაშორის ფუნქციას, — თვით დარგთაშორისო დანიშნულების პროდუქციის გამოშვებასაც კი.

ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების მუშაობა ძირითადად ეყრდნობა ე. წ. დამატებით პრინციპს. ე. ი. ერთ საერთო ჯამში თავი უნდა მოუყაროს ადგილზე მდებარე წარმოება-ორგანიზაციების ყველა ეკონომიკურ ეფექტს, რომელიც შეიქმნება მისი (გაერთიანების) ზემოქმედების გზით.

გაერთიანების წამყვან ეკონომიკურ ბერკეტად ეკონომიკური სტიმულირების ცენტრალიზებული ფონდები გვევლინება, რომელთა შექმნა მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის სახალხო მეურნეობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაშია შესაძლებელი.

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ადგილობრივ საქალაქო ბიუჯეტს დაემატა შემოსავალ-გასავლის ახალი სტროფი, — მოგების თავისუფალი ნაშთის 10 და 50 პროცენტის ანარიცხები. ამ აქციით ბიუჯეტი დაუკავშირდა ქალაქში განლაგებულ საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკურ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოღვაწეობას, რამეთუ, ზეგეგმიური მოგების მიღება შეუძლებელია, თუ არ შემცირდა წარმოების თვითღირებულება, ანუ წარმოების დანახარჯები. არამწარმოებლური ხარჯების შემცირება, საბანკო ჯარიმების მინიმუმამდე დაყვანა, საერთოდ, უნარჩენო ტექნოლოგიის დანერგვა, რასაკვირველია, გულისხმობს ეფექტიან მუშაობას. ამ დამატებითი ეფექტის გარეშე ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება ვერ იარსებებს.

დამეთანხმებით, ამდაგვარი აქცია სახელმწიფოსათვის, ქვეყნის ეკონომიკისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში უთუოდ თავის სიტყვას იტყვის, რადგან — ერთი მხრივ ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების დაინტერესება წარმოების დანახარჯების შემცირებით, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს დაინტერესება ამავე ამოცანით, — მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგების მოპოებით, ეს უკვე სახელმწიფო. დარგობრივი და ტერიტორიული ინტერესების შეხამების საფუძველი გახლავთ.

ძირითადად ამ ფაქტორშია სიახლის არსი.

აქვე უნდა დავძინოთ: დამატებითი ეფექტი, რომელიც ამ ვითარება-საქმიანობით იქმნება — გახლავთ ფულადი და ნივთიერი მაჩვენებლები, ე. ი. ზეგეგმიური თანხობრივი მოგება და დაზოგილი მატერიალური რესურსები, რაც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ამ უპირველესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანის გადაჭრის რეალური გზაა.

ეს რაც შეეხება შემოსავალს.

ახლა ვიკითხოთ, როგორ ხდება ამ დამატებით მიღებული თანხების გამოყენება?

რაკი ექსპერიმენტია, — ამ თანხების გამოყენების საკავშირო, საყოველთაოდ მიღებული კანონ-წესი არ არსებობს, ამიტომ დღესდღეობით რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მითითებით, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი რეზერვებიდან გამოყოფს შესაბამის ლიმიტებს. ხოლო, როცა ამ თანხების გამოყენების ოპერაცია სათანადოდ დაკანონდება, ადვილი წარმოსადგენია მისი ეფექტიც.

ცხადია, გაერთიანებისა და საწარმოთა ამგვარი საფინანსო ურთიერთობა (თუ შეიძლება, ასე ითქვას) რეალურ საფუძველს ქმნის საიმისოდ, რომ:

— მივაღწიოთ შრომითი კოლექტივების მაღალრენტაბელობას;

— განვახორციელოთ ქალაქის საწარმოო პოტენციალის გამაძლიერებელი მასშტაბური ღონისძიებები;

— კოორდინაცია გავუწიოთ და კოოპერაციის საფუძველზე გავაერთიანოთ სხვადასხვა უწყებას დაქვემდებარებული კოლექტივების შესაძლებლობები ურთიერთხელსაყრელი საქმის მოგვარების მიზნით. მაგალითად, სასურსათო პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად დავამყაროთ კავშირი მეზობელი რაიონების აგროსამრეწველო კომპლექსებთან;

— კოორდინაცია გავუწიოთ სასურსათო პროგრამის შესრულების ძირეულ საკითხებს;

— განვავითაროთ კოლექტიური მებაღეობა-მებოსტნეობა;

— დავაჩქაროთ მშენებლობათა პროცესი;

— გავაფართოვოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება;

— კეთილმოვაწყოთ ქალაქი;

— გავაუმჯობესოთ შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები;

— უზრუნველვყოთ სტიმულირება მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვისას;

— გადავჭრათ დარგთაშორისი ხასიათის მრავალსახოვანი პრობლემები;

— განვამტკიცოთ საგეგმო, საფინანსო, სახელშეკრულებო და შრომითი დისციპლინა და სხვ.

აი, ამოცანათა არასრული ნუსხა მთელი ექსპერიმენტისა, რომელიც გვთავაზობს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის სამივე კომპონენტის — მართვის, სტიმულირებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება-ოპტიმიზაციას.

ახლა მის იურიდიულ უფლებამოსილებაზეც ვიმსჯელოთ:

ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ბაზაზეა შექმნილი და მის განუყრელ ნაწილს, ხატოვნად რომ ვთქვათ, მის სასიცოცხლო არტერიას წარმოადგენს ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის საკითხში. აქ თავს იყრის ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო, რესპუბლიკური თუ ადგილობრივი დაქვემდებარების ყველა საწარმო და უწყება, რაც არაერთხელ აღვნიშნეთ ზემოთაც.

მაგრამ, რაც მთავარია, საქალაქო საბჭო, კომპეტენტურ დარგობრივ ხელმძღვანელებთან ერთად, ამ აქტით თავადვე ხდება საკუთარი სამწყსოს. საკუთარი კარ-მიდამოს ბატონ-პატრონი და, ბუნებრივია, მის ავ-კარგზე პირველი ის აგებს პასუხს. კარ-მიდამოს კეთილმოწყობა, მოგეხსენებათ, მისი მფლობელის გერგილიანობაზეა დამოკიდებული.

თუ არ გამიწყრებით, ერთ [illegible] მოვიხმობ:

ბეჯით, გამჭრიახ გლეხს ზედმეტი ინსტრუქციები არ სჭირდება, უამათოდაც რიგიანად უვლის საკუთარ ეზო-ყურეს, ხელისგულივით იცის კუთვნილი მიწის ყოველი მტკაველი, ისიც, სად რა უკეთ იხარებს.

ვისაც არ გინახავთ, ნახეთ, როგორი სიბრძნით, რანაირი გულისყურით მართავს ნაღდი გლეხკაცი პირად კარ-მიდამოს!

იგი რეალისტია, სულით ჯანსაღი, მის ბუნებაში ვერასოდეს დაიბუდებს თანამედროვე ვირუსული სენის, — „მიწერის" სამარცხვინო მიკრობი...

საკუთარი კუჭი და ჯიბე-უბე მოიტყუოს?! — არასდიდებით!

სამწუხაროდ, სწორედ ეს თავგზიანობა აკლია ზოგიერთ სამეურნეო ხელმძღვანელს, რომელიც სავარძელს უფრო უფრთხილდება, როგორც საკუთრებას, ვიდრე საზოგადოების, სახელმწიფოს მიერ მინდობილ საქმეს.

კერძო საკუთრების პროპაგანდისტად ნუ გამომიყვანთ, მაგრამ, იმ გლეხკაცივით თუ არ მოვუფრთხილდით საერთო-საზოგადოებრივს, უკეთესობა არ იქნება და არც უკეთურობა, მოიშლება.

რატომ?

იმიტომ, რომ დღემდე ცერად ვუყურებთ უპირველეს მასტიმულირებელ ფაქტორს, — საზღაურს!

ზემოთქმულიდანაც კარგად მიხვდება მკითხველი, რომ ეს ყოველივე უფრო პარალელისთვის დამჭირდა: საქალაქო საბჭო, კერძოდ, ტერიტორიულ დარგთაშორისი გაერთიანება, რაკი წელანხსენებული გლეხკაცივით (მაპატიეთ, ეს ერთობ პრიმიტიული შედარება) სულ თუ არა, ნაწილობრივ მაინც იურიდიულადაც უფლებამოსილი იქნება მართოს საკუთარი სამფლობელო, შრომის ორგანიზაციაც მოგვარებული ექნება და დისციპლინაც.

ეს უფლებამოსილება იმის გარანტიაც იქნება — რეალისტურად, პრაქტიკულად განვჭვრიტოთ თითოეული ნაბიჯი.

ის, რომ გაერთიანების დებულების თანახმად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველ ცალკეულ საწარმოს საქალაქო საბჭოს ბიუჯეტში შეაქვს გეგმიური მოგების თავისუფალი ნაშთის ათი და ზეგეგმით მოგების თავისუფალი ნაშთის ორმოცდაათი პროცენტი (რა თქმა უნდა, მოსალოდნელია გარკვეულ სიტუაციებში მოგების პროცენტული ანარიცხების რაოდენობის ცვლილებაც), თავისთავად მოგვაწვდის ექსპერიმენტის რეალურ საფუძველზე მით უმეტეს, როცა დებულებამ მიიღო კანონის უფლება სათანადო ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, ამნაირი, ახე ვთქვათ, არითმეტიკული კავშირი მყარი გარა-

ნტია იმისა, რომ ადგილობრივი საქალაქო საბჭო სისხლხორცეულად დაინტერესდეს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა მაღალეფექტიანობითა და მათი ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებით, მით უფრო, როცა თვით საბჭოს მუშაობის დიაპაზონიც ამ მონაცემებით განისაზღვრება. საწარმოთა სარგებლიანობის თვალსაზრისით კი, ეს ურთიერთობა ერთიორად ზრდის საწარმოთა პასუხისმგებლობას პროდუქციის რაოდენობაზე, ხარისხსა და, საერთოდ, დისციპლინაზე. გამორიცხავს ე. წ. ვიწრო უწყებრივ ინტერესებს, ყოველგვარ „მიწერასა“ და თვალთმაქცობას, მანიპულაცია-მაქინაციას, ვინაიდან საბჭოს სახით მათ სათანადო მაკონტროლებელ-მეთვალყურე ორგანოც მოევლინათ. ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა, — პარტნიორი.

აბა, დაუკვირდით, ასეთ ურთიერთობას, ეკონომიკურზე რომ არაფერი ვთქვათ, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური სარგებელიც რამხელა მოაქვს?!

ასე რომ, ფოთელების ინიციატივა სავსებით სარწმუნო კანონზომიერებაა, რითაც ადგილობრივი ინტერესები კარგად ესადაგება საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს, დამოუკიდებლად იკაფავს რეალურ-ცხოვრებისეულ გზებს წამოჭრილ პრობლემათა მოსაგვარებლად და, რაც მთავარია, უაღრესი პასუხისმგებლობით, პრაქტიკული კრიტერიუმების ასპექტში განჭვრეტს ქალაქის სახალხო მეურნეობის არსებობის პოზიციებს.

აქ არარეალურ გეგმა-ვალდებულებაზე უკვე ვერავის დაითანხმებ, ვერც ე. წ. კორექტივებს — თვითდაზღვევის ამ მეტად გავრცელებულ და ნაცად ხერხს მოახვევ თავზე.

გეგმა-რეალური, შესრულებაც — რეალური, — ასეთია ექსპერიმენტის ძირითადი კრედო!

დიახაც, რეალურ ციფრებთან რეალისტებს უნდა ჰქონდეთ საქმე. „ფულს ანგარიში უყვარსო“ და არა, ზოგ-ზოგთ რომ ჰგონიათ, უთავბოლო ფანტვა.

რატომ ვექცევით ჰაიჰარად თვითღირებულების ეგზომ დიდმნიშვნელოვან საკითხს?

კაპიტალისტი დღენიადაგ ცდილობს როგორმე მინიმუმამდე შეამციროს იგი, ჩვენ კი, — პარადოქსია, მაგრამ ვზრდით...

რატომ არ ვკითხულობთ, თვითღირებულება ეთანხმება თუ არა ღირებულებას?

ზუსტი აღრიცხვა იმისა, სად, რამდენს ვვარაუდობთ, როგორ ვიყენებთ და რას ვახმართ, სად ვპოულობთ ან სად ვკარგავთ, — აი, ესაა დასადგენი. ჩვენ არა გვაქვს ბატონკაცური, ვიტყოდი, ქარაფშუტული ბედოვლათობისა და ხელგაშლილობის უფლება. თავად ბუნებაც არაფერს იძლევა უკომპენსაციოდ. საერთოდ, უყაირათობა ადამიანს მარტო მატერიალურად კი არა, სულიერადაც რყვნის და აკოტრებს.

ოხრად ნაშოვნის ხარჯვა მუდამ იოლი იყო. ასეა დღესაც.

ერთიც ვინიშნოთ: ექსპერიმენტი აკავებს არსებული სამეურნეო მექანიზმის ერთ-ერთი უძლიერესი მამოძრავებელი ძალის — ფსიქოლოგიური ინერციის თვითდინებას, რომლის მდოვრე, მაგრამ ღონიერ სვლას მტკიცე და უტყუარი არგუმენტები თუ შეაჩერებს, ხოლო ასეთი ბასრი იარაღით აღჭურვილთ, მოგეხსენებათ, მუდამ მოუგიათ დროსთან უკომპრომისო ბრძოლა. სიმართლე მათ მხარეზე იყო და იმიტომ!

მაგრამ სიმართლესაც ხშირად წინააღმდეგობები რო ახლავს?

ზოგ-ზოგთ ხელთ არ აძლევთ სიმართლესთან და სიახლესთან თანადგომა.

...ამას წინათ ფოთში, ქალაქის შრომით კოლექტივებში გაიმართა გულახდილი საუბრები, სადაც ერთხელ კიდევ საგულდაგულოდ გაირჩა ექსპერიმენტის ავ-კარგი. გაირკვა, რომ მიუხედავად მიზნებისა და ამოცანების სიცხადისა, თვალსაჩინო წარმატებებისა, მაინც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ეს ბუნებრივიცაა.

ხომ ხდება ხოლმე, თანაც არცთუ იშვიათად, — აღინიშნა ამას წინათ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ ვეტერანებთან შეხვედრისას, — რომ შეძენილი გამოცდილება, დამკვიდრებული წარმოდგენები, ჩვევები ხელს უშლის ახლის, უჩვეულოს აღქმასო.

ფოთში ექსპერიმენტის მოწინააღმდეგეთა რიცხვი თითზე ჩამოსათვლელია, მაგრამ ასეთებს პარტიის საქალაქო კომიტეტის XIV პლენუმმა სათანადოდ განუმარტა საქმის ნამდვილი ვითარება:

— ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ტერიტორიული და დარგობრივი მართვის შეხამების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და სტიმულირების სრულყოფის ჩვენს მიერ შემოთავაზებული ახალი მექანიზმი სხვა არაფერია, თუ არა მოდიფიცირებული „სოვნარხოზი“, — სახელმწიფოსგან მეტის გამოგლეჯის შენიღბული ხერხი. ზოგიერთი მათგანი უფრო შორსაც მიდის. ერთი შეხედვით, ასეთ შთაბეჭდილებას ქმნის საწარმოთა მოგებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის ურთიერთკავშირის ახალი წესი, მაგრამ ეს იდეა ხომ სადირექტივო ორგანოების ცნობილი დადგენილებიდან — სამეურნეო მშენებლობაში საბჭოების როლის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, არის ნასესხები.

დიახაც, ექსპერიმენტის მთავარი ღირსება ის გახლავთ, რომ საბჭოები უკვე თავად არის უშუალოდ დაინტერესებული ტერიტორიაზე განლაგებული ყოველი საწარმოს მაღალრენტაბელური, ეფექტიანი მუშაობით. გაერთიანების ძირითადი გეზი ორიენტირებულია სახალხო მეურნეობაში ეკონომიკური მეთოდების გა-

მოყენებით არა რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლების მისაღწევად.

განა ამაზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ერთი წლის განმავლობაში ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების მოქნილი მუშაობის შედეგად ბიუჯეტში დამატებითმა შემოსავლებმა თითქმის ერთ მილიონ მანეთს მიაღწია, რომელიც საბჭოს გადაწყვეტილებით ძირითადად საწარმოო ინფრასტრუქტურის სრულყოფას მოხმარდა.

თვალზე ლიბრის აკვრაა, უფრო მეტიც — მკრეხელობაა, როცა ზოგიერთნი ფოთის ექსპერიმენტი „სახელმწიფოსგან მეტის გამოგლეჯის" თვალთმაქცურ ხერხად მიაჩნიათ. მათ გასაჩუმებლად კვლავ ციფრებს მივმართავ:

1983 წლის პირველ ნახევარში ქალაქში მოგების გეგმა 142,6 პროცენტით შესრულდა, ბიუჯეტში შემოსავლები — 136,2 პროცენტით, 41,6 პროცენტით გაიზარდა ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვება, ხოლო 40 პროცენტით შემცირდა ემისია და არგადახდები.

ამავე პერიოდში ქალაქის საწარმოებმა უზრუნველყვეს წარმოებისა და რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდის სახელმწიფო გეგმების შესრულება. შესრულდა სახელმწიფო გეგმები ქალაქის მეურნეობის ისეთ დარგებში, როგორიცაა მშენებლობა, ვაჭრობა, მომსახურება, საავტომობილო ტრანსპორტი და სხვ. მნიშვნელოვნად ამაღლდა როგორც შრომის ნაყოფიერება, ისე მისი ანაზღაურება. განმტკიცდა საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური და საფინანსო მდგომარეობა.

ასეთმა მაღალმა ხარისხობრივმა მაჩვენებლებმა, რასაკვირველია, ზემდგომი ორგანოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ორჯერ მოისმინეს პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ანგარიში. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 1983 წლის 1 ივნისის ბრძანებით ქალაქ ფოთის მრეწველობის განვითარების ანგარიშგება რესპუბლიკურიდან ცალკე სტრიქონად გამოიყო. ამით საკავშირო ორგანოებს საშუალება მიეცათ თვითონ გააანალიზონ მოქმედი სამეურნეო ექსპერიმენტის შედეგები, თვითონ შეამოწმონ, თუ რა გავლენას ახდენს საქალაქო საბჭოს ახალი ორგანო — ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება როგორც მთლიანად ქალაქის სახალხო მეურნეობის, ისე თითოეული საწარმოს სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობაზე.

დაინტერესდა და ადგილზე ჩამოსვლით გაეცნო ქალაქში მიმდინარე ექსპერიმენტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი. მან მხარი დაუჭირა ფოთელთა წამოწყებას, რაც შემდგომ პრაქტიკული დახმარებითაც გამოხატა.

ქალაქს ეწვია აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ი. რიჟკოვი. მან დადებითად შეაფასა ფოთის ექსპერიმენტი, აღნიშნა, რომ საჭიროა იგი ფართოდ გავრცელდეს.

მაღალმა ხარისხობრივმა და საფინანსო მაჩვენებლებმა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ვ. თ. გარბუზოვის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. მან საკავშირო მთავრობაში წინადადება შეიტანა ექსპერიმენტის მთელ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების, ე. ი. ყველა საკავშირო საწარმოდან ადგილობრივ ბიუჯეტში ანარიცხების შემოტანის შესახებ. ამ წინადადების მოწონება-დაკანონების შემთხვევაში რესპუბლიკა მილიონი მანეთის დამატებით შემოსავალს მიიღებს.

საერთოდ, ფოთელთა წამოწყებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია ქვეყნის მასშტაბით. 1982-1983 წლებში მის გასაცნობად ქალაქს ეწვივნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ფრიად ავტორიტეტული კომისიები, ქვეყნის რესპუბლიკისა და ოლქების სამოცამდე დელეგაცია, პარტიის საქალაქო კომიტეტთან და გაერთიანებასთან საქმიანი მიმოწერა აქვთ დამყარებული ორმოცამდე პარტიულ კომიტეტს.

ექსპერიმენტს კურატორობს და დამრიგებლობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი სოლიკო ხაბეიშვილი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ფოთის ექსპერიმენტი ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელსაც საფუძვლად უდევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმებზე ფიქსირებული საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სტრატეგიული პრინციპები. ამიტომაც მრავალმხრივია მისი სამუშაო ამოცანები.

ჩვენ მხოლოდ მათ შორის უმთავრესთ ჩამოვთვლით:

რეგიონში არსებული სოციალური თუ ეკონომიკური ვითარება-მდგომარეობის ზუსტი დადგენა და მისი სკრუპულოზური შესწავლა;

ხელშეუვალი რეზერვების, ესე იგი, ჩვენთვის ჯერჯერობით იდუმალი რესურსების ძიება-გამოვლინება, ბუნების ქირვეულობითა და ადამიანების უთაურობით შექმნილი რებუს-გამოცანების ამოხსნა; მათი ათვისება, ეკონომიკური გააზრება, ამოხსნილ საიდუმლოებათა სოციალურ-ეკონომიკურ საგეგმო კატეგორიებით განსაზღვრა.

დამეთანხმებით, ეს საპაიპარო საქმე არ გახლავთ!

აბა, წარმოიდგინეთ: გაერთიანება დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგთან, რომელთა ხასიათი, ურთიერთთაგან მკვეთრად განსხვავებული პროფილი, გნებავთ, პროდუქცია, მოგება-წაგების ნაირნაირი მაჩვენებლებით და, ბოლოს, თავისებუ-

რი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნებური შიდა წინააღმდეგობანი რაგვარ ფილიგრანულ დაკვირვებასა და შრომას საჭიროებს.

რითი, რომელი არხენალით აპირებს ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება ამ ურთულეს ამოცანათა გადაწყვეტას?

ამ კითხვაზე ზოგადად, ორიოდე აბზაცით პასუხის გაცემა ყოვლად შეუძლებელია. თავდაპირველად მოგვიწევს გავეცნოთ გაერთიანების მართვის სტრუქტურულ სქემას.

გაერთიანება ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსა და რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს. მისი უმაღლესი ორგანოა საბჭო, რომლის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან გაერთიანების უფროსი, იგივე აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მისი მოადგილეები, საფინანსო განყოფილების გამგე, სახელმწიფო და სამშენებლო ბანკების ხელმძღვანელები, გამოსათვლელ-საინფორმაციო სადგურის უფროსი, გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, გაერთიანების განყოფილებათა უფროსები და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

გაერთიანების საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო.

ახლა გაერთიანების სამმართველო აპარატსაც გავეცნოთ, თუმცა შეიძლებოდა აქ შემავალი განყოფილებების ჩამოთვლითაც დავკმაყოფილებულიყავით, — რაკი მათს უფლებამოვალეობათა და საქმიანობის აღწერას ბევრი დრო და მრავალი ფურცელი მოუნდებოდა, მაგრამ მის გაუცნობლად ექსპერიმენტის უნარიან. ცოცხალ საქმეებზე წარმოდგენას ვერ ვიქონიებთ.

ოპერატიული ხელმძღვანელობის განყოფილება (უფროსი ჯამბულ შურღაია) გაერთიანების სტრუქტურულ ქვეგანყოფილებად, ქალაქის მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ოპერატიული მართვისა და ხელმძღვანელობის მარეგულირებელ ორგანოდ ითვლება. აქ თავს იყრის ზუსტი ინფორმაციები ქალაქის საწარმოთა მატერიალურ რესურსებზე, ტექნიკური მომარაგებისა თუ მექანიზმების გამოყენება-დატვირთვის შესახებ. განყოფილება დაკავშირებულია ქალაქის მეურნეობის თითქმის ყველა რგოლთან. აქ დროის ყოველ მონაკვეთში შეუცდომლად იციან ამა თუ იმ საწარმოს რომელ პოზიციაში უჭირს და რომელ საწარმოს შეუძლია დახმარების ხელი გაუწოდოს მას, ისე რომ, ამ დახმარებით კი არ იზარალოს, მოიგოს კიდეც.

როგორ ხდება ეს?

არსებობს ასეთი ეკონომიკური განსაზღვრა — გამოყენების კოეფიციენტი, მატერიალური რესურსი, რომელიც საწარმოს სჭირდება, მაგრამ ამჟერად არ იყენებს, უქმად დევს და, ეკონომისტების ენაზე რომ ვთქვათ, გამოუყენებლად ითვლება. საწარმოს ხელმძღვანელის ეს რესურსი, როგორც იტყვიან, „შავი დღისათვის“ აქვს შემონახული. ეს მარაგია, საწარმოს ხვალინდელი პური, რიტმული მუშაობის გარანტია, მაგრამ სახელმწიფოსათვის მიჩქმალული, — მუთაქებსა და კოჭობებში გადანახული ფულის არ იყოს, — ბრუნვაში არ არის!

რატომ არ უნდა ჩადგეს ეს რესურსი მომიჯნავე საწარმოს სამსახურში, როცა გაერთიანება სრულ გარანტიას იძლევა შეთანხმებისამებრ, ვადაში დაუბრუნოს ვალი პატრონს?

გნებავთ, სხვა მაგალითსაც მოგიყვანთ: გაერთიანებამ ზუსტად იცის როდის ილებს კონტეინერებს, ვთქვათ, ელექტროგამაძლიერებლების ქარხანა, რომლის გადასატან-გადმოსატანად საკუთარი ამწე მექანიზმი აქვთ და უშუალოდ მიმაგრებულია ამ ოპერაციაზე. ისიც იცის, რომ ამა და ამ დღეს ქარხნის ავტოამწე ამდენი და ამდენი საათის განმავლობაში დაუსაქმებელია, ე. ი. უქმად დგას. ოპერატიული ხელმძღვანელობის განყოფილება რომელიც (ზემოთაც მოგახსენეთ) ქალაქის საწარმოებიდან სისტემატურად ღებულობს მექანიზმების გამოყენება-დატვირთვის თაობაზე ზუსტ ინფორმაციებს, ქარხანასთან შეთანხმებით თავისუფალ დროს, ავტოამწეს უგზავნის საწარმოს, სადაც ამჟერად სასწრაფოდ სჭირდებათ იგი. რა თქმა უნდა, ეს საწარმო მექანიზმის პატრონს უხდის ავტოამწის მიერ ჩატარებული მუშაობის საზღაურს.

ამრიგად, ოპერატიული ხელმძღვანელობის განყოფილება ის რგოლია, რომელიც ერთი საწარმოს რეზერვს მეორის სამსახურში რთავს იმნაირად, რომ ორივე მხარე მოგებული რჩება.

მე ეს განყოფილება ერთგვარ ლაბორატორიადაც მეჩვენა, სადაც მთელი გულისყურით, ნამდვილი შემოქმედებითი მიდგომით სწავლობენ ამა თუ იმ საწარმოს წინაშე წამოჭრილ მწვავე პრობლემებს, პროფესიული ოსტატობით აანალიზებენ შექმნილ სიტუაციებს და ამის მიხედვით გამოაქვთ მდგომარეობის გამოსასწორებელი ოპტიმალური დასკვნები.

ისიც აღსანიშნავია, რომ არა მარტო ეს განყოფილება, არამედ, საერთოდ, მთელი გაერთიანება ძირითადად დაკომპლექტებულია ინტელექტუალური, იდეოლოგიურად მომზადებული ახალგაზრდა სპეციალისტებით.

სწორედ ამიტომ ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე, რომ „...ადამიანთა შინაგანი, სულიერზნეობრივი ენერგიის აუმოქმედებლად ვერც ერთი ექსპერიმენტი ვერ მოგვიტანდა ესოდენ დამაიმედებელ შედეგებს“.

კიდევ ერთი სიახლე:

ოპერატიული ხელმძღვანელობის განყოფილებისა და ქალაქის სამგზავრო ავტოსატრანს-

პორტო გაერთიანების (გენერალური დირექტორი ჯუტუ ჭანტურია) ინიციატივით, რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის თეიმურაზ დავითაშვილის უშუალო დახმარებით ქალაქში სულ ახლახან დაინერგა ცენტრალური სადისპეტჩერო-საკონტროლო სისტემა ე. წ. „ნალმასი“, რომელიც გამოიყენება ავტობუსების მოძრაობის ზუსტი გრაფიკის დასაცავად, გონიერი მანქანა ამყარებს ორმხრივ სატელეფონო კავშირს ცენტრალურ სადისპეტჩერო სამსახურსა და ავტობუსის მძღოლს შორის. თავის მხრივ, სადისპეტჩერო სამსახური დაკავშირებულია ოპერატიული ხელმძღვანელობის განყოფილებასთან, რომელიც დროის ყოველ მონაკვეთში ინფორმირებულია ქალაქის რომელ უბანში, რომელ გაჩერებაზე იმყოფება ავტობუსი ან რა უჭირს მას. ამ სისტემით წუთი-წუთზე, ზუსტად რეგულირდება ავტობუსების გრაფიკის მიხედვით მოძრაობა; ტექნიკური მიზეზით შეფერხებული, დაზიანებული, გნებავთ, საბურავდაშვებული მანქანა ოპერატიულად, რამდენიმე წუთში იცვლება სხვა მანქანით, ხოლო დაზიანებულთან შემთხვევის ადგილზე სწრაფად გზავნიან შემკეთებელთა ბრიგადას.

„ნალმასი“ გაანგარიშებულია პატარა ქალაქებისათვის, მისი მოქმედების მაქსიმალური რადიუსი 15 კილომეტრია. მას ერთდროულად შეუძლია არეგულიროს 50-დან 100-მდე ავტობუსის მოძრაობა. ეს დანადგარი 15.000 მანეთი ღირს, ხოლო მისი ეკონომიური ეფექტი, როგორც ფოთელები ანგარიშობენ, წელიწადში 30.000 მანეთს მიაღწევს. ამიტომაც ისინი ვარაუდობენ მოკლე ხანში ქალაქის ტროლეიბუსებისა და მიკროავტობუსების მოძრაობის ამავე მეთოდით მოწესრიგებას.

ახლა ამ სისტემის მორალურ და მასტიმულირებულ ეფექტებზედაც მოგახსენებთ:

ვერ დაგიმალავთ და, პირადად რამდენჯერმე ინკოგნიტოდ ვიმგზავრე, თავად შევამოწმე ამ სიახლის სიკეთე-სარგებლიანობა. გულწრფელად უნდა გითხრათ, სამგზავრო ავტობუსების მოძრაობის ამდაგვარ თავგზიანობას არსად, არც ერთ ქალაქში არ წავწყდომივარ! თვით „პიკის საათებშიც“ კი გაჩერებებთან 3-დან 5-მდე მგზავრს თუ დალანდავს კაცი.

ასე რომ, ფოთელი მუშა თუ მოსამსახურე წარმოება-დაწესებულებაში დაგვიანებას ტრანსპორტის გაუმართავ მუშაობას ვერ დააბრალებს.

ქალაქის ავტობუსების გაჩერებებზე დადგმულია დაფები, სადაც მითითებულია წუთი-წუთით მანქანების მოძრაობის გრაფიკი.

ეს ტექნიკური სიახლე გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, — თვით ისეთებსაც, რომელთა მოქალაქეობრივი შეგნება ჯერჯერობით სათანადო დონეზე ვერა დგას, უნდა აღუძრას სადღაც სირცხვილ-ნამუსის გრძნობა.

სისტემის დანერგვამ განაპირობა ისიც, რომ ქალაქის 18 მარშრუტის 19 ავტობუსს სამუშაო საათების დაწყება-დამთავრებისას ქმარება მხოლოდ ორი. ესეც ანგარიშია.

დიასახლისებთან, მუშა-მოსამსახურეებთან გულღია საუბრისას გამოირკვა, რომ მოსახლეობა დიდად კმაყოფილია ტრანსპორტის ბოლოდროინდელი მუშაობით, თუმცა ზოგმა მათგანმა არც კი იცოდა, რამ გამოიწვია ეს მკვეთრი ცვლილება ქალაქის სამგზავრო ავტომეურნეობაში.

ასეთივე გულწრფელი საუბარი მქონდა მძღოლებთანაც. მეგონა ზოგი მათგანი მაინც იქნებოდა უკმაყოფილო მაკონტროლებელი სისტემის შემოღებით, რაკი იგი ასე სასტიკად ზღუდავს ყოველგვარ ცუღლუტობას და მანიპულაციას.

თქვენც არ მომიკვდეთ, — მძღოლები უფრო გახარებული იყვნენ ამ სიახლით, ვიდრე მგზავრები.

— თუ გრაფიკს დავიცავ, გამომუშავების ოცი პროცენტი მეძლევა დამატებით... უამსისტემოდ მიჭირდა გრაფიკის დაცვა და, რასაკვირველია, გვარიან თანხასაც ვკარგავდი ყოველთვიურად. ამოვისუნთქეთ, ბატონო, შოფრებმა, — მითხრა ნიკოლოზ ლემონჯავამ.

— რაც უნდა გაძვრე-გამოძვრე და იბალტურო, იმაზე მეტს მაინც ვერ იშოვი კაცი, რამდენსაც ეს „ნალმასი“ მიტოვებს თვის ბოლოს. ...ამას „ნალმასი“ კი არა, „ალმასი“ უნდა ერქვას, ბატონო, — ელიმება ბორის ხოშტარიას.

— რატომ უნდა ვიმათხოვრო, რად უნდა დამერქვას არამი კაცის სახელი, ძამა, როცა დაუყვედრებლად მითვლის ეს აპარატი კუთვნილს?! ცოლი მყავს, შვილები, შვილიშვილები... არ ვიზამ მაგ სიგლახეს აწი მე, რაც მიგლახია, იგიც მეყოფა სამიდღემჩიო სირცხვილად. ვის არ უნდა წესიერი მამა და ბაბუა იყოს, შენ ხარ ჩემი ბატონი, მაგრამ აგიც კია, მიჭირდა, ბატონო და მაგიტომაც ვგლახაობდი... — გული გადამიხსნა ერთმა ჭარმაგმა მძღოლმა და არც ვინაობის საქვეყნოდ გამჟღავნებაზე უთქვამს უარი. ამ თანხმობის მიუხედავად, მაინც არ გიმხელთ. უფრო მისი შვილებისა და შვილიშვილების ხათრით, — არ მინდა გავაწითლო ისინი.

ცხოვრების ჯარდაკგამოვლილი კაცის ეს გულწრფელი აღსარებაც იმას მიგვანიშნებს, რომ უკვე დარეკა მავანთა და მავანთა გონს მოსვლის ჟამმა და საათმა; თუნდაც იმიტომ, რომ მათმა შთამომავლობამ თავჩაუხრელად იაროს ხვალ-ზეგ!

...ჩალუგაზრილა მძღოლები [illegible] გია გუჯაბიძე „ნალმასის“ დანერგვასთან ერთად, სტიმულირებასაც მიიჩნევენ „კლიმატურ-სეისა [illegible] ნაყოფიერი მუშაობის ერთ-ერთ უტყუარ პირობად, — თუ ხურიანად ვიმუშავებთ, წლის ცამლიეს, „ჟიგუ-

ლებს" მივიღებთო ურიგოდ, იღიმებიან ბიჭები.

აი, რა სიკეთე მოუტანა ქალაქს ახალი ტექნიკის გონივრულმა გამოყენებამ.

ტექნიკური პროგრესული სიახლის წარმოებასთან მისადაგებამ განაპირობა ის, რომ ფოთის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო გაერთიანება რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიისა და საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, 1983 წლის მე-2 კვარტალის შედეგების საფუძველზე რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ხცნეს და მიენიჭა წოდება — „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის საუკეთესო საწარმო", მასვე მიეკუთვნა გარდამავალი წითელი ვიმპელი და ფულადი პრემია 2.526 მანეთის რაოდენობით.

აქვე უნდა დავძინო, რომ რესპუბლიკაში ამ სისტემის დანერგვის პიონერები ფოთელები არიან. სისტემამ სავსებით გაამართლა და დიდ საქმესაც დაადგამდა თავს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, ამ სიახლეს (რასაკვირველია, ტერიტორიის გათვალისწინებით) რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც, მაგალითად, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, რუსთავში, ზუგდიდში, გორში, გაგრაში და სხვა ქალაქებშიც თუ შეასხამდა ხორცს.

დაბეჯითებით შემიძლია „ვიწინასწარმეტყველო" წარმატება!

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ოპერატიული ხელმძღვანელობის განყოფილებაში შემოდის ინფორმაციის დიდი ნაკადი. ასეთი მოცულობის გამოთვლითი ოპერაციების შესრულება დაკავშირებულია ინფორმაციის დამუშავებასთან; აქედან გამომდინარე, სრული, უტყუარი მონაცემების მიღება თანამედროვე ტექნიკური, შემკრები საშუალებების გამოყენების საფუძველზე შეიძლება მხოლოდ. ამდაგვარ საფუძველს წარმოადგენს მართვის ავტომატიზებული სისტემები, სადაც ინფორმაციების შეკრება, დამუშავება და გაცემა ელექტრონული გამომთვლელი მანქანების მეშვეობით ხორციელდება.

რაკი შემოსული ინფორმაციების შეკრება და სწრაფი დამუშავება, ოპერატიული და კომპეტენტური გადაწყვეტილებების მიღება თანამედროვე ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამომთვლელი ტექნიკური საშუალებების გარეშე დღეს უკვე ყოვლად წარმოუდგენელია, ტერიტორიულ-დარგთაშორის გაერთიანებაში საგანგებო ჯგუფი შექმნეს.

ამ განყოფილებას (უფროსი ვლადიმერ სიგოხია) უპირველეს ყოვლისა, ევალება უხელმძღვანელოს მართვის ავტომატიზებულ სისტემას. აქ უნდა გაანალიზდეს შრომითი რესურსების, საწარმოო გეგმების შემუშავების, მათ შესრულებაზე კონტროლის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მართვის პრობლემები.

ეს ჯერჯერობით, ხოლო მთლიანად ქალაქის მეურნეობის სრულყოფილი მართვის უზრუნველსაყოფად მიღებულია გადაწყვეტილება ავტომატიზებული სისტემის — „მას-ფოთის" შექმნის თაობაზე.

ესეც ახალი ამბავია ქალაქში.

საერთოდ, „ქალაქს" რომ ვამბობთ, უპირველესად წარმოგვიდგება მისი სამრეწველო-ეკონომიკური ნიშანდობლივობა, — ფაბრიკა-ქარხნები, მაღლივი შენობები, განიერი პროსპექტები, ტრამვაი-ტროლეიბუსები და სხვა დამახასიათებელი ატრიბუტები. მაგრამ არის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ნიშანდობლიობა, — სოციალური: ქალაქი, ისევე, როგორც სოფელი, წარმოუდგენელია უადამიანოდ.

ადამიანისათვის საკუთარი ქალაქი, გნებავთ, მშობლიური კუთხე-ქვეყანა გეოგრაფიული, ტერიტორიული ცნება როდია მხოლოდ, — დროცაა! ნუ გაიკვირვებთ, დიახ, დროც, სადაც მოუწია მას არსებობა, ცხოვრება, მოღვაწეობა.

დროისგან ითხოვს იგი რეალურ ალტერნატივას.

„საიდუმლო როდია, — წერდა ამას წინათ „პრავდაში" საბჭოთა სოციოლოგების ასოციაციის წევრი, პროფესორი ა. ზდრავომისლოვი, — რომ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ოპტიმალური გზების ძიებას აბრკოლებს არა მარტო ეკონომიკური ცოდნის უკმარისობა, არამედ აგრეთვე სოციალური პროცესების ცოდნის ნაკლებობაც".

დრო და ადამიანი... ალბათ, ამ ფარდობით არის ნაკარნახევი საზოგადოებათმეცნიერებაში შედარებით ახალი დარგის — ადამიანთმცოდნეობის წინა პლანზე წამოწევა.

„დღეს პიროვნებას გაცილებით უფრო მეტად აქვს შეგნებული — ან უნდა ჰქონდეს შეგნებული — ვიდრე ოდესმე, თავისი თავის ფასი, და სწორედ ამიტომ მისი მოთხოვნებიც საზოგადოებისადმი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია გუშინდელთან შედარებით" — (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის მასალებიდან).

ფოთის ტერიტორიულ-დარგთაშორის გაერთიანებასთან შექმნილი სოციოლოგიის სამსახური (უფროსი რუსუდან ილაშვილი) კონკრეტულ სოციოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებს ქალაქში. ამზადებს პროგრამებს, რეკომენდაციებს და შესაბამის გადაწყვეტილებებს ქალაქის სოციალური ცხოვრების საკითხებზე, პერიოდულად კრებს სოციალური განვითარების პროგრამის მიმდინარეობის განხორციელების მონაცემებს, გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტიური

ხელშეკრულებების შესრულების მსვლელობის ზუსტ ინფორმაციებს.

ეს სამსახური მოსახლეობის სისტემატური გამოკითხვის შედეგად არკვევს და ადგენს, თუ რომელ სამეურნეო საქონელზეა მოთხოვნილება ქალაქში, რის დეფიციტს განიცდის მომხმარებელი ან რომელი სფეროს მომსახურება იწვევს კმაყოფილება-უკმაყოფილებას.

გაერთიანების გადასაწყვეტ საკითხთა კომპლექსში ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა ქალაქის შეუფერხებელი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

ამ საკითხზე აჯობებს მოვუსმინოთ რევაზ თოდრიას — გაერთიანების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსს:

— გულახდილად თუ ვიტყვით, — ამბობს იგი, — ჯერჯერობით ქალაქის ტერიტორიაზე მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიღება-შენახვა, განაწილება და ხარჯვა ერთი ხელით არ წარიმართება, რაც მრავალ წინააღმდეგობებს ქმნის. მიუხედავად ამისა, ნათლად იკვეთება პერსპექტივები. ერთ-ერთ საყურადღებო აქტად ამ მიმართულებით მიმაჩნია ქალაქის ცალკე სტრიქონად გამოყოფა.

— რას ნიშნავს „ცალკე სტრიქონი?“

— ცალკე სტრიქონად გამოყოფა ნიშნავს, რომ ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი უკვე არის ისეთივე ფონდმფლობელი ორგანიზაცია, როგორც ქალაქების თბილისის და ქუთაისის, აღმასკომები, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებებია. უკვე შენდება და სულ მალე მწყობრში ჩადგება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების უნივერსალური ბაზა, რომელიც უახლოეს წლებში გაატარებს ქალაქის საწარმოო ორგანიზაციათა არატრანზიტულ ტვირთებს — 10 ათას ტონამდე ლითონს, 8 ათას კუბურ მეტრამდე ხე-ტყეს, სხვადასხვა სამშენებლო მასალებსა და მოწყობილობას.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება საკმაოდ ვრცელი ცნებაა და მარტო „მომარაგებით“ არ შემოიფარგლება, ამ დარგის სამსახურის მუშაკთა მოვალეობაა წარმოებასთან ერთად უზრუნველყონ მატერიალური რესურსების ეკონომიური ხარჯვა და მათი რაციონალური გამოყენება, ძვირადღირებული მასალების მოცულობათა შემცირება, სხვადასხვა ორგანიზაციაში გამოუყენებელი მასალა-ნედლეულის გადანაწილება, ზენორმატიული ნაშთების შემცირება.

— ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ—განაგრძობს თოდრია, — საერთოდ, მომარაგება დღეის მდგომარეობით რთული საქმეა, რთული სამართავიათ მარტო რესპუბლიკურ დონეზე. თავისთავად ცხადია, არა ნაკლებ რთულია მისი გაძღოლა ცალკეულ რეგიონში, კერძოდ, ფოთის მასშტაბით, მაგრამ სიძნელეებმა არ უნდა შეგვაშინოს. ჩვენი ექსპერიმენტი ითვალისწინებს მოსალოდნელ სირთულეთა და გაუგებრობათა თავიდან აცილებას. საქმის თავი და თავია საჭირო რესურსების დროულად და სწორად დაგეგმვა, მოთხოვნა-განაცხადთა საფუძვლიანი დაცვა, საჭირო დოკუმენტაციის დროულად გაფორმება, მასალების მიზანსწრაფული შემოზიდვა-განაწილება, მიღებული რესურსების მომჭირნედ და რაციონალურად ხარჯვა, რასაც საბოლოოდ დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე საკმაო ეკონომიური ეფექტის მოცემა შეუძლია.

ცხადია, ექსპერიმენტით გათვალისწინებული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა უშუალოდ დამოკიდებულია ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა-ათვისებაზე. ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი ხელმძღვანელობის კოორდინაციების მიზნით ქალაქის ტერიტორიულ-დარგთაშორის გაერთიანებასთან შეიქმნა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის დაჩქარების განყოფილება.

მოვუსმინოთ ამ განყოფილების უფროსს, ინჟინერ ზაურ ოდიშარიას.

— ჩვენი მუშაობის გარკვეული შედეგიანობის შესახებ დასკვნების გაკეთება ჯერჯერობით ნაადრევია, მაგრამ განყოფილების მიერ რამდენიმე აქტუალური საკითხის მოსაგვარებლად უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები: ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში უკვე ავითვისეთ იატაკის ფილების წარმოება. უკანასკნელ ხანებში მოწინავე ტექნოლოგიის საფუძველზე ასეთი ფილების დამზადება ცემენტის გარეშე ხდება. მის ნაცვლად ვიყენებთ სხვადასხვა მინაერთ კომპონენტებს. ამ სიახლეს ჩვენ გავეცანით რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ბაზაზე არსებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. იმ ინსტიტუტში შემუშავებული აქვთ შესაბამის მოწყობილობათა ტექნოლოგია და საჭირო ნახაზები, რომელთა მიხედვით შესაძლებელია ქალაქის რომელიმე საწარმოში დამზადდეს სათანადო დანადგარი, როგორც იატაკის, ასევე კედლის სხვადასხვა ფერის ფილების გამოსაშვებად.

გავეცანით აგრეთვე მოსკოვის ავტოტრანსპორტის მოწყობილობათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩვენთვის საინტერესო სიახლეებს, სახელდობრ: აქ შეიქმნა და ჯერჯერობით ორ საწარმოში დაინერგა წნეხფორმების ახალი დანადგარით დამზადების მეთოდი. ამ დანადგარით ფორმებს ამზადებენ პლასტმასისაგან, რითაც შემცირებულია მასალებისა და მუშახელის რაოდენობა.

ორივე ამ სიახლის დანერგვა საკმაოდ ეფექტიანი იქნება . ჩვენი საწარმოებისათვის.

ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქა-

[illegible] ლაქის წასმა-გაშრობის ტექნოლოგიაში. მანამდე ეს პროცესი პრიმიტიულად ხდებოდა. ახლა კი [illegible] ღვარი ტემპერატურას ავტომატურად არეგულირებს. თუ წინათ ამ პროცესზე საათში იხარჯებოდა 70 კილოვატი ელექტროენერგია, ამჟამად გაშრობას იხარჯება 40-50 კილოვატი. მალე ამ ქარხანაში საექსპლოატაციოდ გამზადდება ტექნიკურ ალქურვილობათა ხაწყობი.

ეს, რაც ამ მოკლე ხანში მოვასწარით, წინ კი დიდი საზრუნავი გველის, დიდი მუშაობა დაგვჭირდება ისეთი რთული საკითხების მოსაგვარებლად, როგორიც გახლავთ ხაწარმოებსა და ორგანიზაციებში ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება და სხვ.

სახალხო მოხმარების საგნების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და მეორეული რესურსების გამოყენების განყოფილება ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების ერთ-ერთი წამყვანი რგოლია, რომელსაც გამოცდილი ინჟინერი რევაზ დუმბაძე უძღვება.

ჩვენი დიალოგი ციფრებით იწყება. საერთოდ, ექსპერიმენტატორებს ციფრებითა და პროცენტებით უყვართ საუბარი, მე კი, სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც არ მეხალისება მათი ქაღალდზე გადმოტანა, მაგრამ, ვიცი, საჭიროა, საჭიროა სიცხადისათვის, სიმართლის დადგენისათვის.

1982 წელს წარმოებულია 70.034 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი, აქედან 50.796 ათასი მანეთის სასურსათო პროდუქცია, ხოლო 19.238 ათასი მანეთის — არასასურსათო სახალხო მოხმარების საგნები, ეს 8 მილიონი მანეთით აღემატება 1981 წლის მაჩვენებლებს. 1982 წელს წარმოებულია 4.145 ათასი მანეთის ხარისხისნიშნიანი სახალხო მოხმარების საგნები, მაშინ, როცა იგი 1980 წელს მხოლოდ 440 ათასი მანეთის იყო.

— წელს როგორა გაქვთ საქმე? — ვეკითხები დუმბაძეს.

— რასაკვირველია, უკეთ. მიმდინარე წლის 10 თვის გეგმა საცალო ფასებში 107,8 პროცენტით შესრულდა, ამასთან ზრდის ტემპმა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 108,6 პროცენტი შეადგინა. ხელფასის ფონდის ერთ მანეთზე გეგმიური 6 მანეთისა და 15 კაპიკის ნაცვლად წარმოებულია 6 მანეთისა და 17 კაპიკის პროდუქცია.

— 1982 წლის მაჩვენებლებით, — საუბარში ჩაერთო განყოფილების უფროსის მოადგილე გოგი შენგელია, — ქალაქში მოსახლეობისათვის რეალიზებულია 2.545 ათასი მანეთის მომსახურება ანუ ერთ სულ მოსახლეზე 5.158 მანეთი. ქალაქს ემსახურება 115 საყოფაცხოვრებო ობიექტი, [illegible] ათვისებულია ექვსი ახალი სახის მომსახურება.

— ამ საქმეში გარკვეულ ამინდს, ალბათ, ადგილობრივი საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები ქმნიან.

— სწორი ბრძანდებით, მოსახლეობის მოთხოვნილების სახალხო მოხმარების საგნებით დაკმაყოფილებაში დიდი წვლილი მიუძღვის საყოფაცხოვრებო სამმართველოს, — განაგრძობს შენგელია და კვლავ ციფრებს იშველიებს, — ეს კოლექტივი დღეისათვის აწარმოებს 23 სახის სახალხო მოხმარების საგნებს, — ტრიკოტაჟის ნაწარმს, ფეხსაცმელს, ავეჯს, პარკეტსა და სხვა. 1983 წლის 10 თვეში აქ გამოუშვეს 1.151 ათასი მანეთის პროდუქცია, ზრდის ტემპი 1982 წელთან შედარებით უზრუნველყოფილია 113,2 პროცენტით, ხოლო წლის ბოლომდე დაამზადებენ 1.300 ათას მანეთზე მეტი ღირებულების სახალხო მოხმარების საგნებს.

მეხსიერების ყულაბაა ეს ახალგაზრდა კაცი. რა თავი იტევს ამდენ ციფრებს?

დავინტერესდი ამ ორგანიზაციით, თავად, უმეგზუროდ ვეწვიე მის უფროსს ვლადიმერ წურწუმიას. შუახნის კაცი, ნაცნობი იერი, ხმა და კილოკავი, საიდან?..

— გვეჯე არა ხარ?

— კი ბტონო!..

— ვლადიმერი სიდან?

— პასპორტიდან ბატონო, მაგრამ ხომ იცით ჩვენებურების ამბავი, ამ შვილიშვილებით კისერდახუნძლულ კაცს ბავშვობისდროინდელ სახელს მეძახიან დღესაც.

მახსოვრობამ უმალ აღადგინა წარსული: ჩვენი გვეჯე, გულღია, ალალ-მართალი ბიჭი... წლებს ხასიათი არ შეუცვლია მისთვის, ჭარმაგობაშიც ისეთივე დარჩენილა, როგორიც ადრე იყო. უმაღლესი ეკონომიური განათლება მოსკოვში მიუღია, მერმე მშობლიურ ქალაქს დაბრუნებია და კარგი ეკონომისტის სახელიც დაუგდია.

გვეჯემ ნაბიჯ-ნაბიჯ დამათვალიერებინა, მისხალ-მისხალ გამაცნო მთელი მისი „სამფლობელო" არაფერი დაუმალავს, გულახდილად მითხრა რაც უჭირს, სად ვერ ერევა პრობლემებს.

ისე, კაცმა რომ თქვას, სამმართველოს ურიგო მაჩვენებლები როდი აქვს, — 1982 წლის მონაცემებით კოლექტივის მიერ რეალიზებულია 2.115,6 ათასი მანეთის მომსახურება ანუ ერთ სულ მოსახლეზე 48,8 მანეთი. 1983 წლის 10 თვის გეგმა 101,8 პროცენტით შესრულდა, ერთ სულ მოსახლეზე მომსახურება 2,57 მანეთით გაიზარდა, რეკონსტრუქცია გაუკეთდა 5 ობიექტს, დაინერგა მომსახურების 5 ახალი ფორმა, სახელდობრ: მარმარილოს ნარჩენებისაგან აქ ამზადებენ სუვენირებს, წარმოებს მოსახლეობის კუთვნილი ხეხილისა და ციტრუსე-

ბის შეწამლვა, ნავსადგურის აბანოში მოეწყო ზღვის აბაზანების დანადგარი, კეთილმოეწყო კემპინგი, რომელიც ერთდროულად სამას კაცს ღებულობს. სასტუმრო „კოლხეთის“ თავზე დამონტაჟდა ელექტრონული გაზეთი „ფოთის სიახლენი“, რომელიც მოსახლეობას ყოველ საღამოს აუწყებს ქალაქის ახალ ამბებს ქართულ და რუსულ ენებზე.

ერთი მეტად საჭირო საქმეც გააკეთა ხამმართველომ.

მიწასთან დაამყარა ურთიერთობა.

ქალაქის გარეუბანში შვიდი ჰექტარი ჭაობი ამოაშრო და ჩინებული დამხმარე მეურნეობა მოაწყო, როცა ეს კეთილმოწყობილი მეურნეობა ვნახე, გამიკვირდა, — საიდან? რა სახსრებით-მეთქი — ვიკითხე.

— ექსპერიმენტის წყალობით, ბატონო.. — მიპასუხა გვეჯემ, — სახელმწიფოსგან ხუთი წლით მივიღეთ გრძელვადიანი სესხი ასი ათასი მანეთი, აქედან 80 ათასი მოვახმარეთ მეურნეობის მშენებლობა-კეთილმოწყობას, ხოლო ოცი ათასად სტავროპოლის მხარეში შევიძინეთ ოცდაათი სული ველის წითელი ჯიშის ძროხა, რომელიც მშვენივრად შეეგუა აქაურ კლიმატს, ვამრავლებთ ღორს, ქათამს, — წელიწადში სულ ცოტა — 100 სული ღორი და 200 ათასი ფრთა ქათმის წიწილა უნდა მოვაშენოთ, ძროხებთან ერთად რამდენიმე უცხო ჯიშის ცხვარიც შევიძინეთ, რომელთაც უკვე ბატკნებიც ჰყავთ.

— კომერციული თვალსაზრისით თუ გაქვთ გათვალისწინებული ეს საქმე, გვეჯე?

— აბა, თვითონ განსაჯეთ, — მიხსნის იგი, — მეურნეობა ექსპლოატაციაშია 1982 წლის 10 დეკემბრიდან, კოოპერირების წესით თანამშრომლებზე გავეცით 80 სული ღორი, 1983 წლის პირველ კვარტალში მათვე მივყიდეთ 4 ტონა ხორცი, 4.000 ფრთა ქათამი, 2.000 ლიტრი რძე, ცეკავშირის მიერ დაწესებულ ფასებზე უფრო იაფად. რაკი ზარალი არ ვნახეთ, წლის ბოლოსათვის ვაპირებთ მეცხოველეობის პროდუქტებით მთლიანად დავაკმაყოფილოთ სისტემის თანამშრომელთა ხუთასივე ოჯახი და რაც მოგვრჩება, განზრახული გვაქვს ქალაქის სავაჭრო ქსელს გადავცეთ.

— საკვების საქმე როგორა გაქვთ?

— ვერა გვაქვს კარგად, გვიჭირს; რა თქმა უნდა, გარეუბანში მოწეული საკვები ჩვენს პირუტყვს წასახემსებლადაც არ ეყოფა. შარშან შვიდ ჰექტარზე 15 ტონა სიმინდი და 40 ტონა უხეში საკვები მოვიწიეთ. ქვალონის მიწების იმედი გვაქვს, — ხობის რაიონშა იქ 30 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა გამოგვიყო.

მიწა მივიღეთ, მაგრამ მიწას მოვლა-პატრონობა უნდა, ცარიელი ხელებით რას გავაწყობთ, — აუცილებლად გვჭირდება მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი, ექსკავატორი, სატვირთო მანქანები... საერთოდ, პირუტყვის საკვებისა და საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ნაკლებობას ქალაქის ყველა დამხმარე მეურნეობა განიცდის. ამ პრობლემების მოგვარება ჯერჯერობით უჭირს ტერიტორიულ-დარგთაშორის გაერთიანებას.

წურწუმიამ ტრიკოტაჟის ფაბრიკაც დამათვალიერებინა, რომელიც მოცულობით მცირეა და სახელოსნოს უფრო ჰგავს, ვიდრე ფაბრიკას. პროდუქციასაც მცირე რაოდენობით უშვებს, მაგრამ მრავალნაირს, თანაც ისეთ ხარისხიანს, — ნამდვილად არ მოველოდი. აქაური ნახელავი არაფრით ჩამოუვარდება ბალტიისპირელ ოსტატთა აღიარებულ სტანდარტებს.

— სხვა ქალაქებში საკმაოდ გრძელი რიგებიც მინახავს ასეთ საქონელზე, — ვერ ვმალავ კმაყოფილებას.

— ფოთში კი ჩამოსული კაცი თუ იყიდის, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გვეჯემ.

— აქაურები რა, იწუნებენ?

— არა, ბატონო, კი არ იწუნებენ დაკმაყოფილდნენ უკვე, მიხსნის წარმოების ხელმძღვანელი ბენო ბათაშვილი, — მარა...

ვგრძნობ, კიდევ რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ აყოვნებს... გვეჯეს შეჰყურებს...

გვეჯე: — თქვი შე კაცო... დასამალი და დასაფარი რა გვაქვს?!

ბენო: — მთელი წელიწადია აქა ხართ, ფოთელები შინაურ კაცად გთვლით და ამიტომ გიბედავთ... აქეთ მობრძანდით...

ბათაშვილი საწყობში შემიძღვა, სადაც გროვად ეწყო ცალკე ნედლეული, ცალკე — მზა ნაწარმი.

ბენო: — აი, ხომ ხედავთ, რამდენი მასალა გვიწყვია ხელუხლებლად, მზა ნაწარმიც რამდენი გვაქვს... ის თანამედროვე დანადგარებიც ხომ ნახეთ, — უქმად რომ დგანან. ეს ყველაფერი ფულია, სახელმწიფო ფული, მაგრამ გაყინული... ნედლეული, რომელიც დროულად არ იქცევა საჭირო საქონლად — ბრუნვაში მოუქცეველი ფულია, აი, ისეთი ზოგიერთი რომ შემსალაროსაც არ ანდობს და მუთაქებში ტენის. ასევეა დანადგარიც — თუ უქმად დგას, მუშახელიც უქმადაა, ცდება.

— ესე იგი, ცდება ფაბრიკაც... გამოდის, რომ ჭარბ საქონელს ამზადებთ?!

გვეჯე: — არა, საქონელს ზუსტად გეგმის მიხედვით ვამზადებთ. ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მოსახლეობა დაკმაყოფილდა ჩვენი ნაწარმით.

— თქვენც აღექით და გაიტანეთ, სადაც მოთხოვნილებაა ამ საქონელზე, თუნდაც აქვე, მეზობლად — სამეგრელოსა და გურიის მთიან რაიონებში.

ბენო: — აგაშენათ ღმერთმა... ჩვენც მასე ვიფიქრეთ, ჭცადეთ კიდეც, გავიტანეთ, მაგრამ გახურებული ვაჭრობის დროს თავზე დაგვადგნენ ადგილობრივი „ობეხეესისა“ თუ სახალ-

ხო კონტროლის თანამშრომლები და უკანვე გამოგვაძუნძულეს.

— რატომ?!

ბენო: — არა გვაქვს სხვა რაიონში გაყიდვის უფლება და იმიტომ. ასე გვიგროვდება ზენორმატიული ნაშთი.

გვეჯე: არა, მთლად მასე არ არის. ზენორმატიული ნაშთის წარმოშობის ძირითად მიზეზს ახლავე მოგახსენებთ: ჩვენი ფაბრიკა კოოპერირების წესით ტრიკოტაჟის ნაწარმს უმზადებს არა მარტო ფოთის, არამედ ზუგდიდის (რაიონსა და ქალაქს), მახარაძის, ცხაკაიას, ხობისა და გეგეჭკორის რაიონებს. ამ რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებთან გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულებები და გათვალისწინებულია, რა თქმა უნდა. მათ გეგმით მაჩვენებლებში. მთლიანად რომ ავიღოთ ამ სამმართველოების ტრიკოტაჟის ნაწარმის რეალიზაციის წლიური გეგმა შეადგენს 225 ათას მანეთს.

ჩვენ, ხელშეკრულების მიხედვით, დროულად ვამზადებთ საქონელს. სხვა უფლება არცა გვაქვს. პარტნიორებს კი, ვისთვისაცაა გამიზნული ნაწარმი, საქონელი ბევრ შემთხვევაში არ გააქვთ ფაბრიკიდან და თუ გააქვთ, ზამთრის თვეებში მხოლოდ. რაკი წარმოება დაგეგმილია წლიური მაჩვენებლებით, ე. ი. გეგმიურად თვეებისა და კვარტალების მიხედვით და არა სეზონურად, კანონით მათაც უნდა დაიცვან და ანგარიში გაუწიონ ამ ელემენტარულ თანამიმდევრობას. სწორედ ეს შეუსაბამობა ქმნის ზენორმატიულ ნაშთს ფაბრიკაში.

— მერედა, გაიტანონ დროულად საქონელი მაგ დალოცვილებმა...

ბენო: — მართალი თუ გნებავთ, ვერც მათ გაამტყუნებთ, ბატონო... არა აქვთ გასაყიდი პუნქტები, საქონლის შესანახი ადგილები, საწყობები. ბევრი პუნქტი კერძო პირებისგან და, ქირავებულ, შეუფერებელ, ბოსლებივით ნაგებობებში აქვთ.

გვეჯე: — ამის თაობაზე არაერთხელ მივწერეთ სამინისტროს. ულტიმატივივით გამოგვივიდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, — ან პარტნიორებს გაეტანათ დროულად საქონელი, ან ჩვენთვის მოეცათ უფლება ჩვენვე გაგვეყიდა ჩვენი ნაწარმი მათთან. მზად ვიყავით მთიან სოფლებშიც ავსულიყავით. გვაქვს ამის საშუალება. სამინისტრო უარზეა.

— რა მოტივით?

გვეჯე: — რა მოტივით და, არსებობს თურმე ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც იკრძალება. თანაც, სასტიკად, ერთი რაიონის საყოფაცხოვრებო ობიექტებში დამზადებული ფართო მოხმარების საქონლის გაყიდვა მეორე რაიონში.

(რამდენად მართებულია ასეთი წესი არ ვიცი, იქნებ იმათ განგვიმარტონ ვინაც დააკანონა).

ბენო: როგორ თქვას კაცმა, მარა, მარტო ჩვენზე ხომ არ ვრცელდება ეს ინსტრუქცია? აგერ, ბატონო, ბაზარში შეიხედეთ, ერთი კვირაა ჩვენი ერევნელი კოლეგები ვაჭრობენ თავიანთი საქონლით.

დავინტერესდი, ბაზარიც აქვეა, ყურისძირში, წურწუმია და ბათაშვილი ვიახლე თან. მშვენიერ მატყლის საბნებს ჰყიდდნენ ჩვენი სომეხი მეზობლები. რასაკვირველია, სახელმწიფო პრეისკურანტით გათვალისწინებულ ფასებში. თავაზიანი გამყიდველები კაპიკ-კაპიკ აბრუნებდნენ ხურდას. მყიდველიც ეხარბებოდა ხარისხიან საქონელს.

ჩემთვის ცოტა უხერხული იყო და უბნის ინსპექტორს ვთხოვე შეემოწმებინა, ჰქონდათ თუ არა მათ ნაწარმის ფოთში გაყიდვის უფლება.

— ვიდრე ვაჭრობას დაიწყებდნენ, ჯერ ჩემთან მოვიდნენ, უფროსო... დოკუმენტები რიგზე აქვთ, თბილისიდან აქვთ ნებართვა... შეუმოწმებლად ჩვენთან ჩირიც არ იყიდება, ბატონო! — სხარტად მიპასუხა ახალგაზრდა უფროსმა ლეიტენანტმა გვარად კვიციანმა.

მე მხრებს ვიჩეჩავ... კანონი კანონია, — გამონაკლისი დაუშვებელია!..

„უნარჩენებო ქალაქი". „...ფოთელთა მუშაობის ერთ-ერთი პრინციპია „უნარჩენებო ქალაქი". წარმოების ნარჩენების პასპორტიზაციისა და კლასიფიკაციის, მომხმარებელთა მოთხოვნის შემდეგ საწარმოებს ასათვისებლად ურჩიეს 26 დასახელების ქალაქის მასშტაბით დეფიციტური საქონელი. წელს ფოთელ ამხანაგებს გათვალისწინებული აქვთ 16 დასახელების ახალ სახეობათა ნაკეთობანი". ამონაწერი საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის (1983 წ. 30 მარტი) მასალებიდან.

ყაირათიანი, თადარიგიანი დურგალი, — ბურბუშელაც არაა გადასაგდებიო, — იტყოდა მიწყივ.

ნარჩენების თაობაზე ამას წინათაც მქონდა პრესაში მცირე საუბარი. საგაზეთო წერილის მოცულობის სიმჭიდროვის გამო, სიმართლე გითხრათ, ბოლომდე ვერ ვთქვი სათქმელი.

ბურბუშელას კი არა, აბა, დავუფიქრდეთ, რამდენ რამეს მივიჩნევთ ხოლმე უსარგებლო ხარახურად და განუკითხავად ვყრით სანაგვეზე. უბედურება ისაა, მოსახლეობასთან ერთად, დიდი ქარხანა-საწარმოებიც რომ სცოდავენ ამ მხრივ და, უფრო მასშტაბურადაც.

ამგვარი „ხელგაშლილობა", თურმე ნუ იტყვით და, სათანადო კანონითაც ყოფილა გამართლებული:

არსებობს ერთი ადამისდროინდელი ინსტრუქცია, რომლის, დებულებითაც წარმოებებმა თუ დაწესებულებებმა დაუყოვნებლივ უნდა ჩამოწერონ და „უვნებელჰყონ" მოძველებული, უვარგისი ინვენტარი. და, რაკი კანონის დარღვევას არავინ გვაპატიებს, გაუთავებლად იწ-

ვის და ხრჩოლავს ქალაქთა გარეუბნებში, ხშირად თვით ფაბრიკა-ქარხნების, წარმოება-დაწესებულებების, საავადმყოფოებისა თუ კომუნალური სახლების ეზოებში უსარგებლოდ მიჩნეული ავეჯი, საკანცელარიო ნივთები, ნოხები და თეთრეული, მუყაო და ქაღალდი, პოლიმერი თუ ფანერი, ყველას ვერც კი ჩამოთვლი კაცი.

ეტყობა, როცა ამ ინსტრუქციას ადგენდნენ, ავტორები მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ გარემოებას ითვალისწინებდნენ: ვაი, თუ ვინმე დახარბდეს და ჩამოწერილი ნივთი გაყიდოს ან შინ წაიღოს!

მომიტევეთ და, ავი ძაღლის ამბავივით ხომ არ გამოგვდის?!

ამ ინსტრუქციით, ქვეყნის მასშტაბით რომ ვიანგარიშოთ, ალბათ აურაცხელი ზარალი მივაყენეთ და ვაყენებთ სახალხო მეურნეობას!

დანაშაულებრივ უგულისყურობას ვიჩენთ, კერძოდ, ქაღალდის მიმართ: ბევრი ვეძიე, მაგრამ ვერასგზით დავადგინე, თუ რამდენ მაკულატურას ვკარგავთ უთავბოლოდ და განუკითხავად რესპუბლიკაში. სამწუხაროდ, ამის აღრიცხვა რატომღაც არ წარმოებს. რატომ? რად უნდა გავატანოთ ქარს ეგზომ ძვირფასი მეორეული ნედლეული?!

რაკი ქაღალდზე ჩამოვარდა სიტყვა, ისიც უნდა შევახსენოთ, რომ 1979 წლის ოფიციალური მონაცემებით, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 570 ათასი ტონა მაკულატურა გადაუმუშავებიათ, ხოლო 1980 წელს ქაღალდის 46 პროცენტი მეორეული ნედლეულიდან დაუმზადებიათ. ადგილობრივი სპეციალისტების გამოანგარიშებით, მეორეული ნედლეული რომ არ გამოეყენებინათ, ყოველწლიურად 180 კვადრატული კილომეტრი ფართობის ტყე გაიჩეხებოდა.

პარიზელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ადგილობრივი ფოსტისა და გარემოს დაცვის სამინისტროების მოწოდებას — სახელმწიფოსათვის ჩაებარებინათ ძველი სატელეფონო ცნობარები. 1981 წლის ზაფხულში ჩაბარებულმა გამოუსადეგარი სქელტანიანი ცნობარების საერთო წონამ 450 ტონას გადაამეტა.

შედეგი: მარტო ამ ღონისძიებით მოპოვებულმა მაკულატურამ საფრანგეთს ხუთი ათასი ძირი ხე შეუნარჩუნა.

შვეიცარიაში გამოყენებული მინის 87 პროცენტს ხელახლა ადნობენ, რაც 22,5 პროცენტით ამცირებს სამრეწველო ენერგიის მოხმარებას ამ ქვეყანაში. ამავე შვეიცარიაში, 1979 წელს, დაახლოებით მილიონი ტონა გამოყენებული ქაღალდიდან 480 ათასი კილოგრამი კვლავ წარმოებას დაუბრუნდა, რაც ყოველწლიურად, 10 ათას ჰექტარ ტყეს უდრის. იბარებენ ყველაფერს — წყობიდან გამოსულ ავეჯს, ზედმეტ, ნახმარ ტანსაცმელ-ფეხსაცმელს, იბარებენ გამოუყენებელ ხატარეებსაც... შვეიცარიის მრეწველობის მიერ გამოშვებული 100 ათასი ტონა ალუმინის პროდუქციიდან 20 ათასი ტონა კვლავ წარმოებას უბრუნდება.

ჩვენს ქვეყანაში კი მეორეული ნედლეულის გადამუშავებით მიღებული სარგებლიანობის ციფრობრივი მაჩვენებლები, რა თქმა უნდა, გვაქვს, მაგრამ არც ისე სახარბიელო, პროცენტები სასურველ შედეგებს რომ გვაუწყებდეს, სხვა ქვეყნების დასახელება არ მოგვიწევდა და არც მთავრობა მიიღებდა ამ პრობლემის გადასაჭრელად კატეგორიულ ზომებს.

ფოთის გაერთიანება მეორეული ნედლეულის, ე. წ. ნარჩენების გამოყენების პრობლემას საგულდაგულოდ მოეკიდა და იმედისმომცემი ნაბიჯებიც გადაიდგა:

„...შარშან ფოთის საწარმოებმა 19 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სახალხო მეურნეობის საქონელი გამოუშვეს და მოკლე ხანში მიაღწიეს მნიშვნელოვან მატებას“, — ითქვა 1983 წლის მარტში გამართულ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივზე.

„ძალზე საინტერესო და სასარგებლო თაოსნობა გამოიჩინა ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი — „მაქსიმუმი პროდუქცია — მინიმალური დანახარჯებით“. დამზადებულია მიწასაწოვი აგრეგატების საცდელი ნიმუშები, რომლებიც ნაკლები მასალატევადობის პირობებში მეტი საიმედობითა და მწარმოებლობით გამოირჩევა. ინერგება მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესები“. „...ფოთელ მანქანათმშენებელთა ინიციატივა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ამოცანა ის არის, რომ ყველგან გავავრცელოთ ეს საგულისხმო გამოცდილება“, — ასე შეაფასა ედუარდ შევარდნაძემ ფოთის ექსპერიმენტის ერთ-ერთი გერგილიანი ღონისძიების შედეგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმზე.

როგორ მოხდა ეს, რანაირად მიაღწიეს ფოთელებმა ამ წარმატებას?

კვლავ პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს მოვუსმინოთ:

— ტერიტორიულ-დარგთაშორის გაერთიანებასთან შექმნილია სახალხო მოხმარების საგნების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და მეორადი რესურსების გამოყენების განყოფილება, ეს არის მუშა ორგანო, რომელიც განაგებს ნარჩენების სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის, მატერიალური, ენერგეტიკული, სათბობი, შრომითი რესურსების რაციონალურად ხარჯვის საკითხებს. რეგიონში ამ საქმეს, რა თქმა უნდა, საფინანსო განყოფილება განაგებს, მაგრამ რაკი იგი პროფილით მხოლოდ ეკონომიკური, საფინანსო და არა ტექნიკური სამსახურია, ბუნებრივია, ვერა და ვერ გაუძღვებოდა ეკონომიას სათანადო საინ-

უინრო უზრუნველყოფის გარეშე, ამიტომაც შეიქმნა სპეციალური სამსახური, სადაც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რასაკვირველია, ფინანსისტებთან ერთად, კომპლექსურად წყვეტენ ამა თუ იმ პრობლემას.

როგორ გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები?

რანაირად, რა გზით ვარაუდობენ ფოთელები ეკონომიკური კოეფიციენტის გაზრდა-გაუმჯობესებას?

ამ საკითხებზე ვალაპარაკოთ ვიქტორ ტიხოვი— საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების უფროსი:

— თავდაპირველად ნარჩენების პასპორტიზაციით დავიწყეთ. შევადგინეთ მათი საერთო საქალაქო კატალოგი, რომელსაც ნარჩენების გამოყენების რეკომენდაციებიც დავურთეთ. მუშაობის ამ სისტემის ეფექტურობამ სრული წარმოდგენა შეგვიქმნა თავისთავად არსებულ, მაგრამ ჩვენთვის მანამდე უცნობ, გამოუყენებელ რეზერვებზე. ასე რომ ისინი უკვე არ წარმოადგენენ ჩვენთვის საიდუმლოებას, — ვიცით, რომელ საწარმოს რამდენი და რა სახის ნარჩენები აქვს და ჩვენც საჭიროებისამებრ ვიყენებთ მათ.

— მიჩქმალული რესურსების მოკვლევის საკითხი თუ გაინტერესებთ, საქალაქო ხარისხის სახლს ვეწვიოთო, — შემომთავაზა რევაზ დუმბაძემ.

მეც საგულდაგულოდ გავეცანი იქ მოწყობილ წარმოების ნარჩენებისა და ადგილობრივი ნედლეულის, პირველადი და მეორეული რესურსების რაციონალურად გამოყენების მუდმივმოქმედ გამოფენას.

რამდენჯერმე გახლდით ამ სახლში, პირადად შევხვდი და ვესაუბრე დირექტორს, პროდუქციის ხარისხის სახელმწიფო ზედამხედველობის ფოთის ტერიტორიული განყოფილების უფროსს გურამ ნიკურაძესა და მთავარ ინჟინერს იგორ მამალაძეს.[1] რომლებმაც საფუძვლიანად ჩამახედეს რესურსების საიდუმლო ლაბირინთებში.

გულწრფელად გითხრათ, არც ისე თავსატეხი ლოგარითმი ყოფილა ეს პრობლემა, როგორიც მეგონა, თუ (ცვლავ მინდა შევახსენოთ) საზოგადოებრივ-საერთო საკუთრებაზე იმგვარადვე ვიფიქრებთ და ვიზრუნებთ, როგორც ის დურგალი, ცოტა ზემოთ რომ მოვიშველიეთ ანალოგად, თუ მასავით ბურბუშელასაც არ დავკარგავთ და თადარიგსაც წინასწარ და გონის თვალით დავიჭერთ, არა მგონია, წავაგოთ.

ამ ჭეშმარიტების უთუობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ხარისხის სახლში.

— ჩაის კონცენტრატების ქარხნის მშენებლობაზე „კოლხეთმშენის" ტრესტის № 2 მოძრავ-მექანიზებული კოლონის შემდუღებელთა ბრიგადამ მიიღო საჭირო დიამეტრის 12 მეტრი სიგრძის მილები, ნახაზის მიხედვით კი 11 მეტრსა და 60 სანტიმეტრიანი სჭირდებოდათ. ადრე 40 სანტიმეტრიანი ჩამონაჭრები ჯართად მიჰქონდათ, ან სამშენებლო მოედანზე იყანგებოდა. ახლა კი მილების ჩამონაჭრები მშენებლებმა ეგრეთ წოდებულ „კუთხეების" ჩასამაგრებლად გამოიყენეს ასე, რომ არც ერთი სანტიმეტრი ლითონი არ დაკარგულა, — მეუბნება მამალაძე.

კიდევ, — ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების თავგზიანობის წყალობით ამავე მშენებლობაზე დადებითად გადაწყდა ობიექტის მასალებით მომარაგების საკითხიც, რაც ახე არარიტმული გახლდათ.

გურამ ნიკურაძე: მშენებლებს დეფიციტური მასალა დასჭირდათ სპეციალური როფების დასადგმელად. წინათ ამ მასალის მიმწოდებლის მოსაძებნად ხელმძღვანელებს არაერთხელ უხდებოდათ მივლინებაში წასვლა, ზოგჯერ სხვადასხვა შორეულ ქალაქებშიც კი. ამჯერად ამ ფუნქციას, რაკი იგი თავადვეა დაინტერესებული მშენებლობით, თვით გაერთიანება ასრულებს. აქ იცოდნენ როფების დასადგმელად დეფიციტური მასალის, ამ შემთხვევაში ალუმინის, ნარჩენებიც გამოდგებოდა, და ისიც, რომ აქვე, ყურისძირში, ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთმშენებელ ქარხანაში ყოველთვიურად დაახლოებით ტონანახევარი ასეთი ნარჩენები გროვდებოდა და უქმად ეყარა. გაერთიანებამ კი, ამ თითქოსდა გამოუსადეგარი ძვირფასი ლითონით ჩაის კონცენტრატების ქარხნის მეტად მნიშვნელოვანი უბანი — ტექნოლოგიური მოწყობილობის ცენტრალური კვანძები დაამონტაჟა.

რევაზ დუმბაძე: იგივე ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა და ქალაქის სხვა სამრეწველო საწარმოები არა მარტო რეგულარულად აწვდიან ერთმანეთს ნედლეულის ნარჩენებს, არამედ თვითონაც ამზადებენ ამ ნარჩენებისაგან საჭირო დეტალებსა თუ ფართო მოხმარების საქონელს, მათ შორის, ინვენტარს მებაღეობა-მებოსტნეობის წარმოებისათვის, ხორცის საბეგვებს, ქვაბის დასადგმელებს, თევზის საწმენდ დანებს და სხვა წვრილმან, მაგრამ ასე აუცილებელ საგნებს.

ქარხანა „ელექტროაპარატში" ელექტრონიტის ნარჩენებისგან ამზადებენ სანადირო თოფის ზუმბებს, დარჩენილ ბადისებრ ლენტს კი მიწისქვეშა კომუნიკაციების თბოიზოლაციისათვის იყენებენ; აქაურ საამწყობო საამქროში, ძირითად პროდუქციასთან ერთად, ისეთ ნივთებსაც ამზადებენ, რომლებიც მრავალდარგოვან საწარმოთა პროფილს უფრო შეეფერება,

---

1 ამჟამად ქარხანა „ფოთიელექტროაპარატის" დირექტორი.

ვიდრე ელექტროაპარატურის ქარხნისას. მაგალითად, ტანსაცმლის საკიდებს, ელექტრომოსაწვავებს, ბოთლის გასახსნელებს, სარეცხის სამაგრებს და სხვა.

იგორ მამალაძე: სამკერვალო ფაბრიკა ქსოვილების ნარჩენებისაგან უკვე მასობრივად უშვებს ორი ფერის კომბინირებულ მთლიან და ქვედა კაბებს, აგრეთვე წინსაფრებს ბავშვებისათვის. ამ შინახელოსნურ საქმიანობაში ჩაებნენ ქალაქში მცხოვრები პენსიონერები და დიასახლისები, რითაც თითქმის ასი მანეთით გაიზარდა თითოეული მათგანის ოჯახური ბიუჯეტი;

რევაზ დუმბაძე: ჩვენი გაერთიანების რჩევითა და თაოსნობით, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა უკვე სამი სახეობის ახალი პროდუქცია აითვისა. ადგილობრივი ნედლეულისგან მზადდება სამშენებლო ღორღი, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა, ხოლო ქვის კარიერისა და მარმარილოს ნარჩენებისგან — მოზაიკური მოსაპირკეთებელი ფილები. ეს პროდუქცია გამოიყენეს კინო-თეატრ „რუსთაველის“ რეკონსტრუქციისას და ასტრახანის თევზის მეურნეობისა და მრეწველობის საკავშირო ინსტიტუტის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მშენებლობაზე. მწყობრში ჩადგა შპალერის საამქრო, რომელიც კარგა ხანია საგრძნობ შემოსავალს იძლევა და, რაც მთავარია, მისი პროდუქცია დიდი მოწონებით სარგებლობს.

— ანალოგიური ურთიერთობა წესად იქცა ქალაქში, — განაგრძობს დუმბაძე, — მაგრამ დაბრკოლება ის გახლავთ, რომ ესოდენ მომგებიანი სიახლე ჯერჯერობით სათანადო კანონით არ არის დადგენილ-გამტკიცებული. მეოთხედი ნედლეულის გაცვლა-გამოცვლა, ასე ვთქვათ, „შინაურული“ მოლაპარაკების საფუძველზე წარმოებს მხოლოდ, — მოგეხსენებათ, თითოეულ ორგანიზაციას საწარმოო ნარჩენების ჩაბარების თავ-თავიანთი სახელმწიფო გეგმა აქვთ, ამიტომაც გვიჭირს ამ ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობის მთელი შესაძლებლობით ამოქმედება.

მიუხედავად ამისა, 1982 წელს ნარჩენებისგან წარმოებულია 326 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საგნები. ხოლო მიმდინარე წლის 10 თვეში საწარმოო ნარჩენებისგან ათვისებულია 11 ახალი პროდუქცია. დაიწყო კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნების წარმოება „იუველირმაშის“ კოლექტივმაც. ამავე 10 თვეში ქალაქის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დაზოგეს 461,2 ტონა შავი და 26,3 ტონა ფერადი ლითონი, ნორმასთან შედარებით — 4.987 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 1.298 ტონა პირობითი საწვავი.

მაგალითები, ვგონებ, კმარა და, ისღა დაგვრჩენია მხოლოდ, სათანადო დასკვა გავაკეთოთ ყოველივე ზემოთქმულიდან:

ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება ანალიტიკურად, კომპლექსურად მიუდგა ნარჩენების პრობლემატურ საკითხს და, როგორც ქალაქის, ასევე წარმოება-ორგანიზაციათა სასიკეთოდაც გადაწყვიტა.

დადგინდა ელემენტარული ჭეშმარიტებაც — სხვადასხვა პროფილის საწარმოებისთვისაც ძალზე ხელსაყრელი ყოფილა ერთმანეთს გაუცვალონ... წარმოების ნარჩენები!

შედეგად: ქალაქის ბიუჯეტს — დამატებითი შემოსავალი, ხოლო წარმოება-ორგანიზაციებს — დიდი დანაზოგი.

ვირწმუნოთ, რომ ვიწრო უწყებრივ ინტერესებს ბოლო ელება?

უნდა ვირწმუნოთ! ისიც ვირწმუნოთ, რომ როგორც იქნა, უწყებრივობა პრიორიტეტს ჰკარგავს... წარმოებისავე სასარგებლოდ!

აგრეთვე:

შესაძლოა, უკეთ ვერა ვთქვა და, ამჯერად საქართველოს ტელევიზიის ამასწინანდელ „მრგვალ მაგიდასთან“ გამართული „დიალოგის“ ერთ-ერთი ფრაგმენტი ალვადგინოთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის ჯგუფის ხელმძღვანელი დემურ იოსელიანი ეკითხებოდა ბაკურ გულუას:

— რა გავლენას მოახდენს ეს დამატებითი შემოსავალი ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე? რა სტიმული ექნებათ წარმოება-დაწესებულებებს, თუ ამ გაერთიანებაში შევლენ?

— ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხია. როგორც ჩანს, წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ საწარმოთა ინტერესები. პრობლემა განა ის არის, როგორ გავანაწილოთ შექმნილი სიკეთენი? მთავარია, როგორ შევქმნათ ეს სიკეთენი, პრობლემის არსიც სწორედ ამაშია. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენ ყურადღება ძირითადად ადგილობრივი მრეწველობის განვითარებაზე გადავიტანეთ, რათა ჩვენივე ადგილობრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობა გვქონოდა. ამ მხრივ ქალაქის საშუალებები შეზღუდულია, მაგრამ გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ხობის, ჩოხატაურის, სამტრედიის, ცხაკაიასა და ჩხოროწყუს რაიონებში ჯერ კიდევ გვეგულება გამოუყენებელი ბუნებრივი რესურსები, რომელთა გამოყენება აგრერიგად უჭირთ სოფლებს თავიანთი შეზღუდული საწარმოო პოტენციალის გამო. ქალაქს კი ძალუძს გახსნას ფილიალები, შექმნას საწარმოები. ლენინგრადელთა გამოცდილებამ ხომ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ამ საქმეში... ამ ორი საწყისის — ბუნებრივი რესურსებისა და სამრეწველო პოტენციალის გაერთიანებას თუ მოვახერხებთ, წარმატებებიც გვექნება.

ჩვენი გაერთიანების დაარსებიდან დღემდე,

დროის შედარებით მცირე მონაკვეთში ძალზე ბევრი გაკეთდა, თუნდაც სოციალური უკუგების თვალსაზრისით. აქ ბევრი გვაქვს სათქმელი. ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი გემთსარემონტო-სამშენებლო ქარხანა, რომლის პროდუქციას დიდი გასავალი აქვს მსოფლიო ბაზარზე. მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვან საწარმოშიც კი გადაჭრილი არ არის ბინების, გზების, განათების, სასმელი წყლით მომარაგებისა თუ სხვა ელემენტარული სოციალური საკითხები. ისმება კითხვა: განა ნაკლებმნიშვნელოვანია ყველა სიკეთით იმ ადამიანთა უზრუნველყოფა, რომლებიც აშენებენ ახალი ტიპის გემს „კოლხეთს?“ ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ხომ ჩვენი პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველია. ჰოდა, ჩვენც ცენტრალიზებული წესით შექმნილ ფონდებს ვიყენებთ ქალაქის მშრომელთა წახალისებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ჩვენ უკეთ ვიცით, თუ ვინ შექმნა ახალი გემის კორპუსი, ვინ აღჭურვა იგი. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოიტანა დადგენილება, რომ ენთუზიასტებს რიგგარეშე მისცენ ბინები. გვინდა დავაწესოთ ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია. გვახსოვს მისი დამსახურება ჩვენი ქალაქის წინაშე. ასეთი პრემია უნდა მივცეთ ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში ყველაზე დამსახურებულ ადამიანებს.

ვგონებ, ამომწურავად პასუხობს ბაკურ გულია დასმულ შეკითხვას.

ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘ. ქალაქში არსებულ სავაჭრო-საალებმიცემო ორგანიზაციებს შორის ფოთის მეთევზეთა კოოპერატივი, რომელიც საოკეანო თევზჭერის სამმართველოს, მეთევზეთა კოლმეურნეობას და ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს ემსახურება, ყველაზე სუსტ კოლექტივად ითვლებოდა წლების მანძილზე.

ჰქონდა ამას თავისი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები, რომელთა ახსნას ახლა აზრი არა აქვს.

და უცებ, სულ რამდენიმე თვეში ერთ-ერთ ძლიერ სავაჭრო ორგანიზაციად იქცა.

1988 წლის 8 თვის შედეგებით ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა. საქონელბრუნვის გეგმა გაანაღდა 105,8, საცალო ვაჭრობის — 100, საკომისიო ვაჭრობის — 257,7, საზკვების 130,7; ხოლო მოგების — 149 პროცენტით.

რამ განაპირობა ამგვარი სასიკეთო შემობრუნება?

დავიწყოთ იმით, რომ კოოპერატივის საქმიანობაში დიდი მაორგანიზებელი და მასტიმულირებელი როლი შეასრულა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის ცეკავშირის გამგეობისა და ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ერთობლივმა დადგენილებამ „XI ხუთწლედში ფოთის მეთევზეთა კოოპერატივის შემდგომი განვითარებისა და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ღონისძიებათა შესახებ“.

ექსპერიმენტის პერიოდში ამდაგვარი დადგენილებები მიღებულია რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, კვების მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, ხილბოსტანვაჭრობის სამინისტროებთან, საქმომარაგებასთან, საქენერგოსთან, შრომის, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტებთან, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან, სახბანკის რესპუბლიკურ კანტორასთან, ამიერკავკასიის რკინიგზასთან, ხობის, ლანჩხუთისა და ჩხოროწყუს რაიონებთან.

ამ დადგენილებათა დიაპაზონის სრულად წარმოსადგენად საჭიროდ მიმაჩნია ნაწილობრივ მაინც გაგაცნოთ ერთ-ერთი მათგანი. ამ შემთხვევაში კი, რაკი კოოპერატივზე გვაქვს საუბარი, მოდი, ცეკავშირზე შევჩერდებით.

საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის

## ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

მეთერთმეტე ხუთწლედში ფოთის მეთევზეთა კოოპერატივის შემდგომი განვითარებისა და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი აღნიშნავენ, რომ მეთევზეთა კოოპერატივმა განსაკუთრებული მუშაობა გასწია საქონელბრუნვის გეგმისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის. მაგრამ მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, მეთევზეთა კოოპერატივის საქმიანობასა და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში, ჯერ კიდევ შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებანი. კოოპერატივის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულიად არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ობიექტების უმეტესი ნაწილი განლაგებულია შეუფერებელ შენობებში, არა აქვთ საკმაო სავაჭრო ფართობი და დამხმარე სათავსები, სავაჭრო ობიექტები ესთეტიკური თვალსაზრისით ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. სასაწყობო მეურნეობის სიმცირის გამო ადმინისტრაცია იძულებულია სათავსოები დაიქირაოს კერძო პირებისაგან. სასაწყობო მეურნეობებში არ არის დანერგილი დატვირთვა-დაცლის სა-

მუშაოების მექანიზაცია, რის გამოც ძირითადად გამოიყენება ხელით შრომა.

ნაკლები ყურადღება ექცევა ვაჭრობის პროგრესული მეთოდების დანერგვას. ასევე არ არის დანერგილი მუშაობის ხარისხის კომპლექსური მართვის სისტემა. კონტიგენტის მომარაგებისათვის საკმარისად არ არის გამოყოფილი სასურსათო ფონდები. უფრო მეტიც, ზოგიერთ ძირითად სასურსათო ობიექტს მიმდინარე წელს შეუმცირეს კიდეც.

შესაბამისი ბაზის უქონლობის გამო ფერხდება სარეწაო ტრალერების და სეინერების მომარაგება, რომელთა რაოდენობა საკმაო ერთეულს აღწევს.

ქალაქში მიმდინარე სამეურნეო ექსპერიმენტის შედეგებმა უკვე გვიჩვენა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ადგილობრივი ორგანოების ინიციატივა ქალაქის მეურნეობის ყველა დარგში რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების საქმეში. უფრო დიდმწარმოებლური გახდა სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობა, დაჩქარდა წარმოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერებისა და მოგების ზრდის ტემპი. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება რესურსების მაქსიმალური გამოყენებისა და ფართო მოხმარების საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის.

ამასთან სოციალური ინფრასტრუქტურის, კერძოდ, სავაჭრო მომსახურების საკითხები ბევრად ჩამორჩა თანამედროვე მოთხოვნებს.

საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტს, საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობას და ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიზანშეწონილად მიაჩნიათ ფოთის მეთევზეთა კოოპერატივში მოეწყოს ექსპერიმენტი ვაჭრობაში.

ექსპერიმენტის მიზანია მოიძებნოს ვაჭრობის და სავაჭრო მომსახურების ახალი ფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ასევე აქტიური ზეგავლენა მოახდინოს წარმოების ეფექტიანობაზე, დააჩქაროს მოსახლეობის ფულადი სახსრების ბრუნვადობა.

საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი ადგენს:

1. ქალაქის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს მოეწყოს ქ. ფოთში ექსპერიმენტი ვაჭრობაში.

2. ფოთის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების, მეთევზეთა კოოპერატივის, საოკეანო თევზჭერის სამმართველოს, მეთევზეთა კოლმეურნეობა „კოლხეთის", სანერგე მეურნეობის, მმკ № 13, ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის და „საქსოფლქიმიის" სპეცგაერთიანების ხელმძღვანელებმა და პირველადმა პარტორგანიზაციებმა თავიანთი საქმიანობა წარმართონ მეთევზეთა კოოპერატივის მიერ საქონელბრუნვის სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, სავაჭრო მომსახურების დონის ამაღლებისა და ვაჭრობის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მეთევზთა კოოპერატივის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, გააძლიერონ ბრძოლა ვაჭრობის წესების დარღვევისა და სხვა ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად და სხვა.

ეს დადგენილება ითვლება კოოპერატორთა წარმატების ერთ-ერთ საწინდრად.

□ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

# ჩვენი პირველი ყრილობა

ნახევარი საუკუნის წინათ... დიაღ 50 წლის წინათ...

თვით ქალაქ მოსკოვისთვისაც, საბჭოეთის დედაქალაქისთვისაც, არ იყო ეს ჩვეულებრივი მოვლენა, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში რიგი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესები და სიმპოზიუმები ეწყობოდა და ქალაქს არ აკლდა მსოფლიოში გამოჩენილი ადამიანების სტუმრობა. იმ წლებში მოსკოვში სტუმრობდნენ ანრი ბარბიუსი და რაბინდრანატ თაგორი, პლანკი და ჟოლიო-კიური, სინკლერი და ფოიხტვანგერი, ბერნარდ შოუ. მოსკოვი უკვე მსოფლიოს ერთი უძლიერესი კულტურის ცენტრი გახლდათ — თეატრები, ფესტივალები, ახალი კინოშედევრები... ეს დიდი კონგრესები და სიმპოზიუმები უმთავრესად „კავშირთა სახლში“ იმართებოდა.

ჩვენი ყრილობაც იქ იყო დანიშნული.

მოსკოვი, არსებითად, ჯერ კიდევ ძველი ქალაქი იყო, ძველი მოსკოვი. მოსკოვის გენერალური გეგმა მხოლოდ შემდგომ წელს დამტკიცდა. ჯერ ქალაქში ახალი სახლები მხოლოდ აქა-იქ შენდებოდა, მათ შორის „ოხოტნი რიადის“ სიახლე — სასტუმრო „მოსკვა“ ჯერ მხოლოდ ხარაჩოებში იდგა და ახლანდელი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დიდი შენობის ადგილი მხოლოდ შემოღობილი იყო. მით უფრო, მოსკოვის დღევანდელ ცათამბჯენებს მაშინ მხოლოდ სიზმრად თუ ნახავდა კაცი. იმ რაიონის მთავარი შენობა — „კავშირთა სახლი“, ამაყად გადაჰყურებდა არემარეს.

* * *

17 აგვისტოს მშვენიერ საღამოს რის ვაი-ვაგლახით გავარღვიეთ მოედანზე შეკრებილი ზღვა ხალხი და ჩვენი დელეგაცია კავშირთა სახლში შვიდა.

წლობით ნანატრი სურათი წარმომიდგა თვალწინ „სვეტებიანი დარბაზის“ კორიდორებში: ალექსი ტოლსტოი და სერაფიმოვიჩი, ფედინი და ვერესაევი, ვსევოლოდ ივანოვი და მიხეილ კოლცოვი, შოლოხოვი და ფადეევი, ტიხონოვი და პასტერნაკი, ბაბელი და კატაევი, ილფი და პეტროვი, იური ტინიანოვი და სელვინსკი, ლეონოვი და კუპალა, გლადკოვი და ტრენევი, ტიჩინა და ერენბურგი, სურკოვი და მალიშკინი... ყველანი, ყველანი ვისთან შეხვედრაზეც და ვის გაცნობაზეც მიოცნებია. აგერ ისინი, კორიდორებში ტრიალებენ ჩვენი ყრილობის უცხოელ სტუმრებთან—ლუი არაგონთან, ანდრე მალროსთან, ჟან-რიშარ ბლოკთან, ფრანც ვაისკოპფთან...

გამოჩენილ რუს მწერალთაგან ზოგიერთს მე მანამდეც შევხვედროდი და ვიცნობდი, მათ შორის ნიკოლოზ ტიხონოვს და ბორის პასტერნაკს. ბორის პასტერნაკმა ერთი წლით ადრე ჩემი ლექსი — „გადარჩენის ბალადა“ თარგმნა და დაბეჭდა რუსულ ენაზე. ეს ლექსი მე, მაშინ სრულიად ახალგაზრდა პოეტმა, ვუძღვენი ჩემს ძმას, ექიმ ანდრია აბაშიძეს, რომელიც იმხანად ჩრდილოეთის ყინულოვანი პოლუსის საქვეყნოდ ცნობილ ექსპედიციაში მონაწილეობდა ყინულმჭრელ „ლიტკეზე“ და ყინულმჭრელი „ჩელუსკინის“ ეკიპაჟის გადარჩენაში იღებდა მონაწილეობას.

ყრილობის მოსამზადებელ საქმიანობაში უსაზღვროდ დიდი როლი შეასრულა, მაქსიმ გორკის ინიციატივით, მოძმე რესპუბლიკებში დაგზავნილმა გამოჩენილი რუსი მწერლების ბრიგადებმა, რომელთაც გააკეთეს უდიდესი საშვილიშვილო საქმე, ჩაუყარეს მტკიცე საფუძველი ეროვნული მწერლობიდან რუსულ ენაზე საუკეთესო ნაწარმოებთა სისტემატურად თარგმნას. საქართველოს წილად ხვდა პოეტთა და მწერალთა ბრიგადა ნიკოლოზ ტიხონოვისა და ბორის პასტერნაკის მონაწილეობით. აქედანვე დაიწყო ამ ორი დიდი რუსი პოეტის საქვეყნოდ ცნობილი ურთიერთობაც ქართველ პოეტებსა და საქართველოსთან.

„სვეტებიანი დარბაზი“ უკვე გაივსო დელეგაციებით.

დასხდნენ...

ათი წლის წინათ — სსრკ მწერალთა პირველი ყრილობის 40 წლისთავზე, ჩემს წერილში „ლიტერატურნაია გაზეტაში“ მომყავდა დიდი ამონაწერი ჩემი კორესპონდენციიდან, რომელიც იმ პირველი ყრილობის დღეებში — 1934 წლის 22 აგვისტოს თბილისის ქართულ გაზეთში დაიბეჭდა სათაურით: „ყრილობის დარბაზიდან“. აქ მოვიყვან პატარა ამონაწერს, იგი სავსებით ცოცხალ შთაბეჭდილებას გადმოსცემს: „უეცარმა ქუხილმა, ტაშის გრიალმა შესძრა დარბაზი; კულისებიდან ნელი ნაბიჯით, მხიარული სიცილით მაგიდისაკენ გამოემართა მაღალი, წელში ოდნავ მოხრილი, ბრგე მოხუცი.

ტრიბუნაზე თავმჯდომარის მაგიდასთან მივიდა ალექსი მაქსიმეს ძე გორკი...

მოხუცებულა ოდესღაც კალიუჟინთან თბილისში ჩამოსული მოხეტიალე ჭაბუკი; მოხუცებულა აგერ ოთხი ათეული წლის წინანდელი უცნობი, დიდ და საოცარ ამბავთა თხრობის საოცარი უნარის ახალგაზრდა, რომელმაც თბილისში აიღო კალამი ხელში და თავის ხელნაწერს პირველად დააწერა უცნაური რამ სათაური: „მაკარ ჩუდრა“. ეს იყო მოთხრობა, რომლის იქითაც იხსნებოდა რაღაც ფანტასტიური, ჯერ კიდევ ლიტერატურასა და ხელოვნებაში არავისაგან უნახავი სამყარო, სამყარო დასახლებული სრულიად უბრალო და უჩინარი ადამიანებით...

«С гордостью и радостью открываю первый в истории мира съезд литераторов Союза Советских Социалистических Республик...».

გრიალებს ოვაცია...

საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა გაიხსნა.

ხალხთა მეგობრობის ნამდვილი ზეიმი იყო ყრილობის დარბაზში. დელეგატები ერთმანეთისაგან ტანსაცმლითაც გამოირჩეოდნენ — ევროპული კოსტუმებით, აღმოსავლური ხალათებით, კავკასიური ჩოხებით, თითქოს ამ უბრალო ფაქტითაც ხაზს უსვამდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაციონალურ ფორმასა და სოციალისტურ შინაარსს.

ეს კი სწორედ ის ოცნება და გულისნადები იყო, რითაც ამ ყრილობაზე მოვიდა ბევრი ჩვენგანი მოძმე რესპუბლიკებიდან. სწორედ მაქსიმ გორკიმ მისცა სათავე მრავალენოვანი მხატვრული სიტყვის ოსტატების გულისნადების

გამომჟღავნებას ამ ყრილობის მაღალ ტრიბუნაზე და ეს ყრილობაც გადაიქცა, შეიძლება ითქვას, საბჭოთა ქვეყნის მრავალეროვანი, მრავალენოვანი ლიტერატურის საერთო ზეიმად და დემონსტრაციად.

დიაღ, ამ ყრილობამ თითქოს და მართლაც შეაერთა პოეტებისა და მწერლების გულები, რომლებიც ერთმანეთისკენ წლების მანძილზე ილტვოდნენ, გულები, რომლებიც ერთმანეთს ეძახდნენ.

საქვეყნოდაა ცნობილი რა დიდი ნაყოფი გამოიღო შემდეგში პოეტებისა და მწერლების ამ დამეგობრებამ, არა მარტო საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარების საქმეში, არამედ ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის საშვილიშვილო საქმეშიაც, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

რა კარგად ამბობდა ამის შესახებ ყრილობაზე შესანიშნავი სომეხი პოეტი, ჩვენგან ადრე წასული, ეღიშე ჩარენცი: „ეს არის ჩვენი ყრილობის ყველაზე დიდი დადებითი შედეგი, რომლის მნიშვნელობაც შესაძლოა ახლა ჯეროვნად არცაა შეფასებულიო“.

დიდ არქეოლოგიურ აღმოჩენას ჰგავდა ყრილობაზე მოხსენებები მოძმე ერების ლიტერატურებზე. ამ მოხსენებებით მთელმა მსოფლიომ პირველად მოჰკრა ყური არამც თუ ამ ეროვნული მწერლობების, არამედ ზოგიერთი ამ ხალხების დედამიწაზე არსებობასაც კი. მოხსენებებმა უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა. ამ მოხსენებებმა ბევრი საერთო, მთელ საბჭოთა კავშირში მომწიფებული საჭირბოროტო ლიტერატურული საკითხებიც წამოჭრეს და, მათ შორის, მეტად მტკივნეული, „რაპპის“ ხელმძღვანელთა მიერ 20-30-იან წლებში დაშვებულ შეცდომებზე — კლასიკური მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხი. სიამოვნებით ვიხსენებ, რომ ეს საკითხი, როგორც იტყვიან, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ყრილობაზე დააყენა სწორედ ქართულმა დელეგაციამ, საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ თავის ვრცელ მოხსენებაში. ვიმეორებ, ოციან-ოცდაათიან წლებში ეს საკითხი მეტად აქტუალური და უსაზღვროდ მტკივნეული იყო.

ამიერიდან ჩვენი დიდი წინაპრები, ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსები კვლავ ჩადგნენ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხების, ახალი ქვეყნის მშენებლობის სამსახურში.

მაგრამ, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სსრკ მწერალთა პირველი ყრილობის მთავარი პრობლემა იყო მწერლობის ცხოვრებასთან ურთიერთობის პრობლემა. მთელი ყრილობა, შეიძლება ითქვას, ჩატარდა ლეონიდ სობოლევის ფრთიანი ფორმულით: — „პარტიამ და მთავრობამ მწერალს მისცა ყოველივე და წაართვა მხოლოდ ერთი რამ — უფლება ცუდად წერისაო“.

გამოჩენილმა ქართველმა ბელეტრისტმა, მიხეილ ჯავახიშვილმა ტრიბუნაზე განაცხადა: „კაპიტალისტურ ლიტერატურას აღარ მოეპოვება ჯანსაღი ცხოველმყოფელი იდეურობა, ჩვენ კი ნაჭარბევადაც მოგვეპოვება. მისი მეოხებით მხატვრული ნაწარმოები სააგიტაციო პლაკატს ემსგავსება ხოლმე. ორივე უკიდურესობაა — იდეური სიცარიელეც და ნაჭარბევი პუბლიცისტური ტენდენციურობაც მიუღებელია ჩვენი მკითხველისათვის. საქმე დოზის შერჩევაა, და თუ მწერალმა ამ საიდუმლოებას ვერ მიაგნო, მას გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონდეს“. ხოლო მეორე ქართველმა ორატორმა ტიციან ტაბიძემ ამას დაუმატა, — თემის აქტუალობით სპეკულაცია ისევე მიუღებელია საბჭოთა ლიტერატურისათვის, როგორც ფორმალური ეკვილიბრისტიკაო.

მაღალი ოსტატობისთვის ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ საბჭოეთის სა-

უკეთესო ლიტერატორები — ლეონიდ ლეონოვი, ბორის პასტერნაკი, კონსტ. ფედინი, იური ოლეშა, ალექსანდრე ფადეევი, ნიკოლოზ ასაევი, ალექსეი ტოლსტოი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ვიქტორ შკლოვსკი, პაოლო იაშვილი, დემირჭიანი, ყველა, ყველა, ვისაც ამის შემოქმედებითი უფლება საქვეყნოდ ჰქონდა მოპოვებული ჩვენს ყრილობაზე.

მაგრამ აქ მე იმასაც აღვნიშნავ, რომ ბრძოლამ ხარისხისათვის, მაღალი ოსტატობისათვის, რაიც, ვიმეორებ, ჩვენი ყრილობის უმთავრესი პრობლემათაგანი იყო, საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია ზოგიერთ ორატორთა გამოსვლებში. ისინი ცდილობდნენ ამოფარებოდნენ რევოლუციის დიდი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ავტორიტეტს, ვისი შემოქმედების შეფასების დროსაც, აქ ესეც მინდა აღვნიშნო, თვით საბჭოთა პოეზიის შესახებ მთავარ მოხსენებაშიაც იქნა დაშვებული შეცდომები.

მაგრამ, სიამოვნებით მინდა მოვიგონო დღეს, რომ დიდი საბჭოთა პოეტის შემოქმედებას თვით ყრილობაზე მისცეს მაღალი შეფასება. მახსოვს, როგორი მოწონებით შეხვდა მთელი დარბაზი ნიკოლოზ ასაევის გამოსვლაში განცხადებას ამის თაობაზე.

მას შემდეგ, რაც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებით გაუქმდა პროლეტარული მწერლების ასოციაცია და შეიქმნა სსრკ მწერალთა ორგკომიტეტი მაქსიმ გორკის თავმჯდომარეობით; მას შემდეგ, რაც გადაწყდა 1934 წლისთვის სსრკ მწერალთა პირველი ყრილობის მოწვევა, მთელ საბჭოეთში ყველანი მოველოდით, რაღაც დიდსა და ახალს ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში; ახალს, რომელიც, ბოლოსა და ბოლოს, მოახდენდა საბჭოეთის მწერალთა ძალების იდეურ კონსოლიდაციას, რაზეც მაშინ ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ არა მარტო მოსკოვში, არამედ, ყველა მოძმე რესპუბლიკის სამწერლო საზოგადოებებშიც. მაგრამ ჯერ კიდევ არავინ უწყის, რა საფუძვლებსა და ფორმებში უნდა მომხდარიყო ეს „კონსოლიდაცია“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ იდეური „კონსოლიდაციის“ მომხრე თითქმის ყველა მწერალი იყო რუსეთსა და მოძმე რესპუბლიკებში, გართულებული საერთაშორისო მდგომარეობის გამო, როცა ევროპის ცაზე უკვე გამოჩნდა ახალი მსოფლიო ომის საშიშროების პირველი შავი ღრუბელი და ფაშიზმი აქტიურად იწყებდა კაცობრიობის წინაშე თავის დიდ დანაშაულთა მზადებას, მაინც ყველგან, მწერალთა საზოგადოებაში, თვით ყრილობის დაწყების წინა დღეებამდეც კი, მიმდინარეობდა გაცხარებული კამათი, იმის თაობაზე, თუ რამდენადაა საჭირო და მიზანშეწონილი მწერალთა ერთი საერთო ორგანიზაციის არსებობა; რა საფუძვლებზე შეიძლებოდა გაერთიანებულიყო ლიტერატურული სკოლები და მიმდინარეობანი, რომლებიც არა მარტო რუსეთში, არამედ ძველი ლიტერატურული ტრადიციების მქონე მოძმე რესპუბლიკებშიაც ჯერ კიდევ საკმაოდ მრავლად არსებობდნენ.

ზოგზოგებისთვის არა მარტო გაუგებარი იყო ეს ახალი რამ ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში, არამედ ზოგი ერთგვარ შიშსაც კი გამოთქვამდა, რომ ასეთმა გაერთიანებამ შესაძლოა ლიტერატურაში ერთფეროვნება და შტამპიც კი დაამკვიდროსო.

ალბათ ამ შიშმა და ამ დიდმა კამათმაც გამოიწვია მაქსიმ გორკის დაუყოვნებელი განცხადება თავის შესავალ სიტყვაში: „ჩვენ გამოვდივართ, რათა სამზეოზე გამოვიტანოთ არა მხოლოდ ჩვენი გეოგრაფიული გაერთიანება, არამედ ვაჩვენოთ ჩვენი მიზნების ერთობა, რომელიც, რასაკვირველია, არ ზღუდავს შემოქმედებითი ხერხების და მისწრაფებათა სხვადასხვაობას“.

მაქსიმ გორკის ამ განცხადებას საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ჭეშმარიტად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო იმ პერიოდისათვის, არამედ საბჭოთა ლიტერატურის მთელი შემდგომი განვითარებისათვისაც.

მოძმე ერების მწერლობიდან რუსულ ენაზე საუკეთესო ქმნილებათა თარგმნის საკითხი იმ ხანებისათვის იმდენად მომწიფდა და საერთო ყურადღების საგნად იქცა, რომ მას ყრილობაზე თავისი გამოსვლა უძღვნა გამოჩენილმა რუსმა მწერალმა კ. ჩუკოვსკიმ. როცა მან განაცხადა, რომ თარგმანის საკითხი საბჭოთა ქვეყანაში — არა მხოლოდ ორი-სამი ლიტერატორ პედანტის საქმეა, არც აკადემიური თემაა რიგითი ფილოლოგის დისერტაციისათვის, ეს არის უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე, რომლითაც სისხლხორცეულადაა დაინტერესებული ახლა მილიონები... ამას დიდი კმაყოფილებით შეხვდა მოძმე ერების ეროვნულ ლიტერატორთა ყველა წარმომადგენელი.

სათვალავი არ აქვს სამწერლო ღონისძიებებს, რომლებშიც ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე მონაწილეობა მიმიღია, მოსკოვისა თუ საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებში, უცხოეთსა თუ მშობლიურ რესპუბლიკაში, მაგრამ შთაბეჭდილებას, რომელიც 1934 წლის მწერალთა პირველმა ყრილობამ დასტოვა, სხვა რამ ვერაფერი შეედრება; იგი, დღემდე ყველაზე მეტად წარუშლელი და ცოცხალია. ყრილობის მონაწილე საბჭოთა ლიტერატორებისათვის იგი იყო ყველაზე დიდი ფორუმი, რომელშიც მათ ოდესმე მონაწილეობა მიუღიათ, ხოლო მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის, ჩვენს დიდ კავშირში შემავალი ყველა მოძმე ხალხისთვის, ერთი უმთავრესი მოვლენათაგანი არამარტო ლიტერატურულ, არამედ ომისწინანდელ მთელს იდეურ-სულიერ ცხოვრებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თვრამეტი მეცნიერის პასუხი ერთ შეკითხვაზე

ჟურნალ „მნათობის“ მთავარ რედაქტორთან შეთანხმებით, რედაქციის სახელით მივმართე ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების — აკადემიკოსების ერთ ნაწილს, რათა პასუხი გაეცათ შეკითხვაზე: „აქვს თუ არა თავისი პოეზია მეცნიერებას და, თუ აქვს, რაში გამოიხატება იგი?“

სერგი დურმიშიძე

ანდრია აფაქიძე
არქეოლოგი

ჩემთვის ეს საკითხი არ არსებობს. ხომ მართალია, რომ პოეზია მომხიბვლელიც არის, მშვენიერიც, განუზომლად, თავდავიწყებამდე ალმაფრენიც. ამათ გარეშე შეიძლება იყოს მეცნიერება?

პოეზია უნდა ასახავდესო რეალურ სინამდვილეს, ცხოვრებას, მისთვის დამახასიათებელი ნაირსახეობითა და წინააღმდეგობებით: ადამიანის შინაგან სამყაროს, გარემომცველ ბუნებას; ილვწოდეს და გარდაქმნიდეს მას. უპირველეს ყოვლისა, ასეთივეა მეცნიერების ამოცანა.

ასახვის ხერხები და საშუალებანი სხვადასხვაა, ფორმაც განსხვავებული, მაგრამ საგანი, მიზანი — ერთი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანი. მეცნიერებანი ადამიანის შესახებ — ფართო გაგებით ყველა მეცნიერება ასეთია, მომხიბვლელიც არის, მშვენიერიც, საოცრად ლამაზიც. მეცნიერება არ არსებობს შემოქმედებითი ალმაფრენის, თუ გნებავთ, თავდავიწყების გარეშე. სხვა საქმეა, რა ზომით საჭიროებს, მოითხოვს, ითმენს მას პოეზია და, თავის მხრივ, მეცნიერება.

მეცნიერება მოითხოვს სამსახურს სრული შესაძლებლობით; ცოდნა, ჟინი, მისწრაფება საბოლოო მიზნისაკენ უნდა იყოს დაუოკებელი. უამისოდ არ არსებობს არც პოეზია.

მეცნიერს აქვს დასაბამითგან მომადლებული უფლება გაიხაროს, მოიხიბლოს, ამოისუნთქოს ძიების შედეგით; იყოს ბედნიერი აღმოჩენით; აღმოჩენა დიდი პოეზიაა. დარწმუნებული ვარ ასეა პოეტიც, მწერალიც. ერთნაირი უშუალობით არ მჟღავნდება მეცნიერების პოეზია, მაგრამ ამან პრინციპულად არაფერი არ უნდა შეცვალოს. ნათქვამის უხვად ილუსტრირებაც შეიძლებოდა:

მცხეთის ჯვრიდან, სვეტიცხოვლიდან, სამთავროდან, სამთავისიდან, ოშკიდან და ხახულიდან მოვიდა გალაკტიონი ნიკორწმინდამდე. ეს იყო გზა ერთობლივი — ცოდნისა — მეცნიერების და პოეზიისა, რომელიც „ნიკორწმინდამ“ დაგვირგვინა. ქართველი კაცის მარჯვენით შექმნილმა ნიკორწმინდამ

ხელთუქმნელი „ნიკორწმინდა“ შეგვძინა და ვინ უწყის გადასწონის ერთი მეორეს?

უბადლო სილამაზის ქართველმა ასულმა თავისი და თავისი გულისწორის უებრო სახეები ამოკვეთა ძვირფას თვალზე და ზედწერილიც გააკეთა — ჯავახი სიცოცხლეაო ჩემი. ეს პოეზიაა, სიყვარულს რომ ადიდებდა და უკვდავყოფდა 2000 წლის წინ. რით არ იყო პოეზია, რომ ქართველმა არქეოლოგებმა ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით მიაგნეს მას; შეუდარებელი სილამაზის ქალ-ვაჟის სულიერ სამყაროში ასე მარჯვედ ჩაიხედეს კიდევაც, მაგრამ თვით ივანე ჯავახიშვილისთვის უცნობი დარჩა ჯავახის პირველი ხსენება.

ამით იმის თქმა მინდოდა, რომ არქეოლოგიაში მეც ნამდვილად მეგულება პოეზია და თანაც დიდი პოეზია. მე იმის შეხსენებაც მინდა, რომ პოეზია იყო მთლიანად ჰენრიხ შლიმანის არქეოლოგიური სიცოცხლე — ფანტასტიკური ინტუიცია; ფანტასტიკური, მაგრამ ლოგიკური, რომელიც განსაცვიფრებლად შეეწონა, ვინ იცის, რამდენი ათასი წლის წინანდელ სინამდვილეს.

არის მეცნიერების პოეზია — არის პოეზია მეცნიერებაში. არის პოეზიის მეცნიერება და მეცნიერებაც პოეზიაში. უამისოდ არ ივარგებდა.

**ალექსანდრე ბარამიძე**

**ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი**

ჩემი ფიქრით, მეცნიერებას აქვს, ყოველ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს, თავისი პოეზია. სწორია მოსაზრება, რომ პოეზიის უპირველესი თვისებაა გრძნობა, ემოცია. ოღონდ, რა თქმა უნდა, პოეზიის თვისება ვერ შემოიზღუდება მარტოოდენ ემოციის ფარგლებით. გრძნობას (ემოციას) უნდა აცხოველებდეს პოეტურად განსახოვნებული ნათელი, ჭეშმარიტი აზრი. რუსთველი ხომ გვასწავლის — „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“. სწორედ ბრძნული აზრის ემოციური განსახოვნება ქმნის ნამდვილ პოეზიას. მეცნიერი ცნებებით აზროვნებს და ანალიზის, განსჯის გზით გამოხატავს თავის საფიქრალს, თავის ნააზრევს. ოღონდ (აქაც გვჭირდება ეს ოღონდ!) მოსაწყენია ემოციურობისაგან დაცლილი, ცივი, მშრალი, განყენებული განსჯა, რომელიც გულს არ სწვდება, მკითხველს არ აღელვებს და არ განაწყობს აზრის ჭეშმარიტების შესამეცნებლად. ორიგინალურად მოფიქრებული მეცნიერული საკითხის მკაფიო, ხატოვანი (თუ გნებავთ, ემოციური) ენით განსჯა-გაანალიზება უთუოდ გაზრდის მკითხველის ინტერესს და ხელს შეუწყობს საგულვებელი აზრის უკეთ აღქმას. აი, აქაა მეცნიერების პოეზიის კეთილი სარბიელი. პოეზია იქაა, სადაც სიყვარული და შთაგონებაა. უსიყვარულოდ, შთაუგონებლად კი სრულფასოვანი მეცნიერული შრომა ვერ შეიქმნება. ისიც ცხადია, რომ ადვილი როდია რთული მეცნიერული განსჯის გზით მკითხველის გრძნობების ამოძრავება, მაგრამ ეს უკვე მეცნიერის უნარზეა დამოკიდებული და საკითხის პრინციპულ მხარეს აღარ ეხება.

**ვახტანგ ბერიძე**

**ხელოვნების ისტორიკოსი**

ჩემი აზრით, მეცნიერებას აქვს თავისი პოეზია. უამისოდ იგი დაკარგავდა მიმზიდველ ძალას.

მეცნიერებაც ხომ არ არსებობს შთაგონების გარეშე... ხოლო სადაც

შთაგონებაა, იქ სულიერი ამაღლებაც არის, ესე იგი, არის პოეზიაც. განა თვით ძიების პროცესიც, აღმოჩენის, მიგნების სიხარულიც პოეტურ განცდას არ იწვევს?

მაგრამ... მეცნიერსაც გააჩნია...

**ლეო გაბუნია**

**პალეობიოლოგი**

უკვე დიდმა რუსთაველმა გასცა ამ შეკითხვას პასუხი: შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგიო.

მეცნიერება ჭეშმარიტებას ეძიებს, ხოლო მეცნიერული ჭეშმარიტება მუდამ მშვენიერია და პოეტური. ამას გულისხმობს, ალბათ, ზოლას პარადოქსული გამოთქმა: მახინჯი — მშვენიერია. ამასვე ფიქრობს, უთუოდ, პოლ დირაკიც, როდესაც შრედინგერის განტოლების გამო აღნიშნავს, რომ ეს განტოლება იმდენად ლამაზია, რომ ერთი წუთითაც არ დავეჭვებულვარ მის სიზუსტეშიო. და განა მრავლისმეტყველი არ არის ის, რომ ძველ ჩინეთში მეცნიერები თავიანთ შრომებს ლექსად წერდნენ?

მეცნიერული კვლევის პოეზიაა ისიც, როდესაც ოქროს მაძიებელივით ეძებ მიწის ქერქის შრეებში შემორჩენილ ათეული და ასეული მილიონი წლის წინათ ამომწყდარ მცენარეთა და ცხოველთა გაქვავებულ ნაშთებს, ხოლო შენი გონება ველარ იტევს შენ მიერვე აღდგენილ, ხშირად ფანტასტიკურ არსებათა ლანდებს. არაერთხელ შემხვედრია გამოთქმა „მუსიკის პოეზია“ (ასე უწოდა XIX ს. ერთმა გერმანელმა მოქანდაკემ თავის სკულპტურულ კომპოზიციას), „ცეკვის პოეზია“, „შრომის პოეზია“... ვფიქრობ, სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ არსებობს მეცნიერული ძიების პოეზიაც.

**თამაზ გამყრელიძე**

**ენათმეცნიერი — აღმოსავლეთმცოდნე**

შეკითხვაზე — „აქვს თუ არა თავისი პოეზია მეცნიერებას?“ პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, თუ რას ვგულისხმობთ „პოეზიასა“ და „მეცნიერებაში“ და რა სახის კავშირები შეიძლება ვივარაუდოთ მათ შორის.

პოეზიის კავშირი მეცნიერებასთან არა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ პოეტური ენა და საზოგადოდ პოეზია, პოეტური ფენომენი მეცნიერების შესწავლის ობიექტია, არამედ იმაშიც, რომ პოეზია თვით ხასიათდება ისეთი თვისებებით, რომლებიც მას მეცნიერებასთან აახლოებს. მაღალი პოეზია ყოველთვის ახლოსაა მეცნიერებასთან, ისევე, როგორც ღრმა მეცნიერება ჭეშმარიტად პოეტურია. გუსტავ ფლობერის თქმით, პოეზია ისეთივე ზუსტი მეცნიერებაა, როგორც გეომეტრია. მე არ ვიღებ თავს ვამტკიცო, თუ რამდენად ზუსტია თვით ეს ანალოგია, მაგრამ უდავოა, რომ „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“.

ჭეშმარიტი პოეზია რაღაც ამბის ან მოვლენის მარტივი გალექსვა როდია; იგი თავისი ბუნებით და დანიშნულებით სინამდვილის ინტელექტუალურ-გრძნობადი აღქმა და ასახვაა პოეტური მეტყველების სპეციფიკური საშუალებებით გამოხატული; იგი სამყაროს თავისებური შემეცნებაა და მოვლენათა განსაკუთრებული განჭვრეტა. საგულისხმოა, რომ მრავალ ძველსა და ახალ

ენაში „პოეზიისა“ და „პოეტური ხელოვნების“ გამომხატველი სახელები სინონიმებია „შემეცნების“, „ცოდნის“, „განჭვრეტისა“, რომლებიც „მეცნიერების“ სახელწოდებასაც უდევს საფუძვლად. ამასთანავე „პოეტი“ და „ხელოვანი“ ხასიათდება როგორც „ღვთაებრივი აზრის გამომხატველი“, „შეპყრობილი“, „შეშლილი“ და შემოქმედებით პროცესში განსაკუთრებული სულიერი მღელვარების მდგომარეობაში მყოფი ადამიანი. არ შეიძლება ამასთან დაკავშირებით არ გაგვახსენდეს პასტერნაკის დახასიათება ხელოვნებისა როგორც „შეშლილობის“ (безумие) ანდა შეუდარებელი სალვატორე დალის სიტყვები: „ერთადერთი განსხვავება ჩემსა და შეშლილს შორის ისაა, რომ მე არა ვარ შეშლილი...“. რა ახლოს არის ამასთან ნილს ბორის აზრი მეცნიერებაში „შეშლილი იდეების“ აუცილებლობის შესახებ!

უძველეს კულტურულ ტრადიციებში პოეტი ხასიათდება როგორც „ბრძენი“, „წინასწარმეტყველი“ და „ქურუმი“, რომელიც დაჯილდოებულია ზებუნებრივი ხედვის უნარით, რაც მას საშუალებას აძლევს დაინახოს უხილავი ძალები და განჭვრიტოს მოვლენათა მსვლელობა. ამ უნარის წყალობით ჭეშმარიტი პოეტი-მოაზროვნე და დიდი მეცნიერი ერთმანეთს ენათესავებიან. შემთხვევითი არაა ალბათ, რომ დიდი პოეტები და ხელოვანები ხშირად ბრწყინვალე მეცნიერებიც იყვნენ და პირუკუ. ამის მაგალითები არცთუ იშვიათია კაცობრიობის კულტურულ ისტორიაში. გავიხსენოთ თუნდაც ლეონარდო და გოეთე დასავლეთში და აბუ ალი იბნ სინა (ავიცენა) და ომარ ხაიამი — აღმოსავლეთში. ავიცენა და ომარ ხაიამი პირველ რიგში მეცნიერები იყვნენ; პოეზია მათთვის სულისმოსათქმელ საშუალებას წარმოადგენდა. მაგრამ თუ ავიცენა დღეს თავისი დროის უდიდეს მეცნიერად წარმოგვიდგება, ომარ ხაიამს შთამომავლობა უპირატესად იცნობს როგორც ბრწყინვალე პოეტს და არა მეცნიერ-მათემატიკოსს. გენიალური გოეთე ბუმბერაზი პოეტი-მოაზროვნეა; ამავე დროს იგი არანაკლებ ცნობილი ბუნებისმეტყველი იყო, რომელსაც მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენები ეკუთვნის...

ჭეშმარიტი პოეტური შემოქმედება და ღრმა მეცნიერული აზროვნება ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის ახლო მონათესავე სფეროებია. ორივეგან სამყაროსა და სინამდვილის შემეცნებასა და ასახვასთან გვაქვს საქმე სხვადასხვა ხერხებითა და საშუალებებით, თითოეული დარგისათვის დამახასიათებელი თავისებური „ენის“ გამოყენებით. ესაა ჭეშმარიტი პოეზიისა და, ფართო აზრით, ხელოვნების სპეციფიკა და დანიშნულება; ესაა აგრეთვე მეცნიერების უპირველესი და უზოგადესი მიზანი და ამოცანა.

**ავთანდილ გუნია**

ეკონომისტი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცნიერება შემოქმედებითი შრომის შედეგია. ამდენად მასაც აქვს გარკვეული ზომით და სახით მისთვის დამახასიათებელი პოეზია.

ავიღოთ მეცნიერების ჩვენი დარგი, ეკონომიკური მეცნიერება. პირველი შეხედვით, ვითომდა რა უნდა ჰქონდეს მას საერთო პოეზიასთან, მაგრამ ეს ასე არ არის.

ეკონომიკა, მისი თეორიული საფუძველი — პოლიტიკური ეკონომია მსოფლმხედველობითი მეცნიერებაა. ამიტომ მას უშუალო კავშირი აქვს აზროვნების კატეგორიებთან, შემოქმედებით აზროვნებასთან, იმ კანონების და კა-

ტეგორიების შემეცნებასა და გამოყენებასთან, რომელნიც განსაზღვრავენ საზოგადოების ეკონომიკური ორგანიზმის ფუნქციონირებას, მის არსსა და განვითარების გზებს. ყოველივე ეს არაა მოკლებული გარკვეულ პოეზიასაც, არაა შემოქმედებითი გატაცების, სიყვარულისა და სიხარულის გარეშე, ე. ი. მასაც აქვს მისთვის დამახასიათებელი პოეზია.

მატერიალური და სულიერი კატეგორიების არა გამიჯვნა, არამედ მათი ერთიანობა, მათი ორგანული შერწყმა უნდა ეხმარებოდეს ადამიანის სულიერ ამაღლებას, რომ ადამიანი არ გადაიქცეს მატერიალური დოვლათის მონად, რაც თავის მხრივ ადაბლებს მის სულიერ მხარეს. ეკონომიკური პროცესები, წარმოების, შრომისა და მოხმარების მაღალი კულტურა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევის თანამედროვე დონის შესაბამისად ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა, ახალ საწარმოთა მშენებლობა სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში, პროდუქციის ხარისხი, მისი ესთეტიკური მხარის გაუმჯობესება დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ბუნებასა და ხასიათზე. ყოველივე ეს ხომ ადამიანის შემოქმედებითი შრომის, მისი სულიერი სიმდიდრის, პოეტური ბუნების გამოხატულების შედეგია. რამდენადაც ის მეტად დააკმაყოფილებს ადამიანის ამაღლებულ მოთხოვნებს, იმდენად უფრო მეტ გავლენას მოახდენს მის პოეტურ ბუნებაზე.

პოეზია იახლოვებს ეკონომიკას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანის ეკონომიკური მოღვაწეობის შედეგად იქმნება ყოველივე ის, რაც ამდიდრებს მის სულიერ მხარეს.

ხანდახან ციფრები, ეკონომიკური მაჩვენებლები უფრო პოეტურად აღიქმებიან, ვიდრე სიტყვიერად გამოთქმული. ამისათვის საკმარისია მოვიტანოთ რამდენიმე მონაცემი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მიმდინარე საუკუნის 20-იან და 80-იან წლებში.

რასაკვირველია, ეკონომიკურ მეცნიერებას არავითარი პრეტენზია არა აქვს შეეჯიბროს ჭეშმარიტ პოეზიას, მაგრამ ისიც მისთვის დამახასიათებელი მხარეებით გარკვეულ გავლენას ახდენს ადამიანის პოეტურ ბუნებაზე.

**სერგი დურმიშიძე**

***ბიოქიმიკოსი***

მეცნიერებას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი შინაგანი პოეზია. ადამიანში რაციონალური და ემოციური ერთმანეთშია გადახლართული. თუ პოეტი ჰარმონიის შვილია, როგორც ალექსანდრე ბლოკი აღნიშნავს, მეცნიერიც, როდესაც იგი სრულყოფას აღწევს, ბუნების ჰარმონიის გამომხატველია. ღრმა შინაგანი ნათესაობაა მეცნიერულ და მხატვრულ აღქმათა შორის. მეცნიერება, ისე როგორც ხელოვნება და ლიტერატურა, შემოქმედებაა. მეცნიერული შემოქმედების ელემენტებია ცნობისმოყვარეობა, გაკვირვება, ინტერესი, გატაცება, ინტუიცია, ფანტაზია, სილამაზე, სიყვარული, სახეებით აზროვნება, მიგნება, გამოცნობა, გამბედაობა, განზოგადება, შემეცნების სიხარული, ესთეტიკური კმაყოფილება; შემოქმედებით პროცესში ცნობიერი და ქვეცნობიერი ერთობლივად მოქმედებენ. მეცნიერული შემოქმედების ეს ნიშან-თვისებები განაპირობებენ მის პოეტურ მხარესაც. მკაცრი ლოგიკურობა სრულებით არ ჩრდილავს მეცნიერების შინაგან პოეზიას. მეცნიერებას ახასიათებს როგორც ღრმა აზრების ძლევამოსილი დინება, ისე შემეცნების დიდი სიხარული, დიდი ესთეტიკური ძალა, სილამაზე მეცნიერებაში (ე. ი. ნაწილაკთა

თუ მოვლენათა მდიდარი და რთული კავშირების უმარტივესად გამოხატვა მიჩნეულია პრობლემათა სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ კრიტერიუმად.

ჩარლზ დარვინი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში წერდა: მე რომ ხელახლა დამეწყო ცხოვრება, შევეცდებოდი, შემენარჩუნებინა ტვინის იმ ნაწილების აქტიურობა, რომლებიც დაკავშირებულია ესთეტიკურ გემოვნებასთან; ამ უკანასკნელის დაკარგვა ბედნიერების დაკარგვის ტოლია და შესაძლებელია გონებრივ უნარსაც კი ზიანს მიაყენებდაო.

უმნიშვნელოვანესი და მომხიბლავი პრობლემები მეცნიერების ყველა დარგშია. ავიღოთ თუნდაც ბიოლოგია. ადამიანს მუდამ აინტერესებდა, თუ როგორ წარმოიშვა სიცოცხლე და რა არის სიცოცხლის არსი. ყველა ადამიანი თავისი არსებობის დასაწყისში ხომ ერთი უჯრედია! რა გზა უნდა გაიაროს ამ ერთმა უჯრედმა, რომ იგი ალბერტ აინშტაინად, ლუი პასტერად, ლევ ტოლსტოიდ ან ვაჟა-ფშაველად გარდაიქმნას?! მხოლოდ სამი ათეული წელია მას შემდეგ, რაც გაირკვა, თუ როგორაა ჩაწერილი სახეობის მემკვიდრეობა ოთხასოიანი ანბანით ერთ უჯრედში და როგორ გადაეცემა იგი თაობიდან თაობას. ეს არის ადამიანის აზრის სიძლიერისა და სილამაზის ტრიუმფი. წარმოიდგინეთ იმ მეცნიერის შემოქმედებითი სიხარული, სულიერი კმაყოფილება, პოეტური აღმაფრენა, რომელიც პირველი შექმნის ცოცხალ სისტემას, სიცოცხლეს!

გონების მეცნიერული თვალსაწიერი უსასრულოა, ზღვარდაუდებელია მისი პოეტური მხარეც.

**ვიქტორ კუპრაძე**

**მათემატიკოსი**

რასაკვირველია, აქვს; ჭეშმარიტება უპოეზიოდ არ არსებობს; იგი გამოიხატება სიტყვიერი მასალის მიგნებაში, რომელიც ოპტიმალურია მოცემული აზრის გამოსათქმელად, ფერების შერჩევაში, რომლებიც ქმნიან პოეტურ მომხიბვლელობას და სხვა. თუ ამას დაუმატებთ მეცნიერული ნაშრომის გამოყენებით ღირსება-დანიშნულებას, რაც მას, უმეტეს შემთხვევაში, მოეპოვება უეჭველად, მაშინ სურათი სრული გახდება.

**გიორგი მელიქიშვილი**

**ისტორიკოსი**

ალბათ პირდაპირი პასუხის გაცემას დასმულ კითხვაზე ვერ შევძლებ, რადგანაც ამას პოეტის კალამი სჭირდება. მაგრამ ორიოდე სიტყვა მაინც შეიძლება ვთქვა პოეზიისა (ვიწრო და გადატანითი მნიშვნელობით) და მეცნიერების კავშირურთიერთობაზე.

პოეზია და მეცნიერება ბევრი მხრით დაპირისპირებული ცნებებია. პირველი განასახიერებს სუბიექტურობის, გრძნობიერების პრიმატობას, სამყაროს ინტუიტურ აღქმას, აღმაფრენას, სილამაზესა და მშვენიერებას, მეორე — მშრალი გონების მიერ სინამდვილისა და მისი კანონების ობიექტურ, ყოველმხრივ არგუმენტირებულ წარმოსახვა-დადგენას. ამიტომაც გასაგებია, როდესაც ზოგჯერ მეცნიერულ საბუთიანობას მოკლებულ, ფანტაზიებს აყოლილ ვარჯიშზე მეცნიერების სფეროში იტყვიან ხოლმე, რომ ეს უფრო „პოეზიაა", ვიდრე მეცნიერება.

მაგრამ, რა თქმა უნდა, პოეზია და მეცნიერება ერთმანეთთან კავშირში შეიძლება მოვიხსენიოთ სხვაგვარ — დადებით კონტექსტშიც. თუ პოეზია ეს არის აღმაფრენა, უსაზღვრო გატაცება საგნით, ადამიანისა და მთელი სინამდვილის სიღრმისეული მოვლენების, მათი არსის წვდომის დაუოკებელი სურვილი, ყველაფერი ეს მეცნიერებაშიც დიდ როლს ასრულებს და ახასიათებს ყველა ჭეშმარიტ მკვლევარს. მეცნიერებაც, პოეზიის მსგავსად, შემოქმედებითი მუშაობის სახეობაა და როგორც ასეთს უცილობლად თავისი „პოეზია“ გააჩნია.

ჰუმანიტარული პროფილის მეცნიერებებს კიდევ უფრო აახლოებს „პოეზიასთან“ ის, რომ მათი ყურადღების ცენტრში ადამიანია. ისტორიაც ერთი ასეთი მეცნიერებაა. მართალია, მას უფრო ცალკეული ადამიანი კი არ აინტერესებს, არამედ საზოგადოება, უმეტესად ამ უკანასკნელს, მის ფუნქციონირებასა და ცვალებადობა-განვითარებას სწავლობს, მაგრამ საზოგადოებაც, ისევე როგორც ყველა სხვა სისტემა, წარმოადგენს ამ სისტემის ელემენტებისა (ამ შემთხვევაში ცალკეულ ადამიანთა) და მათ შორის კავშირურთიერთობათა ერთობლიობას. ამიტომაც ცოცხალი ადამიანის მისწრაფებები და განცდები, მისი ჭირი და ლხინი ისევე არსებითია ისტორიისათვის, როგორც პოეზიისათვის.

მიუხედავად ყველა მეცნიერებისათვის სავალდებულო ერთგულებისა ობიექტური ჭეშმარიტებისადმი, ისტორიულ მეცნიერებაში იმ მხრივაც რჩება ადგილი „პოეზიისათვის“, რომ მასში, როგორც მიიჩნევენ, ძალზე დიდია სუბიექტურობის მომენტი — ბევრი სხვადასხვა ფაქტორი, მსოფლმხედველობა თუ განწყობილება, ხშირად ქვეცნობიერადაც კი, განსაზღვრავს ისტორიკოსის თვალთახედვას, მის მიერ ისტორიული მოვლენების აღქმა-ინტერპრეტაციას.

დაბოლოს, შეიძლება „პოეზიას“ ადგილი მოეძებნოს მეცნიერებაში ფორმის ასპექტში — ვგულისხმობ მეცნიერის მიერ თავისი ნააზრევის გამოთქმის, გადმოცემის ფორმას. ამ მხრივ ჩვენთვის დაუვიწყარია გამოჩენილი მეცნიერი-ისტორიკოსის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის მაგალითი, რომელიც თავისი ხატოვანი, მოხდენილი თხრობით (ზეპირად თუ წერილობით) ნამდვილად პოეტურად გადმოსცემდა თავის ნააზრევს, ისტორიული სინამდვილის მისეულ აღქმას და ყველა ჩვენგანის აღტაცებას იწვევდა. გასაგებია, რომ ბუნებით მომადლებული ასეთი ნიჭი რა დიდ მნიშვნელობას იძენს განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება მეცნიერული კვლევის შედეგების პოპულარულ გადმოცემას, რასაც ხშირად მეცნიერებიც ხელს ჰკიდებენ.

**ვაჟა ოკუჯავა**

**ფიზიოლოგი**

რამდენადაც მე მესმის, საკითხი არასწორადაა ფორმირებული. პოეზია არაფერს „აქვს“, პოეზია არავისია, პოეზია პოეზიაა. ასევე — მეცნიერება, თუ ის მართლა მეცნიერებაა, მხოლოდ მეცნიერებაა და სხვა არაფერი „აქვს“.

სხვა საკითხია, რომ ესა თუ ის მეცნიერება კონკრეტულ ეპოქაში კონკრეტული მიზნით უკავშირდება ან სხვა დარგს მეცნიერებისა, ან წარმოებას და ა. შ., მაგრამ ეს არის მეცნიერების სულის, არსის შეცვლა, მასში არამეცნიერების შეტანა.

ასევეა პოეზია, უფრო სწორად პოეტი, იყენებს ადამიანის ინტელექტუალური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მონაპოვრებს, მათ შორის სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შედეგებს, ზოგჯერ აგებს მასზე ნაწარმოებს, მა-

გრამ არც ეს არის პოეზიის სულის შეცვლა. ან სხვა რამისადმი მიჯ[illegible] განწყ[illegible]ვნება.

ბიბლიოთეკა

როგორც ჩანს, ლაპარაკი იმაზე შეიძლება, თუ რა აახლოებს მეცნიერებას და პოეზიას, აქაც — უფრო ზუსტად: მეცნიერული და პოეტური შემოქმედების პროცესებს, მეცნიერსა და პოეტს.

აქ საერთო მართლაც შეიძლება ვპოვოთ.

მე ხშირად ერთნაირი მეჩვენება მეცნიერისა და პოეტის „ტანჯვის“ პროცესი — პოეტიც იტანჯება, როდესაც რაღაცას წყვეტს, მეცნიერიც „იტანჯება“, სანამ მიაგნებდეს ამოცანის პასუხს, ხანდახან ეს არის პრობლემა, რომელიც ადრე გადაუწყვეტელი ჩანდა — იყო რელიგიისა და პოეზიის სფერო.

მე ასევე მეჩვენება, რომ მეცნიერულ ნაშრომს აუცილებლად უნდა ახლდეს გარკვეული არტისტიზმი — თუ გნებავთ, პოეტურობა, და ეს არა მარტო ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ეხება.

და ბოლოს, მეცნიერი, ნამდვილი მეცნიერი, თუ გნებავთ თანამედროვე მეცნიერი არა უბრალოდ უნდა კარგად იცნობდეს პოეზიას (და, საერთოდ, ხელოვნებას), არამედ ძალიან ახლოს იყოს მასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი, შეზღუდული ადამიანი, არ შეიძლება მეცნიერი იყოს. არც პოეტი.

**აკაკი შანიძე**
ენათმეცნიერი

პასუხი არ არის ადვილი, რადგანაც პოეზიას სულ სხვადასხვაგვარად განმარტავენ. მე მაინც შევეცდები, ჩემი აზრი მოვახსენო „მნათობის“ რედაქციას.

თუ პოეზიას გავიგებთ ვიწროდ, ე. ი. იმგვარად, რომ ის არის მხატვრულ სახეებში ჩამოსხმული აზრები, გამოხატული სიტყვებისა და მარცვლების მწყობრად შეწყობის საშუალებით, პოეზია მეცნიერებაში, რა თქმა უნდა, არ არის.

მაგრამ, თუ ფართოდ გავიგებთ პოეზიას და მასში ვიგულისხმებთ აღტაცებას, აღფრთოვანებას და განუზომელ ბედნიერებას, რომელსაც განიცდის მეცნიერი ახალი რამის აღმოჩენით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს რომელსამე დარგში, მაშინ მეცნიერებაშიც არის თავისი პოეზია. ამას განვმარტავ ორიოდე მაგალითით.

ივანე ჯავახიშვილმა რომ 1923 წ. თბილისის მუზეუმებში დაცულ პალიმფსესტებში ამოიკითხა უძველესი ქართული ტექსტები, რომელსაც ხანმეტობა ახასიათებს, ეს იყო უდიდესი აღმოჩენა, რომელმაც ახალი ჰორიზონტები გადაგვიშალა ძველი ქართული ხელნაწერების კვლევა-ძიების საქმეში. თავისი დიდი აღფრთოვანება და აღტაცება ბატონმა ივანემ თავის მოწაფეებსაც გადასდვა. ეს იყო ნამდვილი პოეზია ქართულ მეცნიერებაში.

ივანე ჯავახიშვილის ამ ისტორიული აღმოჩენის დროს მე თბილისში არ გახლდით, მივლინებული ვიყავ მოსკოვ-პეტროგრადში ექსპერტად ქართული სიძველეების (კერძოდ ხელნაწერების) საქართველოსთვის გადმოცემის თაობაზე. მარტში უკვე პეტროგრადში ვმუშაობდი. ერთიც ვნახოთ, 17 მარტს მომდის თბილისიდან ჩემი მეგობრის გიორგი ახვლედიანის წერილი, დაწერილი 5 მარტის თარიღით. წერილში იგი ვრცლად მატყობინებდა ივანე ჯავახიშვილის აღმოჩენის ამბებს და ხუმრულად წერილს ასე იწყებდა: „ძვირფასო ძმაო ხაკაკი!“

იმ დღეს იქაურ ხელნაწერებზე ზრუნვის გამო განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია მეგობრის წერილისათვის, მაგრამ მეორე დილით, გა-

მეღვიძა თუ არა, მომაგონდა ამ წერილის შინაარსი და მაშინვე გამიელვა თავში გიორგი მთაწმიდლის ცნობამ ხანმეტი სახარების შესახებ. ეს ცნობა მოიპოვება გიორგი მთაწმიდლის ანდერძში, რომელიც დართული აქვს მისი რედაქციით გამართულს ქართული ოთხთავი სახარების ტექსტს ბოლოში. აქ, სხვათა შორის, იკითხება: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა“. ამის მოგონებაზე ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ტერმინი „ხანმეტი“, რომელსაც ყველა მეცნიერი, ვინც კი ეხებოდა მას, სხვადასხვაგვარად ხსნიდა (მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ალ. ცაგარელი, თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, კ. კეკელიძე, ნ. მარი) და ყველა ახსნა მცდარი იყო; ნამდვილი მნიშვნელობა კი ის არის, რომ გ. მთაწმიდელი ამ ტერმინით აღნიშნავდა სახარების ისეთ ტექსტს, რომელიც „მეტ“ ხანებს შეიცავდა, ე. ი. ისეთ ხ (**ხან**) ასოებს, რომლებიც მის დროს (მე-11 ს-ში და უფრო ადრეც) ქართულ სალიტერატურო ენაში უკვე ზედმეტი იყო, მაგ., ასეთები: (ხ)იყო, (ხ)ეტყოდა, (ხ)იცი, (ხ)ესმა, შე(ხ)ეწიე, (ხ)უმჯობესი და სხვა. სწორედ ამგვარი ფორმები მოიპოვება ი. ჯავახიშვილისაგან 1923 წ. პალიმფსესტებში ამოკითხულ ტექსტებში და მის შესახებ პეტროგრადში მოწოდებულმა ცნობამ მე საშუალება მომცა „ხანმეტი“ ტერმინის ნამდვილი მნიშვნელობა გამომერკვია და დამედგინა. ამ ამბავმა ჩემზე იმ მომენტში ისე მძლავრად იმოქმედა, რომ ლოგინიდან წამოვიჭერი და კინაღამ ზღართანი მოვადინე იატაკზე. მერმე სიხარულისაგან მთელი დღე ფეხზე აღარ ვიდექი.

სხვა მაგალითი. როცა 1921 წლის ზაფხულში ზემო სვანეთში სვანურს ვსწავლობდი, ერთ დღეს სტუმრად ვიყავი ერთი მულახელის ოჯახში, სადაც სტუმრადვე იყო ჩემი ამხანაგი აკაკი მარგიანი (რევაზ მარგიანის მამა). ერთი იქ მყოფი სვანი ხშირად მიჰმართავდა ჩემს ამხანაგსა და სეხნიას, მაგრამ მისი გამოთქმა ჩვენი სახელისა ისეთი იყო, როგორც რუსული **Акякий**-სა, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ я-ში შემავალი **ა** არა სუფთა **ა** იყო, არამედ გადახრილი **ე**-საკენ, მაგრამ არც **ე**, არამედ რაღაც საშუალი **ა**-სა და **ე**-ს შორის. ამან მე მიმახვედრა, რომ ამ სახელის მეორე **ა**-ს გამოთქმაზე გავლენას ახდენს სახელის ბოლო მდგომი **ი** და სვანური უმლაუტის გამომწვევი მიზეზი ამოვიცანი. ეს იყო დასაწყისი და შემდეგ მივჰყევი და უმლაუტის საკითხი სვანურში მთელი სიგრძე-სიგანით შევისწავლე და გამოკვლევაც დავწერე, რომელიც დავბეჭდე ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ „არილ“ კრებულში 1925 წელს. ამ გამოკვლევამაც დიდი სიხარული მომანიჭა.

მეგრულზე მუშაობისას ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ **დია** კომპლექსი **ჯა**-დ იქცევა: **დიაკეული > ჯაკელი, დიაკონია > ჯაკონია** (ჯაკონია მეგრული გვარია, უდრის ქართ. დიაკონიძეს). ამან საშუალება მომცა დამედგინა, რომ ჭანური **ოხორჯა**, რომელსაც მცდარად ხსნიდნენ, წარმომდგარია **ოხორ(იშ)დია**-საგან, რაც ნიშნავს „დიასახლისს“ (მაგრამ ამ ქართული სიტყვის შემადგენელი სიტყვების რიგი შებრუნებულია). ამის მიგნებამაც დიდი სიხარული მომიტანა.

შევნიშნავ გაკვრით, რომ ამგვარადვე უნდა იყოს მიღებული გვარი **ჯაჯანიძე**, რომელიც **დადიანიძ**-ისაგან უნდა მოდიოდეს: **დადიანიძე > დაჯანიძე**, ხოლო ამისგან > **ჯაჯანიძე** (როგორც **დოჯოხეთ**-ისგან მიღებულია **ჯოჯოხეთი**).

„ვეფხის ტყაოსანში“ ბევრი იყო შერყვნილი ადგილები. ზოგიერთი მათგანი მე გავმართე და ყოველი გამართვისას დიდ სიხარულს ვგრძნობდი. დავასახელებ მხოლოდ ერთ მათგანს.

691 სტროფი ასე იკითხებოდა პოემის 1957 წლის გამოცემაში და წინანდელებშიც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დაასრულა ამბავი, საქმე მისისა ჭირისა,
ნახვა-მის მზისა-ნათლისა, მის თვალად არ დუხჭირისა,
ეამა, უქეს ვარდისა ხელი, მძლედ დანამჭირისა.
ეგე კმა სიმხნე სიმხნისად, რადღა ხარ მომხვეჭი რისა?

ამ სტროფში შეყვანილია მესამე ტაეპი. არ ჩანს, რას ნიშნავს „ვარდისა ხელი“ და არც სინტაქსურად არ არის გამართული მთელი ტაეპი. კარგად რომ დავაკვირდეთ, „მძლედ დანამჭირისამ“ მიმახვედრა, რომ აქ უნდა იკითხებოდეს არა „ვარდისა“, არამედ „ვადისა“ (**ვადა ხმლის ტარია**). მაშასადამე, მთელი ტაეპი ასე უნდა იკითხებოდეს:

„ეამა ქება ვადისა, ხელით მძლედ დანამჭირისა“, ე. ი. ეამა, რომ უქეს ხმლის ვადა, რომელიც მძლედ ეჭირა ხელითო, ე. ი. მძლედ იქნევდა ომში ხმალსო.

მიუხედავად ამ ჩემი შესწორებისა, რომელიც უეჭველია და რომელიც პირველად დაიბეჭდა 1962 წელს „ლიტ. საქართველოში“ (30 ნოემბერს), გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედაქციით 1966 წელს გამოცემულ პოემაში იკითხება (სტროფი 682):

ეამა ქება ვარდისა, ბროლისა განამჭვირისა.

**არნოლდ ჩიქობავა**

**ენათმეცნიერი**

პოეზია თუ ესთეტიკა?

დიდი სიხარული, რაც ახალი კანონზომიერების შემჩნევასა თუ გამოვლენას მკვლევარისათვის მოაქვს, ესთეტიკური ძალით ყოველ პოეზიას წააჭარბებდა.

ამის გარეშე მეცნიერული აკრიბია მძიმე ტვირთად იქცეოდა (და ან ინტრიგის შხამს რა გაუძლებდა?).

**გიორგი ციციშვილი**

**ქიმიკოსი**

მე მგონია, რომ მეცნიერებას აქვს თავისი პოეზია. პოეზია ლიტერატურაში წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების მწვერვალს, უხეშად რომ ვთქვათ, „უმაღლეს“ ლიტერატურას.

მეცნიერულ პოეზიად შეიძლება ჩავთვალოთ მეცნიერული აზროვნების ისეთი განსაკუთრებული შემოქმედება, რომელიც მეცნიერულ განზოგადებას, წინასწარმეტყველებას და შეიძლება ფანტაზიასაც წარმოადგენს.

ამ მხრივ შეიძლება მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი. განა ქიმიური მეცნიერების პოეზიად არ შეიძლება მივიჩნიოთ დიდი რუსი ქიმიკოსის დიმიტრი მენდელეევის ქიმიური ელემენტების პერიოდულობის კანონის და პერიოდული სისტემის აღმოჩენა?! გასული საუკუნის სამოციან წლებში, როდესაც გამოთქმული იყო ეს შესანიშნავი დებულებები, მეცნიერები იცნობდნენ ქიმიური ელემენტების ნახევარზე ნაკლებ რაოდენობას და მონაცემები მათი თვისებების შესახებ არასრული იყო.

ჰოლანდიელი მეცნიერის იაკობ ხენდრიკ ვანტ-ჰოფისა და ფრანგი მეცნიერის ჟოზეფ აშილ ლე-ბელის მიერ გასული საუკუნის სამოციან წლებში ფორმულირებული დებულებები ნახშირბადის ატომის ოთხვალენტიანობისა

და ტეტრაედრული აგებულების შესახებ აგრეთვე წარმოადგენს ქიმიური მეცნიერების მწვერვალს. საგულისხმოა, რომ ფაქტიურად ამ დებულებების და ახალი კონცეფციის — წყალბადური ბმის გამოყენებით შესაძლებელი გახდა ახსნილიყო დნმ-ს (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის) ორმაგი სპირალის აგებულება.

და ბოლოს მინდა აღვნიშნო ფრანგი მეცნიერის ლუი დე-ბროილის ბრწყინვალე აღმოჩენა, რომელიც ჩვენი საუკუნის ოციან წლებს ეხება და გულისხმობს მიკრონაწილაკების ტალღურ-კორპუსკულარულ (დუალისტურ) ბუნებას. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი, რომელზედაც აღმოცენდა თანამედროვე ფიზიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი — კვანტური მექანიკა — მეცნიერება, რომელიც ღრმად შეიჭრა ქიმიისა და ბიოლოგიის დარგებში და ბევრი მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა.

**შოთა ძიძიგური**

**ენათმეცნიერი**

მეცნიერული შემოქმედება რთული ბუნებისაა და მისი არსი არ არის ერთწახნაგოვანი. მეცნიერული ძიება ეფუძნება მკაცრად ორგანიზებულ ლოგიკურ ცნებათა სისტემას, მაგრამ იგი შემოქმედებითი პროცესია და, ამდენად, ინტუიციური შეგრძნების, სწორი და უტყუარი ალღოს ელემენტის შემცველიცაა. გენიალური ინტუიციის მქონე მეცნიერებმა მთელი გადატრიალებანი მოახდინეს ბუნებისა თუ საზოგადოებრივი კანონზომიერების შეცნობის საქმეში და ეს შეცნობა არ არის მხოლოდ მშრალ ლოგიკურ მანიპულაციათა თვისების აქტი, იგი გრძნობადი აპერცეფციის ბუნებისაა იმავდროულად. ჭეშმარიტების დადგენა, სამყაროს საიდუმლოების წვდომა მარტოოდენ განსჯით და „სილოგიზმებით“ არ მიიღწევა, ეს ცნება გულისხმობს პოეტური ხილვების ფენომენსაც. მეცნიერული აღმოჩენები არა მხოლოდ ჩვენს გონებას და წარმოდგენებს ამდიდრებენ, არამედ ამასთანავე სილამაზით, სიმშვენიერით გვაღელვებენ. ეს კი ესთეტიკური განცდაა და, მაშასადამე, ემოციური ტკბობის აღმძვრელიცაა, ჩვენი გრძნობადი შინასამყაროს გამამდიდრებელიცაა. მეცნიერი ფარდას ხდის საიდუმლოებას, ბინდით მოცულ შორეულ ჰორიზონტებს და ამ ფარდის იქით გადაშლილია მომხიბლავი სამყარო, აღსავსე თვალწარმტაცი და უხვი ფერებით, რაც განგვაცდევინებს მეცნიერული დასაბუთებით გამოწვეულ ესთეტიკურ სიამოვნებას; ადამიანი ტკბება გონების მონაპოვრით, შემეცნების საკვირველებით და ეს ტკბობა განა უმაღლესი პოეტური განცდის ტოლფასი აღქმა არ არის? გენიალური მეცნიერული მიგნება არსებითად იგივე პოეტური (ზოგადი გაგებით) წვდომაა, ოღონდ რეალიზებული არა მხატვრული სახეების, არამედ „ცნებების ენის“ მეოხებით. „მომხიბლავი და ლამაზი თეორიაო!“ — ვამბობთ ხშირად აღტაცებით და ეს არცთუ იშვიათი გამოთქმა არ არის მარტოოდენ მეცნიერული თეორიის წმინდა „რაციონალისტური საფუძვლების“ შეფასება, — იგი გონებრივი შეცნობის ესთეტიკური აღქმის ანარეკლიცაა, მაშასადამე, ჩვენი გრძნობადი იმპულსების მამხილებელიცაა. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „უაზრობაა უარყო ფანტაზიის როლი უაღრესად ზუსტ მეცნიერებაშიც კი“... მეცნიერულ აღმოჩენებს საფუძვლად უდევს ჰიპოთეზა, ხოლო ჰიპოთეზა შეუძლებელია არსებობდეს წარმოსახვის გარეშე, — წარმოსახვა ფსიქოლოგიური ცნებაა და ამგვარ „სულიერ წარმოდგენებში“, ვფიქრობ, არ არის გამორიცხული „პოე-

ტური ხილვის“ სტიქიაც... მეცნიერულ ძიებას აქვს თავისი თილისმა, მაჯადოებელი ძალა: აღმოჩენის ექსტაზით აღტყინებულმა პითაგორამ ხარი დაუკლა ღმერთებს; არქიმედეს სიხარული და ყვირილი თითქოს ახლაც ჩაგვესმის ყურში: „ევრიკა! ევრიკა!“

**გიორგი ჭოღოშვილი**

**მათემატიკოსი**

ზუსტი პასუხი ამ კითხვაზე შესაძლებელია იმის შემდეგ, რაც განსაზღვრული იქნება, თუ რა არის მეცნიერება და რა არის პოეზია. მაგრამ, რადგანაც პასუხი შესაძლებელია სიზუსტის იმ დონეზეც, რომელზედაც კითხვაა დასმული, და არა ემოციურ, არამედ ლოგიკურ პლანში, ამიტომ პასუხს ვბედავ. ჩემი ფიქრით, იგი დადებითია და იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერების პოეზია გამოიხატება მის მათემატიკაში — მისი აბსტრაქტული, ფორმალისტური აგებულების, სტრუქტურის რაობაში. პირიქითაც, პოეზიას აქვს თავისი მეცნიერება და ესეც მათემატიკაა. რასაკვირველია, კაცი იფიქრებს: პასუხი იმითაა განპირობებული, რომ მისი გამცემი მათემატიკოსიაო. იმედი მაქვს ასე არაა, თუნდაც იმიტომ, რომ მათემატიკის გარდა ზოგი სხვა მეცნიერებაც მაინტერესებს და მათ გასაგებად არანაკლები დრო დამიხარჯავს. აგებულების ნაწილთა რიგის, განლაგების, ურთიერთმიმართების თვისებათა აღქმას შეუძლია გამოიწვიოს სილამაზის განცდა და, ამასთანავე, ნაწილთა რაობის მიუხედავადაც. ეს თვისებები კი ფუნდამენტურ მათემატიკურ სტრუქტურებს გამოხატავენ, სახელდობრ დალაგების, ტოპოლოგიის, ალგებრის სტრუქტურებს. მაგალითად, ასტრონომიულ სხეულთა მყარად გაწონასწორებული სისტემა (ძველი დროის „სფეროთა ჰარმონია“), ქიმიურ ელემენტთა მკაფიო ცხრილი, გეომეტრიათა ალგებრით განპირობებული კლაინისებური წესრიგი, ბიოლოგიურ ერთეულთა კლასიფიკაციები სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით და მათი იერარქია, მემკვიდრეობითობის კანონი, ენათა გრამატიკული სტრუქტურები და მათი ტიპოლოგია... ეს მაგალითები გლობალურია, მაგრამ ასეთივეა ლოკალური სურათი — აგებულება მოლეკულისა, ატომისა, მისი გულისა და ა. შ. მაგალითები იძლევიან სტატიკურ, სინქრონულ სურათებს, მაგრამ ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელია წარმოდგენა მათი დიაქრონული ჭრილებისაც, განვითარების დინამიკის, მათი ისტორიის სურათებისა. მაგალითები დიდ აღმოჩენებს ეხება, მაგრამ რიგითი, მცირე აღმოჩენებიც აგრეთვე მეტნაკლებად მშვენიერია მისი აღმომჩენის თვალში, იმ ვიწრო სპეციალისტის თვალში, რომელმაც იგი ნათლად გაიგო. მიმართება აღქმულსა და აღმქმელს შორის, უკანასკნელის განწყობილება ისეთივეა, როგორც ლექსის, მუსიკის მოსმენისას, სურათის, შენობის ნახვისას. ტექნოლოგიურადაც მთელი კონსტრუქცია ორივე შემთხვევაში, ე. ი. მეცნიერებაშიც და პოეზიაშიც, შეიძლება გამომდინარეობდეს ერთი ან რამდენიმე ელემენტისაგან. პოეზიაში, მაგალითად, მთელი ნაწარმოები, ვთქვათ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი, შეიძლება წარმოიშვას ერთი იღბლიანად მიგნებული რითმისაგან, რიტმისაგან, ალიტერაციისაგან, შედარებისაგან, მეტაფორისაგან... ჩემი ფიქრით, შემთხვევითი არაა, რომ გეომეტრიაში კომბინატორული ტოპოლოგია, რომელიც რთულ სივრცეებს წარმოიდგენს უმარტივეს ფიგურათა ნაერთად (სივრცის ტრიანგულაცია), მაგალითად სხვადასხვა განზომილებათა კუბების ნაერთად, წარმოიშვა იქ და მაშინ, სადაც და როდესაც კუბიზმი მხატვრობაში. ამგვარად, მივდივართ

მეცნიერების შეპირისპირებამდე საზოგადოდ მთელს ხელოვნებასთან, და ბუნებრივად გვეჩვენება, რომ ანტიკურობაში, საშუალო საუკუნეებში და რენესანსის პირველ ხანებში მეცნიერება და ხელოვნება განუყოფელი იყო. მაგალითად, საშუალო საუკუნეებში, როგორც მაჰმადიანური, ე. წ. არაბული, აღმოსავლეთის, ისე ქრისტიანული, ბერძნულ-ლათინურ კულტურაზე დაფუძნებული დასავლეთის სკოლებში ისწავლებოდა მათემატიკაც და მუსიკაც და თან მჭიდრო ურთიერთკავშირში. გასაგებია, რომ ამ ორი სამყაროს მიჯნაზე მდებარე ქვეყნის უდიდესი პოეტის აზრით შაირობა სიბრძნის დარგია.

**ევგენი ხარაძე**

**ასტრონომი**

ცხადია, კითხვაში იგულისხმება არა ლექსთწყობა, არამედ ის კატეგორია, რომელსაც ახასიათებს ამაღლებული მშვენიერება და ადამიანის სულიერ სამყაროზე ღრმა ზემოქმედების ძალა და მომხიბვლელობა. რაკი ასეა, კითხვის პირველ ნაწილს გადაჭრით დადებითად უნდა ვუპასუხოთ.

კითხვის მეორე ნახევრის პასუხიც ნათელია. შემოქმედებითს აღტყინებაში, რომლითაც სწორ მიდგომაში უკვე დარწმუნებული მკვლევარი იდუმალის ფარდის ახსნას უახლოვდება და აი, უკვე გონებით ჭვრეტს შემეცნებულს ანუ მიკვლეულს, რაც არ უნდა იყოს ის, — ახალი ფორმულა თუ მოვლენათა ურთიერთკავშირის ახალი თვისება ანუ კანონზომიერება, — იგი ნამდვილ ესთეტიკურ ტკბობას განიცდის.

არაერთი მათემატიკოსი შემხვედრია, რომელიც ახლად გამოყვანილ ფორმულას ეღოლიავებოდა, მოხიბლული არა მარტო მისი არსით, არამედ გარეგნული მოხდენილობითაც! (ზოგიერთის შეხედულებით კი, მშრალ მათემატიკოსს მშრალ ფორმულებთან აქვს საქმე). გავიხსენებ ისტორიის მიერ შემონახულ ორ ძველ ამბავსაც. ცნობილი იოჰან კეპლერი, რომელმაც რთული, საჯახირო გამოთვლების ძნელი და გრძელი გზა განვლო და მიუახლოვდა პლანეტების გარემოქცევის შესანიშნავი, ჰარმონიულად შეკავშირებული სამი კანონის აღმოჩენას, ირწმუნებოდა, რომ მის სმენას სწვდება ცის ჰ ა რ მ ო ნ ი ი ს მკაფიო ხმები. ეს ხომ პოეზიაა!

ერთი მაგალითიც უფრო შორეული წარსულიდან. როცა პტოლემემ სამყაროს აგებულების ეგრეთ წოდებული გეოცენტრული მოძღვრება მათემატიკურად შემოსა და იმ დროის თვალსაზრისით მწყობრ თეორიად აქცია, ისეთი კმაყოფილება განიცადა, რომ ამ საგანზე დაწერილ თხზულებას ეპიგრაფი წაუმძღვარა, რომელშიაც წერდა, რომ შევისწავლიდი რა მნათობთა ორბიტებსო, თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ზევსის ღვთაებრივ სუფრას ვუჯექი და ციურ საზრდოს — ამბროსიას ვიგემებდიო. ესეც ხომ მეცნიერების პოეზიისა და პოეტურობის გამოხატულებაა!

**ნინო ჯავახიშვილი**

**მორფოლოგი**

მეცნიერის მუშაობაში დიდი წვლილი აქვს შემოქმედებით ელემენტს, ამიტომ მეცნიერისათვის, ისე როგორც ყველა სხვა დარგში მომუშავე პირისათვის, რომლის მოღვაწეობაში არის შემოქმედებითი ელემენტი, დამახასიათებელია ის „წვა“, რაც განპირობებულია შემოქმედებით.

ყოველი დიდი შრომის — მეცნიერული შრომის — დაგვირგვინება იწვევს უაღრესად დიდი კმაყოფილების გრძნობას, და არა მარტო კმაყოფილებისას, არამედ „ალმაფრენისა“, რომელიც ალბათ უფრო მკვეთრად არის გამოხატული ხელოვნების მუშაკის, პირველ რიგში პოეტის, შეგრძნებაში. ეს გარემოება მეცნიერს შეიძლება ისე თვალნათლივ არა აქვს გამოხატული, თუგინდ იმიტომ, რომ მეცნიერის შრომას წინ უძღვის პროცესი ხანგრძლივი და ზუსტი ანალიზისა, რაც მისგან მოითხოვს შეძლებისდაგვარად ფაქტების კრიტიკულ შეფასებას, მათი ობიექტური თვალით დანახვას. მიუხედავად ამისა, გარკვეული ეტაპის გადალახვა, გარკვეული ამოცანის გადაწყვეტა ყოველთვის იწვევს შეგრძნებას სულიერი თვითკმაყოფილებისა.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებას აქვს თავისი, მისთვის დამახასიათებელი პოეზია.

**გიორგი ჯიბლაძე**

**ლიტერატურათმცოდნე**

თუ გვინდა გავიგოთ რა დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან პოეზია და მეცნიერება, უნდა გავარკვიოთ მხატვრული სახისა (ხელოვნება) და ლოგიკური კატეგორიის (მეცნიერება) ურთიერთმიმართება. ორივე — სახეც და კატეგორიაც ჭეშმარიტების შენობაა, ამ მხრივ მათ შორის ძირეული განსხვავება არ არსებობს. განსხვავება მხოლოდ ჭეშმარიტების გამოთქმის ფორმაშია.

პოეზია და მეცნიერება ტყუპის ცალები არიან, პირველი ხუთი წუთით ადრე დაბადებული, ვიდრე მეორე. ორივეს დამახასიათებელი თვისებაა განზოგადება, ფანტაზია, ურომლისოდ არც ერთი არსებობს, არც მეორე.

ჯერ კიდევ ანტიკურმა ფილოსოფიამ შეიმუშავა პოლარული კონცეფციები პოეზიისა და მეცნიერების შესახებ. პლატონმა პოეზიას წაართვა ჭეშმარიტების შემეცნების უნარი, მაშასადამე, გათიშა მეცნიერებისაგან, ხოლო მისმა მოწაფემ არისტოტელემ პოეზია როგორც ზოგადი, უფრო მაღლა დააყენა ისტორიაზე — კერძოზე, ე. ი. პოეზია დაუბრუნა მეცნიერების სამეფოს.

პოეზია და მეცნიერება რომ ოდითვე ერთ საქმეს აკეთებენ, მოწმობს შემდეგი ფაქტი: მეცნიერული ტრაქტატებიც კი ერთ დროს იწერებოდა ლექსად, მაგალითად, ემპედოკლეს განთქმული „ბუნების შესახებ“, ლუკრეციუსის „საგანთა ბუნებისათვის“, ჰორაციუსის „პოეზიის მეცნიერება“, ბუალოს „პოეტური ხელოვნება“ და მრავალი სხვა.

დიდ მეცნიერებს პოეზია ეხმარებოდა თავიანთი არაჩვეულებრივი ტალანტის სრულყოფილ გამოვლინებაშიც. რუსთაველი გენიოსი პოეტი და დიდი მეცნიერია; ქიმიკოსი ბოროდინი, შესანიშნავი მეცნიერი, ასევე ბრწყინვალე ხელოვანი იყო, ავტორი ოპერისა „თავადი იგორი“, ხოლო მედიკოსი ჩეხოვი — რუსეთის დიდი მწერალი გახლდათ... მაგალითები ნამდვილად უთვალავია.

პოეზიაში მეცნიერება ისევე აუცილებელია, როგორც მეცნიერებაში პოეზია. ორივე შემოქმედებაა და ორივეს ასაზრდოებს ფანტაზიის კოლოსალური ძალა ტალანტის ზოგად-კონკრეტული გამოვლინებით. მაგრამ მეცნიერებას თავისი შინაგანი, იმანენტური პოეზია აქვს, როგორც საკუთარი არსების განუყრელი ნაწილი, რომელიც გამოიხატება კვლევა-ძიების, ანალიზის პათოსსა და ჭეშმარიტებათა აღმოჩენისათვის თავდადებულ, პირდაპირ რაინდულ შემართებაში, რასაც ყოველთვის უეჭველად თან ახლავს რომანტიკული გატაცება. საგნის ღრმა შეცნობის, მძიმე სამუშაოს დამთავრების, ჭეშმარიტების აღმოჩენის ადამიანური სიხარული — ეს უკვე მშვენიერების ამაღლებული გრძნობით დაგვირგვინებული მეცნიერების პოეზიაა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელგუჯა მაღრაძე

# ქართული ხმით მგალობელი

> გზაზე ბერი გადამიდგა, შემომცინა —
> „გიხაროდენ",
> — წადი, შვილო, და რაც ნახე, ქართული
> ხმით იგალობე.
>
> შოთა ნიშნიანიძე

იმერეთია ის კუთხე, სადაც შოთა ნიშნიანიძე ტოლსწორებთან ერთად ატარებდა ზაფხულის არდადეგებს. ზრდილი, ენამოსწრებული, მახვილგონიერი, ზეაწეული განწყობილებით მოსაუბრე ადამიანთა სამკვიდრო. სამშობლო სახელგანთქმული დავითისა და კონსტანტინესი, არგვეთის ერისთავებისა, საუფლო აკაკისა. მელოდიური, ერუანტელის მომგვრელი სიმღერებით განთქმული კუთხე, სადაც ყოველკვირა ახალი სიმღერა ითხზვება და გაისმის, სადაც, ამჟამად შეძლებული და წელში გამართული ადამიანები გმასპინძლობენ. მათ გულწრფელ მიწვევასა და გადაპატიჟებას, ჩვენს დროში, თავისი მყარი საფუძველი გააჩნია. ამ კუთხემ კარგა ხანია ჩამოირეცხა ის სამარცხვინო ლაქა, ვითომდა შესაბრალის შემოდგომის აზნაურთა საავუგო სახელთან რომ იყო წილნაყარი. დღეს ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი თამამად დაწერდა: კუთხე უხვმოსავლიანი, ბარაქიანი, კეთილჰავიანი, შემრგო წყლებითა და ჰაერით „მოდი ნახეს", „ჰკა მაგას" და „არ გაუშვას" ციხეთა პატრონი კუთხე.

როცა სოფელზე წერს პოეტის თვალწინ ქუთაისიდან შვიდიოდე კილომეტრის სიახლოვეზე მდებარე პატარა სოფელი მესხეთია წარმომართული ამაყად და ყინჩად. ბავშვობაში გატაცებული ყოფილა ფეხბურთით და სპორტის სხვადასხვა სახეობით. სოფლის ბიჭებთან ერთად ბევრი უტანტალია სამწყემსურში, უთოხნია სიმინდის ყანა და ღვლერჭითა და ულოებით უკონია ძნები. ბავშვობაში გულჩათხრობილი ყოფილა, რაც შემდგომში მორიდებულობაში გადაზრდილა. მეგობრობა თავისზე უმცროსებთან ჰქონია. ბავშვობაში პოეტზე წარუშლელი კვალი დაუტოვებია ბიძას, რომელსაც შეუყვარებია მისთვის ბუნება და შრომა, პოეტის ბიძა ქერჩში დაღუპულა გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში და მის ხსოვნას ეძღვნება ლექსები „იმერეთი... გიორგობისთვე" და „ჯარისკაცის დაბრუნება".

პოეზიის ცისკარი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა იოსებ ჭრელაშვილმა შემახსნევინაო, გვაუწყებს პოეტი. იოსებ ჭრელაშვილს ეძღვნება ლექსი „ჩემი ქართულის მასწავლებელი". ეს კაცი ჩვენი მწერლობისათვის კიდევ იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ იგი გახლდათ იოსებ ნონეშვილისა და, მორის ფოცხიშვილის მასწავლებელიც. პირველი ლექსი შოთა ნიშნიანიძეს იოსებ ჭრელაშვილის თხოვნით დაუწერია, მაშინ იგი VIII კლასის მოსწავლე ყოფილა, მაგრამ პოეტად თავი „ახალგაზრდა კომუნისტის" ლიტერატურულ წრეში უგრძვნია. პოეტის პირველი ლექსი 1947 წელს დაისტამბა „ახალგაზრდა კომუნისტის" ლიტერატურულ გვერდში.

შოთა ნიშნიანიძის პოეტური კერპები მისივე აღიარებით, ქართველებიდან გახლავან: დავით გურამიშვილი და ვაჟა-ფშაველა, რუსებიდან კი პუშკინი და ტიუტჩევი, თუმცა მათზე არანაკლებ აფასებს: ბლოკს, პასტერნაკს, მაიაკოვსკის, ესენინსა და ზაბოლოცკის.

შოთა ნიშნიანიძე ახალგაზრდობაშიც და ახლაც ერიდებოდა და ეკრძალებოდა ბოჰემურ ცხოვრებას, ლხინსა და ღრეობებს, ჩახხლომასა და პურისჭამას. დილიდან საღამომდე საჯა-

რო ბიბლიოთეკაში იჯდა და კითხულობდა და კითხულობდა...

ხელოვნების დარგებიდან, ყველაზე უფრო მეტ სულიერ ნათესაობას მხატვრობისადმი განიცდის. მარადიულ ხელოვნებად მიაჩნია ანტიკური ხანისა და რენესანსის მხატვრობა.

იგი თბილისის ძველ უბანში აღიზარდა, ახლანდელი ბარათაშვილის ქუჩის შიდა მეორე მხარეზე (ახლა რომ ნაკაშიძის ქუჩა ჰქვია, ადრე მილიციისა ერქვა), ხშირად დაებლოტებოდა ნარიყალაზე, მეტეხზე, მამადავითზე, ეკლესია-ტაძრებში, სტადიონებზე. ახე რომ, საქართველოს გული თბილისი დაბადებით თბილისელსა და აქ აღზრდილს გათავისებული აქვს და რა გასაკვირვია თუ მთელი ხმით უმღერის დედაქალაქს.

ყოფნა-არყოფნის საკითხი ცხოვრებისეული საზრისის ძიებად მიაჩნია და უყოყმანოდ სთვლის, რომ ადამიანმა უნდა იცოდეს ცხოვრებაში თავისი ადგილი და დანიშნულება.

ხელოვნების ჭეშმარიტ ქმნილებებს, პოეტის ღრმა რწმენით, რჩეულები ჰქმნიან, ოღონდ მათი ვალია ისე წერონ, რომ ნააზრევი, ნაფიქრალი — განცდილი ხალხის კუთვნილებად აქციონ. ჭეშმარიტ ხელოვნებად პოეტი სთვლის სიღრმე-სირთულის სადად, მარტივად გამოთქმას. პოეზიას, მისი აზრით, უნდა გააჩნდეს შინაარსი. უსაგნო ლირიკას პოეტის აზრით, მაშინ ეძლევა გასაქანი როცა ავტორს სათქმელი არა აქვს, ანდა შემოელევა. „წმინდა პოეზია“ პოეტს მიაჩნია სიტყვით ჟონგლიორობად. ფრაზის აკრობატულობა, სიტყვიერი ალქიმია, და ლაბორატორიული ცდები მისი აზრით არავითარ შედეგს არ იძლევა. თამაში თამაშადვე რჩება და ექსპერიმენტი ექსპერიმენტად. ნამდვილ პოეზიად იგი თვლის გრძნობისა და აზრის ნაყურს, რაც ცინცხალ ფორმაში უნდა იხატებოდეს ჭეშმარიტი პოეზია, მისი თქმით, აზრის, გრძნობისა და ფორმის სიცხადის გამოვლენაა. მისი აზრით ვერლიბრი ანუ თავისუფალი ლექსი შეიძლება თავისუფალი იყოს რითმისაგან, რიტმისაგან, სტროფიკისაგან, მაგრამ არა აზრისა და გრძნობისაგან, ვერლიბრი არ უნდა იყოს ბწკარედის იგივეობა. ვერლიბრს აქვს არსებობის მოქალაქეობრივი უფლება (ზოგიერთი თემის, განწყობილების, პრობლემის გამოხატვა ვერლიბრით აუცილებელია).

ყველაფრის ვერლიბრით გამოხატვა უბრალოდ არ შეიძლება: ვინც ყოველგვარ თემაზე ვერლიბრით წერს, მას ნამდვილად უჭირს ოსტატობაში, თავს ვერ ართმევს ტექნიკურ სიძნელეებს ანუ 4-სტრიქონიან სტროფს ვერ აგებს ბუნებრივად, ვერ მიარითმავს პირველ სტრიქონს მესამეს, მეორე სტრიქონს მეოთხეს. ახეთი ავტორები ვერ არიან დაუფლებული ლექსის წერის ელემენტარულ ილეთებს. ამიტომ ურჩევნიათ სწერონ ჩვეულებრივ პროზა და ლექსად გაასაღონ. საერთოდ ვერლიბრი უცხოური პოეზიის ბრმა გავლენით — შემოვიდა ჩვენში (ძველი ქართული ურითმო საგალობლები დღევანდელი პოეზიის ერთ-ერთი გავლილი საფეხურია და მათი გავლენით არ განვითარებულა დღევანდელი ქართული ვერლიბრი). ახალგაზრდობას სამწუხაროდ ყველაფერი უცხოური მისაბაძი და სანიმუშო ჰგონია. ეს ვერლიბრი უცხო ენათა ბუნებისათვის შესაძლოა ბუნებრივიც კი იყოს ოღონდ ქართული ენისათვის, ნამდვილად უცხოა. ვერლიბრი დამკვიდრდება, იოლი საწერია, ოღონდ ასევე იოლად დავკარგავთ პოეზიის პატივისმცემლებს — დავკარგავთ მკითხველებს. სამაგიეროდ ვერლიბრის ფონზე უფრო დაფასდება „კლასიკური“ ლექსი.

შოთა ნიშნიანიძემ ასეთი პასუხი გასცა კითხვაზე, განიცდის თუ არა სულიერ სიმარტოვეს და ვის თვლის იმ წუთებში ყველაზე ახლობლად.

სულიერი სიმარტოვის განცდა მარად თანამდევი, მოუშორებელი განცდაა. პოეზიაზე, ცხოვრების საზრისზე და სამყაროს შეუცნობლობაზე, ფიქრი მიხსნის ხოლმე დროებით სიმარტოვის განცდისაგან. ასევე რაიმე კარგის მოგონება.

პოეტის აზრით: ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი (თუნდაც თავისი დროის მეხოტბე) რადაცით მაინც უდგას კრიჭაში თანამედროვეობას. ალბათ იმიტომ, რომ შემოქმედი წინ უსწრებს თავის დროს, მაღლდება დროზე და სულ უკეთესზე ოცნებობს. დაინტერესება სოკრატეთი, ვოლტერით, შვაიცერით თუ არსაკიძით ნაკარნახევია იმით, რომ ისინი წარმოადგენენ ირონიის, სათნოების (შვაიცერი), განსახიერებას, ცხოვრებისეულ მანკიერებებთან ბრძოლაში ადამიანი იშველიებს ირონიას ხან როგორც თავდაცვის ხან როგორც შეტევის იარაღს, ისინი კაცობრიობის მარადიულად თანამდევი სულები (სულიერი მოძღვრები) გახლავან. ასევე ჩვენს დროს სჭირდება არსაკიძის სულის გამოხმობა (შენების, აღორძინების ფენომენი). აქ ნაგულისხმევია საყვარელი საქმისადმი მსხვერპლად შეწირვის მომენტიც.

ყველა დროში ასე გახლდათ და ახლაც ასეა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ჩვენში მაინც ხშირად გაიგონებთ შემპარავად თუ მოსასინჯად დასმულ კითხვებს: უნდა იქმნებოდეს თუ არა ლექსი დროის კარნახით, უნდა იყოს თუ არა პოეტი გარემოების საყვირი, უნდა ასახავდეს თუ არა ლექსი საჭირბოროტო მოვლენებს, უნდა გამოხატავდეს თუ არა პოეზია ადამიანთა საყოველთაო სატკივარს, ვალდებულია თუ არა შემოქმედი გარემოებას აუბას მხარი? დიახ, მავანმა და მავანმა ჩვენში ეს ამბავი ამ უკანასკნელ დროის მონაკვეთში გახადა საჭოჭმანოდ და საკითხავად, თორემ ამ კითხვებზე პასუხი დიდი ხანია გაცემული იყო.

პოეზიისაგან ყოველთვის მოითხოვდნენ, რომ იგი ყოფილიყო ამსახველი საყოველთაო სიხარულისა და ზარზეიმისა, იგი უნდა იყოს გამომხატველი საყოველთაო საჭირბოროტო სატკივარისა, გლოვისა, თუ სატანჯველისა. რაღა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ეს ყოველივე პოეტის პირადულ განცდებთან მტკიცედ იქნება გადახლართულ-გადაჯაჭვული. და თუ შოთა ნიშნიანიძის ლექსებს ხშირად მსჭვალავს პოლიტიკური ტენდენციურობა, ესაა მემკვიდრეობით მიღებულ კვალზე ბეჯითად სიარული, რის გამოც ჩვენმა სამოციანელებმა, პოეტს გარემოების საყვირი შეარქვეს. დიახ, პოეტის ვალი, მათი აზრით, ის იყო, რომ იგი „წინ უნდა წარუძღვეს თავის ერს". პოლიტიკური ხასიათის ლექსებში „კომუნისტების" ავტორი პლაკატურად კი არ მოუწოდებს მკითხველს და ამაოდ კი არ შვრება, იგი არწმუნებს და აჯერებს განდობილთ. შოთა ნიშნიანიძემ კარგად იცის თავისი შინაგანი სითბოს, ავტორიტეტისა და ხიბლის ძალა.

შოთა ნიშნიანიძე გამორჩევით მქმნელ პოეტთა რიცხვს განეკუთვნება.

პოეტი თუ მხოლოდ საკუთარი მეთი შემოიფარგლა, მხოლოდ საკუთარი განცდები ასახა და ასეთი ლექსებით წარსდგა მკითხველის წინაშე, თუ მისი სიხარული, ალმაფრენა, სამდურავი და დრტვინვა მხოლოდ კერძოობითია, ასეთი პოეზიისაგან დიდ ვერაფერს ბარაქას მივიღებთ და დიდ ხვავს ვერ დავაყენებთ. შ. ნიშნიანიძეს თამამად შეუძლია განაცხადოს: მე არა მარტო ჩემს სამშობლოზე შეყვარებული მამულიშვილი გახლავართ, მე ქვეყნიერების ღვიძლი შვილი ვარო, ხანდახან იმდენად ზოგადდება მისი პოეტური სათქმელი.

სწორედ ამ დიდი შემართებით უპირისპირდება იგი ყველას, ვინც უმისამართო ლექსებს წერს, ვინც უსაგნო ლირიკული „შედევრების" შექმნით ერთობა და ვინც პოეზიის დანიშნულებად მიწიერ, სამყაროდან მოწყვეტილ, განყენებულ პოეტურ ფილოსოფიას ეწაფება, თავსაც იტყუებს და სწორი გზიდან მიამიტი მკითხველის ცთუნება-გადაცდენასაც ლამობს.

მაინც რა ანდამატით აღწევს პოეტი მკითხველთა გულის მონადირებას, მოხიბვლასა და მოჯადოებას?

გათავისებული და კეთილად ათვისებული აქვს დიდ მოაზროვნეთა სიბრძნე, არა მარტო ბგერათა ჰარმონია, უპირველესი ყურადღება სულის ჰარმონიის განვითარებას უნდა მიექცეს.

პოეტური ნაწარმოები უნდა იყოს არა მარტო მშვენიერი, არამედ პირველ რიგში ჭკუის სასწავლი, სასიამოვნო, ამაღელვებელი და გონების სალესი.

პოეზია ადამიანებს უნდა ასწავლიდეს სანიმუშო ზნეს, უფაქიზებდეს გრძნობებს და უნერგავდეს კარგად ქცევის წესებს.

პოეტები ადამიანებს უყვართ დიდსულოვნების გამო და დამოძღვრისათვის, ისინი ხომ გარშემომყოფთ აკეთილშობილებენ.

შოთა ნიშნიანიძის პოეტური სამყარო არა მარტო არსებობს, იგი სილამაზის, აღფრთოვანებისა და თაყვანისცემის საგანიცაა. მისი თვალით ხილული ქვეყანა მკითხველში სიყვარულსა და აღტაცებას ბადებს. პოეტის მხატვრული სიტყვითა და ვაჟკაცური შემართებით შეძრული მკითხველი სიხარულს გულში ვეღარ იტევს, თვითონაც აღაკმევს სულს და იწყება ნათლის კიალი, აღბრწყინება და აფოფინება. ასე ეზიდება ამაღლებულისაკენ მკითხველს შოთა ნიშნიანიძის ჭეშმარიტი პოეზია. შოთა ნიშნიანიძემ შესძლო შეენივთებინა ქართველ წინამორბედ პოეტთა მიღწევები და ერთიანი მონუმენტური ხელწერის ნიმუშებად დაემარგალიტებინა.

ალბათ გულწრფელი არ ვიქნები თუ შოთა ნიშნიანიძის ნაკლზეც არ ვიტყვი ორიოდ სიტყვას.

ხშირად პოეტი ისეთი ლექსებით წარმოგვიდგება, რომ გაურკვეველია, მისი პოეტური სულის სწრაფვა, მაგრამ ამდაგვარ ლექსებს თან ისეთი მხატვრულობა და მეტაფორული აზროვნება ახლავს, რომ ჭეშმარიტ პოეტს ეპატიება ზოგიერთი გადაცდომა.

არ ვიცი არ უნდა, არ ვიცი ხანდახან ვერ ახერხებს ხოლმე თავშეკავებასა და წერტილის დროულად დასმას, ეს კი საჭირო და აუცილებელი საქმეა.

იშვიათად, მაგრამ ხანდახან ისიც ხდება, რომ განმასხვეულებელი და დამსურათხატებელი პოეტის ნაცვლად თვალწინ მოაზროვნე პოეტი წარმოგვიდგება. ამ შემთხვევაში მის ლექსებში შიშველი იდეები სჭარბობს და ჩვენ ხელთ პოეტი პუბლიცისტი და პოეტი მქადაგებელი გვრჩება. საბედნიეროდ ასეთი შემთხვევები მის შემოქმედებაში იშვიათია.

როგორც ყველა შემოქმედს ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს, გარეგნულ ელვარებაზე სულს არ აღაკმევს და მაინცდამაინც არ ეტანება, ალბათ, ფიქრობს ჭეშმარიტ ღირსებას ფულით შეძენილი სამკაული რას შემატებსო, მაგრამ ცდება.

შოთა ნიშნიანიძეს ალსარებითი ხასიათის ლექსებიც აქვს. იგი ჩადენილს თუ განზრახულ საუგო საქმის გამხელას არ ერიდება, ალბათ იმისი იმედით, რომ ღრმად დაფარული და ნებსითა თუ უნებლიეთ გამხელილი შეცოდებანი და დამალული ღალატის გამომზეურება ცოდვიანი სულის განწმენდას გულისხმობს, ასეთი რამ ჩვეულებრივ შენდობითა და მიტევებით თავდება ხოლმე.

ტაბოლოს, თავიდათავი მაინც ის გახლავთ, რომ იგი ჭეშმარიტი პოეტია. მისი ლექსებიდან ისეთი გამამხნევებელი და წამაქეზებელი სით მოჰქრის, თითქოს პოეტს უნარი შესწევ-

დეს მკითხველის დაღლილ სხეულს ახალი სისხლი გადაუსხას და ახალი სიცოცხლე შთაუნერგოს.

იგი ძალიან სადად წერს, საყოველთაო აზრით კი ასეა მიჩნეული, რომ სადად წერა დიდი ღირსებაა მწერლისა. სადად წერა ამაღლებულად წერაა და იმ სისადავეში იგრძნობა სწორედ ამაღლება.

მისი პოეზია ნიაღვარივითაა მოხეთქილი. მის ლექსს ძვირობა და ლევა არ დაუწყია. იგი არც „სიტყვა-მცირობასთანაა" ჭერჭერობით წილნაყარი, კვლავ ხელმარჯვედ სცემს ჩოგანს, უპირველესად სამშობლოს ამჟღავნებს, მას ამკობს, მისთვის ენამუსიკობს, ხელეწიფება სიტყვათა სრულქმნა, ბრძოლისათვის მუდამ მზადყოფნა, კვლავ შრომით ვახტზეა, „დიდ ნადირთა ხოცს" და „მელექსეთა კარგთა სწორია".

დღეს ბევრს ლაპარაკობენ შოთა ნიშნიანიძის პოეზიაზე, სალიტერატურო კრიტიკა კი ჯერ კიდევ ვალშია პოეტის წინაშე, თუმცა, ბოლო ხანებში გამოითქვა არა ერთი საყურადღებო თვალსაზრისი, თუ სად არის საძიებელი შოთა ნიშნიანიძის პოეზიის მაღალღირებულებათა ფესვები, მაგრამ თვითონ პოეტისა არ იყოს, თვალსაზრისი შეიძლება არაერთი გვქონდეს, ჭეშმარიტება კი „ერთია, ერთადერთი და კენტი". ჯერ კიდევ „ციხე-ტაძართა საგალობელმა", „ხევსურმა" „ხარმა" და სხვა შაბუკობისდროინდელმა ლექსებმა დაუდო სათავე ამ ძიებას, რაც ახლაც გრძელდება პოეტის შემოქმედების ალმავლობის კვალდაკვალ და, ალბათ, ათადან-ბაბადან მოსული ქართული ლექსის დღემდე ამოუხსნელი ყველა საიდუმლოების ძიებასთან ერთად გაგრძელდება.

შოთა ნიშნიანიძემ ორი გვარი დაინათლა ცხოვრებაში. მის ჰერალდიკურ ხატად კი ხარი იქცა, როგორც სამშობლოს წინაშე მაღალი მოვალეობის გამომხატველი სიმბოლო: „მე ვარ მისანი ხარი წიქარა, შენი დვრიტა ვარ, მამულდედულო, ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე, რომ გემსახურო და გიერთგულო, შენი ულელი მემჩატოს აგრემც, ქედზე რომ მადგას განაჩენივით"...

ეს სიმბოლო არაფრით არა ჰგავს ოლიმპოს ღმერთებისათვის შესაწირავ ზვარაკსა თუ ძველ ეგვიპტურ მითოლოგიაში გაღმერთებულ აპისს. იგი ქართული ხალხური გენიის პირმშოობისაა, ზღაპრიდან ობოლთა მხსნელად და ნატვრად მოვლენილი. იქნებ აქედან დაჰყვა პოეტის ლექსს ზღაპრულთან ზიარი სახეების ახეთი მიმზიდველი ჰიპერბოლურობა? იქნებ ქართული ზღაპრის ბილიკებით მივიდა იგი ქართული პოეზიის სათავეთა წყაროებთან, ის ხომ ყველაზე ახლო ნათესაობას ხალხური პოეზიითა და სიბრძნით ნასაზრდოებ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასთან ამჟღავნებს. აკი თვითონვე გვამცნობს: „ახლა მე მომდგა შაირის დევი, ბეჭებზე მირტყამს ტორივით სტრიქონს, ფშავ-ხევსურეთში ავყავარ ზევით და ქაჯთა ხიბრძნეს ფიცის ქვეშ მიყოფს".

ვაჟა ფშაველას ერთ-ერთ მეტაფორულ თქმას: „თუ გაზრდის დედამ გაზარდოს ეგ ამისთანა ხარია", შოთა ნიშნიანიძემ იშვიათი პოეტური მომხიბვლელობა და პატრიოტული ჟღერადობა მიანიჭა. ეს მეტაფორული თქმა ქართული ზღაპრის მიერ შექმნილ ხატს შეუწყვილა კონფიგურაციულად, მიმოძერწა იგი თავის ცალკეულ ქმნილებებში („ეს დღე იწყება როგორც ზღაპარი, როგორც იყო და არა იყო რა, ვარ წუთისოფლის გზებზე დამდგარი ქედგახეხილი ხარი ნიკორა..." „მთიდან ჩამორბოდნენ ხარები ბარადა და რქებით ჩხვერავდნენ კრწანისს და მარაბდას"...), მერმე კი თითქოს „ათას მისნური ქარაგმით" მთლიანობაში შეჰკრა და მონუმენტივით ჩამოასხა საუკუნეების მანძილზე ქართლის ცხოვრების მძიმე ჰაპანის გამწევი, ციხე-ტაძართა მაშენებელი, ქვეყნის მარჩენალი, გლეხკაცის ქალამნით შემმოსავი, ნადიმშიც სასმისად მოსახმარი და მაინც განგებით მაღლმოსხმული, უდრტვინველად ყოველივეს მოთმინებით ამტანი სახება ხარისა. ამ ლექსს „ხარი" ჰქვია და მისი ყოველი პწკარი, რიტმი, მთელი ქვეტექსტი სამშობლოს სადიდებელ ჰიმნად გაისმის, ხოლო ლექსის ბოლო ექვსი სტრიქონი ავტოპორტრეტისმაგვარ მეტამორფოზაში გადადის. ასე იქცა ხარი შოთა ნიშნიანიძის ჰერალდიკურ სიმბოლოდ.

გვიმრავლდეს საქართველოში მიწის და
მზის მოხარკედა
ხარივით მსმელი ვაჟკაცი — ხარისთვალა
და ხარქედა.
ნეტავი, ღმერთო, მეც მომცა ჯანი და
მადა ხარისა,
სიტყვა ხარივით გამწევი მამულის
გასახარისად.
ვიყო ხარივით ამტანი, ვიყო ხარივით
მომთმენი,
ჩემი პატარა ქვეყნისთვის მეც შევძლო
ხარისოდენი.

ჩვენ ზემოთ გაკვრით შევეხეთ შოთა ნიშნიანიძის ზღაპრულთან ზიარი სახეების ჰიპერბოლურობას, „უძველეს ტაძრის ჩუქურთმებში აყლორტილი ხაზებივით" რომ დამკვიდრებულა მის პატრიოტულ ლირიკაში. ღრმად გააზრებული, კალეიდოსკოპურად ემოცირებული ეს მასშტაბური სახეები დღეს უკვე მის შემოქმედებით ხელწერად იქცა. სახეთა მასშტაბურობას შოთა ნიშნიანიძე უმთავრესად აღწევს ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ფორმათა გამოსახვის მდიდარი საშუალებების, მისი მხატვრული სპეციფიკის გარდაქმნითა და ათვისებით, ზღაპრის იდეალური პერსონაჟების რეალურობაში პოეტური სახეების ჩანაცვლე-

ბით, და, პირიქით, ყოფითის გალეგენდებით, თვალსაჩინო ისტორიული მოვლენების ამაღლებულად წარმოჩინებით, ყოველივე ამას კი საფუძვლად უდევს ნიჭიერი შემოქმედის, მხატვრის დაუცხრომელი, პირუთვნელი ძიება.

ჩვენი თვალსაზრისის ერთ-ერთ დახტურად მივიჩნევდით ლექსს — „ქართული ზღაპარი":

„ვიღაც ქალი ბუოლას სხეპდა და ვაზს უმაგრებდა ჭიგოს. მე მეგონა გლეხის ქალი, თურმე ღვთისშობელი იყო... ვიღაც შუბლზე ხარს ჰკოცნიდა და მთესვარად ხნულს მისდევდა, თურმე ქრისტე-ღმერთი იყო, მე მეგონა გუთნისდედა. იქ ერთ ბიჭთან ვჭიდაობდი, ხათრს არ მიტეხავდა ისიც... თურმე ამირანი იყო, ძმა ბადრის და უსუპისი. ერთი გოგო მომეწონა — ირმის ჯოგს წველიდა მთაში, თურმე ქალღმერთი დალი იყო, რა ვიცოდი ბრიყვმა მაშინ".

აქ ორი რამაა საყურადღებო: ორი სიტყვა „ლეგენდა" და „ზღაპარი" მეტად საინტერესოდაა გამეტაფორებული. მეორეც, თვითონ პოეტის თქმით, ყრმობისდროინდელი, პირველი შთაგონების წყარო — ზღაპარი მისი „ოქროს ხიდია", რომლითაც მივიდა საკუთარ თავთან, როგორც შემოქმედთან; ეს ის „ბეწვის ხიდია", რომლითაც დღესაც სინამდვილიდან ზღაპრულში გადადის, ზღაპრულიდან — სინამდვილეში და ერთისა და მეორის მიზანიც მშობლიური ქვეყნის აღზევებულ სახეებში ხილვაა. „ქართლი", „ვაზის სიმფონია", „ოსტატო", „ბერო, მხედარო", „ცა ქუდად, მიწა ქალამნად", „კოლხური მელოდიები", „ზედაზენი", „პურის მკა ალგეთზე", „კოჯრისა და ათონის დიალოგი", „აფხაზური კანტატა", „საააკაძის სამი ცხენი", „ცოტნე დადიანი", „ვახტანგ მეფე", „იოანე ბერი", „თევდორე", „იმერეთი, გიორგობისთვე" და მრავალი სხვა. კიდევაც რომ მოგვეწადინებინა მათი სრული ჩამოთვლა, ძალზე გაგვიჭირდებოდა, რადგან პატრიოტული მოტივის ცალკე გამოყოფა შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში თითქმის არ ხერხდება. იგი მისი ყოვლისმომცველი შემოქმედებითი პათოსია, რომელიც ყველაფრის მიმართ და ყველაფერში ვლინდება.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში აქ არაერთგზის ხსენებული სახეთა ჰიპერბოლურობა, როგორც ვთქვით, ისტორიულ და თანამედროვე მოვლენათა ამაღლებული წარმოჩინებითაცაა გაპირობებული. პოეტის ხელწერის ეს თავისებურება ვიწროდ და გაუბრალოებულად არ უნდა გავიგოთ. იგი სრულიადაც არ წარმოადგენს მარტოოდენ ქართული ზეპირსიტყვიერებისა და ლიტერატურული ტრადიციისაგან მიღებულ უბრალო სინთეზსს. იგი, საერთოდ, თავისი შინაარსით საკმაოდ რთულია და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. პოეტის ლექსებში ძალუმად ვგრძნობთ ხალხურობისადმი მიუცილებელ ლტოლვას, ხალხური სიბრძნის ძალას, ხალხურ სულს, აქედან ხალხის რწმენა-წარმოდგენათა და განწყობილებათა წიაღში შესისხლხორცებულ პოეტურ ასოციაციებს. ეს ასოციაციები უდევს საფუძვლად ლექსს „ხევსური", რომელიც შთაგვაგონებს ქართველი ხალხის გონებრივი და ფიზიკური ძლიერების, მაღალკაცობრიული ბუნების რწმენას, მის ტიტანურ შემართებას და სიამაყეს ხალხის საუკეთესო შვილების მიერ შექმნილი გმირული წარსულის გამო:

ღრეობდნენ ხევსურნი... და ზორბა
ხინკლები
პეშვიდან სხლტებოდნენ, როგორც თხის
ჯიქნები.
დაჩეხილ ცხვირ-პირზე ეფინათ ხაშხაში,
აგვისტოს პირდაპირ ისხამდნენ ხახაში,

გზაზე კი სურათი კაცს ღიმილს,
მოჰგვრიდა;
ერთ ახმახს იაბო დაუფრთხა ბოგირთან.
რაც ვნახე, როგორ ვთქვა, ან როგორ
გიამბოთ,
გოლიათს ლაჯებში მოეხრჩო იაბო.
ჩამოხტა დევკაცი და ცხენი მშიშარა
ვეება ილლიის ქვეშ ამოიჩარა...
ცხენს გადაახუხა ხევსურმა არაყი,
დეზი ჰკრა... და ფეხით გასტოპა არაგვი.

შოთა ნიშნიანიძე რომ ერუდირებული შემოქმედია, ამაზე მეტყველებს მისივე ინტელექტუალური პოეტური სამყარო და კაცმა არ იცის, სად იწყება და თავდება ამ მხატვარიმაძიებლის თვალსაწიერის გასადევარი.

მონუმენტურობა, რა ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი, ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ეპოქალური მოთხოვნაა, რომელმაც მეტნაკლები სიძლიერით იჩინა თავი ისტორიულ და სოციალურ რომანებშიც, პოემაშიც, ქანდაკებაშიც, ხუროთმოძღვრებასა და მუსიკაშიც. ოღონდ ესაა, მონუმენტის ძიება და შექმნა ერთ-ერთი ყველაზე ძნელი დასაძლევი ამოცანაა ნებისმიერი სახეობის ნაწარმოებში. ამ მიმართებით ლტოლვას შოთა ნიშნიანიძე, როგორც ანალიზი გვიჩვენებს, უმთავრესად ლექსის მცირე ფორმებში ავლენს — სულ სხვადასხვაგვარად, ნაირნაირი და მრავალგვარი მიდგომით, ხოლო თუ რაოდენ ახლობელია მონუმენტური სტილი მისთვის, საერთოდ, ხელოვნების ყველა სფეროში, ეს კარგად ჩანს თუნდაც მისივე ლექსიდან „ხერობის ღამე მერაბ ბერძენიშვილის ძეგლთან, „კიდევაც დაიზრდებიან".

აი, ხელთ ვიღებთ შოთა ნიშნიანიძის „ციხეტაძართა საგალობელს". აქ პირველი სტრიქონიდანვე სინქრონულად იწყებს ემოციურ ფუნქციონირებას წარსულის პოეტური წარმონასახი, სიმეტრიულად, მჭიდროდ შერწყმული

…ული სახეები, ცვალებადი მუსიკალური რეგისტრები, ყველაფერში კი მიმოდაიფინება, ჭამყვანისა და მიმომთავრობს აზრი—ადრინდელი, დიდევანდელი და მომავალი საქართველოს უკვდავებისა, უძლეველობისა და მარადისობისა. ისტორიულ-პოეტური წარმონასახი, ჩვეულებრივ, ამჯერადაც ძალზე შემჭიდროებულ ფორმაში მოწოდებული, ეყრდნობა ისტორიზმით გამსჭვალულ, ლირიკულ-ეპიკურ სახეთა ნაგებობას, ხოლო ლექსის ყოველი ტაეპი, როგორც იტყვიან, ხან დაჭიმულია და წანამძლვარ ხმას მყიფედ ჟღერს, ხანაც სადავემიშვებულია და ბანივით ყრუდ გუგუნებს. ასე ვლებულობთ აზრთა, სახეთა და მუსიკალურ ფიგურათა მომცველ საგალობელს, სიმფონიას. ალბათ, ასეთი ნაწარმოები ჰქონდა მხედველობაში, როდესაც ერთმა ცნობილმა რუსმა კრიტიკოსმა შოთა ნიშნიანიძეზე თქვა: მასთან ანდივიდუალობის ძიება, ხელწერის ძიება, მანერისა და სტილის ძიება — ყველაფერი ეს თავს იყრის არსის ძიებასთანაო. „ციხე-ტაძართა საგალობლის" ენა სიტყვამძაფრია, სიტყვახატოვანი, სიტყვამრავალბგერიანი, ნათლად ამჩნევია აზრისა და ენობრივი მასალის შემოქმედებითობა, ენის გოტიკურობა, რასაც, ყველაფერს ერთად აღებულს, ოქრომჭედლობა სიტყვისა შეარქვა კონსტანტინე გამსახურდიამ:

ზოგი ციხეა შეკივლება, ზოგი გაფრენა,  
ზოგს აუშვია ხომალდივით ნისლი აფრებად,  
ზოგი მუშტია, მუქარაა, ზოგი გინება,  
ალაყაფებით, ქონგურებით რომ იკბინება.

ზოგი ამაყი ლილეოა, ზოგი გასროლა,  
ზოგიც შორიდან ცის და მიწის მოჩანს  
სასწორად.  
წლებმა იხუვლა, იხვართქლა და ციხეს  
შეება  
ხავსად, დუმილად, ჰილყვავებად და  
ბუდეებად.  
თვითონაც მთელი საქართველო ერთი  
ციხეა,  
დაგილეწია, მტერო, მაგრამ ვერ აგილია.

. . . . . . .

შოთა ნიშნიანიძე, ეს ჭეშმარიტი არტისტული ბუნების შემოქმედი, შეგნებულად ერიდება ისტორიული სინამდვილის თვითნებურ მოდერნიზაციას და ზოგჯერ შესაშური მეცნიერული სიღრმით გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრების" ქრონიკებს. მხედველობაში გვაქვს რამდენიმე ლექსი, რომელთა ლაიტმოტივიც გახლავთ საქართველოს ისტორიაში სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთი ნაკლებად შესწავლილი საკითხი — საუკუნეების მანძილზე ქართველთა მიერ შემუშავებული ათჯერ და მეტად რიცხვმრავალი მომხვდურთა წინააღმდეგ მცირე ძალებით გამარჯვების მრავალთათვის დღემდე ამოუხსნელი სტრატეგია და ტაქტიკა, რომელიც საფუძვლად ედო ფარნაოზის, ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარის, ერეკლეს ძლევამოსილ ბრძოლებს... სწორედ ის ისტორიული ფაქტია განზოგადებული ამ სტროფში:

იხსენი ერი, რამეთუ რჯულით  
ჯვრისთვის მეომარ მრევლში ვერიეთ,  
პატარა ჯარით და დიდი გულით  
დაჭიდებული დიდ იმპერიებს.

მართებულად მიგვანიშნებს პოეტი, რომ ამ „დიდმა გულმა", წმიდათაწმიდა მიწაწყლისადმი უსაზღვრო სიყვარულმა, ვაზისა და ჯვრისადმი ერთგულებამ იხსნა მრავალჯერ უთანასწორო, თავსმოხვეული ომებიდან საქართველო. აყვავებული ვაზი იყო საქართველოს სიცოცხლის სიმბოლო, ხოლო აჩეხილი ლერწების ცრემლი და კვნესა — „ქართლის ცხოვრების" მოძახილი გლოვისა და ზარის გაბმული ექო...

ტირის აჩეხილ ვენახივით „ქართლის  
ცხოვრება"  
და სიზმრად ხედავს უთვალავ ვაზებს,  
ძლივს გადმოვდივარ წარსულიდან და  
მოგონება  
ნაბუშარ ჯაჭვის პერანგივით მერღვევა  
ტანზე.

ვაზისა და ვენახის ისეთი ფართოცნებიანი განზოგადება, რაც შოთა ნიშნიანიძის პოეზიაშია, არსად შეგვხვედრია ქართულ პოეზიაში. ეს სიტყვა, მსგავსად „ლეგენდისა" და „ზღაპრისა", ხშირად იძენს განსაცვიფრებელ მეტაფორულ ხარისხს, საყოველთაო კეთილდღეობისა და ბედნიერების სინონიმად რომ გვესახება. გაფოთლილი, მტევანდასხმული ვენახი, ვაზის ბწკალი, სამამულე რქა და ლერწი თითქმის განუყოფელია პოეტის პატრიოტული ლექსისაგან. უიმისოდ ძნელად წარმოსადგენია იგი, როგორც ქართული ტაძარი უორნამენტოდ და უჩუქურთმოდ. პოეტის უშუალო გაგებით ვაზი პირველყოფილი პირმშოა ქართული მიწისა, საქართველო იგივე ვენახია ჩვენი დასაფიცარი. ეს მართალი ლამაზი აზრი უდევს საფუძვლად ამ სიტყვის მეტაფორულ მომხიბვლელობას:

ქართლ-კახეთი ლეგენდაა,  
იმერეთი ზღაპარი,  
სამეგრელო ოცნებაა — გაფრენილი  
ფაფარი,  
გურია კი სიმღერაა, ხოლო რაჭა სიზმარი,  
ყველა ერთად ვენახია ჩვენი დასაფიცარი.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში აზრის ეს პრიმატი, საერთოდ, ძალზე მკვეთრად იგრძნობა

იგი ხომ, უწინარეს, მოაზროვნე პოეტია. აზრი, იდეა მისი ლექსის ფლაგმანია, სხვა დანარჩენი ელემენტი — იმავე აზრის ჰარმონიულობისა და სინატიფის ამალაა. შოთა ნიშნიანიძის პოეტური სიტყვა დაყურსულია ფილოსოფიური, ასევე ადამიანური სიბრძნით, ცოდნით, გამჭოლია და სულში ჩამწვდომი, მძლავრი შთაგონებული ნაკვესით დანაპერწკლიანებული. ესეც მისი პოეტური ხელწერის ერთ-ერთი თვისებაა.

ჩვენ გაკვრით რამდენჯერმე შევეხეთ პოეტის ისტორიულ სინამდვილესთან დამოკიდებულების საკითხს. წარსულისკენ მას თავისი საკუთარი არაერთი გზა — ბილიკი აქვს გაკვალული, მაგრამ არასოდეს მისულა ისტორიასთან — ისტორიისათვის, რამეთუ ვერც წარმოუდგენია იგი უსულო ფენომენად, გამქრალი ძეგლებისა და საფლავების ეპიტაფების ნუსხად. საქართველოს ისტორია, მისი გაგებით, მარად ცოცხალი მაგალითია, როგორ უნდა იცხოვროს ერმა დღესაც და მომავალშიც. წინაპარი და შთამომავალი ერთმანეთის ფრთები ყოფილან მუდამ, ერთმანეთის რწმენა, გამოცდა და გამძლეობა, ფესვებისა და ყლორტების მემკვიდრეობა. პოეტმა იცის, რომ დღევანდელობაც ისტორიის კუთვნილება გახდება ოდესმე, ამიტომაც განსაკუთრებული სიმძაფრით გადმოგვეცემა ხალხისა და ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა, ასევე მძაფრად დომინირებს ნიშნიანიძისეული ელვარე აზრი: მან ისეთი ძალით იცის გმირი წინაპრისადმი სამადლობელად სათქმელი სიტყვის გატყორცნა გულისაკენ, რომ ძირფესვიანად შესძრავს ხოლმე ადამიანის გონებას: „რა სული გელომებოდა, ანდა რა გული გიცემდა, შენ ჩემთვის რადა კვდებოდი, ხომ მოვკვდებოდი ისედაც. ვალად დამადე დიდგორი, ვალად დამადე მარაბდა, ფრესკები, ციხე-კოშკები, ვეფხის და მოყმის ბალადა. ვალად დამადე სიცოცხლე, ვალად დამადე სიკვდილიც, შენთან, ჩემთან და ღმერთთანაც სამმაგად მიწევს ქიდილი. უნდა ვილვაწო, ვიწვალო, მისხალს შევმატო მისხალი, „პირზე ოფლგადამდინარემ“ გადავიხადო ღვთის ვალი“.

წინაპრისადმი ასეთი სათქმელი შოთა ნიშნიანიძეს, ალბათ, არასოდეს დაელევა, ამასთან ამ სათქმელში მეტად თვალსაჩინო მხარეა ისტორიული სინამდვილის მიუკერძოებელი, ორიგინალური გააზრება და ისტორიის პოეტური ასახვის მიზნის თანადროულობა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჯობს მაგალითებად კონკრეტული ადრესატები შევარჩიოთ. ლექსში „გიორგი სააკაძის სამი ცხენი“, მართლაც რომ, ღრმა სიმართლით გვახედებს ამ დიდი ქართველი მხედართმთავრისა და უაღრესად რთული და ძლიერი პიროვნების წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებაში, მის სულიერ ლაბირინთებში, ისტორიის მიერ ამ კაცის ბოლომდე ამოუხსნელი ტრაგიკული ბედის სიმძიმილსა და უცნაურობაში. „თევდორე ბერი“, რომლის წარუშლელი კრებითი სახის შექმნაში მრავალფეროვან პოეტურ ხერხთა შორის ჰაგიოგრაფიული ატრიბუტებიც კი შეინიშნება, პოეტის ურყევი რწმენით, ხალხის ხსოვნაში იგი მარტო უკვდავყოფილი კი არა, თანამედროვეობის მეკვლეა, მომავლის მოქალაქე და ჯარისკაცია, ვისაც მშობელი ერი კიდევ ბევრჯერ გამოიხმობს წარსულიდან.

შოთა ნიშნიანიძის თანამედროვეობის ამსახველი პოეტური ქმნილებანი — ესკიზები სურათები, ჩანაწერები, ლირიკული სიმღერები და ბალადები — სავსეა მზის მადლითა და წყალობით, მზე გამოსჭვივის სიტყვებშიც და გამოხედვაშიც, სიტყვას მიდევნებულ ფანტაზიაშიც, და ჩვენ ვხედავთ, როგორ შემოდის დილა ატმებში, ვჭრეტთ ქართლ-კახეთის ჩასირმულ ვენახებს, გულს რეჩხი გაუდის იმერეთის სამოთხის ხილვით, ულერს კოლხური მელოდიები, ყრმობის ზღაპრად ჩაგვესმის ცისკრულ ხხივებად ამეტყველებულ-აციაგებული აფხაზური კანტატა, ახე გადადის პოეტური სტრიქონის აზრის ნათელი ყალმისმიერ უცხოდ დაუყავილებულ ფერებში. იქიდან „ტალღისებრ, ტეხილ სპირალურ ხმებში“ და ეს ყველაფერი გამოგონილი კი არა, ცხოვრების მიერ ნაკარნახევი პოეტის ქმნილი ახალი სამყაროს სიცხადე და სინამდვილეა.

ამიტომ სრული სიმართლეა, პოეტი რომ მიმართავს მშობლიურ ქვეყანას: „შენი ახალი მეკვლე ვარ, შენი ახალი ჩუქურთმა“-ო.

შოთა ნიშნიანიძე დაბადებულია იმ ქალაქში, რომელსაც ჯერ კიდევ შემორჩენია მომხდურთა თავდასხმებისაგან თავდასაცავად ნაგები ციხე, რიყის ქვის მაგრად ნაშენი კედლებით, ქონგურებით, სათოფურებით და საიდუმლო აურაცხელი გასასვლელ-გამოსასვლელებითა და ხვრელებით.

ქალაქი, სადაც ჯერ კიდევ იხილავთ წარსულის მეტყველ მოწმე ვიწრო ქუჩაბანდებს. ქალაქი, რომელიც წმინდად ინახავს მისთვის სისხლდათხეულ მეომართა ნათელ ხსოვნას. ქალაქი, სადაც ბიბილონივით ათადან-ბაბადან მოყოლებული გაისმის მრავალ ენაზე მეტყველი ადამიანების ხორხისმიერი და გამყივანი ხმები. მაგრამ მოსულთა შთამომავალნი საომარს აღარ გაჰყივიან: დამცხრალან, დაწყნარებულან, დაშოშმინებულან და მოთვინიერებულან. ისინი ახლა მკვიდრებთან ერთად იყოფენ მათ წინაპართა კუთვნილი დავის საგანს — მიწას, მათთან ერთად არიან ჩაბმულნი შრომის ფერხულში და მათთან ერთად ფუტკრებივით ფუსფუსებენ. ამ ქალაქში ჯერ კიდევ ახსოვთ მრისხანე სახელები არაბთა სარდლისა მურვან ყრუსი, ჩალატარ და ხულაგუ ნოინებისა, ჯალალედინისა, თემურ ლენგისა, შაჰ აბასისა და საჭურისი ალა მაჰმად ხანისა. ქალაქის ძველისძველ კედლებში ჩაგუბებულა

მომხდურ მოძალადეთა ცხენების ფლოქვთა ყრუ თქარუნის სულის აღმშფოთი ხმაური, რომელსაც თან ერთვის ჩვენს წინაპართაგან ჩამოკრული ზარების საგანგაშო ჟღრიალი, ქართველ მეომართა სალაშქრო სიმღერების გუგუნი, განწირულთა უსასოო ლოცვა-ვედრების დაგუდული ჩამწყდარი ხმები, დაჭრილთა კვნესა-ვედრება და გამარჯვებულ ქართველთა უწმინდესი საგალობლების სულის გამაკაჟებელი და გამწმენდი ჰანგები. თბილისში დაბადებულ კაცზე ყოველივე ამას თავისი დადებითი ზეგავლენა აქვს. მკვიდრი თბილისელი ამ ამბებს, ძალიანაც რომ ეცადოს, გვერდს ვერ აუვლის. შოთა ნიშნიანიძე ჯერ თავისი პოეტური მრწამსით და მერმე თავისი ქალაქის, მისი წარსულის, თანამედროვეობისა და მყობადის დაუცხრომელი და მოუღალავი მომღერალია. მშობელი ქალაქისა და საქართველოს ისტორია, როგორც უკვე ითქვა, ხელშეუხებადაა სულჩადგმული პოეტისაგან.

მაინც რით აღწევს ასეთი ზემოქმედების ძალას პოეტი? მხოლოდ ნამდვილად განცდილის, მართლად ნაგრძნობის გადმოცემით, ეს მის მიერ განსხეულებული ამბის მისებური გადმოცემაა. ეს სხვათათვის — მოუხელთებელი ამბის ნაგრძნობისა და განცდილის პირველ ყოვლისა აღქმის და შემდგომ განსხეულების გადმოტანაა ქაღალდზე. ჭეშმარიტი ნაგრძნობის გადმოცემის და სხვათათვის ჩვენების საოცარი უნარი კი აქვს პოეტს. ბევრ ლექსში იგრძნობა, რომ მათი პატრონი ჯანით სავსე სულიერად მხნე კაცია. თუმცა მის ლექსებში იგრძნობა არა მარტო ის, რომ იმ სტრიქონების პატრონი ჯან-ღონით აღსავსეა, ქვეტექსტში იკითხება და იგრძნობა, ისიც, რომ ის სულიერი მხნეობა და ჯანის სისავსე თქვენზე გავრცელდა და თქვენც გადმოგედოთ, იმდენად დიდი ძალის მოზღვავება იგრძნობა მის სტრიქონებში.

შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებიდან ჯერ საცნაურდება და მერმე გრძნობით, რომ ყვავილობს და მწიფს მარადმდინე აზრი ადამიანის ყოვლისშემძლეობისა, მკითხველისათვის ცხადი ხდება, რომ ადამიანი ყოვლად ძლიერი და დიადი არსებაა, მას შეუძლია მოერიოს და დათრგუნოს საკუთარი სისუსტენი, ებრძოლოდეს ბოროტს, უყვარდეს თანამოძმენი და მუდამ ამაღლებულს მიელტვოდეს. პოეტი ესწრაფვის ადამიანისადმი ეს რწმენა ჩაუნერგოს და განუმარტოს თვისტომთ.

ჩემი ღრმა რწმენით, პოეტის დაუცხრომელი სულისკვეთება და დაუმცხრალი სახოება სიკეთის თესვისა, სათავეს მისივე პირადი ადამიანური ღირსებებიდან უნდა იღებდეს, რადგან დიდმა შოთამ ბრძანა: „კოკასა შინა რაცა დგას იგივე წამოსდინდებისო“.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიიდან განუწყვეტლივ იღვრება სულისშემძვრელი ყივილის ხმები. ეს ხმები ტკივილებს აღძრავს, სულს გიშფოთებთ, რწმენას გიწრთობთ და გაფრთხილებთ, სდექ მტკიცედ, ურყევად და მამულდედული არავის დაანებოო. ასეთმა ხმებმა გამოატარა ქართველი კაცი საუკუნეთა სიღრმეებში ათასგვარ განსაცდელს, ასეთმა ხმებმა აატანინა ტანჯვა-წვალება, ასეთმა ხმებმა დაიხსნა იგი დამონებისაგან, შეუნარჩუნა თვითმყოფობა, თავმოყვარეობა, განუმტკიცა რწმენა და სიამაყის გრძნობა, შეაცნობინა თავი და გააძლებინა ამ ქვეყნად.

შოთა ნიშნიანიძე არც ახალი თბილისის მშენებელთა გამრჯე მარჯვენას ივიწყებს და ყოველივე ეს ისეა ერთმანეთთან შერწყმულ-შეხამებული, ყოველივე ისეა შენივთებული, რომ ერთ გაბმულ მთლიანობად აღიქმება. მის ლექსებში გრძნობათა უეცარი აფეთქებაც ცხადივით იხილვება და მძაფრი ვნებების ანაზდეული დაწყნარებაც საცნაურდება.

ძველი ქართველი გლეხკაცის საბანივით ჭრელია შოთა ნიშნიანიძის მიზნების, სურვილების, მისწრაფებებისა და მოთხოვნილებათა სფერო. დიდი საქანელა აქვს ჩამობმული პოეტს, დიდია მისი გასაქან-გამოსაქანი, დიდია რხევანი, რომელსაც მისი აზავთებული პოეტური სიტყვა იწვევს და გამოსცემს, და თუ დღეს, ქართული პოეტური სიტყვის გამხედნები და მომთვინიერებელნი თითო-ოროლა შემოგვრჩა, ერთ-ერთი მათგანი და წინაპართა ღირსეული მემკვიდრე, ის, ვინც წარმატებით აგრძელებს ქართული პოეტური სიტყვის დაურვებას დამორჩილებას, წვრთნას შოთა ნიშნიანიძეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ აბრამიშვილი

# ატენის სიონის სამი გრაფიტი

ატენის სიონის მრავალრიცხოვან წარწერათა შორის გამოიყოფა სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის ერთი ისეთი ჯგუფი, რომლის ცნობები თუმც ატენის ქვეყანასა და მის უპირველეს ტაძარს — სიონს უკავშირდება, მაგრამ დიდად სცილდება ლოკალურ რეგიონალურ მოვლენებს და სრულიად ახალ ცნობებს გვაწვდის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების არაერთ მნიშვნელოვან საკითხებზე. ასეთ წარწერათა რიგში ექცევა ატენის სიონში ახლად გამოვლენილი სამი გრაფიტი, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

გრაფიტების შესწავლის დროს გაირკვა, რომ მათი ცნობები უკავშირდება სტეფანოზ მამფალს, რომლის გარდაცვალების მაუწყებელი ვრცელი ეპიტაფია აქვე, ატენის სიონის ყველაზე საპატიო ნაწილში, საკურთხეველშია მოთავსებული. ამ ეპიტაფიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. ამ წარწერის სადავო საკითხების გარკვევა კი შესაძლო ხდება ახლად გამოვლენილი გრაფიტების ცნობათა გათვალისწინებით. მკითხველი რომ გაერკვეს ჩვენს განმარტებებში, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად განვიხილოთ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხზე გამოთქმული სხვადასხვა თვალსაზრისი.

სტეფანოზ მამფლის ფრესკული ეპიტაფია XI საუკუნის მოხატულობის ფენის ქვეშ არის მოქცეული. წარწერა მხატვარ-რესტავრატორის — შ. აბრამიშვილის მიერ არის ნაწილობრივ გაწმენდილი. სტეფანოზის ეპიტაფია ორჯერ გამოქვეყნდა. თ. ბარნაველმა წაიკითხა მისი მხოლოდ ცალკეული სტრიქონები.[1] წარწერის ხანგრძლივი შესწავლის შედეგად ეპიტაფია მთლიანად წავიკითხეთ, ნაკლული ადგილები აღვადგინეთ და მონოგრაფიის სახით გამოვაქვეყნეთ.[2]

სტეფანოზის ეპიტაფიის ნაკლული ადგილების აღდგენის დროს მხოლოდ წარწერის შინაარსიდან და მისი ქრონოლოგიური მინიშნებებიდან გამოვდიოდით. ეპიტაფიის დაზიანებული მცირე მონაკვეთების აღდგენა, კონტექსტის გათვალისწინებით, ადვილად ხერხდება. მთელ სიძნელეს წარმოადგენს იმ დაზიანებული ნაწილის აღდგენა, სადაც, თავის დროზე, დასახელებული ყოფილა ის „ღმრთივგვირგვინოსანი“ რომლის ზეობის 21-ე წელს გარდაცვლილა სტეფანოზ მამფალი. საბედნიეროდ, წარწერას შემორჩა ჰიჯრით გამოხატული თარიღი — 739 წელი. ეპიტაფია გვაუწყებს, რომ სტეფანოზი გარდაცვლილა 739 წლის 14 ოქტომბერს, პარასკევ დღეს, ღამის I საათზე და უმთავრია 29 წელი. აქედან ირკვევა, რომ სტეფანოზ მამფალი 711 წელს ასულა საერისმთავრო ტახტზე. ზუსტად განისაზღვრა იმ „ღმრთივგვირგვინოსნის“ გამეფების თარიღი — 719 წელი, რომლის ზეობის 21-ე წელს გარდაცვლილა სტეფანოზ მამფალი (739 წლიდან 21 წელი 719 წელზე მოვა). ამგვარად, წარწერის ნაკლულ ადგილზე უნდა აღგვედგინა იმ მეფის სახელი, რომელიც 719 წელს ასულა სამეფო ტახტზე და, სულ მცირე, 21 წელი მაინც უმეფია.

719 წელს, არც ბიზანტიაში და არც ხალიფატში არავინ ასულა სამეფო საყდარზე. ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების ცნობებით, ამ ხანაში ასეთი პოლიტიკური სიტუაციები ჩანს: 716-717 წლებში კონსტანტინოპოლი არაბთა გარემოცვაშია. ამ სამხედრო ოპერაციას ხელმძღვანელობს მასლამა. 717 წლის გაზაფხულზე არაბთა ალყა დიდძალი ქვეითი არმიითა და ფლოტით გაუძლიერებიათ. არაბთა დამხმარე ქვეითი ჯარის ერთ-ერთი მარშრუტი გადიოდა საქართველოზე, სადაც, არაბთა ლაშქარს ანაკოფიის ბრძოლაში სტეფანოზ II-ის ძეებთან — მიჰრთსა და არჩილ-

თან დამარცხებულა. არაბთა ჯარი გურია-სპერის გავლით ქალკედონში დაბანაკებულა, კონსტანტინოპოლის საალყო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად.

ცნობილია, რომ კონსტანტინოპოლის ეს ალყა ბიზანტიელთა გამარჯვებით დამთავრდა. 718 წლის 18 აგვისტოს მასლამამ მოხსნა კონსტანტინოპოლის ალყა. ჯუანშერის ცნობით, მიჰრმა და არჩილმა „წარავლინეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა“, რაც მხოლოდ 18 აგვისტოს შემდეგ შეიძლებოდა მომხდარიყო. კეისარმა მიჰრსა და არჩილს „წარმოსცა ორი გჳრგჳნი და გუჯარი“. აქვე ისიცაა აღნიშნული, რომ ანაკოფიის ბრძოლაში დაჭრილი მიჰრი ჩქარა გარდაიცვალა. ამდენად, არჩილი უნდა ყოფილიყო ის ერთადერთი გჳრგჳნოსანი, რომელიც 719 წ. ასულა სამეფო ტახტზე. ამის საფუძვლად გვაძლევს ის, რომ 718 წლის 18 აგვისტოდან 719 წლამდე ოთხ თვეზე ოდნავ მეტია, რაც ბიზანტიაში მოციქულის წასვლას, იქ სათანადო დიპლომატიური საქმეების მოგვარებას და უკან დაბრუნებას მოუნდებოდა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, სტეფანოზ მამფლის ეპიტაფიის ნაკლულ ადგილზე აღვადგინეთ არჩილ II (719-745). აქვე ისიც აღინიშნა, რომ ქართულ ნარატიულ წყაროებში და სტეფანოზის ეპიტაფიაში არჩილის მეფედ დასახელება მის რეალურ პოლიტიკურ ტიტულს არ უნდა გამოხატავდეს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ეპიტაფია ჯერჯერობით ერთდაერთია, რომელშიც სტეფანოზ მამფლის პიროვნება სრულიად ახალი სოციალური ტერმინით — „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფლით“ გამოიხატა. წერილობითი წყაროების შეჯერების საფუძველზე, ატენის ეპიტაფიის სტეფანოზ მამფალი, ჩვენს მიერ იდენტიფიცირებულია ქართლის მოქცევის ნუსხებში და ქართლის ცხოვრებაში დასახელებულ იმ სტეფანოზთან, რომლის მამაა დიდი ერისმთავარი ნერსე, ხოლო პაპა, ვარაზ-ბაკური. ეპიტაფიის შესწავლამ ცხადყო, რომ „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალი“ სტეფანოზ მამფალი იმ დროის უმაღლესი ხელისუფლების მპყრობელია, რაც, გარკვეული პოლიტიკური სიტუაციების გართულების შედეგად, VIII საუკუნის 80-იან წლებში ნაწილობრივ დაუთმია.[3]

სტეფანოზ მამფლის ეპიტაფია საქართველოს ისტორიის ნაკლებად შესწავლილი პერიოდის არაერთ მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის. ამ ცნობების მეცნიერული ღირებულება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ეპიტაფია იმ დროის პოლიტიკური სიტუაციების მომსწრისა და თვითმხილველის მიერ არის დაწერილი.

სრულიად ბუნებრივი იყო ამ მნიშვნელოვანი პირველწყაროსადმი საქართველოს ისტორიის მკვლევართა დიდი ინტერესი, რაც უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში შემდეგი სხვადასხვა თვალსაზრისით გამოიხატა: ა. ბოგვერაძე მიიჩნევს, რომ ეპიტაფიაში დასახელებული სტეფანოზი არჩილისა და მიჰრის მამა, სტეფანოზ II ადარნასეს ძეა.[4] ბ. სილაგაძის შენიშვნით, ასეთ იდენტიფიკაციას საეჭვოდ ხდის ჯუანშერის თხზულებაში დაცული ცნობა, რომ სტეფანოზ II დასავლეთ საქართველოში გადაიხვეწა და იქვე გარდაიცვალა.[5] სწორად მიგვაჩნია მკვლევარის ეს შენიშვნა, რადგან სტეფანოზ მამფლის ეპიტაფიისაკენ დამხრობილი სამარხი, მისი თანმხლები არქეოლოგიური მასალით, VIII საუკუნით თარიღდება,[6] რაც იმ ერთადერთი დასკვნის საშუალებას გვიტოვებს, რომ სტეფანოზი ატენის სიონშია დაკრძალული.

ბ. სილაგაძის საყურადღებო გამოკვლევით, არაბული და სომხური წერილობითი წყაროების ჩვენებით, ჩრდილო კავკასიაში არაბთა სარდლის ჯარრაჰის ლაშქრობის საპასუხოდ, 730 წელს, აქ მდგარ არაბთა ჯარს ხაზარები შემოესივნენ, რაშიც, მკვლევარი, არჩილ II-ის ხელს ხედავს. სტეფანოზ მამფლის ეპიტაფიისა და ქართლის ცხოვრების ერთ-ერთი მინაწერის გათვალისწინებით, ბ. სილაგაძე არჩილ II-ის ზეობას 718/19-745 წლებით განსაზღვრავს, რაც ძალზე ახლოა ჩვენს მიერ გამოთვლილ ქრონოლოგიასთან.[7]

ა. ბოგვერაძის ნაშრომიდან ისე ჩანს, რომ ხაზართა ამ შემოსევის ინიციატორი ქართველთა და მეგრელთა ერისთავთა უფალი (რეალურად, „ერისთავთ-ერისთავთა უფალი“) სტეფანოზ მამფალია, რომელსაც მკვლევარი მიჰრისა და არჩილის მამასთან — სტეფანოზ II ადარნასეს ძესთან აიგივებს.[8]

ნ. შოშიაშვილი, თუმც საკითხის დასმის წესით, სრულიად მიუღებელ მოსაზრებას გვთავაზობს. მკვლევარის აზრით, ატენის სიონი IX საუკუნის ძეგლი უნდა იყოს, რადგან ამ ხანაზე ადრეული წარწერა, მისი რწმენით, ატენის სიონში არ დასტურდება(!?). ის ერთადერთი დაბრკოლება — სტეფანოზ მამფლის 739 წლის თარიღის შემცველი ეპიტაფია, რაც ასეთი თვალსაზრისის ხელის შემშლელად გამოდიოდა, მკვლევარმა მხოლოდ იმით გადალახა, რომ ეჭვი შეიტანა სრულიად მკაფიოდ გამოსახულ თარიღის სისწორეში. ნ. შოშიაშვილს ასეთი დასკვნის საფუძველს აძლევს, ჩვენთვის ძალზე ბუნდოვანი, პალეოგრაფიული ნიშნები, რომელთა მიხედვით, მექანიკურ შეცდომად მი-

იჩნევს ჰიჯრით გამოხატულ 739 წელს და ასეთი პალეოგრაფიული ნიშნებისათვის შესაფერისად ესახება, რომ აქ 839 წელი უნდა იგულისხმებოდეს.[9] აქ აღარას ვიტყვით ატენის სიონის სხვა წარწერების შესახებ, რომლებსაც ნ. შოშიაშვილი ასევე ძალზე ზოგადი და გაურკვეველი პალეოგრაფიული ნიშნების საფუძველზე ერთი საუკუნით აძველებს. ამის შესახებ შემდეგ გვექნება საუბარი. აქ კი მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ, თავის დროზე, გ. ჩუბინაშვილმა ხელოვნებათმცოდნეობის კვლევის მეთოდებით შეისწავლა მცხეთის ჯვარის ხუროთმოძღვრული ტიპის ძეგლები და ატენის სიონის მშენებლობის ხანა VII საუკუნით განსაზღვრა.[10] თუ საერთოდ უგულვებელვყოფდით ხელოვნებათმცოდნეობით კვლევის შედეგებს და მხოლოდ წარწერებს დავეყრდნობოდით, უნდა შევნიშნოთ, რომ ატენის სიონის არც ერთ წარწერაში არ დასტურდება ამ ტაძრის IX საუკუნეში აგების ცნობა. ქვემოთ ვნახავთ, რომ ნ. შოშიაშვილის მხოლოდ პალეოგრაფიული არგუმენტები, რომელთა მიხედვითაც გადაათარიღა სტეფანოზის ეპიტაფია და მასთან ერთად ატენის სიონიც, საფუძველს მოკლებულია. ახლად გამოვლენილი გრაფიტებით ირკვევა, რომ სტეფანოზის ეპიტაფიის თარიღს არავითარი გადაკეთება არ სჭირდება. ამდენად, ნ. შოშიაშვილის ასეთი მოსაზრებისათვის გადაულახავი დარჩება VIII საუკუნის ეპიგრაფიკული ძეგლი. ხელის შემშლელად გამოვა ის ფაქტიც, რომ ატენის სიონის არც ლაპიდარული და არც ფრესკული წარწერები ბოლომდე არ არის გამოვლენილი და შესწავლილი. მოხატულობის ფენის ქვეშ მოყოლილია, მრავალი ფრესკული წარწერა, რომელთა მხოლოდ ცალკეული გრაფემები მოჩანს. ჩვენ კი მათი არც შინაარსი და არც თარიღი ვიცით. ამიტომაც ვთვლით ნაჩქარევად ნ. შოშიაშვილის დასკვნას, ატენის სიონისა და მისი წარწერების ქრონოლოგიის საკითხებს რომ შეეხება.

არც ატენის სიონის ლაპიდარული წარწერების შესწავლის საქმეა უკეთეს დღეში. თითქმის ხელუხლებელია და ყურადღების გარეშეა დარჩენილი პილიგრიმთა და მავედრებელთა მრავალრიცხოვანი გრაფიტები, რომელთა რაოდენობა, ალბათ, სამნიშნა რიცხვით გამოიხატება. ასეთი ხასიათის გრაფიტების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ მათი ერთი ნაწილი ძალზე საყურადღებო ისტორიულ ცნობებს შეიცავს. სწორედ ასეთ სამ გრაფიტზე გვექნება ქვემოთ საუბარი. ზემოთაც აღინიშნა, რომ ეს გრაფიტები, შინაარსობრივად სტეფანოზ მამფალს უკავშირდებიან და ძალზე საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვაობაა.

სამ გრაფიტს სტეფანოზ მამფლის ეპიტაფიის გამოქვეყნების შემდეგ მივაკვლიეთ. ამდენად, მათი ცნობები, რაც თავის დროზე დიდ დახმარებას გაგვიწევდა სტეფანოზის იდენტიფიკაციაში და მასთან დაკავშირებულ საკითხების გარკვევაში, ცხადია, ვერ აისახებოდა ჩვენს პუბლიკაციაში. ყველა ის ძირითადი მოსაზრება და ვარაუდი, რაც თავის დროზე გამოვთქვით სტეფანოზ მამფლის ეპიტაფიასთან დაკავშირებით, სრულ დადასტურებას პოულობს ახლად გამოვლენილ სამ გრაფიტში.

ატენის სიონის ინტერიერში, გუმბათქვეშა ჩრდილო-დასავლეთი შვერილის ბათქაშზე, იატაკიდან 170 სმ სიმაღლეზე ჩვენი განსახილველი ორი გრაფიტია მოთავსებული, ფრესკულ და ამოკაწვრით შესრულებულ სხვა წარწერებთან ერთად. მესამე გრაფიტი ამავე შვერილის ვიწრო წახნაგზე, იატაკიდან 160 სმ სიმაღლეზეა ბათქაშზე ამოკვეთილი. XI საუკუნიდან ამ გრაფიტებს მოხატულობის ფერადოვანი ფენა ფარავდა. საღებავის ჩამოცვენის შედეგად გამოჩენილ წარწერათა ცალკეულ მონაკვეთებზე, ამონაკაწრ გრაფემებში, დღემდეა დარჩენილი საღებავის ფენა, ამიტომ მათი წაკითხვა მხოლოდ ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მოხერხდა.

შვერილის ბათქაშზე ამოკაწრული გრაფიტები ერთმანეთის გვერდიგვერდ არიან მოთავსებული. მარცხნივ, სამსტრიქონიანი დიდი ზომის გრაფემებით შესრულებული წარწერაა, მარჯვნივ, საკმაოდ წვრილი ასონიშნებით ამოკაწრული ოთხსტრიქონიანი გრაფიტია მოთავსებული. ორივე წარწერა მოსახსენებელია, შესრულებულია გაკრული ნუსხურით, მათში ჩართული „ა", „თ", „ი" მხედრული გრაფემებით. ნუსხურიდან მხედრულზე გარდამავალია „დ", „კ", „წ" ასონიშნები. პალეოგრაფიული თვალსაზრისით, ეს ორი წარწერა იმდენად ერთგვაროვანია, რომ მათი ერთდროულად ან დროის მცირე მონაკვეთის განსხვავებით ამოკაწრვა ეჭვს არ იწვევს.

ოთხსტრიქონიანი გრაფიტი ნაკლულია. ბათქაშის ჩამორღვევის გამო წარწერის მარჯვენა ნაწილი დაღუპულა, რაც საგრძნობლად ართულებს მთლიანი ტექსტის დადგენას. დაზიანებულია წარწერის მცირე მონაკვეთები, რომელთა აღდგენა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ქვემოთ მოგვაქვს ნაკლული წარწერის გრაფიკული მონახაზი.



პირველივე სტრიქონიდან ჩანს, რომ გრაფიტი ჩვეულებრივი მოსახსენებელი არ არის. მხოლოდ წარწერის დასაწყისი და ბოლო სტრიქონის ფორმა მიგვანიშნებს მის მოსახსენებელ დანიშნულებაზე. მთლიანად კი, ამ წარწერის შინაარსი, ამბავის გადმოცემის ფორმა სრულიად ოფიციალური ხასიათისაა და ისტორიული ქრონიკისათვის უფრო შესაფერისი, ვიდრე ჩვეულებრივი მოსახსენებლისათვის.

პირველი ნაკლული სტრიქონი ასე იკითხება: „ქ. ესე მე დ(ა) ვწერე იოანემან. ვარდან კაისარ (sic) მისცა———————“. სამწუხაროდ, ბათქაში იქ არის ჩამორღვეული, სადაც დასახელებული იქნებოდა თუ ვის, ან რა მისცა კეისარმა. ეჭვს გარეშეა, ბიზანტიის კეისრისაგან რაიმეს მიცემა, მიმღების პოლიტიკური ორიენტაციის გარდა, გულისხმობს სოციალურად დაწინაურებულ ან უმაღლეს საფეხურზე მდგომ პიროვნებას.

უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობის შემცველია მეორე სტრიქონი, რომელშიც წარწერის დედააზრია გადმოცემული. მეორე ნაკლული სტრიქონი ასე იკითხება: „ნე(რ)-სესა ძე, დარი ღ(მრ)თისაჲ (შე რ(აც) ხეს და ვარაზ მ———“. აქედან ცხადი ხდება, რომ ბიზანტიის კეისარს — ვარდანს ნერსეს ძისათვის ისეთი რამ უნდა ებოძებინა, რაც შესაფერისი იქნებოდა მისი შერაცხებისათვის, რაც დიდებულად, წარჩინებულად, მთავრად მიჩნევას აღნიშნავს (იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973). ამაზე მიგვანიშნებს წარწერაში მოტანილი ამბის თხრობის თანმიმდევრობა — ჯერ კეისრისაგან ბოძება, ხოლო შემდეგ, „ღმრთის დარის“ — ნერსეს ძის შერაცხვა.

ეჭვს გარეშეა, იოანეს წარწერა ნერსეს ძის უმაღლესი ხელისუფლების საყდარზე კურთხევის შესახებ მოგვითხრობს. შეუძლებელია სხვა ახსნა მოეძებნოს ბიზანტიის კეისრისაგან ბოძების შემდეგ, ხაზგასმულად საზეიმოდ, ალეგორიული ფორმით გამოხატულ ასეთ განცხადებას.

საყურადღებოა, რომ წარწერაში მოტანილი ეპითეტი — „დარი ღმრთისაჲ“, შეესატყვისება ბაგრატიონთა სამეფო შტოს ტიტულატურაში ხაზგასმულად გამოცხადებულ, მიწიერ უფლად დადგინების ზეციური ნების ფორმულირებას. ასეთებია: „ღმრთივგვირგვინოსანი“, „ღმრთივდამყარებული“, „უფლისა მიერ დამყარებული“, „ღმრთივ აღმართებული“, „ქრისტეს მიერ დამყარებული“ და სხვა, მაგრამ მისი ყველაზე ახლოს მდგომი ფორმა მაინც „ღმრთისა სწორია“, როგორადაც ასახელებენ თამარს, გიორგი ლაშას და დავით ნარინს.[11] იოანეს გრაფიტში გამოცხადებული ნერსეს ძის კურთხევა ბევრად ადრე მომხდარი ფაქტია. აზრობრივად და ფორმით იდენტური ეპითეტების სხვადასხვა ხანაში ხმარება გვარწმუნებს, რომ ეს ფორმა ბაგრატიონთა სამეფო სახლის ტიტულატურაში შედარებით მოგვიანო ეპოქაშიც გამოიყენებოდა.

„წესი და განგებაჲ მეფეთა კურთხევისა“, რომელიც XIII საუკუნეს განეკუთვნება, სამეფო საყდარზე კურთხევის უპირველეს იურიდიულ გამოხატულებად მიიჩნევს გვირგვინს, სკიპტრას პორფირს და ბისონს.[12] სამეფო ინსიგნიებში დასახელებულია აგრეთვე: დროშა, შუბი და ხმალი. შესაძლოა, მახვილის შებმის ცერემონიალი რაღაც განსაკუთრებული წესით სრულდებოდა. მაცხვარიშის 1140 წლის მოხატულობაში საგანგებოდაა გამოხატული ამ რიტუალის ამსახველი სცენა, სადაც, დავით აღმაშენებლის ძეს — დემეტრე I-ს „კრმალსა აბამენ დავითისასა ერისთავნი“.[13]

ქართულ ნარატიულ წყაროებში ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მეფეთა თუ ერისმთავართა კურთხევის წესზე არაფერია თქმული. გუარამ კურაპალატის (545)6-585(6) შესახებ მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ „მოსცა კეისარმან კურაპალატობა, და წარმოგზავნა მცხეთას“.[14] მისი ძის—სტეფანოსის (590/1-604/5) საერისმთავრო საყდარზე დაჯდომის პოლიტიკურ სიტუაციას ჯუანშერი ასე გამოხატავს: „მოკუდა გუარამ კურაპალატი. და დაჯდა ძე მისი სტეფანოზ. მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა-მთავრად ხადოდეს“.[15] აქედან ისა

ჩანს, რომ სტეფანოსს სამეფო უფლებანი ეპყრა. შიო მღვიმელის მერვე სასწაულთმოქმედებაში აკი აცხადებს კიდეც სტეფანოსი, „რამეთუ მე მეფეთა საყდართა ვზი“-ო.[16]

ყურადღებას იმსახურებს VIII საუკუნის მეფეთა თუ მთავართა კურთხევის ის სიტუაცია, რაც სტეფანოზ II-ის ძეებთან — მიჰრსა და არჩილთან არის დაკავშირებლი. ზემოთაც დავიმოწმეთ ჯუანშერის თხზულების ის ცნობა, რომ ბიზანტიის კეისარმა მიჰრსა და არჩილს „წარმოსცა ორი გჳრგჳნი და გუჯარი“.[17] ზემოთ უკვე ითქვა, რომ სტეფანოზ მამფლის ეპიტაფიაში და ქართულ წერილობით წყაროებში არჩილის მეფედ დასახელება რეალურ პოლიტიკურ ტიტულს არ უნდა გამოხატავდეს.[18] უფრო მეტად ეს ითქმის არჩილის უფროს ძმაზე მიჰრზე. მიუხედავად ამისა, ბიზანტიის კეისარი ორივე ძმას გვირგვინს უგზავნის.

ჩვენი ყურადღება მიიქცია მთავართა და ერისთავთა კურთხევის წესში დადასტურებულმა ცერემონიალმა: „რაჲამს მიანიჭებდეს ღმერთი პატივსა ერისმთავრობისასა, განიბანოს გუამი ყოველი და შეიმოსოს სამოსელი, ვითარცა შუენის მეფეთა“.[19] „ძეგლი ერისთავთა“ გვაუწყებს, რომ როსტომის ქსნის ერისთავად დადგინების დროს ბიზანტიის კეისარმა „მიუბოძა შჳდნი ესე კევნი, განსაგებელნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკჳდრნი მას შინა და უწოდა ერისთავ ცხრაზმისჴევისა. და შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა, და შეაცურა ბეჭედი და საყური და სარტყელი თჳსი, საჭურველი და ცხენი თორონსანი, დროშა და შუბი“.[20]

იოანეს გრაფიტი, რომელშიც აისახა იმ დროის უმაღლესი ხელისუფლების საყდარზე კურთხევის ცერემონიალი, ჯერჯერობით, ჩვენამდე მოღწეულ ძეგლთა შორის უძველესია. დასანანია, რომ წარწერა ნაკლულია და მასში ასახული კურთხევის შესახებ არასრულ ინფორმაციას ვიღებთ. კატეგორიულად ვერაფერს ვიტყვით, რა უნდა ებოძებინა ბიზანტიის კეისარს ნერსეს ძისათვის, მაგრამ მეფეთა, მთავართა და ერისთავთა ზემოთ დამოწმებული კურთხევის წესით, აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სამეფო შესამოსელით საყდარზე დაჯდომა და გვირგვინის კურთხევა. ისტორიული ხასიათის წერილობითი წყაროები მეფეთა კურთხევის აქტს ძალზე ლაკონურად — გვირგვინის კურთხევით, დადგმით თუ მიცემა-წარმოცემით გამოხატავენ. ასე გვაუწყებს ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის მცირეწლოვან ძეზე — დაჩიზე: „დაადგა გჳრგჳნი და დაუტევა მეფედ“.[21] დავით აღმაშენებელმა „დასუა ძე მისი დემეტრე და დაადგა გჳრგჳნი თჳთ მისითა ჴელითა“.[22] ზემოთ ისიც ითქვა, რომ ბიზანტიის კეისარმა მიჰრსა და არჩილს ორი გვირგვინი გამოუგზავნა.

იოანეს გრაფიტის ორი სტრიქონის შინაარსის მიხედვით შესაძლოდ გვეჩვენება ბიზანტიის კეისრისაგან ნერსეს ძისათვის გვირგვინის მიცემა ვივარაუდოთ. ასეთი აღდგენა თუ მხოლოდ ვარაუდზეა დამყარებული, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პირველი სტრიქონის დასასრულს გამოცხადებული იქნებოდა იმ პიროვნების სახელი, რომელსაც ბიზანტიის კეისრისაგან, საფიქრებელია, გვირგვინი მიუღია, საერისმთავრო ტახტზე უკურთხებიათ და „ღმრთის დარი“, შეურაცხავთ. მეორე სტრიქონიდან ვგებულობთ, რომ ეს ახლადკურთხეული ნერსეს ძეა.

ბოლომდე გაურკვეველი რჩება მეორე სტრიქონში დასახელებული ვარაზის როლი ამ კურთხევაში, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ამ სიტუაციაში მისი გამოცხადება ნერსეს ძის კურთხევასთან რაღაც კავშირში უნდა ყოფილიყო.

მესამე ნაკლული სტრიქონი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ნერსეს ძის სახელი, რომელიც მეორე სტრიქონის დასასრულს ყოფილა თავის დროზე ამოკვეთილი და ბათქაშის ჩამოშლის გამო დაღუპულა. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს ამ პიროვნების სახელის ბოლო ორი გრაფემა, რომლებიც, მის სახელწოდებასთან ერთად, მესამე სტრიქონზე გადმოდის და ასე იკითხება: „ოზ მამფალსა და წალმართ[ცა] ცნეს ღმ—————“. კონტექსტის გათვალისწინებით ეს სტრიქონი „ღმ“ გრაფემების მიხედვით ასე გავაგრძელეთ: „დ(ა)მ[ყარება მისი]“, რაც ნაკლულ სტრიქონს ასეთ სახეს აძლევს: „ოზ მამფალსა და წალმართ[ცა] ცნეს დ(ა)მ[ყარება მისი]“. მესამე სტრიქონიდან კარგად ჩანს, რომ მამფლის „დამყარება“ „წალმართ]ცა[ ცნეს“ და, ცხადია, იგია ის ახლად ნაკურთხი, ღმრთის დარი, შერაცხილი ნერსეს ძე, რომლის სახელი „ოზ“-ით მთავრდება.

ვფიქრობთ, ბუნებრივი უნდა იყოს ამ ნაკლულ სახელში [სტეფან]ოზ მამფალი დავინახოთ. როგორც ვიცით, მისი გარდაცვალების მაუწყებელი წარწერა აქვე, ატენის სიონის ყველაზე საპატიო ნაწილში — საკურთხეველშია მოთავსებული და აქვე ყოფილა დაკრძალული. იოანეს წარწერიდან კი ვგებულობთ, რომ სტეფანოზის საერისმთავრო საყდარზე კურთხევის ცნობა, თავის დროზე, აქვე, ატენის სიონშივე ასახულა.

ზემოთაც აღინიშნა, რომ სტეფანოზ მამფლის ეპიტაფიის შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალი“ — სტეფანოზის პიროვნებაა, რომელიც ქართულ წერილობით წყაროებში დიდ ერისმთავარ ნერსეს ძედ და ვარაზ ბაკურის შვილიშვილადაა დასახელებული. ახლად გამოვლენილი იოანეს გრაფიტი ადასტურებს ასეთ იდენტიფიკაციას. სტეფანოზ მამფალი ამ წარწერაში ნერსეს ძედ მოიხსენი-

ება. აქვე, სტეფანოზის კურთხევასთან რაღაც კავშირში, დასახელებულია ვარაზიც. ცხადია, მხოლოდ ვარაუდის სახით, ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მეორე ნაკლულ სტრიქონში სტეფანოზის პაპის — ვარაზის „ქრმალის“ შებმაზე ყოფილიყო თქმული. ყოველივე ზემოთქმული ვარაუდს ვერ სცილდება და ამ ნაწილის აღდგენაზე თავს ვიკავებთ. ის კი რეალურად გვესახება, რომ ვარაზი, რაღაც მსგავს სიტუაციასთან კავშირშია აქ დასახელებული.

მეოთხე სტრიქონი მთლიანადაა დაცული. მისი მხოლოდ მცირე მონაკვეთებია დაზიანებული. ბოლო სტრიქონი ასე იკითხება: „ლოცვას(ა) მომი]ქ[ს[ენე]. ამ [ენ]“. სავარაუდოდ, მესამე სტრიქონის დასასრულს ასე აღვადგენთ: “[ვინ წაიკითხოს]“.

ამგვარად, იოანეს მოსახსენებელი გრაფიტი, რომლის ფორმა ისტორიული ქრონიკისათვის უფრო შესაფერისი, მხოლოდ ნაწილობრივ აღდგა და ასეთ სახეს იღებს: 1. ქ. ესე მე დ(ა)ვწერე იოანემან. ვარდან კაისარ მისცა გვრგვნი(?) და სტეფანოზ] 2. ნე(რ)სესა ძე, დარი ღ(მრ)თისაჲ, შერაცხეს და ვარაზ მ——————[სტეფან]. 3. ოზ მამფლსა და წალმართ(ცა) [ცნეს დ(ა)მ[ყარება მისი. ვინ წაიკითხოს], 4. ლოცვას(ა) მომი[ქ]ს[ენე], ამ[ენ]“.

წარწერა უთარიღოა, მაგრამ მასში მოტანილი ცნობების და ისტორიულ პირთა გათვალისწინებით გრაფიტის შესრულების დრო ზუსტად განისაზღვრა. როგორც ვნახეთ, წარწერა სტეფანოზ მამფლის საერისმთავრო საყდარზე კურთხევის შესახებ მოგვითხრობს. სტეფანოზის ეპიტაფიის საკმაოდ დაწვრილებითი ქრონოლოგიური მითითებებიდან ვიცით, რომ მას 29 წელი უმთავრია, 739 გარდაცვლილა და 711 წელს ასულა საერისმთავრო ტახტზე, ბუნებრივია, სტეფანოზის კურთხევის ცნობის შემცველი ეს წარწერა 711 წელს ამოკვეთილად უნდა მივიჩნიოთ.

იოანეს გრაფიტში კიდევ ერთი ქრონოლოგიური მითითებაა. ეს არის ბიზანტიის კეისარი ვარდანი, რომლის ზეობის წლები ზუსტად არის განსაზღვრული სამეცნიერო ლიტერატურაში.

როგორც ცნობილია, ბიზანტიის კეისრის — იუსტინიანე IIის (685-695; 705-711) ძალაუფლება 695 წელს დაამხო ლეონტიმ და ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე დაჯდა. იუსტინიანე II ხერსონესში გადაასახლეს, საიდანაც იგი ცდილობდა წართმეული ტახტის დაბრუნებას. 698 წელს აფსიმარმა წაართვა ლეონტის ბიზანტიის სამეფო ტახტი. ამავე წელს, აფსიმარმა ხერსონესში გადაასახლა, როგორც ფიქრობენ, ეროვნებით სომეხი ვარდანი, როგორც ბიზანტიის სამეფო ტახტის დაპყრობაზე ეჭვმიტანილი. 705 წელს იუსტინიანე II-მ კვლავ დაიბრუნა სამეფო ტახტი. მის მიერ გატარებულმა რეაქციულმა რეჟიმმა ხალხში საერთო აღშფოთება გამოიწვია. ხერსონესი ამბოხდა იუსტინიანეს წინააღმდეგ. ამ ამბოხებას სათავეში ედგა ვარდანი, რომელმაც, ხაზარების მხარდაჭერით და დახმარებით, დაიპყრო ბიზანტიის სამეფო ტახტი 711 წლის ოქტომბრის თვეში. ვარდანმა იუსტინიანე II მოაკვლევინა, ამ ხანიდან ბიზანტიის სამეფო ტახტზე ზის ვარდანი, რომელმაც მეფედ კურთხევის დღეს ფილიპე დაირქვა. ვარდანი სულ რვა თვის მანძილზე ფლობდა ბიზანტიის სამეფო საყდარს, რაც 711-712 წლებზე მოდის. 712 წლის 3 ივნისს, შაბათ დღეს, ვარდანი შეთქმულების მსხვერპლი გამხდარა. იგი დაუბრმავებიათ და სამეფო ტახტიდან გადაუყენებიათ.[23]

ეს ორი ქრონოლოგიური მითითება რეალურ საფუძველს გვაძლევს ვირწმუნოთ, რომ სტეფანოზ მამფალი 711 წლის ოქტომბერ-დეკემბრის დროის მონაკვეთში უკურთხებიათ საერისმთავრო ტახტზე. ამავე დროს უნდა ამოეკაწრა იოანეს თავისი გრაფიტი. ყოველ შემთხვევაში, ამ წარწერის თარიღი 712 წლის 3 ივნისს ვეღარ გადასცდება.

ყურადღებას იქცევს იოანეს მოსახსენებელ წარწერაში ამბის მკაფიოდ და ლაკონურად გადმოცემის სტილი. სრულიად აშკარაა ჟამთაალმწერლის გაწაფული ხელი, თხრობის თანმიმდევრულობის ისტორიული ქრონიკის სახით დალაგება. ერთი ცხადია, რომ იოანეს გრაფიტი არ არის ისეთი ოფიციალური ხასიათისა, როგორიც სტეფანოზის ფრესკული ეპიტაფია. ეს გრაფიტი, თავისი დანიშნულებით, მაინც არის მოსახსენებელი, თუმცა მასში არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობა აისახა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ წერის ასეთი სტილი იოანეს პროფესიული ჩვევით იყო შეპირობებული.

მეორე გრაფიტი იოანეს წარწერიდან მარცხნივ, ბათქაშზეა ამოკაწრული. ზემოთაც ითქვა, რომ ერთმანეთის გვერდიგვერდ მოთავსებული ეს ორი წარწერა პალეოგრაფიული ერთგვაროვნებით ხასიათდება და, ამდენად, ორივე 711 წელს შესრულებულად მიგვაჩნია.

მეორე გრაფიტი სამსტრიქონიანია, შესრულებულია გაკრული ნუსხურით, რომელშიც ჩართულია „ა“, „თ“, „ი“ მხედრული გრაფემები. ნუსხურიდან მხედრულზე გარდამავალია „კ“. წარწერა ძირითადად კარგად არის დაცული. მეორე სტრიქონის დაზიანებული ნაწილის აღდგენა კარგად ხერხდება. ქვემოთ მოგვაქვს წარწერის გრაფიკული მონახაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსახსენებლის ავტორის სახელი გეგი დაქარაგმებულია, უნდა წავიკითხოთ გეორგი, ქართულისათვის უჩვეულო, ბერძნულად გახმოვანებული ანთროპონიმის მიუხედავად, ქარაგმის ასეთი გახსნა შესაძლოდ მიგვაჩნია. წარწერა ასე იკითხება:

1. „ქ. ესე მე დავწერე გე(ორ)გი სტეფანოზის ძემან მესხმან.

2. [ვინ] წაიკითხოს, ღ(მერ)თ(მა)ნ დაგაჯეროს ლო-

3. ცვ(ა)სა მომიჴსენე".

ამ ორი, ერთსადაიმავე დროს შესრულებული წარწერის გვერდიგვერდ მოთავსება, რომელშიც ერთგან სტეფანოზის საერისმთავრო ტახტზე კურთხევის შესახებ არის მოთხრობილი, ხოლო მეორეში, გეორგი თავს სტეფანოზის ძედ, მესხად აცხადებს, შემთხვევითი არ არის. ამ ორი გრაფიტის შინაარსით მკაფიოდ გამოიხატა გეორგის უპირატესობა. მის გრაფიტში ნათლად ჩანს მოსახსენებელი ფუნქცია. აქვე, ხაზგასმულია მისი წარმომავლობა. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, მესხეთი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ისტორიული პროვინციების საზოგადო სახელია, რომელშიც შედიოდა კლარჯეთიც, „მხოლოდ რომელთა განმგებელ „კლარჯ ხელმწიფეებს" უტარებიათ მამფლის სახელწოდება".[24] გეორგი სტეფანოზის ძე, თავისი მესხობით, ვფიქრობთ, ამას უნდა აცხადებდეს. რაც შეეხება იოანეს გრაფიტს, მისი პიროვნება მოკრძალებულად არის დასახელებული და, ძირითადად, სტეფანოზ მამფლის საერისმთავრო საყდარზე კურთხევაზე მოგვითხრობს.

ჩვენი წარწერების რეგლამენტაციის თვალსაზრისით, საყურადღებოა გ. ჩუბინაშვილის ერთი დაკვირვება, რაც მკვლევარმა მეცნიერული სიფრთხილით მხოლოდ ვარაუდის სახით გამოთქვა. მცხეთის ჯვარის ტიპის ხუროთმოძღვრულ ძეგლთა პასტოფორიუმების ფუნქციათა განსაზღვრის დროს მკვლევარმა ივარაუდა, რომ ჩრდილო-დასავლეთი კუთხის სათავსოები უმაღლესი ხელისუფლების მპყრობელ საერო ან სასულიერო პირთათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.[25] ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ გ. ჩუბინაშვილის მიერ გამოთქმული ამ მოსაზრების დამადასტურებელი უნდა იყოს მთავართათვის განკუთვნილი სამყოფელის კარის წინ, არქიტექტურულად ამ პასტოფორიუმთან დაკავშირებულ შვერილზე, სტეფანოზ მამფლის ერისმთავრად კურთხევისა და გეორგი სტეფანოზის ძის გრაფიტების მოთავსება.

მესამე გრაფიტი ამავე შვერილის წახნაგზე, ბათქაშზეა ამოკვეთილი. წარწერა ოროსტრიქონიანია, შესრულებულია კუთხოვანი ნუსხურით. პალეოგრაფიულად საინტერესოა „ე", „ვ", „ლ" გრაფემები, რომელთაგან პირველ ორს მარცხნივ განზიდული შვერილი არა აქვს, ხოლო „ლ" გრაფემი შვერილით გამოისახება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორგან „ს" გრაფემის ქვედა ნაწილი ისე გრძელდება, რომ მის ქვეშ მიწერილ „ა" ასოს ულლად გამოდის. ქვემოთ მოგვაქვს წარწერის გრაფიკული მონახაზი:



წარწერაში ორი სიტყვაა დაქარაგმებული, რომელთაგან ერთი „ნე(რ)ს(ე)სა“-დ იხსნება. მეორე ქარაგმა — „ლდ“, კონტექსტის მიხედვით „ლოცვად“ უნდა იყოს. წარწერა ასე იკითხება: „პარასკევსა იხ(ი)ლ[ე][ნე(რ)ს(ე)სა ლ(ოცვა)დ“.

გრაფიტის შინაარსით ისე ჩანს, რომ პარასკევ დღეს ნერსესათვის პარაკლისი უნდა გადაეხადათ. ალაპის გაჩენაზე რომ ყოფილიყო თქმული, აუცილებელი იყო რომელიმე საეკლესიო დღესასწაულთან დაეკავშირებინათ, აქვე, გურგანელის წარწერაში ნათქვამია, რომ მირიან თარხუნის ძეს თევდორობის დღე გაუჩინეს ალაპად.26 ჩვენს წარწერაში კი მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ ნერსეს ლოცვა პარასკევ დღეს ყოფილა.

ამ გრაფიტში დასახელებული ნერსეს იდენტიფიკაცია ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგან იგი იმ წარწერათა რიგშია მოქცეული, სადაც თვით ნერსეა დასახელებული როგორც სტეფანოზ მამფლის მამა. იქვე, ნერსეს მამა-ვარაზიც არის მოხსენიებული და, ბოლოს, ნერსეს შვილიშვილი და სტეფანოზის ძე — გეორგიც.

ნერსეს გრაფიტის თარიღზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელდება. იოანეს გრაფიტიდან თითქოს ისე უნდა ჩანდეს, რომ სტეფანოზ მამფლის კურთხევის დროს ნერსე ცოცხალია. თუ ეს ასეა, მაშინ, ნერსეს გრაფიტი 711 წლის შემდეგ, VIII საუკუნის პირველ ნახევარში. უნდა ამოეკვეთათ, ნერსეს გარდაცვალების ახლო ხანებში.

ატენის სიონის რელიეფების სტილისტურ-იკონოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლამ გვაჩვენა, რომ X საუკუნის მიწურულს აქ ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოები რელიეფების უმეტეს ნაწილსაც შეეხო. ტაძრის რესტავრაციის პერიოდში შეიცვალა არაერთი სკულპტურული გამოსახულება, რაც ერთდროულად შეუსრულებიათ ოსტატთა ამქარს, თოდოსაკის საერთო ხელმძღვანელობით. ერთდროულად გამოკვეთა მრავალრიცხოვან რელიეფთა და სარკმელთა თავსართავებისა, რომელთა რაოდენობა ოცს აღემატება, მოითხოვდა შედგენილ გამოსახულებათა დანომრვას და ფასადებზე მათი განაწილების ტოპოგრაფიულ მინიშნებას. ამის მაგალითები მართლაც დასტურდება ატენის სიონის რესტავრაციის ხანის რელიეფებზე.

აღმოსავლეთის ფასადის შვერილის ჩრდილო წახნაგზე, ერთ-ერთი ქტიტორული გამოსახულების ფეხების ქუსლებზე(?), ქართული ნუსხური წვრილი შრიფტით ამოკვეთილია: მარჯვენა ფეხზე — „ნერსე“, მარცხენაზე — „სტეფანოზ“. ეს წარწერები იმდენად წვრილი გრაფემებითაა შესრულებული, რომ სრულიად შეუმჩნეველია მნახველისათვის და მათი არსებობა მხოლოდ ამ რელიეფური გამოსახულების პირის გადმოღების დროს გახდა ცნობილი.

თავის დროზე გამოვთქვით ვარაუდი, რომ ფეხების ქუსლებზე ამოკვეთილი ეს სახელები, X საუკუნის მიწურულს შესრულებული ამ რელიეფური ფიგურის ტოპოგრაფიული მინიშნების მიზნით ამოკვეთა ოსტატმა. განახლებული ქტიტორული გამოსახულება შვერილის იმ წახნაგზე უნდა მოეთავსებინათ, სადაც, თავის დროზე, ნერსეს და სტეფანოზის იმდროისათვის დაზიანებული, ქტიტორული რელიეფური ფიგურები ყოფილა გამოსახული. ის ფაქტი, რომ ამ ახლად გამოკვეთილი ქტიტორის ტოპოგრაფიულ მითითებად ორი პიროვნებაა დასახელებული, გვაფიქრებინებს, რომ VII საუკუნის თავდაპირველ რელიეფზე ერთად უნდა ყოფილიყო გამოსახული ნერსე და სტეფანოზი.28

გ. ჩუბინაშვილმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ატენის სიონის ხუროთმოძღვარი ზუსტად იმეორებს მცხეთის ჯვარის არქიტექტურულ თემას.29 ცხადია, აქ იგულისხმება მისი დეკორაციული სისტემაც. ამ თვალსაზრისით რომ შევაფასოთ ატენის სიონის აღმოსავლეთის ფასადზე განაწილებული ქტიტორული გამოსახულებები, ვფიქრობთ, მეტ სიცხადეს შესძენს ჩვენს ვარაუდს. მცხეთის ჯვარის აღმოსავლეთის ფასადის შვერილზე განაწილებულ სამ ქტიტორულ რელიეფთა შორის მხოლოდ ჩრდილოეთის წახნაგზეა ერთად გამოსახული ორი ქტიტორი — ადრნერსე ჰპატოსი და მისი ძე — ქობული.30 ატენის სიონის ზემოთ დასახელებული ტოპოგრაფიული მინიშნება გვავარაუდებინებს, რომ შვერილის იმავე, ჩრდილო წახნაგზე უნდა ყოფილიყო თავის დროზე ერთად გამოსახული ნერსე და სტეფანოზი. ამ პიროვნებათა დასახელების რიგი იმაზეც მიგვითითებს, რომ ნერსე უფროსია (მამა?), ხოლო სტეფანოზი უმცროსი (ძე?). მცხეთის ჯვარისა და ატენის სიონის ამ რელიეფების ერთგვაროვანი რეგლამენტაცია კარგად შეესატყვისება გ. ჩუბინაშვილის მიერ გამოთქმულ იმ თვალსაზრისს, რომ ატენის სიონის ხუროთმოძღვარი დეტალებშიც კი იმეორებს მცხეთის ჯვარს.31

ჩვენს მიერ გამოთქმულ იმ მოსაზრებაზე, რომ ატენის სიონის რელიეფთა ერთი ნაწილი X საუკუნის მეორე ნახევარშია შესრულებული, ასეთი აზრი გამოითქვა უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში. ნ. ალადაშვილის დაკვირვებით, ატენის სიონის რელიეფების ერთი ჯგუფი მართლაც აღძრავს ასეთ ეჭვს, მათი ორგვაროვანი სტილისტური ხასიათით. ამ რელიეფებში შეინიშნება როგორც X საუკუნისათვის დამახასიათებელი სტილისტური ნიშნები, ისე, VI-VII საუკუნეების ცალკეული ტექნიკური ხერხები, და იკონოგრაფიული ელემენტები. მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნია იმ თვალსაზრისის დაშვება, რომ ატენის სიონის რელიეფთა ერთი ჯგუფი X საუკუნეს განეკუთვნე

ბა, მხოლოდ იმ პირობით, თუ დავუშვებთ, რომ X საუკუნის რესტავრატორები VII საუკუნის რელიეფებს ითვალისწინებდნენ. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ატენის სიონის სარესტავრაციო პერიოდის რელიეფების ორგვაროვანი სტილი.[32]

იმთავითვე ჩვენც ამ თვალსაზრისზე ვიდექით და, ამდენად, ნ. ალადაშვილის ეს მოსაზრება ჩვენთვის მისაღებია. შუა საუკუნეების ხელოვნებაში არაერთი მაგალითი დასტურდება, როდესაც რესტავრატორები ცდილან ისე აღედგინათ დაზიანებული ნაწარმოები, რომ მას თავდაპირველი იერი არ დაეკარგა,[33] მიუხედავად იმისა, რომ მათში მაინც მკაფიოდ გამოიკვეთებოდა ხოლმე რესტავრაციის პერიოდის სტილისტური ნიშნები. ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ატენის სიონის ხელოსან-რესტავრატორებს გაეთვალისწინებინათ ძველი რელიეფები, განსაკუთრებით ის თავდაპირველი ქტიტორული გამოსახულებანი, რომელთა მიხედვით შესძლებდნენ მხოლოდ განეახლებინათ ტაძრის თავდაპირველი მაშენებლების სკულპტურული ფიგურები, მათი ტიპაჟისა და ჩაცმულობის დაცვით. ძველი რელიეფებისადმი ასეთი მიმბაძველობა იმ ქტიტორთა ქანდაკებებშიც აირეკლა, რომლებიც, ჩვენი აზრით, რესტავრაციის დროისანი არიან, ტაძრის იმავე ჩრდილოეთის წახნაგზე, როგორც ეს მცხეთის ჯვარში დასტურდება, ქტიტორთა ორფიგურიანი რელიეფი უნდა ყოფილიყო მოთავსებული. მათი სახელები — ნერსე და სტეფანოზი შემოგვინახა X საუკუნეში განახლებულმა ქტიტორულმა გამოსახულებამ.

ბუნებრივად დგება საკითხი ნერსესა და სტეფანოზის იდენტიფიკაციის შესახებ. როგორც ვიცით, სტეფანოზ მამფლის ეპიტაფია ტაძრის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილში — საკურთხეველშია მოთავსებული. ატენის სიონშივეა დაკრძალული სტეფანოზი. იოანეს წარწერიდან ირკვევა, რომ სტეფანოზ მამფლის საერისმთავრო საყდარზე კურთხევის ცნობა აქვე, ატენის სიონის კედლებზე აისახა, ეპიტაფიისა და იოანეს გრაფიტის ქრონოლოგიური შეჯერება ცხადყოფს, რომ ორივე წარწერაში დასახელებული სტეფანოზ მამფალი ერთი და იგივე პიროვნებაა. ამავე ტაძრის წარწერაშია დასახელებული სტეფანოზ მამფლის მამა — ნერსე და მისი პაპა — ვარაზი. ისიც ცნობილი გახდა, რომ ნერსეს პარაკლისი (როგორც ამას ვვარაუდობთ) ატენის სიონში შეუსრულებიათ. ატენის სიონშივე აისახა სტეფანოზ მამფლის ძის — გეორგის გრაფიტი. ასეთი ჭარბი ინფორმაცია ვარაზის შთამომავალ პოლიტიკურ მოღვაწეთა შესახებ გვარწმუნებს, რომ X საუკუნის რელიეფის ტოპოგრაფიულ მინიშნებაში იგულისხმება ატენის სიონის წარწერებშივე არაერთხელ ნახსენები დიდი ერისთავი ნერსე და მისი ძე — „ქართველთა და მეგრელთა ერისთავ-ერისთავთა უფალი" სტეფანოზ მამფალი, რომელთა ქტიტორული გამოსახულება რესტავრაციის დროს ახლით შეუცვლიათ. თავის დროზე გამოვთქვით ვარაუდი, რომ სტეფანოზ მამფალი ატენის სიონის ქტიტორთა უმცროსი თაობის წარმომადგენელია. უდავოდ საყურადღებოდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ატენის სიონის ახლად გამოვლენილ გრაფიტებში ერთად არიან დასახელებული ვარაზი, ნერსე და სტეფანოზი, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისინი არიან ატენის სიონის ქტიტორთა ერთი ფეოდალური სახლის, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები.

ნუსხური დამწერლობის ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ადრეულ ნიმუშად, კარგა ხანია, სინას მრავალთავის 864 წლით დათარიღებული ანდერძი იყო მიჩნეული.[34] ამ რამდენიმე წლის წინ, ატენის სიონში მივაკვლიეთ მასზე ადრეულ, 835 წლით დათარიღებულ ნუსხურ წარწერას, რომელიც დღემდე ნუსხური დამწერლობის უძველეს ძეგლად ითვლებოდა. ამავე ატენის სიონის ახლად მიკვლეული გრაფიტები ამ თარიღს 711 წელზე გადასწევს. ამ გრაფიტებმა მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა მხედრული დამწერლობის ქრონოლოგიაშიც.

ატენის სიონის მხედრული წარწერების შესწავლამ საფუძველი მოგვცა ნუსხურიდან მხედრულზე თანდათანობით გადასვლის პროცესი, ტრადიციულად მიღებული XI საუკუნის ნაცვლად, XI საუკუნის 70-იანი წლებიდან მაინც და, შესაძლოა, უფრო ადრე მომხდარ ფაქტად მიგვეჩნია. ასეთი დასკვნის საფუძველი მოგვცა 875 წლით დათარიღებულმა, ნუსხური შრიფტით შესრულებულმა გრაფიტმა, რომელშიც ერთადერთი მხედრული გრაფემაა გარეული. თავის დროზე ისიც აღინიშნა, რომ სამეფო კანცელარიაში, XI საუკუნეზე ბევრად ადრე და შესაძლოა VI-VII საუკუნეებიდანვე, დოკუმენტები მხედრული დამწერლობით უნდა შესრულებულიყო.[35]

იოანეს და გეორგის ნუსხურით შესრულებულ გრაფიტებში საკმაო რაოდენობის მხედრული გრაფემებია გარეული, ხოლო ცალკეული ნუსხური გრაფემები ნუსხურიდან მხედრულზე გადასვლის ნიშნითაა აღბეჭდილი. დღეს უკვე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ნუსხურიდან მხედრულზე თანდათანობით გადასვლის იმ ერთ ეტაპზე, რაც ეჭვმიუტანლად დასტურდება VIII საუკუნის დამდეგისათვის იოანესა და გეორგის გრაფიტებით.

იოანეს, გეორგის და ნერსეს გრაფიტების შესწავლა შემდეგი დასკვნის საფუძველს გვაძლევს:

ატენის სიონის მრავალრიცხოვან წარწერათა შ[illegible] ჯერჯერობით, უ[illegible] წლით დათარიღებული იოანეს გრაფიტი. ამავე ხანას განეკუთვნება გეორგი სტეფანოზის ძის მოსა-

ხსენებელიც. ნერსეს გრაფიტი VIII საუკუნის პირველ ნახევარშია შესრულებული.

ახლად მიკვლეული წარწერების ცნობათა საფუძველზე შემოწმდა სტეფანოზ მამფლის ეპიტაფიაში მოტანილი თარიღების: მისი ზეობის (711), გარდაცვალების (739) მთავრობის ხანგრძლივობის (29) სისწორე. ამდენად, რეალურად მიგვაჩნია არჩილ II-ის ზეობის წელიც (719), რაც სტეფანოზის ეპიტაფიის ქრონოლოგიიდან გამოვითვალეთ.

უსაფუძვლოა ატენის სიონის IX საუკუნით გადათარიღების ცდა. ასეთი ვარაუდისათვის გადაულახავია 739 წლით დათარიღებული სტეფანოზ მამფლის ეპიტაფია და 711 წელს შესრულებული გრაფიტები. 711 წელი ატენის სიონის ბათქაშის მხოლოდ ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად თუ გამოდგება, რაც იმას ნიშნავს, რომ ტაძარი უფრო ადრეა აგებული.

არც ის პალეოგრაფიული არგუმენტაცია აღმოჩნდა მისაღები, რის საფუძველზეც გადათარიღდა სტეფანოზის ეპიტაფია. უდავოდ გადასასინჯავია ასეთი პალეოგრაფიული ნიშნების ქრონოლოგია.

არც ის იდენტიფიკაცია აღმოჩნდა სწორი, თითქოს, ეპიტაფიაში დასახელებული „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალი" — სტეფანოზ მამფალი, მიჰრისა და არჩილის მამა, სტეფანოზ II უნდა ყოფილიყო. ახლად გამოვლენილმა გრაფიტებმა გვაჩვენეს, რომ ეპიტაფიაში დასახელებული სტეფანოზი ძეა ნერსესი და შვილიშვილი ვარაზისა, როგორც ეს თავის დროზე იყო ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული.

ატენის ქვეყანა ბაგრატიონთა სახლის იმ ერთი შტოს სამემკვიდრო დომენია, რომელთა ქტიტორობითაც აუგიათ ატენის სიონი. ატენის სიონის აღმოსავლეთის ფასადს ვარაზის, ნერსეს და სტეფანოზის ქტიტორული გამოსახულებანი ამკობდა.

შენიშვნები:


1 თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 13-15.

2. გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ, 1977, გვ. 7-64.

3 იქვე.

4 ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1978, გვ. 98-101.

5 ბ. სილაგაძე, ხაზართა ერთი ლაშქრობის შესახებ VIII საუკუნეში, „მაცნე", ისტორიის.. სერია, 1, თბ., 1980, გვ. 105-115.

6 ვ. ართილაყვა, ატენის სიონის ინტერიერის არქეოლოგიური გაწმენდის შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V, თბ., 1973, გვ. 102-116.

7. ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ.

8 ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრ.

9 ლაპიდარული წარწერები, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, I, თბ., 1980, გვ. 40-44.

10. Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Исследование по истории грузинского искусства, Тб., 1948, გვ. 44—49, 115—117, 121—123, 156—176.

11 ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 34, 37.

12 იქვე, გვ. 50-54.

13. Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, „ქართული ხელოვნება", 4, თბ., 1955, გვ. 176, სურ. 3.

14 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1, თბ., 1955, გვ. 218.

15 იქვე, გვ. 222.

16 ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 203.

17. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 239.

18 გ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

19. ქართული სამართლის ძეგლები, II.

20 იქვე, გვ. 104.

21 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 185.

22 იქვე, გვ. 365.

23. Ю. Куликовский, История Византии, т. III, Киев, 1915, გვ. 285—313.

24 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 110.

25. Г Н Чубинашвили, დასახ. ნაშრ. გვ. 76.

26 თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 38, 39.

27 ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 267.

28 გ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 57-59.

29. Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. გვ. 121—123.

30 იქვე, გვ. 143, 144, ტაბ. 19, 21.

31 იქვე, გვ. 121, 123.

32. Н. А. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии, Тб., 1977, გვ. 41—49.

33 იქვე, გვ. 46.

34 გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის უცნობი წარწერები, „მაცნე", ისტორიის... სერია, 2, თბ., 1976, გვ. 170-171.

35 გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, მხედრული დამწერლობის სათავეებთან, „ცისკარი", №№ 5, 6, თბ., 1978, გვ. 135-144, 128-137.

ნოდარ მგალობლიშვილი

# ტრადიცია და ნოვატორობა არქიტექტურაში

შარტრის ტაძრის მშენებლობაზე სამ მუშას, რომლებიც მძიმე ურიკებს მიაგორებდნენ, ჰკითხეს:

— აქ რას აკეთებთ?

პირველმა მუშამ უპასუხა:

— ვერა ხედავ, დატვირთულ ურიკას ვეზიდები!

მეორემ თქვა:

— ვმუშაობ, ოჯახი უნდა ვარჩინო!

მესამის პასუხი ასეთი იყო:

— **შარტრის ტაძარს ვაშენებ!**

იგავი

რა თქმა უნდა, სამივე მუშამ, მიუხედავად სხვადასხვა პასუხისა, თავისი წვლილი შეიტანა საფრანგეთის და, შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო არქიტექტურული შედევრის შექმნაში. მაგრამ, წვლილიც არის და წვლილიც...

...რამდენიმე წლის წინათ მომიხდა ნანტიდან პარიზში მანქანით დაბრუნება. გზა გავიმრუდეთ და ატლანტიკური ოკეანის ნაპირთან, თითქმის კუნძულზე განლაგებული პატარა, განსაცვიფრებლად ლამაზ ქალაქში სენ-მალოში შევიარეთ, შემდეგ მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება მონ-სენ-მიშელის მონასტერი დავათვალიერეთ. მხოლოდ, ამის შემდეგ, უკვე საღამოს, შარტრის ტაძართან გავჩერდით.

ძნელია ქაღალდზე იმ უზადო შთაბეჭდილების ასახვა, რომელიც გიპყრობს ამ უზარმაზარი, მაგრამ უმწიკვლოდ პროპორციული და მასშტაბური ტაძრის ხილვისას. მონუსხულივით ვიდექი ცადატყორცნილი ნაგებობის წინ. ღამემ და განათებულმა ტაძარმა ფანტასტიკური სიტუაცია შექმნეს. ვიღას ახსოვდა სამი მუშა, მათი ურიკები და ფილოსოფიური პასუხები. ვიღას ახსოვდა ტაძრის ხუროთმოძღვრები და მშენებლები. ხარ მარტოდმარტო ღმერთების მიერ შექმნილ ზღაპართან. მაგრამ თანდათან გონზე მოდიხარ და ფიქრობ: დიდია ის ხალხი, ვინც ასეთი საოცრება შექმნა. უდიდესი პატივისცემა გეუფლება ფრანგი ხალხის მიმართ. ისეთივე, როგორიც ბერძნების მიმართ დელფოსის კომპლექსთან. ისეთივე, როგორც იტალიელების მიმართ ვენეციაში, ეგვიპტელების მიმართ აბუ-სიმბელის ტაძართან.

არქიტექტურა ჭეშმარიტად ხალხის სულისკვეთების, მისი ინტელექტუალური დონის პირდაპირი გამოვლინებაა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ უცხოელი სტუმარი ასეთივე უდიდესი პატივისცემით იმსჭვალება ქართველი ხალხის მიმართ, როდესაც იხილავს უბადლო ვარძიას, სვეტიცხოველს, ბაგრატის ტაძარს.

ერის ბუნების აღქმაში, უფრო მეტიც, ერის სულიერი ფორმირების, ზნეობრივ და ეთიკურ მხარეთა ზრდაში, არქიტექტურის როლი უზარმაზარია. ყველამ იცის და არა ერთხელ აღნიშნულა ის კოლოსალური გავლენა, რომელიც აქვს ლიტერატურას, თეატრს, კინოს და, საერთოდ, ხელოვნებას ყოველი ადამიანის მსოფლმხედველობის, მისი პატრიოტიზმის ჩამოყალიბებაში. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ამ გა-

ვლენის ეფექტურობისთვის ადამიანმა კარგი წიგნი უნდა წაიკითხოს; კარგ წარმოდგენაზე, კონცერტზე ან კინოფილმზე უნდა სპეციალურად წავიდეს; მხატვრის კარგი ტილოც მხოლოდ გამოფენაზე შეიძლება ნახოს. ხოლო არქიტექტურა, — ეს უდიდესი ხელოვნება, — ადამიანზე მუდმივად ახდენს ზემოქმედებას, მისი სურვილისა და შესაძლებლობისაგან დამოუკიდებლად. მეტიც შეიძლება ითქვას, ცუდი წიგნი შესაძლოა დახუროს კაცმა, ცუდი წარმოდგენიდან ან კინოფილმიდან წამოვიდეს, ცუდ ტილოს თვალი აარიდოს. ხოლო არქიტექტურის ზემოქმედება ადამიანზე პერმანენტულია. ცუდია თუ კარგი ეს არქიტექტურა, სულერთია, მისი მოქმედება ხალხზე მუდმივი და საკმაოდ აქტიურია. ბუნებრივია, რომ კარგი არქიტექტურა დადებით გავლენას ახდენს, ცუდი კი — უარყოფითს. ამიტომ აქვს უდიდესი მნიშვნელობა იმას, რომ ჩვენი არქიტექტურა უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის, უნდა იყოს თანამედროვე ტექნიკისა და ესთეტიკის ყველა საერთაშორისო მიღწევების დონეზე.

სწორედ ამიტომ, ხუროთმოძღვრება გვევლინება, როგორც ფრიად მნიშვნელოვანი იდეოლოგიური იარაღი. თუ კი ჩვენ ვამბობთ, და და ეს აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენი წყობა, ჩვენი საზოგადოება უფრო პროგრესულია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ჩვენი ხუროთმოძღვრებაც უნდა იყოს გაცილებით უკეთესი. ეს არ არის ლიტონი სიტყვები. არქიტექტურა ყოველთვის იყო და რჩება საზოგადოების კეთილდღეობის, ცხოვრებისეული და კულტურული დონის, მისი ესთეტიკური გემოვნების საზომად. დიდი შეცდომა იქნება, თუ კი ხალხს დავაკლებთ პირველხარისხოვან არქიტექტურას, ნათელ, მოხერხებულ ბინებს, ლამაზსა და სუფთა ქალაქებს.

კარგი არქიტექტურა ორგანულად უნდა გამომდინარეობდეს კარგი ცხოვრებიდან. მაგრამ მაღალხარისხოვანი არქიტექტურის შექმნას სჭირდება კიდევ მრავალი სხვა რამ. უამრავი პრობლემა და ამოცანაა გადასაწყვეტი და ერთი უმთავრესთაგანია ეროვნული თავისებურების, ტრადიციების ათვისება. სწორედ ტრადიციებსა და ნოვატორობას ეძღვნება ეს პატარა წერილი.

საინტერესოა, რომ სსრკ არქიტექტორთა კავშირმა ერთ-ერთი თავისი პლენუმი, რომლის თემა იყო „ტრადიციები და ნოვატორობა თანამედროვე არქიტექტურაში“, ჩაატარა თბილისში. ალბათ საქართველოში განსაკუთრებით მძაფრად დგას ეს საკითხი. პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ტრადიციები და ნოვატორობა, ნაციონალური და ინტერნაციონალური საკითხები, ყოველთვის იყო ჩვენი პარტიის, კულტურის მოღვაწეთა და, კერძოდ, ოსტატ-არქიტექტორთა ყურადღების სფეროში. მაგრამ ტრადიციისა და ნოვატორობის რთულ ურთიერთკავშირებისადმი მიდგომა ყოველთვის იცვლებოდა საზოგადოების განვითარებასა და ზრდასთან დაკავშირებით.

არქიტექტურაში ტრადიციისა და ნოვატორობის შეთავსების მარადიული ამოცანა თავისი არსით წარმოადგენს საბჭოთა არქიტექტურის ერთ-ერთ იდეოლოგიურ საფუძველს. ერთი შეხედვით პოლარული ცნებები, დიალექტიკურად არის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემცვლელიცაა. მართლაც, ტრადიცია მარადჟამს მოძრაობს, არ შეიძლება იგი გადაიქცეს დოგმად. ტრადიციები წარმოიქმნება ნოვატორობისაგან, ხოლო ნოვატორობა შემოქმედების ტრადიციაა. ტრადიციებს ბრმად კი არ ვიმეორებთ, არამედ გონივრულად ვიყენებთ. ხალხის კულტურა სათუთად ინახავს მხოლოდ იმას, რაც თანამედროვეობას სჭირდება, რაც აქტუალურია. მეორე მხრივ, ჭეშმარიტი ნოვატორობაც თვითმიზანი არ არის. იგი დაგროვილი გამოცდილების გაგრძელებაა, ფესვებით უკავშირდება პროგრესულ ტრადიციებს, მათ ახლებურად გააზრებას.

ასეთია მოკლედ ტრადიციისა და ნოვატორობის ურთულესი პრობლემის არსი. ეს პრობლემა მთელი მსოფლიოს არქიტექტურის ისტორიაში ოდინდელია. ვითარცა ჭირვეული, მოდას აყოლილი ლამაზმანი, რომელიც ხან აგრძელებს თავის მაქსი-კაბას მიწამდე, ხან კი ამოკლებს მინი-კაბას წელამდე, ყოველი დროის ნოვატორებიც ხან მთლიანად უარყოფდნენ ყოველგვარ ტრადიციას, ხან კი ბრმად და უდრტვინველად ბაძავდნენ ჩვენ წინაპრებს. დაუმთავრებელი მიკიბ-მოკიბვა, ქანქარისებრი განვითარება უზარმაზარი ამპლიტუდით, ევოლუციური მომწიფება, რევოლუციური აფეთქება, სპირალისებრი აღმავლობა, ბოდიალი ყველა მიმართულებით და, ბოლოს, დაბრუნება განვლილთან, ყველაფერი ეს დიდად განცვიფრებს არქიტექტურის ისტორიაში, გაოცებს ხან თავისი შეუსაბამობით, უაზრობით, ხან კი გენიალური განჭვრეტით. მთელი ეს ტრაგი-კომედია ჰქმნის შესანიშნავ დრამატურგიას ბრწყინვალე ხუროთმოძღვრებისა, ჩვენი სამყაროს დიდი ხელოვნებისა.

მართლაც, არქიტექტურის ისტორიის განვითარების არსი, ეს ხომ ნოვატორობისა და ტრადიციების უკომპრომისო ბრძოლაა. თითქოს და, პარადოქსულად ჟღერს: ნოვატორი ებრძვის ტრადიციას, რათა განავითაროს არქიტექტურა და შექმნას სხვა ტრადიცია, რომელთანაც იბრძოლებს უკვე სხვა ნოვატორი. ე. ი., მოკლედ რომ ვთქვათ, ნოვატორი ებრძვის ტრადიციას, რათა შექმნას ახალი. ალბათ, სწორედ ეს არის პრობლემის არსი. მთავარია, მოიძებნოს ზუსტი ზომა-წონა, ბრძოლისა და დამტკიცების მეთოდები: რამდენად უარვყოთ რომელი ძველი ტრადიცია, რამდენად განვამტკიცოთ ახალი. სწორად მონახვა ამ ზომა-წო-

ნისა, ამ ოქროს კვეთისა, თანაზომიერებისა, თანამასშტაბურობისა არის ხუროთმოძღვრების დიდი ხელოვნება.

დაუჯერებელია, მაგრამ სულ რამდენიმე წლის წინათ, ტრადიციისა და ნოვატორობისადმი მიძღვნილი საკავშირო პლენუმი, ალბათ, მკრეხელობად ჩაითვლებოდა. დღეს კი ყველამ იცის, რო არქიტექტურის თანამედროვე პრაქტიკაში ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემათაგანია ტრადიცია და ახლის ძიება.

ამჟამად, როდესაც დაუოკებლად ვითარდება საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, როდესაც მხოლოდ ერთ განვლილ წელიწადში ჩვენ ქვეყანაში აშენდა ორ მილიონ ბინაზე მეტი, ყველასათვის ცხადია: ინდუსტრიული ბინათმშენებლობის, სტანდარტიზაციისა და სამშენებლო ნაკეთობათა უნიფიკაციის გარეშე ვერ გავალთ ფონს, მაგრამ, როგორც ეს გარკვევით აღინიშნა სკკპ-ს XXVI ყრილობაზე, ქალაქმშენებლობას მთლიანობაში სჭირდება უფრო მეტი მხატვრული გამომსახველობა და მრავალფეროვნება. სწორედ აქ არის არქიტექტორის დიდი როლი.

ნიშანდობლივია, რომ ჩვენი ქვეყნის ცენტრალურმა ორგანომ („პრავდა" 1984 წლის 8 აპრილი) მოწინავე წერილში „ქალაქის იერსახე" ძალიან ზუსტად და კონცენტრირებულად დასახა თანამედროვე არქიტექტურის ამოცანები.

„ფართო და გამწვანებული, — აღნიშნულია ამ მეტად ყურადსაღებ და აქტუალურ წერილში, — თანამედროვე არქიტექტურის ორიგინალური ანსამბლებითა და ძველი კულტურის სათუთად შენახული ძეგლებით, მყუდრო და მოხერხებული — ასეთი უნდათ მაცხოვრებლებს თავიანთი ქალაქი. საბჭოთა არქიტექტორების მაღალი მოწოდებაა — უფრო სრულად დააკმაყოფილონ ხალხის მზარდი მოთხოვნილება, მიაღწიონ, რომ ქალაქის არქიტექტურა ჩვენი დროის საკადრისი იყოს". და შემდეგ: „საწარმოო, საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ფართო პროგრამის რეალიზაციაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის არქიტექტორებს. მათი „პროდუქცია" გათვალისწინებულია საუკუნეებზე".

თანამედროვე საბჭოთა არქიტექტორებს აქვთ ფრიად მნიშვნელოვანი მიღწევები. ხშირად აღინიშნება, როგორც დადებითი მაგალითები, მოსკოვისა და ტალინის ოლიმპიური ობიექტები, მოსკოვის, კიევის, ვილნიუსის ახალი საცხოვრებელი რაიონები, ლენინგრადის სარეკონსტრუქციო სამუშაოები და თანამედროვე ანსამბლები, მინსკის ბინათმშენებელთა საინტერესო ნაგებობები.

გვარიანი მიღწევები აქვთ ქართველ არქიტექტორებსაც. მთელ საბჭოთა კავშირში და მის საზღვრებს გარეთაც დიდი რეზონანსი ჰქონდა მნიშვნელოვან ქალაქმშენებლურ სამუშაოებს, თბილისის ძველი რაიონების რეკონსტრუქციას, რესტავრაციას, ადაპტაციას და რეგენერაციას. თითქოს თავიდან დაიბადა, უძველესი ქალაქი დიდებულად ჩაეწერა საქართველოს დედაქალაქის თანამედროვე ურბანიზებულ სტრუქტურაში. თბილისის ძველი ნაწილის აღდგენითმა სამუშაოებმა არნახული ენთუზიაზმი გამოიწვია, როგორც ქალაქელებში, ისე მრავალრიცხოვან სტუმრებს შორის. გაჩნდა და უკვე ტრადიციად იქცა შესანიშნავი ქალაქური დღესასწაული „თბილისობა". გაჩნდა ლექსები, სიმღერები, ფილმები, ფერწერული ტილოები, მიძღვნილი აღორძინებული ძველი ქალაქისადმი. აღსანიშნავია, რომ ძველი ქალაქის მაღალმხატვრულმა, ჭეშმარიტად თვალწარმტაცმა კუთხეებმა ახლებურად დაანახა ყველას, მათ შორის არქიტექტორებსაც, თანამედროვე განაშენიანება. ახალმა რაიონებმა აშკარად ვერ გაუძლეს შედარებას. მართლაც, მშვენიერია ქართველი ხუროთმოძღვრების ტრადიციები! რაც შეეხება ნოვატორობას, უფრო სწორად, ახალ ბინათმშენებლობას, აქ გვმართებს ჩაფიქრება.

თბილისელები ყოველწლიურად ღებულობენ ნახევარ მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტ საცხოვრებელ ფართს. ეს კი ნიშნავს, რომ დაახლოებით 15 ათასი ოჯახი ყოველწლიურად ზეიმობს ახალი, კეთილმოწყობილი ბინის მიღებას. მაგრამ ახალი საცხოვრებელი მასივების ზოგიერთი საცხოვრებელი სახლის საერთო იერ-სახე ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. უკანასკნელ წლებში ახალი მშენებლობის ხარისხი მკვეთრად გაუმჯობესდა, მაგრამ ამ ხარისხის დონე ჯერჯერობით კვლავაც დაბალია, უფრო გულღიად რომ ვთქვათ — ძალიან ცუდია. ახალი განაშენიანება მოსაწყენია, უსახო და უბადრუკი, განსაკუთრებით ძველ, აღდგენილ რაიონებთან შედარებით. არქიტექტორებმა სწორედ აქ უნდა შეასრულონ გადამწყვეტი როლი. რაღა თქმა უნდა, სხვა გზა არა გვაქვს, უნდა განვავითაროთ ინდუსტრიული ბინათმშენებლობა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ქალაქი უნდა გავაშენოთ ერთგვაროვანი, უფერული სახლებით. პირიქით, ინდუსტრიული ბინათმშენებლობის შესაძლებლობანი უსაზღვროა, რაც შესანიშნავად დაამტკიცეს თუნდაც ლიტველმა და ბელორუსმა არქიტექტორებმა. საჭიროა უფრო თამამად, შემოქმედებითად, მეტი ფანტაზიით გამოვიყენოთ ინდუსტრიული მეთოდების უპირატესობანი და საქმეც დაიძრება. ცხადია, მხოლოდ არქიტექტორები საქმეს ვერ გამოასწორებენ. აქ საჭიროა მშენებლების სალი, შემოქმედებითი დახმარება. მხოლოდ ასეთი თანამეგობრობით შეიძლება მივაღწიოთ წარმატებას. „პრავდის" უკვე ხსენებულ მოწინავე წერილში სრულიად სამართლიანად არის აღნიშნული: „მშენებლობის სამინისტროები, მათი წარმოება, მოწოდებულია აქტიურად გამოიყენონ მოქნილი ტექნოლოგია, კერძოდ,

ჩამოსასხმელი ფორმების გარდაქმნაში, რაც ესოდენ კარგად გამოიყენება მთელ რიგ სოციალისტურ ქვეყნებში. ბინათმშენებლობის კომბინატების მუშაკთა წმიდათა წმიდა საქმეა, უფრო ფართოდ განახორციელონ ხუროთმოძღვართა შემოქმედებითი ჩანაფიქრები".

შეუძლიათ თუ არა ქართველ არქიტექტორებს მშენებელთა დახმარებით და მათთან შემოქმედებით კავშირში მკვეთრად აამაღლონ ახალი საცხოვრებელი განაშენიანების ხარისხი და ესთეტიკური მხარე? უცილობლად შეუძლიათ. ამას ამტკიცებს ის მრავალი ნაგებობა და ანსამბლი, რომლებიც გაჩნდა ამ უკანასკნელ წლებში. რა შესანიშნავია, რომ ეს ახალშენობები ასეთი განსხვავებული და თავისებურია. შემოქმედების აბსოლუტური თავისუფლება, მრავალფეროვანი პალიტრა, თვითმყობადობა და არაორდინარულობა, ამგვარი ახლებური გადაწყვეტა არის ნამდვილი ნოვატორობა ჭეშმარიტ ხუროთმოძღვრებაში. დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე:

თბილისის ძველი რაიონების რეკონსტრუქცია (არქიტექტორები შ. ყავლაშვილი, გ. ბათიაშვილი და სხვა მრავალი);

საავტომობილო გზების სამინისტროს შენობა, რომლის ფოტოსურათებმა შემოიარეს მრავალი ათეული ჟურნალი ჩვენ ქვეყანაში და უცხოეთში (არქიტექტორები გ. ჩახავა, ზ. ჯალაღანია);

უნიკალური, ძალიან საინტერესო და მეტად თავისებური კომპლექსი — რესპუბლიკის მთავარი მოედანი, მაღალგანვითარებული მიწისქვეშა ურბანიზაციით, რომელმაც უკვე მოიპოვა დიდი მოწონება მრავალრიცხოვან სპეციალისტთა შორის (არქიტექტორები ო. კალანდარიშვილი, გ. ფოცხიშვილი და სხვ.);

ორიგინალური, თვითმყოფადი სახახლე საზეიმო ცერემონიალების ჩასატარებლად, შესანიშნავად მორგებული ქალაქის რთულ რელიეფზე, საინტერესოდ გადაწყვეტილი ინტერიერებით (არქიტექტორები ვ. ჯორბენაძე და ვ. ორბელაძე);

მშენებლობის ბანკისა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის ახალი შენობები (არქიტექტორი ლ. ბოკერია);

უნივერმაღი „ბავშვთა სამყარო" (არქიტექტორი ვ. ქურთიშვილი და მისი ახალგაზრდა კოლეგები);

ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო ანსამბლი, რომელიც შედგება ცენტრალური უნივერმაღისაგან. გრიბოედოვის სახ. თეატრისაგან და მეტროპოლიტენის „ლენინის მოედნის" ვესტიბულისაგან (არქიტექტორები რ. ბაირამაშვილი, დ. მორბედაძე და ლ. მეძმარიაშვილი);

ჩვენ ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ ფეხბურთის სამყაროში აღიარებული „დინამოს" სტადიონი (არქიტექტორები ა. და გ. ქურდიანები);

ლაპიდარული, ქალაქის ძველ რაიონში ზუსტად ჩაწერილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული შენობა (არქიტექტორები ვ. აბრამიშვილი, გ. მირიანაშვილი, ლ. ჯანდიერი).

უამრავი შთამბეჭდავი მონუმენტი და მემორიალი და კიდევ მრავალი სხვა.

მთავარია, რაც უნდა აღინიშნოს, საქართველოში არიან ნიჭიერი არქიტექტორები და მათ ძალუძთ გადაწყვიტონ ნებისმიერი რთული ამოცანა. კიდევ ერთხელ მოვიტან „პრავდის" მოწინავიდან მოკლე ციტატას: „სამწუხაროდ, გვიხდება თქმა: არქიტექტორთა როლი ზოგან უსამართლოდ მიჩქმალულია".

იმისათვის, რომ დავუბრუნოთ არქიტექტორებს ყოფილი პრესტიჟი და ნდობა, პირველ რიგში უნდა ამოქმედდნენ ნიჭიერი არქიტექტორები მშენებლებთან თანამეგობრობაში, ისეთ მშენებლებთან, რომელთაც სურთ ააშენონ კეთილმოწყობილი, მყუდრო და ლამაზი ქალაქები, ღირსი ჩვენი თანამედროვეობისა. საქართველოს მშენებლობის კომიტეტი და სამინისტრო, მშენებლებთან დაკავშირებული ყველა უწყება, საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, ქალაქის ხელმძღვანელობა, ადმინისტრაციული და საგეგმო ორგანოები — ყველა ვალდებულია ყოველმხრივ დაეხმაროს მოქმედ არქიტექტორებს ამ კეთილშობილურ, ეროვნულ საქმეში.

მართლაც, კარგი არქიტექტურა, ლამაზი ქალაქები, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები მხოლოდ არქიტექტორებს კი არ სჭირდება, არამედ მთელ ერს, მთელ საზოგადოებას, მთელ ქვეყანას.

ბევრს ვლაპარაკობთ და ვწერთ არქიტექტურის ეროვნულ თავისებურებაზე. არქიტექტურის ისტორიაში და, საერთოდ, კულტურის ისტორიაში ეს ერთ-ერთი განსაკუთრებულად სათუთი საკითხია. გადამეტებული, გადაჭარბებული გატაცება ნაციონალიზმით არქიტექტურაში — უაზრო, ბრმა წამხედურობად იქცევა. ნაციონალურ თავისებურებათა მთლიანად უგულებელყოფამ შესაძლოა დაბადოს კოსმოპოლიტიზმი, ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით, არქიტექტურაში კი — უსახო, ულიმღამო განაშენიანება, რომელიც ერთფეროვან ფენად, ობივით, თანდათანობით ედება ჩვენი ულამაზესი პლანეტის ზედაპირს. ასე რომ, აქაც ზომა-წონის ზუსტი შეგრძნება გვმართებს. არქიტექტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სრბოლაში, უსაზღვრო რაოდენობის სხვადასხვანაირი გადაწყვეტა ვიხილეთ. ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ რა არის, ბოლოს და ბოლოს, ეროვნული თავისებურება, წარსულის ათვისება. არქიტექტურა ხომ მუდამ ჟამს ვითარდება, ჩნდება ახალი მასალები, მშენებლობის ახალი მეთოდები და საშუალებანი, იცვლება მსოფლმხედველობა. გვინდა თუ არა ჩვენ ეს, მართე-

ბულია ეს თუ არა, მაგრამ მსოფლიოში ხდება სტანდარტიზაცია. მთელ მსოფლიოში, მის ყოველ კუთხეში, ახალ ზელანდიაში თუ კამჩატკის ნახევარკუნძულზე — ჩვენ დავფრინავთ და ვმოგზაურობთ თითქმის ერთნაირი თვითმფრინავებით, თითქმის ერთნაირი ავტომანქანებით, ერთნაირად ჩაცმულები ვისმენთ და ვუყურებთ ერთნაირ მაგნიტოფონებს თუ ტელევიზორებს. საუბედუროდ, სტანდარტიზაცია შეიმჩნევა კინოსურათებში, ლიტერატურაში, მუსიკაში, თეატრში, განსაკუთრებით ცეკვებში. მოვიგონოთ, როგორ ვაქებთ დღესდღეობით ხელოვნების ნაწარმოებს: ასცდა საერთო დონეს. ანდა, კიდევ უარესი: მსოფლიო სტანდარტს გაუტოლდა. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ამ ვითარების არგათვალისწინება არქიტექტურაშიც. ნაციონალური ლავგარდანითა და ორნამენტით ვერ დავფარავთ სარკმლისთვის განკუთვნილ ხის, ალუმინის ან ფოლადის სტანდარტულ ალათებს, არც არის საჭირო არავითარი დაფარვა. ამ ასპექტში ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მთელი არქიტექტურა და ყველა მისი დეტალი ეროვნული უნდა იყოს, არასწორია, არაკორექტული.

დღეს, მომცრო წერილში, ყოველგვარი მცდელობა ამ ურთულესი საკითხის გადასაწყვეტად, უეჭველად მკრეხელობად ჩაგვეთვლებოდა. გარდა ამისა, რომ ასეთი ცდისთვის არც დრო და არც ადგილი არა გვაქვს, ალბათ, ეს პრობლემა საერთოდ გადაუწყვეტელია. ცხადია, რომ ეროვნულ არქიტექტურაში უნდა ავითვისოთ პროგრესული ტრადიციები. ცხადია, რომ ნოვატორული გადაწყვეტათა გარეშე არქიტექტურა ვერ განვითარდება. ოღონდ, რომელი ტრადიციაა პროგრესული, ხოლო რომელი — დრომოჭმული? საუბედუროდ, არქიტექტურის ისტორიის განვითარებამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ხანდახან ის, რასაც დრომოჭმულად ვთვლიდით, ფრიად აქტუალური და ცხოვრებისეული აღმოჩნდა და პირიქით. ვფიქრობ, რომ ამ საკითხის თეორიულად გადაწყვეტა შეუძლებელია. მხოლოდ განსაკუთრებულად ნიჭიერ ხუროთმოძღვარ-პრაქტიკოსებს ძალუძთ შექმნან ისეთი ჭეშმარიტად არქიტექტურული შედევრი, რომელშიც მკაფიოდ და დამაჯერებლად იქნება ათვისებული ეროვნული თავისებურება, წარსულის მიღწევები და რომელიც თანამედროვე იქნება არა მხოლოდ აწმყოში, არამედ, რაც მთავარია, მომავალშიც.

აქ მინდა მოვიტანო, ერთი შეხედვით, პარადოქსული აზრი: არქიტექტურა თითქოს ჩამორჩება ეპოქას, ᲓᲦᲔᲡ ჩვენ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ შენობებში, რომლებიც ᲒᲣᲨᲘᲜ იყო აღმართული. მაგრამ, მეორე მხრივ, არქიტექტურა უსწრებს ეპოქას, ის რაც შენდება ᲓᲦᲔᲡ — მოემსახურება ხალხს ᲮᲕᲐᲚᲐᲪ. ეს არის არქიტექტურის რთული ბუნება.

ასეთი ურთულესი ამოცანები დგას ჩვენი არქიტექტორების წინაშე. თუმცა, ასეთივე ამოცანები იდგა არქიტექტორების წინაშე ყოველთვის, ყველა საუკუნეში და თანამედროვე არქიტექტორებმა გასაგები პროფესიული სიამაყით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი წინაპრები ბრწყინვალედ ართმევდნენ თავს ამ ამოცანების გადაწყვეტას. ვფიქრობ, დიდებული წინაპრების შთამომავლობასაც ძალუძს ამ ამოცანების გადაჭრა.

ტრადიციასა და ნოვატორობასთან დაკავშირებით, შევეხოთ კიდევ ერთ ფრიად დელიკატურ საკითხს. ხშირად ვლაპარაკობთ და ვწერთ, რომ არქიტექტორი ქმნის გარემოს, რომელშიც ხალხი ცხოვრობს, მუშაობს, ისვენებს, მოკლედ, არსებობს. მძლავრმა დემოგრაფიულმა აფეთქებამ, ურბანიზაციამ შექმნა სრულიად მოულოდნელი, შეიძლება ითქვას საპირისპირო ვითარება: მართალია, ჩვენ კი ვქმნით ხელოვნურ გარემოს, მაგრამ ბუნებრივი გარემო დიდი ხანია გახდა მოსავლელი და დასაცავი სწორედ ადამიანის მოღვაწეობისაგან, მათ რიცხვში, არქიტექტურისაგანაც.

რა საკამათოა, კარგი არქიტექტურა აკეთილშობილებს, ალამაზებს ბუნებას. წარმოიდგინეთ: აფრიკაში სახარის ცხელი უდაბნო პირამიდებისა და სფინქსის გარეშე; საბერძნეთში ათენის ბორცვი უაკროპოლისოდ; იტალიაში ლაგუნა უვენეციოდ ან მდინარე არნოს ხეობა ფლორენციის გარეშე. დარწმუნებული ვარ, რომ შედარება არ იქნება „სუფთა“ ბუნების სასარგებლოდ. ასევე ძნელი წარმოსადგენია, შუა რუსეთში მდინარე ნერლი პატარა და კოხტა საფარის ეკლესიის გარეშე, სომხეთში კლდოვანი კონცხი გარნის ტაძრის გარეშე, ბაქოს ამფითეატრი შუა საუკუნეების მონუმენტური კოშკის გარეშე, სამარყანდის ვრცელი სიბრტყე ურეგისტანოდ და ა. შ. საქართველოში უთვალავი მთის მწვერვალია, მაგრამ ულამაზესი გახლავთ ერთი, დამშვენებული ჯვრის დიდებული ტაძრით; ენგურის შესანიშნავი ხეობის ყველაზე უფრო შთამბეჭდავი ადგილი სწორედ იქ არის, სადაც მას ამშვენებს ცადაზიდული სვანური კოშკები... ძნელი როდია გავიხსენოთ ბუნების უამრავი ბრწყინვალე კუთხე გაკეთილშობილებული და გალამაზებული (ამ სიტყვის ნუ შეგვეშინდება) არქიტექტორების მიერ. ასეთია ტრადიცია.

მეორე მხრივ, ბუნების რამდენი თვალწარმტაცი პეიზაჟი გავაფუჭეთ (ენა როგორ მომიბრუნდება, ამას ნოვატორობა დავარქვა). გადავხედოთ საქართველოს. არქიტექტორთა კავშირში შევაგროვეთ უზარმაზარი მასალა სავალალო მაგალითებისა, რომელთა განხილვის დროს ჩვენ თვალწინ იშლება ფრიად შემაშფოთებელი და სამწუხარო სურათი: ბუნების უამრავი უზადო ხედი დამახინჯებულია სხვადასხვა ნაგებობით. საქართველოს უნიკალური

ლანდშაფტი მრავალ ადგილას [illegible] **არქიტექტურული ინსტანციის დამტკიცების გარეშე** აშენებული ხხვადასხვა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო კომპლექსებით. ამავე დროს, ნებისმიერი კომპლექსი, როგორც იტყვიან, იმავე ფასად ან ოდნავ ძვირად, შეიძლებოდა ისე აგვეშენებინა, რომ ეს კომპლექსი ყველაზე ლამაზ პეიზაჟსაც კი დაამშვენებდა. ესტონელ და ლიტველ არქიტექტორთა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ეს შესაძლებელია. საქართველოს არქიტექტორთა კავშირს გადაწყვეტილი აქვს გამოვიდეს ამ მასალებით, მოაწყოს მათი საყოველთაო განხილვა და გამოიმუშაოს პრაქტიკული რეკომენდაციები ამ მეტად მნიშვნელოვან სფეროში საქმის გასაუმჯობესებლად.

აუცილებელია, რომ ყველა ეს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო კომპლექსი, ესოდენ მნიშვნელოვანი რესპუბლიკის და მთელი საბჭოთა კავშირის კეთილდღეობისათვის, დაპროექტებულ იქნას კვალიფიცირებული არქიტექტორების მიერ, გარემოს მთლიანი გათვალისწინებით. გზის ყოველი მონაკვეთიდან, ადამიანისთვის მისაწვდომ ხედვის ყოველი წერტილიდან ეს კომპლექსი ჰარმონიულად უნდა ერწყმოდეს ბუნებას, უფრო მეტიც, უნდა ალამაზებდეს და აკეთილშობილებდეს ბუნებას.

აუცილებელია, რომ ამ კომპლექსების პროექტები გადიოდნენ მკაცრ ექსპერტიზას და იხილებოდნენ პროფესიონალურ საბჭოებზე. ვგულისხმობთ განხილვას, სახელდობრ მხატვრული, ესთეტიკური და არა მხოლოდ ტექნოლოგიური ფუნქციონალური, მხარეებისას.

აუცილებელია, რომ დამტკიცებული, მაღალხარისხოვანი პროექტი ზუსტად იყოს აშენებული და აშენებისას არ დანაგვიანდეს რაიმე დამატებითი და შემთხვევითი მინაშენებით და გადაკეთებებით, რომლებიც ესოდენ ამახინჯებენ საერთო ხედს, სილუეტს, კომპლექსის კომპოზიციას. ის ვინც მოგზაურობს საქართველოს გზებზე, თვალნათლივ ხედავს, თუ რაოდენ სერიოზულია ეს საკითხი. არქიტექტორთა კავშირს, როგორც შემოქმედებით, არაუწყებრივ ორგანიზაციას, სწორედ აქ შეუძლია ითამაშოს მთავარი როლი. მაგრამ მხოლოდ განხილვა და თუნდაც განკიცხვაც, არასაკმარისია იმისათვის, რომ ასეთი ვითარება აღარ განმეორდეს. აუცილებელია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირეულად გადავაკეთოთ პროექტირებისა და მშენებლობის სისტემა.

ბოლო დროს ჩვენ ვხედავთ, რომ არქიტექტურისადმი დამოკიდებულება უკეთესობისაკენ იცვლება. მინდა მოვიტანო კიდევ ერთი კურიოზული მაგალითი. საბჭოთა კავშირში ყოველთვის იყო **არქიტექტურის** აკადემია, რომელიც ორმოცდაათიანი წლების მიწურულს, როგორც ვოლუნტარიზმის ერთ-ერთი გამოვლინება, გადაკეთდა ჯერ **არქიტექტურისა და მშენებლობის**, შემდეგ კი **მშენებლობისა და არქიტექტურის** აკადემიად. ამის შემდეგ ეს აკადემია საერთოდ დახურეს. აქ იყო აშკარა ცდა არქიტექტურისა და არქიტექტორების დაკნინებისა. ამჟამად ლაპარაკობენ ამ აკადემიის აღდგენის თაობაზე, მაგრამ ეს სხვა საკითხია. უზბეკეთში ახლახან რესპუბლიკურ ჟურნალს „მშენებლობა და არქიტექტურა"-ს დაერქვა ახალი სახელი „არქიტექტურა და მშენებლობა". თითქოს ამით, და ეს მართლაც ასეა, არქიტექტურას პატივი დასდეს. მაგრამ საქმის არსში ცოტა ღრმად რომ ჩავიხედოთ, ადვილი მისახვედრია — ამ მცნებათა დაპირისპირება, მით უმეტეს გადაადგილება, აბსურდულია: არქიტექტურა მშენებლობის გარეშე არ არსებობს. თვით სიტყვა არქიტექტორი ნიშნავს — მთავარ მშენებელს. შეიძლება ითქვას: პროექტირება და მშენებლობა, ხოლო ამ ორი მცნების ერთიანობა არის სწორედ არქიტექტურა. ამიტომ, როდესაც ქართველი არქიტექტორები ვითხოვთ პროფესიული ჟურნალის დაარსებას, ჩვენ ვფიქრობთ, დავძლიოთ ესოდენ გავრცელებული შეცდომა და ჟურნალს დავარქვათ უბრალოდ, მაგრამ მართებულად — „არქიტექტურა" და მხოლოდ ქვესათაურად — „პროექტირება და მშენებლობა".

წერილის დასასრულს, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ არქიტექტურის განვითარების ისტორიაში, ყველაზე მთავარი ტრადიცია არის ნოვატორობა, ურომლისოდაც არ არსებობს წინსვლა, ე. ი. არ არსებობს სიცოცხლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბევრი არ არის, მაგრამ არც ცოტაა"...

აი დევიზი, რომლითაც ხელმძღვანელობდა „შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონის" ავტორი ზურაბ კიკნაძე, ვინაიდან მისი ნაშრომი სულ 123 ტერმინს შეიცავს და რის გამოც იგი ნაშრომის წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „ლექსიკონი არის ნაწილი უფრო ვრცელი ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონისა, რომელიც უნდა მოიცავდეს წინააზიის ხალხების — ხეთების; ხურიტების, ურარტელების, უგარიელ-ფინიკიელების, ასევე ძველი აღთქმის მითოლოგებს. წინამდებარე ნაშრომი, რომელიც მომზადდა აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ძველი ახლო აღმოსავლეთის ენების განყოფილებაში, ამ დიდმნიშვნელოვანი წამოწყების ერთ-ერთი მოსამზადებელი საფეხურია".

მიუხედავად ავტორის თავის მართლებისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლექსიკონის ხარისხი და მნიშვნელობა მაინც გაცილებით აღემატება მის მოცულობას, მით უფრო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართველი მკითხველი არც თუ ძალიან განებივრებულია სხვადასხვა სახის ისეთი ლიტერატურული ნიმუშებით (თუ არა ისევ ზ. კიკნაძის „შუამდინარული მითოლოგია". თბ. 1979; „გილგამეშიანი" თბ. 1984 წ. ან გასულ წელს ჯ. შარაშენიძის „შუმერები და მათი კულტურა"), რომელთა წყალობითაც იგი ახლოს გაეცნობოდა მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციების ისტორიას, განსაკუთრებით მესოპოტამიის მრავალმხრივი საიდუმლოებით მოცულ უძველეს კულტურას, რომელმაც შესამჩნევი ზეგავლენა იქონია არა მარტო ძველი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს, არამედ თვით შორეული ინდოეთის სულიერი და მატერიალური ცხოვრების განვითარებაზე, და სწორედ ქართული „შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი" აგებულია ზოგიერთი ამ ასპექტის გათვალისწინებითაც.

ავტორი ხშირად შუმერულ-აქადური მითოლოგიური ტერმინის განმარტებას იძლევა შესაბამისი მითის საკმაოდ ვრცელი ფაბულის ფონზე. ამ ტერმინთა სინონიმებისა და მითოლოგიურ პერსონაჟთა იდეოგრამების ახსნა-განმარტებასთან ერთად იგი პარალელებს ავლებს როგორც ქართულ ფოლკლორთან, ასევე ბერძნულ მითებთან.

მაგალითად, ლექსიკონის მე-10 გვერდზე ვკითხულობთ: „ანზუდი (ძველი წაკითხვით იმდუგუდ), მითოსურ ფრთოსანი, ლომსახიანი არწივი, რომელიც თავისი გარეგნული სახით და ფუნქციით ქართული ზღაპრების ფასკუნჯს მოგვაგონებს". ან კიდევ (გვ. 32) ტერმინ „ინანას" ვრცელ განმარტებიდან ვიტყობთ: „გამოირჩევა ი-ს ორი ასპექტი — სიყვარულისა და ბრძოლის. ი-ს ვითარცა სიყვარულის ქალღმერთის, ასტრალური გამოხატულებაა მწუხრის ვარსკვლავი, ხოლო ბრძოლის ი-ს ცისკრის ვარსკვლავი გამოხატავს. ეს იმის გამო უნდა იყოს, რომ ბრძოლა დილით იწყება, ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლისას (შდრ. ქართული ხალხური სიმღერა „ომი შეიქნა ქალაქის თავსა გამთენისასა, გათენებასა, მზის ამოსვლასა") და ა. შ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შუამდინარულმა ცივილიზაციამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთგვარი ზეგავლენა იქონია ძველ ინდურ, კერძოდ ჰარაპისა და მოჰენჯოდაროს კულტურაზე, რაც ერთგვარად ინდურ მითოლოგიაშიც გამომჟღავნდა. მაგალითად „აშური — სემიტური ღვთაება", „უპირატესად ომის ღმერთი" (გვ. 17) ინდურ მითოლოგიაში გვხვდება „ასურა"-ს — ციური დემონის სახით, რომელიც პირიქით გამუდმებით ებრძვის ღმერთებს, ხოლო აქადური წარმოშობის „ძლევამოსილი გმირი" „ნარამსინი" ინდურ მითოლოგიაში გვხვდება მამაცი გმირის — „ნარასინჰას" (ლომი მამაკაცთა შორის) სახით; შუმერული მითოლოგიური „ურუს" ერთ-ერთი მნიშვნელობა, როგორც ეს კიკნაძისეულ ლექსიკონშია მოცემული, არის „საუკეთესო ხვედრის ქალაქი, მეუფეების დიდი საყდარი", მაგრამ ძველ ინდურ ენაში — სანსკრიტში გვხვდება „დიდი მანძილის", „სივრცის" მნიშვნელობით. ასევე სანკრიტზე „„ურუ(ჩი)" ნიშნავს „მიწას", ხოლო „ურუ-გაია" ინდური მითოსური ტრიადის ერთ-ერთი მფარველი ღვთაების — „ვიშნუს" ეპითეტია. ასევე „შამაშ" აქადურად ნიშნავს „მზეს", ხოლო „შმაშანა" ინდოეთში

---

**ზ. კიკნაძე. „შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი". გამომც. „მეცნიერება", 1984 წ. რედაქტორი აკად. თ. გამყრელიძე.**

ძველთაგანვე მიცვალებულთა კრემაციის ადგილს ნიშნავს, კრემაციისა, რომელიც უსათუოდ „მზის" ჩასვლამდე უნდა შესრულდეს.

თუმცა, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი ურთიერთკავშირი, ისევე, როგორც მითოსური სიუჟეტების — „მოარულობა" თუ მითოლოგიურ პერსონაჟთა სახელების მოდიფიცირებული სახით გამოვლენა სხვადასხვა ერის მითებსა თუ ფოლკლორში, თუ მათი ლინგვისტურ კატეგორიაში ტრანსფორმირება, რა თქმა უნდა, კვლევა-ძიების საგანგებო საგანია, არა მარტო თავისი პრობლემატურობით, არამედ იმითაც, რომ დღეს საფიქრებელია თუ ძველი კულტურების ზემოქმედების პროცესი რამდენად ერთმხრივ ხასიათს ატარებდა, ასევე როგორც გავრცელება მითებისა, რომელიც ლექსიკონის ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რამდენიმე ათასწლეულ მანძილზე წარმართავდა არა მხოლოდ ხალხის საკულტო და ყოველდღიურ ყოფას, არამედ სახელმწიფო პოლიტიკასაც კი" (გვ. 3). ამას ემატება ის გარემოებაც რომ მითის შესწავლა, თავისთავად მრავალ რთულ ლინგვისტურ პრობლემასთანაც არის დაკავშირებული. მაგალითად, მაქს მიულერის აზრით, სიტყვის „პარონიმის" წყაროს სწორედ მითები წარმოადგენს, ხოლო ე. კასირერს მიაჩნია, რომ „მეტაფორა" ეს არის „მითსა" და „ენას" შორის დამყარებული ინტელექტუალური კავშირი, და რომ „სიტყვა" ის მაგიური ძალაა, რომლის საშუალებითაც ადამიანის სულში მომხდარმა ძვრებმა ეთიკურ-რელიგიურ კოსმოსში განიცადა ტრანსფორმირებაო. ამის დადასტურებაა, თუნდაც ინდურ მითოლოგიაში გავრცელებული ე. წ. „მაგიური ფორმულა" — სიტყვა „ომ", რომელიც თავისთავად არაფერს აღნიშნავს, მაგრამ მის წარმოთქმაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამრიგად, სიტყვა „დედაა თვით ვედებისაც" კი. საგულისხმოა, რომ უთუოდ მითური გზით უნდა მოხვედრილი იყო. ისევე როგორც მრავალი სხვა სიტყვა „ენ" (ენა) („ენის", „ლაპარაკის" მნიშვნელობით) შუმერულში, ქართულში (იბერიულ-კავკასიურში) და ძველ სამხრეთ-ინდურ ენაში — ტამილურში (იხ. ჰაინს ფეინრიხის — „იბერიულ-კავკასიური და დრავიდული ენები" თსუ-ს „მიმომხილველი" 1969-72, ტ. 6-9, გვ. 20-29), რომლის წარმომადგენლები — დრავიდები თავდაპირველად, დაახლოებით, 4-3 ათასი წლის წინ ჩ. წ. აღრიცხვამდე საბჭოთა დრავიდოლოგის მ. ს. ანდრონოვისა და სხვათა აზრით ინდოეთის ჩრდილო დასავლეთ მიდამოებში ცხოვრობდნენ, ე. ი. შუმერულ-აქადური ცივილიზაციის გავლენის რეგიონებში და ა. შ.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მითი არის არა მხოლოდ უძველეს დროში ადამიანთა ე. წ. „კოლექტიური წარმოდგენის" ნაყოფი ყოფიერებისა და ბუნების მოვლენებზე, არამედ, მ. მიულერის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი არის ხალხთა შორეული წარსულის ისტორიაც, რომელიც არასოდეს ქრება. ყოველივე ეს კი, ვფიქრობთ, არის ის ერთ-ერთი ჭეშმარიტი მიზეზი და საფუძველი დევიზისა **non multa sed multum**, რომელიც თავისთავად მეტყველებს „შუამდინარული მითოლოგიური ლექსიკონის" ქართულ ენაზე შექმნის დიდ მნიშვნელობაზე.

ნიკოლოზ კენჭოშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1984.

გადაეცა ასაწყობად 24. 07. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. 08. 84 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 06655. ტირაჟი 35.000. შეკ. 1657. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

ფასი 80 კაპ.

55243

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«МНАТОБИ»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ